

114/3  
1959



# მნათობი

8

ჯგჯიგომ



1959



საგარეო საზოგადოების საბჭოს საკრებულოს მიერ გამოსული  
 და საზოგადოებრივ-კულტურული შრომისათვის

წელიწადი 36-ე № 8 აგვისტო, 1959 წ.

**საგარეო საზოგადოების საბჭოს საკრებულოს მიერ გამოსული**

7772

**შ ი ნ ა ა რ ს ი**

|  |    |
|--|----|
| ღვივან გოთუა — ნისლი ნახატარის ტუეში. მოთხრობა . . . . .                       | 3  |
| შოთა აკობია — ლექსები . . . . .  | 68 |
| გივი გიგინეიძე — ლექსები . . . . .   | 70 |
| კლავდია დედუაჩიანი — დაკარგული საყურბო. რომანი. გაგრძელება . . . . .           | 71 |
| შალვა ფორჩხიძე — ლექსები . . . . .   | 95 |
| ელენე ნიკოლავესკაია — მტირალა ტირიფი, ლექსი. თარგმანი ოთარ ქეღვიძისა . . . . . | 97 |

**კრიტიკა და პუბლიცისტიკა**

|   |     |
|---|-----|
| გურამ კანკავა — ახალგაზრდა მწერლების მოთხრობები . . . . .   | 98  |
| გაბრიელ მეგრელიშვილი — ვ. გოლცევის წერილები და ნარკვევები . . . . .   | 104 |
| ამირან შახარაძე — რუსი და ქართველი რევოლუციონერები დემოკრატები ისტორიაში ხალხის მასების როლის შესახებ . . . . . | 109 |
| ნოდარ ასათიანი — ბახტინის გმირული ეპოპის 300 წლისთავის გამო . . . . .   | 115 |
| აკაკი ვაწერელია — „თამარიანი“-ს ახალი გამოცემის გამო . . . . .  | 123 |

**ლიტერატურათმცოდნეობის საკითხები**

|  |     |
|--|-----|
| ივანე ქავთარაძე — ეგნატე ნინოშვილის ენის ძირითადი საკითხები. დასასრული . . . . . | 130 |
|--|-----|

**ლიტერატურული მიმკვიდრეობა**

|  |     |
|--|-----|
| მორის ბოურა — ვეფხისტყაოსანი . . . . . | 134 |
|--|-----|

**საგარეო საზოგადოების საბჭოს მიერ გამოსული**

|  |     |
|--|-----|
| შ. კურდღელაშვილი — ანთიმოზ ივერიელი და პირველი სტამბა საქართველოში . . . . . | 146 |
|--|-----|

(იხ. მეორე გვ.)

**გამომცემლობა  
 „საგარეო საგარეო“**



ხელოვნების საკითხები



ს. ფანცხავა — ლეონიდ სობინოვი და მოსკოვის ქართული სტუდენტობა . . . . . 159

მემუარული ლიტერატურა

ევგო. თაყაიშვილი — მოგონებები. გაგრძელება . . . . . 161  
გიორგი მოზდოკელი — ილია ჭავჭავაძის დროინდელი დღეშეთი, დასასრული . . . . . 166

წიგნების მიმოხილვა

შოთა ხულაბერიძე — ე. გვეტაძის ახალი ლექსები . . . . . 177  
სერგო ვერსაშია — პონტელი — „მოგონებები“ . . . . . 179  
ოსებ ბოცვაძე — მონოგრაფია ლიტერატურის სწავლების მეთოდის საკითხებზე . . . . . 182  
ა. ლლონტი — წიგნი ქართულ მკვირვებთა ცვლილებაზე . . . . . 184

მხროლდ რეალიკა

აკაკი ბაქრაძე — მხატვრული ფილმი თუ ისტორიის სახელმძღვანელო . . . . . 188  
ახალი წიგნები . . . . . გარეკანის მესამე გვ.

რედაქტორი ს. ჩიქოვანი

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, ლ. კალანდაძე (პ/მგ. მდივანი), გ. მარგველაშვილი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 2-13-42, 2-11-66.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/VIII-59-წ. ქალაქის ზომა 70×108. ანაწყობის ზომა 7 1/4×12 1/2. ნაბეჭდი თაბახი 12. უფ. 03728. ტირაჟი 6400. შეკვეთა № 524.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბოლიგრაფიკამოცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.



# ნისლი ნახატარის ტყეში

(მოთხრობა)

ჩვენი ქვეყნისა და ბუნების მოსიყვარულე ახალგაზრდებს, განსაკუთრებით ახალგაზრდა მწერლებს უძღვნის ამ მოთხრობას

ავტორი

ყველაფერს აქვს თავისი მიზეზი. ეს ქეშმარიტება დიდი ხანია ცნობილია დედამიწაზე.

ამ ამბავის მიზეზიც ის იყო, რომ მე ვწერდი მოთხრობას. გული სავსე მქონდა ახალგაზრდული გატაცებით, ხილვით, ჯერ უსახო ოცნებით... ბედნიერი ვიყავი, დავდიოდი და დაჯერებულად დავეძებდი ჩემი მოთხრობის გმირებს. გულახდილად რომ ვთქვათ — გმირები უკვე მყვანდნენ. ერთ-ერთი მეც ვიყავ თავად. ახლა მხოლოდ ცხოვრებაში გავლა და ცოცხალი წერილმანები მჭირდებოდა. მოკლე ქარგაც კი მქონდა უკვე შეთხზული: „მივდიოდი საქართველოს სამხედრო გზაზე. ხელში — წერაყინი, ზურგზე — ჩანთა, გულის ჯიბეში — მოთხრობის პირველშავი... გულში კი — ყველაფრის სიყვარული. საბარგო მანქანა წამომეწვია. გადავდექი, გზა ვუტრეი... მანქანა კი ჩემს გვერდით გაჩერდა. მძღოლმა კაბინის კარი გამოაღო.

— ძმობილო, ჩამოჯექით... ერთად ვიმგზავროთ! ქარგის მიხედვით — ჩავჯექი. „მძღოლიც ჩემსავით ახალგაზრდა იყო, თავის ხელობაზე უმჯობესად არა მიაჩნდა რა. აქო და დასძინა, რომ დაუსწრებელზე სწავლობს, მალე იწინებრიც იქნება. მეც სულმა წამძლია და ჩემი კალმოსნობა გავუმხილე. სულ გალადდა, უმატა სიჩქარეს.

— მაშ ამ გზის შესახებ დასწერთ...

მეც რამეში გამოვადგებით... გაგამქვია მე და გზა ვართ აქ ყველაფერის!

ფართო მოსახვევში ახალგაზრდა ქალმა შორიდანვე ხელი აგვიწვია.

— რა ეჩქარებოდა, მაინც გავაჩერებდით... უქალოდ ხომ აბა რა ამბავი დაიწერება?

ისიც კაბინაში ჩავისვით. ახლა ჩემსა და მძღოლს შორის იჯდა ჩემი ახალი გმირი. ქარგის მიხედვით, იგი არც თუ მაინცადამაინც ლამაზი, ბრიალთვალემა, შავტრუხა, მზეზე დამწვარი დუშელი ქალიშვილი იყო, კოლმეურნეობის მოანგარიშე. სახელი საოცნებო შევეურჩიე — ნუკრია.

ჩემსა და მძღოლს შორის ახალგაზრდული მეტოქეობა თავისთავად წარმოიშვა. ჩვენი უეშმაკო ქათინაურების გამგონე ქალიშვილი კი გაბუტულად იცინოდა და ჩვენს თვალსა და მხრებს შორის კოხტავდებოდა, ლამაზდებოდა, თითქმის მზეთუნახავი ხდებოდა. გამშვენებული იყო გარემოც, გზაც, არაგვიც... მე ხომ ყველა გრძნობებისათვის გახსნილი მქონდა გული. მაგრამ პირველი გრძნობა, რომელიც შიგ დაბუღდა — არა სიყვარული, არამედ მეტოქეობა იყო“.

ქარგაში ერთი საკითხიც დავსვი: „აბა, ვის ირჩევს „ჩემი გმირი“ — მე — მის შემოქმედს, თუ მძღოლს — მისი მანქანაში ჩამსმელს?

გზაჯვარედინზე, ღარის ტუჩზე წყარო დიოდა.

— რა წყაროა?

— ტრფობის წყაროს იტყვიან... — მიბასუხა ნუკრიამ. უეცრად გადავწყვიტე:

— მე აქ ჩამოვდივარ... მადლობთ გაგავ! — მერმე მცდელად გადავხედე მეზობელს, — დარჩებით თუ თქვენც ჩამოხვალთ?

— მეც... — სულ უბრალოდ მიუხრა, — ჩვენი საველე ბრიგადა აქვეა ახლოს.

— ვიცოდი აქ ჩამოხვიდოდით... და ორივე ერთად... — მანქანა დაამუხრუჭა გაგამ, — კეთილი მგზავრობა! ასეთი ბედი მაქვს... ჩამისხდებიან, ერთი წყაროდან მეორემდე თავს შემაყვარებენ და მერმე ისევ გამეცლებიან... თითქოს მე მარტო გულბორბალა მასპინძელი ვარ... მანქანის ნაწილად მთვლიან!

ვიგრძენ — გაგა-მძლოლი ჩემზე უფრო კეთილი და უფრო დიდი სიყვარულის შემძლე იყო“.

ასეთ მოთხრობას ეწერდი. ცხოვრება მარტივი ჩანდა, ბედნიერება ადვილად მისაღწევი და უფრო ადვილად დასარღვევი, უბედურება მხოლოდ შემთხვევით მარცხად მესახებოდა. რასაც გარეგანად მიზეზი და შედეგი ჰქონდა — ყველაფერი შინაგანად, ლოგიკური და კანონზომიერი მეგონა. მოთხრობა სიყვარულზე მქონდა აგებული და ბოლოს ულოდნელ მარცხით ვამთავრებდი, რამეთუ სიყვარული ისეთ ძალად მეგრძნობოდა, რომელიც ხიბლავს, ამაღლებს, მაგრამ რატომღაც ახრჩობს კიდევაც!

ქარგის პირველშვივი რომ დავამთავრე, მართლა ავიღე წერაყინი და ჩანთა. არაგვის გზაზე გავედი.

შხემადლიანი დარი იდგა, ყველაფერი მწიფდა და ღვივოდა. შემოდგომის ბარაქიანი კალთა უხვად იბერტყებოდა საარაგვოზე. თავშიშველი, გულმოდელი მივიდიოდი და თმა-კისერზე მთის სიოკრილი ფრთას რომ გამკრავდა — გამედმიებოდა, უფრო ვუმატებდი სვლასა და ოცნებას. ხოლო როდესაც

საც მოძლიერებული ნიავეწანწალა დაძკრავდა — სულ ვხარხარებდი და ღელეებს ფართოლაჯიანად ვახტებოდი. განზრახ შუაგზაზე გავედი, თანდათან გულისყური ჩემ შეთხზულ ამბის ქარგას მივაჯაჭვე და ველოდი... ახლა სადმე წამომიწვევა გაგა-მძლოლი, მანქანას გამიჩერებს, მიმიწვევს... და მანქანა ჩემ შეთხზულ ქარგაზე გაგორდება, მას გაამართლებს და გაამდიდრებს.

...მართლაც მალე ჩემს ზურგს უკან შორეული საყვირის ხმა მომესმა, მალე მომიახლოვდა, მეც გადავდექი, თავი ვიბრუნე... მაგრამ მანქანამ ჩამიქროლა, მტვერი მომაყარა. მეწყინა, თუმცა მთლიანად არ შევიფერე. ზედაც მეორე მანქანამ მომაყვირა... იმანაც ჩამიარა. საბარგოც იყო და მძლოლიც მარტო იჯდა. ახლა კი სახტად დავრჩი. შემდგომ მანქანებს უკვე მე თავად ვუწვდიდი ხელს, მაგრამ არცერთი არ განჩერებულა. ყველას სადღაც, თავის გზაზე მიჩქარებოდა. სრულიადაც არ ემორჩილებოდა ჩემ მოთხრობის პირველქარგას. მაგრამ მე ისე გამოიტაცა გზის თავისებურმა სწრაფვამ და მაჯისცემამ, რომ მალე სრულიად დამავიწყდა ეს ჩემი მწერლური მარცხი.

გზას — ხან სოფელი ჩასდევდა, ხან ბაღნარი და ბუჩქნარი. შორიახლოს ტყეშესეული ფერდობები წამომიპართნენ. გზისპირსაც ბუჩქბუჩქები და კლდეები ჩამოუდგნენ ბუჩქბუჩქად. ხეობის ძირი მთელ სიგრძეზე გამზარულს ჰგავდა. არაგვი მოჰქროდა მჩქეფარე და ლურჯ-თეთრა, როგორც ნაწვიმარში გამდნარი შაბიამანი.

ერთ ადგილას გზა შევიწროვდა, ზევიდან ხევჩამოკრული კლდე წამოადგა გზას. მისა და არაგვის რიყის შორის ვერდამთავრებულად შექველებული, საკმაოდ მოზრდილი სახლი იდგა, მცირე ეზოში და უფრო მცირე ბაღბოსტანში მიყუყუებული.

კლდის ჩეროში შემიყვანა გზამ. აქედან აღმართი იწყებოდა, არც თუ შორეულ ხილამდე აღწევდა აქ კიდევ გამასწრო სატვირთო მანქანამ. მას აღარც

საყვირი დაუხმიაწებია. კაბინის მარჯვენა მხარეს მცირე წითელი ალამინიანი ეკეთა ცეცხლსაშიში მასალა თუ მიჰქონდა.

სახლს რომ ჩავუარე, გზაზე მანქანის ბუქი ჯერ კიდევ აფრასავით იდგა. მაინც შევემჩნიე — სარკმელში ახალგაზრდა ქალმა გამოიხედა, სადღაც ზევით ხელმოშველებით ასძახა:

— მამა, ჩამოხვალ თუ ამოგიტანო? ვგონებ შევგერმანი იყო. ჩარჩოში ჩასმულ ბუნდ სურათად დამრჩა ეს იყო და ეს. მეტი ყურადღებაც არ მიმიქცევია — ჩემი მოთხრობის გმირი არ იყო, არა.

წელანდელმა მანქანამ უკვე ხიდს მიაღწია. მეორე მხრიდან დიდმა სამგზავრო ავტობუსმა შემოასწრო. ხიდზე შეიყარნენ მანქანები. მძღოლების არც თუ ტკბილი მაღალხმინანი მომესმა. ალამინიანის მძღოლი ვადმოხტა და შემხედურს შეუტია. დიდმა სამგზავრომ იწყო უკან-უკან სვლა, ხიდიდან გადადგა, გზა დაუთმო. ჯიქურა მძღოლი კაბინაში, როგორც ბუნავში ისე შეძვრა. კეთაზე მოგდებული ყურება ქუდი და გრძელი ხელები მომხვდა თვალში. ჩემი მოთხრობის მძღოლი არ იყო და ყურადღება აქვე გავეწყვიტე.

როდესაც დიდი სამგზავრო მანქანა მე ჩამისწორდა, მძღოლმა სვლას უკლო, ვადმომძახა:

— საით, ძმობილო? ხომ არ წაგიყვანო?

მძღოლს რომ შევხედე — გამიკვირდა... არა, ჩემ შეთხზულ გავას არ ჰგავდა. მე მგავდა, პირადად მე!.. ჩემებურად აბურღული თმა, ზორციანი ცხვირი, ოდნავ უსწორო ნიკაპი. აი ეს კი იყო ჩემთვის გულსასურველი, მაგრამ მას სწორედ საწინააღმდეგო გზა ჰქონდა.

— არა, მადლობთ... მე აქეთ მივალ! — ხელი ხიდისაკენ გადავუქნიე.

— მერმე ტუხამ არ წაგიყვანა? — მაგრამ პასუხს არც დაუცადა, — რას წაგიყვანდა! განა ყოველი მძღოლი — მძღოლია?

დიდმა სამგზავრომ ჩამიარა.

— არც ყოველი მწერალია მწერალი! — გვიან მივაძახე... მწერალი — განწყობილება, გარემო, დიდი გზა, ჩოხა-ნაბადით შემოსილი ხეობა, მოქნეული არაგვი... ყველაფერი მაღალ ჩაზმასზე იყო შემართული, მაგრამ თვალშესწრებული სახეები, ცხოვრების უეცარი კვანძები და ლანძვები ან სულ არ მომდიოდნენ ხელში, ან სულ სხვა ქარგაზე იწყობოდნენ. მაგრამ მე ყოველთვის ჯიუტი ვიყავი. თუ ჩემი მოთხრობის პირველქარგა არ გამართლდა — ძალად გავამართლებ... მეორეს შეეკმინი... მესამეს... დიდ გზაზე გამოვსულვარ მწერლად და მოგზაურად. აქ ცხოვრება ალბათ ათას კვანძად იკვრის წუთში. ერთ-ერთს ახალსა და სახასიათოს შევემჩნევ და მის გულის გულს მაინც მივგანებ, მაინც დავწერ... ბოლოს და ბოლოს ცხოვრება ერთ თარგზე აკრილი და შეკერილი ფეხსაცმელია: დაბადება, მოკლე ახალგაზრდობა, გრძელი სიბერე და სიკვდილი... მე თითქმის ყველაფერი ვიცი, თითქმის ყველაფერი შემიძლია...

ზუვიდან ხის რხევა-შრიალი ჩამომესმა, ჩემს წინ გზაზე ხოშკაკალივით დაცვივდა რაღაც. დავაკვირდი. ხოშკაკალი არა და კაკალი კი იყო.

ჩენჩოჩაშავებული, ზოგიც გაკროცილი — ბუდედან ვადმოვარდნილ უბუმბულო ბარტყის მსგავსად დაგორდა გზაზე. დავწვდი და მუშტში მოვიგდე რამოდენიმე. ღონის თავმომწონედ გამოსაცდელად გავტეხე და თეთრი, თოთო ლებანი შევჭამე.

— აქეთ ამობრძანდი, მგზავრო კეთილო... რაღა გზაზე ნაყარს ჰკრეფი?!

ავიხედე. კლდის პირს ვიწრო, მშრალი ზევი ასდევდა. ბეჭობზე საკმაოდ ტანაყრილი კაკლის ხე ირემივით ვადმომდგარიყო. მოხუცს გრძელი ხალხა მოემარჯვებინა და კაკალს ბერტყავდა.

„ჰმ, გზაზე ნაყარს იძახის? გლახაკი ვგონივარ... მაგან რა იცის „მოკალმასე კალმოსანი“ ვარ... ყველაფერი მეხება — უყარ-ნაყარი... გზაზედაც და მის

აღმა თუ დაღმა!“ სიტყვებსაც კაცლებივით ვახსრიალებდი, „ზედა კეტინს“ თავიდანვე ვედავებოდი. ბუზღუნ-ბუზღუნით მაინც ავყევი მშრალ ხევის ბილიცს.

კაკლის ჩამოსწვრივ მცირე წყაროთვალს წავადექი. თითქოს კაკლის ძირებიდან ჟონავდა წყალი, ქვებზემოწყობილ, სამ ხელისდადება გუბეში კიაფობდა. მცირე გაღმონადენი კი აქვე, მშრალ ხევის ქვაყრილში იკარგებოდა. მაგრამ წყაროთვალმა კი არ გამაყვირვა — საქართველო საოცარი წყაროების ქვეყანაა. არც კაკლის ხემ — ჩემი სამშობლო, ვაზის შემდეგ, ალბათ კაკლის ქვეყანაც არის. მაგრამ კაკლის ძირებმა კი შემძრა. ისინი მძლეუდ, ჩახლართულად, მრავალძარღვიანად ჩასჭიდებოდნენ ჩამონგრეულ ბექობის კიდეს და მისი ნაშალი პირი ფესვების არტახებით შეეკრათ. როდესაც ჩაუფიქრდი, მიგხვდი რომ არც ეს უნდა გამკვირვებოდა, ჩვენი დედულ-მამულეთი ხომ მკვიდრო ძირების ქვეყანაც არის!

წყაროთვალს ჩანთამოუხსნელად მივუწევი და დავეწაფე. საკმაოდ მძიმე ჩანთა წამომაწვა, კისერზე კუხად წამომადგა. ალბათ ნიკარამოკიდებულ ლოკოკინას მამსგავსა. ზევიდან თავშეკავებული სიცილიც კი ჩამომესმა. ვიღაც მიმზერდა, მაგრამ ჯერ საგამარჯობოზე არ ვიყავი მისული.

ჩემი გაბადრული სახე წყაროს სარკეში რომ დაეინახე — უფრო დიდი სიამე და სალბუნი ვიგრძენი. მოულოდნელად სარკმელს დაემსგავსა წყაროთვალი... შიგ შეგვგრემანი სახე გასხლდა და გაიშალა. უფრო მომემა წყარო. შიგნით ამიმღერდა რაღაც, საამო საწყაროში შედგომა მამცნო. ისე დაწაფებულად ვსეამდი — თითქოს ვკოცნიდი, ვეამბორებოდი საყვარელ არსებებს... მაგრამ მე ხომ ჯერ არავინ მიყვარდა, ჩემი მოთხრობის გმირი ქალიც კი ჯერაც არსად არ გადაწყრია გზაზე... გული კი ხსნილი მქონდა, მღეროდა გული.

თავი რომ ავიღე — მაღლა, კაკლის ძირში თითქოს მატჩანედან გაღმოსული, წვეროსანი მოხუცი დავინახე. კიჯდა და მელოდა. ეს ძირები ქართულ მიწაში ჩაქიდებულ მის ფესვებად მომეჩვენა და მომეზრა.

— რა ძირებია? — ხმამაღლა აღმომახდა.

— ადგილის დედაა... თორემ აქ რომ ღვარები იცის — დიდხანია ამ ბექსაც, და წყაროსაც გზაზე ჩაიტანდა... — დინჯად ჩამომეპასუხა მოხუცი.

— გაიხაროს მაგის დამრგველმა! — მე საამო პირველსიტყვა მწადადა, მაგრამ მიხვედრა მომეცარა. ტკივილი მივაყენე. სიტყვის მიზანი — თოფის მიზანზე უფრო ძნელია.

— ეჰ, რაღა გაიხაროს... გაჭირვების მეტი არა უნახავს რა ცხოვრებულს — ჩემი დედაკაცის დარგულია... რომ შევეუღლდით და აქ ამოვიყვანე კაკლიანიდან, ორმოცი წლის ამბავია! — უეცრად მოიღუშა. მე ჩემებურად ავხსენი. მოხუცებულობა ხომ დიდი მარტოობის ხანაა! მარტოხელად ჩავთვალე, დაყვავებით დავუწყე საუბარი და კიდევ შევეციდი.

— ამ ძირბუდიან კაკლისა და საოცნებო წყაროს წილში... ისიც ამ დიდ გზაზე, ადამიანი მარტოხელად ვერ ჩაითვლება..

მოხუცს სევდიანად ჩაელიმა:

— შენ შეილოსა... მეოცნებე რამე ჩანხარ... ბრტყელ-ბრტყელებს კი ლაპარაკობ, თუმცა მიმხედურობა უმწიფარი გაქვს... ასე გაგიჭირდება ცხოვრება, მაგრამ შენი გზით იარე... — და უეცრად გაწყრა, სიტყვაც ძირებივით დაგრიხა და დაახვია, — იცოდე, ცხოვრება მუდამ მტყუანია კეთილად მეოცნებესთან! სიმართლევც ოცნებასთან უფრო ახლოა, ვიდრე ცხოვრებასთან.. ამოდი კაკალი გატეხე, თან წაიღე... ნუშლია საგზაო. ამ ბოლო დროს ცოტა დასჯახანა იოლად მოსაყვანმა მზესუმზირამ, თორემ ნახევარი საქართველო კაკლით არის გაზრდილი. ერთი კაკლის ხე — ერთ ძროხას უდრის!

ბილიკს აღარ გავყვევ, კაკლის მძლე ძირებს ავეკიდე და პირდაპირ მოხუცთან ავხობდი.

— პა, ღონე გერჩის არა? — გამოიღმა და კაკლის წინგოთი ჩაშავებული, ძარღვიანი ხელი გამომიწოდა. რომ ჩამოვართვი — თითქოს ისევ კაკლის ძირებზე მეჭიდა ხელი.

— სიტყვაკერკეტი რამე ჩანხარ, კაკლის პაპე!

— პოდა, რა თაფლის გზა მაქვს გათელილი? ჩემთვის ყველა ჩამვლეულია — მე კი ყველას მასპინძელი — მაშა! სხვისი დარდიც მე მამარია...

— ვინ ხარ ასეთი?.. მწერალი ხომ არა ხარ?

— აპანდე, იგემე — ადგილის კაკალია! — დიდ საცერში ჩაყრილი, წინგოშემოცლილი კაკალი მომაწოდა, პასუხი კი არ გამცა.

გამოვართვი, მაგრამ ჯერ კაკლის ხეს დავეუარე. ირგვლივ ნაბერტყი კაკალი ეყარა, მე კი მოკედელი, მთასვლურა ფეხსაცმელი მეცვა. ფეხქვეშ ერთი ტყაცა-ტყუცი ავაყენე.

— რკინის ფეხსაცმელები კი ჩაგიცვია. რკინის კეტიც ხელში ხომ მაქვს და მაქვს, მაგრამ დაჯექ, ბარგი ჩამოიხსენ, კაკალსაც ნუ აფუჭებ... — და ისევ კაკალივით დამიგორა სიტყვა, — ესეც იცოდე კაცი ფეხებიდანაც ცვლებ, მაგრამ თავდაპირველად გულის მხრიდან..

რაც უფრო მედავებოდა და უმწყრალად მიწყრებოდა კაკლის მასპინძელი, მის მიმართ გული უფრო მეღებოდა და იყო ასე, ჩემი სურვილისა და ნების გარეშე... გული განაგრძობდა სიმღერას.

— რას მედავები, მოხუცო? — განხარახ ნაწყენად შევეკითხე.

— დაჩუმდი თითქოს არ იცი, რომ შენ კი არ გედავები... აი იმ გზაზე უქმად მოხეტიალე ხალხსა...

— უქმად თუ ბოროტად?

— მხნე მოხუცი უცხად დაცხრა, თვალქუთრულად შემომხედა.

— რომ გარჩევ — უქმია თუ ბო-

როტი, ხშირად გვიანდაა თითზე კბენანი.

გარკინული

— მაშ როგორ?.. დიდ გზაზე მარად ცხოვრება ასე უნდოდ, ასე უკეთილოდ!

— არა — კეთილად, მაგრამ შეეკვებულად... — უცხად მობრუნდა, ისევ გზისაკენ გადაიხედა და გადასძახა.

— შეილო, მაყვალავ! აქ ამოგვიტა... რამეც ამოაყოლე დოქითა...

მივხვდი, წელანდელი ქალის ამოძახის დაგვიანებული პასუხი იყო.

...კაკლით საესე საცერი ხის ძირში მივდე. ჩანთაც მივაგდე, ტანი შევიმსუბუქე, მოკედელი ფეხსაცმელებიც წაეიყარე და მოხუცს ხალხა გამოვართვი უსიტყვოდ დამანება. მე ღონიერი კაცი ვიყავი და მიხაროდა. ფეხშიშველა შემოვევლე კაკლის ხის გლუვ ტანს. საოცრად მიამა. ხელის გულზე საამო ხაოს ვგრძნობდი, ფეხის გულზე ოდნავ ხიციხს. პირველ ჯღაში ჩავედქე და ხალხათი კაკლის დაურეკავ ტოტებს დავერიე.

პირველყოვლისა კალამი და უბის წიგნაკი წამომგარდა ჯიბიდან.

— ჩემი ქარგა! ჩემი სიტყვები! — ხალხას ვუნაცვლებდი მსხმოიარე ტოტებს. თვალი შევასწარი — როგორ აირია ჩემი დაფურცლული პირველშავი კაკლის მწვანე და მქანედ სურნელოვან ფოთლებში, წინგოიან კაკლებში.

ახლა გარემო, გზა, არაგვი, მთელი ქვეყანა ამ ფურცლებში, სიტყვებში, ქარგებში, კაკლის ფოთლებში, ნაყოფში და სურნელში გაცირლად მეგრძნობოდა და მეხატებოდა.

...აი დიდი გზა! ცხოვრების პირველშავი აქ იწერება. ზედ ხალხი დის აღმადალმა, მანქანით, ცხენით, ფეხით... ყველას კი თავისი კერძო გზა და გაუმეორებელი თავგადასავალი გააჩნია, როგორც, აი აქ, ერთი უბის წიგნაკის აფრიალებული ფურცლების ქროლვას... მხოლოდ არაგვი მიპქრის დაღმა და დაღმა... ერთ გაუთავებელ, გათეთრებულ ხელნაწერივით. მაღლა ტყიანი

მთები თეთრ ფურცლებად იკრავენ ნისლებს. მზეც ვეება დაკროცილ კაკალივით ბრწყინავს და ზეცის საცერში გორავს. მეც დაკაკლულ სიტყვებს თავდავიწყებით ვბერტყავ და არა იმიტომ, რომ კაკლის პაპას ვეხმარები, არამედ — გაჩერება არ შემიძლია. ძალაც მერჩის, თავმომწონებაც... ალბათ ამ კაკლის ხეზე არანაკლებად მისხია და მიმწიფს სიტყვები, სახეები, ქარგები, კვანძები...

და უეტრად ხალხა შემატყდა ხელში... სახტად დაერჩი. ზიდან კინალამ ვადმოვარდი.

— ახლა უყარე კაკალი! — ქალის ხმა და მოპარული სიცილი შემომესმა ქვევიდან. ნირშერეული ჩამოვედი. ქალიშვილი ზურგშექცეულად და თავჩალუნულად კალათში ჰკრეფდა ჩემს დაბერტყილ კაკალს. მხრებისა და ნაწნავების რხევაზე ვატყობდი — ძლივს-ძლივს შეკავებულ სიცილისაგან იჭაჭებოდა. ბოლოს სავსე კალათი კაკლის კალოს მიიყარა და ჩხრიალში მიაცინა. უმალ წყაროზე ჩაირბინა და იქ დატოვებულ კოკას დაუწყო ჯამით ავსება.

— ახლა კი პური გავტეხოთ... — სიტყვა შემახვედრა, გადამატეხა ახოვანმა მოხუცმა.

— ხალხასას კი ნუ დაირცხვენ... შენი ჭირი წაუღია აგრე მოგდით ახალგაზრდებსა, ხარბოცნებიანებს, ძალამოუზომელებს...

— მაყვალამ წყალი ამოიტანა, ხელები დაგვაბანინა. თუმც წენგოს ფერს ასე ადვილად აბა რა წყალი გავვაშორებს?

ქალიშვილი კი საერთოდ წენგოსფერი მომეჩვენა. მან ისევ საცერი აიღო, დაირასავით ამოაბრუნა. მის სახეს მხოლოდ მაშინ შევასწარ თვალი. ასე საცერში დანახულად შეუცნაურა. მეტი არაფერი... არც ლამაზი იყო, არც ულამაზო. მან კი ვადმობრუნებულ საცერზე პურ-მარილი გავვიშალა. ახლა მეც ჩანთიდან დავუმატე ქალაქური საგზალი.

დავილოცეთ, ანწლის არაყი მოვწრუპეთ. წავიხემსეთ. მე არაგვული თბილი

პური და ყველი, გაფიცებული ხინკალი მიამებოდა, მოხუცს კი ქალაქური აფუებული პური და მოწამხული ძეხვი.

მაყვალა კი სულ აგროვებდა კაკალს, აკალოვებდა, ტომრებს ავსებდა.

— ესეც გავტეხიათ... — ფარულ ნიშნისგებით ჩემი მუღმივი კალამი მომაწოდა. ამ პატარა „ც“ში, მთელი ამსიგრძე ხალხა იგულისხმა. ხინკალი ლოხმად დამადგა გულზე.

— არა უშავს რა, ფანქარი მაქვს... — და მხოლოდ ახლა მომაგონდა რომ მე მოთხრობას ვწერდი. რომ პირველშავი ჩამეფურცლა და მომეფანტა, რომ პირველქარგა სულ გამიცუდდა. მაყვალა ახლა მწერლის თვლით ავზომჩავზომე მაგრამ ჩემი ქალ-გმირის ადგილზე ვერ წარმოვიდგინე. ჰამის მალა კი უეტრად მომეჭრა.

— წავალ მე... მთას ავეყვები... — ხელი ალაღებდად ავიჭნიე, — მადლობას მოგახსენებთ, ჩემო პირველო მასპინძლებო, საარაგვოში!

— თუ საარაგვოს ათვალეირებ, მაშინ აქეთ წადი, შეილო... ნახატარის ტყეს ეტყვიან... თელნარია, უწინ დიდი კორომი იყო, ახლა ცოტადა დარჩა... თვალის ჩინივით ვუვლი სათითაოდ აღრიცხულია სატყეოში.

ახალა მივხვდი რომ კაკლის პაპატყის მცველი იყო. ცოტა შემრცხვა კიდევაც. ცხოვრების გზაზე მარტო ხეტიალი როდი კმარა, კვლევაც უნდა აბა, რას გავს — კაცი გავიცანი, პური გავტეხე მასთან. სახელიც ვიცი — ბარათა ჰქვია. მის ქალიშვილს — მაყვალასაც ვიცნობ, მათი ხელობის და საქმიანობისა, ვარდა კაკლის ბერტყისა, არა ვიცი რა.

ახლა კი ხელმორჩილი, ყუადაღიანი ცულიც შევნიშნე, ცალპირა, სანადირო თოფიც კაკლის ჩაგრეხილ ფესვზეა მიდებული.

ჩანთა კაკლის ძირში დავტოვე და თელნარისაკენ ავეყვი.

გზის სამყაროს მოვწყედი თუარა, უეტარ უდაბურობაში ჩავარდი.

თავიდანვე ბუნების დიდი მოტრფიალედ ვიყავი. მაინც მთებისა. ტყეც მიყვარდა, მაგრამ იგი ჩემთვის — დიდი, მწვანე ღუმელი იყო. მისი ჩუჩუნიც მესმოდა, მაგრამ ვერ ვგულისხმობდი. ახლაც ასე მომივიდა. თითქოს ჩაჩრდილულად გამჭვირვალე; მწვანე მორევში ჩავიძირე და მის ფსკერზე ჩუმად და მსუბუქად მივალ. აქ დიდებულად დაცული თელნარი ომახად იდგა. ნახატარის ტყეში შევედი როგორც ხელოვნების მწვანე ტაძარში. ამ გზისპირეთში ასეთ შესანიშნავ საშენ მასაღიან ტყის შემონახვამ გამაყვირება და გამახარა. მივხვდი — ბარათას ხელის მადლი იყო. ახლა სულ სხვანაირად შევხედე მოხუცს.

თელის კორომის უკან, უცბად კლდე დგებოდა კედელივით. მძლავრ ნარევი ჯაგნარი ტყე ადიოდა მთაზე. ქვევით ნაურმალი გზა ჰკვეთდა არც თუ დიდ კორომის ბოლოს და მოვლით დიდ გზაზე ჩადიოდა.

კლდის შემალღებულ ძირში მივჯექი და გავიჩინდე. აქ ხომ ყველაფერი ზვიადად გარინდებული იყო. მეც ტყეს აუღწყვე სუნთქვა და მაჯისცემა. საოცარი შოშმინი შემომადგა. არც მეღარდებოდა, არც მეფიქრებოდა, არც მეწერებოდა. მეოცნებებოდა და მეთვლიმებოდა. ვგონებ ჩამეძინა კიდევაც.

ძახილმა გამომაღვიძა. მალე ბარათა გამოჩნდა. თოფი მხარზე მოეგდო, ხელში დაღიანი ცული ეჭირა.

რა კარგია, როდესაც გეძებენ, გეძახიან — შენ კი ზედავ, ყველაფერი გესმის და არკი უჩნდები. კარგად დაწერილ მოთხრობის ჩამალულ დერიტასავით ხარ. კვანძის თავი და ბოლო ხელში გიჭირავს და გამოუჩენლად ყველგან სუფევ... აი მწერლის ადგილი — ყველგან გგრძნობდნენ, ყველგან გეძებდნენ და არსად ჩანდი! შენ კი სახავდე, სწვდებოდე ყველაფერს, მაგრამ სასიკეთოდ!

ხმა არ გავეცი ბარათას. ქვისთან მივინახე, თან მცდელი თვალი ავაყოლებე.

ერთგან შედგა, თელას ხმელი როკი შეატეხა, ზედ შეკლანდელ ყვითალოს ძირი დააქრა და გააცალდა ხმობა-შეპარულ ხეს ყუით დაადო დანდა. მერმე ისევე დამიძახა და პასუხი რომ ვერ მიიღო, ხელი ჩაიჭნია, შორს წასულად ჩამთვალა და მთლიანად ნახატარის ტყეს მიეცა. თითქოს ბუნების კარი შეაღო. მეც უჩუმრად, ზურგს უკან მივყევი. ახლა ჩემთვისაც სულ სხვანაირად ამეტყველდა და აჩუჩუნდა თელნარი.

ჯერ იყო და კოდლა შემოქოთქოთდა ტყეში. ბარათას თავზე ხემაღალს შემოჰკრა ნისკარტი, წისქვილის სარაკუნასავით აახშიანა.

— რა იყო კოდალ-ბატონო, ფუტუროს მიადგენ?... ჭია-ჭია ადგილს? — ხმაშალდა შეესიტყვა მეტყევე და ხის ძირს თავადაც მოუკაუნა ცულის ტარი, — ფიქრი არ არის კოდალ-კაცი! სხვაგან მოსინჯე!

სალი, უფუტურო ხის ხმა მეც მომწვდოდა. შურით გაეფიქრე: მწერალს კოდალას ნიჭიც უნდა ჰქონდეს!

კოდლა გაფრინდა. ბარათამაც კლდის ძირისაკენ გადაინაცვლა. ზევიდან ჩამოცოცებული ქვა ახლგაზრდა თელას ტანზე დასწოლოდა და გაედრიკა. მეტყევემ ცულის ტარი ამოსდო ქვას, გადააგორა. ხეს ტანი აუსწორა და როგორც ბალდს ისე მოეფერა.

— მართლაც ქვას რომ გულიც ქვისა აქვს, თორემ ახლა ამას დასჩაგრავედა კაცი?

ახლა კლდის ძირში ამოყრილი ძეძვი მოსჭრა და ჩაინაცვლა. ზედაც ქორი დააცხრა ნახატარს, გნოლს მოსდევდა.

— ჰაიო, მტაცებელო! რა ხელი გაქვს? — ახლა თოფი ამოიმარჯვა, უნიშნოდ ესროლა... ქორი აღმა ატრიალდა; ირად არაგვისაკენ ვაჭკრა. გნოლი კი მიწას გაეკრა და საღდაც კაკლის მხარეს ჩირგვნარში გაუჩინარდა. თოფის ხმაზე, თხილის ბუჩქიდან, კურდღელი წამოხტა. სერზე ცუცქად შედგა. თეთრი. გულისპირი და ცალი თათი ააჩინა.

— რა იყო, ყურებავ, შეშინდი? წა-  
დი, წყალი დალიე, გული დაიწყნარე,  
მე ვარ! — კურდღელი მართლაც მშრალ  
ხევისაკენ ჩაცუნტულდა.

ბარათა კი მიმოდინდა, მადლსა და  
სიკეთეს აფრქვევდა, ხან ბობოწყერას  
და აბედს შეაცლიდა ხეს, ხან მრუდე  
ნაზარდს შეასწორებდა... გაამველებდა  
გრეხილად ნაყართ... ბუტბუტით შე-  
მოსწყარებოდა კიდეც. ეს თავდაღვიწყე-  
ბული რუდენი გულდარდიანად ჩაბე-  
რებულ ვაეკაცის მისაკლისებულ  
ალერსს უფრო ჰგავდა. ერთ ბუჩქთან  
უფრო შეყოვნდა, მაღალი შტო მოი-  
წოდინა. ზედ ძველი ზუდე იყო.

— წელსაც მოცდა — ისევ შემომეს-  
მა ბარათას ბუტბუტი. მერმე კი ჩემ  
აშლილ ფიქრებსა და მოხუცის სიტ-  
ყვებს ურთიერთში ვეღარ ვარჩევდი...

— დედაცაო... ასე გაყრილ-შეყრი-  
ლად რომ ვართ... შენ გეუბნები... ახლა  
ის კაკალიც დავებრტყე... ძროხას კი  
მაყვალა წველის... ჰოდა სწორედ იმ  
გოგოს დარდი მაქვს... დროულია და რა  
გზა ვუჩინო — ამ გზის პირზე... ეგეც  
ხომ ტყე არ არის, რომ ჩემი ხელისა  
იყოს!?

ბარათა წაეიდა, მაგრამ ნახატარის  
ტყეში თითქოს სიოდ დარჩა მისი ნა-  
ბუტბუტევი. მეც გულაცრილი დამტო-  
ვა. ჩემს მახლობლად მაყვლის ბუჩქზე  
ჩხიკვი შემოჯდა. არც ერთხელ არ  
დაუჩხავლია. მწიფე მაყვალი ჰკორტნა  
და ყლაპა, ჰკორტნა და ყლაპა... ნის-  
კარტი და გულისპირი შეიწითლა... პირ-  
სისხლიანი მომეჩვენა. ფიქრიც მაყვ-  
ლის ბუჩქივით ამეზურდა... ის — „დრო-  
ული“ მაყვალივით თვალეში რომ აქვს  
და თვალდაც მაყვალა ჰქვია როგორღაც  
თვითნებურად იჭრება ჩემს ფიქრებში  
და მოთხრობაში!

ახლა კი დამჩხავლა ჩხიკვმა და გადა-  
ფრინდა.

მზედახედულ კლდის შიბზე ანკარა  
ზანტად ჩამოსრიალდა. ქვაზე გაიზღაზ-  
ნა, გაითბო ცივი სხეული. მას ალბათ  
სულ სცივა და მუდამ სხვისი სითბოთი  
ცხოვრობს. ხელი აუქნე, ჩაშრიალდა

ყვეროში და უკვალოდ გაქტრა. ამისე-  
ული ფიქრიც ძლოკვივით გაქტრავდა  
მიანებს შორისაც ბევრად ასეთივე  
იქნებ მეც ასეთი ვარ?

უცბად კრაზანამ გააბა ბზულის  
მავთული. ეძგერა ობობას ქსელს, ბუჩ-  
ქსა და ხის შორის გაბმულს. შეიქნა  
ჯახი, აქეთ — ობობა, იქით — კრაზანა.  
ეზუცა ფრთიანი, ქსელის ნაწილი გაი-  
ტანა, სწორედ ზედ ეკიდა ობობა. გა-  
მეღიმა — „კრაზანამ ობობა აითრიაო!“  
მაგრამ ბოლომდე ვერ გამოვიკვეთე აზ-  
რი, ობობას ქსელი საცრად მექცა და  
მის უკან ამოფარებული „დროული  
გოგოს“ გაურკვეველი სახე ამომელან-  
და... და სულ როყოოდ გასხლტა ფიქ-  
რი...

— მე თუ ობობა ვარ, ვინდა არის  
მაშინ კრაზანა?

აშკარად მოთხრობას ეწერდი. ჩემს  
ირგვლივ კი ნახატარის საოცარი ტყე  
იყო და ჯერ უხატო ფიქრის აბლაბუ-  
და. ზოგი ბარათას აცრილი თვალთ და-  
ნახული, ზოგიც ჩემს მიერ წყვეტილად  
თხზული და უფრო დაბურდული.

კარგა ხანს ვიბადუნე ტყეში. საღამოს  
პირას რომ მოგბრუნდი, კაკლის ძირში  
ალარავინ დამხვედრია. ჩენჩო ერთ  
ადგილას იყო მოგროვილი, კაკალი წა-  
ღებულნი. აღარც საცერი იყო.

ჩემი ჩანთა მადლა, კაკლის ტოტზე  
ეკიდა, გარე ჯიბეში გატეხილი კალამი  
და დაფურცლული ხელნაწერი ადგი-  
ლად დასანახავად იყო ჩადებული. ამო-  
ვიღე. ბოლო მაინც აკლდა ხელნაწერს,  
თორემ ისე თანამიმდევრად დაწყობილი  
და ფრჩხილჩაქრულად ჩაკითხული ჩან-  
და.

— ცხადია მაყვალა ჩამოდის თამაშ-  
ში!

და საოცარია, რომ ხიდან ჩამოცვე-  
ნილი, ქარის წაღებულნი მოცბუნებულნი  
პირველშავი მაშინ არაფრად მიმაჩნდა.  
ახლა კი სხვის მიერ მოკრეფილი და  
წყაითხული უკვე მალეღებდა. გულახ-  
დილად რომ ვთქვა, იქნებ არც მწყინ-  
და, მაგრამ არც მიხაროდა. თურმე სულ  
სხვა ყოფილა გრძნობა საკუთარ ხელ-

ნაწერისა, სხვის მიერ უკვე წაკითხულისა ჩემი შავი აქამდე სხვათა შორის არსებობდა, ხელმოცარული, დაუმთავრებელი. ახლა კი იგი უკვე წაკითხული — ნედლი და სუსტი მოთხრობა იყო, ჩემს იქითა სამყაროში, თავიდანვე ბეცად და კოკლად შესული. ბუნებაში კი არაფერი არ იქარგება, მათ შორის თუნდაც ხეიბრად ნაშობი აზრი და ქარგაც. ხოლო წამკითხველის შიდა სამყაროში მისი ნამრავლი ვინ იცის რა სიმახინჯემდე მივა?

ჩემს ხელნაწერს კი ბოლოც აკლდა. ჩანს პირველ წამკითხველს წაუღია დასამთავრებლად... რომ არ ვნახო — ისე ვერ წავალ!

ჩანთა რომ ჩამოვიღე, საოცრად მემძიმა ვახსენი. შიგ ახალი ნუხლი აღმოჩნდა: პური, ყველი და ბლომად — აღმასივით კაკალი.

— ჩემი კაკალი ჩხრიალებს!.. ესეც საცერი და თობობას ქსელი რის კრაზანა რა კრაზანა — მე ისევ ჩემს ფიქრებსა და სახეებს ვებრძოდი, სიტყვებსა და ორღესულ თქმებს ვეძებდი... ერთი სიტყვით, ჩემდა უნებურად, მოთხრობას ვწერდი. ამბები, მოვლენები და შინაგანი განწყობილება ურთიერთს საოცარ წიაღსვლებით, ნემსკავებითა და მარყუქებით ებორკებოდნენ. დიახ, მე აქ — ნახატარის ტყესთან უხილავ ძაფებით უკვე მიბორკილი ვარ და არსად წავალ, ვიდრე ათას ქარგას არ გაგჩენი-გავცხრილავ... ნამდვილს, ცხოვრებისეულს არ მივაგნებ და არ დავწერ.

ღამე ისე მალე ჩამოწვა, რომ ფანქარისა და ფიქრის გათლაც ვერ მოვასწარი. საძილე ტომარი აქვე კაკლის ძირში გავშალე. სასთუმლად ჩანთა დავიდე და წყაროსთან ჩავედი. კაკლის ფესვებს რომ ჩავეკიდე — ციყვმა ჩამასწრო. ფაფუკა კუდი ალაპივით აეშართა და ახალბინდში შეხვიადებულად ჩანდა. ახლა მე თითქმის ყველაფერს ვამჩნევ. ბარათას კეთილ კვალზე ვარ. ეს ახლა ღამის ტყეში უფრო მკაფიოდ გაირკვა და სიამე მომგვარა.

წყაროვალი საცერივით მრგვალი და სირმით ნაქსოვი ჩანდა. მთვარეც იღო შიგ. ცას რომ ავხედე — ახლა იქაც განინდა მთვარე. წყალს რომ დავეწაფე — თითქოს ქალწულის ოდნავ შემკრთალ გრილ ბავეს შევახე ტუჩები. ამ მოულოდნელმა გრძნობამ შავგვრემანი სახე ამომიღანდა წყაროს საცრიდან. უფრო დავეწაფე. თავი რომ წამოვწიე ნისლა ციყვი სულ ახლოს სკუბდა და რიგს ელოდა. უმაღლ დავუთმე.

გზიდან ამოდწეულმა მანქანის ძლიერმა შუქმა და საყვირის ხმამ ბინდი და მყუდროება ერთად გაბზარა. ძრავის გრიალ-დუღუნში კრაზანის ზუზუნის მომესმა. რატომღაც ისევ ის — დილანდელი ალამნიშნიანი სატვირთო და გრძელხელემა მძღოლი წარმოვიდგინე.

ქვევით გადავიხედე. მანქანის შუქი უკვე მოსახვევს ზოლავდა. ბარათას სახლის შუქჩამდგარ საარკმელში ვილაც ჩანდა... მამა თუ შეილი...

უკან უკვე ბილიქს ამოვყვევი. საძილე ტომარში, როგორც ბუნავში ისე ჩაეძვერი.

მთელი ღამე ვწერდი. არა, არც კალმით, არც ქალღღუჭე. არც ის ვიცი, თვალი ყოველთვის ახელილი მქონდა თუ პირიქით, ყოველთვის დახუჭული. გარესმენა და ხედვა მძალავდა, თუ შინახმა და ხილვა?

კაკლის ხეზე ციყვები ხტოდნენ, ძირში ჩენჩოში ზღარბი ფაჩუნობდა, აკნატუნებდა კაკალს. ნახატარის კურდღელი ისევ ჩამოცანცალდა წყაროზე. შიგ დანახულ თავისი ჩრდილის შეეშინდა და ჩალურსა ყურები. სადღაც კლდის თავზე ფოცხვერმა ასტეხა შემზარავი ვიშვიში. კაკლის ხეზე მიკიოტი შემოფრინდა, ერთი-ორი მზაკვარძახილი შეახიწვა ბინდში ჩაბუზუნულ გარემოს და ისევ ვადაიჯარგა უკუნეთში. გზიდან კი ხამუშ-ხამუშ საყვირის ხმა და მანქანის გრუხუნის ამოდიოდა. გზას არ ეძინა, ისევე როგორც არაგვს. არ ეძინა არც ადგილის დედას. მთელი ღამე აშრიალებდა, ჩემი დილანდელი ბორიალით საკმაოდ შეთხლებულ ფოთლებს.

არწევდა თავის ნარნარ, ჯერ დაუმშა-  
ლაჲ საროტანს. სწორავდა მჭიდვ ფეს-  
ვებს. წენგოს მჭახე სურნელი თავბრუს  
მახვევდა. ძირა გრძობებებს კი მიმახვი-  
ლებდა. ნახატარის კაკლის ხე იღუშა-  
ლებით აღსავსე, მრავალ ტყუბის მომ-  
ლოგინებელ უფროს რძალივით იდგა  
და ხან ჩიხტი-კოპით ეშხიანობდა, ხან  
ფარფატა თავსაფრით, ხან თრიმლის-  
ფერ დარაიით... ხან კი სულ თმაგაშლი-  
ლი იყო და ცვარ-ნამით იცრემლებო-  
და.

დილა ადრიახად ჩხიკვებმა გაძლევი-  
ძეს. ჩემი აქ ყოფნა იტოშეს და ჩხიკ-  
ვთა ენაზე შემაჩვენეს. მაინც არ აუდე-  
ქი. ტომრიანადვე შემოვბრუნდი. ქვე-  
ვით გადავხედე.

დიდი გზა ტყისა და არაგვის ჩასწე-  
რივ ხვეულ პირსახოცივით იყო წაწეარ-  
თული. არაგვს ნისლი ასდიოდა. ტყიან  
მთებს ჯერ არ ამოწვერილ შხის ბწყა-  
ლი ჰქონდათ ძუნწად გაკრული. ბარა-  
თაანთ სარკმელი კი ღია იყო.

უეცრად წყაროსთან მცირე ჩხრიალი  
მომესმა. აბლაბუდასავით ჩაწნულ ძი-  
რებს შუა ჩავიხედე. „მზე“ პირს იბანდა,  
მერმე კოკა აავსო და ქვევით წავიდა.

— ნეტავ თუ იგრძნო ჩემი აქ ყოფ-  
ნა!.. ალბათ ვერა, თორემ ამოვადო-  
და... შორიდან მაინც მისურვებდა დი-  
ლის მშვიდობას! ახლა რა ვუყოთ, რომ  
მე ხმა არ გავეცი, გვიანაც შევამჩნიე...  
იგი ხომ ჩემი გმირია! მართალია ცოტა  
სხვა გზით, ცოტა თვითნებურად ჩემს  
მოთხოვნაში აღმოჩენილი... მაგრამ  
ნუკრია და მაყვალა რამ გაარჩავ! —  
ჩემი თავი დავიჭირე — ხმამაღლა ვფიქ-  
რობდი. თანაც მომაგონდა, რომ ჩემ  
დაფანტულ ხელნაწერის ბოლო სწო-  
რედ „მაყვლიანშია“ წაღებული. ალბათ  
ღამე კითხულობდა და ახლა კაბა-  
სავით თავის მოქნილ ტანზე იზომავს.  
ნეტავ რას მეტყვის? ის ხომ ჩემი „გმი-  
რის“ გარდა, ჩემი პირველი მკითხვე-  
ლიც არის — ეს თითქმის პირველ სიყ-  
ვარულს უდრის!

მზე უკვე კარგა წამოწვერილი იყო,  
როცა გზაზე — აღმართზე სატვირთო

მანქანა მძიმე ქშენით ამოტუხტუნდა.  
რადიატორიდან ორთქლი ბოლქვებად  
ამოდიოდა. მიმედ დატვირთულ მან-  
ქანა კრაზანის ხმაზე ზუზუნებდა. ბარა-  
თას სახლამდე დუღდუღით მიადწია  
და გაჩერდა. ახლა ხმაიანობა საყ-  
ვირი ახმაინდა.

— ამიღულდა უპატრონო! წყალი არა  
გაქვთ... ახლა არაგვზე ხომ არ ჩავალ! —  
ისე ყვიროდა მძღოლი, რომ მეც კი  
მომწვდა ხმა. კაბინიდან ტყაქვდა,  
გრძელხელებმა მძღოლი გადმოვიდა.  
უმალ ვიცანი, ახალი კვანძის სუნი  
ვიკარი. საძილედან ამოქვევრი, მაისუ-  
რაც გადავიგდე. ერთი-ორი წავეივარ-  
ჯიშე, კუნთები მოვიმკვრივე და კაკლის  
ხეს ასე უპერანგოდვე ჩავეკარი. მიამა  
მისი ხემკვრივი ტანი.

გზაზე ბარათამ მძღოლს კოკით წყა-  
ლი გამოუტანა. ვიცანი კოკა. ამ გახუ-  
რებულ მანქანის ფაშეში ჩასასხმელად  
შემენანა წყაროს წყალი. მძღოლმა  
ჯერ პირდაპირ კოკიდან მოსვა, თით-  
ქოს ჰაშნიკი აიღო, მერმე რადიატორ-  
ში ჩასხმა იწყო. ერთიც ამოიბოლქვა  
მანქანამ და დაცხრა.

— კარგია... მეც მიამა და მანქანასაც!

მძღოლის სიტყვები უფრო ვიგრძე-  
ნი, ვიდრე გავიგე. გამეორდა გულში  
ხიდზე თვალშესწრებული „მუნჯური“. —  
მე მხოლოდ მოქმედებას, მოვლენათა  
სრბოლას ვხედავდი. სიტყვა-პასუხი კი  
შიგნიდან მეთხზებოდა და მერმე ყურ-  
ში მესმოდა. კოკა კი იცლებოდა რადი-  
ატორში.

— ესეც ესე! — სულ ჩასცალა და  
კოკა ხელუკლმა გაიშორა. თითქოს  
მიავდო. დაგორდა კოკა, ქვას მიეხალა,  
გატყდა. მეც გულმა რეჩხი მიყო კაკ-  
ლის ტანიც ვგონებ შეირხა. მაშინღა  
დავიანახე — ბარათას უკან მაყვალაც  
იდგა. იგი წაეტანა კიდევაც კოკას.  
მძღოლმა ქორივით მოიღერა კისერი,  
ხელი რადიატორის ხუფზე შეუჩერდა.

— ჩვენი ჰირი წაუღია... ქალო,  
ლამაზო ქალო! ბროლის ტოლჩა ჩემზე  
— ტუხა მახათელზე იყოს! აგრე ნუ  
მიყურებ... ქალაქელი ვარ... ინკინერი.

მძლოლობა ვარჩიე. უფრო ხელმომყო-  
ლიანია! ახლა აქეთ გადმოვედით სამუ-  
შაოდ... დღეში ორჯერ მიინც ავივლით  
და ჩავივლით ამ „თოხარიკი ცხენითა“...  
მაღალი ძაბვის ხაზი გაგყავს!..

საბარგულზე ბოძები და რკინის  
ბუკები ჩანდა. მძლოლი ისევ კაბინაში  
შეძვრა და მანქანა კრაზანის ხმაზე  
აახუზუნა.

გულმა მიგრძნო რომ ჩემი მოთხრო-  
ბის ძირა კვანძი შეიკრა.

მანქანა წავიდა. ცარიელ გზაზე მხო-  
ლოდ კოკის ნატეხები ეყარა. ხეს მოე-  
ცილდი, ტანზე ჩაიცივი, იქვე ძირებში  
მიეჯექე... მრავალი კაკალი გამტერიე  
და ჩაძიებით ვარჩიე. ნანახიცა და ნაგ-  
რძნობიც კაკლის მტერევაში ეჩურჩე.  
მერმე დიდხანს ვწერე, ფურცლები  
აეაპრეღე სიტყვებით და სახეებით-  
ჯერ. უმწიფარ ფიქრებით, მაგრამ გა-  
დამწიფებულ გულწრფელობით.

გზაზე მანქანები მიმოდიოდნენ. შო-  
რიახლოს არავგი მიარავგობდა. ცაზე  
მზე ცეცხლმოდებულ საცერივით მო-  
ხეივობდა, კაკლის ჩრდილი ცოცხალი-  
ვით მოძრაობდა. ნახატარის თელნარი-  
დან შეყუჩებული ჩუჩუნის მოისმოდა.

ძველ ქართულ ხიზანივით, მხოლოდ  
კაკლის გულით ვიკვებებოდი და... გუ-  
ლით ვწერდი, თითქოს არც არაფერი  
მეცვა და მებურა. შიშვლობა კაცს  
მარტო მაშინ კი არ ეთქმის, როდესაც  
მას სამოსი არ აცვია, არამედ მაშინაც —  
როდესაც მას აზრები და იდეები არ  
გააჩნია. ჰოდა ხანდახან ერთ ახალაზ-  
რიან სტრუქტონის მიგნებას, ჩამოწართო-  
ბას და გამართვას, უფრო მეტი დრო და  
სულიერი ძალა სჭირდება, ვიდრე ახალ  
მანქანის გაკეთებას!

თავი რომ ავიღე — მშრალ ხევის  
აღმართს მაყვალა მოჰყვებოდა, ბრო-  
ლის ტოლჩა მოჰქონდა.

რამდენ დროს გაუვლია... რა საზარი  
რამ მოუშოქმედი?.. გული შემეკრა,  
ისევ გამიცუდდა ახალი ქარგა... უფრო  
ღრმად ჩავჯექი ფესვებში და თითქმის  
გავუჩინარდი. მაგრამ ვეღარ ვწერდი.  
ყველაფერი თავიდან დასაწყები იყო.

ჩემი გმირები, ჩემს ქარგებს არ ეშორჩი-  
ლებოდნენ.

ახლა მაყვალას ნაკეთებს... შეფარუ-  
ლად ვაკვირდებოდი, ვიმახსოვრებდი.  
ყველაფერი სახასიათო აღმოაჩნდა —  
ურჩი თმები და ოდნავ ამაყი ცხვირი,  
მოღერებული... ვაპ მე რომ ბროლის  
ყელი და... ბროლის ტოლჩა თვალსა  
მჭრიდა, მახუჭვინებდა და მაშინ ვერას-  
გზით ვეღარ წარმოვიდგენდი ქალის  
სახეს.

მაყვალა კი კაკლის წყარომდე ამო-  
ვიდა. უცბად შეკრთა, ვგონებ დამინა-  
ხა. ან შევლივით იგრძნო ჩემი აქ ყოფ-  
ნა. ტოლჩა ქვაზე დადო და უკან ქურ-  
ციკივით ჩაირბინა. „მამას ეტყვის რომ  
მე აქა ვარ... ღამეც აქ — კაკლის ქვეშ  
მითევია“... და ჩემ „კაკლის ღამეს“  
უეცრად სულ სხვა; უფრო ღრმა მნიშ-  
ვნელობა და ნიშანდობლივობა მიეცა.  
მაგრამ ქვაზე დადებული, ზეიმურად  
მობჰყვრიალე ბროლის ტოლჩა თვალს  
მჭრიდა, ნიშანს მიგებდა, კრაზანის  
ზუღილად მივლიდა გარშემო.

თურმე სამყაროს სივრცე-სივრცე მზი-  
რალის თვალკუთხედზეა დამყარებული.  
ახლა იგი უეცრად შემოიწურა, ვიწრო  
ფარგალში ჩაჯდა. აი — მე კაკლის  
ძირში მჯდარი და ბროლის ტოლჩა  
კაკლის წყაროსთან ქვაზე მდგარი. მზე  
თითქოს ტოლჩაში იყო ჩამძვარი... ჰას  
ყურება სხივები და გრძელი ხელები  
ჰქონდა.

ვეღარ ვაზროვნობდი. ფანქარი გა-  
მივარდა ხელიდან. უცბად ჩალობრული  
რეველი განვიშორე და იგი ზღარბივით  
დაგორგალდა, უხილავი ეკლებიც წა-  
მოჰყარა. ახლა ალღოსეული, ხშირად  
შეუცნობი ლტოლვები მამოძრავებ-  
დნენ. „კაკალმა გადასწყვიტოს!“.. ეს  
მეც ვიყავ და მეზე მეტიც!

საერთოდ, არა გრძელი, მაგრამ დიდი  
ხელები მაქვს. უცბად ჩავეყავი ჩანთაში,  
ერთი დიდი მუქა ჩავებლუჯე და ვამე-  
ტებით, სეტყვასავით ბროლს მივაყარე.  
ერთ-ერთი მოხვდა, ტოლჩა ქვიდან გა-  
დავარდა და დაიმსხვრა. კრაზანის ზუ-  
ზუნი გაჰქრა. მზე უკვე ცაზე იყო.

წყართვალი ძველებურად ილიმებო-  
და, კაკლის ხე საამურად და ვგონებ  
ნაამებადაც შრიალებდა. ვწვდი ფანქარს  
და მოთხრობის წერა გაშმაგებით გან-  
ვავრძე, ყველაფერი ჩემს რიგში მოვა-  
ყენე. მუშაობა არც მაშინ შემიჩერე-  
ბია, მაყვალა რომ ამობრუნდა... არც  
მაშინ — ოდნავი შეკრთომის ხმა რომ  
აღმოხდა წყაროსთან. არც მაშინ, ჩემ-  
თან უხმოლ და ფეხაკრეფით რომ ამო-  
ვიდა.

...და აი ახლა მე ვწერ, ის კი ახლოს  
დგას და მიმხერს. მან უკვე იცის რომ  
მე მწერალი ვარ და ჩემს მიმართ, ყო-  
ველ შემთხვევაში ჯერ ჩემს მიერ,  
დაუშსახურებელ კრძალვას განიცდის.  
ოპო, აქ უფრო რთულად ყოფილა  
საქმე. გაუხედავად ვხედავ, ჩემი გაცუ-  
ლებული ხელნაწერის ბოლო ფურც-  
ლები ხელში აქვს. ამის ამოსატანად თუ  
ჩაირბინა. აბა ვნახოთ — თქმას ვაბე-  
დავს — ვერა? მე კი სითბო და ხილვა  
მემატება. სული მღერის და მაწერი-  
ნებს. ჭეშმარიტად უნდა ზეიმობდეს,  
ან იძაძებოდეს სული, რაიმე შემოქმე-  
დური რომ გათქმევიოს!

მაყვალამ თავი დაახარა... ვერა, ვერ  
გაბედა „ხელის შეშლა“... უკან წასვლა  
დააპირა.

„გაბედე, ქალო!.. გაბედე!“.. ნეტავ  
დამირღვიოს ეს ყბადაღებული „მყუდ-  
როება და მარტობა“, ოღონდ არ  
წავიდეს.. არა იმიტომ, რომ მომწონს...  
მისი აქ ყოფნა მიაშინებდა, უფრო მეტად —  
ვიდრე ამ სიამის მიზეზი ვიცი. მის  
მზერაში ისე ვნებიერობ და ვბანაობ,  
როგორც ბედურა სილაში, როგორც  
კალმახი არაგვის შეხედში. აი სიტყვა-  
სახეც — ის არაგვია, ერთ წუთს გარინ-  
დებულ... მე კი გზა ვარ... მაგრამ ვაი  
რომ ამ გზაზე მრავალი დადის! უფრო  
ზუსტად — დააჭროლებს მანქანას!

მაყვალა მოტრიალდა და წასასვლე-  
ლად ფეხი წასდგა.

— მოგეწონათ? — მოუხედავად შე-  
ვეკითხე.

შედგა, მაგრამ არც იგი შემობრუნდა.

— მომეწონა... — ჩემს ხელნაწერს

დაჰხედა, — ძალიან კარგია, მაინც სა-  
ხელი ნუკრია... მაგრამ ეს ამბავი რე-  
გორ არ ჰგავს სინამდვილეს!

— ჰგავს! ამიტომ გატყდა ბროლის  
ტოლჩა! — ახლა კი თვალდათვალ შეე-  
ხედე და გავოცდი... ჩემს წინაშე  
ბრწყინვალე სილამაზის ქალი იდგა...  
ჩემი მოთხრობის გმირზე ერთი შხით  
უფრო ლამაზი. სინამდვილე მართლაც  
არ ჰგავდა შეთხზულს. მაგრამ ეს ერთ  
წუთს მომელანდა. მიკერძოებით რომ  
ჩავეძიე, არაფრით არ იყო ლამაზი...  
მაშინ მივხვდი, რომ თხზული — კერძო-  
კერძოდ აღწერილი კარგი იყო, საერ-  
თოდ კი ბუნდოვანი და ჩანისლული  
გამოდიოდა... სინამდვილეში კი სწო-  
რედ მთლიანად იყო მომხიბლავი და  
„უსაბუთო“ სილამაზის გამომჟღავნ-  
ველი.


— ამიტომ გატყდა? — მაყვალამ აზ-  
რი ვერ გაართვა ჩემს ნათქვამს. ვაო-  
ცებით შეჰყარა ხელები, ჩემი ხელნა-  
წერის ბოლოფურცლები გამომიწოდა  
და უკან დადრკა.

— მაშინ შემოგითვალათ... თქვენი აქ  
დარჩენა არ ვიცოდით... ახლა მაინც  
შინ გვეწვიეთო...

— კეთილი... ახლავ... — გულწრ-  
ფელმა ლტოლვამ, ზრდილობასაც და-  
ასწრო. მერმელა ვცადე გამოჩალიჩე-  
ბა, — მაგრამ არაფერში შეგაწუხოთ...  
საწერად და საოცნებოდ ამაზე უკე-  
თესს ადგილს მე ვერსად ვნახავ! —  
ახლა ნახატარის ტყე, სატრფოსავით  
მიყვარდა, — აქ მეგობრებიც გავიჩინე...  
ციყვები, ზღარბი, სხვანიც არიან... რა-  
მოდენიმე დღეს აქ — კაკლის ძირში  
დავრჩები... თუ ნებას დამრთავთ...

— ტყე ხალხისაა! — მორცხვად მო-  
მიგო და უფრო დაკვირვებულად შე-  
მომხედა. ისიც მივხვდი, რომ მან უფრო  
მეტი დაინახა ვიდრე მე მწაიდა გამო-  
საჩინად. ეს გარემოება, ვერ კი გავია-  
ზრე — რად, მაგრამ საოცრად მეწყინა.  
გავფიცდი. დიდი გულწრფელობა  
ხშირზე-ხშირად დიდ სიფიცხეს ემე-  
გობრება!

— ტყე ნადირისაა!



— ნადირისაც... — უმალ დამეთანხ-  
მა, — გზაზედაც გამოდის ხოლმე ნადი-  
რი...

— და კოკებს ამტვრევს! — ისევ ჩემს  
ლიანდაგზე შევატრიალე სიტყვა.

გაურკვეველად შემომცინა. მას ჩემს  
მიმართ რაღაც უპირატესობის გრძნო-  
ბა გააჩნდა.

— ბოჩოლებსაც, ბატენებსაც ჭამს! —  
მერმე ჩანს ჩახვდა ჩემს ორღესულ  
ნათქვამს, იქნებ უფრო მეტსაც... ფიჩ-  
ხის ცოცხს წამოავლო ხელი, ჩემი და  
ზღარბის მიერ მოშანშლულიც მოხვე-  
ტა, საერთოდ კაკლის ძირს დაუტრიალ-  
და და ჩენჩოს ჩაღიმებულად სიტყვაც  
მიაყოლა:

— ასე ყოფილა ცხოვრება — ზოგი  
კოკას ტეხავს, ზოგი ტოლჩას... დიდ  
განსხვავებას კი ვერა ვხედავ!

— არის განსხვავება! ამ მოთხრობა-  
ში ნახავ!

— მე ხომ წავიკითხე... ვნახე...

— იმათ მოვსპობ და ახლებს ვავა-  
ჩენს! — ხმა უტბად მომიწყდა. გავჩუ-  
ძდი. მე თითქოს ვებრძოდი ვიღაცას...  
ისიც დავასკვნენი რომ მწერლობა —  
ყველასთან ბრძოლა! მაგრამ ჩემი  
„ბრძოლა“ ბაქაიობას უფრო ჰგავდა.  
ნუთუ ამ ლამაზ ქალიშვილის აქ ყოფ-  
ნამ ამატრაბახა? ჯავრი რომ ვერა-  
ფერზე ვიყარე, პირველშავზე ხელი  
აღვმართე. დახვეა დავაპირე.

— მაშინ მე დამიბრუნეთ... — გამი-  
ღიმა და ჩამომართვა. დავიბენი, დავ-  
ჩუმდი.

მაყვალამ ისევ მისუფთავა კაკლის  
ძირი. ჩემ საძილე ტომარზე ბევრიც  
იციან. უნებურად შესანიშნავად ჩამძი-  
ვებულები კბილები გამოაჩინა. ფიქრში  
ჩემს თავს ვებუზღუნებოდი... თან ვი-  
მეორებდი, რომ მე უმჯობესი ღიმილ-  
კბილებიც მინახავს!... მინახავს!... ფიქ-  
რი შემორჩილებოდა თვალი კი არა...  
მეც ვსაქმიანობდი... ჩანთას ვალაგებ-  
დი, საძილეს ვახვევდი.

— აბა, რა არის ახლა აქ სასაცი-  
ლო!? — გაჯავრებას ჯავრს ვერ ვაყო-  
ლებდი. მაყვალა კი თავის ნახატარში

იყო. მას აქ ყველაფერი ეხმარებოდა,  
ამშვენებდა და ალალებდა:

— თქვენს ახალ მეგობრის... ზღარ-  
ბის ბუნაგს მაგონებს! — ღიად მითხრა,  
უფრო ღიად შემომცინა, — თუ გწყინთ,  
გავჩუმდები, — მაგრამ ის ზღარბი ჩემი  
მეგობარიც არის... — მე განმთავრულა  
და უფრო თამამად განაგრძო, — ბევ-  
რი მინახავს ამ გზაზე თქვენისთანები  
— არა, თქვენისთანები არა... — ისევ  
გაბრწყინებულ სილამაზით გაასწორა  
და მე კი თვალი მომჭრა... — ჩანთები-  
ანი, ჯოხებიანი... მიდი-მოდინ ფეხით,  
მანქანით... თვალებს აცეცებენ, ატრია-  
ლებენ. რაღაცას დაეძებენ... თითონაც  
არ იციან და ის არის საწყენი... მიჰყე-  
ვიან მიხედულობას... როცა იციან —  
ალაღია!... მათ შორის ალბათ ბევრი  
„ნუკრიაც“ არის!?

მენიშნა. ვგონებ მეც შემეხებოდა  
და ამან უფრო გამიხსნა გული. ჩემი  
ნუკრია მოთხრობაში ნისლში გახვეული  
გამომდიოდა, მაყვალა კი მკაფიო იყო.  
რაც მე მაკლდა სწორედ ჭარბად გააჩ-  
ნდა მაყვალას, და ვგონებ ეს იყო ჩემი  
ხიბლვისა და ლტოლვის საფუძველი.  
ხელად დავმეგობრდით. ვიდრე ჩანთას  
მივალაგებდი, უკვე ვიცოდი რომ სა-  
შუალო დღეებში აქვს დამთავრებუ-  
ლი, ახლა უმალღესზე, სასოფლოზე,  
კერძოდ სატყეოზე ოცნებობს, ალბათ  
ნახატარისა და მამის სიყვარულით და  
მიხედულობით.

ჩვენს მალა კაკლის ხე იდუმალად  
შრიალებდა. მაყვალაც კაკლის სამყა-  
როდან გამოხვეწილს ჰგავდა... მე კი  
ვანციფრებული ხალხაგატეხილი მბერ-  
ტყავი ვიყავ... მაგრამ ისევ წამოვყარე  
ზღარბის ეკლები და ჩემი ფხაშერეუ-  
ლი გრძნობები ჩემ შეთხზულ ქარგას  
ძალა-ძალა დავუმორჩილე.

შემოქმედება — თავთან ბრძოლაა,  
სხვასთან ბრძოლა. სინამდვილესთან  
ბრძოლაა. ცხოვრებასთან ბრძოლა!  
ერთილა გამომრჩა, მაგრამ მაშინ ეს არ  
ვიციოდი — მართო ბრძოლა რა ბედე-  
ნა... თავიდანვე უნდა იყო ახლის მეტყ-  
ველი, მართლის მეტყველი, ცხოვრების

გაკეთილებს მცდელი და მღალადებელი... და არც ეს კმარებულა — შეგნება კიდევ არ ნიშნავს შეძლებას, თუმცა მისი ნახევარი კი მუდამ არის!

ქვევით, დიდ გზაზე ბარათა გამოვიდა. ამოგვხედა.

— მოვდივართ! — გადავძახე და ძირებს ჩავეკიდე.

— ჩანათა?

— ყველაფერი აქ დარჩეს... — ხელი გავუწოდე, მაგრამ მან თავი გამოიწინა, კაბა წვივებზე შემოიწურა და სხარტად ჩამოჰყვა ძირებს. წყაროსთან ჩაირბინა, ტოლჩის ნამსხვრევები შორს გადაჰყარა და დიასახლურად წამიძღვა.

დიდ გზაზე მანქანამ გადაგვიკრა სავალი. „ჩანთიანი მგზავრები“ იყვნენ, თვალებს აქეთ-იქით „აცეცებდნენ — ატრიალებდნენ“... აღფრთოვანებულ ძახილით მალა იშვერდნენ ხელებს... ჩვენც შემოვბრუნდით. მალა ჩვენი კაკლის ხე — შეგვირგვინებულ პატარძალივით იდგა. მისი ფესვები კი შორიდან — კლდეზე ჩახლართულად დაწერილ ძველ სიგელს ჰგავდა.

„რას დაეძებენ — თავადაც არ იციან!“ — გაუტეხავ კაკლად გზაზე დამხედა მყავალას სიტყვა. მაგრამ ახლა კი გავტეხე. ხშირად მართლაც ასე არის... ვიდრე არ იპოვნი — არც იცი რას დაეძებ, ხოლო როდესაც იპოვნი, მაშინ მიხვდები, რომ ამას და სწორედ ამას დაეძებდი... და ვაი მას, ვინც ვერაოდეს ვერ პოულობს თავის საძებარს! ან დროზე ვერ ამჩნევს — სიბეცითა თუ მეტისმეტი შორსმკვრეტელობით — ეგ სულ უერთია... მაინც ვაი!

ბარათა აივანზე გველოდა. შინ შემიყვანა, ტახტზე დამსვა. მყავალა მეორე ოთახში რომ გაიგულა, გულდაგულ მითხრა:

— შენ უფრო დიდი მეოცნებე ყოფილხარ, ვიდრე მე შეგონა... ეჰ, ცხოვრება ისედაც რთულია, შენ კი ვგონებ უფრო ირთულე!

— მე ბუნების სიყვარული მამოქმედებს, ცხოვრება აქ არაფერ შუაშია!

— ბუნება და ცხოვრება რამ გაირი-

გა? — გაიკვირვა ბერიკაცმა, წარბები შეიკრა. — ცხოვრების გარეშე ბუნების სიყვარული — დიდი სიმამინჯეა, ან თავის მოტყუება... ზოგს კი წელიწადში ერთხელ, ისიც შემოდგომით... ხილად, აგარაკად, ფუფუნებად უყვარს და ახსოვს ბუნება. საბრალო ხალხია!

ქართული ბუნებიდან და ცხოვრებიდან გადმოსული მოხუცის ახალმა შემოტევამ ისევ დამაბნია წელან შეილი თუ მეჩვენა თვალის მომპრელ სილამიზისა, ახლა მამა შეილზე უფრო წარმოსადეგი და ადამიანურ მშვენიეზით აღსავსე ჩანდა. დიდშუბლა და კალარა ფაფარდაყრილი, კაუჭა წარბები ბურჩხად აღგნენ კეზიან ცხვირს. იჯდა და მამაპაპურ ბუხარს ჰგავდა. აღვებოდა და ძველ დარბაზის დედაბოძს ემსგავსებოდა.

ნუთუ ჩემი მანკია — რაც მსურს იმას ვხედავ? მერმე ვმტყუნდები? ჩანს დიდმა მიკერძობამ, თუნდაც გულწრფელმა — დიდი შეცდომაც იცის!

თუ სილამიზეც ახალ წიგნივით არის, ვიდრე არ ჩაწვდები მის სამყაროს — შეუცნობელი გრჩება?

— აქამდე მჯეროდა, კაცს რომ შევხედავდი, მოვუსმენდი — თითქმის უმცდარად ვატყობდი სადაურობას, წლოვანობას, ძირითად არსსა და მრწამსს... ახლა კი ვერას მიგიხვდი — კაკლის პაპავ?

— კუთხეს რას კითხულობ — ქართული ვარ, სამოცს კარგა ხანია გადავაჭარბე ეს კი გამოგვიცვნია — მართლაც კაკლის პაპა ვარ — ჩემს თავზე ბევრი კაკალი დაბერტყილა და დამტვრეულა...

...და ვიდრე მყავალა თათარიანხნ სუფრას გაშლიდა — თითქმის ყველაფერი ვიცოდი. ცხრაასხუთი წლის რევოლუციის მარცხმა ტყეში გააგდო. რანშელებთან ერთად არავგის ხეობას ახიზნა თავი. ნახატარის ტყეში იმალებოდა. გზის მუშების მეშვეობით კავშირი ჰქონდა ახალთაობის ხალხთან. ერთი გულწრფელი და მშრომელი ტლუ ბიჭი იყო და უყვარდა თავის სოფლელი ტო-

ლი გოგონა სულ ეს იყო მისი ავლა-  
დიდება. ერთ ყრუ სოფელში ჯგერის  
დაწერა იზრახეს, მაგრამ მღვდელი ვერ  
დაიყოლიეს. მაშინ ნახატარის ტყეში  
ამოვიდნენ, სოფლიდან გოგოს ამოტა-  
ნილი კაკლის ნერგი ერთად დარგეს. ეს  
იყო მათი შეუღლება. გზის პირას ქოხ-  
მანში ერთ მარტოხელა დედაბერს შეე-  
კედლნენ. მალე გაიყარა მათი გზა.  
ქალი ნახატარში დარჩა, ბარათა კი  
ძაღუში გადავიდა. მერმე მისი ცხოვ-  
რება ცეცხლმოდებულად მჭროლავ მა-  
ტარებელს უფრო ჰგავდა. ჩრდილო კავ-  
კასიაში მალვა, მუშაობა, ჩავარდნა.  
შორს ციმბირში გადასახლება. ციხე-  
ციხე ნაძენი სწავლა. ათასი ხელობის  
გამოცვლა მრავალ ჭირის ნახვა... პირ-  
ველი მსოფლიო ომის ჯარისკაცობა...  
დიდი რევოლუცია... სამოქალაქო ორო-  
მტრიალი...

— ამავ გზით დაგბრუნდი, დაბეული  
ჩექმებითა და ძველი ფარაჯით. ნახა-  
ტარის კაკალი უკვე ირემივით იყო  
გორზე შემდგარი. კარგ ნაყოფსაც იძ-  
ლეოდა. დედაბერი კარგახანია მომკვდა-  
რიყო. ქალი კი მელოდა... ეს დანარჩენი  
ჩვენი საერთო მონავარია... — ხელები  
გაშალა ბარათამ, ცული აიღო და შე-  
შის დასაბობად გავიდა. ვგონებ ისედაც  
ძუნწ მოგონებას თავი გააჩიდა.

მე უკვე გულდაგულ ვწერდი მოთხ-  
რობას... თანაც ვფიქრობდი, რომ ყვე-  
ლაფერის უფლება მაქვს, მათ შორის  
სხვისი ცხოვრების ღვიძლში ხელის  
ფათურისა.

მაყვალა შემოვიდა, სუფრას მწვანი-  
ლი შემომამატა. თავდახრილად მომიბ-  
რუნდა:

— მეტს ნულარ ჰკითხავთ მამას...  
ძმის დაკარგვასა და დედის სიკვდილს  
ნუ მოაგონებთ... ჩემი დარდი იცის...  
მერმე სულ წავა ტყეში.

ფერი მომეცა. ჩემი გულხენეშობისა  
შემრცხვა. მელნის სისხლისათვის —  
სისხლის სისხლს ვუწრობ ადამიანს!  
ახლა მე ჩავლუნე თავი.

— ძმის დაკარგვისა? —

— დიახ, ომში წავიდა... ამ გზაზე

ჯავშნიან მანქანას გაჰყვა... აღარც დაბ-  
რუნებულა... ჩვენ კი ველოდით, დედა  
ყველაზე უფრო... ჩვენც გვაშხნევენდა  
როდესაც გარდაიცვალა, გიორგის გმი-  
რულად დაღუპვის ციკქნა ქალადი  
აღმოაჩნდა უბეში. ჩვენ გვიძალავდა...  
ამ ქალადს გული შეაღია და შეაკვდა  
საცოდავი... ახლა მამა მალავს ქალა-  
ლდს... ვის უშალავს? კერპია მამაჩემი,  
მაგრამ მეტად კეთილი, არაადამიანუ-  
რად კეთილი!

გარედან შეშის გულდაგული ჩეხვა  
ისმოდა... ნეტავ სად ენთო ასეთი ცეც-  
ხლი?


როდესაც შემობრუნდა, თვალში  
მეცა — შუბლზე ოფლი გადავლებოდა.

მე ველარ დავძარი სიტყვა. ეჭვის  
თვალით შემომხედა, თავად ვანაგრძო.

— ჩვენი თაობა განწირული იყო,  
მაგრამ ჩექმები და საგულე არც უმიზ-  
ნოდ... არც უშედეგოდ გაგვიცვეთია...

— ახლა ჩემსას ვიტყვი... — გაავწ-  
ყვეტინე, ახლა ჩემი ღვიძლისა იყოს, —  
ცხოვრებაში ია და ვარდი არც მე მიკ-  
რეფია... შენ ცხრაას ხუთში ვიბრძო-  
ლია, კაკალი გირგავს, ცხოვრების ხე  
ვიხარებია... მე კი... — და ისევ შემრც-  
ხვა, ბარათას უთქმელ ღვაწლთან შე-  
დარებით რალა იყო ჩემი მოკლე, თით-  
ქმის ცარიელი ცხოვრება... მყუდრო  
ბავშვობა, ხელშეწყობილი სწავლა...  
იოლი წარმატება, ხალხის ნისია, ჯერაც  
გაუნაღლებელი სიყვარული. უფრო  
სურვილი კარგად წერისა, ვიდრე თა-  
ვად წერა. იქნებ აულწრფელი, მაგრამ  
შეზღიადებული სწრაფვა თავის გამოჩე-  
ნისა, ვიდრე ხალხის, ერის სამსახურის  
ყოვლად წმიდა შეგნება. არა, ჯერ  
არც ერთი ხე არ დამირგავს, მართალია  
არც მომიჭრია, მაგრამ არც დამირგავს!  
ჯერ ხენეში ვარ და გუშინდლამდე,  
ხალხს ვატეხის ჩათვლით — ვბერტყა-  
ვდი და ვჰამდი სხვის დარგულ კაკალს.  
ბედად გულწრფელობა მიინც არ მქონ-  
და დაკარგული და ნახატარის ტყის  
ჭირისუფალს ყველაფერი ათელებუ-  
ლად, თავდაუნდობლად, დაუბალავად  
ვუთხარ.

177



მისმენდა. დინჯად მისმენდა. ხელში გატეხილი ლუკმა შერჩენოდა და იყო ასე. ბოლოს სულ ჩუმად მითხრა...

— ჩემ შვილს მაგონებ... — მაგრამ მაყვალას ოთახისკენ უნებურად მიტრიალებულს თვალის რაიმე შემასწრო, უმალ დასძინა, — არა, ვაჟს, რომელიც ჯერაც არ მობრუნებულა...

— თქვენ შვილად, ვეაღ მიგულებ... ვიდრე... — როდესაც ვთქვი, მიგვხდი — არ უნდა მეთქვა. გულწრფელობა ხშირად ზედმეტს ათქმევინებს ადამიანს! ჩანს ზომიერება ყოფილა უდიდესი სიბრძნე ადამიანთა... მე კი სწორედ ეს მაკლია! შემოსულ მაყვალას თვალბემაც ეს მაგრძობინებს.

ბარათს ხელი უბისაკენ გაეჭვა, მაგრამ თავი შეიკავა. სარკმელისაკენ მიბრუნდა. გზაზე მანქანები ზედიზედ მომოდინდნენ. გზის მაჯისცემა მაღალ ჩახმახზე იყო.

— დადიან ამ გზაზე... ვინ რა იცის, რა უღვეთ გუნებაში... წავალ, ტყეს მივხედავ... არ გამიჩხონ... ახლა ყველა აშენებს რაღაცას, ყველას სჭირდება მასალა, რას დაგიდევნენ, რომ ტყე ისპობა... ასეა ცხოვრება მოწყობილი — ზოგი ჭრის, ზოგი იცავს... ზოგი კი ახალს ნერგავს!

ბარათა ერთი დარდით მეორე დარდს იფადილებდა. საკუთარ კმუნებს საერთოზე ზრუნვით იმსუბუქებდა. ასეთი რამ მხოლოდ დიდბუნებოვან ადამიანებს ახასიათებთ.

შეც წამოვდექი.

— წასასვლელი ვარ... საღამოს ჩამოვივლით... ჩანთა კი ჯერ იქვე დარჩეს.

ახლა მაყვალა შეწუხდა:

— მამა, სტუმარს ჯერ პურიც კი არ გაუტეხია ხეირიანად...

— ჰო, შვილო, ეგრე... უმასპინძლე... აი, როგორც დაბრუნებულს... მეც მალე მოვალ! — თოფი და ცული აიღო, გარეთ გავიდა. სარკმლიდან შევნიშნე, გზა გადასერა და მშრალი ხევის ბილიკს თავჩაქინდრულად აპყვა.

ლოხმად დამადგა ლუკმა. მაგრამ

მაყვალას მასპინძლობა იმდენად კდემამოსილი და გულწრფელი იყო, რომ უარი ვეღარ მოვახერხე. წასვლა ძველებურად მწადდა, მაგრამ საოცრება შემემთხვა — დროის გრძნობა დამეკარგა! მინახავს ყანჩა, ცალ ფეხზე შემდგარი. კისერჩადრეკილი, ნისკარტადმართულად გაშეშებული აქ — ძველშფოთიან არაგვსა და ახალშფოთიან გზის შორის, ამ შედარებით ახალყაიდის, დაუმთავრებელ სახლში, სადაც ბუზრის მახლობლად წიგნები ჯერ კიდევ ფარდაგიან თახჩაზე აწყვიდა... დრო როგორღაც ცალფეხზე შემდგარსა და გაჩერებულს ჰგავდა... საკმაო იყო ერთი ბიძგი და ან არაგვის, ან გზის ჩქერი შთანთქავდა «ფარდაგიან თახჩის» სამყაროს.

ზომიერებასთან ერთად, დიდი სიბრძნე ყოფილა — წონასწორობა!

საუბარი კი არ გამოგვდიოდა:

— სამგზავრო მანქანამ აიარა...

— აიარა... მიირთვით კიდევ რამე...

— მადლობთ... საფოსტომ ვგონებ ჩამოიარა...

— ჩამოიარა... გზაზე დიდი მოძრაობაა...

— შეეჩვიეთ?

— შეეჩვიეთ...

— წიგნები... გაზეთები...

— ყველაფერი მოგვდის... ახლა ელექტროქსელიც გაპყავთ... შუქიცა და რადიოც გვექნება!

მეორე სარკმელი შიდა აივანზე გადიოდა. აქეთ კიდევ იყო მოუთავებელი ოთახი. ეზოს ბოლოში კი უკვე მდინარის რიყე იწყებოდა.

— არაგვი დის, სულ დის... ძლიერად დის — ამ რიყის პერანგს დამიხედეთ!

— ჩემ თავზე უფრო მიყვარს არაგვი... ვაქაცია! ამ რიყის პერანგში ბევრ წყალს ჩაუვლია, ბევრი კოკა გაუტეხია! — ახლა კი ამყვა მაყვალა.

— კოკა თუ... — აღარ დავამთავრე, მიგვხდი არაგვი უფრო მყარად იჭრებოდა ჩემს მოთხრობაში. რაღაც შური ვიგრძენ. წამოვდექი, მადლობა გადა-

ვუხადე და მხოლოდ ახლა შევხედე თვალბში. მას ამ წუთში გასაოცარი შავ-იღუმალა თვალბი ჰქონდა. სულ ავფორიაქდი. ოქროს მაიქებელის ციბ-ცხელება მედებოდა. ტყისა, გზისა და არაგვის „სამკვანძიანი ქარგა“ სწორედ ოქროს ძარღვი იყო ჩემ მოთხრობის-თვის... მხოლოდ თავბოლოს მოყრა და გამობმა იყო საჭირო.

გზაზე აღმამომავალი, ბოქებით დატვირთული, საბმურწამატებული მანქანა მოგუგუნებდა. ზედ მუშებიც ისხდნენ.

ბოდიში მოვიხადე, გარეთ გამოვარდი. არც ხელი ამიწვავია, არც მანქანა შეჩერებულა. უკან ავედევნე მძიმედ მავალს. მტვერი მომავარა, მაგრამ ვიძალე, ხელი ჩაეჭიდე მანქანის ფერდს და ავხტი. ზევიდანაც დამწვდნენ და ამაფრინეს. უკან რომ შემოვბრუნდი, მავალა კარში იდგა-

— სალამომდე ჩამოვბრუნდები! — მივაძახე და ერთ-ერთ ბოძზე მივეჯექი.

მანქანაზე ელექტროგაყვანილობის მუშები ისხდნენ. ხიდს გადავუარეთ. მერმე კლდემ და არაგვი ნემსის ყურწში გააძვრინეს გზა. ცოტა იქით სატრანსფორმატორო ჯიხურს აშენებდნენ.

მანქანა კრახანის ხმაზე ატუტუტუნდა და შედგა. ელექტროკაზმულობა აქ უნდა გადმოეტვირთათ.

კაბინიდან ჯერ ტყავყურება ქუდი გამოჩნდა, მერმე გრძელი ხელები.

არ მიამა — ჩემს წინ ტუხა მახათელი იყო.

მასაც გაუკვირდა:

— ვინ ხარ? როდის ამოხტი?

— აი, ხიდს ქვევით...

ლამაზ კაკალთან?

ნიშანდობლივი სახელიც კი დაედო ადგილისათვის.

იქნებ არც მარტო ადგილისათვის!

— არა, ნახატართან... — ზემოდან აღმაცერად გადავხედე, მაგრამ კვლავ განცვიფრება მხვდა წილად.

მძლოლმა საამო ღიმილი დამახვედრა. მას ფრიად კეთილად, პირდაპირ სათნოდ გაწყობილი პირისახე ჰქონდა. ეშხიანად ჩაკვესილ-ჩახატული თვალ-

წარბი. შევნივთა ახალ-იერად ქვევიდან შეკვეცილი უღვაში. ხოლო ყურებმა ქუდი უკან რომ გადაიწია, მაშინვე, კეთილშობილი შუბლი გვირგვინივით დაადგა სახეს. სირცხვილი მომეძალა. ბოლოს და ბოლოს რას ვერჩი ამ კაცს? თავიდანვე რომ ავითვალისწინე... რა დამიშავა, ან იმას რა დაუშავა? კოკა გაუტეხა — ტოლჩა მოუტანა! ხალხს ვერა ვცნობ, თავიდანვე ცუდს ვხედავ. მერმე მეცვლება შთაბეჭდილება და სულში თითქმის მუდამ გათიშულობა მჩჩება.

იგი კი იდგა და ჩუმ-თავახიანად მიმზერდა. თითქოს რალაცას იგონებდა და ვერც იგონებდა. ერთიც შევეუძინე — მიუხედავად გარეგნულ სიღინჯისა, შუბლის ძარღვი დაძაბული ჰქონდა, მკაცრ ნიჭს უმჟღავნებდა. თუმცა მე აღარ მჯეროდა ჩემი დაკვირვებისა-

მუშები ჩამოვიდნენ. მეც ჩაეჭვითიდი.

— მეტს აღარ წამიყვანთ... ფასანაურში მივალ...

— რატომაც!.. იქნებ დაგეწოთ... ახლა კი ცოტა შემავიანდებია... — დინჯად მომიგო და ბოქებზე მიმითითა. ხელები მანაც გრძელი ჰქონდა.

— მაშინ გავსწორდეთ... — უხერხულად ჯიბეზე გავიყარ ხელი.

— როგორ გვეადრებათ... მერმე გავსწორდეთ, მერმე! ამ გზაზე კიდევ გადაგეყრებით სადმე! ჯერ კი თქვენი ხერი იყოს! — სათუთუნე გამომიწოდა.

არ გამოვართვი. რატომაც ფარულ მუქარად შემომესმა ეს უბრალო პასუხი.

— მადლობთ... არ ვეწევი... გასწორება კი, კეთილი... შემდეგ იყოს! — თავი ჩავლუნე და გზას გავყევი.

მეტად მიყვარს ფიქრიანი სიარული, ეს გრძელსა და ღრმა ფიქრსაც ნიშნავს. აი მიხვალ... ჯერ ბეცად აყოლებ თვალსა და გულს... მერმე სამყაროს ფსკერზე იგრძნობ თავს, თვალკუთხედს უბოვნი და ყველაფერი პირველყოფილ სხივით ნათლება. ცის ბაც ლაქვარდსა და ტყის მუქ მწვანეს სულში დასტა-დასტად იკეცავ და მიხვალ

ასე. არაგვის დაფშენილ თეთრს ისრუტავ, სვამ თითქოს... კიდევ ჩასჭრი გზას და თანდათან ძღება უძღვები თვალი, უკვე ცხავს ემსგავსება... მალე გაცხავებულსაც ცხრილავს და არკვევს, ცხრილავს და არკვევს... უცხად კი თვალი უჯუღმა კალოს. დაატრიალებს — ფერსა და ნივთს, ფერ-ნივთიან ფიქრში გადიტანს. სახე და სიტყვა შეჯვარდება — სახე-სიტყვად ჩამოდუღდება... მერმე უფრო გზისპირეთსა და მიწას ჩაჰყურებ, ასე მიიმოკლებ გზას, ფიქრობ და ფიქრობ — უკვდავებას ეზიარებ.

აი, ახლაც გზას სწორედ მივიკვლევ, ჩემი ცხოვრების მოთხრობაში კი დავიბენი. ჯერ ასე არ გამჭირვებია წერანუთუ ახლავე ამომითავდა სათქმელი და კვალს ტყუილად ვზღანდავი? ყველგან რალაც გაზვიადებულ მნიშვნელობას ვეძებ და ვითომ ვხედავ. ნუთუ გულწრფელობაც შემომაკლდა და ახლა ამასავე სხვასაც ვწამებ? აი, ბარათა — ჩემზე გულწრფელია, თუმცა რა ჭირვარამი არ უნახავს... თუმცა ექვსა და დარღს ატარებს, მაგრამ ტყეს უანგაროდ იცავს — მთლიანი, გაუზზარავი პიროვნებაა! აი, ტუხა-მძლოლი — თავდადებულად შრომობს — მაღალი ძაბვის ხაზის გაყვანაში უშუალოდ. მონაწილეობს, თავდაც მალალ ძაბვის პიროვნებაა! მაყვალა?.. მაგრამ მაყვალაზე ავი არ მათქმევინა გულმა, მკაფიოდ კარგიც ვერ გამომეხატა. ამის ირგვლივ ფიქრი არ გამომდიოდა — სულ ნისლი იყო.

გზა კი მზითა და შრომით იყო აღსავსე. მთის ძირბებში ტრაქტორები ანუულს ხნავდნენ. ვადაბრუნებული მიწა-ბელტი შავ ტალღად დგებოდა და წვებოდა. ერთგან კოლმეურნენი ჯარად შესეოდნენ არაგვის ჯებირს, ამაგრებდნენ, იქვე გზის ჩასწვრივ კოლმეურნეობის დიდ ბოსელს აშენებდნენ, ქვიშასა და რიყის ქვას ეზიდებოდნენ. სოფლის ახლოს ტელეფონის ხაზი გაჰყავდათ, ბრტყელ ქამრიანი გაცი, ახალ დროის მესგეტესავით, ბოძზე

შესულოყო და მთელ ქვეყანას მავთულში გამჭვრალ სიტყვას ავონებდა. ზულდობერის მკერდშიშველად მძლოლი თავის მანქანის ვეება უბით გზისპირა ბორცვს ღრღნიდა და ფოლადის საულვაშზე ვადატარებით გზას აფართოვებდა. შრომის ფერხულში და საერთო ღვივლში ყველას თავისი დამსახურებული ადგილი ჰქონდა... მე კი თითქოს უსაქმოდ დავეხეტებოდი, ყველას ფეხებში ვებლანდებოდი, ათას რასმე ვეკითხებოდი, ხანდახან ვაცდენდი კიდევ და რატომღაც ჩემს ასეთ აბეზარობას... შემოქმედებად თვლიდნენ... ყველა თავიანად მიბასუხებდა, ხელს მიმართავდა... მე კი წინასწარ ყინჩი და ნაწყენი ვარ. მხოლოდ უშუალოდ ხალხში რომ გავითქვიფები, ჩემს ცოტა შეცრუებულ ვინაობას რომ დავფარავ და ყველაფერს ხალხის თვლით, შეუღამაშებულად განვჭკვრეტ — ვიცი, მათ წინაშე ვალმოუხდელი და ამიტომ დამნაშავე ვარ! ამას ჩემთვის ჩუმათ ვამბობ, თორემ აბა საჯაროდ როგორღა ვაეკიცხავ ჩემ თავს — ანგარების გარდა თურმე თვალთმაქცობაც მახლავს.

მანქანამ გუგუნით ჩამიარა. როდესაც გამცდა — ვიცანი, სწორედ ის იყო — ტუხა მძლოლი და არ გამიჩერა. მისთვის ამ გზაზე, მე მხოლოდ შემთხვევითი მგზავრი ვიყავი. იქნებ არასასურველი მგზავრიც. მე თუ ვიცი კოკის ბედი, შესაძლოა, მანაც იცის ტოლჩის საშავიერო?

ასე ფიქრიანად კარგა გზა გამევილო. განიერი ლაჯები მქონდა აღარც ფასანური იყო შორს. სოფლსაბჭოს მახლობლად ტუხას მანქანა ენახე. იქვე ჩემთან ნამგზავრი მუშა იყო.

— უკან მალე ვაბრუნდებით? მძლოლი სად არის?

— სატყეოშია... ქალალღს — აფორმებს... მეტი არა ვიცი რა!

ჩვეულებამ წამძლია, წიგნის მათაზიაში შევიღი. კარგა ხანს ვათვლიერე. ჩემი მოთხრობების წიგნს წავაწყდი. სიამაყით აღვივსე, თუმცა ჩემი ვინაობა არავისთვის გამიმხელია.

— ბებრი გაქვთ? — თვალჭროღლასა და ჭორფლიან ქალს შევეკითხე.

— გვეყოფა...

— ქალაქში კი აღარ იშოვნება... — შეფარულად თავი დავიცავი.

— ქალაქში ყველაფერი საღდება.

— ამის დამწერი კი კიდევ სწერს... რა იმედი უნდა ჰქონდეს?

— უიმედოდ შეყვარებია თავი... იაფ სახელს დაიძებს... სხვებიც მყვანან სახელოვანნი, მაგრამ უსისხლონი, — ხელები თაროებისაკენ აღმართა გამყიდველმა, — აგერ არიან ჩრჩილის ამარა ჩაწოლილნი, ჩამუხჯებულნი... წერონ რაკი არ შეუძლიათ ჩუმად ყოფნა. გაუკითხავ ყვირილს კიდევ წერა ჯობია! — ახლა მხრები შეიჩეხა ქალმა. მისი სიტყვა როყოდ მომხვდა:

— რა ძალა გვადგია, ან საღდა არის მაშინ საშველი? კარგი წიგნის წერა — დამწერისთვის ბედისწერაა, მკითხველისთვის მისი იღუმალი ფიქრების გამჟღავნება და დაამება. ასეთი წიგნი ხალხში ცოცხალ მებრძოლად გადის და მას სტიქიური ძალა დიხავს მოეპოვება! საჩრჩილო წიგნი კი რომელი არაგვია — იდინოს, რადგან არ შეუძლია შეჩერება! ანიაგოს ხალხის დოვლათი?

— არაგვის შესახებ წყალთა მეურნეობაში შევეკითხეთ... — გამაწყვეტინა ჭორფლიანმა ქალმა, — წიგნში კი უპირველეს ყოვლისა გულწრფელობაა საჭირო, მერმე ნიჭი, ცხოვრების ცოდნა... სხვა მრავალი... თქვენ უკეთ მოგეხსენებათ... და ერთიც — ნაკლები წყალი!

— კეთილი... უსათუოდ ავტორს ვადავცემ. მის მაგიერ კი ბოდის ვიხდი... ერთი წიგნი კი მომეცათ... თუ შეიძლება?

— დიახ, ერთზე ნაკლები აღარ შეიძლება! — მიმხედურად გამიღიმა, წიგნი მომცა და ჭორფლი ჩრჩილივით გაუფრინდა სახიდან.

საკმაოდ გაბასრული, ახლა სოფლმალში შევედი. თაროებზე კოცები, ქვაბები, და სხვა ჭურჭელი ეწყო.

— ამათ ჩრჩილი არ ეკიდება?

— წუნდებულ საქონელს ჩვენ არც

ვიღებთ, არც ვასაღებთ! — მიბასუხა ჩოფურა ვაჟმა, — თქვენ მარაგნებზე-ღათ?

— ბროლის ტოლმა თუ გაქვთ?

— არის! — უმაღ მომაწოდა. სწორედ ისეთივე... თითქოს ჩემი გატეხილი გამთელბეულა.

— არა, მე კოკა მინდა!

ვიყიდე და გულზე მომეშვა. ახლად მივხვდი, რომ სწორედ კოკის საყიდლად ამოვსულვარ ფასანაურში.

— ცარიელიც კარგა მძიმე ყოფილა?

— თიხაა, განა გაუსაღებელი წიგნის ქაღალდიდან გაკეთებული პარკია?

ახლა კი გული მომივიდა:

— ხომ არ ვასდის?

— არა... ოღონდ ეს კია — რასაც ჩაასხამ მხოლოდ ის და სწორედ იმდენივე გადმოღინდება!

გავიჩქარე. რამ გააცხარა ხალხი? თუ რამეს ოხუნჯობის საბაბიერს მამჩნევენ? თუ პირიქით მე ყველას ნათქვამში, რამეს ჩემთვის მტკიცენულს დავეძებ და ხშირად ვაწყდები კიდევაც!?

სასადილოში შევიარე, შევნაყრდი, დავმარაგდი. გადაწყვიტე ერთი კვირით მინც დარჩენა ნახატარის ტყეში. რალაც მომიშწიფდა — ნისლი, არაგვი და მზე ერთად მიჩანს. შინაგანად დაძაბული და მოზიდული ვარ... როგორც თევზი მოსაჭეირითებლად გამზადებული.

სამგზავრო ავტობუსმა ჩამიარა. წავყევი. მგზავრებმა ჩემს კოკას მიაქციეს ყურადღება, მე კი არა. სასაცილოა, მაგრამ მეწყინა. მეც კოკასავით გავიბერე და გავბუსუნდი. ავტობუსში ადგილები იყო, მაგრამ შიგ ჩემთვის ადგილს ვერ ვპოულობდი. დაუჯდომელზე მეტი — დაუტყველი მჭირდა. უცბად თვალწინ აღმიდგა თბილისი, ჩემი ბინა... ჩემი უკვე დაბეჭდილი წიგნები... დაუმთავრებელი ხელნაწერები, უთავბოლო და უსიცოცხლო ქარგათარგები, ყველაფერი ერთიანად დასაწვავად მომეჩვენა ფიქრში გავწირე და მივხვდი — რალაც ახალ კანში თუ ნაკუჭში ამოვდიოდი.

— თბილისში, თბილისში. — ჩემ კოკას ვუჩურობებ.

— დიახ, თბილისში მივალთ... — მძლოლმა დინჯად მიბასუხა, მანქანა დაამუხრუჭა, გზაზე წიწილებდასეული, ქოთქოთა კრუხი გადაატარა და ისევ სინჯარე მისცა მანქანას. ის იყო, მე რომ მგავდა — თმააბურღული, ცხვირა, უსწორნიკაბა, მაგრამ თვალთათლიანი. განგებ, სახელის გასაგებად, ვკითხე:

— ტუხა მძლოლი ხარ?

— არა, გაგა ვარ... ტუხასაც ვიცნობ... იმას ჩვენ გზაზე ვინ არ იცნობს! გაანნია, ვინ როგორ იცნობს!

მე კი ჩემი მემართებოდა. ყველგან ჩემი გმირები მხედებიან, მაგრამ ველარ ვცნობ! ალბათ ზერეღედ ვსახავ. ან მხოლოდ სახელს ვიჭერ, ან ერთერთ მხარეს გარეგნულად თუ შინაგანად სახასიათოს... ცალმხრივობა მსაპობს! ამიტომ არის, რომ ჩემი გმირები ან სულ კარგები არიან, ან სულ ცუდები...

მანკიანად ვწერ... ჩემ კალმის ნამრავლს ზოგს თვალი აკლია, ზოგს ფეხი... ზოგს მკერდის თუ შუბლის არე დაფიტული აქვს. ენაბლუობა ხომ ყველას სპირს. ჩავალ თბილისში, ყველაფერს დავერევი და ისევ თავიდან დავიწყებ!

ნახატარს რომ ჩავუარე, ეზოს კართან მაყვალა იდგა, მელოდა. დიახ მე — კოკიანს და არა სხვას — ტოლჩიანს. შევნიშნე თვალელებში შევატყვე, რომ გაეხარდა... საარაგვოს ცას ეწია. თუმცა იქნებ მე გამეხარდა და მას კი ვაწერ!

— გაგავ ჩემო, აქ გამიჩერე!

კოკა — მეჭურჭულეთ - უხუცესივით ზვიადად — მაყვალას ჩავაბარე და მეც ჩამოვხტი. მანქანა რომ წავიდა, უეცრად გზაზე სულ მარტონი დავრჩით. სათქმელიც თითქმის არაფერი მაქვს. უხერხულობა პირველი ნიშანია მღელვარებისა!

— მამა მობრუნდა?

— მობრუნდა... გიკითხათ... იქ არის ზევით!

— მაშინ მეც იქ წავალ — ძალა-ძალა მოვაბრუნე ჩემი თავი და მშრალ ხევს

ავეყვი. ბარათა კაკლის ძირში დამხვდა. თბილის ტყეშიდან გოდორს წნავდა.

გამიღიმა, კითხვა კი უფროსს ტყეჩას ჩააყოლა...

— ოცნების კაცო, აპყვეი თუ ჩაპყვეი გზასა?

— ამყოლს აყვეი და ჩამყოლს ჩაყვეი... დიდებულო კაცო ნახატარისა! იმავ კილოთივე ვუბასუხე, — გზისას გაგიზიარებ, ტყეში მითხარ რა ამბავია?

— აფთარი შემოვარდნილა ჩვენ ტყეში. ტყის ქათმები ბუღობენ, ერთი დაუბღღვნია...

— განა ტყის ქათმებიც შენ გაბარია? — გავეხუმრე, მან კი ალაღალ მიიღო და ისევ შემომიტია...

— შენ ტყე მარტო ბევრი ხე თუ გგონია — მთელი სამყაროა! ჰოდა რაც ტყეშია — ისიც ხალხისაა... მე კიდევ ხალხის ქონების მცველი ვარ! აქ რაც არის ყველაფერი მე მიბარია და პასუხს ვაგებ!

— ხომ არ შეღობავ ტყეს?

— მთლიანად აბა რას გავწვდები და აი ქვევიდან გზა რომ უვლის, ის კი უნდა გადავღობო, თორემ ეს მაღალი ძაბვისაა რაღაც ხშირ-ხშირად ეზიდებიან ტყის მასალას... ჩემო საცავე ტყეც არ გააყოლონ...

— აბა როგორ გაბედავენ?

— ახლა კარგი გაბედულობა არ აკლია ახალ თაობას... მაგრამ ზოგს ცუდის გამბედობაც დასჩემდა!

ქვევიდან დაეინებითი, უსიამო საყვირის ხმა მოგვეწვდა. გადავიხედეთ. ბარათას სახლთან ტუხას მანქანა იდგა.

— მამა!.. ჩამოდი ქალაღი აქვს! — ახლა მაყვალას ძახილი მოგვესმა.

— ჩავიდეთ... — მომიბრუნდა მოხუცი.

— არა ბარათავ... აქ დავრჩები, სამუშაო მაქვს... ვიდრე არ დაღამებულა. — წიგნზე და ქალაღზე მივუთითე, — ყველაფერი მაქვს, დამესაც ისევ აქ ვათეგ.

— როგორც გენებოს! ის გოგო როგორ დავტოვო ამ გზისპირას, თორემ მეც აქ მირჩენია.

ბარათა წავიდა. ჩემს წიგნსა და ხელნაწერს მივბედე. მაგრამ დიდხანს ვერ დავუდე გული. ჩემი ძველი წიგნი ჩემთვის ძველი ცოდვია. აი, მაგალითად, ახლა ვერ გავხედავ და მაყვალას მას ვედარ ვუძღვნი. ამ წიგნის კანში უკვე ამოსული ვარ.

სატვირთო მანქანა ბარათას სახლთან ისევ დგას. ყველა შინ შესულა. მეწყინა ბოლოს და ბოლოს რა წამდა-უწუმ წყენია გავხდის? მეც მეხვეწა და არ ჩავყევი, ის კი შეპყვა. ვინ იცის, რა საქმე აქვს?

საარაგვოზე კი ღამე ჩამოდიოდა. თითქოს შავად თოვდა. პირველად არაგვი გაუჩინარდა. მერმე მანქანა და გზა. მალე სახლიც მხოლოდ შავ-ბაცი ლანდი და ორი მკვეთრი ხმა დარჩა. არაგვისა და გზისა. ერთი გამუდმებული, მარადობის ხმაზე წყობილი, მეორე დროდადრო, ტუხტუხა — წინსვლისა და ნახტომის კილოზე აგებული. მაგრამ მესამეც იყო — ოდნავ სევდიანი, ფიქრიანი ჩუჩუნი ტყისა.

სახლთან ორი გრძელი შუქი აენთო. გზა ალოკა და ისევ აპყვა აღმა.

გრძელხელას მანქანა წავიდა თუ არა, შევბით ამოვისუნთქე და წყაროზე ჩავედი. წყაროს თვალშიც სიბნელე იყო. შიდაც ღამის მელანი ესხა. შევსვი. წყალმა სალბუნი მომცა, მაგრამ ფიქრი უფრო ამიშალა და ცეცხლი მომდო. სულ უსაბუთოდ, მაგრამ მით უფრო დაბეჯითებით ვრწმუნდები, რაც წელან იქ, ქვევით სახლში მოხდა, ის ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანია... მე კი ჯერ არაფერი ვიცი! საძილე ტომარში რომ ვძებრებოდი, თითქოს უფრო მძიმე ფიქრში შევტოპე. რატომ არ ჩავყევი მოხუცს? ან რატომ მერმე თავად არ ჩავედი?

მთელი ღამე შეწუხებულად შრიალეზდა კაკლის ხე. მოუსვენრობდა ტყე. დანაშული ტერფებიანი ნისლიც ჩამბალ საბანივით გადაჰფარვოდა საარაგვოს. კავკასიონის ქარმა სველი ენის ხაოც ვაკკრა ნახატარს, ყვავი და ლეშხი დაადინა.

დილით მაყვალა ამოვიდა წყაროზე. იგი შეფიქრიანებული, მაგრამ უფრო გალამაზებული მეჩვენა. ხელში კი აქეთ კოკა ჰქონდა, იქით ტოლჩა.

ჩემი გაკვირვება, ჩანს უმალ იგრძნო.

— ისევ ჩამოიტანა, — თვალგაუმართავად მიპასუხა, — ლამაზია?

თითქოს ბოდიშსაც იხდიდა, ნიშნსაც მიგებდა, ყოვლად ქალღურ უბრალოებითა და მოხდენილობით. ერთილა ვერ გამერკვია — „ლამაზი“ ბროლის ტოლჩას შეეხებოდა თუ მის მომტანს? ვგონებ ქალსაც უჭირდა ამის გარკვევა. მის თვალში და ხელში, ალბათ გულშიაც კოკა ებრძოდა ტოლჩას... უბრალო თიხა — ბრალიან ბროლს!

ისევ მწერალი ვიყავ — არა ტრფილი აქაც მარცვლების ხშიანობას, სახეების სიახლეს, შენივთებულ სიმბოლოსიტყვებს, ხატოვან თქმებსა და შინაგან ქიევა-უაუქიევეებს უფრო ვაქცევდი ყურადღებას, ვიდრე უშუალო სინამდვილეს.

ერთი სიტყვით, მე კვლავ მოთხრობას ვწერდი. ჩემთვის ეს ცხოვრებაზე შორიახლო დაკვირვება იყო და არა თავად ცხოვრება. ჩანს მე ჩემი მოთხრობის მხოლოდ მწერალი ვიყავი, არა უშუალოდ მონაწილე. მით უფრო მისი ლირიკული ან დრამატიული გმირი.

ქალს კიდევ რაღაც ჰქონდა სათქმელი, მაგრამ მე „ბროლივით“ მიუკარებელი ვიყავ, აღარა მიკითხავს რა... მანაც აავსო ორივე ჰურჭელი და თავჩაქინდრულად წავიდა.

მალე მამამისი ამოვიდა. ბარათას ჩვეული სიღინჯე დაჰკარგოდა. შორიდანვე შევნიშნე, მშრალი ხევის ბილიკზე გამალეებით და როგორღაც გვერდულად ამოდიოდა. ხელში ქაღალდი დაფუნახე. ვაჟიშვილის ამბავი თუ გაიგო რამე?

აქაც მიმტყუნა მწერლის გუმანმა. სულ სხვა ამბავი გამოდგა. ბარათა ამოვიდა და ქაღალდი უსიტყვოდ გადმომცა. სატყეოს მონაწერი იყო. ნახატარის ნაკრძალ ტყეში ორმოცი საბოძე და სამასალე თელის მოჭრის ნებართვა.

— ყოვლად დაუშვებელია... ვის უნდა? რისთვის?

— მალალ ძაბვის გამყვანთ დასკირებიათ... მათმა მნემ—მძლოლმა თუ მომარაგებელმა წუხელ მოიტანა...

— ტუხა მახათელმა? მერმე რა უთხარი?

— რალა მეთქმის? სატყეოში ვიყავ, ველარაფერს გავხდი! ამის მეშინოდა... ზევეიანობა, წყალდიდობა იყო და ჯებირისათვის მივეცი... ომი იყო და ხიდისათვის მივეცი, ხე კი არა — შვილი მივეცი... — გულზე ხელი იტაცა მოხუცმა, — მაგრამ ახლა არც მიწისძვრაა, არც წყალდიდობა... მადლობა უფალს — არც ომი. ყველაფერი საშოვარია ისე კი არ უნდა კეთდებოდეს სადღესო საქმე, რომ მეორე — სახვალის და საშვილიშვილო ფუქდებოდეს!

— მაინც რა გითხრეს?

— შენი ხომ არ არისო... კერძო საკუთრება ხომ არ გგონიაო... უკუღმა შემომიბრუნეს კეხი. სწორედ იმიტომ არ ვაძლევდი, რომ ჩემი არ იყო — მე მეზარა! ჩვენ უფრო მეტი გვაბარიაო... ჩვენ ვაგებთო პასუხს... დღეს მალალი ძაბვა არის მთავარიო... შენ სინათლის წინააღმდეგი ხარო... სადაც არის ნოვლენ...

მართლაც, სულ მალე მანქანების ტუხტუხი და ხმიანი მოგვწვდა. მუშები ისხდნენ. ხელსაწყოები და ხერხის კბილები მგლებს დაკრევილ ხახასავით ელავდნენ. ახლა კი ხელი შევეუშვი შორით ჰვრეტას, წერაყინს დავტაცე ხელი და წამოვარდი:

— თოფი აიღე, ბერკაცო, ჩემს პოსელამდე არავინ არ შემოუშვა ტყეში! მე თავად წავალ!

ქალალდი წავიღე და ისე წავედი — ტუხა, არამართო გრძელ არამედ მრავალხელებასაც — ინეინერს, მნეს, ხეტყის დამაშხადებელსა და მძლოლს სულ არ დავენახე.

ერთი საათის შემდეგ ფასანაურის სატყეო კანტორაში შევიჭერი და უფროს მერტყევეს შევეტაკე.

— თქვენ დასწერეთ ეს ქალალდი?

გამომართვა გადაბრუნდა და მომბრუნა. დამაკვირდა. ძველ ნაცნობივით გამიღიმა, ფეხზეც კი წამომიდგა...

— დიახ მე... ნება დავრთე... როგორც გამონაკლისი, ალბათ მოგეხსენებთ — ნაკრძალია, ადგილობრივი ხალხი არა სჭრის... ზოგი ცრუმორწმუნეობით — ნახატარია... ზოგიც შეგნებულად... მაგრამ ამ შემთხვევაში მივიღეთ მხედველობაში მალალი ძაბვა, სინათლე, გზისა და რაიონის ინტერესები... ჩვენ დავალებული გვაქვს კანონიერ ფარგლებში ხელი მოვეუშართოთ... — ოღნავ დაბნეულად შეჩერდა, აშკარად ბლანდავდა ნათქვამს... ჩანს უმტყუნა ყნოსვამ.

— ჩვენც ვაკეთებთ, რაც შესაძლებელია, შეუძლებელს კი ვერ ვაკეთებთ... და საერთოდ, თქვენ ვინ გადმოგცათ ეს ქალალდი?... აჰა, მესძის, გზად ჩამოიარეთ? ბოლოს და ბოლოს გეცოტავათ თუ გებევრათ — ვერ გამიგია!

მე კი სიბრაზე მახრჩობდა. მერტყევემ არ იცოდა ვინ ვიყავი და ყოველ შემთხვევისათვის ისე ლაპარაკობდა, რომ ჰოც გამოსულიყო და არაც... იმისდა მიხედვით თუ ვინ გამოვირკვევოდი „ბოლოს და ბოლოს“.

— თქვენ შეგნებულად გწადთ მკვლელობა ჩაიდინოთ!? — მივხალე და უფრო ახლო მივედი.

— როგორ თუ მკვლელობა? რატომ? რეებს ჩმახვთ! — უტბად აყვირდა, მაგრამ უტბადვე დაცხრა, ხმამალა მოუვიდა ფიქრის ნახსლეთი... — რადგან მიყვირით ალბათ გაქვთ მაგის უფლება?

— მაქვს! თქვენ ხეს კი არ სჭრით, არამედ ბუნების დვრეტას! ძირითად კანონს! ნახატარის ტყე ნაკრძალია... თქვენ პირდაპირ გეტყვით — შთამომავლობის კუთვნილების მძარცველი ხართ, ერის ქონების გამფლანგველი, ბუნების კეთილნაშთის მკრეხელი! აი, ვინ ხართ თქვენ — გეცოტავათ თუ გებევრათ?

მერტყევემ გარეკარი გამოხურა, შემ-

კრთალად შემავლო თვალი, წერაყინმა სულ გააოცა.

— თქვენ ვინ ბრძანდებით? წინასწარ ბოდვის ვიხდი, რომ ვერ გიცანით!

— მე?... — და უეცრად დამავიწყდა. არა, კი არ დამავიწყდა — დაეიბენი... მე მართლაც ვინ ვარ ბოლოს და ბოლოს.. ცხოვრებაში გარკვეულად რა ვალი მაწევს? რის მაქნისი ვარ?... გზა ვარ? — არა. ხიდი ვარ. — არა! მალალი ძაბვა ვარ? — არც ეს! ტყის მცველი, ბუნების მესაიდუმლე, ცხოვრების მცოდნე, საზოგადოებრივი აზრი... წარსულისა და მომავლის მგრძნობი? მოუსვენარი შემოქმედი?..

მეტყევე პირდაღებული შემომყურებდა. გაპარსულ საულვაშეზე ოფლი გამოსვლოდა. გახსნილ საყელოდან მკერდის ბანჯგვლი ამოსწოლოდა. თითქოს ნახატარის ტყე უბეში ედო. ახლა კი გარკვეულ პასუხს ელოდა, ისეთსავე გარკვეულს, როგორც ჩემი ბრალდება იყო.

— მე ყველა დაჩაგრულის დამცველი ვარ!

მეტყევემ უფრო გამოაჩინა ჩაკლებული კბილები. გატეხილი სათვალეც კი მოიშველია. გულწრფელი გაკვირება აეხატა შენათქვამულ სახეზე.

— მერმე ვინ არის ჩვენთან დაჩაგრული?

— ბუნება, მცენარეული... კერძოთ ტყე... სახელდობრ კი ნახატარის ტყე! გასაგებად ვთქვი?

— გასაგებად... მაგრამ ვინ ხართ?

— მე — მწერალი ვარ!

— მწერალი? — სული შევებით ამოილო მეტყევემ. — მე კი ვილაცა მეგონეთ! — უცბად დაწყნარდა, დაჯდა. თავშეკავებულად, განზე გაიღიმა კიდეცა. — თქვენც ერთი ვაჟა-ფშაველა გამოიხვედით! — ისევ სული ამოიღო, დადლილ თვალებიდან სახეზე სიკეთე და უბოროტობა ჩამოედვარა...

— ძლივს არ ვნახე ჩვენთან, სატყეოში სულღერი მწერალი... თორემ სულ უსულო წიგნები მოგვდის! მოხარუ-

ლი ვარ, მოხარული... დაბრძანდით! — ხელად გამიშინაურა, ხუმრობაც... კი სცადა, — ხეებს რომ არ ეგვიძღვთ, მერქანს რომ არ ვიყენებდეთ, ვნახავდი როგორ დასწერდით ან დაბეჭდვდით რასმე... ხბოს ტყავს ხომ არ მოუბრუნდებოდით ამ მეოცე საუკუნეში... პატივცემულო მწერალო!

ახლა მას შეეძლო გადამეტებული ზრდილობაც გამოეჩინა. მას ჩემი აღარ ეშინოდა. მე მისთვის უკვე გატეხილი კაკალი ვიყავი.

გულზე ცეცხლი ახლა უფრო შემომენტო.

— ნუ გათამამდით... მე ინსტრუქტორსაც მოვიყვან აქ თუ საჭირო შეიქნება... განგაშს აეტეხ...

— მწერალო, პატივცემულო მწერალო! შეგობარო, ძმაო... რა მოხდა ასეთი? გამოხშირვა უხდება კიდეცა ტყეს... მაინც ნახატარს... — და უცბად მოავონდა, — ეს სულ იმ ბერაძუა ბარათას ოინებია!... კი ბატონო, დავიცვათ ტყე, ჩვენი „მწვანე ღელა“, მაგრამ ჩვენ წინსვლასაც... გზათმშენებლობას, მალალ ძაბვის ხაზს ნუ შევაფერხებთ...

ახლა სხვა მხრიდან დამიარა, მაგრამ მეც აღარ შევეპუე:

— თქვენ იცით — მტყუანი ხართ და მაინც ეძებთ ხელადვილ საბუთს. თქვენ შესანიშნავად იცით, რომ მე ჩემი ბუნებით, ჩემი მოწოდებით, მთელი ჩემი ძიებითა და საქმიანობით არ შემიძლია ახლისა და კეთილის წინააღმდეგი ვიყო.

— მაშ რაღას მოითხოვთ ჩემგან?

— იმას, რასაც ცისმარე დღე გეუბნებიან — ხალხის ქონების დაცვას! წინათ ხატი იცავდა ამ ტყეს... ნახატარს ახლა ნატყევარად ნუ გადავაქცევთ, ახლა ჩვენ უნდა დავიცვათ...

— მწერლებმა? — მწარედ, იქნებ მართებულადაც ჩამინისკარტა.

— ხალხმა! ბარათამ, ინსტრუქტორმა, მეც, თქვენც, და ტუხამაც... დავიცავთ კიდეცა!

— ტუხამაც? — რატომღაც მისი ხსენება სულ არ ეკაშინია მეტყევეს. ჩაჩუმდა ხელები თავზე შემოიფყო.

ახლა თითებს შუა შევამჩნიე მისი შემორჩენილი ჭადარა და მელოტი. კეფას გულშევიწყებულად იფხანდა უფროსი. მივხვდი — სადღაც ჩავტეხე ლოზე.

— აი, თქვენი ჭადარალი...

გამომართვა.

— მე სიტყვა მივეცი... კეთილი, გაენახვეროთ... — ხაზი გადაუსვა, ახლა შუაზე გაჰყო.

— არც ერთი ხე!

— კეთილი, არც ერთი ვარგისი! სალი ხე!

ეს ყველაფერი ნარდიბაზრობას უფრო ჰგავდა. ამ დროს კარი გაიღო და ოთახში ტუხა მახათელი და ბარათა შემოვიდნენ. მეტყევე მათ მიუბრუნდა: — აჰა, გაანახვერეთ... არც ერთი სალი ხე... ნახატარიც გამოხშირეთ და მათაც — მაღალმახველებს ხელი მოუშართეთ. ვინ რალას იტყვის... ან ისინი, ან ესენი? — მერმე ბარათას მიუბრუნდა, უფროსულად დაუტატანა: — ტყეშიც წესიერება იყოს! უცხოც არავინ შეუშვათ! — მერმე მე მოვაგონდი, — მწერლის გარდა!

ტუხა გაკვირვებით დამაცქერდა:

— ეს თქვენ ბრძანდებით? წიგნის გარდა ისედაც გიცნობთ... მანქანაზე რომ შემომხტით?

— დიას...

— მყუდრო ადგილისათვისაც მიგიგნით! ეჰ, ასეთია ცხოვრება — იმ ტყიდან ნადირი გარეკა, აღამიანი კი შიგ შეაგდო... და არის ასე! — თანაგრძობით თავი დამიქნია, — წავიდეთ, გამოვხშიროთ... მეც ტყის შვილი ვარ ბოლოს და ბოლოს... რომელზედაც ხელს დამიდებთ მხოლოდ იმას მოვაჭრევიწებ... რა გაქვს სადღაო? ახლა ხელის მოსანაცვლებლად დაგვჭირდა, თორემ ხე-ტყე მოგვდის... ახალ ნერგებსაც ჩამოგიტანთ ძველის სანაცვლოდ...

ბარათაც და მეც თავის კაბინაში ჩავვისვა და ნახატარისაკენ მარჯვით გამოვაჭკროლა. თითქოს ეჯიბრებოდა, იქნებ სჯობნიდა კიდევაც სიჩქარეში არავის ტალღებს. ახლად დახრეშილი გზატკეცილის კენჭებს ნაპერწყლები-

ვით ყრიდა. შემეჩხრებულ ხეები თითქოს გარბოდნენ განზე და ბერძენულად:

მახათელი პირდაპირ სამხვერად მართულად ლამაზი კაცი იყო, გვერდიდან დანახულს კი სულ სხვა სახის ნახაზი ჰქონდა. თითქოს სხვა პიროვნება იყო. მტკიცე ყბებიანი, მოგუდულ ტუჩებიანი, ქორული თვალი და ცხვირი. გრძელ ხელებს ახლა საჰის გვეგვი დაეტორათ და თითქოს ყოველგვარი ყოყმანი და შეფერხება გამოერიცხათ. მანქანაც გაბმულად, კრაზანის ხმაზე ზუოდა და მიგვაჭკროლებდა.

მე თითქოს ყელში მწვდა ვიდაც და საქესავით მატრიალებს, შეჯიქურება. ჩვენ ახლა მრავალხელებიან მძლოლისა და მის მანქანის ტყვეობაში ვართ. ჩვენ ჩვენი ნებისყოფა და სურვილები თითქმის უკვალოდ დაკარგული გვაქვს. მან კი შესანიშნავად იცის ჩვენი გზის ყოველი კვანძი და ღარი.

— ეს ჩვენი ხაზია... — და მაღალ ძაბვის, ჯერ უმავთულო ბოძები ფეხებგაჩაჩხულად მოაბიჯებენ.

— აქ ქვესადგური იქნება. ყველა სოფელს მივეციმთ სინათლეს. ეს ხიდიც მალე გამაგრდება, გაფართოვდება.

ბარათას სახლთან მუშების გარდა არავინ არ დაგვხვედრია.

— ცოტა ქვერელეა ნახატარის თავდასავლელი... იქ ძველი ნაურმალია... მანქანაც ავა... — ბუტბუტებდა თავჩაქინდრული ბარათა.

— ვიცო, ყველაფერი ხელის გულზე მაქვს, — ღიმილით დაუდასტურა ტუხამ, — ნუ დალონდები, მენდეთ, მონყევით... სიტყვისა და საქმის კაცი ვარ!

ეს უკვე მეც შემეხებოდა. მრავლობითად თქვა.

— არ მოგყვები... მე მშრალ ხევზე ავალ... ტყეში დაგვხვდებით!

მახათელმა უმალ შეაჩერა მანქანა: — ბატონი ბრძანდებით! — ხელები საქეს გააცალა, კარი გამიღო. მეც თითქოს ყელზე შემეშვა ხელი. ჩამოვედი და თავმოუბრუნებლად ბილიკს ავყვეიწყაროსთან მაყვალა იჯდა. წიგნს კითხულობდა. თვალები ცრემლით ამო-

ვსებოდა. გაბუტულ ტუჩებზე კი ღიმილი უთამაშებდა. არა, ეს დარდის ცრემლი არ იყო. წიგნიც ვიცან — ჩემი წიგნი, გუშინ ჰორფლიან ქალისაგან შენაძენი, მაყვალასთან ვერ გამოჩენილი. ალბათ კაკლის ძირში ღიად დარჩენილი.

— ასეთი კარგი წიგნია?

— მაყვალამ ცრემლი მოიწმინდა.

— კარგი ყოფილა... აქამდე არ წამეკითხა... დღეს მომიტანეს..

— მოგიტანეს... ისიც მხოლოდ დღეს? აბა ერთი ჩამახედეთ? — წიგნი გამოვართვი და თავფურცელი გადავშალე. მემცხეთა ჩემი წიგნი. თავფურცელზე ალმაცერი წარწერა იყო: „ამ გზის ულამაზეს ქალიშვილს, მის მიერ მონიბლულისაგან... ჯერ სამახსოვროდ, მერმე საიშედოდ. ტუხა მახათელი“. ჩემ წიგნზე მისი ხელრთვა გველცვივად იყო დახვეული და ჩაკლავს.

გული ჩამწყდა. ჩემი წიგნი — მევე დამხვდა წინ ალბათ რაიმეში შური იძია. ირგვლივ ყველაფერი ჰორფლიანი, ჩოფურა და დახვეული მეჩვენებოდა. თვალი ავარიდებ და წყაროს ჩაეხედე. იგიც ამღვრეული იყო. ფურცლის ამოსახვევად ხელი მოვიბრუნე.

— ნუ! — მაყვალამ ხელი დამადო ხელზე. ჩემი წიგნის პატრონი მე აღარ ვიყავ. ტყვილი ვივარძენ. მერმე ამას იჭვი დავარქვი. ცრემლს ალბათ მე ვგვრიდი ქალს, ღიმილი კი აშკარად ტუხასი იყო.

იქვე მივჯექ და ავტორისეულ უფლებით მეც დაეასკენი ზედ წარწერა. რაიმე ტკბილ-მწარე მსურდა, მაგრამ გულის წყრომა ვერაფერი ხატოვანი მოკარნახეა. სიმწრის ოფლი დავიდინე და წავაწერე: „ნახატარის ულამაზეს ხატს და ადგილის დედას... შორიდე-ბით ავტორისაგან“.

როდესაც ორივე წარწერა გადავიკითხე და შევადარე, შევიცან რომ მათ შორის ერთადერთი სიტყვა „ულამაზესი“ იყო საერთო... სხვაფრივ კი წარწერები არაგვის გაღმა-გამოღმა იყვნენ.

ჩემი წიგნი, რალაც ახალ, დიდ ვე-ბათა ღელვის ასპარეზად იქცა.

ტყიდან უკვე მანქანის ტუჩებზე და ცულის ხმა მოისმოდა. წიგნი დავებრუნე და კაკლის ფესვს შევებოხდი, კაკლის ჩრდილი და ფესვი თითქოს ცახცახებდა.

მახათელს თავისი მანქანა თელნარის ბოლოში დაეგდო, ახალი მექანიკური ციკქნა ძრავიანი ჯაჭვა-ხერხი და ნაჯახი მხარზე მოეგდო და საოცრად ლამაზ-ვაყვაციური და შემმართებელი იერი ჰქონდა. აღფრთოვანებას არც ჰვარავდა:

— რა ტყეა! რა საშენი მასალა! რა საავეჯეა!.. საოცნებოდაც შესანიშნავი აღვილია! მე ახალა დავაფასე თქვენი აღულები, მეც ასევე მოვიქცეოდი!

ვუშვებდი ახოვანსა და ილეთიანს, მაგრამ კარგად ვერ გამეგო ნიშნს მიგებდა თუ სიმართლეს მეუბნებოდა. ეგონებ ორივე ერთად იყო გადახლართული.

ბარათა, უცბად ახმინებულ ტყეში, მგლოვიარესავით კრიჭაშეკრული დადიოდა და ხინჯიან, ფულუროგაჩენილ, გამრუდებულ თელეებს არჩევდა, თავის დაღს ადებდა, გასაწირად იმეტებდა.

პირველი ხე რომ წამოაქციეს, გაოგნებულმა ჰირისუფალმა ყურებზე ხელი იფარა, თვალიც აარიდა. მიწიდან მაინც შემოესმა გმინვა და ჩემთან ერთად შეაძრწუნა. შეეკვებულები მოხუცი ისე ნიშნავდა ხეებს, რომ სამანქანო გზა არ გაეჭრა ტყეში, მაგრამ ტუხა მიუხვდა.

— პაპა-კაცო! ეს ხეებიც მომაშორებინე, მანქანა მივაბრუნ-მოვაბრუნო და აი, მწერალთან მიტქვამს... შეღავათს მოგცემ, ნაკლებს წავიღებ... ხუთი ხე ჩემ შხრიდან, ჩემ სახელზე იყოს, იხაროს... თუ არ მომთხოვეს — აღარც მე მოგთხოვ.

— კეთილი სიტყვაა! — მე მომხიბლა მახათელის თავისებურმა რაინდობამ. რას ვერჩი, შეგნებული კაცი ჩანს! ბარათას ჩუმად წავიხურა:

— გზა მიეცი და ტყისათვის ნაკლებ ზარალიანად გავეცლებო!

მაგრამ ბარათამ წარბშეერულად შემომხედა...

— ვიცი მაგათი შეღავათი... რაც ეკუთვნის წაიღოს... რაც გამოსადენია — გამოედინოს და მერმე ღობეს ჩავდგამ.

მუშები ხელგამოღებით შრომობდნენ. ჯაქვა-ხერხი, ყრუ ტუბტუხით, სწრაფად ცელავდა ხეებს. ყველა დანიშნული ხე მიწაზე დაწვა. მახათელმა ტყეს მაინც მისცა შეღავათი... ხუთიოდ ხე აღარც დაანიშნინა და აღარც მოაჭრევინა. მალე მორები უპატრონო ცხედრებივით აქა-იქ ეყარნენ. თეთრად აჩენილი ჯირკვლები მრგვალიარაინ ხორკლებად დააჩნდნენ ნახატარის ჩაჩრდილულ მიწას. ტყის მწვანე გუმბათი ზოგჯერ შეხარვეზდა. შუქის სვეტი თეთრ ჩონჩხივით ჩამოდგა ზევიდან. ტყის სურნელს ახალნახერხის სუნიც მოემატა. მალე კი ნატრუსალიც. ბარათა ნაფოტებს და დაბელილ ტრტებს წვავდა. უფრო მორჩილ ტრტებს კი წყნელად სხეპავდა და ამზადებდა.

მე კაკლის ძირში დავბრუნდი და ბევრი ვწერე.

საღამოს პირას ბარათა მობრუნდა და ძირებთან უსიტყვოდ მიჯდა.

— წავიდნენ?

— წავიდნენ, მაგრამ მეშინია რომ ისევ მალე მობრუნდებიან.

— მეტყევემ პირობა მომცა. თბილისშიაც დავტრიალდები. მთავრობის დადგენილება არის.

— ყველაფერი მართალია — პირობა, დადგენილება, სიტყვა... მაგრამ...

— ხვალ შენი მუშა ვარ!

გაეღიმა, ცოტა შეხალისდა, წვერი ჩამოისწორა...

— იცი კია ღობეა?

— დიდი მესაკუთრე არასოდეს არ ეყოფილვარ... წერა შემიძლია, ღობეას ნუთუ ველარ შევძლებ?

— ღობე — წესია... მაინც გზის პირას, თორემ აქ ბევრი ისეთი ვაებატონი დადის, რომელმაც კერძო საკუთრება-

ზე იმიტომ აიღო ხელი, რომ ყველაფრის მესაკუთრედ და ბატონ-მატრონად მიიჩნია თავი. სადაც სახალხო და საერთო უღობოდ დევს — თავისი ჰგონია... ზოგი კი ღობესაც არ დაგიდევს!

მთელი ღამე ტყეში გამკრავი ქარი იყო. ცუდად მეძინა. ხეების სათვალავში ვიყავი და სულ მეტი და მეტი მაკლდებოდა. მერმე სულ ჩამეხარჯა ხელში.

მძიმედ, თავიანდაკე ჩაქვერი ტომარში და გაგუდულივით გავრინდდი. იმ ღამეს აღარც ზღარბი, აღარც ციყვები არსად გამოჩენილან.

მეორე დღეს შემოსავალი გზა გადავლობეთ. მე თელნარში შევბრუნდი, კიდეც დიდხანს ვაგროვებდი, ვწვავდი ჩალუწილ ტრტებსა და ნაფოტებს.

მალე თქორი წამოვიდა. იმატა და წვიმის ძალა მოიცა. მიაჩუმა ტყის ფორიაქი. მის ახალ იარებს მოეცრემლა. მოგუდულ ცეცხლს ალი უკლო. კვამლი უმატა. მალე კვამლიც გაუჩინარდა და მის ნაცვლად ნახატარში ისევ ნატრუსალი და ნოტიოს გრილი გაეფდა.

კაკლის ქვეშ წვიმადაკრულ ფოთლების ჩუჩუნმა, ყველა დანარჩენი ხმა დაახშო და შიშინა სიჩუმე დაამყარა. აღარც კურდღლის ფაჩუნი გამოვიდა, აღარც მოლადური შემომჯდარა ტრტზე. თითქოს გზაზეც მანქანები გაიშვიათდნენ.

პირველ დაღამებისას წვიმამ უმატა.

ქვევიდან ბარათას ძახილი ამომესმა.

— ჰეჰეი, ქალაქელო! ქონში ჩამოდი... დამე დიდი ავდარი იქნება... ნიაღვარი მოვარდება!

ამ ტყის სამყაროში, ეს ცოტა გამკილავი „ქალაქელო“ გულზე ბწყლად მომხედა.

— არა, არ ჩამოვალ ტყის კაცო! აქ კარგად ვარ... ხელს ნუ შემიშლით! ძახილი აღარ გამოერებულა. ასევე ჩავწერ „ბარათამ გაიგო ჩემი ძახილი, ხელი ჩაიჭნია, კარი შეიხურა“...

— არ მოდის? ამ ავდარში არ შეემ-

თხვეს რამე? — ეს რა თქმა უნდა მაყვალაა. ჩემი წიგნის გადაშლილ ფურცელს საჩვენებელი თითი დაადო, ადგილი ჩაინიშნა.

— არაფერიც არა მოუვა რა! ჯანმრთელია... ბოლოს იქნებ კარგიც იყოს... ავღრიან ტყესაც მოუსმინოს... ვინ იცის მერმე რა წიგნში ამოანათოს ამ ნასმენმა? შენ წაიკითხე!

ქალმა განაგრძო კითხვა. მას დაბალი, გულის სიღრმიდან მორხეული ხმა ჰქონდა. ბარათა, როგორც ტყის შრი-ალს, ისე გულდასმით უსმენდა და თავს იქნევდა.

— კარგა მარილიანად წერს, მაგრამ ბუნების გრძნობა აკლია, ცხოვრების სიბრძნე ჯერ არ გააჩნია. სიყვარული კი ჯერ სულ არ იცის!

— რაღა ჰქონია? — მეხმარება მაყვალა.

— გულწრფელობა, ყველაფერში ჩაწვდომის მოზღვავებული სურვილი! ავღრიან ტყესაც მოუსმინოს, დარდიან ხალხსაც... ცხვირი შეატეხოს, მაგრამ ჩასწვდეს! გამომწიფდეს! საოცარია, მაგრამ ასეა — გაჰირვება, დუბუირი სიციოცხლეს კი არ აყვარებს ადამიანს, მაგრამ სიკვდილს კი აძულებს! სიკვდილს კი აძულებს!..

...მერმე მეც ჩამეძინა და ჩემ გმირებსაც.

ნახატარში პირველი მეხი რომ გავარდა, თავი დაფეთებულად გამოეყავი. შხაპუნა სცემდა. ირგვლივ ყველაფერი წყალში და ღვარში იყო. აი, სად გამომადგა ჩემი საძილეს წყალვაუმტარობა! კაკლის ძირს მივეკარ და ისევე დაძინება ვცადე, მაგრამ ახლა სულ ახლოს აგრუხუნდა მეხი... ელვა თითქოს კაკლის ტოტებში გაიკლაცნა. და თავზე წამომდგარი ხე მხედველობიდან დამიკარგა. მის ფესვებს ვტაცე ხელი. სველი ძირები მედგრად ეძარღვებოდნენ დედამიწას.

— დეახარ, კაკალო! მეც არა მიშავს რა — იგი უკვე ჩემთვისაც უცუხალ არსებასავით იყო.

უეცრად გაბმული გუგუნე მომესმა.

ეს უკვე მეხს არა ჰგავდა. თანაც ახლო ქვევიდან იყო. ფესვებს უფრო ჩაკეტილად და გადავიხედე.

ახალ ელვის შუქზე, მშრალ ხევში ღვარცოფის სწრაფ მოძრავი სხეული გამოიკვეთა. თვალში სპილენძის ფერი დამჩნა. ღვარი ბეჭობსა და ძირებს სწვდებოდა, ებრძოდა... მაგრამ ურყევად იღგა კაკალი და მისი ძირებით შემტკიცებული ბეჭობი. აღფრთოვანებამ ამაყიენა; — ნამდვილი ადგილის დედა შენ ყოფილხარ! რა შმაგი დამეა! რა კარგია რომ დავრჩი! ახლა ვამტკიცებ — სტიქიური ძალა გადამდებია! რა ბედნიერებაა, როდესაც ადამიანი თავის არსებაშიაც იგრძნობს სტიქიონს!

შემდეგი ელვა უკვე წყაროში არეკლილად დაეინახე. იგი პაიდაპა, ღვარის ახლო მისაწვდომში განაბული საარკის ნატეხად ეგდო.

ახლო ფრუტუნე მომესმა. ჩემს საძილეს გაუმტარ პირს ზღარბის ეკლები გაეხახუნა წყალს ამოეგდო სოროდან. ახლა ჩემი „სორო“ აშკარად სჯობდა მისას. ზღარბი ჩემსა და კაკლის შუა ჩარჩენილ მყუდრო უბეში ჩაჯდა და ჩაგორგალდა. ახლა ორი ზღარბი ვართ ერთად. ერთი აღფრთოვანებული, ბუნამშრალი, მეორე კი უბუნაგო და ეკლებაყრილი! ნუთუ მეც მაშინ ავფრუტუნდები და ყვირილით ეკლებს აყური, როდესაც ბუნაგიდან გამომაგდებენ? მაშინ რაღად არის საჭირო ჩემი შეგნება?

გრუხუნს შორის ისევ მომწვდა ბარათას წყვეტილძახილი...

— ჰეჰეი... ტყის კაცო!

უკვე დაეწინაურდი... ტყის კაცი გავხდი! ბალღივით მიამა. ჩემს გვერდით განაბულ ზღარბს ეკლებზე ხელი შევახე. არც განძრეულა ზღარბი..

— ჰეჰეი! ზღარბივით ვარ გზისპირელი! ძილს ნუ მიფრთხო!

მე და ჩემს ეკლიან მეზობელს დიდებულად გვეძინა. დილას ჩემზე ადრე, ზღარბს ალიონზე გაღვიძებია და გაპარულა.

ნაადრალზე ამინდი ცისარტყელის

კარიბჭეში შემოდიოდა. მზე ნისლში და თქორში პირს იბანდა და იმშრალეზდა. ტყეში ყველაფერს მსუბუქი ნავლი და ნაორთქლი ასდიოდა. ერთი ლენაქის ოდენა ნასუნთქი წყაროთვალსაც გააჩნდა. წუხანდელ ღვართქაფიან ხევში ოდნავი ნაყური, თავვის კუდივით მიიპარებოდა. კაკლის კენწეროზე მოლალური იჯდა. ქვედა ტოტებზე კი ციყვები ხტოდნენ. ნაწვიმარ ტყის სურნელება ხსენივით მკახე და ვგონებ მათრობელაც იყო. გადაებრუნდი და ისევ დავიძინე.

ახლა აღარსად წვიმდა გარდა კაკლის ძირისა. ზევიან წვეთებად ნაკრები ლეშხი ხმიან წკაპანით ეცემოდა ჩემ წყალგაუმტარ ბუნავს. ეს ხანდაზომილი წკაპანი, ტყეში ხეზე შემორტყმულ ნაჯახის ხმად ჩამესმოდა და ძილს მიფრთხობდა. ერთი კაკლის ოდენა წვეთი შუბლზე დამეცა და წამომავდო. საძილე ტომრიდან ახალგაქროცილ კაკალივით დედიშობილა ამოვხტი, კაკლის დაბალ ტოტს ხელებით დავეკიდე, ტანი ავიტაცე, გავეჭან-გამოვეჭანე. შხაბად წამოსულმა ლეშხმა სულ დამასველა. თითქოს გამნათლა, კუნთში და სახსარში ხალისად ჩამიდგა. პირდაპირ სველ ბალახში გადავხტი. ახალამოყრილ სოკოებზე ფეხი წამისხლტა. ვი-მარჯვე, არ წავიჭეცი სირბილით თელნარში შევარდი. მიხაროდა დილის სი-ცოცხლე და გამოდარება, ახალგაზრდობასა და ბედნიერებას ტანის ყოველ სახსრითა და იოგით ვგრძნობდი. ყველაფერი და ყველა მიყვარდა ნახატარის ტყიდან — მაყვალამდე! ის ეკალიც კი რომელიც ფეხში შემესო და კარგა ხანს მაწვალა.

ტანზე კარგად ჩაცმულიც არ ვიყავი, თავზე ბარათა და ტუხა რომ წამომადგნენ.

— ეს რა საქეიფო ადგილი მიგიგნიათ! — კაკლის ძირი თვალხარბად მოათვალიერა მახათელმა, მავრამ ბარათამ სხვაგან მისხლიტა საუბარი:

— ახლა კი შინ ჩავიდეთ... არ გა-

ცივდეთ... ასეთი ავდარი... მაყვალამაც დამაბარა... წუხელი, იმ ღვართქაფში, სულ თქვენ წიგნის კიბეებში იყო. მეც მასმენინა...

არ მიამა, ბარათა „თქვენობით“ იწყებდა ჩემთან საუბარს. ჩვენს ურთიერთობაში რალაც დაბრკოლებას ვგრძნობდი... ან წიგნი, ან ტუხა დამნაშავე... იქნებ, როგორც ხდება ხოლმე, ორივე ერთად.

ტუხა მახათელი კი ყველაფრით აღფრთოვანებული იყო, გულლიად ხარხარებდა და მეტყველებდა...

— დიდი სხვანიირი ხალხი ხართ ეს მწერლები და ვგონებ ზოგი მეტყვევც. ასეთი ნიჭი და სახლი მქონდეს და ავდარში ტყეში მაჩვენებთ და ზღარბებთან ვათვედე დამეს? ან ასეთი თელის ტყე-მასალა აქ მედგას და სახლი კი უმასალობის გამო ვერ დავამთავრო?

სიჩუმე ჩამოვარდა. მე ყური ვცქვიტე, ჩემი მოთხრობისათვის ეს დაპირისპირება სწორეთ გამართლებულიც და საჭიროც იყო.

— მე ნახატარის ტყე ჩემი პირად ქონებაზე უფრო მიყვარს! ესეც რომ არ იყოს... არცმე მიდგას ეს ტყე — იგი ბუნებისა და ხალხისა!

— ..და განა მე, შენ... პატივეცმული მწერალი, განსაკუთრებით კი მაყვალა ხალხი არა ვართ?

არც ეს „განსაკუთრებით მაყვალა“ მიამა. სახელდახლოდ მოვითავე ჩაცმა და წავყვი. წყაროსთან რომ ჩავიარეთ — შიგ ჩავიხედე... მართლაც „ტყის კაცი“ ვიყავი, გასაპარს-დასაგვარცხნი... მახათელი კი გაპარსულიც იყო და ვგონებ ჩვეულებრივზე უფრო გამოწყობილიც. ვაქაკური იერთო და სილამაზით აშკარად მჩაგრადა... და მე ეს ახლა განსაკუთრებით ვიგრძენ.

მაყვალა ღიმილით შეგვხვდა. დილის ცისარტყელის ნაშუქი იყო. მხოლოდ ვერ გავარკვიე — ვის უღიმოდა, მე თუ მახათელს? ტუხა კი ჩემზე უფრო იღიმებოდა და შინაურობდა.

სუფრახზე ღვინით სავსე ტოლჩის გარდა, ბროლის ჭიჭებიც იდგა. ტაბაქ-

ზე — ქალაქური ტყბილცხობილები და ტყბილსასმელები.

— სად გააჩინეთ? — გულუბრყვილოდ შევეკითხე, მერმე ვიკბინე ენაზე.

— აქ ვანა მარტო ნახატარიდან ჩნდება ვინმე ან რამე?... გზამ და არაგვმა ჩამოიტანა! — ღიმილით ჩამიმხახათა ტუხამ. ცხადია — ყველაფერი გველთუ არაგველ მძლოლის ჩამოტანილი იყო, ჩემი კი წიგნიც არსად ჩანდა.

ბარათამ პირდაპირ სუფრაზე მიგვიწვია. მე პირუბანელობა მოვიმიზეზე, დღუმთავრებულ აივანზე გავედღი. არაგვს გავხედე. ჩქერს ჩაქანგებულ სპილენძივით ფერმღვრიე ტალღა მოჰქონდა.

მაყვალამ კოკიდან დამისხა წყალი. მიამა... რა ცოტა უნდა ადამიანს!

— წყაროა თუ არაგვი? — სიტყვის მასალა, იყო, თორემ ისედაც ჩანდა.

— წყარო...

უხვად შევისხურე სახეზე. იმ წყაროში მქონდა ნანახი ფესვებიც, ელვაც... მოთხრობაშიაც ნატვრის თვალად ჩავსვამ! ახლა მაყვალას შევხედე თვალებში:

— რომელს ირჩევთ — წყაროს თუ არაგვს?

ქალმა თავი ჩაღუნა, პირსახოცი მომაწოლა.

— მომწონს არაგვი, მაგრამ მიყვარს წყარო...

რა გულხენეში ვყოფილვარ... გრძობათა მკაფიობა რამდენად მკლებია? მე ვერც ვასხვავებ... აი მე — მაყვალა მომწონს თუ მიყვარს?... პასუხი რომ ვერ გამოვნახე, პირი შევიხოცე და ოთახში შევედი.

ბარათას და ტუხას უკვე თითო-თითო არაყი გადაეკრათ. მეც დამისხეს, მაგრამ მე ვერიდები არაყს, ტოლჩის ღვინო კი სულ არ მინდა. არც ტუხასეული ქალაქური ტყბილცხობილები.

ბარათა თითქოს გუმანით ხედებოდა ჩემს განწყობილებას:

— გოგოვ! აბა ერთი ჩვენებური ხორციკიანი და შენი შემონახული ღვინო მოართვი გატყორებულ ქალა-

ქელს... ის წიგნიც მომაწოდე... დაცრემილილი ადგალები უნდა ვაჩვენო...

მაყვალამ დაასწრო მამას, ბალიშის ქვევიდან წიგნი ამოიტაცა, უბეში ჩაიკრა და გარეთ გავარდა.

თვალი გაეაყოლე. ეგონებ ჩემი წიგნის ბედი შემწურდა. უსიამოვნო ხითხითმა შემომამბრუნა. ტუხა ხელმოფარვით ტუხტუხებდა. წიგნი ჩემი დაწერილი იყო, მაგრამ იმის ნაჩუქარი და ახლა ქალიშვილი ნეტავ რომელს იკრავდა უბეში?

ბარათა თავად გავიდა შინაურ ღვინის მოსატანად. ჩვენ ორნი პირისპირ დავრჩით.

— მოგწონს? — წარბი ამიკრა მახათელმა და ციმფია მუშტრის თვალით გაჰხედა კარისაკენ.

— ასეთი თვალით არ შემიხედავს! — მწარფარულად ეუბასუხე. მაგრამ მან ვერც იგრძნო, თუ არ შეიფერა.

— მე კი მომწონს და ვიცი კიდევაც! — უტიფრობაც და სიტყვის ძალაც მისკენ იყო. „ვეცი“ დამირტყა, მე „უვიცობა“ შემერჩა. სიტყვის ამბორუნება ვცადე.

— მომხიბლველი სახეა... იქნებ ტიპიც... ჩემი გმირია!

ტუხამ ერთი წარბშეკრულად შემომხედა. საფეთქლებზეც წამოეკიმა ძარღვი. მერმე ნელნელა გაეშალა წარბები... ფართო, ღიზღი ღიმილი გადაებადრა სახეზე — თქვენი გმირია? თქვენ მოთხრობას წერთ?... ვანაგრძეთ, ვანაგრძეთ... მხატვრულ გამარჯვებას გისურვებთ! დამერწმუნეთ — არც ხელის შეშლა, არც მეტოქეობა, არც იპვი... ვაჟკაცურად მენდეთ... მეც გენდობით, აი ჩემი მარჯვენა! — და სუფრის სიგრიძვ თავისი გრძელი ხელი გამომიწოდა.

ეს უკვე მეტისმეტი იყო. ნარდიბაზრულად შევავტრება და თავის უწამურ ზრახვის მოწმედ და მონაწილედ მისვამს.

არაყით სავსე ჭიქა ავიტაცე და ხელში მივაჩიჩე. ზედაც მაყვალა შემოვი-

და, ორთქლიანი ხორცოვანი შემოიტანა.

ტუხამ უმაღ საჭე თავის სასარგებლოდ შეატრიალა:

— ეს კი ამ გზის უღამაზესს გაუმარჯოს! აღმათ ამ გზაზე აღმა-დაღმა ამის ბედიც მანქანით დაჭერის და დაეძებს... იქნებ კარშიაც აკაკუნებს! — წამოდგა, კარში ხელი გაჰყო და მოუკაკუნა, — კარი გაუღე ლამაზ-ქალო, გული და ბედნიერება მოაქვს!

მაყვალამ თავი დაჰხარა. მეც... ნუთუ უტიფრობას საღმე, როდისმე მართლა მოაქვს ბედნიერება?

ტუხამ კი არაყი გულდაგულ გადაჰკრა:

— აგრე მტერი დაგეცალოს! — ჭიჭა ცერის ფრჩხილზე დაირეკა, სარკმელი გამოაღო და შორს გზაზე გასტყორცნა. გატეხილ შუშის ხმა უკან რომ მოგვეწვდა, ზედ რიხიანად დაეყოლა, — ასე კი დღეშმანი დაგელუწოს! ბროლი ჩემზე იყოს — გული და მასპინძლობა შენზე! აი ეპოქის მოწმეც აქ არის — მწერალია, ჩვენსავით უბრალო და უმიზეზო არ გეგონოს!

უტიფრობას ახლა მლიქვნელობაც და დაიწვაც მიუსადაგა. გულმა წამომაგლო. მწარე სიტყვას ვეძებდი. აღმოვაჩინე, რომ საჭირო სიმწრის სიტყვა და ქცევა არ გამაჩნია. ახლა, ეს — დამარცხებას უდრიდა! მაყვალაც რაღაცას უტყვად, თვალმოუშორებლივ მეძუდარებოდა, მაგრამ მასაც ვერ გავუგე. ეს უკვე დამარცხებაზე მეტი იყო!

ბედად ბარათა შემოვიდა, შინაური ლეინო შემოიტანა. ორივეს, არა სამივეს თვალგამპირიანად ვადმოგვებდა... რაღაცა ეწყინა..

— დასხედით! რა ძიქილა მამლებივით წამოვარდნილხართ? ისევ ტუხამ დამასწრო:

— არა, ბარათავ! შე საქმის კაცი ვარ... — ცალი თვალთ მე ვადმომხედა, — ჩემი შემოსევა ამ ოჯახში იყოს ხელსავე და ფეხბედნიერი! — ახლა ტოლჩიდან დაასხა ლეინო, — საღამოს ჩამოვივლით... ხინჯალი კი მაყვალაზე

იყოს! შენ კი, ბარათავ, თელიან ტყეშიაც გნახე და მაყვლიან ოჯახშიაც... მამაჩემიც შენისთანა აღაღმართალი კაცი იყო... აკი ასეთ სიღარიბეში ამოხდა სული... — თვალი მოავლო ბინას, — არც სახლი დამთავრებული, არც ავეჯით გაწყობილი... ცხოვრება კი გზაა, აღმართ-დაღმართი... მისახვევ-მოსახვევი... შენ მოხერხებულება. როგორც გივლი ამ გზას, ცხოვრებაც ისე დაგიროცდება... ახლა ვამომუშავებულება საქმე! ყველამ თავისთვის იზრუნოს და ყველა ისე იქნება ბედნიერი, როგორც მას შეუძლია და ეკუთვნის! მეც მწერალი ვარ, ჩემი სასიამოვნო ცხოვრების საქმით მწერალი!

— ასე მგელიც კი შოულობს გზაზე ბატკანს! იმ დღესაც ერთი დაგლიჯა! — ჩაუკაკუნა ბარათამ.

— ალალი იყოს! ყველანი სწორები ვართ, ჰოდა ეს გაერთიანებული ქვეყანა, ვინც მოიხმარს, იმისია!.. დანარჩენი საღამოზე ვთქვათ... ერთი დარიცაც მითხარ ბარათავ! შენ ხომ ამ ხეობის მინდია თუ ამინდის ბიურო ხარ?

ვუსმენდი და დაბნეულად ვფიქრობდი, ნუთუ მახათელმა ჩვენზე მეტი იცის? ჩვენზე მეტი ესმის ცხოვრებისა, რომ უტიფრობს და დაგვეცინის კიდევაც! თითქოს გვათამამებს და საქმესაც აკეთებს... მაგრამ რა საქმეს? თანაც სჯერა რომ მას ყველაფრის უფლება აქვს და არსებითად მართალია!.. და ამ უპირატესობის გრძობით გამსჭვალული, ჩვენ დასაყვავებელ ბალღებადა გვთვლის?

ბარათამ, დაბლად მფრინავ ნამგალა მერცხლებსა და კვირიონებს შეხედა...

— გზაზე წვიმა და ნისლი იქნება... მაგრამ ტუხას კიდევ რაღაცის გაგება სწადდა:

— ტყეში? — ცალთვალთ ვადმომხედა-საოცარი რამ შევამჩნიე... იქნებ პროფესიული — მძღოლური იყო... ერთდროულად ორ მიმართულებით შექმლო მწერა, ვგონებ ლაპარაკიც, აღმათ მოქმედებაც... დიდი ნიჭის პატრონი იყო, ეს კი უღაო იყო ჩემთვის.

— ტყეშიაც... — მიუგო ბარათამ, — ამაღამ ჩვენი „ტყის კაციც“ აქ უნდა მოვასვენოთ.

მახათელმა დაუშვა ორთავ თვალი. ჩანს გასაგები — გაიგო.

— ჰოდა, მით უმჯობესი! „ქალაქელი მგზავრიც“ არსად გაუშვათ...

ახლა კი ვერდაფარული ღვარძლი და შუღლი ვიგრძენ მე მისთვის აბეზარი „ქალაქელი მგზავრი“ ვიყავი, ამ „მაყვლიან ქოხში“ სულ შემთხვევით შემოხეტებული... თავს კი დაპატიყების უფლებამოსილად თვლიდა.

მახათელმა ღვინოც არაყივით ერთბაშად გადაჰკრა და გარეთ გავიდა. ახლა იქიდან მოისმა მისი ხმა.

— მაყვალავ, გენაცვა... ერთი კოკით წყალი გამოძირებენინე...

მაყვალა უხერხულად შეტრიალდა.

— მე გავხედავ, შვილო! — შეაჩერა ბარათამ და აივანზე გავიდა. სარკმლიდან შევნიშნე: არა კოკით, კასრით წყალი ჩაუტანა. მღვრიე არაგვის წყალი იყო. მალე მანქანაც კრაზანის ხმაზე ატუხტუხდა და წავიდა.

იღლიზედ სხვა მანქანებმაც აიარჩაიარეს გუგუნით, ზრიალით, ბუბუნით, ჩხაკუნითაც კი, მაგრამ კრაზანის ხმა არც ერთს არ ჰქონდა. მაშინ მივხვდი რომ სმენასაც აქვს რაღაც გულისხმა, რომელიც ჯერ უხილავს, აზრით მიუგნებსა და განუტყვერეტელს თავის კილოვლერას აძლევს!.. ეს კი უსათუოდ სკირია მწერალს!

ბარათამ უკან შემოიტანა წყალი.

— აღარ დასკირდა... წელან ერთი სიმართლე კი თქვა — ცხოვრება გზა არისო, ჰოდა, გზა ხშირად სცვეთავს აღამიანს... გაცვეთილ ნიჟს კი — გაცვეთილი ქალამანი ჯობია!

ტუხას წასვლის შემდეგ, ბარათამ თითქოს მადა გაეხსნა. საერთოდ ჩვენს შორისაც „ნახატარული“ უშუალოდ უხილავდ აღდგა.

ნასაუზმევს მაყვალა სახინკლე ცომის სამზადისს შეუდგა. ბარათამ კი სასროლი ბადე გამოიტანა და ჩაწყვე-

ტილ ლანძვებს უწყო ამოსვენა, თან საუბარი ამოაბა.

— არა უშავს რა წიგნი დაგიწერია, ამ ჩემ წუნისაც კი მოეწონა... გოგოვ, ცომში კი ნუ ჰყოფ ცხვირს... კარგიც უთხარ, მაგრამ ნაკლიც არ დაუფარო... ცხოვრების პირის შექონეს უიმედობა და ჩრდილიც არ უნდა ჰქონდეს დარეული, თორემ სულ უჩრდილობა ხომ არ იქნება დედამიწაზე! — მეც, მაგრამ თავის შვილსაც შეუტია და მართლაც ცომში ჩააძვინა. უხერხულად წამოვეშველე:

— რას ერჩი, ხინკალი არ დაგვიშლავს!

— აბა, მარტო თქვენ უნდა ამაღამოთ წიგნებშია?

ვერ მივხვდი, ეს მარტო მე შემეხებოდა თუ ყველა მწერალს. მეც დაეხვდი:

— დამკარ, ვნახოთ რა გამაჩნია!

— ბლომად კი გაგაჩნია, მაგრამ ბევრი ფუჭია! ჭიანი კი არა — ფუჭია.. აი იმას კი... — ბაღიანი ხელი გზისაქენ გადაიქნია, — ვშიშობ — ჭიანი უნდა უარბობდეს!

— ფუჭი მაინც ჯობია ჭიანს! მაყვალავ დამეხმარე! — უხუმარ-სახუმაროდ შევემუდარე. მან კი ცომი ხელში ააბურთავა და ალბათ არც გასაგონად წაიჩურჩულა:

— ფუჭი ან ჭიანი რას მიქვია! მე — გულსავსობა მწამს!

— ეგეც შენ — მწერალი! სწორედ ეს გულსავსობა გაკლიათ!.. გული ან დიდი დარდით, ან დიდი სიხარულით უნდა იყოს აღსავსე, რომ სხვასაც სასიკეთოდ აუჩქროლოს გული და სული! ცხოვრება უფრო რთული, უფრო ძნელი და უფრო ღრმა ფესვიანია, ვიდრე ფიქრობ! შენ რომ წერ ასე რომ იყოს — რალა გვიქირს... — ბადე დაახვია, მხარზე მოიგდო და იმავე კილოთი განაგრძო, — წამო, არაგვზე ჩავიდეთ... ბადეც ვცალოთ... ბედის მონახვერე!

უსიტყვოდ გავყევი. ეზოს მიღმა, რიყეზე რომ გავედით, ვიგრძენ — ცომიან ხელებთან მყურარობის ნაწილი

დარჩა ბარათა კი თავისას განაგრძობდა.

— შენ შეაღოსა... სთხზავ და შენ ამბისათვის ცხოვრების მისადაგება გწადს. ნამდვილად კი სწორედ უკუღმა ხდებდა — ყოველ ჩვენთაგანის ბედი და ამბავი ცხოვრების კალაპოტში ითხზება და მას ესადაგება თავიდანვე. შენს კალამს ერთი ფერი და კვალი გააჩნია, ცხოვრების თითო ამბავში კი ათასი ცისარტყელა და გველჭრელი თავს იყრის, ერთად იკონება...

წინ მიდიოდა და თითქოს თავისთვის მისაუბრობდა. არაგვს წავედქვით. ახლა აღარც მესმოდა მისი საუბარი... მდინარის მღვრიე ტალღამ თვალი მომჭრა ულოდნელად, ყოველგვარ შინაგანი მსგავსების გარეშე, ცომიანი ხელები მომელანდა ტალღაში.

ბარათამ ბაღე მოიმარჯვა, უბის კიდე პირში მოიგდო და ჩემს გასაგონად კბილებში ვაცრა:

— აი, ეს ბაღე უფრო რთულია, ვიდრე შენი ძველი და ახალი მოთხრობა... არაგვმა უმალ ჩაღუჭა და ჩაყლაპა ბაღე... ქვერღეე გამოიჩიყა, სამიოდე კალმახი ამოაყოლა.

— ახლა მე ვცდი... მებაღურად იქნებ ვივარგო?

— არა მგონია, — თოკ-ბაღე აკეცა, გადმომცა და ხელი გზისაკენ გადაიქნია,

— ის კი ნაღდი მღვრიე წყალის მებაღურია...

— მაშინ ჩვენ თევზები ეყოფილვართ... ისიც მღვრიე... წყალწაღებულნი? ბაღე ცუდად ვტყორცნე. ერთი ციდა კალმახი შაინც დავიჭირე. რიყეზე აფართხალდა, მაგრამ ისევ წყალში გადამისტა... ბარათას ჩაეღობა:

— ცხოვრებაში ბევრი რამ წალმა-უკუღმა სათქმელი და საფიქრალია... აი თევზი მხოლოდ რიყეზე დარჩენილი ითქმება წყალწაღებულად!

მე მიეხვდი რომ ყოველი სიტყვა ქვევრით არის, რითაც აავსებ იგივე დაგიღვინდება. მწერლებო, ერთდეთ ცარიელ ქვევრებს!

შემდეგ ბაღე უკეთ ვტყორცნე.

სამხრობისას მაყვალა ცემული და სათევზე კალათი მოგვრტანდა არაგვმა. ირიბ სხივების ნაშუქზე იცვალა ფერი, სპილენძს თუჯი გაჰქრა. მზემ ნაპირა ძეწნებისა და შორეულ მთების ჩრდილები უკვე კარგა შეატრიალა. ქედის ძირებში გზაც ბადის თოკით დაგრეხილიყო. მანქანების ტუხტუხი არაგვის ხმაურში აღარ ისმოდა და მათი უხმაურო მოძრაობა ფერად თევზების სრიალს ჰგავდა. ბარათა ბაღე-ბაღე ჩაჰყვა არაგვს. ჩვენ სამნი დავრჩით, მაყვალა, მე და მღვრიე არაგვი. სულ ახლო მის ზათქის საწიერში მივეკეით და გავბუსუნდით. მაყვალამ შეტალახებული ახალმაწიები წაიყარა, ამოავლო და მზეზე გასაშრობად დასდო... ფეხშიშვლობის შერაცხვა და მღვრიე წყალში წაჰყო, შეაფარა.

ტალღები გახელებულ, თავქედჩაქინდრულ ზაქებივით ოკრობოკროდ მოგვლავდნენ, მხოლოდ შეჯრილ ხერხემლებს გვიჩენდნენ. თითქოს ჩვენც გაგვიტაცა სტიქიურმა ძალამ... ტყუუპად მიგვაქროლებს წყალწაღებულთ... ხმელეთზე კი რიყესავით „წყალწაღებული“ თევზი ყრია...

მე დაგწერ, სახეებში და სიტყვებში აგაქღერებ, არაგვო... აი ასეთს — მღვრისა და დორბლიანს, ვაჟაკურსა და მქუხარეს... რომელიც სულ დის, სულ იბრძვის — გახელებული და მოუსვენარი... გინდა ცხოვრება დაარქვით მას, გინდა შემოქმედება... გინდ სინამდვილე, გინდ თხზული!

გვიან მიეხვდი რომ ბარათას ვეღვებოდი ხოლო უფრო გვიან, რომ მე არაგვს ვეფიცებოდი, გულს ეუხსნიდი... ჩემს გვერდით მჯდომი მაყვალა კი იცრემლებოდა.

შევძრწუნდი. სათნოების თვალსაზრისით განა ადამიანის თითო ცრემლი თითო არაგვად არ ღირს? მე ადამიანების შესახებ ვწერ მოთხრობას, ადამიანობა კი ჩანს შაკლია! ჩემს გვერდით, ჩემს გმირებს — ცოცხალ ადამიანებს, მარტოობის გრძნობასაც ვერ ვუქარ-

წყლებ... ცრემლი ხომ მართობაა!

ნუთუ მწერალი იმ თაღლით მოთამაშეს ჰგავს, რომელიც თავის გმირების ქაღალდებში ჩუმად იხედება და ისე თამაშობს მათთან? ყველას სათითაოდ აკორტებს და აუბედურებს! მე ჩემდა თავად ვხევ ასეთ ქაღალდს!

მაყვალა კი არაგვში იცქირებოდა და ტიროდა.

— ძმის გამო?... ნახატარის გამო?..

— არა... — თვლებში მღვრიე წყალი პეშვით ამოვიღო...

— ტუხამ გაწყენინა?

— არა... მახათელმა არა... თქვენი... რათ მოჰკალით ის ქალი — ნუკრია, უკანასკნელ ხელნაწერიდან!

— ჩემი ხელნაწერის ქალი გადარდებთ? მას მელნის სისხლი ჰქონდა და ქაღალდის კაბა... აი, არაგვის ქალი კი სულ სხვაა — ცოცხალი და ძე-ხორციელი! მაცალეთ ამასაც დავეწრა!

— მელნის სისხლს ჩაუყენებთ, ქაღალდის კაბას ჩაიცმევთ? — სულ თავჩაქინდრულად შემეკითხა და მეც მდინარის გრუხუნის მიუხედავად მაინც გავიგე.

ნუთუ მანკიანი სმენა მაქვს — ჩუმს ვიგებ და ხმაილაღს ვერა?

ესეც ვიგრძენი — მე ისევ ჩემი ვანცდებით ვიყავი გართული, არაგვის ქალწული კი ისევ ფიჭვის გარე მრჩებოდა. ჩანს ეს მანაც იგრძნო და მწარედ მკითხა.

— ნუთუ თქვენ რასაც კალამს დაადებთ — ყველაფერი კვდება? ყველაფერი უიშვდოა? აი, თქვენი წიგნი...

საღდაც, რომელიღაც ნასკეში, ვგონებ მართებული იყო შეკითხვა.

— აღარ, მაყვალა! ახლა მაინც... ყველაფერს ახალ თვლით ვხედავ... ოღონდ ეს თუ გამოსცვლის მათი ბედის სვლას! რასაც შევახებ ჩემს კალამს — იმედიანად შევახებ... ეს თუკი ვინმეს შეუძსუბუქებს ღუხურს! მე ხომ მთელ ქვეყნიერების სიყვარული მამოქმედებს... მოქმედება ყოველთვის გამართლებულია, მაშინაც კი — როდესაც ვერ აღწევს მიზანს!

— ქვეყნიერება გიყვარს? — გულნაკლულად გაიმეორა ქალწულმა... — ჰოი, რა ბევრია!

გულზე მიკბინა უკემა — ნუთუ აქაც მანკი მაქვს — ბევრი მიყვარს, ერთი უსაყვარლესი კი ვერა?

— მთელი და არა ბევრი! ყველა მიყვარხართ... აი ბრძენი ბარათაც, შენც. ის გრძელხელება ნიჭიერი ტუხაც...

მაყვალამ უფრო ჩაღუნა თავი, მერმე შინისაკენ გაიხედა.

— აი მოდის კიდევაც თქვენი... ნიჭიერი...

ბარათას სახლის დაუმთავრებელ აივანზე ტუხა გამოჩნდა, ეზოში ჩამოვიდა და რიყე-რიყე ჩვენსკენ მოაშურა. მოსვლისთანავე ქალის შიშველ ფეხებს იკვირანად შეაჩერდა.

— აქ სად წამოსულხართ?

— ეთეგზაობთ! — მეც ვანგებ ორკოფულად ვუბასუხებ.

— აბა თუ არაგვში ორაგული არ დაგაჭერინო! — შეფარულ მუქარით მითხრა, მაგრამ წყალჩაყოლებით ბადიანი ბარათა დინახა და უცბად დაცხრა.

— თუ თეგზაობაა და... ბანობაც იყოს! — ხალათი და მისისურა ერთად ამოიბრუნა ზურგიდან, — აბა მოუსვი შინისაკენ... იქ პურმარილს მიხვდეთ! მაყვალამ უმაღ ახალმაშიები ჩაიცვა, წამოდგა და მე შემომხედა...

— არ იბანაოთ, ნაიდრალია... ხომ ჰხედავთ რა ცოფებსა ჰყრის!

— არიქა ქალო, გამასწარ! — მახათელმა ქამრის ბალთა ნიშნისგებით შეიხსნა.

მაყვალა მობრუნდა და წავიდა.

— აბა, რომელი გავალთ გალმა? — ტუხამ ხელი აღმაცერად ამიქნია.

— შეჯიბრება?

— არა ჯიბრი! — თან მიმავალ ქალს მრუში თვალი გააყოლა. არაგვივით ამომერია სიბრახე:

— თხა — თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოს!

ესეც ვთქვი და უეცრად დავეწყნარდი, წარმოუდგენლად დავეწყნარდი... იგი კი უკვე მალალ ჩახმახზე იყო.

— შეკამოსი! — და შარვალიც ფიცხლავ წაიძრო. მუქ მარმარილოში მოკვეთილი კუნთოვანი ტანი გამოაჩინა.

მეც გახდა ვიწყე. თან არაგვის მღვრიე ჩქერი, უკვე შიგ გამსვლელის თვლით მოვზომე. წყალუშიშობა თავიდანვე მომდევდა. მთის მდინარის გამოცდილებაც მქონდა. აქ მალალ წელამდე დაგვკრავდა წყალი... სიღრმე არაფერი, მუხლს კი უსათუოდ ჩაგვიშლიდა, მოგვსხლტდა ჩქერი. ეგეც არაფერი... მხარულს გაგვკრავდი, მხარს ვიცილიდი, ისევე ფეხზე წამოვდგებოდი... ფერი ის იყო — ცოტა ქვერეღე დიდ ლოდების ღორღი იყო. იქ თუ ჩაგვითრევედა ტალღა — კარგი დღე არ დაგვადგებოდა არც ერთს!

ზედმიწყობილად გამახსენდა, რომ ეს შიშველი, კუნთოვანი და გრძელხელბა კაცი ჩემი მოთხრობის გმირია და ახლა მევე მებრძვის. მწერლობა კი მარტო ნიჭი როდია, არამედ ხასიათიც და გამბედავობაც! მხდალ ნიჭს კი უნიჭობა სჯობია... ჯიბრში და ბრძოლაში მხდალი — ცხოვრებაში მუდამ შლიქვნილი არის!

ფიქრსა და ხელს შუა ტანისამოსი შემომეღია. მეც უკვე შიშველი ვიყავ.

— კალმოსანო, შენი ხელის ძალა ვიცი... ახლა მუხლის ძალაც ვცადოთ... ჩემთან კი გაგიჭირდება, მე ხომ მთაში ნავალი გეოლოგიც ვარ!

— ვცადოთ. არ მოტყუებდე...

— იქნებ შიშობ... მაშინ ჩაიცივი და მე თავად წაგიყვან ქალაქში... გზასაც დაგილოცავ...

— მე თავად მოვედი და; როდესაც მოვიხასიათებ, თავადვე წავალ!

— ხასიათებში... მე ტუხა მახათელი გახლავარ — არ გემცხეთოს!

ერთმანეთს, თითქოს ხუმრობით გეჯიქურებოდით, მაგრამ წყალში არც ერთი არ შევედიოდით. სახლისაკენ გავხედე. ბარათა უკვე შინ მისულიყო, აივანზე ბადეს გასაშრობად შლიდა.

ბადის უკან კი ძლივს შესამჩნევი ჩრდილი ჩანდა. მის თვალსა და გულისყურს მე ჩემთან ვგრძნობდი.

— მე პირველი გავალ გლმა! — არაგვის ქაფში პეშვი ამოვუსვი და თავზე გადავივლე.

— რატომ შენ? კენჭი ცყაროთ!

ჩვენ უკვე ნაშიშველ ხანჯლებივით ვიყავით. ტუხამ რიყეს დაჰკრა ორივე ხელი ორივე დამუჭა და გამომიწოდა.

— კენჭი მიღის!

— მარჯვენა! — ხელით გავკენწლე. მახათელმა გადიხარხარა, ჯერ მარჯვენა გაშალა... შიგ კენჭი იყო. მერმე მარცხენა. კენჭი იყო მარცხენაშიაც.

— ორკენჭიანობ?

— მუდამ ასე ნაღბზე ვარ. ჩემი მოძღვარი — ცხოვრება და ეს გზა არის!

— მაშ ამ გზაზე უკენყო, ან ერთკენჭიან კაცს ვერ გაუვლია?

— მიდი, მოგყვები ფეხდაფეხ...

წყალში შევდგი ფეხი. ვეფხივით მეცა არაგვი. ცივი ბრტყლები მჭიდა.

— თუ წაიქეცი — წამიბიძგებ! ჰა!

— ხმააწუხლად შევძახე.

— რატომაც... გზაზე თუ გადამიდგები... — თან მომყვა, მომაყვირა.

— რომელ გზაზე? — წყალქვეშა ქვას ფეხი წამოვკარ, მაგრამ შევსწორიდი, უფრო მივაყვირე, — რომელ გზაზე მეთქი — კაკლიანში, თელიანში თუ ქაცვიანში?

— არა, მაყვილიანში!

მუხლში დამარტყა მღვრიე ტალღამ, ტერფებქვეშ ჩამიშალა ხრეშინი. ხელებით დავიცავი წონასწორობა. ტარზეც ამესხურა წყალი და უფრო დამადინჯა, სიცივის პირველკრთომა დამაკარგვინა.

— არაკს გეტყვი — მგლისა და ირმისა...

ნაბიჯმოზომილად ვიდოდით და ვყვიროდით.

— ახლა სთხზავ... მიდი, მიდი... მეც ახლავე გეტყვი... მგელთან — მგელი ვარ... ირემთან — ირემი!

— ცრუობ! ნადირთა სამყაროში არ გაგონილა ასეთი თვალთმაქცობა!

არაგვის ამღვრეული ჩქერი წელზე შემახტა. მოსხლეტაზე ვიყავ, მაგრამ აღარ მოვბრუნდი. შუა ჩქერში შევიჭერ... ახლა ჩემს ირგვლივ ყველაფერი მოძრაობდა და ღრმად მასუნთქებდა. დენა-დენა ირიბად ჩაეყევი... სხეულს წონა დაკარგული ჰქონდა, ახლა მხოლოდ სწრაფვა იყო... სწორედ ჩემს სამყაროში ვიყავ. სტიქიონს ვებძოდ. მოთხრობას მთელი არსებით ვწერდი... უფრო მეტიც — იგი თავისთავად იწერებოდა...

უცერად ჩემს უკან, ცოტა ზევით დგაფანი გაისმა. მახათელი მოსხლიტა ჩქერმა. მაკრატლად აღმავალი ფეხებს შევასწარ თვალი. მყისვე ჩემთან ჩამოაქროლა ტალღამ, ხელჩამკვდარად მწვდა ფეხში, მეც მოსხლიტა... ორივე ღარში მოვხვდით, მე წინ, ის უკან. ახლა ქაფში ვართ. თვალის ხამხამში ლოდებს მივეწარტყებით. მთელი სხეულით შემოვბრუნდი, წინა მთავიქნიე. ძლივს დაუსხლტი ტუხას მარწუხა ხელს, ფაფარა ტალღას პირველ ლოდების ღარში მალაღლი მოსმით გადავყევი, ქვის ამოშვებოლ ქიმს ხელი ვტაცე, ტკირპასავით მივეკარი... ტანი კი ტალღამ თავად შემიგდო ლოდზე.

ზედაც ღარის თეთრ ქაფში — შავი, გალუმბული ქოჩორი და ვეება, თითქოს ყოვლის მთქველფაფი ღია ხახა ამოჩნდა. ვიდრე აზრზე მოვიდოდი, ქოჩორში ვწვდი და წყალნაყლაბი ხახა-გულა ჩემ ქვაზე შემოვიწვინე. მხარში შევეუღმე და ნაპირზე გასუსულ მგელივით გავავდე.

მალე გონზე მოვიდა, ქოშინი მოიოკა და ხელი გამომიწოდა.

— გაღმა ვერ გავედით ვერც ერთი.. ეს იყო ჩემი მეორე კენჭი. თუ მე არა, არც შენ! ახლა კი წამო, ჩავიცავთ... ჩემს ქორწილში ნათლიობას გთხოვ!

მისი უტიფრობა არაგვზე უფრო ზევადად მეჩვენა.

ხეობაში, ჩრდილთან ერთად, ნისლიც ჩამოწვა. შიგადაშიგ თქორიც მოიბა. აივნის კიბეზე მაყვალა შემოგვეფეთა. ვაფითრებულ იყო. აშკარად — მას

ყველაფერი დანახული და ნაგრძნობი ჰქონდა.

— აბა მაყვალ-ქალო... <sup>არცერთი</sup> სახინკლე ქვა... ბი თუ დღეს? — მაგრამ პასუხს არ დაელოდა, — ამ კალმოსანზეც მალარიჩია — შესანიშნავი მასალა იშოვნა, არაგვზე თხზული.. როგორ?.. ჰო, მგლისა და ირმის არაკი! — და ისევე უდიერად შემომიბტია, — არა, ირმობასა და სხვის მიერ შექმმას, მაინც მგლობა და თუნდაც იმ ირმის შექმმა მირჩევნია! — ისევე გავგორივდა, მაგრამ აივანზე კასრში მღვრიე არაგვის წყალი შენიშნა და იტოშა. შებარბაცებულად ოთახში შევიდა, სუფრას მიუჯდა და არაყს სწვდა.

მაყვალამ როცა პირველი ხინკალი ჩამოატარა, გარეთ უკვე ბინდდებოდა და მსხვილმარცვლად წვიმდა. ტუხა და ბარათა კარგა ნასვამები იყვნენ.

მახათელი რატომღაც სასმელს აძლებდა მოხუცს. იგიც მასპინძლორ სირცხვილში ვარდებოდა და სვამდა. ალბათ სისწრაფისათვის არაყიც შეუნაცვლა და მალე მოათრო მოხუცი. თავად კი გულის ჯავრზე, სულ არ ეკიდებოდა ღვინო.

ჩემთან თავაზიანად, მაგრამ სიტყვაძვირად იყო. კარგა ჩაგვალამდა. ბარათა მალე მიწვა და ღრმა ფშვინვა ამოუშვა. ტუხა ფეხს ითრევედა, მეც არ დავავდე „მაყვლიანი“. ბოლოს შემეკითხა:

— ამდამ აქ დარჩებით თუ ისევ კაკლის ძირში ახვალთ?

— არა, აქ დავრჩები... — ბარათას გვერდით გაშლილ საწოლზე ნიშნის გებით მიუუთითე... მაგრამ შევეცი — სრულიადაც არ გამსკდარა კივიანზე, ვგონებ იამა კიდევაც. მე კიდევ არ ვიცნობდი ჩემს გირს!

ქალმა სუფრა მილაგა. მე კი ერთხელ კიდევ ვცადე ტუხას კბილის მოსინჯვა:

— დაისვენე მაყვალა! ჩვენ აქ თავად მოვრიგდებით...

— დიახ... დიახ... მოვრიგდებით! — უმალ დამეთანხმა, „მეგობრულად“ თვალი ჩამიკრა მახათელმა და ისევ სახტად დამტოვა. თითქოს ისევ ორი კენჭი ჰქონდა. მაყვალამ თავისი ოთახის კარი გაი-

კეტა თუ არა, მახათელიც აჩქარდა, ხელი მაგრად ჩამომართვა და წავიდა.

მეც მივწევი ტახტზე. ღია სარკმელში მანქანის ტუხტუხი და ბრუნვა ისმოდა. ბოლოს მაინც კრაზანის ხმა გამოიღო და აღმა თუ დაღმა — წვიმაში წავიდა.

ღილით გვიან გავიღვიძე. ბარათას საწოლი უკვე ცარიელი იყო. დარაბა გამოხურული დამხვდა. ხელი გავკარი. მზის ბრწყინვალეობამ თვალი მომჭრა. აგდექი. შინ აღარაღინ იყო. მხარზე პირსახოცი გადავიგდე და კაკლის წყაროსაკენ დაბარებულვით გავწიე.

მაყვალა იქ დამხვდა. კოკაც აევსო და ტოლნაც. თავი მუხლებში ჩაედო, ხელეზიცი მოეყარა და შორს — არაგვისაკენ ფიქრინანდ იცქირებოდა.

— მაყვალა! — ჩემათ ვუთხარ, — წყარომშვიდობისა!

შეკრთა, მორცხვად ჩაელიმა:

— ასეთი საღამო ჯერ არ გამიგონია! — ნელა შემობრუნდა, მაგრამ მეტი არა უთქვამს რა. რაღაცას მოელოდა. მეც უხერხულად ვიდექი და პირსახოცს ვაქინმამჩებდი. ქაღალა ნელა წამოაქცია კოკა და წყალი დამისხა. თან შემეკითხა:

— თქვენ თუ გიყვართ თქვენი გმირები... აი წიგნიდან!

— ჯერ კი, როცა ვწერ... მერმე — არა. ისინი მძარცვევენ, გაუკითხავად მიაქვთ ჩემი მადლი და კარგი. ჩემი ნაკლი და დუხჭირი კი არცერთს არ სწადს გაიზიაროს... მტაცებენ გრძნობებს, აზრებს, სიტყვებსაც კი აღარ მარჩენენ... დამეებს მატეხინებენ და ხშირად პირად სიყვარულშიაც მედავეებიან!

— ეს როგორ?...

კოკიდან წყალი იღვრებოდა.

— ეს, არც მე ვიცი, როგორ?

— ღმერთო ჩემო... რად ჩამოხვედით ნახატარის ტყეში?

— მოთხრობის დასაწერად... ნამდვილად მოთხრობის დასაწერად!

... კოკიდან წყალი კვლავ იღვრებოდა.

— დასწერეთ მაინც?

— ვწერ... აი ახლაც ვწერ...

— მაშ ასე... მკვდარს აცოცხლებთ და

ცოცხალს ჰკლავთ!? — წამოქცეულ კოკას სულ შეუშვა ხელი... დიდხანს, თვალგატეხილად მიმზირა. ახლაოა მიგხვდი საღლაც გადავაჭარბე თუ მივაკვლარსებითი, დავიბენი და წამიხდა საქციელი. აქამდე მოთხრობა იყო, ქარგა იყო... ამის იქით კი... უდაბურობა იწყებოდა... ისე როგორც არაგვში — სხეულის წონი. დამეკარგა. კოკიდან კი დიოდა წყალი... იცლებოდა წამოქცეული კოკა... ხელზე მელერებოდა, მშრალ ხევის კენჭებში მიიპარებოდა, როგორც დაუფასებელი დრო... და საშველი... შიდა ტალღას კი მოჰქონდა სიმხურვალე, დაბნეულობა და თითქმის დაბლა. არცერთი კენჭი არ მქონდა ხელში!

— მწყურია! — ძლივს აღმოხდა ქალს და თავი წყაროსაკენ იბრუნა.

— მეც, მეც მწყურია!

ორივე ერთდროულად წამოვიხარეთ და პირდაპირ წყაროთვალს დავეწაფეთ. ჩვენი სახეები ჯერ გაბადრა ანარეკლმა, მერმე აერთა. ტყუბი ქაღალი წავიდ-წამოვიდა სველ სარკეზე. ჩემი ლოყა არც მარტო ანარეკლში გაეკრა ქალწულის ლოყას... ჰოი, რა ხარბად ესვამდით! ჩვენ ტუჩებს ქვეშ გრილად, საღებუნად დღუდა წყალი. წყაროს კლიტულში ჩვენი სუნთქვა, ლტოლვა და კრთომა ფეთქავდა. უსაშველოდ გაიზარდა, ზღვას დაედარა ორი ტუჩის დაღება წყარო.

უცხად შევზინდი. აი, ახლა შემოვბრუნდები ქალს დავტაცებ ხელს, სველ ტუჩებს დავეკონები და გაჰქრება წყაროც, კაკლის ძირიც, მთელ ნახატარის ტყეც და ცხოვრებისა თუ სიყვარულის გზა ყველაფერს დაეუფლება. ... მაგრამ უკანასკნელ წუთს უშუალობა, გაბედულობა თუ უტიფრობა არ მეყო და სახე წყაროში ჩავრგვი.

ქვევიდან მანქანის საყვირის ხმა ისმოდა... ისიც მოვიდა... აქ რომ ყოფილიყო, ერთ წუთსაც არ დაფიქრებოდა, წყაროშიაც ორკენიანიად შესტოპავდა... მას ხომ არაფერი არ ჰბორკავს, იცის რა სწადს... მე კი ზნეობრივ და თვისობრივ ქარგებს ვთხზავ და დაეეჭებ... და როცა ვპოულობ, მაშინ თავად ვიკარგები!

არავკიმი დასწრებულად ვაჯობე მას, ორკენუიანს, მაგრამ აქ წყაროში დაუსწრებლად ვგონებ მაჯობა! აი სად ვიხრჩობი!?

მაყვალამ ათროლოებული ხელი წამავლო და წამომწია, წყაროს წყალზე უფრო ცივად მითხრა:

— ამ უხმოზე არ გაწყინოს ამდენმა წყალმა!

...მოვიხედე... კოკიდან აღარ დიოდა წყალი... ყავლი გასული იყო. შეგვიანებით მივხვდი რომ, სიცოცხლის უპირველეს კანონის წინაშე საშინელი მკრეხელობა ჩავიდინე. აღლოს ძაბილს თავის დროზე ვერ ავეყვი, ყავლი გავუშვი და ახლა მთელი ცხოვრება სანანებლად თუ დამრჩენია...

ქვევიდან მახათელი ამოვიდა. შორიდანვე ხელებს იქნევდა. ზევიდანაც შესფოთებული ბარათა გადმოგვადგა. სახე სულ აღეწილი ჰქონდა.

— რა ამბავია მამავე?

მაგრამ ბარათა დუმდა, მით უფრო ამჟღავნებდა თავის შესფოთებას.

ახლა ქვევიდან შესძახა მახათელმა:

— აქედან არის? მე მაშინვე ეჭვი ავიდე! დილა აღრიან ქალაქისაკენ მიაქროლებდნენ!

— აქედან! — ხმადავარდნილად დაუდასტურა ბარათამ, — ათი მოჭრილია, ხუთი წალეებული...

— ნახატარის თელეები? — არანაკლებ შესფოთებულად შევძახე, — წუხელ... ჩვენ რომ ხინკალს ვკამდით?

— ჩანს წუხელ... დილას აქეთ მომავალს ახალმოჭრილ ხეებით დატვირთული მანქანა გადამეყარა... მაინც ვიპოვნე... ამ გზაზე არაფერი არ დამეშალე! — გულდაგულ ბოზოქრობდა მახათელი, — მე მაგათ ვუჩვენებ ტყის მტაცებლობას! აქ მაღალ ძაბვის მშენებლობისათვის არ გავწირეთ... ესენი კი ვინდა გამოგჩენია!?

— თუ ქალაქში არ შეგასწრეს? — დავარდნილ კილოთი სიტყვა მაყვალამ.

— ეგ კია! — თავის ქნევით დაუდასტურა ტუხამ და უმაღ გვერდში ამოუღებდა.

ბარათა უსიტყვოდ წინ, ტყისაკენ წავიძღვა. ჩვენი ღობე გადარღვეული იყო. ზოგი ხე წალეებული. ზედ ძირში გადახერხილი და ველარ წალეებული ხეები, ბრძოლაში დაცემულ მეომრებივით ეყარნენ.

— ისევ ჯაჭვის ხერხია ნახმარი! — ყრულ ჩაიდუღუნა ბარათამ, — მოკლე მორებად უხერხიათ... აი დახედეთ...

— სწორია! ხერხი ისეთია ჩვენ რომ გვექნდა... კიდევ კარგად გადავრჩენილვართ... ამ ახალი ხერხით ერთ საათში სულ დააწვევ მთელ ნახატარს, იმ კაკლის ჩათვლით... ტექნიკა სპობს ტყეს! გული მომივიდა.

— არა, ტექნიკა კი არა სპობს ტყეს, არამედ ტექნიკის უკან მდგარი გაქსუებული აღამიანი!

— რას გულისხმობთ? — აიმრიზა ტუხა, — თქვენც მაღალ ძაბვის ხალხზე გაქეთ ეჭვი?

— ნუთუ თქვენმა მუშებმა გაბედეს? — ჩაერია მაყვალა.

— მაგას კი შევამოწმებ... მაგრამ მანქანა უცხო იყო... ჩვენი მუშები ასე მოკლედ არ დასჭრიდნენ მორებს... რა ბოძებად გამოდგება? — თავისთვის ბუტბუტებდა მახათელი და გარს უვლიდა მორებს.

— კვალს მივაგნებ და მაშინ ნახონ ჩემი მუქარა.

— ეპ, ამათ კი ველარაფერი ეშველებათ, უკვე უძლურად ჩიოდა ბარათა, — ამ ძირებზე ხეებს რაღა ამოიყვანს! ერთი-ორი ასეთი რბევა და ნახატარი ნატყვევარად გადაიქცევა...

ჩვენ ყველანი ხელდაშვებულები ვიყავით. ისევ ტუხა დატრიალდა...

— ახლავ წაეიდეთ, ბარათავ, კვალს გავყვეთ, სახერხი ქარხნებიც დავსინჯოთ, წულარ ვაგვიანებთ, დახერხავენ და მერმე რაღას ნახავ? აი მწერალიც წაეიყვანოთ. ახლა არის საჭირო მისი სიტყვა!

მაგრამ ბარათა შეეყოყმანდა:  
— ჯერ სატყეოში უნდა ავიდე, განვაცხადო.

ტუხამ ერთი დაუსტევინა და გადახერხილ მორზე ნიშნულად ფეხი დაჰკრა.

— მერმე რა უნდა უთხრა? ყურისძირის ტყე ვერ დავიცავით... ხომ დაგიტხოვეს უშაღ! პასუხსაც შენ მოგთხოვენ და ბრალსაც შენვე დაგდებენ...

ბარათამ უფრო ჩაქინდრა თავი. მეც კი მივხვდი, რომ ეს მართლაც ასე მოხდებოდა.

— მაშ არ ყოფილა გამოსავალი?

ტყეში სრული სიჩუმე ჩამოვარდა.

— არის გამოსავალი!

ყველამ იმედინად ისევ და ისევ ტუხა მახათელს შეხედა. მეც ვირწმუნე, რომ იგი ჩემზე უკეთ ერკვეოდა ამ „საქმოსანთა სამყაროში“.

— ბოლოს და ბოლოს ჩემი დატოვებული ხეებია წაღებული... ჩემზე ვიღებ. თუ საჭირო შეიქნა, ახალ... მცირე გამოხშირვის შესაძლებლობასაც დამიდასტურებ, ბარათავ... მე მგონია ისედაც მოვაგვარებ... თუ არადა, — სიტყვა შეანეღა, მხარზე დამადო ხელი, — აი მწერალიც წაიცივანოთ... კვლავ ჩხუბიც კი ასტეხოს სატყეოში... ასეთ გაჭირვებაში უნდა დახმარება... თორემ ხინკალს ყველა შეჭამს!

— მე ვერ ვიტყვი ტყუილს... — დავარდნილ ხმით აღმოხდა მოხუცს.

— ვერც მე დაგემოწმებით ცრუობაში! — მეც განზე გავდექი.

ტუხა მახათელს ახლა კი მართლა მოუვიდა გული.

— მაშ თქვენს მაგივრად მარტო მე ვიცრუო? ამათ დამიხედე! სად ვაგონილა? ბოლოს და ბოლოს მეც ჩემი თავმოყვარეობა მაქვს!.. მე არც დამიჯერებენ მარტო! — გულწრფელად ჯავრობდა, მეტიც, აღშფოთებული იყო და, როდესაც თავის გულფიცხობას მოერიდა, კეთილნარეკ სახეზე გაკვირვება მაინც დიდხანს დარჩა:

— მე თქვენკენ ვარ — თქვენ ეშმაკებისაკენ?!.. კოდა, აბა მიდიოთ... რომ ამოგდებენ ძუას... შენ რა — მერმე ნახე, ამ ტყეს რა დღე დაადგეს!

ისევ ტუხა იყო მართალი... და უბედურობა ის იყო, რომ ტყუილში იყო

მართალი. ბარათაზე ხომ სულის გაგუდვის ძალით იმოქმედა ამ საბუთმა...

— მე საძებრად წაველა... მწვეაქვლევ და მერმე ყველაფერს ვეტყვი სატყეოში.

— ეპ, პატიოსნობთ და ბოროტებას კი ვზას უხსნით... შეუგნებლად მფარველობთ, აი, ამაშია ბოროტების ძალა! — ერთხელ კიდევ შეგვაჩვენა მახათელმა — კეთილი, შენ კვალს გაჰყევი, მე დაგაყენებ კვალზე... სატყეოში კი ჯერ მე წაველა... ჩემზე იყოს! შენც წაგიყვან... — უკვე უფლებამოსილად მიმართა მაცვალას, — წადი, მოემზადე ახლა უნდა შეველა მამაშენს!

ქალი შეკრთა, ჯერ მამას შეხედა, მერმე მე. ბარათა დარდმორეული იყო, მე — დაბნეული. ქალს სლოკინი აუვარდა, უშაღ გაგვეცალა.

ბარათა ქვევით — შემოსავლელ გზისაკენ გაჰყვა. ჩვენც ავედევინეთ.

— მაშ არც შენ... არც თქვენ წამოხვალთ? სიმართლის თქმა ყველაზე ადვილია, გაფუჭებულ საქმის გამოკეთებაა ძნელი! წუხელ ხინკალი შენც გიამა! მაგას მაინც გაჰყევი! საძებრად... აი ორსაბურავიანი საბარგოს კვალი! სამტონიანი მანქანა!

წყენაც ხინკალივით გადავეყლაპე. ტუხა ყველაფერში მართალი იყო.

უცხად, უმიზეზოდ სხვა ექვმა და ჰკრეტამ გამკრა. ეს ტყე და გადარღვეული ღობე არაგვის პირას წარმომიდგა. ორივე შიშვლები ვართ. იგი კენჭსაჰყრის და ორივე ხელში კენჭი აქვს!

— არა, მე აქ დავრჩები და ამ ღობეს კვლავ ამოვლობავ!

თითქოს შემატყო რაღაც და ერთიც გამკენწლა:

— როგორც გენებოს! აქაც ვანა არაგველი ამბავია? ცხოვრებაში უფრო რთულად იხლართება საქმე — მართლაც მიკალმეე!

ბარათა და ტუხა წავიდნენ. მათი საუბარი კიდევ კარგა ხანს მესმოდა.

— აჰა, ფული წაიღე... დაგპირდება... კარგი ერთი, მერმე ვაგსწორდებათ... ავტობუსში ან მსუბუქ მანქანაში ჩაჯექი... გზა მშვიდობისა!

ისევ შემტყვავა. ასეთი უბრალო რამ ვერ მოვიფიქრე. ისევ იმან...

...ვლობავდი და ვდარდობდი. ფიქრის ფერი ელო ყველაფერს. ფიქრი ხომ სახე და სხეულ დაკარგული საგანია? ნუთუ ნახატარის ტყეს ჩემი ფიქრის ღობე ვე-ღარ უშველის... ნუთუ იგი განწირუ-ლია!? ნუთუ მე და ბარათა ნახატარის ტყის უკანასკნელი დამცველები ვართ?.. მაინც ვლობავდი და მაინც ეწერდი მო-თხრობას.

არა, არ ვყოფილვართ უკანასკნელნი. სადილობის ხანს მუშები მოვიდნენ და გზის ჩასწვრივ, ტყისკენ გადასახვევთა-ნაც და ბარათას სახლთანაც ორმოების თხრა იწყეს, ბოძები ჩადგეს, მავთულე-ბი გაკიმეს. გზაზეც და ბინაშიაც ელექ-ტროსუქი გაჰყავდათ.

საღამოს მაყვალა და ტუხა მობრუნ-დნენ. მახათელმა სანუგეშოდ გამოარჩი-ვა საქმე. „დამატებით გამოსახშირ“ ხე-ების ქალაღლი მოიტანა. მახათელმა სხვა ქალაღლიც გააკეთა. მალა ძაბვის მძიძე არმატურის ვადმოსაზიდავად, სა-ჭირო იყო უკვე შეზიანებულ მახლო-ბელ ხიდის შეკეთება, შემაგრება. ხო-ლო მასალის საწყობად და მუშების დროებით სადგომად — ტუხას მეოხე-ბით — ბარათას სახლი აერჩიათ.

მალე ბარათაც ხელკარიელი და გულ-შოკლული მობრუნდა. დაუმთავრებელ აივანზე ისევ ერთად შევიყარეთ. ბარა-თამ დიდხანს, თავის ქნევით უსმინა მა-ხათელის თხრობას. იგიც დაბეჯითებით უხსნიდა საქმის ვითარებას, თან წამდა-უწუმ იმორწმებდა მაყვალას.

— ხომ ასეა, მაყვალავ?

— დიახ, აგრე! — მორცხვად, მაგრამ მუდამ ჰპასუხობდა ქალი. იყო ამ თავ-ჩაქინდრულ პასუხში რაღაც ჩათხრობი-ლი და უნდო. ბარათა კი ხაფანგში ფეხ-ჩაკრულივით იკრუნჩხებოდა.

— მერმე აქ სად უნდა დადგეთ!? — ძლივს ამოლექა ვაოგნებულმა.

— სადა და, აი, აქ! — გასაშრობად გაშლილი ბაღე გადასწია და სახლის და-უმთავრებელ ნაწილისაკენ ხელი გაიშ-ვირა.

— აქ ეზოში — ხე-ტყის მასალის სა-წყობი გვექნება, ამ შენ ქობმასხაც ხე-ლად მოგიმთავრებთ... ქალაქისაკენ მოგცემთ... ვიდრე აქ ვიქნებით, მერმე კი ეს დამთავრებული სახლიც შენ და-გრჩება და ბურთი და მოედანიც!

— ხე-ტყის მასალის საწყობი?

— ჰო... დიახ! შენი ტყის მასალა არ გეგონოს — ქალაქიდან ჩამოვიტანთ! — შიშის სათავე მოუჭრა ტუხამ. ხოლო ხელი რომ აიღო და ბაღე ისევ ჩამოიშა-ლა, ისე მომეჩვენა — თითქოს მთელი სახლი ბაღეში გაება. მაგრამ ეს მწერ-ლის აფორიაქებული თვალისა და გუ-ლის ნასხლეტი იყო, ნამდვილად კი მა-ხათელი მადლსაც აკეთებდა და მარულ-საც აყრიდა.

წასვლა დავაპირე. აქ მე არაფრის მაქნისი აღარ ვიყავი. იქნებ ხელის შემ-შლელი და უხერხული მოწმეც.

გარეთ რომ გავედი, მაყვალა თავის ოთახის სარკმლიდან გადმოდგა, გად-მოიხარა...

— ნუ წახვალთ... გემუდარებით! — გულისპირი შეისწორა და უფრო ჩუმად დასძინა, — ნურც მკითხავთ... მაგრამ ნუ წახვალთ, ნუ!..

მისი ჩურჩული მესმოდა, მაგრამ მის ყარყარა ყელზე დაკიდებული, ჩანს ახალნაჩუქი მძივი გველცეცხლად მო-მხვდა.

— მე სულ ზედმეტი ვარ ახლა!

მაყვალამ მძივი ხელებში დაბლუჯა, თითქოს მის მოწყვეტას ლამობდა, მაგ-რამ ვილაკამ... არა, იმან შეგნიდან დაუ-ძახა. ქალი უტბად შებრუნდა, ზურგს-უკან სარკმელი შემოიხურა. ახლა მხო-ლოდ მისი ჩრდილი ჩანდა ფარდის უკან. მის გვერდით მეორე ჩრდილიც გაჩნდა.

მე გზაზე გავედი. იქ მახათელის მან-ქანა „უბატრონოდ“ იდგა. ერთიც მოე-ბრუნდი. მაყვალას ნაადრევად სინათლე აენთო. სარკმელში მძეუტავი შუქი ჩამ-დგარიყო, ორ ჩრდილს უფრო მკაფიოდ აჩენდა.

მანქანის საყვირს დავეარ მუშტი. წყვეტილი და გამიყვანი ხმა გამოსცა საყვირმა. გზაზე ბინდისპირის სიჩუმე

გაბზარა, სარკმელში კი გააქრო ერთი ჩრდილი. მშრალ ხევის ბინდში შეედგა ფეხი. მეც მივბრუნე წყაროს და გზაზეც ატუხტუხდა მანქანა, კრაზანის ხმა გამოიღო და გზას მავთულად გაჰყვა.

წყაროში თითქოს შხამი ესხა. ვეღარ შევსვი, თუმცა მწყუროდა... ვაი, რომ წყურვილიც გზაბნეული მქონდა. საძილე ტომარში რომ შევძვერი, ზღარბი უკვე თავის ადგილზე იყო.

პირველ ძილიდანვე ისევ ვლობავდი ნახატარის მისავალს, წნელები ხელში გველებივით მეკლაკნებოდნენ და მკბენდნენ. მე კი ამისაგან თითქოს სიბრძნე შემატებოდა... უსაშველო განუვრეტის უნარი და უფრო უსაშველო ძილ-ღვიძილი, როდესაც ყოველი გრძნობა სამართებელივით ალესილია და ყოველი ფიქრი ნაკვერცხალივით ცხელი.

ვამ რომ ადამიანი ყველაზე უბედური და უკედავი არის იმ დროს — როდესაც ჰფიქრობს!

უეცრად ჩემს წინ ფიქრი ნივთივით დაჯდა. რომ მომესინჯა — ხელს შევზხებდი და ალბათ როგორც ზღარბი თითს დამიჩხვებდა.

ფიქრი კი ზის და იჯავრება, ხან ერთ ფხას მიჩენს, ხან მეორეს:

„ნუთუ ადამიანთა გულზე ბატონობა, მათი მდაბიო გრძნობებზე გაბატონებით იწყება!“

„დიდ წყურვილის დროს, ცხოვრება ერთ ყლუბ წყალად ღირს, დიდ შიმშილის დროს ერთ ლუქმა პურად... მაგრამ დიდ ძვრების ეპოს — ერთი ფხა ზნეობისა მნიშვნელობით ყოველივე ადამიანურს აღემატება!“

„ცხოვრების მცირე მანძილზე შენ ყოველთვის მაჯობებ, ღობემძვრალის ხერხს ხან უაღრესად დაუფლებული, დიდ მანძილზე კი შენი ბურღდაც და სახსენებელიც სადღა იქნება!“

„შენ იმდენი ძალა შეგწვევს, რომ მე გამაუბედურო, თორემ ჩემი დამარცხება შენ არ შეგიძლია!“

და ბოლოს: „ადამიანს — იმედზე უკეთესი მეგობარი არც ჰყოლია, არც ჰყავს, არც ეყოლება!“

ბოლოსღა მივხვდი, რომ მე ვინაცას ვედავები, რადგან იგი — ვილაცა, ყველგან სასიკვდილოდ მეზრდვის. იქნებ ეს, ვინც მე თავად სიკვდილს გადაეარჩინე... და ეს ბრძოლა გულწრფელობისა და პირფერობის შორის, პატიოსნებისა და გაიძვერობის შორის, შემოქმედებისა და ცხოვრების წამლუტაობის შორის კეთილ — ბოროტის მარადულ ბრძოლის კიდევ ერთი სახეცვლილი გამკლავდება!

დილას მამა-შვილი ერთად ამოვიდა ჩემთან. ორივე შეფიქრიაუნებული და ჩემსავით ძილნატები ჩანდა. მაყვალამ გაფიცებული, წუხანდელი ხინკალი ამომიტანა. კარგა ხანს ჩუმათ ვისხედით.

— ეჰ, წავალ — ტყეს გადავხედავ, ქედსაც გადავადგები... ახლა ყველგან ტყის მტაცებლები მელანდებიან... თითქოს ტყე კვნესის!

— მეც წამოგყვები... — წამოვდექი. შევატყუე, რომ მაყვალამ უფრო ჩაქინდრა თავი. ვგონებ ბარათამაც შეატყო.

— არა, შევილო და ძმო... შენ აქ რომ დარჩებოდე ჩემს ჩამოსვლამდე... ამ გზაზე რამდენი ჯურისა და მარცხის ხალხი დადის... ეჰ, ახლა შინაც შემომისახლდნენ... კაცს როდესაც ეამ-კვალი აერევა — მერმე უბედურზე-უბედურია, — ხელი ჩაიქნია და ბილიკს მიაშურა, — ერთი მეზობლურად მაყვალსაც ხმა მიეცი ხოლმე... ვინიცობა... — ბარათა წავიდა, სადღაც ფიჩხის ტეხაში ჩამთავრდა უთქვამ-ნათქვამი.

მაყვალა თავჩაქინდრულად დუმდა.

— მოვლით ვინმეს?

— ძალი უნდა მოვიდეს... — ძლივს გასაგონად მითხრა.

ავჩქარდი, ბევრი სათქმელი მქონდა. იმის მოსვლამდე უნდა მოვასწრო. ძაფის თავს ვერ მივაგენ. გადავშალე ჩემი ახალი რვეული და დაბალ ხმით დავუწვეე კითხვა.

— ...თი ვზივარ კაკლის ქვეშ და ვისმენ მის იდუმალ შრიას. მეც ამ ხის ნაწილი ვარ და ჩვენს უკან ნახატარის შემკრთალი ტყეა. ქვევით ქვისა და გულრონის პერანგში ჩამჯდარი გზატკეცილი, თეთრდაბალა ქვაბოძების,

თითქმის უწყვეტი ყაითანი. მეც ამ გზის ნაწილი ვარ და ჩვენს წინ გალაღებული ქვეყანაა. გზის სული ხომ მანქანებია და პა, მიმოჰქრებიან ომახიანად. მძლეობა მძლე ჰაპნად მიიწელება მაღალი ძაბვის ხაზი და ქსელი. ახალი გზის თვალები ხომ ელნათურებია და პა, ორბის ბუდეებშიაც შუქი შედის! განაბლება და არნახული წინსვლა ახალ ტექნიკით მოზეიმობს საქართველოს, ბევრის მნახველ, სამხედრო გზაზე... და რაც მთავარია — იგი ცალგვერდად კი არ მოდის. მას ახალი სულიერი დოვლათიც, სწავლაც და წიგნიც მოაქვს. ადამიანთა შორის ახალი, უფრო მაღალი ურთიერთობაც... ამ შეფარდებულ წინსვლას ვუწოდებ მე დიდ წონასწორობას! ცხოვრებას ათასი აბლაბუდა სირთულე გაანჩია, დიდი წონასწორობა კი ყოველ ბეწეში უნდა ჩამყარდეს... ამიტომ ვშიშობ მეც შენთან ერთად ნახატარის ტყეო, აქ არ დაირღვეს, აქ არ დაირღვეს.. ყველგან დიდ წონასწორობის დაცვა! იქნებ ეს არის თანამედროვე მწერლის მთავარი მოწოდება! სადაც მოძალადე და ომის გამჩაღებელი ჩნდება, მე იქ მიძალაბულს ვეხმარები, მშვიდობას ვიცავ! სადაც სიძულვილი, შური და სიმახინჯე ჩაბუღდება, მე იქ სიყვარულის, ზნეობისა და სიღამაზის მოქადაგე ვარ! სადაც ჩამორჩენილობა და სიბნელება — იქ დედაენის მიმტანთ, მაღალ ძაბვის მიმყვანთ გულდაგულ ვუდგვივარ გვერდში. როდესაც არაგვი ხიდს ან გზას ეშუქრება, მე ჯებირზე ვარ ქვის მიმტანი, მთელ ხალხთან ერთად, მაგრამ როდესაც ახალი გზა ვაჰყავთ, მე შეგნებულად და კანონზომიერად ძველ ტყესა და ძველს ვიცავ! უმართებულოდ დაზიანებულთ და ჩაგრულთ მხარეზე საწონასწოროდ სართსა ვდებ! წანამატად გული, სიტყვა და მაგალითი მიმაქვს!"

— სადაცაა მოვა! მე ვარ ახლა ყველაზე უფრო დაჩაგრის პირზე მიყვანილი! — კითხვა შემაწყვეტინა ქალმა. თვალის კილოში მარგალიტით ცრემლი უჯდა და ეზრდებოდა. ნათლივ ვხე-

დავდი ცრემლის დაბადებას... ჯერ სულ წვნიკი იყო, მერმე მარცვლის ოდენა გაბდა, ჩამოეკიდა თვალის... — ნაყურესავით ჩამოიზნიქა და უეცრად ჩაგორდა ლაწვზე. უბეში კი მეორე ცრემლის წვნიკი ნიშანი იჯდა.

შეუმჩნევლად არაფერი გამომპარვია, ოღონდ მისი ნათქვამის აზრს კი ვერ ჩავწვდი უტბად... ახლა არც ვიცი, რით ვანუგეშო, რით დავეხმარო! აქ ჩემი ხელნაწერი და წონასწორობა არ შევლის საქმეს!

... რასაც ვუფრთხობი — მაშველის სახით მომველინა... და შემამარწუნა... ქვევიდან საყვირის ხმა მოგვეწვდა. მე დავხურე ხელნაწერი. მაყვალა კი აშკარად შეკრთა და გამოიცვალა. თვალები ჩაუქრა, მაგრამ ცრემლი შეაშრა.

— უნდა წავიდო! — აქ კითხვაც იყო და პასუხიც. მე კიდევ არ ვიცოდი, რა უნდა მეთქვა. მან, ქვედამ კი იცოდა. საყვირს გაბმით ახმინებდა.

გადავიხედეთ. ფიცრები და ელექტრომავთულები მოეტანა. სახლის წინ აღმართულ ბოძზე კაცი ასულიყო... უკვე უერთებდნენ მავთულს.

ქალი ადგა და მხრებმოწურულად წავიდა. ტოკვა შევატყვე მხრებში. წყაროს პეშვი ამოუსვა, თვალებზე ისხტრა და თავქვე აიჩქარა.

— მაყვალა! ნუ წახვალ, ნუ!.. მე ჩავალ ქვევით!..

მაგრამ მაყვალა არ გაჩერებულა. არც გაუგია ჩემი ხმა. მივხვდი, რომ მე მხოლოდ ჩურჩულით ვუთხარ... სადაც ყვირილი იყო საჭირო იქ ხმა წამერთვა! მე თავად დავარღვეე უდიდესი წონასწორობა... წვნიკი ცრემლის დაბადება შევამჩნიე და ვეებერთელა მიზეზი კი ვერა!

— მაყვალა! მე ქვესკენლამდე მტყუანი ვარ შენთან! აქ დარჩი... აქ! ჩემთან მე ხომ... შენ ხომ... ჩემი გულისა ხარ და არა მოთხრობისა! — ახლა კი უფრო ხმამაღლა მივაყვირე... მაგრამ მაყვალას უკვე დიდი გზა გაევლო... იგი უკვე მანქანასთან იდგა... იმას უსმენდა...

... და ისევ განმეორდა ჩრდილების

ხილვა, როდესაც ხმა არ გგსმის, თვალ-ითა და გუმანით კი დაძაბულ საუბარს გრძნობ.

მუშები მანქანას სკლიდნენ, ფიცრები აივანზე აჰქონდათ. ბარათს სახლის მოსამთავრებელი მასალა იყო. ელექტროსტატი ახლა უკვე ბარათთან სარკმელში ჩამდგარიყო, ჩარჩოს ბურღაგდა, მავთული ბინაში შეჰყავდა. მალე ელექტრონათურა ავარჯარდა მაცვალას ოთახში. ქალმა ხელემა შეჰყარა. ტუხას ხარხარი კი ზევითაც მომწვდა. მათ შორის ხანმოკლე, მაგრამ მძაფრი საუბარი ჩაიბა. მაცვალა თანდათან თავს ხრიდა და თითქოს ჩემსკენ, მოპარულად იხედებოდა. ახლა ისინი მარტონი იყვნენ გზაზე. მახათელი ვალაჯულად იდგა და გრძელ ხელებს დაღმა იქნევდა. მალე კი მაჯაში წაივლო ქალს ხელი და მანქანისაკენ გასწია. ქალმა გაიბრძოლა, არ მიჰყვებოდა თითქოს... ვგონებ დამიძახა კიდეც... ტუხამ კაბინაში შეაფრინა ქალი. დახანებით კარის დახურვის ხმაური რომ მომწვდა, მახათელი უკვე საუკეს უჯდა და მანქანას თავქვე აბრუნებდა.

შეგვიანებულ ცეცხლზე მწარე არა არის რა... სახმილად მომენთო. წამოვარდი, თელნარში შევიჭერი...

— ბარათა! — ერთი შევძახე და გზის მოსაჭრელად ნაშვავებზე კისრის ტებით ჩავიბრინე, ჩემ ღობეს გადავახტი, გზაზე გავარდი და ზევიდან ქროლვით მომავალ მანქანას წინ ჯიქურად გადავუღდექი.

ახლა კი მართლაც შეჰკივლა ქალმა. გაისმა მუხრუჭების ხშული და კრილა ხმა. რადიატორი მკერდზე მომეხდინა, ხელში შერჩენილი კალამი შემატეხა და შეჩერდა. მტერის კორიანტელში უცბად ვავებხვი. კაბინის კარი უმალ გაიღო და მახათელი ცალფეხით ჩამოდგა. იგი ისეთივე ელდანაცემი იყო, როგორც არაგვში. ტალღისა და სიკვდილის ფერი ეღო.

— ეს ვინ ყოფილა! — ერთი შედრილა და აქოშინდა, — მთერალი ხარ — სახლში ან ტყეში დადექ! ფხიზელი

ხარ — გზის პირას იარე... ახალე თავი კლდესა და კაკალს! ეს დე, მკვლად, ან გაბედნიერების ხანს შენს გამოცავო პასუხი?

— ჩემსას ნუ ჩივი, შენ გამო ავე! — მეც არანაკლებად შევეღრიალე. მახათელი უცბად დადრკა, მერმე ისევ ახვავდა, მაცვალას ხელშინაურად, მხარზე დაჰკრა ხელი...

— ამ ქალს უმადლე, თორემ შენს ნაპურჰყავლებს ძერები მოჰკრეფდნენ გზაზე!

ახლა მარჯვენა კარიც გაიღო და მაცვალამ გამოჰყო თავი. მას არც ფერი ჰქონდა, არც ხმა... ყველაფერი უცახცახებდა...

— სიტყვა, შენი სიტყვა! — შევძახე მაცვალას, — ნებით მიხვალ?

მაცვალამ ძლივს მოისაზრა, თავი უმწიფოდ მიიბრუნა...

— უნდა წავიდე... — ისევ წელანდელივით მითხრა, მაგრამ ახლა მარტო ხმადავარდნილი პასუხი იყო, — გთხოვთ, მამას უთხარით... მე... ჩვენ მალე მოვბრუნდებით...

გული ჩამომწყდა. ახლა მე ჩავხარე მხრები და ჩამოვდექი. გზა ვუტეი მანქანას. ალბათ მართლა გასრესილს ვგავდი.

— ვგონებ მივაგენით კვალს!.. — მაგრამ ჩანს მაცვალამ იაზრა, რომ მე ვერაფერი გავიგე, — ნახატარის თელების მომჭრელს! — ქალი მოშვებულად ჩაჯდა.

— ოჰ, ღმერთო ჩემო, როგორ შემეშინდა... როგორ...

მახათელმა შიგნიდან კარი გამოხურა. მაცვალას სიტყვას ბოლო მიუკენიბა. ან კი რაღა საჭირო იყო... მანქანა ისევ აამუშავა, ერთივ გადმოიხედა სარკმელიდან... უკვე ფერი მოსვლოდა, იყო მრისხანე და ლამაზი...

— სადაც შენი თქვა — ჩემიც არ დეიწყო... ეგეც არაგვია! ბარიბარში ვართ. სხვა გზაზე ხეირი ნახე... განა ავე ვარ!

მანქანა წაგუგუნდა. გზაზე უეცრად საშინელი მარტობა და სიცარიელე

დამყარდა. გამოვბრუნდი... ჩრდილად ჩემი პირვანდელი ქარგა მომდევნა, მაგრამ სწორედ საწინააღმდეგო და მახინჯი სახით.

კაკლის ძირში ზღარბი დამხვდა. არც იმან მიმიკარა, მოგორგალდა. დიდხანს ვიყავით ასე მე და ზღარბი, ორივე მობურთულეები და ეკლებწამოყრილები. ასევე დავხვდით ქედის ტყიდან მობრუნებულ ბარათას. მას ბალაშვარას ქერქში ელოდო მოეკრიფა და ჩამოეტანა.

ალბათ ცუდი რამე მეწერა სახეზე.

— კიდევ რა უბედურება გვჭირს?

— არა, არაფერი... იქნებ ბედნიერებაც... მაყვალამ დამბარა, მტაცებლის კვალს გაპყვა... მალე დავბრუნდებითო...

— მტაცებლის? მახათელს გაპყვა? — წვერები აუცახცახდა მოხუცს.

— დიახ... მალე... — და უკუდმად შებრუნებულ მიზეზის გამო, მწარედ მომეძალა ჩემი მეტოქის ქება, — ტუზა მახათელი გზიანი, ავ-კარგიანი კაცია... დიდ მზრუნველობასაც იჩენს... მადლიანი...

ბერიკაცი გახევებული იდგა და ხან იმედის თვლით, ხან საყვედურით შემოყურებდა.

— მადლიანიც და მატლიანიც... გზიანსა და ხერხიანს... მეოცნებე შერჩია! — სულ ყრუდ, თავისთვის ჩაიდუღუნა...

— მართლა, თქვენთან უკვე ელექტროშუქია გაყვანილი... ჩემი თვლით ვნახე... უკვე ანთია... ფიცრებიც მოიტანეს. მალე თქვენ ქოხს ველარც კი იცნობს კაცი!

— ვერც ქოხსა და ველარც ტყეს... ერთი აშენებზეა, მეორე გადაშენებზე! — გულჩახვეულად დამიდასტურა ბარათამ და პირი იბრუნა.

სიტყვის თამაში მაინც მომეწონა...

— ვგონებ მართალია...! მეც მოწმე ვარ! ყველაფრის მოწმე! — ღიმილით მივუგე და წამოვდექი. მაგრამ ბარათამ ახლა კი მათრახივით მასუსხა სიტყვა:

— ყველაფრის მოწმეობა — უდიდესი თვალთმაქცობაა! გულის წადილში,

ჩანს დაიბენი... ოცნებასაც ნუღარ დაპყარავ!

ბარათა წავიდა, როგორღაც მოსდუნებულად, ფეხჩათრევით ჩაპყვა ბილიკს. ბალაშვარას ქერქი ხელში ჩასტეხნოდა, ეოლო მიწაზე ცვივოდა და წითელ წვეთებად ეყარა ბილიკზე. მოხუცს თითქოს სისხლი სდიოდა მაჯიდან... და ეს თითქოს ტყის სისხლიც იყო.

ტყვილით ვერძენ, რომ მართლაც დავკარგე ოცნება. რაღაც ყოვლად მძლე უნარი მომესხლიტა. უცბად დადუმდა ტყე. ველარ მესმის კაკლის ჩუჩუნი. თელნარი თითქოს გაქვავდა. წყარომაც კი დაპყარა სალბუნი. სმენადაკარგული დავეხეტებოდი ნახატარში და იქ თითქოს მრავალტანიანი და ჩრდილიანი მიცვალებული იყო. ვეფერებოდი და ველარ ვგრძნობდი კაკლის ხის ქალურად ოდნავ ხაოიან კანს. თელის ტანის ვაეკაცურ ქერქს, რცხილის დაკლავილ კორძებს... სხვა ხეთა გახევებულ და თითქოს გაცივებულ სხეულებს.

გამოვბრუნდი. ჩანთა ჩამომხრჩვავლივით ეკიდა კაკლის ტოტზე. შეძრულ ხელით ჩავაწყვე ჩემი ბარგი. შიგ კაკალიც იყო, მაგრამ აღარ ჩხრიალებდა ჩემი კაკალი! ზურგზე რომ მოვიგდე, ჩანთას კუხის სიმძიმე ჰქონდა. ფესვებს ველარ შევახე ხელი. ტყის ბილიკს ქურდულად ჩავყევი. წყაროსთან მაინც შევდექი. შიგ ჩავიხედე — წყაროს სარკე, თვალზე გადაკრულ ლიბრივით უსიღრმო და უანარეკლო იყო. დაღმართს მგლურ ძუნძულით ჩავყევი.

ბარათას სახლიდან ხერხისა და შალაშინის ხმა შემომესმა. მაყვალას ოთახში დღისით და მზისით ელექტროშუქი ენთო. ბარათა კი თავის სახლის კიბეზე მისჯილივით იჯდა და ელოდა... იჯდა და ელოდა. მაყვალა ჯერაც არ იყო მობრუნებულა.

— ეჰ, ბარათავ... მივალ... ქალაქში ვბრუნდები.

— მაშ შენცა... კურდღლის კვალს დაადექი?... ისიც აღარ დადგა ტყეში...

— არა, ბერიკაციო, მე სხვა კვალი მაქვს... სხვა ტვირთიც... თუ რამე დაგ-

პირდეს, შემომითვალე. ტყის საკითხში ყველგან მოგვხმარები... აი, მოთხრობა კი არ გამომივიდა...

— კმ, ტყის საკითხში? — ხმა ჩაიკლო ბარათამ, ხერხისა და შალაშინის ხმას მიაყურადა, — ვიწვი და ვშენდები! — მერმე თავი ჩემსკენ მოიბრუნა, — კეთილად იარე, შეილო, აბა შენ რაღას გერჩი... წერე წიგნები... მოთხრობაც გამოგივა. სულში უნდა ჩამოდგეს და ჩამომწოდეს ამბავი... ცხოვრება რთულიც არის და ჭრელიც, მთავარია გული არ გაიტეხო და ოცნება არ დაკარგო! ესეც იცოდე — ხანდახან გულით ნაგრძნობს უფრო ენდე, ვიდრე გონებით განსჯილს! ჩვენც ნუ დაგვივიწყებ...

მე ისევ ფეხით გავყევი გზას. მოსაბრუნებში ერთიც მოვიხედე — მალლა კაკლის ხე იდგა, გზაზე — ბარათა. ძველებურად დიოდა არაგვი. გულში შეუცნობისევედა მიმქონდა. ჩანთაში — ვერ დაწერა მოთხრობა.

გზა ფიქრ აგრძელებს, ხოლო ფიქრი გზას ამოკლებს, მისი უებარი გულსათხია. მცხეთამდე ფეხით ჩავედი. არც ერთ მძღოლს არ ჩაუვჯექი მანქანაში.

მცხეთაში საბოლოოდ დავსკენი, რომ მე მაყვალა მიყვარს. ჩემებურად, რთულად, ჯერ კიდევ გაორებულად... ახლოს — როგორც ჩემი მოთხრობის გმირი, შორით კი, როგორც ჩემი გულის სატრფო.

მცხეთაში მატარებელში ჩავჯექი. ჩემს ირგვლივ უმრავლესობა ახალგაზრდა ქალები იყვნენ. ყოველ მთვანს მაყვალას ვადარებდი, ვამსგავსებდი ან ვანსხვავებდი. აქვე შევიცან რომ ჩემ სიყვარულს რაღაც მანკი აქვს. სიყვარული ვერ ითმენს სირთულეს, არც საჭიროებს დასაბუთებას, აერთიანებს თხულსა და ნამდვილს... ვფიქრობ მახათელსაც მანკიანად უყვარს, მაგრამ „მარტივად“ და მაყვალამაც არჩია მარტივი სიყვარული და დამნაშავე მხოლოდ და მხოლოდ მე ვარ!

თბილისში ჩავედი თუარა — ბარათი გავუგზავნე მაყვალას.

„მე და შენი ბედი ნახატარის ტყესა

და არაგვს ჰგავს. მე ნახატარის დაბურული, იქნებ განწირული ტყე ვარ... შენკი — არაგვი! ჩვენს შორის გზაა. ზედ მრავალი დაჰქრის აღმა-დაღმა, მაგრამ კეთილკვლიანად განა ბევრს ჩიუვლია? ნუთუ ამ გზაზე ჩვენი სიყვარული დაიბნევა და ვერ იზეიმებს!“

პასუხი არ მომსვლია. ერთი კვირის შემდეგ ისევ მივწერე მაყვალას. „შენ არაგვი ხარ, მე კი ნისლი, რომელიც გარს გვებურე და ჩემსავ ბურუსშივე მკარგებოდი. ახლა შორსა ვარ და ვერც არაგვს ვხედავ, ვერც კაკლის ხეს და ვეღარც ჩვენ ჩახედულ წყაროს! რა სიხარულით დაგებრუნდებოდი, რომ ვიცოდე, ისევ ისე წყაროსთან ვნახავ!“

პასუხი არც ახლა მომსვლია. კვლავ და კვლავ მივწერე. პასუხი არ იყო და არა. მერმე დავეპკედი. ჩემს წერილებს ისევ ზედმეტი სირთულე და ხატოვანება შევატყევე. შიგ კი გულსაჭირო, მარტივი სიტყვები არ იყო და არა. მე თითქოს ისევ ჩამარცხებულ მოთხრობის წერას განვაგრძობდი.

ულოდნელად ბარათსაგან მომივიდა ბარათი.

„ნახატარის ტყეში ისევ მომიკლეს გული და ხეები. ჩვენ კი, ტუხასთან ერთად, ჩვენი სახლის დასრულების ქეიფში ვიყავით. წამამწარეს ყველაფერი. ისევ ტუხამ სატყეოში გამოარჩია საქმე“.

ახლა მე აღარ გავეცი პასუხი. ცხოვრების სილამაზე და წინსვლის პირობა, შესაძლოა მის სირთულეში და ხანდახან სიმანხვეშაიც იყოს! მე კი როგორღაც ზედმეტად მჭკრეტელი, ან სრულიად თვალახვეული დავეხეტები და ადამიანებს იქით ცხოვრებას ვერ ვხედავ! იქნებ სწორედ ნახატარის ტყეა — ცხოვრება და მის წიაღში დაცემულნი, ცხოვრებისათვის შეუფერებელთ და განადგურებულთ სახავენ?

მალე ისტორიულ მოთხრობებისა და რომანის წერაზე გადავედი. ადვილი წარმატება მხვდა. ნახატარის ტყე, კაკლის ჩრდილი და მისი ირგვლივეთი, თანდათან განვლილ ცხოვრების კონ-

კულში ჩადგა. ხანდახან ისევ წამომი-  
რედა, როგორც ძველი, უკურნებელი  
იარა. მაშინ კვლავ ვწერდი მაცვალას.

„შენ ძირფესვიანი, მსხმოიარე კაკალი  
იყავ. მე — შშრალი ხევი. შენ დამადინე  
მკერდზე მცირე წყარო. შენვე ჩამახედე  
შიგ და შენი სახე სამუდამოდ შიგ ჩა-  
მიტოვე... სად ხარ, სად? ნუთუ ჩემი  
ოცნების სატრფო გზას ვაპყეა და არც  
არის ჩემთვის საშველი? წყაროს გაფი-  
ცებ, ზმა გამეცი!“

პასუხი არ იყო და არა.

მერმე ისევ ბარათას ბარათი მომივი-  
და. უნუგეშო და ბებრულ ხელით ნა-  
წერი:

„ავგაბ მე, ისევ ჭირკეთილობა ერ-  
თად მჭირს. ჩემი მაცვალა დანიშნა ტუხა  
მახათელმა. ავგავსო ოქრო-ბროლით და  
ახალ საწოლ-ავგეჯით. ველარ გამიგია —  
სახლო ამიშენდა თუ მენგრევა!? ნახატა-  
რის ტყე კი ნადგურდება... ზოგი აუცი-  
ლებელ დამზადების წესით, ზოგი უფ-  
როსის წყალობით, ზოგიც ტყის ბაცა-  
ცების გზით... დასწერე, წიგნში ან გა-  
ზეთში დასწერე! იმდენი ვერ გააქვთ,  
რამდენსაც ჭრიაან... მერმე მახათელი  
არიგებს თელებსა და საქმეს. რაღაც  
გამოუვალი ჯადოქრული მჭირს...“

ამ წერილის ყოველმა ბჭკარმა შემა-  
ძრწუნა. ყველაფერი ერთად ილუბებო-  
და. მაცვლიანიც და ტყიანიც. ჩემთვისაც  
ილუბებოდა და საერთოდაც. მთელი  
თავისი სიღრმითა და სიმაღლით ახლა  
ჩაეხვდი პიროვნულისა და საზოგადო  
სწრაფვის დამთხვევის დიდ ძალას. და-  
ვწერ, უსათუოდ დავწერ... მაგრამ „ტუ-  
ხას საბუთმა“ კალამი ისევ გამაგდებინა.  
დაბალ ღობედ ისევ ბარათას შესწირა-  
ვენ. მერმე ნახატარიცა და ქედის ტყეც  
სულ აღიგვება.

პასუხი ვერც ახლა გავეცი ბარათას.  
მაცვალას კი მივწერე ისევ. ეს უკვე გა-  
სრესილ სულის უკანასკნელი კვილი  
იყო:

— „იქნებ გვიან არის—მაინც გწერ...  
წყაროში ჩაიხედე, საბოლოოდ ისე გა-  
დასტერ... იქნები კია ბედნიერი? მეც

გულსაოხი მომწერე რამე და მაშინვე  
მანდ გავჩნდები“.

პასუხი არც ახლა მომსვლიდა.  
ისევ ჩამითრია ქალაქის სრბოლამ და  
ერიაშულმა. ახალი თემები წამომადგნენ  
და გულის მიღმა მიმიჩქმალეს ვერდა-  
წერილი სიყვარული და მოთხრობა ნა-  
ხატარისა...

...და უეცრად კარში დამიკაკუნეს.  
ჩემს წინაშე — პირისპირ ტუხა იდგა.  
მოხდენილი, გამოწყობილი, თავჭოჩო-  
რა... ხელები კი, ილეთიანი ხელები,  
თითქოს უფრო დაგრძელებოდა.

— არ მომელოდით?

— არამც...

— მოთხრობაში ასე არ ხდება! რა  
ვქნათ, თქვენი გმირები ყოველთვის  
თქვენს სურვილზე არ იქცევიან! — ბა-  
სრად გამეკენწლა.

— უბრალოზე ლაპარაკს არც დავი-  
წყებთ...

— უბრალოზე არც მე მოვსულ-  
ვარ... — თვალი მოავლო ჩემს ოთახს,—  
ეჰ, წიგნები, ნაწერები, ნახევები... კა-  
ლამი... მუღმივი და არამუღმივი... ერ-  
თიც იქ შეატეხეთ ჩემს მანქანას... გახ-  
სოვით?

— ძველია, ახალი ვთქვათ... ჩვენ —  
ჩვენ გზას ვაყვებით...

— ეს ერთი... ეს ორი... ეს სამი... —  
ცხრამდე დამითვალა და მაცვალასადმი  
მინაწერი ჩემი ბარათები, ნიშნის გეზით  
წინ დამილაგა.

ყოველი ბარათი გახსნილი იყო. სახ-  
ტად დავრჩი... და უეცრად იმედი მო-  
მეცა.

— ვგონებ ყველაა?

— დიახ, მას არც ერთი არ მიუღია...  
არც წაუკითხავს...

უფრო მენუგეშა. ნიადაგი მოეცა  
იმედს:

— თქვენი—დახელოვნება მარტო  
სხვისი წერილების ხელში ჩაგდებით  
ამოიწურება, თუ სხვა ნიჭიც გაგაჩნი-  
ათ — რაინდო!

— რატომ სხვისი? მაცვალა ჩემი სა-  
ცოლეა... მე თავის დროზე გაგაფრთხი-  
ლეთ. თქვენთვის იგი სახვალყო მოთხ-

რობის გმირია, ჩემთვის სადღეისო მე-  
ულლე! მეც ჩემი თავმოყვარეობა მაქვს,  
მე არ დავუშვებ ამას! — მკერდზე მუშ-  
ტი დაიკრა და ჩემი წერილები უკან ჯი-  
ბეში ჩაიწყო.

— სადღა მიგაქვთ? თუ მას არ ჩააბა-  
რეთ, მაშინ მე ვარ მათი პატრონი!

— არა, საჭირო დროს მე საბუთად  
გამომადგება... ესეც და სხვა რამეც...  
არანაყლები!

— შემუქრებით? ეგ თამაშა ჩემთან  
არ გავა... იქნებ დაგვიწყდათ არაგვი,  
კენჭობა?

— მუქარა — წაგებით გაბრაზებულ  
კაცის ტრაბახია! მე კი ნაღზე ვარ და  
ნაღი მიყვარს!

მე უკვე სიბრაზე მახრჩობდა:

— რაღა „ნაღი კენჭი“ გწადთ ჩემ-  
გან?

— სულ ჩამომეცალეთ გზიდან! არც  
ერთი წერილი ჩემს საცოლეს!.. თქვენნი  
პატივისცემა კი ჩემზე იყოს...

— მე არც სიყვარულით არ ვაჭრობ,  
არც სიძულელით, მაყვალამ გან-  
საჯოს, — წერილები მას გადაეცით!

— მაყვალამ უკვე განსაჯა... ამ დღე-  
ებში ქორწილი უნდა გადაგვეხადა,  
ერთმა მოულოდნელმა გარემოებამ შე-  
გვაფერხა.

მე სიხარული ვეღარ დავფარე. მათ  
შორის, ცხადია, გათიშვა მოხდა. ამიტომ  
არის ეს ჩალიჩიცა და მუქარაც. აი,  
ცხოვრებამ როგორი შემობრუნება  
იცი! ჩემმა ქარვამ დაიგვიანა, მაგრამ  
გამართლდა მაინც... კანონზომიერება  
აღდგენილია!

იგი იღგა და თვალმოკუტულად უმ-  
ზერდა ჩემ ვერ დაფარულ აღფრთოვა-  
ნებას.

— თქვენ ისევ ცდებით! — მძიმედ  
დასტედა სიტყვა, თითქოს ჩემი ფიქრიც  
მის საწიერში იყო, — შეფერხების მი-  
ზეზი სულ სხვაა!

— ბარათა!? — ფიქრმა გამკრა, რომ  
ეს უფრო კანონზომიერია. ბარათსთან-  
კაცი ვერ იგუებდა ასეთ სასიძოს...

— დიახ, ბარათა... მაგრამ თქვენ კიდევ  
სცდებით! ბარათა ფეხშია დაჭრილი...

საავადმყოფოში ჩამოვიყვანე... ტყვი-  
ამოულეს — აი! — და მახათელმა-სკი-  
რე ტყვია კამათელივით წინ... დამიგდო.  
უმალ ვიციან „ტეტის“ ტყვია იყო.

— როგორ თუ დაჭრილი? — მივი-  
ჭერ, ტყვიას წავეტანე, — ვინ ესროლა?  
მაინც დამასწრო, ტყვიას თავისი ვრძე-  
ლი ხელი დააფარა, გულის ჯიბეში ჩაი-  
ლო.

— მე ამ ტყვიით მივაგნებ მსრო-  
ლელს! ნახატარის ტყეში, ლამიანად წა-  
აწყდა ხის მჭრელებს... ჰოდა მათ ესრო-  
ლეს. დასცეს მოხუცი... ისევ მე ვარ მა-  
თი პატრონი! თქვენ წასაყვანად მოვე-  
დი... ბარათამ მთხოვა... დანარჩენი კი  
ჩემი გულახდილობისა და გულწრფე-  
ლობის ამბავია!

ახლა კი მართლაც განვცვიფრდი.  
ეს — აღარცერთ ჩემს ქარვამი არ ეტე-  
ოდა.

— წავიდეთ! — ხელი გავუწოდე და  
უკან გავყვებ.

ქუჩაში ახალთახალი მსუბუქი მანქანა  
იღგა.

— გთხოვთ! — ხელფართოდ მიმიწ-  
ვია და თავად საჭეს მიუჯდა. განზრახ  
არა გვითხე. მას უკვე ახალი საკუთარი  
მანქანა შეეძინა.

წინა საჯდომზე ქალის საფარცხელი  
იღო. ხელში ავიღე და დავუჯექი... და-  
როგორც ზღაპარში — საფარცხელმა —  
ტყე მომაგონა.

ტუხამ უმალ გამომართვა:

— მაყვალას დარჩენია!

— თავად სად არის?

— შინ დავტოვე, სახლიც, საწყობიც  
და ტყეც ახლა მარტო მის ანაბარად  
არის!

მახათას მეტად ღრმად ჰქონდა ვად-  
გმული ფესვები ბარათთან კერაშიაც  
და იქნებ ნახატარის ტყეშიაც.

ახალი მანქანაც უფრო დახვეწილად,  
მაგრამ მაინც კრაზანის ზმაზე ზუზუნებ-  
და. მე თითქოს ისე მიმაქროლებდა  
მღვრიე არაგვის ტალღა და ტუხა... მა-  
ხათას ახლა ფეხში კი აღარ, ყელში ჩა-  
ველო ჩემთვის ხელი და... მგუდავდა.

ქორეორგიულ პალატის წინ, მორიგე ექიმი გაგვადრთხილა. მოხუცი სუსტად ყოფილა. სისხლის გადასხმის შემდეგ ჩასძინებოდა.

ფეხაკრეფით შევედი. მის საწოლს ჩუმათ აქეთ-იქით მივუჯექით. იგი სახეგაფითრებელი, წვერმიბებელი იწვა. დახტულ ქუთუთოებს ბაიასფერი გადაჰკროდა. ნახატარში წაქცეული პირველი თელა მე სწორედ ასე დამამახსოვრდა. შემადექიანა გარეგნულად შორი-შორმა, ხოლო შინაგანად ყოვლად ახლო მსგავსებამ. ჩანს ყოველ ფიქრს გააჩნია თავისი ორმაგი სარკე, ერთი ზუსტი, მკაფიო, მარტივი... მეორე კი რთულშემოქმედური, უფრო ღრმა — ათას სხვა მსგავსებაში შინაგანად ჩახლართული. მწერლობას კი ორივე სჭირია, ორივე!

ჩემი თავი დავივირე. მე აქაც — დაქრილ მოხუცის სარეცელთან, არა მისი შეძრწუნებული კეთილის მსურველი ვიყავი, არამედ უხილავ და ხშირად დაუჯერებელ ფიქრებისა და კვანძების მხლართავი მწერალი.

ტუხა მახათელი კი ჩუმად და თითქოს ღრმასევედიანად იჯდა, ნამდვილად კი წარბირიზად მითვალთვალებდა.

ჩუმი, კბილში გაცრილი სიტყვა ვახალე:

— შენ მაგის სისხლი გაქვს ხელზე!

სიტყვა მოულოდნელ ძალისა გამოდგა. მახათელი შეკრთა და ხელზე დაფეთებულად დაიხედა. მერმე დამუშტა, სახეც ვაიმეკაცრა:

— დღეს ჩემი სისხლი გადაუსხეს მას! — მარჯვენა სახელო აიწია, მკლავისგულა სახსარში წითელი ნაწიბური მაჩვენა. მე ისევე ამერია საოქმელი, მაგრამ ვიძალე და აზრი დავასრულე.

— ეგ არ ვიცი... ნახატარში კი შენ წააქციე პირველი თელა!

მახათელს ისევე შეურბილდა სახე, ღიმილმა გადაურბინა შეკვეცილ უღვაშის ძირში.

— ოჰ, ეს მწერლები!.. როყიოდ მესერი, ყველგან კრიქაში მიდგებარ!.. ჰა, ჩემი ხელები... წვეთსაც ვერ მიპოვნი წითელს, შენ კი ახლაც მელანი გაცხია

ხელზე! გულშიაც და ძარღვშიაც ალბათ მელანი გიდგიათ და ყოყონობთ ვინა!

...და მართლაც მარჯვენა ხელის შუათიზე მელანი მაჩნდა. ნუთუ ეს მგელკაცა, სრულიადაც არ არის მგელკაცა... ჩემზე მართალიც არის და გულწრფელიც!

შემოვბრუნდი და ბაგეშემოძრავებულ ბარათას დავაკვირდი.

— ნახატარის ტყე უპატრონოდ არის! — აღმოხდა მოხუცს. მაგრამ ეს ვერ გავარკვეე — მე მეუბნებოდა თუ მახათელს.

მე შევეკოყმანდი, მახათელი კი არა.

— მე ვარ იქ პატრონი — დარდი ნუ გაქვს!

ახლა კი მთელი არსებით ვიგრძენი, რომ ნახატარის ტყე ჩემი დასაცავნა და არა ამ წურბელახელეზა კაცისა. იქნებ სწორედ მახათელსათანა ხალხისაგან არის დასაცავი, უპირველეს ყოვლისა.

— მე ახლავე წავალ ნახატარს, შენ თოფს ავიღებ... სადაც მართალი სიტყვა არა ჰრის, იქ სამართლიან ტყვიას გავჰკრევივინებ!

— კეთილი, ერთად წავიდეთ... მაყვალას კი აქ გამოვგზავნი...

— არა, ასევე ვიაროთ ცალ-ცალკე... სხვა და სხვა გზით და სადმე ან სასიკეთოზე შევიყრებით, ან სამტროზე და საავოზე!

— ისევე თუ გწადს გზაზე გადამიდგე?.. არ ვირჩევ, მწერალო! — საამო ღიმილით მითხრა და ბარათას მიუბრუნდა. — ნურაფრის ფიქრი ნუ გექნება... აქ ყველა გაფრთხილებულია, დასაჩუქრებულიც... მამასავით მოგივლიან... მაყვალასაც ხელგე თაფზე დავაყენებ... ვითომ ფეხის ძარღვი გავწეღვია ტყის შემოვლისას... ერთი-ორი კვირა... ეს არის და ესა! — მიუთვადილა საქმე, თავისი ხელით წყალი ასვა და შემოსულ ექთანს ჩააბარა.

მე მას აღარ დავუცადე. აეტობუსი ორ საათზე ვადიოდა. სახელდახელოდ საქმეები მოვათავე, ჩემს ძველ მეგობრებს — ჩანთასა და საძილეს დავავლე ხელი და აეტოსადგურს მივაშურე.

მანქანა გაგა-მძღოლს მიჰყავდა. შიც-  
ნო.

— ისევ ტყეში? მანდ არავინ დაგა-  
ზიანოს... გაიგებდი...

პასუხი არ გავეცი. თავად შევეკითხე:

— გაგავ, შენ გიყვარს შენი მგზავრე-  
ბი?

— მაშ როგორ? ვინც ჩემს მანქანა-  
შია — ყველა ჩემი შეილობილია... მათ  
სიცოცხლეს ჩემ ხელეგზობში ვგრძნობ...  
დიდ პასუხისმგებლობის გრძნობა უკვე  
დიდი სიყვარულია! განა გაპყრა-გაიტა-  
ნობა!

მძიმედ დავეპვიდი—ნეტავ ყველა მწე-  
რალი თუ იტყვის ამას!

მცხეთას არ ვიყავ გაცილებული, რომ  
გზაზე, უკვე თბილისისაკენ მიმავალი  
ტუხას ახალი მანქანა შეენიშნე. გვერდით  
მაყვალა უჯდა. მახათელმა თავისი და-  
ნიშნული დღესვე გამოარიდა ნახატარს.  
მოველოდი და მაინც გული ჩამომწყდა.  
შემრცხვა კიდევაც, თითქოს რაღაც  
ბილწ განზრახვაში დამიჭირეს.

ბარათას სახლი დაკეტილი დამხვდა.  
ძვიდესი წერილი იყო.

„დღესვე გამოვბრუნდები. გასაღები  
ძველ ადგილზეა. ჩემს მოსვლამდე ში-  
ნაურულად მოეწყვეთ. თქვენი კეთილის  
მსურველი ტუხა“.

აქ იგი უკვე პატრონი იყო. სახლს გარს  
მოვუარე და აივანზე ავედი. მაშინ ნათ-  
ლივ დავეინახე ტუხას უფლებამოსილო-  
ბის საფუძველი. აივანიცა და სახლის ში-  
და ნაწილიც კარგად ამოშენებული და  
გასრულებული იყო. ეზოშიც მასალის  
საწყობი და გარაჟი იდგა. აქ ყველაფერი  
ახალი და ახლებურად გაკეთებული იყო.  
მხოლოდ ძველი, ჩემეული კოკა იდგა  
კუთხეში. აივანზე გასაშლელი საწოლები  
ეწყო. ჩანს აქ მუშები ხშირად ათევდნენ  
ღამეს.

გასაღები მოვხელე და ბინაში შევედი.  
ორი ახალი ოთახი საესე იყო შესანიშ-  
ნავ ახალ ავეჯით. ვიცანი საგანგებოდ  
შეკვეთილი თბილისური ნაკეთობა. მაყ-  
ვალას ოთახში უკვე ორსაწოლა ლოგინი  
იდგა. სარკეებითა და კარადებით შეჯე-  
რებული. მხოლოდ ბარათას ოთახი იყო

ძველებურად სადა და ფრინველ-ფარდა-  
გიანი.

არჩვენული

მისი ცალპირა თოფი გვედღე. მგზავრე  
გავსინჯე. მხოლოდ წამალი იყო. საფან-  
ტიკი კი არ იყო არცერთში. მე ერთი  
ტყვიით გავეტენე, ათი საფანტიით და ულ-  
ოდნელად გამდიდრებულ ბინაში ვეღარ  
დავდექი. ახლა მივხვდა, რას ნიშნავდა  
ბარათას ჭირკეთილობა.

ნუთუ ცხოვრებაში უჭირო და უჭოჭ-  
მანო სიკეთე ფეხს არ იკიდებს!?

წყაროთვალი ისეთივე სანდომიანი და  
დასარკული დამხვდა. კაკლის ფესვებს  
ახლა უფრო ჩაებლუჯათ ნახატარის ბე-  
ქობის ქვა და მიწა, თითქოს ვიღაცა ამა-  
საც ეცილებოდა. კაკლის ხე უფო-  
თლოთ იდგა. მისი ტოტები ირმის  
ჯლებს ახლა უფრო დამსგავსებოდნენ.  
თელნარი კი საოცრად შემეჩხრებული  
და გადათელილი ჩანდა. გადახერხილი  
ჯირკვები, ჩაყანებულ ფოთლების  
ლოგორებზე კუტიპურებივით ეყარნენ.  
იღუმალი მიბინდულობა და სიმყუდრო-  
ვე ზუზუნა ქარს მოერღვია. ტყე — პე-  
რანგდახეულად იდგა. მაინც ყველაზე  
უფრო ის ეშაშრა გულს, რომ გადარჩე-  
ნილ ხეებზე აღარ იყო ფოთოლი, ხოლო  
მოჭრილ და ჯერ გაუზიდავ ხეებზე კი  
ჩარუხებული, ჩალეწილ ტოტებზე, შემ-  
კვდარი ფოთლები ისევ ფრიალებდნენ  
და უსიცოცხლო ხმაზე ქშეტუნებდნენ.  
ტყე დაჭრილ ირემივით სამ ფეხზე იდგა.  
ჩანამორებული შხის სხივი უკვე კალო-  
ებად იწვა ნახატარის შემელოტებულ  
ტყეში. ჩემი ღობე ახლა ქვის ყორედ  
შეეცვალა ბარათას, მაგრამ ჩანს საშვე-  
ლი არ იყო. საერთოდ, ზამთრის პირობა-  
ზე, ნახატარის ტყე, მომაკვდავ მზეთუნა-  
ხავივით, უწინდელზე უფრო ღამაზი  
იყო!

საღამოს პირას მახათელმა მანქანა მო-  
ასრიალა ქალაქიდან. შინ შევიდა. ნაად-  
რევედ შექი აანთო, თვალი მომპრა. მან-  
ქანა გარაჟში ჩააყენა და ჩემთან ამოვი-  
და. ქვევით მიმიწვია. არ წაგყვივი.

— არა, ჩემი ადგილი აქ არის! და ვიდ-  
რე ბარათა არ მობრუნდება — აქედან  
არ მოვიცვლი ფეხს...

— ჩემს დამცირებას ცდილობთ?

— არა, ტყის დაცვას...

— ჩემგან თუ? — გამომწვევით შე-  
მომხედა.

— ყველასაგან ვინც ერჩის...

— სულ გადაკრულად მაგონებთ, თუ  
საბუთი გაქვთ პირდაპირ თქვით...

— მწერლობა — გადაკრული ნათქვა-  
შია! სარკეს ესროდეს და მიზანს ხედებო-  
დეს! პირდაპირს მხოლოდ ერთი პირი  
აქვს, გადაკრულს კი რამოდენიმე პირი  
და ხელი.

— ნეტავ ასეთი მოქმედებაც თუ  
გაქვთ, როგორც სიტყვა? — აფიქრია-  
ნად ამხედ-ჩამხედა, მისი მზერა ტანზე  
გველის ცივ ჩასრიალებას ჰგავდა. ერთ-  
ხელ კიდევ იცვალა ფერი, ქლესად და  
ხელშინაურად შემომიბრუნდა:

— ამ ტყეში რაღა გვაქვს სადამო?..  
იგი მაინც ვაგწმინდოთ, მოჭრილი ხეები  
გავაშოროთ, ვიდრე ინსპექცია მოვიდო-  
დეს... თორემ საყვედური ისევ და ისევ  
ბარათას ხედება.

— ვიდრე ბარათა არ ჩამოვა, არც  
ერთი ძირზე მდგარი თუ მოჭრილი ხე  
აქედან არსად წავა! უმჯობესია ის  
იძიო — ვინ ესროლა მოხელს? იქ არის  
ძაფი, რომელიც ნახატარის მტაცებელთა  
კვალს გახსნის... შეიძლება სხვა რამე-  
საც...

— კარგი! — ყრუდ და საეჭვოდ მალე  
დამეთანხმა, ხელი ხელზე დამადო და  
სულ ჩუმად მითხრა, — ცურავში მაჯო-  
ბე, ნახატარში მჩაგრავ... გზაზე და სიყ-  
ვარულში ჩემია ლელო... ახლა სროლა-  
შიაც გამოგვდი... გაიხედე — აბა ესრო-  
ლე!

სერიდან ნახატარის კურდღელი წყა-  
როსაკენ მოკუნტრუშობდა.

„არა, არ წასულა კურდღელი ნახატა-  
რის ტყიდან!“ — საოცრად მიამა, თოფი  
სულ მიწისაკენ დავეშვი, დაბალ ხმაზე  
დავესტეინე. კურდღელი ცუცქად დაჯ-  
და, თეთრი გული დაგვანახა, მაგრამ  
აღარ დადგა — იგი უკვე დამფრთხალა  
იყო. შეტრიალდა და ავარდა აღმართში.  
თვალის ხამხამში უბეზე ხელი გაიკრა მ-  
ხათამ, სასროლი იძრო, — „ტეტე“ იყო.

გასროლა ხის მოსკდომის ხმას უფრო  
ჰგავდა, არა — ტოტის მოტეხის კურ-  
დღელი ერთი ამოტრიალდა, მაგრამ წა-  
მოხტა და სამფეხზე ხტომით გაეფარა  
სერის თავს.

— მოხვდა! ამაყად წამოიძახა და ნა-  
ჩქარევად შეაფარა იარაღი.

— მოხვდა, მაგრამ წაგვივინდა! შენ გე-  
ტყობა — ფეხში მორტყმა გეხერხება, ეგ  
არის და ეგ! — მწარედ გავკენწლეთ, მაგ-  
რამ მის უცბად აღეწილ სახეს, რომ შეე-  
ხედე, მივხვდი — კაკალ გულში მოვარ-  
ტყი სიტყვა და ტყვიაზე არა ნაკლებად!  
ხელი ავად ჩაიქნია და წამოვარდა...

— ვატყობ, ჩვენ ვერაფერში ვერ ეი-  
პონით საერთო ენას... ეგრე იყოს! ორა-  
გულზე ნაკლები ორაგული — არაგვმა  
დაახრწოს!

ისედაც თავქვე, მრჩოლელ ხარივით  
თავჩაზნექილი წავიდა. ზევიდან ეს ომა-  
ხიანი კაცი კუზიანს ჰგავდა. წყაროსთან  
უცბად დაიხარა და მუშტის ოდენა ქვა  
აიღო.

— ჰო, უბეში ჩაიდე, უბეში! ერთს  
ხომ ატარებ უკვე!

მახათელი ქვანაკრავივით შემობრუნდა.  
ხელი აღმართა და ძალმოჭარბებით ქვა  
წყაროთვალს ჩასცხო. აღმასის შეხედები  
გადაიფრქვენ ახლომახლოში.

იგი ყველაფერ წმინდას იმეტებდა და  
ჰკლავდა. ბარათას კერა, ნახატარის ტყე,  
ჩემი და მყვალას სიყვარული, იქნებ სი-  
ცოცხლეს... ყველაფერი პატიოსანი და  
საოცნებო საფრთხეში იყო. აღშფოთე-  
ბამ ყველაფერი დამაიწყა... ბოლოს და  
ბოლოს რა ფასი აქვს იმ სიძარბოებსა და  
ოცნებას, რომელსაც დარტყმითი ძალა  
არ გააჩნია, თავის დაცვა არ შეუძლია?

თოფი ავიტაცე, პირში ტყვია მივეცი,  
დავეუმიზნე, კორაზე დავსცი მგელკაცი...  
მაგრამ ჩახმახი ვერ ჩამოვეშალე. სამიზ-  
ნეზე მაინცდამაინც ადამიანი იჯდა. კა-  
ცის მოკვლა ადვილია, მისი ზნეობრივი  
წურთნა და გაბედნიერებაა ძნელი!

თოფი დავეშვი და მივხვდი, რომ გან-  
წირული ვარ. ამ ჰილილშიაც დიდი  
წონასწორობა დარღვეულია. მგელ-კაცს  
უკუღმართ საშუალებათა გამოყენების

დიდი უპირატესობა აქვს, იგი ზნეობრივ ქენჯნისაგან თავისუფალია!

ჩავედი. წყაროს თვალში ჩანარცხებულ-ლი ქვა ამოვიღე, ძირი ამოვუწმინდე, მღვრიე წყალი პეშვით ამოვხაპე. ახლო მივჯექე და როგორც სასწაულს ვუზნერდი — ივსებოდა წყაროთვალი. როცა აივსო და დაწდა — დავეწაფე და უმაღლეს დავმშვიდდი. იმედი აღმიდგა. დიახ, მგელ-კაცის „დიდი უპირატესობა“ ცხოვრების საბიძელზე მხოლოდ და მხოლოდ დროებითია... და მას ზნეობრივი უპირატესობა მაინც დათრგუნავს... და მეც მგელ-კაცურად მას ვერ ვებრძვი, ვერა! — თოფიდან ტყვია ამოვიღე და შორს ქვევით გადავაგდე... ესეც ჩემი „ქვა“ იყო... და როგორც მოვიშორე, ყველაფერი მომიღბა და შემიტრიალდა, ახლა მეორე კიდეს მივინარცხე... დაბოლოს რას ვერჩი ამ კაცს? მე თუ ერთი მიყვარს, ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ მეორე უნდა მძულდეს და იგი უსათუოდ მგელ-კაცად უნდა ჩაეთვალოს?!

ნახატარის ტყეში, ოცნებისა და სინამდვილის ზღვარზე დავიბენი. ახლა აღარ ვიცი, სად თავდება ჩემი მოთხოობის ქარგა, სად იწყება მიხვედრა და სად ებჯინება იგი ცხოვრების ურთულესს ძვრებსა და გარემოებებს?! ნუთუ საზომი დაგვარგე და ამიტომ უბედურთ ვარ?!

მთელი დამე უტყვიო თოფით ზელში ვბორგავდი ტყეში. ყველგან ხის ბაცეები მელანდებოდნენ... მესმოდა ჯაჭვა ხერხის ხრიალი, ცულის ხმა, მანქანის კრაზანული გუგუნო. თითქოს მთელი მანქანეთი ებრძოდა ამ უმწერო, უდანაშაულო და მაინც განწირულ ტყეს. სადღაც ბნელაში დაბორგავდა ფხმორტხილი კურდღელი, და ყველა ამათი მხსნელი, მე ჩემი დაბნეულ გატაცებითა და აღფრთოვანებით, ჩემი შეტეხილ კალმითა და ცარიელ თოფით — არ ვიყავი, არამედ ხერხემალმტკიცე, გულგაუტრეხავი და ბრძნულ სათნოებით აღსავსე ბარათა.

გათენებისას გაუხდელად მივწეკი სა-

ძილე ტომარზე და დაღლილი ძილე საფლობივით გარს შემომადგა.

გვიან გამომვლევია. წყაროზე ჩავედი: მიწაზე გართხმული კურდღელი დამხვდა. მოტეხილი ფეხი ქვას მოსდებოდა. დრუნჩი წყაროსათვის ეწვდინა ზედ დაკედომოდა. წყაროს კრიალა თვალში კი კურდღლის ანარეკლი ცოცხალივით ციმციმებდა... ნახატარის უფოთლო, მაგრამ უთოვლო ტყეში ნისლი იდგა და ყველაფერს მოკლულ კურდღელის ფერი ეღო.

კურდღელი ქვევით ჩავიტანე და ალყაზე დაუკიდე მახათელს. მალე მანაც გააღო კარიბჭე და მანქანა გამოიყვანა.

— ეს რას ნიშნავს?

— არაფერს. ის კურდღელია... გუშინდელი... ვერ წაგივიდა მაინც...

გაეღიმა, წამოხალისდა.

— ვისაც მოუკლავს — ის მოჰკლავს...

— გაიხარე, მახათელო, მაგრამ ბარათას ნუ ეტყვი... ისიც ხომ ფეხშია დაჭრილი.

ტუხას კვლავ დავეცრიხა სახე, კურდღელს ხელი დასტაცა და შორს გზისაკენ მოიქნია. მანქანას წინსაფარი აღწია, შიგ თავი ჩარგო და კარგახანს ანხაკუნა. თავი რომ დაიწყინარა, მოვიდა და ლობის ძირში, ახლო დამიჯდა.

— თქვენ ალბათ ყოველად მავნე პიროვნებად მთვლით? აი ისეთად! — ხელი მაღლა აიშვირა. იქ, ნახატარის ტყის თავზე ძერა უვლიდა, ირაოს თანდათან ალაღებდა. გვერდულად დაჰყვა ნიავწანწალას, მოსწურა რკალი, გზისაკენ ჩამოდაბლდა და კურდღლის ლეშს უწყო პაერდავლური.

— მეც ცხოვრება მინდა... და არც სხვაზე ნაკლები! მეც გამაჩნია ჩემი დიდი სურვილი...

— ვთქვათ — სიხარბეში!

— სიამაყეც...

— ვთქვათ — თავხედობა!

— ზნეობაც, დიახ ზნეობაც! — იგი უკვე ყვიროდა.

— ორი კენჭისა?!

— მოთმინებაც მაქვს... მაგრამ...

იგი უკვე ჰკარგავდა თავის მოთმინებას. შეშვლდებოდა როგორც მაშინ, არაგვზე.

— ხელს მომდევს და ჩემს ბედნიერებას ვუვლავ და ვუვლავ... —

— ვის ხარჯზე? — კიდეც შეეჩხვლიტე სიტყვა.

ძერა კი უვლიდა, სულ უვლიდა... სწორავდა არეს...

— ეს მე არ შეკითხება... საკუთრება არ არსებობს, რაც მჭირია და შემოძლია ყველაფერი ჩემია!

ძერას ეუმზერდი და მესმოდა გაძერებულ ადამიანის ნაღველფი სიტყვა.

— ცხოვრებაში ყველა—ყველას ებრძვის, მაშასადამე, ყველაფერი დასაშვებია.

— შენ რომელ საუკუნეში ცხოვრობ? ამ შეკითხვას, რა თქმა უნდა, არ მოელოდა. ტუჩზე იკბინა და მწარედ მომიგო:

— თქვენის წყალობით იქნება უკვდავება მელირსოსი.. ისიც მითხარით — ვინ დაგნიშნათ ჩემ მოსამართლედ?! მე პასუხს მოვითხოვ! შენ კიდეც მიგებ პასუხს!

ძერა პაერში შედგა და კურდღლის ლეშს ირიბულად ფრთა ჩაუჭრა. თოფი ემარჯვე, საფანტიანი ვაზნა მიეცეც ლულაში, შეეშარათ... მოვსხლიტე ჩახმაზი. ძერა კვამლივით გაიბურა თავის ბუმბულში, ფრთაჩატეხილად ჩასრიალდა პაერში და გზას დაასკდა.

ხედაც ხალხით სავსე ავტობუსი ამოვრიალდა.

გაგა მძლოლი ვიცანი... დამინახა, ხელი დამიჭინა...

— დაჰკა მამეტებს! საციქველი კი ჩვენზე იყოს!

მგზავრებმაც შექმნეს ერთობლივი ეივილ-ხივილი. გაგამ მანქანა უპირდაპირა ძერას და როდესაც გადივრიალა, გზატკეცილზე გასრესილი ძერა ძლივს დაჩანდა... პაერში კი ჯერ ფრინავდა მისი ბუმბული.

— აი ჩემი პასუხი! იმ ხალხისაც! მახათა თოფნაკრავივით წამოვარდა, მანქანას მიაშურა, მოსხლეტი დასძრა,

კურდღელი გადასრისა და ქვევითყენ თვალს მიეფარა.

გზაზე ახლა ძერაც და კურდღელიც მოკლულებიცა და გასრესილებიც იყვნენ.

ისევ საფანტიო გაეტენე თოფი და ნახატარს მივაშურე. ტყეში ისევ ნისლი იდგა...

შემდეგ დღეები და ღამეები სულ წყნარად და უშფოთველად გაეატარე. მახათელიც აღარ გამოჩენილა გზაზე. მხოლოდ ღამ-ღამობით მგელი შემომეჩვენია. გადმოდგებოდა ქედზე, გადმომღმულებდა... ერთს შეეკვიჩინებდი და თავს დამანებებდა... ვიყავით ასე მგელი და ადამიანი!

კვირის სწორს ბარათას სახლთან შეჩერდა მანქანა და ვიდრე არ გადავიხედე ახმანა საყვირი. ვიცანი მახათელის მსუბუქი მანქანა. თავად არც გადმოსულა, დამინახა და უმაღლ გასწია აღმა. შემამოწმა. ახლა კი მოველოდი „სტუმრებს“. არც შეეცდი. ნაშუადღევს ორი კაცი მეწვია. ერთი ჩემი ძველი ნაცნობი — ფასანაურელი მეტყვევ. მეორეს კი ნახევრად საშხედრო სამოსი ეცვა. მიხვდი გამომძიებელი იყო.

— მწერალ — მეტყვევეს ვახლავართ... ადამიანის გამკილაგსა და ბუნების დამცველს!

— მე უსაბუთოდ არავის ვკილაგ... ადამიანიც ალბათ თქვენზე უფრო მიყვარს. ბუნების დაცვა კი ყველას ვაღიან!

გამომძიებელმა ბევრი უარა, ათვალევრა ის ადგილი სადაც ბარათა დაჭრეს. მეტყვევემ კი მოჭრილი თელეები გადათვალა, მეჩხრად დარჩენილთაც ირიბად თვალა გაჰკრა. გამომძიებელს მოშორება აცალა, თუთუნი გაახვია და გააბოლა...

— ეჰ, ნახატარი მალე ნატყვევარიც გახდება... ასე იცის გზის პირში გულს ნუ იტებთ — ეს სავსებით კანონზომიერია! აქ ყველა მწერალი რომ ჩადგეს სადარაჯოზე, ყველა ტყის მცველი ბარათასთანა რომ იყოს, მაინც აღარაფერი ეშველება.

— რატომ?

მაგრამ უფროსი მეტყევე, თავისას განაგრძობდა, თითქოს ტყეს უმხელდა ნამალევ დასკვნებს, აბოლებდა და ამბობდა...

— მით უფრო ახლა, ბარათამაც რომ ხელი აიღო დაცვაზე... მწერლურად რომ ვთქვათ — ფეხი დასდო და ხელი აიღო! — მოპარულ საულეაშეზე ოფლს იწმენდა.

მივხვდი — მეტყევე, ორმაგულად ლაპარაკობდა... არავის გასაგონად, ჩემ საგულისხმოდ, ხოლო მის განზრახ მხნეობას — სევდის გრძელი კუდი ეთრეოდა...

— თავის დადებას ფეხის დადება ერთი იქნება!

— ხელი ააღებინეთ? გააძევეთ სამსახურიდან?

— არა, თავად მიდის... — მეტყევემ კვამლს ხელი აუქნია და ქაღალდი გამომიწოდა.

„მე ველარ ვიცავ და ველარც დავიცავ ნახატარის ტყეს“. ხელს ბარათა აწერდა. განცხადება კი სხვისი ხელით იყო დაწერილი. ქაღალდს ერთი-ორი ლაქა ჰქონდა და ოდნავ ბენზინის სუნის ასლიოდა.

— მახათელმა გადმოგცათ?

— დიახ...

— შეაჩერეთ ბარათას ჩამოსვლამდე.

— უკვე გვიან არის... რაიონში ბრძანება დაწერილია...

— მერმე ვინ დაიცავს?

— ერთ კვირაში გამოვგზავნით კაცს...

— ერთ კვირაში აღარაფერი იქნება დასაცავი!

— არც ასეა საქმე... — ისევე მხნედ წაშობიხა, მერმე გააბოლა და კვამლში გახვეულმა, კილო ჩაიკლო, — ...მაგრამ არც უმაგისობა გვჭირს... საერთოდ სულ გულახდილად რომ ვთქვათ — გზა მაინც წაიღებს თავისას და რაც უფრო მალე წაიღებს, იქნებ მით უმჯობესი... დროს მაინც მოვიგებთ... რას იზამ, წინსვლის ზედნადები ხარჯები!

— მერმე?

— მერმე მოვუბრუნდებით ნახატარს, ახლა ჩვენ გავაშენებთ ახალ ტყეს... უფ-

რო კულტურულად უფრო შერჩევით... იმ ახალს კი არაღინ დაეხარებება, ვიდრე არ დაიზრდებიან თელემბ. — იქამდე კი ახალი შეგნებაც გაუტოლდება ტექნიკის საოცარ მიღწევებსა და ამ გზაზე წინსვლას! მოსახერხი უნდა მოიხერხოს... ზევი ბოლომდე უნდა მიგორდეს... განწირულის დაცვა კი დონკინობაა!

აქ სადღაც სიმართლის მარცვალი უთუოდ იყო, მაგრამ დასკვნა მგლური გამოდიოდა. მართლაც ტექნიკურმა განვითარებამ ბევრად გაუსწრო სულიერ კულტურის სათანადო მომწიფებას... აქ დაირღვა — დიდი ზნეობრივი წონასწორობა და ბევრი მანქანაში თუ თვითმფრინავში მჯდომი, თავისი სულიერი განვითარებით და შეგნებულობით ჯერ კიდევ ქვის ხანაში იმყოფება.

პასუხი ვერ მოვასწარი. გამომძიებელმა მოათავა ადგილის მოკვლევა და ჩვენთან მოვიდა. მეტყევე ისე მიბრუნდა — თითქოს ჩვენს შორის არ თქმულა არც ერთი სიტყვა.

ახლა სხვა მხრიდან მომენარცხა შემოტევა.

— თქვენი თოფი რა ყალიბისაა? ცარიელი ვაზნა არ გექნებათ? — შემპარავად შემომექითხა გამომძიებელი.

— ოცისა! — ძერის ჩამომგდები ვაზნა გაუწოდე. მან პორტფელიდან პაპიროსის კოლოფი ამოიღო, გამომიწოდა, თან რატომღაც თვალი — თვალში გამოეყრა.

კოლოფში პაპიროსების გარდა, მანთებელა და ტყვია იღო.

— მადლობთ, არ ვეწევი...

თავად აიღო, მანთებელაც დაკვესა, პაპიროსი გააბოლა. თითქოს შემთხვევით ტყვიაც ამოიღო და ჩემ მიცემულ ვაზნას მიუზომა. ზედმიწევნით მოერგო.

— სწორედ გასაკვირია, ეს ტყვიაც თქვენი თოფის ყალიბისაა! — ეჭვიანად შემომხედა და უფრო გააბოლა. ტყვია გამოვართვი და გავსინჯე.

— ესეც ოცისაა უდაოდ... მაგრამ რა არის აქ „სწორედ გასაკვირი“!

— ეს ტყვია ბარათას კრილოზიდან

ამოაცალეს — აი რა! — ჯიქურად შემომხედა გამომძიებელმა.

— ჰმ, კვალს მიაგენით?

— ...იქნებ?!

— იცით, რა მოგახსენოთ—გამოუცდელ მწერალს მაგონებთ, აი, შექმნის მოთხრობის ზერელე ქარავს და მერმე ყველგან მას ხედავს, დაეძებს... ხელნაწერში კი მეორევე ფურცელზე იჩიხება ან იჩეხება მისი ქარვა... მეც ასეთი ვიყავ ნახატარამდე.

— აბა დამირღვიეთ... ჩამჩიხეთ! — უკვე გამომწვევად შემომედავა გამომძიებელი. ეს უკვე დაკითხვას ჰგავდა.

— პირველი. თქვენ დარწმუნებული ხართ რომ სწორედ ეს ტყვია ამოულეს ქრილობიდან ბარათას?

— დარწმუნებული... მისმა სიძემ პირადად გადმომცა...

— ჯერ-ჯერობით მხოლოდ სასიძომ და არა სიძემ!

— ეგ წერილმანია და უშუალოდ საქმეს არც შეეხება...

— მით უფრო რომ ქორწილის დღე უკვე დანიშნულია, აი ჩამოვა თუ არა ბარათა, — დაუდასტურა მეტყვევებამას გაბზარული სათვალეები გაეკეთებინა და თვალ-ირიბად მიშხერდა.

— თქვენც დაპატივებული ბრძანდებით, რაღა თქმა უნდა, — მწარედ გავკენწლე.

— არც ეგ შეეხება საქმეს! — ახლა გამომძიებელმა გამაჩერა, დაკითხვას თავისი კალაპოტი მისცა.

მე მივხვდი, რომ ჯერ-ჯერობით უნდა გავჩუმდე, თუ არ მინდა სწორი კვალი დაეკარგო.

— მეორეც... აქ რაიმე იჭვიანობის ნიადაგი ხომ არ გამოსკვივის, პატივცემული?... მე ცოტაოდენ მსმენია... არაგვი, წერილები...

— მეორესაც მოგახსენებთ... ეს თოფი ბარათასია და როდესაც დასკრეს, მაშინ თან ჰქონდა.

— ეგ საბუთია! უცნაური დამთხვევაა... — გულახდილად წამოიძახა გამომძიებელმა. — თქვენ პირადად ვინ გაგაგებინათ ბარათას დაქრა?

— ისევ და ისევ მახათელმა...  
— რატომ „ისევ და ისევ“...  
— რთულ მოთხრობას ეწერ, ვეძიებ...

ცხოვრებასთან ახლო ვიჭერ სიმართლის ვარაუდს...

გამომძიებელმა პაპიროსი თითებში დააქრო და გადააგდო. ტყვია და ვაზნა ერთად ჩადო კოლოფში...

— თქვენ პირადად, ვიზე გაქვთ ეჭვი?

— ამას მოთხრობის ბოლოში გეტყვით...

— გისურვებთ მოთხრობის მალე დამთავრებას... ჩვენ კი ალბათ კიდევ შეეხედებით ერთმანეთს...

— ქორწილში ან ტყეში... იქნებ სხვაგანაც... ადამიანისა და ტყის მეგობარო — ლამაზნელო! — უბოროტოდ ჩაიცინა უფროსმა მეტყვევებ.

... და მართლაც შეეხვდით... რამოდენიმე დღეში მახათელმა ბარათაც ჩამოიყვანა. ვერ დამდგარიყო საეუბროდ უფროსი. ჯერ კიდევ ყავარჯნებით იარაშხნეულო, მაინც ამოვიდა ტყეში, გამომძიებელს, მეტყვევს და ტუხას კიდევ ერთხელ წვლილვით მოუყვა დაქრის ამბავი.

— ფეხს არ ვჩივი — ხეს ვჩივი! — ხელი მიწაზე გართხმულ თელას დაქრა და იქვე უძღურად მიჯდა.

მისეული თოფი და სავაზნე გადავეცი.

— აჰა, შენი უძრავ-მოდრავი ამ ხნის განმავლობაში არც ერთი ფიჩხიც არ დაქვლებია ტყეს... კურდღელზე კი არას ვიტყვი... მე მწამებდი თავგარიდებას, შენმა განცხადებამ გამაყვირვა, გულიც გამიტეხა, ბარათავ!

— ეჰ, მწერალ-კაცი! მე და შენ ველარ დავუდგებით მცველად ნახატარს... ჩვენ იმასაც ვერ გავიგებთ რათა?... ახლა ამით უკეთ ესმით... ყველგან იცვლება ფესვი, ჩანს ტყვეც ახალ ძირზე უნდა ამოვიდეს და ის არის!

— მაშრადას აპირებ, ბარათავ? გზის პირას ჯდომას?

— უსაქმოდ რა გამაჩერებს? გზის მუშად მაწყობს ტუხა... შორს არსად წავალ.

„ისევ მახათა“, ჩემს მიხვედრას და სიძულვილს ერთი მარკველი შეემატა...

გზაზე გაგდებული, ტყედაკარგული ბარათას ბედი, რაღა თქმა უნდა მის აუტდენელ სიძის ხელში იყო. ჩემი ჩარევა მხოლოდ გააუბედურებდა ოჯახს. ავდექი და ყველას გამოვემშვიდობე:

— ხეირი ნახეთ, არაგველებო! მშვილობით ბარათავ, ახლა დიდხანს ვეღარ შევიყრებით... ახალ ძირზე ამოყრილ ტყეში თუ!?

ბარათას ხელი ჩამოვართვი. ერთიკ მიმისვა მოჭრილ ზელაზე და ჩამჩურჩულა.

— ეპ, სხვანაირად მიწვედა გული... უკუღმართია ცხოვრება... აღარც შვილი მომიბრუნდა ჯარიდან... შენც გულწისლიანად მიდიხარ... მაგრამ წალმართი მაინც სძლევს... — კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ მახათა ჩაგვერია და სიტყვის შუაში ჩაგვიდგა.

— წაგიყვანთ მანქანით...

— არა, მე თავად წავალ... ფეხით მიჩვენია...

კაკლის ძირში მოვბრუნდი, ჩანთა მოვიკიდე, კაკლის ხეს, ცოცხალივით, ალერსად მოვხვიე ხელი და მის ძირებს ჩაეყვი.

წყაროს წყალი დაშურებით, დიდხანს სამყოფად შევსვი, მშრალ ხეეს ჩავყევი და გზაზე გავედი. ნახატარის ტყიდან ისე განდევნილივით მოვდიოდი, როგორც ბიბლიური ადამი სამოთხიდან... მაგრამ მას ევაც მიჰყვებოდა და თავდაც იცოდა თავისი ცოდვა... მე კი არა! ნისლი იდგა ნახატარის ტყეში....

რომ მოვიხედე — კაკლის ტანს ვილაც ეფარებოდა. მივხვდი, ბედნიერი სასიძო იყო. მითვალთვალებდა—მის საცოლესთან არ შეესულიყავ... საშინელი დამცირება ვიგრძენ. ისედაც ყველაფერი ნათელი იყო. რაღა საჭირო იყო მაყვალას მდგომარეობის უფრო გართულება, ჩემი ტკივილის უფრო გამძაფრება!?

დახშულ და დაფარულ სარკმელს ჩაეუარე. ფარდის იქით თითქოს ჩრდილი იდგა. გულისცემა მომიძლიერდა და ფეხს აეუჩქარე... ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ვილაცა მომდევდა. მოსახვევში მოვბრუნდი — გზაზე არაფერი იყო.

აღარც კაკლის ძირი ჩანდა. თავი ჩაეხარე და ჩემ გზას დაეადექი.

უეცრად გზის ქვედა მხრიდან ჩემი ქნარის მიღმა ბილიკზე მაყვალა დაეინახე... ჩემსკენ მოისწრაფოდა, ხელები გულზე მიედო და თითქმის მორბოდა. გაკვირვება და სინარული გულზე ერთად მომეფეთა. ადგილზე გამაშეშა, უკან გამომაბრუნა, მაგრამ მაყვალამ შორიდანვე ხელები უარის ნიშნად ასაყსავა. აღელვებული მოვარდა, გვერდში ამომიდგა, გზის ჩრდილოვან მხარეს გამიყოლა და სვლა განაგრძო.

— ასე ვერ გაგიშვებდი, ვერა! უნდა მენახეთ, უნდა მეთქვა... ამის უთქმელობას ვერ ავიტანდი... თქვენ საშიშროება მოგელით — თქვენზე საჩივარი იწერება, ათასგვარი ცილისწამება, შურიანი დაბეზლება... შემთხვევით წაეაწყდი... თქვენ შემაყვარეთ ხელნაწერების კითხვა! თქვენი ხელნაწერიც ხომ... ერთერთი შავი ჩემთან არის... — მას გული ამოვარდნაზე ჰქონდა. შეეჩჩერე, დამშვიდება დაეუბირე... არც გაჩერდა, არც სიტყვა მათქმევინა.

— ეიცო, არ გეშინიათ... ჰფიქრობთ ვერას გახდება... მაგრამ...

— თქვენი არჩეული წერს! — მწარედ შევეკითხე.

მაყვალას სახე აეტანჯა, მაგრამ სვლა არ შეუნელებია. მას გაჩერება აღარ შეეძლო, როგორც არაგვეს, რომელიც აქ გზის პირას დიოდა.

— ამას ნულარ მკითხავ... ისედაც ბევრი ვთქვი... გააბზაზეა გული... ჩემი არჩევანი კი სხვა იყო, მაგრამ...

მანქანამ ჩაგვიქროლა. მტვერის კორიანტელში გაგვხვია.

— მაგრამ?.. — ჩავეძიე. მაყვალამ ერთიკ შემომხედა და მერმე თითქოს გადახტა არაგვეში:

— მაგრამ .... ის მოთხრობას სწერდა, გმირებს დაეძებდა... მე კი ბუღლეზე ვფიქრობდი და არც გმირი ვიყავ...

ახლა ქვევიდან ამოგვიარა საბარგომი, ისევ კორიანტელი გაიყოლა. ჩვენ არავგისაკენ გადავდექით. ახლა მანქანების

მთელმა ქარავანმა იგვიარა, გაგვყარუა... ურთიერთ გაგებაც შეგვიფერხა.

— რას ამბობ მაყვალავ? მაშ რატომ გაპყევი, გზაზე რომ დაგხვდი?

—...ასე მოეწყო... შენ თავად გამიშვი!.. მე კი ისეთი ძალა აბა სად გამაჩნია, რომ თავად მიემართო ცხოვრების გზა? ბედი თუ ვერ მელირსა, ამაში სხვა-საღ მიუძღვის ბრალი! — ქალი გაჩუმდა... ზევიდანაც და ქვევიდანაც ისევ მოჰქროდნენ მანქანები... ქვეყნის მანქანები... ირგვლივ დიდი მოძრაობა იყო... თითქოს სიყვარულისათვის აღარ რჩებოდა დრო და ადგილი...

— ნუთუ მე... მე ვარ დამნაშავე? — შეძრწუნებულად შევეკითხე და მივხვდი რომ მაყვალა მართალია.

ქალი შედგა:

— ახლა მშვიდობით... იყავით ბედნიერი! ჩემი გაფრთხილებაც გახსოვდეთ!

— გაფიცებ არაგვს, ნახატარს! კაკალსა და წყაროს... მაყვალავ! — სიტყვა აღარ დავამთავრე, მე კიდევ სიტყვებს, სახეებს და ალბათ მოთხრობის გმირებს დავეძებდი... გულზე სიმწარე შემომაწვა და წამომავივლა... — იქნებ კიდევ არ არის გვიან?

...ისევ მანქანა მოჰქროდა საყვირის ხმიან-ხმიანით...

— უკვე გვიანაა... ხმადავარნილად აღმოხდა მაყვალას, — გამოსავალი აღარსად იყო, სულ ჩაიხლართა ყველაფერი... ტყე, მამის ბედი, სახლი... ბედშეცილებული გრძნობა... თქვენ კი ოცნებობდით და სდუმდით... არც ერთი გარკვეული სიტყვა... ჰოდა, რაღა უნდა მექნა?... ვიდრე ხელი არ მოვაწერეთ — არც გამომიშვა ქალაქიდან... თუნდაც ერთი სიტყვა, ერთი ნიშანი შენგანი!..

— მაყვალავ! ჩემი წერილები, ცხრა ერთად... — შევძახე, მაგრამ მანქანა უკვე მოგვწვდა... აქ სულ ვიწრო იყო, გვერდი-გვერდად იყვნენ გზა და არაგვი.

— ახლა უფრო უბედური ვარ! — ესლა გავიკე ქალის სიტყვა. მანქანა შედგა. მახათელი იყო. ქვისფერი ედო.

მაყვალამ ჩამოსვლა არ იცალა, უჩვეულო გამზედაობით მიეტანა;

— ჩემი წერილები? — კიდევ ერთხელ ყველაფერი სასწორზე იდო.

— აჰა, ჩაიბარე! — სულ უბრალოდ მიუგო ტუხამ და მაყვალასაც, როგორც ოდესმე მე, ცხრავე სათითაოდ ჩაუთვალა. მეცხრეს უკვე ჩემს გასაგონად დასძინა.

— ხომ ყველა?

— ყველა... — უნებურად დაეუდასტურე, არც მოველოდი მისგან ასეთ ღია თამაშს. ერთ კენჭად ჩემი ცხრა წერილი ჰქონდა... მალე შეორეც გაირკვა.

— მამაშენს რა გადაეცე?.. ნახატარის ტყეში გულშემოყრილი მელის! — ახლა კი მაყვალას შევეკითხა და ოდნავ თვალმოწურულად შეჰხედა.

— მამას? — ჩამწყდარი ხმა სულ ჩაეკარგა მაყვალას, კარგახანს უშზირა გულში ჩაქრულ წერილების დასტას, — უკვე გვიან არის, უკვე გვიან არის! — ერთიღა აღმოხდა გულის სიღრმიდან და ჩემი წერილები გაუხევეად, მაგრამ წაუკითხავადაც სათითაოდ გადააგდო არაგვში... — უკვე გვიან არის!

წერილები ჯერ თეთრ მტრედებივით შეფარფატლებოდნენ. მერმე კი ნალღუმარ თევზებივით ამობრუნებულად მისდევდნენ არაგვის ტალღებს...

წერილებს შორის ჩემი გმირიც და სატრფოც მდინარის ჩქერში ამომელანდა. ჩემი შეთხზული სახეები და შედარებები ერთობლივ ამიჯანყდნენ, უკან დამკრეს, მორიელებად შემომესივნენ... ჩემი ცხოვრებაც თუ გაპყვა მღვრიე არაგვს, შეშფოთებულ ნახატარშიაც არ დამრჩა ბინა... ჩემი გრძნობა გზაზე გატეხილ კოკასავით უძიროდ ეგდო, მახათელის ბაგეებზე კი ზეიმ-ლიმილმა ფეხმოტეხილ კურდღელივით გადაიბრინა.

ქალი უკან გაბრუნდა. არც მანქანაში ჩაჯდა, მაგრამ ამას უკვე აღარ ჰქონდა მნიშვნელობა.

მე დაბნეული და გარიყული ვუშხერდი ჩემს მოხდენილსა და მორაინდო საქმოსან მეტოქეს. მის ყოველ საქციელში

ნიჭისა და ცხოვრების უკუღმართობის იმდენი ცოდნა და ჰერეტა ჩანდა, რომ მას კეშმარიტად შეენოდა უსვინდისობაც! ზნეობისათვის კი სრულიადაც აღარ რჩებოდა ადგილი.

„ჩემო ნახატარო, შენს ახლო გზაზე თუ ასეთი აფთრები გამოსულან, როგორი იქნებიან ისინი თავის ბუნაგებში?“

მახათამ შემოაბრუნა მანქანა. ერთი გულბრყვილობა კიდევ მომივიდა, აშკარად ვუთხარ:

— შენ შავი ყვავილი ხარ, მაგრამ მითქვამს — დიდხანს ვერ იბოგინებ... ქვეყანა იმიტომ კი არ მიდის წინ რომ შენ გაპატივოს!

— რას მერჩი ისევ!? — მიამიტად ჩაჰხარა თვალები, წამწამებზე კი ენაგადმოგდებული ეშმაკები უთამაშებდნენ.

— თავს ნუ იკატუნებ! ყველგან გერჩი, მრავალს გერჩი... ბევრს რამესაც მიხედვრილი ვარ! კარგად ჰფარცხავ, მაგრამ საბუთები თავისთავად გამჟღავნებინან... ტყუილს გრძელი ხელები აქვს, მაგრამ ფეხები მაინც მოკლე აბია, მოკლე აბია!

ახლა კი მედიდურად გადმომხედა:

— ვაი-ჩხაპნიავ! შენ არც სიყვარული შეგძლებია... არც ბრძოლა... ცხოვრების ალღო და საერთოდ საპირო ადამიანის ბუნება დაკარგული გაქვს, — აუჩქარებლად, დაყვავებით მეტყველებდა, თითქოს საამო რამეს მეუბნებოდა, — შენ უნიჭო მწერალი და უსაქმო მოლაყბე ხარ... ყველგან ხელმოცარული, ამიტომ ყველაფერზე გულალრენილი... მე კი ახალი საქმის მაყარი ვარ, მისი შედეგი და შედეგი მიყვარს, მოვიგვი კიდევაც! ეპოქის შვილი მე ვარ და არა შენ!

მისმა სიღინჯემ და ალბათ ზოგ რამეში მართებულობამ, გულზე გამხეტოქა:

— შენ ყველა ეპოქის უტიფრობა ხარ და არა შვილი! რა კი ბუნებადაკარგულ ადამიანზე მიდგა საქმე, უნიჭო და უსაქმო მოლაყბე, ბევრად ჯობია — ნიჭიერსა და საქმიან აფთარს! ყველგან გერჩი — არა პირადულს, არა კერძოს — აქ ჩანს ყოველთვის მაჯობებ, — საერთოს; სახალხოს გერჩი!

ახლა კი დაჰკარგა წონასწორობა, შარტლაც გააფთრდა, ლამაზი სახე დაემანქა:

— ყველგან გაგცემ სათანადო პასუხს! არა, მოგთხოვ პასუხს! ხალხისა და ახლის მტერო! — მანქანა სიჩქარეში ჩააგდო და კრახანის ხმით გამეცალა.

გზაზე ერთი წამით, როგორც დიდი აფეთქების შემდეგ, სიჩუმე და სიცარიელე ჩამოვარდა. მერმე ისევ აიარ-ჩამოიარეს მანქანებმა... თითქოს გზაზე არაფერი არ მომხდარა.

მეც გზასა და არაგვს დაყვევი.

ორი კვირის შემდეგ ბარათს წერილი მომივიდა ქალაქში.

„კვირას ქორწილი გვაქვს. გამითხოვდა მაყვალა. თითქოს ბედი მეწია და რა ვიცი... ცხოვრება ხან წალმა მეწვეა, ხან უკუღმა... სათქმელი ბევრი მაქვს. გული თუ გამოგაწივს — ერთხელაც დაგვხედე...“

მე ახლა გზაზე ვარ, უბნის მუშად. ისევ სიძემ მიხსნა. სიკეთით კი აგავსო და რა ვიცი!? ვთქვა რამე — ენა არ მიბრუნდება, არა და გული ვერ მიუჩნდება... ფეხი კი მომიჩჩა, მაგრამ ნახატარის ტყეს კი სულ შემოერღვა ლობე... მიკვდება გული და რას გავაწყობ... უდიდესი სიბრძნე — მოთმინება! დასწერე, ტყის დაცვაზე დასწერე რამე!.. ბედნიერი ვიქნები თუ კიდევ გნახავ...“

ახლა კი ყოველმხრივ მაჯობა მახათამ. მეც კალამს წავავლე ხელი. ჩვენს შორის ბრძოლა ისევ გრძელდებოდა... ნარკვევებში, მოთხრობებში, ცხოვრებაში... ტყეში თუ არაგვზე, ქალაქში თუ ყველა გზაზე. მაგრამ მცირე მანძილზე მე ყველგან დამარცხებული გამოვდიოდი. იგი ჩემზე ძლიერი იყო. მას ბრძოლის არავითარი საშუალება არ მიაჩნდა სათაჯილოდ... ცილისწამება, დასმენა, ფარული თუ უსახელო წერილები, სიყალბის თხზვა და ჩმახვა.

... და მე ჩემი ჩანთითა და საძილე ტომრით, შორეულ გზებს დავადექი. დიდ მანძილებს კი დიდი ღრო მიაქვს. ორივე ხელის თითები არ მეყოფა წლების ჩამოსათვლელად. სად არ ვიყავი, რა გზები და ტყეები არ ვნახე. პირიქითა

კაცკასიონის ფიჭვი და ფოთოლნარი, შუა ზოლის არყის ტყერები, შუა აზიის საქსაულის და ფშატის კორომები, ჩრდილო წიწვნართა სამყარო, ტაიგის მწვანე ოკეანე, შორს ჩრდილოეთის ჯუჯა ტყე და ბოლოს ტუნდრის უტყეობა და ბურცოებიანი ქაობები... ამ ხეტიალში ყველგან თან მახლდა, თვალის გუგაზე სამუდამოდ აღბეჭდილი უცისფრესი წყაროთვალის, მძლე ფესვებიანი კაკალი, მწვანე ჩრდილიანი თელნარი. ყველაფერს ნახატარის ტყეში ვაცრილად ვხედავდი და ვგრძნობდი. მაშინ მივხვდი რომ ეს უფრო მეტია, ვიდრე ბუნების ერთი კუთხის, ან ერის ერთი ადამიანის სიყვარული.. და ეს უკვდავი გრძნობა მშველის და მამხნეველს, მამოქმედებს... შორეულ გზებზეც მიმსუბუქებს ყარობის შემძიმებულ ჩანთას, მითბობს შეძველებულ საძილე ტომარას, მიტკობს შემწარებულ ლუქმას... და როდესაც ჩემი ცხოვრების გზა ისევ საარაგოზე ჩამოვიღის, თვალს კვლავ იზოვნის აგუგაზე აღბეჭდილ სურათს, რომელიც არც ამოდ უტარებია, უძებნია, უნატრია!

...ასეც მოხდა, და მე შემოცვეთილ ჩანთით, საკმაოდ ჭადარაზორულმა, ისევ შემოვდგი ფეხი ძველ გზაზე. საარაგოს ჩრდილო მთიდან ვადმოვადექი. ძველი მოგონებები ბალღებზეთ წამომესიგნენ. აწმყაში და წარსულში ერთდროულად ვარ. ახალი, გაკრიალებული აეტობუსი არაგვის ხეობას ჩაჰყვა. საჭეს ახალგაზრდა მძლოლი უხის. გაგას, მე რომ მგავდა, იმას მაგონებს. იქნებ შვილია მისი. ისიც მამჩნევს ღღელვას:

— თქვენ დიდი ხანია აღარ ყოფილხართ ჩვენსკენ? ის გაკვირვებთ, რასაც ჩვენ კარგა ხანია შევეჩვიეთ!

— დიდი ხანია... ახლა ძველსა და ახალს ვადარებ...

— ყოველ ცვლილებას ამჩნევთ? ახლა გზაა — არაგვიანი!

ორმაგად ფართო გზა მთლიანად გუდრონის აბჯარში ჩამჯდარა. ზედ ხიდები, საბჯენები, კედლები, წყალსავალები ლითონისა და ბეტონის ვეება ბალთებად ჩამაგრებულან. გზასთან ახლო ჩამოჩო-

ჩებული სოფლები, ხშირად უწყვეტ ქუჩებად მისდევენ დედა-გზას. ორბის ნაბუღარებში, შექი კი არა, თვით ელექტროსადგურები აუგიათ. არაგვი ქვაბეტონის ჯგებირებით შეუკრავთ და ჩაუვარცხნიათ. ძველი ტყე ვიწრო ხევებში შეხინხულა, შემეჩხრებულა. მაგრამ ახალნაზარდი ხეხილ-ბაღნარი იმდენიანად ჩამწკრივებულა და გაზაფხულის მწვანე ცეცხლი მოჰკიდებია. დიდი ხნის უნახავის დაწაფებული თვალთ, ყოველ მიჯნაზე ვხედავ, რომ აქ გაზაფხული როგორც წელიწადის ერთ-ერთი დრო კი არ მოსულა, არამედ როგორც საერთო წინსვლა, მთის გაღვიძება, ახლებურად გაარაგვება... გაზაფხული მარტო მზითა და შხაპუნა წვიმით კი არ მოდის, არამედ დიდი გზით და ხალხის შეგნებულად გაერთიანებულ შრომით. წინათ აქ გზა — გამკრავ ქარივით თუ იყო, გადიოდა და გაჰქონდა, ახლა ძირითად ძარღვად დევს და ის ასაზრდოებს მხარეს — ახლის არის ადგილის დედა.

საღამოს ბურს ნისლმა ჩამოასწრო, მიძიმე ღრუბელიც ხეობას შავ ქოლგასავით გადმოეფარცხა. ელვამ წიხლი ჩაჰკრა, ღვართაფი ჩამოანარცხა. გვერდის ხეობებიდან შავფაფარა ღვარები ჩამოდგნენ და თავის ფერხულით არაგვი სულ გაღარიეს. გზის სველ სარკვეზე შავებმა გამოჰყვეს ენები. მალევე ქვადორღით დაისიეეს და სვლაც შეგვიფერხეს. მანქანები სველ კუდებად ჩამწკრივდნენ გზაზე. გაზაფხულის შხაპუნა დაუფლებოდა ყველაფერს. ერთ უმძაფრეს მონაქნევეში ქარმა და მეხმა ერთად შესძრა თავსხმის ძირი და ფარდასავით მოწყვიტა.

აღარც ბური და ნისლი იყო, აღარც უსაშველო წვიმა... არამედ მსუყე სურნელოვანი, წყნარი და გრილი ღამე.

მანქანებმა ჰყიტეს თვალები. ალაგ-ალაგ დაიძრნენ. შუქით დასერეს გზა. ჩარეცხილი გუდრონი ვეშაპის ფხასავით ბზინავდა.

აქა-იქ გზის მუშები გამოსულიყვნენ, ჩამოტანილ ხრეშსა და ღამს წმენდნენ. წყალშეტბორებულ მოსახვევებში მან-

ქანები ფრთიან შადრევნებს აყენებდნენ. შუქზე — კოდეშებიდან ჩამოკიდებულნი ძირები გამოკრთოდნენ.

ნახატარის ტყე ახლა არც თუ შორს არის. აქ ყოველ დანახულსა და ნაფიქრს ათასი ლტოლვა და ფესვი ჰქონდა. ჩვენმა მანქანამ კი უკლო სვლას, მერმე სულ გაჩერდა. წინ მანქანები კი ზედ ხიდზე იდგნენ. გულმა ველარ მომითმინა:

— ფეხით წავალ... წინ დაგვხვდებით! — გადაეძახე მძღოლს და პირველ ტბორშივე ფეხი წავკარ.

ხიდი ველარ ვიცანი. ახლა აქ რკინაბეტონის ფართო ხიდი იყო. ზედ ჩრდილები ჩანდნენ. ერთიამულზე შევატყვე ახალგაზრდობა იყო.

— რა ამბავია წინ?

— დიდი ნაშვავებია ხილს იქით... შეგვაგვიანდება...

— წავიდეთ, მოვხმაროთ... საერთო ძალით — მამითადურად!

— იქ ბულდოზერია... მექანიზაცია! ვანა ძველკობურა ცხოვრების ჩხირკედლაობაა!

მივხვდი რომ საზომებში ჩამოვრჩენილვარ.

— სად არის, მშრალ ხევში?

— ამ უგეგმო წვიმის შემდეგ, გეგმიან ცხოვრების გზაზე, კიდევ თუ არის სადმე მშრალი ხევი? — გამეოხუნჯა ვილაღ.

— ცხოვრება სწორი თვალსაზრისია — ზოგი სველს ეძებს და მშრალზე რჩება, ზოგი — მშრალსა და სველში კი ზის! — ახლა მეორემ ჩამილაპარაკა განზე.

— რას ამბობთ — მშრალი და სველი რამ ვაარია — კანონზომიერებაა! ხან ასე, ხან ისე...

— როგორც აღმართი და დაღმართი...

— როგორც სიავე და სიკეთე...

— როგორ ზნეობა და უზნეობა... —

ეს მესამე იყო, მეოთხე, მეხუთე... სულ ახალგაზრდული ხმები ჰქონდათ მძღოლებს, მგზავრებს, მშენებელთ, იქნება მწერლებსაც. მე კი მივდიოდი, გაფაციცებით ვუსმენდი, ვასწრებდი გაჩერებულ მანქანებს. აქ თითქოს მანქანებთან

ერთად ხიდზე დროც ახალ ნახტომის წინ გაჩერებულა. მე კი უკუღმა — ახალგაზრდობაში ვბრუნდები, თითქოს სხვებიც მატყობენ ამას, მსუბუქ ხუმრობით, სხვათა შორის, მართებულად მესიტყვებიან... რადგან ცხოვრებაში ყველაზე ადვილი და სახელდახელო ნუგეში არის — ხუმრობა!

— ახალგაზრდებო, ვანა ზნეობა და უზნეობა მხოლოდ თვალსაზრისია?

— არა! — ერთად შემომძახეს ყველა მანქანიდან, ხიდიდან, სიბნელიდან.

— თქვენ იცით რომ ტექნიკურ ჩამორჩენილობის გამოსწორებას, კონებრივ კეთილდღეობის ამძლეებას, რამოდენიმე შრომაბარაქიანი წელი აგვარებს, მაგრამ გაბზარულ, ან ახლად დანერგილ ზნეობის სათანადო დამკვიდრებას თაობების შეგნებული ბრძოლა სჭირდება!

— ვიცით, კარგად ვიცით! იქნებ მამებზე უკეთესად!

— მაშინ მე ბედნიერი ვარ!

ხიდი გადავვლე. შორიასლოდან მძლე გუფუნის ისმოდა. შუქმა გზისპირა სახლის ძვიდე ამოტყვიფრა. ახლა იგი ხომალდს ჰგავდა. მაინც ვიცანი.

გზაზე დიდი ბულდოზერი ტუხტუხტებდა და მოძრაობდა. ზევით — ნახატარისკენ სრული სიბნელე სუფევდა. მე კი ვხედავდი... ირემივით გადმომდგარ კაკლის ხის წლობით ნატარ სურათს ვხედავდი!

მშრალ ხევში კიდევ მოდიოდა ნაკადი. მისი გამოტანილი ღორღი ჯერაც გზაზე ეყარა, ზედვე — კარგა მოზრდილ შვავს გზა სულ ჩაეხუთა. ახლა ამას ებრძოდა ბულდოზერი. ნაგზურის პირში, ფესვებელმა გადმობრუნებულ ჯირკვთან ცეცხლი ენთო. იქვე ბარზე დაყრდნობილი ჩაბუხული მუშა იდგა. ცეცხლს სხვა მუშებიც და მგზავრებიც უსხდნენ. ცალთვალა ბულდოზერი კი ყბებდაშველებულ ვეშაბივით აწვებოდა ნაშვავებს და საღლაღ ბინდში, არაგვის მხრისაკენ ჯიკავჯიკავით ჰყრიდა. მეც მბუხუტავ ცეცხლთან მივედი. თვალის რომ შევაჩვიე, სახე მერმეც ვერვის გაფურჩიე, ვგონებ მოხუცები უფრო იყვნენ. ცეცხლს თით-

ქოს კაკლისა და თელის ნუჯრის ძველ-  
ნაყნოსი სურნელი ასდიოდა და მადელ-  
ვებდა.

— აქ ხომ ნახატარის ბილიკი იყო?

ხმა არიენი გამკა. არც მე შეეკითხვიარ  
ვინმეს პირადად.

— იყო, აქ ბევრი რამ იყო! — დაბა-  
ნებით, ერთ-ერთი ჩრდილი აბუზღუნდა.

— ახლა?

— ახლაც ბევრი რამე არის... ნახატა-  
რიც და ნატყვევარიც... იქნებ სხვა რა-  
მეც! შევეკრთი. ოდესმე შემწყდარ  
თხრობის თუ მოთხრობის ძაფი აღ-  
მიდგა და მესხიერების ძველ, თითქოს  
მივიწყებულ სამრეკლოებს ჩამოკრა.  
აქეთ ნატვრით მოვისწრაფოდი... და ნუ-  
თუ ოცნების მსხვერველა—მის განხორციე-  
ლებასთან ერთად იწყება?

— აქ იყო ნახატარის ტყე და ეს იყო  
მისი ადგილის დედა! — ჩრდილმა ბარი  
მოინაცვლა, ვეება კიბორჩხალივით ნა-  
მორს ზელი დაადო.

— კაკლის ხე? — უნებურად წამოვი-  
ძახე.

— კაკლის ხე... — ჩამიდასტურა  
ჩრდილმა, — მისი ძირები აკაგებდნენ  
ბექობს. მოსჭრეს კაკალი... მისი ძირები  
კიდევ ერთხანს მაგრობდნენ. მერმე მოხ-  
მა და მოლბა ფესვი... ჰოდა ამ თაყ-  
სხმის დროს შვავად წამოვიდა ბექობთა  
ერთად...

ძალა მოვიკრიფე. ვეცადე ფიქრებო  
დამეწყო და გუჟანში აღმედგინა ყველა-  
ფერი. ... მყავდა ერთი მეგობარი, ჩვენ  
თითქმის ტოლები ვიყავით წლოვანობით  
მაგრამ იგი ყველაფრით მჯობნიდა —  
ახოვნობით, ფერით, სილამაზით, ფესვე-  
ბით, სიმტკიცით, ნაყოფით... მე ვოცნე-  
ბობდი მის ძირში და იგი ჩვენ ბუნების  
სახედ მებატებოდა... და აი ახლა მისი  
უხულო ნაშთი აქ ჩემს წინაშე ეგდო,  
ძირმოთხრილი თავის ულამაზესს სხე-  
ულს და უნოყიერესს ნიადაგს მოშორე-  
ბული. ვუმზერდი მის დამაბინჯებულ  
ნაშუსრევს და მე ჯერ ცოცხალს ბრაზი  
და გლოვა შევიდებოდა.

— ვინ მოჰკლა ადგილის დედა?!

— არ ვიცი... დრომ, გზამ, ცხოვრე-  
ბამ და უგულფესვო ადამიანებმა!

— ეგ რა პასუხია? ერთი ხე ველარ  
დაიცავით ნახატარში? ან წინაპრებს რა  
პასუხს აძლევთ, ან შთამომავლებს რას  
უღებნებით?

ბარი გაუვარდა ჩრდილს, სულ მოი-  
კაკვა და ჩემსკენ შემობრუნდა, მაგრამ  
ცეცხლი ჩაიფერფლა. ველარ გაეარკვიე  
მისი სახე, არც გული მქონდა, ახოვანი  
ბარათა არ იყო ვიცი.

— შენ მართალი ხარ მგზავრო, —  
მძიმე სუნთქვით მითხრა, ჯიჯიანიანი სი-  
ტყვიით მეცნობი... მაგრამ ამ გზაზე რამ-  
დენ ხალხს აუვლია და ჩაუვლია... იყო  
ერთი კაცი, იმასაც ბევრი კაკალი და-  
ატება ცხოვრებამ... ამ ტყეში უყვარდა  
ყოფნა. მერმე შორეთში წასულა... თუ  
როდესმე მობრუნდა — აქ მოვა და პა-  
სუხს გაეცემ... ის გამიგებს... ადგილის  
დედის ამბავსაც იმას ვეტყვი... შენ თუ  
ხარ ის კაცი?

მე ისევ ზევით ბინდს ვუმზერდი...  
ახლა მხოლოდ ყუყა ბინდი იყო ნახატა-  
რის თავზე. ოცნება კაკლის ფესვებთან  
მინთებულ ცეცხლივით მიიფერფლა და  
ახლა ვერასვზით ველარ აღვიდგინე ძვე-  
ლი სურათი.

ოცნების დამსხვრევას საშინელ სიცა-  
რიელის გრძნობა მოჰყვა. ისიც მივხვდი,  
რომ ჩემს წინაშე — ბარათა კი აღარ —  
ნაბარათალი იყო და ნაკაკლარის ფეს-  
ვებთან იკრუნჩხებოდა.

მგზავრებმაც და სხვა მუშებმაც უფ-  
რო ჩაქინდრეს თავები.

— მე არ ვიცი ვინ არის ის კაცი,  
მაგრამ მეც კაცი ვარ და პასუხსაც  
გთხოვ... ძველად მტრები ხატს — ნა-  
ხატრად გვიტყვედნენ, ვაზსა და კაკალს  
ვერაგობით და შურით გვიკათავდნენ...  
ახლა ჩვენ თავად ვკათავთ, ნახატარს —  
ნატყვევრად ვაჭკევთ? რალა გვიჭირს —  
კარგი დახლი დაგვიდგება!... შენც შე-  
გარცხვინე და ისიც, ვისაც ეს ამბავი  
ვერ შეუგნია!

ფიცხლავ მოვბრუნდი, კვალდაკვალ  
მივყევ შემობრუნებულ ბულდოზერს.  
მის ზრიალში აღარაფერი არ გამიგია.

გადაესერე უკვე სანახევროდ გაწმენდილი გზა და სახლს მივაშურე. თავშეუკავებ ლტოლვით შევადე ეზოს კარი, კიბეზე ავედი, ელნათური ენთო. აივნის კარიც დია იყო. შევედი, ოთახის კარს მიუვკაუნე, მაგრამ მოთმინება აღარ მყო. ეს კარიც შევადე და ბარათას ბინაში ფეხი შევდგი. მას გავექეცი და მის ბინაში რამ მომიყვანა?

აქ ისევ ძველებური ტახტი იდგა. ფარდაგი. ფიჩვი. კედელზე ჩამოკიდებული ტყაპუჭი და იგივე ცალპირა თოფი. კუთხეში ძველი, ტუნმოტეხილი, დაკოწიწებული კოკა... ოდესმე გაწყვეტილი ჯაჭვი გაინასკვა და ახლა შემოვა ბარათა, თოფს აიღებს და ჩვენ როგორც წინათ ავალთ ნახატარის ტყეში... ზოლო მას შემდეგ რაც იყო — არ ყოფილა... როგორც ქართულ ზღაპარში — ყველაფერი ცული ჰქრება, ყველაფერი კარგი რჩება და იმარჯვებს...

— ჰე, ჰეი, მასპინძელო, ხართ ვინმე?! — შევძახე და მაყვალას ოთახში კარი შევადე.

მაგიდას ათიოდ წლის გოგონა უჯდა. წიგნს კითხულობდა. ჩემ შესვლისას სალოკი თითი დაადო წაკითხულ ადგილს და ფეხზე წამოდგა.

მალა, მის თავზე, დიდ ჩარჩოში ჩასმული მაყვალას სურათი ეკიდა. გულმა რეჩხი მიყო.

— გოგოვ, სად არის დედაშენი?

გოგონა უხერხულად შეიშმუნა, დიდრონი, დაუჯერებლად დიდრონი თვალები უფრო გაუფართოვდა.

— არაგვში... წყალზე წავიდა და აღარ მოსულა მერმე...

გული ჩამომწყდა. არც აქ იყო ადგილის დედა. სულმა ჩემი ზარი წამომიწყო.

„შენ მუდამ არაგვი იყავ... დაუცბრომელი, დაუდგრომელი... შენ ადგილის დედა იყავ და მოგქრეს როგორც კაკლის ხე!..“

— მამა სადლაა?! — მწარე სიტყვად ამომისხლდა შეკითხვა.

— მამა... — ახლა კი თავი ჩაღუნა

ბაღმა, — გზაზე, შორეულ გზაზე... მე პაპა მყავს...

— და ის ვიამბობს ხოლმე ნახატარის ზღაპრებს?

ბავშვს დაუჯერებელ სიდიდის თვალები ცრემლით ამოევსო...

— თქვენ საიდან იცით?

— მე ვიცი... მე ახლა ყველაფერი ვიცი... და უბედური ვარ...

— თქვენ ის... მწერალი კაცი ხომ არა ხართ... პაპა რომ მიამბობდა?

— არა, მე არაკაცი არა ვარ! ერთი მგზავრი წუთისოფლისა... უშუალობა აღრე დაკარგული და თავის დროზე სიბრძნეს ვერ მიღწეული... მე შემეძლო შენი მამა ვყოფილიყავ!.. იგი კი მუდამ არაგვი იყო — მე უსულო ნისლი — თავად ვებრავდი და ჩემს თეთრ ნახადშივე, ჩემთვისავე ვკარგავდი არაგვს...

— მე ვერაფერი ვერ გავიგე, ნისლის ზღაპარი... წავალ პაპას დაეუძახებ... მან ყველაფერი იცის... — ბავშვმა კარისაკენ გაიწია.

— არა, აღარ არის საჭირო... მე ყველაფერი გავიგე... ნეტავ არ გამეგო. კარგად იყავ, შვილო, ბედნიერად.. ნუკრის-ნუკრო!

გამოვბრუნდი, კიბეზე ჩავიბრინე. გზაზე მიწოდდა გასვლა, მაგრამ თითქოს სახლი თავად შემოტრიალდა და მე ეზოში, არაგვის მხრისაკენ მოვხვდი. მერმე თითქოს მეძახდა ვილაც. ბინდში არ შემშლია სავალი. რიყეზე გავედი, ნიაღვრის რუგებს გადავახტი და მდინარეს ზედ წავადექი. არაგვს უფრო ახლო ვადმოენაცვლა. შავ, მაყვლისფერ ზვირთებად მოგელავდა.

...კიდევ არ გამართლდა ჩემი მიხედრა. ჩემი მოთხრობის გაქიანურებული ბოლო მე მაინც სხვანაირად წარმომედგინა. ნახატარის ტყის განადგურებას მოველოდი, კაკლის ხის მოჭრას კი არა. მაყვალას არაგვში დაღუპვას სულ არა და არა... ვერც ეს გამეგო — რას ნიშნავდა მახათელის „შორი გზაზე“ ყოფნა.

მაყვალა კი ვაგებულად მე არასოდეს არ მყვარებია... მაგრამ იქნებ გაუგება-

რი სიყვარული უფრო ძნელია, უფრო მძაფრია, უფრო უბედურია...

არაგვი კი დიოდა, ბობოქარი, შავტანა, ძლიერი... ირგვლივი მთებისა და ქედების ნაეურის შემსრუტავი... დიოდა როგორც მოდიდებული უკვდავება. მისი დგაფანით გაყრუებული, ფიჭობ-არეული, პეშვებით ვწვდებოდი ცივზე ცივ წყალს, ცხელზე ცხელ სახეზე და საფეთქლებზე ვისხურებდი. პირში ვივლებდი... კბილებზე კნაწაკნუწი გაპქონდა არაგვის ლამს... მაგრამ არ ვსვამდი. სასმელად კაკლის წყაროსათვის ვინახავდი მრავალწლოვან წყურვილს. აქ მე თითქოს ვეალერსებოდი, სიკვდილში მიწეულად ვკოცნიდი უბედურ მაყვალას და მესმოდა ვეება ქვების გრუხუნით მომდინარე ჩქერის გუგუნე.

ჩვენი უმანკო ალერსი ანკარა წყაროთი დაიწყო და მღვრიე არაგვით ვასრულდა. ისევ — იყო და არა იყო რა!

თავი რომ ავწიე — ზეცაზე მაყვალვარსკვლავები ანთებულობენ და მთებს აღარ ჰქონდათ წელანდელი სიშავე.

გზაზე შუქები მოძრაობდნენ, ცეცხლის ვეება დაშნებივით და შუბებივით ჰკვეთდნენ და ჰკაფავდნენ ღამეს. გზა ხსნილი იყო. გამოვიჩქარე. ბარათას სახლს ვუგანე და ცოტა ქვერეღე გავედი გზაზე.

მალე ჩემი ავტობუსიც მომწვდა. როგორც ოდესმე, აქვე — წინ გადავუდექი და გაეჩერე. ჩემი ჩანთა და საძილე ვადმოვიღე.

— მე აქ დავრჩები... ნახვამდის!

— მშრალ ზევში? ამისათვის მოდიოდით ასე შორიდან?

— არა, კაკლის წყაროსთან... ამისათვისაც...

— რა დროს წყაროა... წამობრძანდით თბილისის ზღვაზე...

— არა, წყაროდან დავინახავ ზღვასაც და გზასაც...

— ეს რა გულის ამყოლი მგზავრი შემხვდა... მამას მაგონებს! — კარი გაიხურა, მანქანა დაძვრა, სარკმლიდან ვადმოძახა:

— ხეირი ნახე, გზა მშვიდობისა!

ნახატარისაკენ გადასახვევე გზას ავეყევი. ჩემი ნაღობარის ნეშანწყალე არ იყო, მაგრამ უფრო მძლავრ, ქვის ახალ ყორეს წავადექი. რკინის გისოსიანი, დახშული ჰიშკარი ება. პირდაპირ ყორეს გადავახოხდი. აღმართს ავეყევი. აქ წინათ სავალი უღრან ტყით იყო დანრდილული. ახლა აქა-იქ მიყუყუელი ჯაგები გლოვის შიკრიკებივით იღგნენ და აღარც შრიალებდნენ. ძალდა, თელნარი ახოდ ქეუელიყო. აქა-იქ ნახნავიც იგრძნობოდა. ღამის ბინდბუნდში ისე მეჩვენა, თითქოს მღვეის გამელოტებულ თავზე დავდივარ და ძველ დანაბადულ ქოჩორს დავეძებ. ნაკაქლარი სულ აღარ იყო, მაგრამ მე წყაროს იმედი მქონდა. თურმე აქ მელოდა მთავარი ვაი. წყაროც ღვარსა და შლამს ჩაეთარცხა. ახლა კი ამ ღამეში სულ ბრმა მღვეად მომჩვენა ნახატარი. საშინელი, მოუკლავი წყურვილი ვიგრძენი. ზედაც მხარი მეცვალა. ნახატარის ტყეში ჩინებულად ვერკვევოდი, ნატყევეარში კი დავიბენი. ზევით ავიხედე. ცაზე უამრავი ცეცხლმოდებული კაკალი ეყარა... ირმის ნახტომად კი ვეება, მაგრამ გატეხილი ხალხა იღო. აქამდე თითქოს ბინდში მემალეობოდა ტყე, ახლა კი ვარსკვლავთ კაშკაშმა სულ მომისხლიტა იმედი. ჩრდილი და მწვეანე გუმბათი აღარ გაანდა ნახატარს. ვარსკვლავები ვერასოდეს ვერ წარმომედგინა ასეთ ულმობელ მაცნეებად. შიშველ ცის შემეშინდა. ჩანთა ჩამოვიგდე. გაეშალე საძილე. ჰიხარად წავიყარე გაცვეთილი ფესსაცმელები და ტანგაუხდელად ჩაეძვერი ტომარაში, თავიანად შევიფუთე. ვარსკვლავებსაც გაეჭექიცი და სინამდვილესაც.

მთელი ღამე ვეწაფებოდი ნახატარის უცისფერეს წყაროს, კაკალს ვებრტყავდი, თელნარის ჩრდილში გულადმა ვიწევი და ვოცნებობდი. მესმოდა ახლო ტყის შრიალი, შორი არაგვის დუღუნე... ქვევით გზაზე კი აღმა-დაღმა დაჰქროდნენ, ტუხტუხებდნენ მანქანები...

მაგრამ მათ შორის კრაზანის ხმა კი აღარ იყო.

დილით მოლაღურის სტვენამ გამოძი-  
ლვინა. არა, უჩვეულო გრძობამ—თით-  
ქოს აქ ვილაც არის. კარგა ხანია ზის და  
ჩუმით მესაუბრება:

— გიციანი... ისიც მწამდა, რომ უსა-  
თუოდ დაბრუნდებოდი. არც წახვიდო-  
დი ასე წუხანდელივით გაუკითხავად.  
ნუკრიამაც მითხრა... ნისლის ზღაპარი  
გითქვამს.

თვალეზი არ გამიხელია...

— ნახატარისა და ჩემს უბედურებას  
გაგამხელ... მერმე შემარცხვინე...

ველარ გავჩერდი, ნიდაყვებზე წამოვი-  
წიე.

თელის ძველ ნამორზე სულ ჩაღეუ-  
ლი, კბილებჩაცვენილი ბარათა იჯდა და  
ხელში შერჩენილ ბარსა და წერაქვს, თა-  
ვის ნათქვამს უმეორებდა.

მეც გავუმეორე წუხანდელი კითხვა:

— ვინ ამოავდო ნახატარის ტყე?!

— ტუხა მახათელმა და ტუხასთან  
ხალხმა...

— მე მუდამ ეჭვი მქონდა...

— მაგრამ ტყე მაინც ვერ ამოავდო...  
თავად კი ამოვარდა... ვაგლახ რომ  
ჩვენც მოგვინელა.

— ნურას დაჰფარავ — აი, თითქოს  
მიცვალეხულს ესაუბრები...

ნამორზე მჯდარი უფრო მოიხარა,  
ზღარბის ოდენა გახდა.

— ბერს ისედაც მიხვდებოდი... ჩემ-  
მა ნასიძარმა, ერთი დიდი, იქნებ მთავა-  
რი ლოდი შენც მოგაყოლა. შავად შე-  
ხანხლული განცხადება შენზედაც დაუ-  
წერია...

— ვიცი... სხვა?!

— მას ისევე გაუბედურებული, მეო-  
რე ოჯახიც ჰყოლია კასპში.

— ეს რა მესმის?

— სასამართლოზე ყველაფერი გა-  
მოირკვა... ტყისა და სხვა ქონების და-  
ტაცება, ცილის წამება... სისხლის დანა-  
შაულიც კი...

— შენც რომ მოგხვდა—მაგის ტყვია  
იყო... დამტკიცება ვერ მოვასწარი...

— ყველაფრის სამაგიერო ეხლო, შო-

რეულიდან ის ველარ დაბრუნდებოდა... —  
ძველებურ სიცხარით წამოვიძახე ბარა-  
თამ, — ტყეც განადგურდა და მეც მგე-  
ლიშვილი გამიჩნდა, დარდი შემომსუ-  
ბუქა. მამამ კაკლის ხის ფორთოფიანი  
შეჰპირდა ძუძუმწოვარა ნუკრიას...

— ნუკრიას? ეს სახელი?! — სადღაც  
ისევე აფაჩუნდა ჩემი ხელნაწერის პირვე-  
ლი ქარვა.

— უბედურმა დედამ დაარქვა... შენ  
დაბნეულ ხელნაწერიდან... აბა, ახლა  
რალა დროს საყვედური!

— მეკუთვნის!.. — მაგრამ მოხუცს  
არც გაუგია ჩემი ნათქვამი...

— ...ზამთრის პირას, ადრე საღამოს  
მოიღობინა მეგობართან ერთად. მეც  
მომეძალა, არაყი მასვა, თავად კი დიაც-  
ლო. შეუმჩნევლად მეც ავიციდინე. მა-  
ლევე ლოგინზე მივწვიქე... უმალ შეს-  
წყვიტა სმა და შუქი ჩააქრო. ხოლო  
მაყვალაც მიწვა თუ არა — სტუმრიანად  
გაუჩინარდა. ავდექი. აღარც სატიერთო  
მანქანა იყო გზაზე. თოფი საფანტით  
გავტენე და მშრალ ხეეს აყყვი. ნეტავ  
მტყუანი და ფუშ-ეჭვიანი გამოვმდგარი-  
ყავ... — ხმა ჩაეკარგა ბარათას, მიწა მო-  
ჩიჩქნა და დიდხანს ახველა.

— გაჩუმდი, გიმშინს... მე მოყვები...  
თავის ქნევით დამიდასტურე! — თვალე-  
ზი არ დამიხუტავს, მაგრამ ნატყევარს  
ვუმხერ და სულ სხვას ვებედა:

— ...მშრალ ხევის ძირს სრული სი-  
ჩუმე იყო... მაგრამ ქარი შემობრუნდა  
და ჯაჭვა-ხერხის ხმა გულსყურზე გა-  
მოგებასრა... აიჩქარე, წყაროს მიადწიე.  
ეჭვი არ იყო კაკლის ხესთან გალანდე-  
ორნი. ხესთან ერთად თითქოს შენც  
წელზე გებჯინა ხერხის კბილები...

— ვაჰმე, რომ ამდენი დავაგვიანე!.. —  
აღმოხდა მოხუცს.

— თოფი მოისწორადე, მაგრამ სახნა-  
რი გაგიშეშდა... ტვინს გიბურღავდა  
სიმწრის ფიქრი, რომ კაცის მოკვლა  
ისევე ადვილია, როგორც კაკლის მოჭ-  
რა!.. თავს მიქნედა მოხუცი.

— შენ თოფი დაუშვი და ახლოს მიე-  
ტანე... ამ დროს განწირულად დაიკენე-  
სა ხემ... ერთი შეტოკდა და თითქოს

სივრცეში ფეხი წარსდგა... და ვიდრე თავყირა ჩაეკიდებოდა, შენს ხელშიაც თავისთავად გავარდა თოფი... შენც შეჭკივლე და ზევითაც ერთ-ერთმა ჩრდილმა.

— შევკივლე! — ახლაც აღმოხდა ბარათას და ბოლმამ ფეხზე წამოაგდო.

— კაკლის ხემ ერთი ზღართან ჩაიტანა, გულიც ჩაგწყვიტა... მის ადგილზე კი შავცისფერი სიციარიელე დამკვიდრდა. რომ მივიჭერი იქ აღარავინ იყო!

— ის იყო და ის! — ამოიკვნესა ბარათამ, — შენ რას იზამდი?

— ვესროდი, ბარათავ, ვესროდი! — ბუღიანად წამოვარდი და ავეყირდი.

ბარათამ მიწას დაჰკრა ბარი. ერთ ნაბიჯა ორმოს უწყო თხრა. წერაქვიც მოუნაცვლა, ჩააღრმავა. ვერ გამეგო რას აკეთებდა... მერმე მივხვდი რომ გულს იმაგრებდა, დარდს იქარებდა, ცრემლს იპარავდა... იგი კი თხრიდა და სიტყვებსაც ბელტებზე თჳს ჰყრიდა:

— მაყვალასთვის არაფერი გამიმხელია. მაგრამ კაკლის ხე რომ მოჭრილი ნახა, თავად იგრძნო ავი ამბავი... ნეტავ ეტირა... ზეზეურად ჩაკვდა! ერთი კვირის შემდეგ მაინც ჩაკითხა ქალაქში...

... ბარათა თხრიდა სულ თხრიდა... იქნებ მე მელოდა, მაგრამ მე აღარ შემეძლო მის მაგიერ თხრობა და ჰკერტა... ისევე არ მყოფნიდა ცხოვრების სირთულის წვდომა. ისევე მეტნეოდა ბოლო ქარგა.

— იპოვნა?

— იპოვნა... დაჭრილ ზურგზე და წელზე გასჩენოდა „სათანტისოღენა“ ჩირქოვანები... ჩემი უბედური, იქ გადაეყარა სხვა ქალსაც და ბალსაც... ისინიც ექმბდნენ დაკარგულს. — ბარათამ დეარდნილ ხმით ჩასძახა ორმოს და შემობრუნდა.

— დაკარგული კი მართლაც დასაკარგავი იყო! ავეყირდი, წამოვარდი... კიდევ ერთ ქარგის თუ სიბრძნის კანში ამოვიდი... გავიცალე საძილე და ახლა-ღა შევამჩნიე, ძველ მეტყვევს ძველ საცერით, კარგა დიდი ბაყილო მოეტანა. კაკ-

ლის ნაზარდს მეჩხერი ფოთლები ირმის ბოჩოლას ყურებზე თუ წამოეყარა, მოხუცი ახლა აქ რგავდა კაკლს. ფეხსაცმელები ჩაევიცვი და მივეხმარე. თავის დარდს მოერიბა და ძველებურად გამიღიმა.

— თუმცა გვიან არის, მაინც გავახარებ... ეს შენი დაბრუნების სახელზე იყოს ამ ადგილზევე!

ერთად დავრგეთ კაკლის ბაყილო, დაბალი ლობეც შემოვავლეთ. მწარე ამბავიც შენელებულად ჩავგვათავდა რგავში და ლობავში. დარდიან გულზე — შრომა უდიდესი ნუგეში არის!

— იმ გზის აფთარს დიდი გაფლანგვა აღმოაჩნდა კასპის ქარხანაშიაც, მალალ ძაბეაშიაც... სულ ჩირქოვანი ყოფილა... ძიებაში ჩასვეს და ყველაფერი გამოურკვიეს. აფთარმა დიდი თანხა მოგვეთხოვა. ნახატარის თელეების დატაცებით შეძენილი ნივთი და ავეჯი მივეციით... არც ეს იკმარა — სახლის გაყიდვა მოგვეთხოვა, ცრუმოწმებდადც დაგვესახელა. ვერ შევძელით მამაშვილმა. ვამხილეთ. ვადაწვის მუქარა შემოგვეთვალა. მაყვალასაც „შენ გზაზე“ დაყენება დაჰპირდა!

— ეს იყო მისი ნამდვილი სახე!

— უბედური გოგო გზისკენ იწვევდა... იქ მანქანები ირეოდნენ... არ გავუშვი... მამვინ არაგვზე წავიდა... იმ ხიდან გავუთალე კაკლის სასახლე... — ბარათამ პირი იბრუნა, აიღო ბარიც, წერაქვიც, ძველი საცერიც კი გადააბრუნვად მოაბრუნა. არც მე მადგა კარგი დღე.

— წავიდეთ. ახლა უნდა გაჩვენო მთავარი... — სულ სხვა ხმით, ძველ-ბარათულად შემომიტია და გამიყოლა.

მზე უკვე მალა ამოსულყო. სინათლეზე ახალა გავხედე ნახატარის ახოს. იგი შორიშორ კვალად გახული იყო და ზედ მიჯრით ახალნერგები იყო ნახარები... ჩემზე მალალი არ იყო არცერთი, მაგრამ მათი იმედინი მწვანე უკვე ჰფარავდა ძველ ნამორებს.

— ეს ფრთა თელეზია, ეს ლაფანი... ნეკერჩხალი, თელამუში და რცხილა...

აქეთ კი ახალ კაკლებს დამიხედდი.. მართალია მე მათ ბერტყვას ვეღარ მოვესწრები, მაგრამ შენ კიდევ ნახავ ნახატარის ტყეს!

ვიდექ მოხიზლული. მომავლის ხილვით, ვგრძნობდი აწმყოს და გული ახალ ოცნებით მევესებოდა. ბარათა კი თითქოს ტყის ქადაგად იყო დავარდნილი.

— აი მიგორდა ტალღა, ახლა ტყეს უამრავი მეგობარი ჰყავს... ახალი კანონიც არის! შემობრუნდა. ტალღა — ამომწვანდა! ისევ სატყეომ მოაშენა... უფროსმა მეტყევემ ისევ მე დამივალა მოვლა. არც არავინ ერჩის! ახალ ცხოვრების კანონი ყოფილა — სადაც ინგრევა — ყველაფერი უნდა დაინგრეს, ახლებურად აიწყოს — თორემ ნახევრად დანგრევა, ნახევრად აშენება — ისეთივე პირფერობა ყოფილა, როგორც ნახევრად სიკეთე და ნახევრად ბოროტება — მწერალ-კაცო, შენსასაც გეტყვი — სიტყვაც ფესვებმაგარ მცენარესავით არის... კარგად დარგულ სიტყვიდან ისევ ამოდის ნახატარის ტყე! საერთოდ კი ყველა ხელობის კაცმა ისე უნდა ვაატარო ცხოვრება, რომ სიკვდილის შემდეგაც არ შეგარცხევს უღვაშზე ხელის გადასმა!

დიდხანს დავეყვებოდი ტყის აღმადგენელს და თითქოს მის დაღლილ თვალთა და ჩაბზარ ხელთა შუა ნახატარის ახალი ტყე იზრდებოდა, მალღდებოდა, უღრან ტევრად იქცეოდა!

ერთგან ტყის ქათმები წამოგვიფრინდნენ, უფრო მეტად შემახალისეს. ერთგან ბაჭია წამოგვიხტა, სულ მომთაფლა. მეც ნუგეში წამომიგდო — ცხოვრებაში ნგრევაზე მეტი შენება არის, სიძულვილზე მეტი კი მაინც სიყვარულია, თორემ დიდი ხანია არაფერი შერჩებოდა კაცობრიობას!

ძველ ნაკაკლართან, ჩაბზარული ბეჭობი შავ იარად ჩანდა. ბარი გამოვართვი ბარათას, მან წერაქვიც მომცა:

— კარგად მოქნეული სიტყვა — ია წერაქვია, რომელიც წყაროს ამოიყვანს!

მეც გამეტებით ნაწყაროვალ ადგილს დავეკარი. ნოტიო ამოჰყვა, ცეცხლი მო-

მიკიდა. ორმო ამოვიღე, მოვაპირკეთე... მარგალიტები კიაფობდნენ, წვეთებმა გამოჟონეს. ძარღვს მივაგუნე და წინაქი, მღვრიე ძეწვი ჩამოიბა. ხელის ოდენად ჩამოვდგა წყალი. ძეწვი გამსხვილდა, ჩამოსუფთავდა, შეგუბდა. კამკამა სხივით აიცრა თვალი. მალე შიგ ცა ჩავარდა. ხელახლად იზადებოდა, ცოცხლდებოდა ნახატარის წყარო, დიდ იმედსაც აღორძინებდა!

ცოტა კიდევ ვაცალე და ხარბად დავეწაფე, მთელი წლების წყურვილი მოვისალბუნე. მადლა კი, კაკლის ახალ ნერგებთან მოხუცი ნახატარელი იჯდა და უკვე დაუფარავად იცრემლებოდა.

თავი რომ ვიბრუნე, ჩემს უკან, ჩემად ამოსული, დაუჯერებელ სიდიდის თვალეზიანი გოგონა იდგა. მას ჩემეული, შეკოწიწებული კოკა და ჯამი ამოეტანა.

— ნუკრიავე! შენ რაღა იცოდი, რომ წყაროს ისევ ვიპოვნიდი?!

— პაპამ დამიბარა... მან ყველაფერი იცის! აი ეს ხელნაწერიც თქვენთვის მომატანიხა... მე დედის მეგონა, თურმე თქვენი ყოფილა...

გამოვართვი. ჩემი ოდესმე ვერ დამთავრებული ხელნაწერის პირველშავი იყო. ახლა მას მეღწის სისხლი კი არ ჰქონდა, არამედ სისხლის — სისხლი.

ნუკრია ჯამით კოკას აესებდა, ხან წყაროში იხედებოდა, ხან მე მიმზერდა. თავის დაუჯერებელ სიდიდის თვალებს უფრო აფართოებდა:

— მაშ თქვენ ნამდვილი, ცოცხალი მწერალი ხართ? ცხოვრების წიგნსაც დასწერთ?

— ჩემო ნუკრიავე! ნუკრის — ნუკრო... ნეტავ ახლა შენი უშუალობა და მეოცნებობა მომცა და უსათუოდ დაგწერ...

— დასწერს, ახლა კი დასწერს... რადგან ბევრი ნახა და მაინც არ გაბოროტდა, ცხოვრების ჭუჭყში სტოპა და არ აიძღვრა. ეს ყოფილა ყველაზე მთავარი! ახლა კი სჯერა, რომ კიდევაც დაიზრდებიან არავის ადგილის დედანი! — ზევიდან ჩამომეშველა ნახატარის გულგაუტეხელი ბრძენი. ერთი ქარავ-

მიანი, დაუღალავი იმედის ნიშანი კიდევ მომცა... კაცლების ფრთიდან მთელი, ახალგათლილი, ძველზე უგრძესი ხალხა მოიტანა და მალლიდან გამომიწოდა:

— ჭალარის თეთრი ცეცხლი შენც შეგრევი, მაგრამ ჩემთან მაინც ახლა თაობა ხარ.. ძველი ხალხა კი ჩვენს შორის გატყდა... აჰა, ესეც შენ... გამოგადგება... რა ვუყოთ რომ ჯერ კაკლის ნერგებზე უფრო მაღალია... ოცნება არ დაგიკარგავს და წარმოიდგენ... ხალხაც კალამია, როდესაც სათქმელი გაქვს და გიმწიფს... ხეები კი მალეზე — მალე დაიზრდებიან, დაკაკლდებიან, დასაბერტყები შეიქმნებიან!

ახალგაზრდულ აღფრთოვანებით გამოვართვი.

...ნახატარის თავზე ცისფერი ნისლი იმედისფრად გადმოიშალა... მე ვბერ-

ტყავ კაცლების დახუნზლულ ტოტებს... ჰაერში ერთად ირევიან წენგოიანი კაკ-ლები და სურნელოვანი ფოთლები... გზა, მანქანები... არავცი, ნახატარის აღ-მღგარი ტყე, მთელი ქვეყანა — ფოთ-ლებში, კაკლებში, სიტყვებში, ქარაგ-მებში გაცრილად მეგრძნობა და მეხა-ტება... ისევე ჩხრიალებს ჩვენი კაკალი!

... მე კვლავ მოთხრობას ვწერდი...

... და აი ახლა, როდესაც ცხოვრებამ შემისწორა ათასმეერთე ქარგაც... მო-თხრობა მაინც დამთავრებულია და გულწრფელად რომ ვთქვა, აღარ ვიცი სად თავდება სინამდვილე და სად იწყე-ბა თავისუფალი შემოქმედება.

... არც ის ვიცი — მოთხრობა გამომი-ვიდა თუ არა... აი ისე, როგორც ქარ-თულ ზღაპარში — იყო და არა იყო რა...

მოთა აკოზია



მე მინდა მთაში მთიბავად დავრჩე

დღერბინდით ვუშხერ ირმებს და  
აჩრეებს,  
თითქოს გვაშორებს მანძილი მცირე.  
მე მინდა მთაში მთიბავად დავრჩე  
და ვუთავაზო ბალახი ირემს.

მე მინდა მთაში მთიბავად დავრჩე,  
მაწოვოს ძუძუ ჩანჩქერის ტალღამ,  
მხეცებს მივუხტე ბუნაგში მარჯვედ  
და დათვის ქონით გავპოხო წაღა.

ბინდისას ნახირს ვუხმობდე ბუკით,  
დილით ერბოთი ვავსებდე კათხებს,  
მეზობლად მყავდეს ოჯახი ფუტკრის  
და ჩემს ყვივლზე ორბები დაფრთხეს.

მინდა ავიღო მეცხვარის ქურჭი,  
ლექსების თარგად — სიმღერა მწყემსის,

ღამეში ფუძე ჩავყარო შუქის  
პაპისეული ტალით და კვესით.

ადგება ბუჩქად ბიბინა ალი,  
აისხამს ტოტზე ნაპერწყლებს ურიცხვს;  
მე ვიყო ფისის სურნელით მთვრალი,  
ციდან ვარსკვლავმა მიყუროს შურით.

ამ სათიბებში ნოვიმკი სახელს.  
—მთაში დარჩიო— ფუტკარი მირჩევს...  
ომი პირველად ამ მთებში ვნახე,  
ახლა ყუმბარებს ვადარებ გირჩებს.

აქ მოვეყვებოდი ქარაფებს საშიშს,  
ვისროლე... ღამე განგმირა თოფმა...  
მენატრებოდა მშვიდობა მაშინ  
და იალღზე მთიბავად ყოფნა.

მამის სიკვდილი

იმ დღეს მამაჩემს დაეცა დამბლა,  
შვილებს დაგვედო სიკვდილის ფერი  
და მომეჩვენა, საოცრად დაბლა  
ჩამოიწია ოთახის კერი.

ხმა ვერ გაიღო სულზე მიმდგარმა,  
ეთხოვებოდა მზეს მამაჩემი  
და ირყეოდა სახლი იმგვარად,  
რომ შემეშინდა კერქვეშ დარჩენის.

ფანჯრის მახლობლად ჩრდილი  
დავლანდე,  
შუქმა დაიკლო ფანჯრის გადაღმა;

კარი გავადე, კარი მანამდე  
არ კრიალებდა ასე ხმამალა.

მთა-ბარს ფარავდა თოვლის მაზარა,  
ნაცნობი ჭირხლი მეუცნაურა,  
გლოვის ზარების რეკვა მაზმანა  
ჩემს საფეთქელთან სისხლის ხმაურმა.

უეცრად ბოძთან დამემ იწივლა,  
დამემ შუადლით დაბრუნებულმა;  
ზეცა იმგვარად ჩამოიწია,  
თავი დავლუნე სულ უნებურად.

ხალხური მოტივებიდან

პე, ბიჭებო, ჰერიოდა,  
ქორწილია, ჰერიოდა,  
მტრედს მოელის მოგოგმანეს  
ჩემი მტრედისფერი ოდა.

აბა ტაში, ტაში აბა,  
ქორწილია ჰერიოდა,  
პატარძალი ღელავს სლბათ,  
დაჭკარგვია ფერი ოდნავ.



**ტყის სიჩუმეში**

ტყის სიჩუმეში რაღაც ხმა ისმის, —  
 ეს მაჭარივით შუშხუნებს ნისლი;  
 ეს ჩურჩულია ჩრდილის და ფერის...  
 ეს რაღაც მღერის... და აღარც მღერის-  
 პარად ნაცნობი, უცნობი მარად,  
 თითქოს ეს ხმაა „პოცა“ და „არაც“.  
 ტყის სიჩუმეში გალობა ისმის,  
 თუ მაჭარივით შუშხუნებს ნისლი?!...  
 ეს იღუმელი ჰიმნია ფერთა  
 და ესმის, როგორც მიწის ლილინი,  
 იმ ფესვს, რომელიც მიწაში ფეთქავს,  
 იმ ბალსს, რომელიც ძილში იღიმის.

გივი გუგუშვილი



თაყვანი ეციო...

თაყვანი ეციო ნემსის წვერით დაჩხვლეტილ თითებს, —  
სახსრებში ძალგამოღეულს,

დაღლილს,  
დაქანცულს.

თაყვანი ეციო ნემსის წვერით დაჩხვლეტილ თითებს, —  
ოჯახის ნუგეშს,

შვილის გამზრდელს,  
დედის საგანძურს...

თაყვანი ეციო ნემსის წვერით დაჩხვლეტილ თითებს  
და ამ თითებით ამოკეცილ ჩერებს და იმედებს,

თაყვანი ეციო ათრთოლებულ და გამხდარ თითებს,  
დაძარღვეულ თითებს... და თვალები გაიღიმებენ!..

თაყვანი ეციო ნემსის წვერით დაჩხვლეტილ თითებს,  
რომლებსაც ძალუძთ ბავშვის სულში ცეცხლის დანთება,

ჩამომჰკნარ თითებს, —

ნემსში ძაფს რომ უყრიან კიდევ

და ბოლოს ნემსიც იატაკზე რომ უფარდებათ...

ზღვას ერთვის პატარა მდინარე

ზღვას ერთვის პატარა, ძალიან პატარა  
მდინარე,

და იქვე მეთევზის სახლია,  
და იქვე ზღვას ერთვის მდინარე,  
ძალიან პატარა მდინარე...

სალამოს ბრუნდება მეთევზე,  
აქედან შორსაა რკინიგზა, წიგნები,  
ქალაქი,

საცვლები ჰყიდა მესერზე  
და ცისფერ მესერთან იზრდება ყვითელი  
ბალახი...

და იქვე ზღვას ერთვის პატარა,  
ძალიან პატარა მდინარე...

ნაპირთან ქვიშაა მხურვალე  
და კენჭებს ისერიან მეთევზის ბაღლები  
ლამდება... დარაბებს ზურავენ...  
თენდება... დარაბებს აღებენ...

და იქვე ზღვას ერთვის პატარა,  
ძალიან პატარა მდინარე...

ხანდახან იცვლება ამინდი,  
ამინდი — მეთევზის ფეხშიძე ცოლია,  
იმტვრევა წითელი კრამიტი,  
ფარფატებს დაღლილი თოლია...

და ასე, ამგვარად ზღვას ერთვის  
პატარა მდინარე...



# დაპირვული საყურე\*

## უპანოზა

ინათა თუ არა, მთელი ქალაქი წამოიშალა, გახშირდა კარიდან კარზე სირბილი, ბანიდან ბანზე გადაძახილი:

- უჩემოდ არ წახვიდე!
- ჯერ ადრეა!
- არ არის ადრე, ორბელიანები უკვე წავიდნენ!

ქალაქი ყვენობისათვის ეშვადება. მიედინება და მიედინება ხალხი სეიდაბადის მაღლობისაკენ და სოლოლაკის ხევისაკენ. დაიხურა სავაჭროები და სახელოსნოები, ქალებით აივსო ახლომახლო ბანები.

ქალაქი ორ ნაწილად გაიყო, ჰავკვადაძე, ჯანდიერი და ჩოლოყაშვილი — ისანს, ავლაბარს, ჩუღურეთს და კუკიას მეთაურობენ. ნარიყალას, ვერის მხარეს და სოლოლაკის უბანს — ორბელიანები, ერისთავები და მუხრანბატონი.

ხის ხმლებით, ხანჯლებით, შურდულებით და საცერეებით შეიარაღებულ ბიჭები ქალაქს მოედვენ.

შინდისფერ ქულაჯაში გამოწყობილი ეკატერინე „დროშვიდან“ გადმოხტა, ხალხს შეერია, ნაცნობებს დაუწყობებნა.

— ჩემთან წამოდი, ეკატერინე! სიონის ზარი შემოვკრათ! — წასჩურჩულა ტატომ და ორივენი სირბილით წავიდნენ სიონისაკენ.

ახშურდნენ სიონის, ქაშუეთისა და ანისისბატის ზარები, ზარის ხმამ დაჰფარა ქალაქის ხმაური, შეიჭრა ყველა უბანსა და ყველა ქუჩაში და აცნობა:

- ქალაქში ყვენი შემოვიდაო.
- ზარის ხმას აპყვა ზურნის ქყვიტინი.

ბუკის ხმა, ყვირილი, ძახილი და ყველაფერი ერთმანეთში აირია, ისნის მხრიდან გამოჩნდნენ აქლემებზე ამხედრებული ყვენი და მისი მეუღლე.

აქლემებზე ქანაობენ სახეშემურული ყვენი და მისი მეუღლე. ყვენს თავი სპარსულად გაუქრავს, შიგ ფრთები აქვს გაკეთებული, ხელში ხის ხმალი უჭირავს, ზედ ვაშლი წამოუვია და აქეთ-იქით ვაჯაკაჯურად ატრიალებს, თან იზნიჭება, იბერება, იგრისება და იმანჭება. ხან კი დახვეულ ხის ქერქს მეორე ხელით ჭოგრიტივით თვალეებზე მიიღებს და დააყრობილ ქალაქს ყურადღებით ათვალეირებს.

დინჯად და აუჩქარებლად მოაბიჯებენ ყველაფერილი აქლემები, რომლებსაც ფეხებში გოგო-ბიჭები ეხლართებიან. აქლემებს სახედრებით ყვენის მზღებლები მოსდევენ, ნახშირით შეთხუპნული სახეებით, ფერადფერადი ტანსაცმელით, გადაბრუნებული ტყაბუჭებით.

საერთო ხმაურს ორთვალას რახრახი უერთდება, მასზე ფრაკიანი მოსამართლე ზის, ვეებერთელა წიგნი გაუშლია, გოგრის ქერქის სათვალეები ცხვირზე ჩამოუცვამს, წიგნს ჩაჰკირკიტებს და შიგ ჯოხით გაჩქარებით რალაცას სწერს.

აგერ ბერიკა თარჯიმანს აღევნებია და მის წინ იმანჭება, მათ ხარკის ამკრეფთა ჯგუფი მოსდევს, ყველაზე ბოლოს, ბორკილების ჩხრიალით მოდიან ყვენის ურჩნი — ტუსაღები.

ყვენი ერთ-ერთ სახლთან შეჩერდა, ხის ქერქის ჭოგრიტი მოიმარჯვა და ეზო-გარემო მოათვალეირა, თარჯიმანი წინ წამოდგა, უსიაშოვნო წრიბინა ხმით ყვენს მიმართა:

\* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 7.

— თქვენო მეუფებავ, ამ მოსახლეს რას შეაწერ? — ყენმა ხის ხმლი აიქნია, ხარკის ამკრეფნი სახლში შეცვივდნენ, სახლის პატრონმა გადასახადი გამოუტანა.

ახლა მეორე სახლთან შეჩერდა ყენი, თარჯიმანი და ხარკის ამკრეფნი ეზოში შევიდნენ, სახლის პატრონი გამოეგებათ, თარჯიმანმა აუხსნა:

— ყენის ბრძანებით, მორჩილებისა და კარგი სამსახურისათვის გებოძათ: ორთაჰალის წისქვილები, ვერის ბაღენახები.

სახლის პატრონი თავდახრილი ეახლა ყენს და თაყვანი სცა.

თარჯიმანმა კვლავ განაგრძო:

— მხოლოდ შიგ არ შეხვიდე, თორემ პატრონი ცემით წელს მოგწყვეტს. გარშემო ხარხარი გაისმა. სახლის პატრონი სახლში შევიდა და მადლობის ნიშნად დოქით ღვინო, ლავაშები, ყველი და კვერცი გამოუტანა.

ყენი აქლემიდან ვადმოიხარა, თავის ამალა მოათვალიერა, ხრინწიანი ხმით განკარგულება გასცა:

— გზაჯვარედინებზე მოხელები დააყენეთ, გამვლელ-გამომვლელს ხარკი გადაახდევინეთ, ურჩები აქ მომგვარეთ!!

სეიდაბადის მალღობს მიადწიეს, ყენი აქლემიდან ჩამოვიდა და მეუღლითურთ ტახტზე დაჯდა.

— სარდლებო! მხედრობა გაანაწილეთ, უბნები გაამაგრეთ, — კვლავ გაისმა ყენის ბრძანება. ყენთან თარჯიმანი, ბერიკა და ხარკის ამკრეფნი მიიჭრენ თან დაჰკვირლნი მიათრიეს:

— დიდო ყენო, ურჩობს, გადასახადს არ იხდის, თქვენს ძალას არ ემორჩილება.

— შესაფერისად დაისაჯოს! — ბრძანა ყენმა.

მხლებლები ურჩს შემოეხვივნენ, კომბალი კუბრით საესე ქვაბში ჩააწეს და ზურგზე წაუსვეს, თანაც ყველა შეეცადა თავში ჩაეტყაბუნებინა, დასჯილმა თავი ხელებით დაიფარა, მტერი წიხლით მოიცილა და გაიქცა.

ნარიყალა, ვერის მხარე და სოლოლაკის უბანი საიდუმლოდ თავს სოლოლაკის ხევში იყრის. ტატო, ილია, ლევანი და კონსტანტინე მისულებს ხის ხმლებს, ხანჯლებს, შურდულებს, საცერეებს უნაწილებენ და ადგილს უჩვენებენ ჩასასაფრებლად.

მომუადღევდა, მალღობზე ტატო შედგა და ბუკის ხმით დაფარა ქალაქის ხმაური, გაისმა შეძახილები:

— ხალხი აჯანყდა!

— მხედრობა მოდის, ქართველთა მხედრობა მოდის!

სოლოლაკის ხევიდან ამოვიდა დამალული ჯარი და თავი მალღობზე მოიყარა. ქუხილივით გაისმა ქართველთა მხედრული სიმღერა, წამოვიდნენ ამქრები თავის დროშებით, აგერ სირაჯების დროშა მოფრიალებს ყურძნის მტევნებით დამშვენებული, ხუროების — ნოეს კიდობნით... ასე სცვლიან ერთმანეთს ამქართა დროშები.

ყენის ჯარში აურზაური ატყდა, ყენმა ბრძანება გასცა:

— საომრად მოემზადოსო ჯარი.

ქართველთა ჯარს წინ შურდულეებით მიუძღვიან: ტატო, ილია, კონსტანტინე, ლევანი, მიტო.

დაატრიალეს შურდულეები, ქვებმა ზუზუნი დაიწყო. ერთმანეთში აირია ქვის სროლა, ხის ხმლების ჩახუნი, მუშტი.

— მოხადეთ, ჩალმა მოხადეთ!!

— ხმალი წაართვით!!

— ჭოგრითი დაუმტვრიეთ! — გაისმის ხმები.

ყენის ჯარი დამარცხდა. ყენი ტყვედ ჩავარდა. გაისმა გამარჯვებულთა ყიყინა, ხალხი ყენს გარს შემოეხვია, ქალებიც ჩაერივნენ საერთო მხიარულობაში.

— სახე, სახე მოუთხუპნეთ! — ვიღაც ქალმა ყენს კუბრიანი ჯოხი სახეზე ჩამოუსვა.

ყენი გაძალდა, მაგრამ ზღვა ხალხს ვეღარ გაუძლო და სახეშეთხუპნული, ტანსაცმელშემოხეული, სახედარზე უკულმა შესვეს, კული ხელში მისცეს და

მტკვრისაკენ მხიარული ყიყინით დაეშენენ.

— ღმერთო, გამარჯვებას ნუ მოუშლი ქართველთ ჯარს!

— ღმერთო, მამულისათვის მებრძოლი მუდამ გამარჯვებული ატარე!

— მუდამ დამარცხებული ყოფილიყოს სხვისი ქვეყნის დამპყრობელი!

მტკვრის ნაპირზე ჩავიდნენ.

— წყალში ჩავგდოთ, წყალში!!! — ჯაისმა ხმები ირგვლივ.

— შეგვაწუხა!

— აგვაოხრა!

— რჯული შეგვიცვალა!

— ამოგვწყვიტა!

— არ იქნება მაგის დანდობა!

— მტკვარში, მტკვარში ჩავგდოთ!!

მისცივდნენ ყენსა და მის მეუღლეს, მტკვარში ჩავგდეს, ყენი ხელიდან დაუსხლტათ და ნაპირისაკენ გაიქცა. ახლა მეორე ჯგუფი მიეჭრა და წყალში ჩააყურყულაღვეს.

— არ გამოუშვათ!

— არ გამოუშვათ!!!

მთლიანად ამოწყვეტილი ყენი და მისი მეუღლე წყლიდან ამოვიდნენ, ხალხი დააწყინარა დამარცხებული ყენის შეხედულებამ. გარს შემოეხვივნენ და სიმღერით წავიდნენ ორთაჭალის ბაღებისაკენ.

ბაღში დანთებული ცეცხლის ალი ზეცას წვდებოდა. ყენსა და მის მეუღლეს ადგილი დაუთმეს ცეცხლის პირას, დღის განმავლობაში შეკრებილი სანოვავე წინ დაუწყეს. ყენმა სანოვაგის განაწილება დაიწყო:

— ეს ქერივ მელანოს ულუფაა, ბიჭებო, აქ მოდიოთ, ეს ხორავი მელანოს და მის ობლებს მიართვით.

ბიჭებმა ხორავით სავსე კალათა ჩამოართვეს ყენს.

— ესეც ოჭრომქედელ ილიას ქერივობლებს!!

— ამ კალათას კი ციხეში წაიღებთ, — ყენმა ვებერთელა კალათში ჩააწყო ჯვარის მამის ლავაშები, ტატო და ილია მისცივდნენ, კალათა სწრაფად აიღეს და ციხისაკენ გაიქცნენ.

— დე, ჩვენი ლხინი მათაც გაიხირონ! დანარჩენი კი შეგვარგოს, კარგ კაცს ღმერთმა ყველგან გაუშარგოს, ლხინშიაც, კირშიაც, ბრძოლაშიაც! — სასმისი აიღო ყენმა და ყველანი საერთო სუფრას შემოუსხდნენ.

## ორბელიანების უბანში

მერცხლები დასრიალებენ თბილისის თავზე.

გაზაფხულს გაულაღებია მტკვარი, მოდის, მოშუხის ფაფარ-აყრილი.

ხორეშანი აივანზე გამოსულა, წყვილ-წყვილად ჩაითვლია ქარვის მარცვლებს, კენტად შერჩენილ მარჯანს თვალს გადაავლებს და კვლავ ქარვის დაწყვილებას დაუბრუნდება. გარდასულ დღეებზე ფიქრობს ხორეშანი, ძველი ამბები ქარვის მარცვლებივით წყვილდება მის გონებაში და მარჯანივით კენტად რჩება ხორეშანი.

რაზე ფიქრობს ეფემია, გაფრენილი მერცხლის ფრთასავით რომ ასწევია მარცხენა წარბი! ტატოს დასტრიალებს დედის ფიქრები და ბალიდან მონადენი შვილის ხმა ოდნავ შეაქრობს ხოლმე ფიქრში წასულს.

ქალთა თაიგულით დატვირთული „დროშკა“ სწრაფად შემოიჭრა ორბელიანთა უბანში, ხელმარჯვე-მეეტლებ ძლივს შეაყენა გაქაფული ცხენები. „დროშკის“ ღერძზე შემომჯდარი პატარა ბიჭი ვადმოხტა ძირს.

„დროშკის“ ხმაზე ბიჭები გამოცვივდნენ ბალიდან.

ორბელიანები გამოეგებნენ ქაუჭავაძიანთ ქალებს.

მაიკომ ხელი გაუწოდა ტატოს.

ეფემიაც გამოვიდა შესაგებებლად.

ეკატერინე ჩიტივით გადმოფრინდა „დროშკიდან“. მხოლოდ ნინო დედასავით დინჯად გადმოვიდა და თავის ხნოვანებასთან შეუფერებელი თავდაპირით მიესალმა ყველას.

— ბაღში წავალთ, დედა. — შეეხვე-

წა დედას ეკატერინე, ანთებული თვალები მიანათა.

— მართლაც, ბაღში სჯობს ჩვენთვის, — დაუმატა ნინომ და ხშირი წამწამების ჩრდილი აუთამაშდა ავარდისფერებულ დაწვებზე.

— კარგია ბაღში, — დაეთანხმათ მაიკოც და მხრებზე ნაწნავები შეერხა.

ეფემია და სალომე აივანზე გავიდნენ ხორეშანთან.

ბაღიდან ხანგამოშვებით მოისმოდა ეკატერინეს ხმამაღალი კისკისი, ნინოს დინჯი შენიშვნები და მაიკოს მინაზებული ხმა.

— აბა, ვინ დამიჭერს, გარბის ეკატერინე, ხეებს იშველიებს, ხის ძირს ჩასჭიდებია და გარს უტრიალებს, ირხევიან ნუშები, თავზე ბილილებს გადმოაფრქვევენ ეკატერინეს, ნინოსა და მაიკოს.

ეკატერინეს ხუჭუჭებს ყველაზე მეტი ნუშის ბილილები დაუტყვევებია და შავ თმაზე მიმოფანტულან თეთრი ხალები.

— ტატო, დამიჭირე, თუ შეგიძლია.

— იქნებ მართლა ფიქრობ, ვერ დამიჭერ?

— აბა, სცადე.

— რად ეჯობებო, ეკატერინე, განა არ იცი, ვერ აჯობებ.

— მაიკო ყოველთვის შენი დამცველია.

— როცა საჭიროა, ლევანსაც ვიცავ, ილიასაც.

— შენ კი მუდამ აბეზარი ხარ—ილიამ ორივე ხელი დაუჭირა ეკატერინეს, შეარხია, ეკატერინემ წაიფორხილა, ბზის ბუჩქზე ჩაჯდა.

— რა მშვენიერი დასაჯდომი ყოფილა, ტახტივით არის. დამიწანით გვირგვინი, დედოფალი მინდა ვიყო, — ჭირვეულად მიუბრუნდა ეკატერინე ბიჭებს.

— მუდამ დედოფლობის მონატრული ხარ, ეკატერინე, ვინძლო, მართლაც, დედოფალი გახდე — გაუღიმა მეგობარს მაიკომ.

— განა ეგრე ძნელია დედოფლობა? თქვენ ჯობრზე გავხდები დედოფალი.

— საქართველოს დედოფალი ვიღარა? ჰყავს, ჩემო კარგო. უგვირგვინო დედოფლად დარჩები.

— უსათუოდ მინდა დედოფალი ვიყო მაიკო, იცით, რა კარგია დედოფლობა? ბრძანებ, ყველაფერი აგისრულდება.

— განა დედოფლებს ყველა სურვილი უსრულდებათ?—მწვანეზე მოკალათებულმა მაიკომ თავისი შავი ფართო თვალები ეკატერინეს მიაპყრო.

— მართალი ხარ, მაიკო, დედოფლებს ყველა სურვილი არასოდეს უსრულდებათ, მაგრამ შათ მანც უფრო ბევრი რამ უსრულდებათ, ვიდრე მე და შენ. — პასუხი გასცა მაიკოს ფეხებთან წამოწოლილმა ტატომ.

— მე ისეთი დედოფალი ვიქნები, რომელსაც ყველაფერი შეუსრულდება, რა დაგემართა, ილია, მოიტა გვირგვინი, როდემდე გინდა ვიყო უგვირგვინო დედოფალი?

— მართვით დედოფალს. — ნინომ ყვავილების გვირგვინი ილიას შეატოვა. ილიამ ბუჩქზე მოქანავე დედოფალს თავზე დაადგა. ეკალმა ეკატერინეს ლოყა გაუქაწრა.

სისხლის წვეთი ლალივით აეკრა ეკატერინეს ლოყას.

— ეს რა მიყავი, ილია!

— ეკატერინე, ნუ გინდა დედოფლობა, ზოგჯერ მწარეა გვირგვინის ტარება — ტატო ეკატერინეს გვირგვინს წაეპოტინა.

— შეილო ტატო, ამოდით! — გაისმა ეფემიას ხმა.

ყველანი წამოცვივდნენ, ეკატერინეს ყვავილების გვირგვინი გადმოუვარდა, ტატო დაწვდა, ჰაერში აისროლა, დაშლილი გვირგვინი თავზე გადმოეყარა.

სალომე შეეგება შემოსულ ქალებს:

— დრო არის, წავიდეთ, კარგებო!

— რა კარგია ბაღში, დედა, ყველაფერი ჰყვავის, სცაა ვარსკვლავებიც გაახელებს თვალებს, — ნინო დედას მიუახლოვდა, ალერსით ლოყაზე მიეკრა.

სალომემ თავზე ხელი გადაუსვა საყვარელ ასულს:

— კარგია აყვავებული ნუშები, თვალგახელილი ვარსკვლავებიც, მაგრამ უკვე შინ წასვლის დროა. კარგო!

წამოიშალნენ. გრიგოლმა „დროშაკაში“ ჩაჯდომა უშველა ქალებს.

— შეილო მაიკო, არ შეგცივდეს, გრილი საღამოა, — ეფეფიამ მოსასხამი წამოსახა მაიკოს.

ორბელიანები მანამ გასცქეროდნენ მიმავლებს, სანამ „დროშაკა“ ვიწრო მოსახვევში არ მიიშალა.

— ბაღებისაკენ წავიდეთ, ტატო, ნინომ თქვა, ვარსკვლავები თვალებს აახელენო. — გრიგოლმა მხარზე ხელი დაადო ტატოს. ტატომ ბიძას ახედა, ღიმილით გაეპასუხა:

— და ნუშებიც ჰყავიან ბაღში, ძია — მათ თითქოს სალაპარაკო გამოეღიანათ, უხმოდ გაჰყენენ ბაღისაკენ მიმავალ ქუჩას.

ქუჩაში მოხუცი თედორე ფარნებს ანთებდა. კიბის თავზე ასულმა ზევიდან გადმოხედა გრიგოლსა და ტატოს, გრიგოლის ეპოლეტებით გაბრწყინებული მხრები, შეკრული წარბები შორს იყო ტატოსაგან. რომელსაც თვალები მუდამ უცინოდნენ, მიტომაც აკვირებდა ერთად მოსეირნე ბიძა-დისშვილის ყურება თედორეს.

აყვავებული ნუშის სუნი იდგა ყველგან, საღამოს ცვარს მიწა და ენძელები დაესველებინა, ქვევიდან ისმოდა მტკვრის ღუღუნა.

— ტატო, გახედე მტკვრის ვალმა მხარეს: — სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა?!

მტკვარს თეთრად გადაესერა თბილისის გული. განაბულიყო თბილისიც, ყურს მიუგდებდა მის მესაიდუმლეს ტატოც გასცქეროდა თბილისსა და მტკვარს. ჩუმად იმეორებდა ბიძის სიტყვებს: „სხვა საქართველო სად არის“...

შორს მეტივეები გამოჩნდნენ. ჩირაღდნების შუქი ჩაწვა მტკვარში.

— მეთევზეებთან წავალ, ძია, — შესთხოვა გრიგოლს ტატომ.

ახალი მთვარე დანათოდა მტკვარს, ჩუმად, წყნარად მოედინებოდა, გლუვი იყო მტკვრის ზედაპირი. და მთვარით განათებული, უძრავი ეგონებოდა ადამიანს, ნაპირებზე ჩამწკრივებული ხეთა ჩრდილები ზღაპრული დევგმირებით გაწოლილიყვნენ შიგ და ნელა, შეუმჩნევლად ირხეოდნენ, თითქოს დედის ნანას ისმენსო ნებიერი შვილი.

— კაკალა, უ, უ! — გასძახა ტატომ. ტივი მოადგა ნაპირს, კაკალა გამოეხმაურა ტატოს.

მთვარის სხივები არწევდნენ მძინარე თბილისს, მტკვარი ზღაპარს უამბობდა, ბუღბუღი კი გულამოსკენით გალობდა სიყვარულის საგალობელს. შავი ჩრდილები გამოჩნდა მტკვარზე, ეს ვინ არის, თბილისის მყუდროება რომ დაარღვია?

მეთევზეები გამოსულან მტკვარზე.

ტივი მიარღვევს წყალს. რამდენიმე შავი ლანდი, ტივიდან გასცქერის წყალს და ღამის წყვდიადში ისმის ჩურჩული.

— კიდევ კარგი, თევზზე გადასახადი არ შემოუღიათ, ეს დალოცვილი მტკვარიც გულგაღებულია, წადი და ითევზავე, რამდენიც გინდა.

— ეჰ, შვილოსა, შეგვევიწროვეს, სულს აქეთ აღარაფერს გვიტოვებენ, ამიტომაც გაუწყდათ ბოღბისხეველებს მოთმინება.

— მა რა იქნებოდა, ბური არ მოსვლიათ, ძლივს შეაგროვეს ასორმოცდაათი ურემი, ეხუმრები ასორმოცდაათ ურემს მოუსავლიანობის დროს! იმათ კიდევ მოსთხოვეს ოთხმოცი, მერე კოდში ექვს აბაზს იძლევიან, ჩვენ კი ოთხი მანეთი უნდა მივცეთ.

— ეჰ, იჩივლებ. ვისთან იჩივლებ? ახლა ამბობენ სალდათს წაიყვანენო, მაშინ უნდა ნახო, ვინ არის ჩვენი მშველელი.

— ჩვენი მშველელი ვინ იქნება, ჩვენი თავის მეტი? ეს ბატონებიც გადაგვიდგნენ, სად გინდა სამართალი იპოვო?

— ეჰ, შვილოსა, ათადან ბაბადან მაგრეა, ბატონი იქაა, სადაც ძალას ზედავს.

ტატო თვალეზ-გაფართოებული მის-  
ჩერებოდა მოსაუბრეებს.

— შენ რა დაგეშართა თავადის შვი-  
ლო? გაიგონე ჩვენი საუბარი და დაიხ-  
სომე, კარგი ბიჭი ხარ, იცოდე, გლეხი  
კაციც ადამიანია, მასაც ისეთივე გული  
აქვს და სისხლი უდღუს, როგორც  
ბატონს.

ტივი გაუსწორდა ვენახის ნაპირებს.  
მეტევეზები წამოდგნენ, ქინკილები  
აანთეს. მოსტურავს ტივი აგიზგიზე-  
ბული ქინკილებით, განათებული, სი-  
ნათლე და სიცოცხლე შემოაქვს მიძი-  
ნებულ ქალაქში.

— ტატო, მძლავრად ასწიე ქინკილი,  
მეტად გაანათებს და თევზიც სინათ-  
ლეს მოსდევს, აღარც ბადე გავციდუ-  
ბა, შენც ქინკილი დაიჭი, კაკალა მე  
ბადეს ვისერი — მიუბრუნდა მხარბეჭი-  
ანი ლოპიანა კაკალას, რომელსაც და-  
კარწახებულ მკლავებზე დაჭიმული კუნ-  
თები მოუჩანდა.

— აი გიდი, შენ ვერ მასწავლიდი ბა-  
დის სროლას, მაგრამ დავებრდი, დაე-  
ჩანანაკდი.

ჭაბუკებმა ბადე გაშალეს.

ბადეში ვერცხლის წყალივით ბზინა-  
ვდენ თევზები. გაახარა მეთევზეები  
პირველმა გამარჯვებამ, ყიყინით მიე-  
სივნენ საესე ბადეს, კაკალას ამოჰყაე-  
და თევზები, თან ლიღინებდა „საჭონე-  
ლი შავიმწყვდიე, მათი სახლი კი ერთ  
წამში ფანჯრებიდან გახტა გარე“.

— როგორ ფართხალეზენ, ხელში ვერ  
დაიჭერ, — სახეგაბრწყინებული ტატო  
ხან ერთ თევზს წაეტანებოდა, ხან  
შეორეს. ამოჰყარეს თევზები ბადიდან.  
ტივზე დაგროვილი თევზები ტოკაე-  
დნენ, ფართხალეზდნენ, ხტოდნენ. უხ-  
მოდ პირს აღებდნენ. ტატო მათ გარ-  
შემო ტრიალებდა, ხან ერთს წაეტანე-  
ბოდა, ხან შეორეს.

— კაკალა, შეზე, კაკალა, პირს აღე-  
ზენ, შევლას ითხოვენ საწყლები, —  
დაენანა ტატოს თევზები და მათ გვერ-  
დით დაჯდა. ვინ უშველის, როცა მათი  
ხმა არავის ესმის? შევლას ითხოვდე,  
ხმას ვერ იღებდე. მხოლოდ სიზმარში

თუ უნახავს ასეთი რამ. ახლა თევზებს  
რომ უყურებს ასე უხმოდ პირდაღებუ-  
ლებს, გული შეეკუმშა და ეკარგა თევ-  
ზაობის ხალისი, ყურადღებას აღარ  
აქცევს ახლად ამოდებულ ბადეებს,  
ყიყინით რომ სკლიან მეთევზეები, მხო-  
ლოდ თევზები ენანება, უხმოდ რომ  
ითხოვენ შევლას.

განთიადზე აცივდა. სინათლე დაკარ-  
გეს ქინკილებმა, მზის პირველმა სხი-  
ვებმა შეღებეს აღმოსავლეთი, მეთევ-  
ზეებმა ბადე აქცევს. ტივმა ნელა გას-  
ცურა ანჩისხატის უბნისაკენ.

სახლში დაბრუნებული ტატო სველ  
ტანსაცმელს იცვლიდა, როცა გამძლე-  
მა მოახსენა:

— მაიკო მოვიდა. ბაღში გელოდებ!  
გაახარა ტატო შეგობრის მოსვლამ, მო-  
ჯარული ფიქრები გაუფანტა, ბაღისა-  
კენ დაეშვა.

ვაზის ტალავერში იჯდა მაიკო.  
გაფერმკრთალებული, მიბნედილი ობ-  
ლად დარჩენილი ჩიტოვით შეყუჟული-  
ყო ვაზის ფოთლებში ტატო ფეხაკრე-  
ბით მიეპარა, თვალეზზე ხელები დაა-  
ფარა.

— ილია ხარ, ილია! — დაიძახა მაი-  
კომ, მისმა პატარა ხელებმა მაგრად  
ჩაბლუჯა ტატოს ხელები.

— ლევანი! კვლავ ჩამოთვალა მე-  
გობრები მაიკომ.

— ვერ გამოიცანი!

— არ მოგელოდი მითხრეს, შინ არ  
არისო. — გაუცინა ტატოს მაიკომ —  
სად იყავ?!

— სათევზაოდ, მაიკო, სათევზაოდ!  
სწორედ ახლა დავბრუნდი, — ტატოს  
პირდაღებული თევზები გაახსენდა, მაი-  
კოს გვერდით ჩამოჯდა, — კვლავ აღარ  
წავალ სათევზაოდ.

— რატომ, რომ გიყვარს თევზაობა?

— აღარ მიყვარს, — გაიქნია თავი  
ტატომ.

— რა დაგეშართა, გველი ხომ არ  
შემოგეხვია წყალში?

— არა, მაიკო, გინახავს ბადიდან  
ამოყრილი თევზები?

— არა.

— პირველად ვნახე მათი ვედრება.

— ვისი, ტატო?

— ყური მიგდე, მაიკო, ბუნებას დაუსჯია თევზები, პირს აღებენ, ხმა კი არა აქვთ, მათი სურვილები უხმოდვე იკარგება, ვერც გაგრძნობინებენ, რას ითხოვენ შენგან.

— რას ითხოვენ, ტატო? — წაიჩურჩულა მაიკომ, შეშინებული თვალები მიაპყრო.

ყველაფერი სიცოცხლეს ითხოვს, ხმას იღებს, ყველას შეპყვირის, ფოთლებიც კი შრიალებენ სიცოცხლის სურვილით, მარტო თევზები აღებენ უხმოდ პირს. ცოდვია მაიკო, ვინც ხმას ვერ იღებს, ვინც უხმოდ ითხოვს!!!

მაიკო დაფიქრებული მისჩერებოდა მეგობარს.

### ორი ალექსანდრი

ტატო ფრთხილად ავიდა ვიწრო და ბნელ კიბეზე. პირველად მიდიოდა სოლომონთან, ეკრძალებოდა. იცოდა სოლომონი მას ელოდა, ამ დროისათვის დაიბარა მასწავლებელმა, მაგრამ ჩვეული მოკრძალება მაინც ვერ სძლია, გულის კანკალი ატუცდა, როცა კარი დააკაუნა. კარი მალე გაიღო.

— ა, შენ ხარ, ნიკო, მასიამოვნი. — გაუღიმა სოლომონმა.

ტატო მასწავლებლის გულთბილმა შეხვედრამ გაახარა, თამამად გადააბიჯა ზღურბლზე.

— ხელს ზომ არ შეგიშლით?

— განა დაგებარებდი, შენგან ხელის შეშლას რომ მოველოდე. — სოლომონმა ტატოს ბავშვურ მხრებზე ხელი მოხვია და ოთახში შეიყვანა.

მაგიდა საესე იყო ქალადებით. ეტყობოდა, მუშაობდა სოლომონი, წიგნების სიმრავლემ მიიქცია ტატოს ყურადღება.

სოლომონი მიჩერდა ახალგაზრდა სტუმარს. მასწავლებლის დაეინებულმა შერამ შეაკრთო მოწაფე, აქეთ-იქით დაიწყო ცქერა. სოლომონი წამოდგა; ოთახში გაიარა, ღია ფანჯრიდან თბი-

ლის გადახედა, თითქოს რაღაც მოაგონდა, ისე მიმართა ტატოს:

— გასეირნება გადაწყვიტე, სიმეტომ ვიხმე, გავიაროთ.

— წამოხტა ტატო. სოლომონმა ქუდი ჩამოიღო, ორივენი გარეთ გამოვიდნენ.

კამკაშა ღამე იყო.

ჩუმად მიდიოდნენ სოლომონი და ტატო, თითქოს ენანებათო მყუდროობა დაურღვიონ საყვარელ ქალაქს. მთაწმიდის აღმართს შეუღდნენ ისინი, ვიწრო ბილიკი-მიპყვებოდა ტანაყრილ ხეებს. თვალები გაეხილათ დღის სიციხით თვალდახუჭულ ყვაილებს.

ისინი მთაწმიდაზე ავიდნენ, იქიდან გადმოხედეს თბილისის ვიწრო ქუჩებს, კლდეებზე ბუდეებივით მიკრულ სახლებს.

— განა ჩვენ მეფეთა ჩამომავლობაში არ არის ვინმე ისეთი, რომელიც შესძლებს ჩვენი ქვეყნის აყვავებას? — მორიდებულად იკითხა ტატომ.

— არა, ჩემო კარგო, მართველობისათვის ახლა საჭიროა სხვა. სახელმწიფო დაწესებულებებში საქმეები ძალიან ნელა კეთდება და არ ეფარდება არც ხალხის ხასიათს, არც ზნეჩვეულებებს. ზოგჯერ უსამართლოდ ისჯება პატიოსანი ადამიანი. — არა მარტო ჩვენი ბედნიერებისათვის უნდა ვიწრომოთ, ნიკო, არამედ მამულის სიყვარულისათვის! ბევრი რამ სჭირდება ჩვენს ქვეყანას, ნიკო, დიდია რასიელთა მისწრაფება სწავლისაკენ, ასევე უნდა მოვიქცეთ ჩვენც, ჩვენში არავინ მეცადინეობს განავრცოს სწავლის სურვილი, მაგრამ ახლა, როცა მთავრობა ცდილობს სწავლის გავრცელებას და ღმერთმაც იწება ჩვენი ქვეყნისთვის მშვიდობის მონიჭება, ხელი უნდა შევეწყუთ ამ წმინდა მისწრაფებას.

— მუდამ, მამულის სიყვარულისათვის, მისი კეთილდღეობისათვის იბრძოლებს თქვენი შეგირდი. — ჩაილაპარაკა აღელვებულმა ტატომ.

მოწაფე და მასწავლებელი დიდხანს ისხდნენ ქვის ლოდზე უხმოდ.

— დრო არის, წავიდეთ, — დაარღვია სიჩუმე სოლომონმა. ტატოც წამოდგა.

— ეს ვინ არის? — შეეკითხა ტატო დოდაშვილს და დააკვირდა გადაჭრილ ხეზე მჯდომარე სათვალეებიან კაცს, რომელიც ჩაფიქრებული თბილისს გასცქეროდა.

— ნუ დავუშლით ფიქრს, — წაიჩურჩულა სოლომონმა, ტატოს ხელი წაატანა, — ეგ პეტერბურგელი მწერალია, განათლებული და სახელგანთქმული კაცია. თუ ასეთნი წარჩინებულნი მოაპყრობენ ჩვენ ქვეყანას თვალს, მაგათგან დიდ საზრდოს მიიღებს ახალგაზრდობა.

— რუსი მწერალი, — ჩურჩულით გაიმეორა ტატომ, ყურადღებით აათვალიერა ხის კუნძზე მჯდომი და სოლომონს მიჰყვა.



კვირა დღე იყო. ტატოსა და ილიას თავი თბილისარის ჩრდილებში შეეფარებინათ, ახლად დაკრეფილი თხილით თამაშობდნენ.

აივანზე ეფემია გადმოდგა, ბიჭებს გადმოსძახა:

— ტატო, ილია, ამოდით, მაიკო გეწვიათ. ბიჭებმა თხილით ჯიბეები აივანს და სასახლისაკენ გაქცევა დააპირეს, მაგრამ მაიკომ დაასწრო და მოვიდა.

— აქ მართონი თამაშობთ, ლევანი და კონსტანტინე კი ჭავჭავაძიანთა წავიდნენ, მე თქვენთან წამოვედი, რომ წაგიყვანოთ.

— მართლა, წამოვალთ, აი ნახე, რამდენი თხილია, სუყველა ილიას დაკრეფილია, მოვუგე! — აჩვენა ტატომ.

თბილისის მკვიდრნი მცხუნვარე მზეს სახლებში შეეყუტა, ქუჩები თითქმის ცარიელი იყო.

ვეებერთელა ბაღში შეიკრნენ მაიკო, ტატო და ილია, ბაღი დაფარული იყო ვაზის ხეივანებით, ყოველი ხეივანი ერთ-

მანეთისაგან ვაზნარის კედლით იყოფოდა, შარიშურობდნენ ვაზის ფოთლები, მზეზე მწვანედ ლაპლაპებდნენ რქაწითელის, ბუდეშურის და საფერავის დასრულებული მტევნები. მთაწმიდიდან მონადენი სიო იჭრებოდა ხეივანებში, ირხეოდა ვაზის ფოთლები. ბაღის ნაპირებზე ერთმანეთს გადახლართოდნენ ბროწეულისა და თხილის ტოტები. აქა-იქ, როცა სიო ფოთლებს მიუალერსებდა, აშლილ ფოთლებში მოჩანდა სიმწიფეში შესული ატემები, ვაშლები, მსხლები.

ვეებერთელა კაკლის ჩრდილში ეკატერინე, ლევანი და კონსტანტინე შეყრილიყვნენ. გაიხარეს მისული მაიკო, ტატო და ილია რომ დაინახეს. ტაში შემოჰკრა ეკატერინემ:

— რა კარგია, მოხვედით, ახლა უკვე ბევრნი ვართ, წავიდეთ ბერიკაობა ვითამაშოთ. ისინი თალარში მიზობდნენ, ეკატერინე ხანგამოშვებით მიიჭრებოდა მტევნებთან, ხელს შეეკლებდა, მიუალერსებდა და დანარჩენებს მიუბრუნებდობა:

— შეხედეთ, რა ლამაზებია!

სახლიდან ფორტეპიანოს ხმა ისმოდა, ვიღაც „ახალ აღნაგოს“ მღეროდა. დარბაზიდან აივანზე გამოსასვლელი კარი ღია იყო. ფორტეპიანოსთან ნინო და უცხო მამაკაცი ისხდნენ, ოთხი ხელით უკრავდნენ. ნინო პლერის, — გაუღვია ტატოს. გაღებულ კარს მიაჩერდა, სად უნახავს ეს კაცი? აივანს მიუახლოვდა, სათვალეებიან მამაკაცს დააკვირდა, ეს ხომ პეტერბურგელი მწერალია! გაახსენდა იმ ღამეს მთაწმიდიდან თბილისს რომ გასცქეროდა. ეკატერინეს უხმო.

— ეკატერინე, ვინ არის ის? — გაღებულ კარებში შეახედა.

— ნინოს დანიშნულია. მწერალი ალექსანდრე გრიბოედოვი.

— მწერალი ალექსანდრე გრიბოედოვი, — წაიჩურჩულა ტატომ — ნინოს დანიშნული.

— რად გაჩერდი, ტატო, წამოდი, —

წიატანა ხელი ეკატერინემ და ორი-  
ვენი გაიქცნენ.

კარგახანს გაისმოდა ჭავჭავაძისათ  
ბაღში „დათვსა და ცოლი ავად გაუხ-  
და, ჩემო დათუნაო! ეგ გაუშვი სხვა  
შეირთე, ჩემო დათუნაო!“

— დამალობანა ვითამაშოთ, დამა-  
ლობანა, აღარ მინდა „დათუნა“, აზირ-  
და მაიკო და ყველამ ცაცხვის ქვეშ  
მოიყარა თავი.

— იწილო, ბიწილო, — გაისმა ეკა-  
ტერინეს წკრიალა ხმა. — ტატო, დარ-  
ჩა, ტატო, დაიხუტე, — ეკატერინემ  
თმოდან ბაფთი მოიხსნა, თვალეები აუხ-  
ვია ტატოს, — ბუდე ფანჩატურთან  
იყოს.

ტატო ფანჩატურთან მივიდა, გაბად-  
რულ ვაზის კედლებში გაინაბა.

— დაიძახეთ, როცა ყველანი დამა-  
ლოთ! — მიიძახა დასამალავად გაქცეუ-  
ლებს ტატომ.

— ქართველთა და რუსთა ურთი-  
ერთ კავშირი აუცილებელია ჩვენი  
ქვეყნისათვის. — მოესმა ტატოს ფანჩა-  
ტურიდან ალექსანდრეს ხმა და მხო-  
ლოდ ახლა შენიშნა, ფანჩატურში  
ალექსანდრე, სალომე და ახვერდოვის  
მეუღლე პარასკევა ისხდნენ, ნინოს  
ბედზე საუბრობდნენ.

— კუკუ!

— კუკუ! — გაისმა ყოველი მხრი-  
დან და ტატომაც დასტოვა თავის სა-  
ფარი, დამალულების საძებნად გაიქცა.

დიდხანს გაისმოდა ბავშვების ყიყი-  
ნა ჭავჭავაძისათ ბაღში და, როცა მთა-  
წმიდაზე მწუხრის დარეკეს მხოლოდ  
მაშინ გაიქცნენ ტატო, მაიკო და ილია  
თავთავიანთ სახლებსაკენ.

ლამის ცხოვრება დაიწყო, ნაგვიანე-  
ვი მთვარე ამოცურდა ცაზე. ჭავჭავა-  
ძისათ ბაღი ხეთა ჩრდილებმა დაფარა.  
შაშვი ჭახჭახებდა ვაზებში, ღამურები  
დაფარფატებდნენ ცაში, აქა-იქ ციცი-  
ნათელეები განათებდნენ ხოლმე ვაზისა  
და ყვავილნართა ფოთლებს.

ვახით დაფარულ აივანზე ისხდნენ  
ალექსანდრე ჭავჭავაძე და ალექსან-  
დრე გრიბოედოვი. აქედან გადმოსცქე-

როდნენ მთვარიით განათებულ თბილისს  
და იკვანძებოდა მეგობრობა, მომავალი  
სიძე-სიმამრი საქართველოს! მტეხზე  
მსჯელობდნენ.



ხმა დაირხა, ჩრდილოეთთა რძალი  
ვახლოდ ალექსანდრე ჭავჭავაძის ლამა-  
ზი ასული ნინო, ყოველი მხრიდან მო-  
დიოდნენ მოსალოცად, დიდი და პატა-  
რა მონაწილეობას იღებდა ამ ქორწი-  
ნებაში.

თბილისის სამხედრო გუბერნატორ-  
მა ნიკოლოზ სიპიაგინმა ბალის ვაპარ-  
თვა ბრძანა ნინო ჭავჭავაძისა და ალექ-  
სანდრე გრიბოედოვის ბედნიერი ქორ-  
წინების აღსანიშნავად.

ვეებერთელა სარკის წინ იდგა ნინო,  
სამეჯლისოდ რთავდნენ. გარს ღედა,  
გადია და ფარეშები ეხვივნენ. ნინო  
თავის ანარეკლს უღიმოდა სარკეში.  
უნდოდა განსაკუთრებით მომხიბლავი  
ყოფილიყო ღღეს, მოსწონებოდა მეუ-  
ღლის მეგობრებს, რომლებიც მრავლად  
იქნებოდნენ ბაღზე.

ალექსანდრე ოთახში ელოდებოდა  
მეუღლის გამოსვლას, ფორტეპიანოს-  
თან იჯდა და იმ ჰანგს უკრავდა, რო-  
მელიც ნინოს უყვარდა. ნინო უსმენდა,  
ბედნიერს სიხარული და აღტაცება  
ეუფლებოდა.

სალომეს საგვარეულო ნივთები გა-  
მოეტანა და ღღეს პირველად რთავდა  
თავის უფროს ასულს. ციმციმებდა  
მარგალიტების სხმული ნინოს ყელზე.

ოთახში ეკატერინე და ტატო შე-  
მოიჭრნენ:

— ნინო, წინანდალიდან შენი ღობი-  
ლი მელანო მოვიდა მოსალოცად! —  
ახარა დას ეკატერინემ.

მელანომ მორთული ნინო რომ დაი-  
ნახა, შეკრთა. კარებში შედგა. მისკენ  
ხელებგაწვდილმა ნინომ გამოარკვია:

— ჩემო მელანო, მოსალოცად მოხ-  
ვედი განა!

— შენი ჭირიმი, ნინო, ციდან ჩამოსულ ანგელოზს დამსგავსებინარ! — მელანოს ხურჯინის ჩამოღებაც კი დაავიწყდა, ისე მიეჭრა ნინოს.

გაახარა ნინო მეგობრის ალტაცებამ, გადაეხვია, დაეღაპა ლოყები დაუკოცნა, მელანომ გულში ჩაიკრა ნინო.

დიდ სარკეში უცნაურად ჩანდნენ ჩითის კაბაში გამოწყობილი მელანო და თეთრ ჰაეროვან კაბაში გამოწყობილი ნინო, რომლის თვალები და სილამაზე ბრწყინვალეობას უკარგავდა მასზე ასხმულ მარგალიტებს.

— მოსალოცად ჩამოვედი, ჩვენამდე მოაღწია ხმამ, ბედნიერდებაო, ჩვენი ნინო, მთელ სოფელს უნდა ჩამოსვლა, მე ყველას დავასწარი, — ვიფიქრე, პირველი მივულოცავ მეტქი. ღმერთმა გვირგვინი გიკურთხოს, მუდამ ასე ბედნიერს გზედავდე.

— როგორ გამახარე, ჩემო მელანო! — ჩურჩულებდა ნინო და ეკვროდა მეგობრის განიერ მკერდს.

— ეს დათოს ნახელავია, შენთვის გააკეთა, ქმრის ბარათები შეინახოსო შიგ, — გაუწოდა მელანომ პატარა ხის ყუთი, — აბა ნახე, თუ გააღებ საიდუმლოა. — მელანო ხელებში შესჩერებოდა ნინოს. რომელიც ყუთს ხელში აცოდვლებდა გასაღებად — ეს სარტყელი მე მოგიქარგე, შენი საკადრისი არ არის, მაგრამ ვიცი გიყვარვარ და ხანდახან გაიკეთებ ჩემდა სახსოვრად, თუ რამ ცოდნა მიმიღია კნეინა მანანასაგან, ზედ ვადავლიე.

— შესანიშნავია, მშვენიერია! — გაიძახოდა ნინო, ნივთებს ათვალთვრებდა.

ოთახში ატეხილმა ხმაურმა ალექსანდრემდეც მიაღწია, დაკვრას თავი ანება და ცოლთან გამოვიდა.

— ალექსანდრე, ჩემი მელანო ჩამოვიდა წინანდალიდან, მოსალოცად, ნახე, რა ჩამომიტანა.

ალექსანდრემ გაწვილი ყუთი ჩამოართვა.

— საიდუმლოა, შენი ბარათების შესანახად გაუკეთებიათ ჩემთვის.

— ღმერთს ვევედროთ, რომ არასოდეს დავშორდეთ ერთმანეთს <sup>სულს</sup> მსახური შემოვიდა: <sup>გინჯლიყოთქა</sup>

— კარეტა მზად არის.

შედგა თუ არა კარეტა სიპიაგინის სახლის წინ, მეფე-დედოფალს გამოეგებნენ. სამხედრო მუსიკის ხმამ ყველაფერი დაჰფარა და ცაში ატყორცნილი შუშხუნები ეფრქვეოდა ქალაქს, თითქოს ციდან ვარსკვლავები დაეშენნო ნინოსა და ალექსანდრეს მისალოცად.

საზეიმოდ მორთულ დარბაზში ჩამწყრივებული იდგნენ: ბესტუყევი, ზავილევსკი, რაევსკი, ვოლხოვსკი, ადელუგა, ბურცევი, ჩერნიშევი და მათი ალტაცებული მზერა არ სცილდებოდა ნინოს. ნინო კი ზღაპრული დედოფალივით მოდიოდა ალექსანდრესთან ხელგაყრილი.

ნიკოლოზ სიპიაგინმა პოლონეზში გაიწვია ნინო, გაისმა საზეიმო ჰანგი და გაბრწყინებულ დარბაზში, ნიკოლოზ სიპიაგინის ხელზე დაყრდნობილი ნინო გედივით გამოცურდა, მისმა ღმილმა კიდევ უფრო მიუმატა ბრწყინვალეობა იქაურობას, გაინაბა ხალხით სავსე დარბაზი, მხოლოდ მუსიკის საზეიმო ჰანგმა და ნინოს გაბრწყინებული მსახე დაიპყრო იქაურობა.

ბალი დაიწყო.

— რა ლამაზია!

— რა ახალგაზრდაა!

— სულ ბავშვია! — გაისმოდა ალექსანდრეს მეგობრებში ალტაცებული ჩურჩული. კადრილს ერთად თამაშობდნენ ნინო და ალექსანდრე.

სალომე საეარძელში იჯდა მანანასთან ერთად, იქიდან უთვალთვალეზდა ქალსა და სიძეს.

— ხვალ უკვე გზაში იქნებით?

— გულს არ ახარებს ეს გამგზავრება.

— რატომ? შეხედე ნინოს, რა ბედნიერი სახე აქვს!

— რა უნდა ქნას უცხო მზარეში მარტომ?

— მარტო რად იქნება...

ბედნიერებაში დრო სწრაფად მიდიოდა, ნინო და ალექსანდრე ვერაფერს ამჩნევდნენ. ვერავის ხედავდნენ ერთმანეთის მეტს.

— რამ დაგაფიქრა, სულიკო?

— ხელინდელ გამგზავრებაზე ვფიქრობ, ალექსანდრე, ახლა, ალბათ უკვე გვიან არის.

— ბედნიერები საათს არ უყურებენ, სასურველო, როგორ სწრაფად შევეთვისეთ ერთმანეთს.

ნინომ გაუღიმა ალექსანდრეს, ქვევიდან ახედა სიყვარულით სავსე თვალებით.

ალექსანდრემ სწრაფად გააქროლა ნინო ვალის ჰანგზე ფეხაწყობილმა. დასრულდა ბალი.

თბილისმა შეისვენა.

ხელ ნინო და ალექსანდრე მიემგზავრებოდნენ.

ღალიდანვე ახმაურდა ყველა სახლი და ყველა ეზო, ყველა ემზადებოდა ახლად დაქორწინებულთა გასაცილებლად.

გამართეს ტარანტასები. გამოვიდნენ ნინო და ალექსანდრე. ყვითელი ფერით გაწყობილი სამგზავრო კაბა ეცვა ნინოს. თეთრი ცხენი მოართვეს.

კოდამდე, სანამ გამცილებლები არ დაბრუნდებოდნენ. ცხენით ისურვა მგზავრობა ნინომ.

შუადღისას, როცა ქალაქში ზარბაზანი დასცალეს, დაიძრა ვეებერთელა ქარავანი, წინ ნინო და ალექსანდრე მიდიოდნენ ცხენებით.

ქარეტაში სალომე იჯდა, რომელიც ერეგნამდე აცილებდა შვილსა და სიძეს, მას ცხენებით მოჰყვებოდნენ მანანა, ეფემია, გრიგოლი, ახალგაზრდები: ეკატერინე, მაიკო, ტატო, ილია, ლევანი ჯირითით მისდევდნენ ქარავანს, ბარგით დატვირთულ აქლემებს თბილისის მცხოვრებნი ადევნებოდნენ ვინ ფეხით, ვინ ცხენით.

გზა სიმწიფეშეპარულ ვენახებს შორის მიდიოდა, დასრულებულიყვნენ ყურძნის მარცვლები, სიოსავან შერ-

ხეულ ფოთლებიდან მორცხვად გამოიყურებოდნენ, ზერებს თავს მერცხლები დატრიალებდნენ და შორიდან ისმოდა შაშვის ქახქახი.

ბილიკებიდან, ვენახებიდან მოდიოდნენ სოფლები, გარეთუნელები, მოქონდათ მწვანილით კიტრებით, ხილით, ცოცხალი თევზითა და ყვავილებით დატვირთული კალათები და ისე ეგებებოდნენ ნინოსა და ალექსანდრეს.

უხაროდა ნინოს, თავის ქვეყანა ასეთი სიყვარულით რომ ისტუმრებდა, ღიმილითა და აღტაცებით ეგებებოდა ყველას, მადლს უხდოდა საჩუქრებისათვის.

მივიდნენ კოდაში, სოფელი გამოეგება, წინ ცხენოსნები მიუძლოდნენ ჯირითით.

დაიწყო გამცილებელთა გამოთხოვება, სათითაოდ იკრავდნენ გულში ნინოს პარასკევა, ხორეშანი, მანანა, ეფემია.

ტარანტასში ჩაჯდა ნინო.

ეკატერინე დიდხანს ხედავდა ვიწრო ფანჯარაში დის სახეს და კიბეზე მდგარ ალექსანდრეს ხელთათმანს, რომელსაც ქარი აფრიალებდა გამომშვიდობების ნიშნად. მიეფარა ტარანტასი, აღარც ნინოს სახე ჩანდა, აღარც ალექსანდრე გრიბოედოვის ხელთათმანი.

— წამოდი, ეკატერინე, გამეჯიბრე — ფრთხილად შეახო ხელი დაფიქრებულ ეკატერინეს ტატომ. ეკატერინემ თავი გაიქნია, სევდა მოიცილა და მხიარულად შესძახა ტატოს:

— ეცადე, არ გაჯობო, ტატო!... ორი ცხენი შურდულივით გაქანდა თბილისისკენ მიმავალ გზაზე, მტვერმა დაფარა ისინი.

## ბედისწერა

ძილი გაუტყდა ეფემიას, არ დააძინა ტატოზე ფიქრმა უკვე გვიან იყო, ტატო კი თავის მავიდას არ სცილდებოდა, ერთგულად მუშაობდა, ეფემიას არ ასვენებდა მასზე ფიქრი. ორი ხასიათი იბრძოდა ტატოში დაბადებიდანვე:

დაუდევარი, მოუსვენარი ტატო და დაფიქრებული, სევდიანი. ეს ორი ხასიათი აფიქრებდა ეფემიას, არ იცოდა, რომელი დასძლევდა, საით წარიმართებოდა მისი ვაჟის ცხოვრების გზა.

ახლაც ოთახის ვალებული კარიდან ხედავდა მაგიდასთან თავდახრილ შვილს და არ ეძინებოდა, ნეტავ რა მოელის ტატოს ცხოვრებაში? ვინ იცის, რას უქადის ბედისწერა. ნეტავ შეეძლოს ეფემიას თვითონ გამოსჭედოს შვილის ბედი, რას იზამდა მაშინ? ანაზღად გაახსენდა მელიტონისა და მოურავის საუბარი:

— ბატონო, არ არის კარგად მამულის საქმე, — ეჩურჩულებოდა მოურავი მელიტონს, — სარგებლის გადახდასაც ვეღარ შევძლებთ ჩვენი მამულით.

იქნებ მელიტონის ხელგაშლილობამ სამუდამოდ დაუბნელოს ტატოს ბედი? არ გაუგია ეფემიას, როდის დაწვა ტატო. ჩასძინებოდა ფიქრებით გარს შემოჯარულ დედას.

დილით შვილის ლოგინთან მივიდა ეფემია, ტატოს ჰერისათვის გაეშტერებია თვალი, ეფემია შვილთან ჩამოჯდა, მაღალ შუბლზე ხელი გადაუსვა:

— რაზე ფიქრობ, შვილო?

— ერთი ადგილის დაძლევა გამიჭირდა წუხელ, ახლა კი ისე ნათელი და ადვილი მომეჩვენა, ვეღარ გამიგია, რამ გამაწვალა წუხელ?

— რა ადგილს აკეთებდი?

— პირველ წიგნს ვისისას რამინთან მიწერილს.

— შვილო, არც მაგრე მიეინებულე მუშაობა შეიძლება, მთელი ღამე არ ვიძინია, ისე ჩამეძინა, ვეღარც გავიგე, როდის დაწექი.

— მიიკოს დავპირდი ამაღამ დავამთავრებ და ხვალ გიჩვენებ მეთქი. ბიჭებთანაც ვარ გაჯიბრებული.

— ბიჭებიც ვისრამიანს სთარგმნიან?

— არა, ყველამ ამოირჩია თავისათვის, მხოლოდ გარსევან ვარლამოვი არ ამბობს, რასა სთარგმნის. სკოლაში არ დამიგვიანდეს, დედი, როგორ შევყევით

საუბარს, დოდაშვილის გაცვეთილი გვაქვს პირველი, — ტატოც სწრაფად წამოხტა.

ეფემია დიდხანს მისჩერებოდა გზას, ტატო უკვე თვალს მიეფარა. იგრძნო ეფემიამ, რომ ტატომ ცხოვრებაში პირველი ნაბიჯები უკვე გადადგა.

ტატო სირბილით შევიდა კლასში, ბიჭები მოსულიყვნენ. პირველი, ვინც კარებში შეეფეთა, ვარლამოვი იყო, უეცრად დედასთან საუბარი გაახსენდა და მოუსვენარი აზრი აეკვიტა — რას სთარგმნის ვარლამოვი?

გაცვეთილი დაიწყო. „ვეფხისტყაოსანს“ ხსნიდა დოდაშვილი. მისი ფერმკრთალი სახე, აგზნებული თვალები და მის მიერ წარმოთქმული „თუ საწყუთრომან დამამხოს ყოველთა დამამხობელმან“ — განსაკუთრებით ხიბლავდა ბიჭებს, ისინი სულგანაბული უსმენდნენ სოლომონს. ტატო თვალს არ აცილებდა მასწავლებელს, აკვიტებულ ი აზრი მაინც არ ასვენებდა — რას სთარგმნის ვარლამოვი?

გაცვეთილი გათავდა. ბიჭები ეზოში გავიდნენ. ტატო კლასში დარჩა. ვარლამოვის მაგიდას მიუახლოვდა, სწრაფად გადაშალა მისი წიგნები. პატარა წიგნაკს მოჰკრა თვალი, ეს სახელმძღვანელო არ იყო, გადაშალა, „ეგვენი ონეგინი“ — წაიკითხა, ეშმაკურად ჩაიკინა წიგნიდან რვეული ამოიღო, უბეში ჩაიდო.

შემდეგი გაცვეთილები ტატოს აღარ მოუსმენია, თითქოს სწვავდა უბეში ჩადებული რვეული, ვარლამოვისაკენ ხშირად იხედებოდა, ეშინოდა, არ გამიგოსო.

უკანასკნელი გაცვეთილი გათავდა, ტატო ვახარებული წამოხტა ბიჭებიც წასასვლელად გაემზადნენ. საკლასო ოთახის კარებში მდგარი მასწავლებელი თვალყურს ადევნებდა ბიჭებს და, მასწავლებელმა კლასის კარი გამოხურა, ტატომ დერეფანი სწრაფად გაიბინა, კიბის თავში მეკარის სკამზე შეხტა, ხმამაღლა შეჰყვირა:

— შეჩერდით, ყური დამიგდეთ, ევგენი ვთარგმნე და მინდა წაგიკითხოთ!!

— კიბისთავში ვარლამოვი შედგა, უეცრად მოტრიალდა, მოაჯირს აეკრა. ბარათაშვილს შეაჩერდა, ტატომ კი ხმა-მალლა დაიწყო:

— „ბიძა ჩემი დიდთა პატროსანთა კანონთა:

როდესაც ხუმრობა გამოებით ავად გახდა“

უკანასკნელი სიტყვები ვეღარ დაამთავრა ტატომ, ვარლამოვი მივარდა და ყელში სწვდა. ბიჭების ატეხილმა ხარხარმა ყველაფერი გააყრუა, როცა ილიას თავგანწირულმა ყვირილმა ბიჭების ხარხარიც კი დაჰფარა, მაშინ, დაინახეს, რომ ტატო და ვარლამოვი კიბეზე ბურთივით მიგორავდნენ. ბიჭებიც დაეშენენ კიბეზე და უკვე ძირს გათხლამულ ტატოსა და ვარლამოვს მივარდნენ. ვარლამოვი სწრაფად წამოხტა, ცხვირპირზე ხელი მოისვა და ისედაც აწითლებული სახე ცხვირიდან გადმონადენი სისხლით შეიღებდა. ბიჭები მისცივდნენ სისხლით მოსვრილს, ილიამ კი ტატოს ფეხი წაჰკრა და ბრაზიანი ხმით უთხრა:

— ადექი ზეზე! —

ტატოს სახე გაფითრებოდა, ტუჩებს იჭამდა, თვალები ცრემლებით ევსებოდა.

— ტატო ადექი, უკვე შეშფოთება გაისმა ილიას ხმაში, როცა ტატოს ყრუ კენესაც გაიგონა, შეშინებულმა მიაძახა:

— ტატო ბიჭო, რა დაგემართა? ტატომ განწირული ხმით შეჰყვირა.

— ფეხი, ფეხი!!

ახლა კი თავი მიანებეს ბიჭებმა ვარლამოვს და ტატოს შემოეხვივნენ.

— ფეხი, ფეხი!! — ეკლავ დაიძახა ტატომ და გული წაუვიდა, გამოცვივდნენ მასწავლებლები, ღირექტორი.

— ჩქარა, ექიმო!

— ექიმო! — გაისმა აქეთ-იქიდან. ექიმთან რამდენიმე ბიჭი გაიქცა, გულშეღონებული ტატო აიტაცეს, საკაცეზე

დააწვინეს და ბარათაშვილების საბლი-საკენ წაიღეს.

ეფემია აივანზე იჯდა, როცა საკაცეზე მწოლიარე ტატო დაინახა, ტატო, რომელმაც დილით მხიარულმა ჩაირბინა ეს კიბე. ეფემიას მუხლი მოეკეცეთა.

— საშიში არაფერია, ქალბატონო, ფეხი აქვს გადატეხილი, ბაჯიაშვილოან გავგზავნეთ კაცი.

ეფემია უხმოდ იმტვრევდა თითებს, ქვედა ყბა უკანკალბდა, ცრემლები დააღუპით ჩამოსდიოდა სახეზე. გაფითრებული ტატო შესჩერებოდა დედის მწუხარე სახეს და ცრემლები აღრჩობდა.

სახლში ყველამ გაიგო ტატოს ამბავი, აივანი გაივსო მეზობლებით და მოსამსახურეებით. გამდელი მკერდსა და ლოყებს იკაწრავდა. ხორეშანს ბაგეები მოეკუშა და უხმოდ იდგა. აქა-იქ მოსამსახურეთა ცრემლნარევი ჩურჩული ისმოდა.

მოვარდნენ მელიტონი და გრიგოლი.

— შინ შეიყვანეთ, დააწვინეთ, — გასცა განკარგულება მელიტონმა.

ტატო სახლში შეიყვანეს, გამდელმა ხელების კანკალით გაუშალა ლოგინი.

ეფემია თავთან უჯდა შეიღს, შუბლზე ხელს უსვამდა, თავში მხოლოდ ერთი აზრი უტრიალებდა; — პირველსავე ნაბიჯზე წაიფორჩილა ტატომ...

თბილისში ხმა დაირხა, ბარათაანთ ნიკოს სკოლაში ცელქობის დროს ფეხი მოუტეხიაო.

სალამოზე სახლი მნახველებით აივსო. ჭავჭავაძეები, ორბელიანები, ბარათაშვილები ერთმანეთს სცვლიდნენ.

ლოგინთან დახრილი გაფითრებული მაიკო დაინახა ტატომ, გაუღიმა:

— არა მტკივა მაიკო, გამიარა. ვინის პირველი წყნილი დავამთავრე წუხელ. წაგიკითხავ, ვინდა?

მაიკომ უარის ნიშნად თავი გაიქნია.

— მე თვითონ წაგიკითხავ.

— ახლა უფრო კარგადაც გადავთარგმნი, დიდხანს მომიხდება წოლა.

სალამე ჭავჭავაძე შემოვიდა, ეფე-

მიასთან მივიდა, ჩუმიად გადაეხვია, უსიტყვოდაც გრძობდა ეფემიას გულის ტკივილს, არაფერი უკითხავს, ისე მიუჯდა გვერდით, მისი ხელი აიღო ხელში და ხელს უსვამდა უხმოდ.

ეკატერინე ტატოს მიეჭრა:

— გტკივა, ტატო?

— აღარა მტკივა.

— დიდხანს ვერ ადგები? — მოელ-რუბლა სახე ეკატერინეს.

— ალბათ.

— ჩვენთანაც ველარ მოხვალ? მე ვივლი, სანამ მორჩებოდე.

— რა გიჭირავს, მაიკო? ახლა მაიკოს მოუბრუნდა ეკატერინე.

— ვისრამიანი სთარგმნა ტატომ.

— მართლა, ტატო, რა კარგი ხარ? — ეკატერინემ რვეულს ხელი წაატანა.

— მოიცა, — შეუტია მაიკომ ეკატერინეს.

— მეც მინდა წაიკითხო, ტატო!

— პირველად შენ წაიკითხე, მე მერეც მოვასწრებ, — დათმო მაიკომ რვეული.

ტატომ გაუღიმა ეკატერინეს და თავი დაუქნია. ეკატერინე კი კვლავ განაგრძობდა:

— ლექსები დასწერე, ტატო, სასიმღერო ლექსები, მე კი დავამღერებ. მერე როგორ გიმღერებ.

მთელი ღამე არ დაუძინია ეფემიას და გამდელს, არც ტატოს ეძინა, შფოთავდა, მოუსვენრად იყო. მთელ ტანში წიწქნიდა, ეწოდა მოტეხილი ფეხი. ეფემია გულში მუშტს იცემდა; ტატოს ყოველ დაკვნესებაზე ცეცხლი ეკიდებოდა:

— დედა მოგიკედეს, შვილო—ხან-გამოშვებით წამოიძახებდა ის. ეს იყო შენი ბედისწერა?

• •  
•

ლოგინში ხანგრძლივმა წოლამ ერთ-ფეროვანი და მოსაწყენი გახადა დღეები, აივანზე გაუტანეს საწოლი ტატოს, აქედან ხან მტკვარს გადაჰყურებდა,

ხან მის საყვარელ მთაწმიდას შესცქეროდა, განსაკუთრებით მაშინ უყვარდა ტატოს მთაწმიდა, ამომავალი მზის შუქი რომ მიანათებდა და აელვარდებოდა ტატოს გულმათი. ნაწვიმარზედაც კარგი იყო იქაურობა, ახლად პირდაპინილ დედოფალს გავდა, თითქოს იცინიანო ხეები, ბუჩქები და ქვეყანას თავს აწონებენო.

უამრავი მნახველი ჰყავდა ტატოს, სოფლიდან ჩამოსულმა მახარემ რამდენიმე დღე გაატარა მასთან. კაკალა ბარათაშვილებისას გადმოსახლდა.

ეფემია და მათა გამდელი ერთ წუთს არ სცილდებოდნენ ტატოს საწოლს. თბილისში თუ სადმე წიგნი მოიპოვებოდა, ტატოს მოუტანეს. აღარ ეყო გამდელსა და ხორეშანს ძველი ამბები და ზღაპრები, ერთი და იგივეს ამბობინებდა დაუსრულებლად. დღესაც ლოგინთან დაბალ, სამფეხა სკამზე მჯდარი მათა ათასჯერ ნამბობს კვლავ უყვებოდა ტატოს. გამდელმა ამბავი გაწყვიტა და უთხრა:

— მაიკო ჩამოსულა სოფლიდან, ტატო!

— მართლა, ნეტამე მოვიდოდეს, — ნატერა არ დაესრულებია ტატოს, მაიკო შემოიყვანა ეფემიამ.

— კარგად არის, ჩემო მაიკო, მხოლოდ გაუჭირდა ამდენი წოლა.

— ვიჩქაროდი წამოსვლას, ვფიქრობდი, გაგიჭირდებოდა უჩემობა, — ტატოს ლოგინზე ჩამოჯდა მაიკო.

— მართლაც, გამიჭირდა უშენობა, ჩემო მაიკო.

— ფიქრით სულ შენთან ვიყავ.

— მეც ყოველთვის გესაუბრებოდი, ჩემს ფიქრებს ვიზიარებდი, რამდენი აზრი გებადება ადამიანს, უძრავად მწოლიარეს. ვისთან არ საუბრობ, სად არ დადიხარ? რა კარგია, რომ უსაზღვროა ფიქრი.

— მას ვერც ავადმყოფობა, ვერც მოვალეობა, ვერც კანონი ვერ ზღუდავს ლალია, ბედნიერი.

— არც მანძილი აქვს, არც კანონი, არც ზღუდე — გაიცინა ტატომ.

გამდელმა მოახსენა:

— სოლომონი ვეახლათ!

— როგორ ხარ, ნიკო? — ომახიანი ხმით შემოსძახა სოლომონმა შემოსვლისთანავე.

— კარგად, ბატონო სოლომონ, მხოლოდ ადგომისა და გავლის სურვილმა დამიპყრო მთლიანად.

— მაღე ეგ დღეც დადგება.

— რაც უფრო ახლოვდება, მით უფრო მეტად გამიჭირდა წოლა, სურვილიც სკარბობს თანდათან.

— ნუ შეზღუდავ, შეაჩერე მხოლოდ, — გაიცინა სოლომონმა, — შენი თარგმანი მოსაწონია, ნიკო, ყოჩაღ, უქმად არ დაგიკარგავს დღეები.

სახე გაუბრწყინდა ტატოს, თვალს ველარ აცილებდა სოლომონს.

— გამართლე ჩემი ფიქრები, მადლობელი ვარ, ნიკო.

— უკეთეს ჯილდოს ვერასოდეს ვინატრებდი, ეგოდენ ძვირფასია თქვენი აზრი ჩემთვის.

• •  
•

ახლოვდებოდა დღე, როდესაც ტატოსათვის ფეხი უნდა გაეხსნათ. ყველა ღელავდა. გაივლის თუ ვერ გაივლის? — ეს კითხვა უტრიალებდათ თავში.

ილეოდა წოლის დღეები, ილეოდა ტატოს მოთმინებაც, ახლა უკვე აუტანელი გახდა ყოველი დღე და ყოველი საათი, აღარაფერს აკეთებდა იმ დღეებში ტატო. დაუსრულებლად გასცქეროდა ხან მტკვარს, ხან მთაწმიდას.

აღარც ვისმე ნახვა უნდოდა, აღარც საუბარი იზიდავდა, ველარც თავის საყვარელ „ვეფხისტყაოსანს“ კითხულობდა.

გაივლის თუ სამუდამოდ დარჩება ლოგინს მიჯაჭული? ავადმყოფობის მანძილზე ერთხელაც არ უფიქრია რომ ვერ გაივლიდა, მაშ, ახლა ეს ვინ არის, ბოროტი ხმით ეკვი რომ ჩააწვეთა? — გაივლი უსათუოდ, გაივლი, — ჩასძახოდა იდუმალი ხმა. განა ტატოს სიცოცხლე შეუძლია, მთაწმიდაზე რომ აღარ

ავიდეს, მტკვარის ნაპირებს რომ არ ჩაუაროს, თბილისის ვიწრო ქუჩები რომ არ მოიაროს? მთაწმიდა დაიფარავს, მტკვარი, თავის საყვარელი თბილისი დაიფარავს. უსათუოდ, უსათუოდ, უნდა გაიაროს თბილისის ქუჩებში.

— რომ ვერ გაიარო? — კვლავ ჩასძახის ბოროტი ხმა. რა ენაღვლება, იაროს ტატომ თბილისის ქუჩებში?

ეკიმი მოვიდა.

— ხვალ რომ მოშუადღევედება, არ ტახებს ავხსნი.

თვალეები გაუფართოვდა ეფემიას, სახეში შესცქეროდა ბაჯიამვილს, ეშინოდა მისი სიტყვა ან გამოხედვა არ გამოჰპაროდა.

— მხოლოდ წყნარად უნდა იყო, მღვლეარება სიარულში ხელს შევიშლის.

— არ ვღელავ, — წაიხურჩულა ტატომ, შეეშინდა ცრემლი არ წამოსვლოდა.

— მაშ, ხვალამდე.

მთელი ღამე დაჩოქილმა გაატარა ეფემიამ:

— ღმერთო, ღვთისმშობელო, დედა ხარ, მიმიხედვები გულის წუხილს, ნუ დაუბნელებ ცხოვრების გზას, ჩემ ტატოს! — სიტყვების თქმას ველარ ახერხებდა ეფემია, თითქოს ლოცვებიც დაავიწყდა, დაჩოქილს, კაბის ცისფერ გულისპირზე უხვად ეფრქვეოდა ცრემლი. — შვილო, ტატო შვილო! თითქოს წაერთვა სხვა სათქმელი, მართო ტატოს სახელმა — დაიპყრო მისი გონება.

დილით გამდელმა მოახსენა:

— გაიღვიძა ტატომ.

ეფემიამ სწრაფად მოიწმინდა ცრემლები, ფეხზე წამოდგა, წელგამართული შევიდა შვილის ოთახში. შვილის ფერმკრთალი სახე რომ დაინახა, გაიფიქრა: არც ტატოს სძინებიაო წუხელ. ბაგეები აუკანკალდა, შეეშინდა, მწუხარება არ შემჩნეოდა, გაღიმებულმა მიმართა შვილს:

— ტატო, შვილო, როგორა ხარ?

— კარგად, დედილო!

შვილის ჩაგარდნილი ხმა არ მოეწონა ეფემიას.

— მშვენიერი დარია, შვილო, ასეთი ნაადრევი გაზაფხული კაცს არ ახსოვს. აყვავებული გეგებება თბილისი, გელოდება კვლავინდებურად შემოირბინო ყველა ქუჩა და უბანი.

— ისეთი სიზმრები მაქვს, უნაკლოდ გაივლის ჩვენი ტატო.

— გამდლო, გახა მაგაში ეპვი ეპარება ვისმის? — შეშინებული თვალები მიაპყრო ეფემიამ გამდელს.

— დარიც შესანიშნავია, — აღარ ჩერდებოდა ალაპარაკებული ვაღია.

სიჩუმე ჩამოვარდა.

ხორეშანი შემობრძანდა, უხმოდ დაჯდა ტახტზე, მდღეგარება მხოლოდ იმით შეეტყვო, რომ კრიალოსნის მარცვლები სიჩუმეში სწრაფად რაკუნებდნენ. უხმოდ ისხდნენ გრიგოლი და მელიტონიც.

როცა ბაჯიაშვილი მობრძანდა — აწრიალდა ყველა. წამოდგა ხორეშანიც, შეჩერდნენ მის ხელში კრიალოსნის მარცვლები.

გრიგოლი და მელიტონი დარბაზში გავიდნენ ექიმის შესაგებებლად. ეფემიამ ოთახში სიარული დაიწყო, ბალიშებს დაუწყო სწორება. ტატომ დედა მიიხმო ლოჯინთან; კისერზე ხელები შემოხვია, ვედრებით უთხრა:

— ჩემო დედიკო, ოთახში ნურავინ იქნება.

— კარგი, შვილო, ყველას დარბაზში გავგზავნი.

— შენც ვაღი, ჩემო დედა, მამატიე! თვალები დახუჭა ეფემიამ, წაბარბაცდა, შვილს შუბლზე აკოცა, ოთახიდან გავიდა.

ტატო ბაჯიაშვილს მისჩერებოდა. დამუქულ ხელს კბილებს უჭერდა. ტკივილს არ გრძნობდა, მისი გაფართოებული თვალები ბაჯიაშვილის ხელის მოძრაობას არ ცილდებოდა. ბაჯიაშვილი კი წყნარად, დარწმუნებულად განაგრძობდა:

— პირველადე, რომ ვერ გაიარო, არ შეგეშინდეს, დასუსტებული ხარ

ხანგრძლივი წოლით, ჯანმრთელ ფეხსაც დაკარგული ექნება. და ტატომ გახსნა ფეხი, დაუხილა და ტატომ იგრძნო, სისხლმა თავისუფლად დაიწყო მოძრაობა. საწოლიდან ორივე ფეხი გადმოსწია, დააჩერდა, სიმსხოსა და ფერში განსხვავება დაინახა.

— არ შეფიქრიანდე, ეგ ყველაფერი თანდათან გაივლის, პირველად ჯანმრთელი ფეხი დაადგი, მთლად ნუ დაეყრდნობი, ჯერ ისევ სუსტია. ტატო საწოლის ნაპირს დაეყრდნო, ბაჯიაშვილმა ყავარჯენი მიაწოდა, ნელა გასწორდა, მუხლები უკანალებდა, მაგრამ მაინც გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, შუა ოთახში შედგა, მიიხედ-მოიხედა, მდღეგარებამ ყელში წაუჭირა, რაღაც ამოცურდა ყელში და სალაპარაკო დაუხმო. მაშ, გაიარა, გაიარა, ნამდვილად გაიარა შეეშინდა, კვლავ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, კარებში მდგარ დედას შესძახა:

— დედა! — ეფემიამ ხელები შეაგება გავლილ შვილს, გულში ჩაიკრა, თვალები დახუჭა, ასე ეგონა, ჩვილ ტატოს ხედავდა, როცა პირველი ნაბიჯები გადადგა და სიხარულმა თვალები გაუბრწყინა.

ოთახი სწრაფად გაივსო ხალხით. სიხარულის ცრემლებს ღვრიდა ყველა. რიგრიგობით გულში იკრავდნენ.

ეფემია და ტატო ტახტზე ისხდნენ, დედა ნელა უსვამდა ხელს მოტეხილ ფეხზე, თვალს ავლებდა გარშემო მზიარულად ალაპარაკებულებს, კენესოდა დედის გული, დედის გულმა იგრძნო სამუდამოდ კოჭლად დარჩებოდა მისი ტატო, ჩუმად შესთხოვდა შველას:

— ღვთისმშობელო დედა, როგორი კოჭლობით გაიარა მისმა ტატომ, უშველე, დედაო ღვთისა, ნუ დაუკოჭლებ ბიჭს, ნუ დაუჩაგრავ ეფემიას მის ტატოს. ბედისწერავ, ნუ გადაელობები ცხოვრების გზაზე.

— მეჯლისი, მეჯლისი, ჩემი ტატოს ჯანმრთელობის აღსანიშნავად — ბრძანა მელიტონმა. აწრიალდა მთელი სახლობა.

## მთაწმიდის მიწამ მიიზარა

— აფსუს, რა მალე დაუბნელდა გვირგვინი ჩვენს ტურფა ნინოს.

— მეხის გავარდნას გავს ეგ ამბავი თბილისისათვის.

— ბედი, ჩემო ხორეშან, ბედი აღარ წყალობს რჩეულებს, — თეკლა ბატონიშვილმა კრიალოსნის მარცვლები გადათელა, სივრცეს გაუშტერა თვალი.

— რა ქალი დაგვეჩაგრა უდროოდ, გული მიკენესის მის მაყურებელს.

— ვნახე გუშინ, დიდხანს ვერ გავუძელი მის მწუხარებას, სალომე და ალექსანდრეც მებრალეებიან, ძნელია უყურებდეს სიყრმის შვილის ასეთ ტანჯვას.

— ჩვენთვისაც დიდი დანაჯლისია, კეთილის მოსურნე იყო ჩვენი ქვეყნისათვის.

— მეც მაგას ეტირი, დიდ იმედებს ამყარებდა მასზე ჩვენი ალექსანდრე, მეც გამაცნო მისი ვეგემები, წარდგენილი ჰქონია პეტერბურგს. დიდი სიკეთის მოტანა შეეძლო ჩვენი ქვეყნისათვის.

— არ დააცალა განგებამ, ვერაგულად გამოგვაცალეს ხელიდან.

— ჩემო ხორეშან, განგებამ პირი იბრუნა ჩვენგან, სიჭაბუკეშივე ილუბებიან ჩვენთვის კეთილის მოსურნენი.

— ღმერთო, გვიხსენი უარესისაგან, — პირჯვარი გადაიწერა ხორეშანმა, — ეს რა უბედურება დატრიალდა ჩვენს თავს.

— წინანდალში აპირებდაო დასახლებას.

— წინათგრძნობა არ ჰქონია კარგი მთაწმიდაზე დამასაფლავეთო, უთხოვნია.

— თავის სამელნეც გამოუგზავნია წარწერით ნინოსათვის.

— სამელნე? არ მინახავს.

— ზედ ფრანგულად წაუწერია: „ჩემს ანგელოზს ნინოს, 15 იანვარი, 1829 წელი, თეირანი“.

— ზოგჯერ წინათგრძნობა ბევრს

ეუბნება ადამიანს, მაგრამ ვინ დაუჯერებს იღუმალ ხმას!

— მაინე მოსულა; ხვალ შემოვლენო თბილისში.

— დიახ, გამაგებინეს უკვე.

— წამობრძანდებით შესახვედრად?

— როგორ არა, ჩემო ხორეშან, ჯერ თითონ არის ყოველი ქართველისაგან პატივსაცემი, მერე ნინოს მწუხარების მაყურებელს განა შემიძლია მისი ნაღველი არ გავიზიარო?

— მრავლად მოსდით სამძიმრის წერილები ყოველი მხრიდან.

— ბედისწერა, ჩემო ხორეშან, ბედისწერა, მისი ეტლი რჩეულებს დასდევს ყოველთვის.

ფიქრებმა წაიღეს თეკლა ბატონიშვილი და ხორეშანი. ისინი სოლოლაკიდან დაპყრებდნენ თბილისს, ვინ იცის, რა სურათები ცოცხლდებოდა მათ თვალთა წინ!

სიჩუმე იდგა ქალაქში, აღარ ისმოდა ყარაჩოხელების სიმღერა, არც მეტივეების შეძახილი, არც ჩონგურს უკრავდა ვინმე.

ქალაქი ალექსანდრე გრიბოედოვის დაღუპვას გლოვობდა.

გათენდა. აფუსფუსდა მთელი ქალაქი, მაინე ყოველ საათში მოდიოდა ჰვაჭვაჭიანთ სახლში. სიონში, ქაშუეთში და ყველა უბნის ეკლესიაში პანაშვიდს ისდიდნენ ალექსანდრეს სულის მოსახსენებლად.

ადგა ლოგინად ჩავარდნილი ნინო, გარსემოხვეული ნათესავები ურჩევდნენ — არ ამღგარიყო დასუსტებული. გაჰირვეულდა: — თვითონ უნდა შეეხედო ჩემს ალექსანდრეს.

დალამდა. თბელი ღრუბელი გადაეკრა ცას. არ ჩანდა ნაგვიანევი მთვარე.

გამოიყვანეს შვეითმოსილი ნინო. კარეტაში ჩასვეს. დედის მკერდზე მიყრდნობილს, გვერდით პარასკევა ახვერლოვა უჯდა, გაყინულ ხელებს უთბობდა. ფერხითი დარეჯანს მოეკალათნა, ფეხებზე ეხვეოდა მის გაზრდილს.

ნინოს კარეტას ქალებით საგსე ეტ-

ლები მისდევდნენ. ალექსანდრე ქაე-  
ქაეძე, მელიტონ ბარათაშვილი, სო-  
ლომონ დოდაშვილი და ორბელიანები  
ცხენებით მოდიოდნენ.

ქალაქის სადარაჯოსთან შედგა ნინოს  
კარეტა, აქ ელოდნენ სამგლოვიარო  
პროცესიის მოახლოვებას. ღამის სიბ-  
ნელეში ჯერ ისევ შორიდან აციმციმდა  
პირველი ჩირაღდნის შუქი.

— მოდიან!

— მოდიან!! — აჩურჩულდნენ გარ-  
შემო.

ნინო თვალს არ აცილებდა ჩირაღდ-  
ნის შუქს, რომელიც თანდათან წინ  
მოიწვედა უსაზღვრო სიბნელეში. სი-  
ნათლის შუქით შემოდინდა თბილისში  
უსიცოცხლო ალექსანდრე. გამრავლ-  
დნენ ჩირაღდნები. შორიდანვე მოისმა  
გალობა და მოტირალი ქალების ხმა,  
წინ შავითმოსილი მამაკაცები მოდიო-  
დნენ, შავს ცხენებზე ამხედრებულნი.  
ხელთ ჩირაღდნები ეპყრათ და უცნაუ-  
რად ჩანდა შავ ბალდახინზე დასვენე-  
ბული, შავ სუდარაგადაფარებული ალე-  
ქსანდრეს კუბო, გარსშემორტყმული  
შავითმოსილი მღვდლებითა და თმაგაშ-  
ლილი ქალებით.

კანკალმა აიტანა ნინო, დაუსხლტა  
დედას და პარასკევას, ხელები წინ  
გაიშვირა, უცნაური ხმით შეჰკვილა:

— ალექსანდრე!! — მოცელილივით  
დაეცა ძირს, აიტაცეს გულშეღონებუ-  
ლი.

პროცესია სიონისაკენ წაეიდა. გაიფ-  
სო ყველა ქუჩა, ყველა აივანი და ბა-  
ნი, თბილისში არავინ დარჩენილა, რომ  
ალექსანდრეს ნემსს არ მიგებებოდა.

სიონში შეასვენეს ალექსანდრე, არ  
აჩვენეს მისი დასახიჩრებული სახე  
ნინოს, სანთლებით განათებულ ტაძარ-  
ში ქმრის კუბოზე დამხობილი ნინო  
შემოდგომის ფოთოლივით უსიცოც-  
ხლო იყო.

დილიდანვე დაიწყო ხალხმა დენა  
სიონის ტაძარში, ალექსანდრეს გარს  
ახლობლები, ამხანაგები ეხვივნენ. მო-  
ვიდა სამხედრო გუბერნატორი სტრე-  
კალოვი, მას მოჰყვნენ თბილისის სამ-

ხედრო და სამოქალაქო წარმომადგენ-  
ლები, ისანიდან — ხელოვნების ორთა-  
ქალიდან — ყარაჩოხტლები, წინანდა-  
ლიდან — გლეხები, გალობდა გუნდი.  
დასრულდა პანაშვიდი.

საკურთხეველიდან შემოსილი მიტრო-  
პოლიტი იოანე გამოვიდა, თეთრი წვე-  
რი გაშლოდა მკერდზე, თეთრივე თმე-  
ბი ეყარა მხრებზე. ზეცისათვის მიე-  
პყრო თვალი, ხმა უკანკალებდა:

— მოაღწია ეამმა, ამიერ ჩვენთან  
ალარ იქნების მონა ღვთისა, ალექსან-  
დრე გრიბოედოვი.

ხალხის ქვითინმა დაჰფარა იოანეს სი-  
ტყვები.

ტაძრიდან გამოასვენეს კუბო. ქუჩა-  
ზე აჩრდილებივით მოდიოდნენ შავით  
მოსილი ქალები, ყვავილებსა და ბხას  
ფანტავდნენ ალექსანდრეს სავალ გზა-  
ზე. წამოიმართნენ შავი დროშები და  
ხატები. ქუჩაში ტევა აღარ იყო. სახ-  
ლებზე, აივნებზე, ბანებზე შავი დრო-  
შები გადმოაფინეს. ჩამწკრივებულ გიმ-  
ნაზიელებს დოდაშვილი მოუძღოდათ  
წინ, ტატოც წამოსულიყო ყავარჯნებზე  
დაყრდნობილი. მიადწიეს მთაწმირის  
აღმართს, ბალდახინიდან გადმოიღეს  
ალექსანდრეს კუბო და ფეხით შეუდ-  
გნენ აღმართს. ხალხით დაიფარა მიდა-  
მო. ნინო ხელით მიჰყავდათ გამყო-  
ლებს. ხალხმა მუხლი მოიყარა საფლა-  
ვის წინ.

— ნეტარ არს გზა, რომელსაც წარ-  
მართულხარ, მიწა ხარ და მიწად  
იქეცი! — წარმოსთქვა იოანემ უკანას-  
კნელად და მიწამ დაჰფარა ალექსანდრე  
გრიბოედოვი.



მთაწმიდიდან ორბელიანებისაკენ და-  
ეშვა ტატო.

გაიხარეს ორბელიანებმა, ტატო ეწ-  
ვიათ, ხორეშანი, გრიგოლი, ილია და  
შინამოსამსახურეები სიხარულით ფეხ-  
ზე აღარ იდგნენ. ავადმყოფობის შემ-  
დეგ ეს პირველი იყო ტატოს მათთან

მისვლა. გული ეკუმშებოდა ხორეშანს, ყავარჯნებზე დაყრდნობილ ტატოს რომ ხელავდა მაგრამ ღმერთს მადლს უხდიდა, სამუდამოდ ლოგინზე მიჯავებული რომ არ დარჩა.

კაკალამ, მთელი ეზო შემოირბინა, ყველას ახარა:

— ჩვენი სახლის შვილი გვეწვიაო.

ეზოში მოიყარეს თავი, სათითაოდ იკრავდნენ გულში, უალერსებდნენ. ეზო-გარემო შემოირბინა ტატომ, ყველა კუნძული ნახა: საჯინიბო, თავლა, მოიწონა ძია გრიგოლის ახალი კარეტა.

— ამით გატარებ, ტატო, სანამ თავისუფლად არ გაივლი.

— ახლაც თავისუფლად დავდივარ, ძია, უყავარჯნოდაც შემიძლია ვიარო, მაგრამ ბაჯიაშვილი მეურჩება: — ნუ დაატანო ძალას.

— მოვითმინოთ, მალე თავისუფლად გაივლი და ეგ ყავარჯნებიც გადავაგდოთ.

— ვითმენ, მეშინია კოჭლად არ დავრჩე.

გრიგოლს მოაგონდა საუბარი ბაჯიაშვილთან — შეიძლება სამუდამოდ დაკოჭლდესო ტატო, გული შეეკუმშა, თვალი აარიდა დისშვილს, კიბეზე ამომავალ კაკალას გაეხმაურა. რომელსაც კალათით ყურძენი, ლეღვი და ატმები ამოჰქონდა ტატოსათვის.

— კაკალა, ჩემო კაკალა, იქნებ ფიქრობ, ვენახში ვერ ჩამოვა შენი ტატო? სცდები, ჩემო კაკალა, განა ვერ მნახე, მთაწმიდაზე როგორ მივაბიჯებდი!

— შენი ჰირიბე, ბიჭო, შენი, განა არ ვიცი, მაგრამ, სანამ ეენახში ჩამოხვიდოდე, ვიცი გიამება ჩემი ხელით მოწვეული.

— მალე სათევზაოდ წაგყვები.

— გამახარე, შენ გაიხარე შენა. კვლავ მუდამ შენს ბედზე გადავაგდებ ბაღეს.

მთელი დღე მხიარულად გაატარეს ბაღ-ვენახში ტატომ და ილიამ. საღამოზე ილია მეთევზეებს გაჰყვა მტკვარზე. ტატო ხორეშანმა არ გაუშვა. არც თვითონ ისურვა წასვლა. დარბაზში

ხორეშანის ტახტზე მოიკალათა, მისივე განჯინიდან წიგნები გადმეწალაგულესე გაერთო კითხვით, არ შეუშინებია სუფრა როგორ გააწყვეს ფარეშებმა. მხოლოდ ძია გრიგოლის სიტყვები რომ ჩაესმა, მაშინლა მიაქცია ყურადღება დარბაზში ატეხილ ფუსფუსს.

— ვახშამზე მარტო უნდა გვემსახურო, კაკალა, სხვა არავინ შემოვიდეს — აფრთხილებდა გრიგოლი კაკალას.

— წვეულება გაქვს, ძია გრიგოლ?

— ჩვენები იქნებიან, ტატო.

— მე ხელს შეგიშლით, ძია?

— არა, იუკე, იყითებ — გრიგოლმა ასადგომად გამზადებული ტატო კვლავ ტახტზე დასვა.

ბინდი ჩამოწვა დარბაზში, სინათლეები აანთეს ფარეშებმა და დარბაზი დასტოვეს. ფანჯარასთან იდგა გრიგოლი და ჩაბნელებულ ბაღს გადასცქეროდა. გრიგოლა დიაკვანი ფრთხილი ნაბიჯით მიუახლოვდა ჩაფიქრებულ გრიგოლს და დიდხანს, დიდხანს ჩურჩულებდნენ ისინი საიდუმლოდ.

— ალექსანდრე ორბელიანი გეახლათ — ჩასჩურჩულა კაკალამ გრიგოლს, გრიგოლი შესაგებებლად გაეშურა.

დარბაზს თითო-თითოდ ემატებოდნენ სტუმრები. მოვიდნენ: ალექსანდრე ჰავეჰაძე, ელიზბარ ერისთავი, იასე ფალავანიშვილი, სოლომონ დოღაშვილი, პეტრე შავილეისკი, ლეტელიე, ანდრია მელნიკოვი და პაუშენკო. გაშლილ სუფრას წვეულნი შემოუხსდნენ. ყანწი აიღო ალექსანდრე ორბელიანმა.

— ააცეთ სასმისები — წამოდგნენ სხვებიც. ალექსანდრემ დაიწყო: — გაუმარჯოს იმათ, ვისაც საქართველო უყვარს, გაუმარჯოს სამშობლოს პატრიოტებს — ტატომ წიგნებს თავი ანება, ყური მიუგდო საუბარს. ეს, ალბათ, ის თათბირია, რომელზედაც ახლა ხშირად ჩურჩულებენ თბილისში, ამხანაგებმაც უთხრეს სკოლაში მისე-ლისთანავე, ტატო უსმენდა ალექსანდრე ორბელიანის სიტყვებს, იგრძნო,

რომ ტანში რაღაცამ დაუარა და კანზე ბუსუსები დააყარა.

— აუცილებელია მტკიცედ იქნეს და-  
ცული საიდუმლო. შეთქმულების წევ-  
რი მხოლოდ იმ პირს უნდა იცნობდეს,  
რომელმაც მას საიდუმლო გაუმჟღავნა  
და შეთქმულების წევრად გახადა.

— თქვენი ბრძანება აუცილებელი  
პირობაა ჩვენი შეთქმისა — სიტყვა ჩა-  
მოართვა ალექსანდრე ორბელიანს სო-  
ლომონ დოდაშვილმა. საჭიროა ახალ-  
გაზრდებში ვეძიოთ შეთქმულებისათ-  
ვის გამოსადეგი ხალხი; პირველი და  
აუცილებელი პირობაა, შეუძლიათ თუ  
არა საიდუმლოს დაცვა.

— პირველად ვესწრები თქვენს  
შეთქმას, ამიტომაც ყურადღებით მო-  
მისმინეთ — ალექსანდრე კვაჭავაძემ  
მაღალი შუბლი ზელსახოცით მოიწმინ-  
და და შეკრებილთ მიმართა:

— გული წუხს, როდესაც ვხედავ,  
ქართველებმა როგორ დაპყარვეს ქე-  
თილშობილური სიამაყე და სიყვარუ-  
ლი მამულისა, ქედი მოიდრიკეს მონო-  
ბის ქვეშ, მაგრამ მაინც მაშინებს, რო-  
ცა ვიფიქრებ, რა იქნება, თუ რუსეთი  
იძულებული შეიქნა და საქართველო  
დასტოვა. წარმომიდგება ჩემი ქვეყანა,  
მსხვერპლი უწყსობისა, შინაგანის გან-  
ხეთქილებისა და დაუძინებელი მტრე-  
ბისა.

— ბატონო ალექსანდრე, ნუ დაგა-  
ვიწყდებათ, რომ ოცდაათს წელს რუ-  
სთა ბატონობისა, საქართველოს თუ  
არ მომატებია ხალხი, არც დაკლებია.

— ეგ მართალია, გრიგოლ ბატონო,  
მაგრამ რად არ მიაპყრობთ ყურადღე-  
ბას, როგორ შეიცვალა პოლიტიკური  
მდგომარეობა მესაზღვრე სახელმწი-  
ფოთა. წინათ ვის უხილავს ყიზილბა-  
შისა და ოსმალის ესეთი განწყობილი  
ჯარი და თოფხანა? უნდა გვახსოვდეს,  
რომ საქართველო უიარაღოდ ერთ  
თვესაც ვერ გაუძლებს მტერს. გარდა  
ამისა, ოცდაათი წლის მორჩილე-  
ბამ ფრიად შესცვალა ერი, გაქრა ჩვენს  
შორის მხნეობა სულისა, დღეს ყველა

ფიქრობს საკუთარი სარგებლობისათ-  
ვის, რომლის მისაღებად მარტან დაგე-  
დვენ არც სირცხვილს, არც სიკატა-  
ურს გზას.

— ჩემი აზრიც მოგახსენოთ — დაი-  
წყო ალექსანდრე ორბელიანმა — თვით  
მეფე ერეკლემაც იცოდა უმჯობესობა  
რეღულისა და გაიჩინა კიდევ. ეხლაც  
ადვილად მოხდება რეღულის გაწყო-  
ბა. სიყვარული მამულისა და სარწმუ-  
ნობისა თავის თვალთ დაანახვებთ  
რეღულის აუცილებლობას, გარდა ამი-  
სა ყიზილბაშებმა და ოსმალებმაც დაი-  
ნახეს თავის შეცდომა, შეიცვალეს აზ-  
რი, ახლა სწყვედიან ალა-მამამად-ხანს  
თბილისის წახდენისათვის.

— ერეკლე მეფემ უკეთ განსჯერითა  
ზედი ქართლისა, როცა რუსეთი აირ-  
ჩია მეგობრად.

— არა ბატონად, მხოლოდ მეგობ-  
რად! — კაკალა ფეხაქრეფით მიუახ-  
ლოვდა გრიგოლს და ჩასჩურჩულა: —  
ბერი ფილადელფოსი გეახლათ.

დარბაშში შავ ანაფორიანი, მაღალი,  
გამხდარი კაცი შემოვიდა, რომელსაც  
პირველად ხედავდა ტატო. ყველანი  
ზეზე წამოიჭრნენ, მიეგებნენ მოსულს.  
ბერმა ისედაც წვრილი თვალები კი-  
დევ უფრო მეტად მოჭუტა და გადა-  
ხედა შეკრებილთ დიდხნის ნამგზავ-  
რობა ეტყობოდა გახუნებულ ანაფორ-  
ას და შემოცვეთილ წაღებს, ვიწრო  
მხრები ჰქონდა ბერს, მაგრამ მოხრა  
არ ეტყობოდა. გასასროლად გამზადე-  
ბული ისარივით გაჭიმული იდგა. ბე-  
კებზე შავი ხშირი თმა ეყარა, რომე-  
ლიც საფეთქლებთან ოდნავ შევერცხ-  
ლოდა. შავ წვერში კი არც ერთი თეთ-  
რი არ ერია. ბერმა კრების წინ თავი  
დახარა. უცდიდნენ, რას იტყოდა ბატო-  
ნიშვილთან წარგზავნილი.

ბერმა შორიდან და ნელი ხმით დაი-  
წყო ლაპარაკი, მის ხმას თანდათან  
ძალა ემატებოდა და წვრილ თვალებს  
ბრწყინვალეობა.

— ბატონიშვილი მრავლად მელაპა-  
რაკა ბერძნული ისტორიიდან, მას ჩვენ

წინაპართა ცხოვრება მოაყოლა. გამა-  
ცნო, რა გვარად მიიღო საქართველო  
იმპერატორმა თავის მფარველობის  
ქვეშ. მთავარია სამი ადგილი გამაგრ-  
დესო, შემოთვალა ბატონიშვილმა: შა-  
ვი ზღვა, არაგვის მთა და დერბენტის  
ზღვაო. თუ ეს სამი ადგილი კარგად  
შეიკვრება, ველარაინ ველარაფერს  
გვიზამსო. ჩემი მეფობისათვის არა  
ვზრუნავ, არამედ ფრანგთა მსგავსად  
რესპუბლიკისათვის უნდა ვიბრძოლო-  
თო, ამის შესახებ მე და სოლომონ  
დოდაშვილსაც გვისაუბრია, ამ საქმეში  
მანდ მყოფი ფრანგი ლეტელიეც გამო-  
გადგებათო. — ფრანგმა ლეტელიემ  
მხრები შეარხია თავის ხსენებაზე.

— რუსთა შორისაც მრავალი დავ-  
ვიკერს მხარს, დეკაბრისტთა მოძრაო-  
ბის სული ჯერ კიდევ არ ჩამქრალა  
რუსეთში — დადასტურა მელნიკოვმა.

— რადგან აქამდე მისულა საქმე, —  
განაგრძო ალექსანდრე ჭავჭავაძემ, სა-  
ჭიროა ვისმე წარგზავნა რუსეთს, რათა  
ურთიერთობა დაამყაროს, შეთქმულთა  
იმ წრესთან, რომელიც პეტერბურგს  
იმყოფება. თანაც შესაძლებლობა ექნე-  
ბა გზადაგზა დაათვალიეროს რუსთა  
ჯარის განლაგება, მათი რაოდენობა.  
ჩემის აზრით გრიგოლ ორბელიანი  
წარვაგზავნოთ.

— კარგია, წარგზავნოს გრიგოლი!

— გრიგოლი შესათვრია — გაისმა  
ხმები.

— კვირისათვის შეემზადები გრი-  
გოლ—განაგრძო ალექსანდრე ჭავჭავა-  
ძემ. მანამდე ერთხელ კიდევ შევიკრი-  
ბებით და დავალებებს გადავსინჯავთ.

იმ ღამეს დიდხანს არ დააძინა ტატო  
მოჯარილმა ფიქრებმა თავისი ქვეყნის  
ბედზე. მოაგონდა, მაიკომ რომ უთხრა—  
ვერ მოვალ, არა მცალიან, დროშის  
კერვაში ვეხმარები მანანასო და სიზმრ-  
ები აერია ტატოს — აი, წინ აჯანყე-  
ბულით ლაშქარს მიუძღვის, ხელში  
მანანას ნაკერი დროშა უჭირავს. დრო-  
შისკენ მოიწვივნ ყიზილბაშები, ლეკე-  
ბი და ყველას უნდა მისწვდეს ალამს,  
ტატო კი ზევით ზევით ეწევა საქართ-

ველოს დროშას და მხოლოდ ერთი  
სურვილი იპყრობს — მუდამ ასე ზევით  
ეჭიროს თავისი ქვეყნის და დროშის  
ვერასოდეს სწვდებოდეს მას მტრის  
ხელი, თითონ კი მუდამ დარჩეს საქარ-  
თველოს მედროშედ.

## სოლომონ დოდაშვილის დღიური

### ხუთშაბათი:

თავი მატკინა სკოლაში ატეხილმა  
აურზაურმა. სახლში ძლივსლა მოვედი.  
სატირა, რომელიცა ამას წინათ ბარონ  
როზენს წარუგზავნეს, რომელმაც იგი  
ფრიად განაჩისხა, ნიკოლოზ ბარათა-  
შვილისა აღმოჩნდა. გიმნაზიაში მოს-  
წავლენი დაკითხეს. ხმა დაირხა, ქა-  
ლაქში დღემდე რაც სატირები ვრცელ-  
დებოდა, ყველა ბარათაშვილისა არისო.  
გამართეს ბუბა. მასწავლებლები, მათ-  
თან შიშულინიც კი იცავდა ბარათაშვი-  
ლსა, მაგრამ ვერაფერს მივადწიეთ.  
გაროზგვა მიესაჯა და გასაგოზგად  
წარუგზავნეს მამამისსა.

ძლიერი სული ბობოქრობს ბარათა-  
შვილში, ვაი თუ დაჩაგრონ უხეში  
მოქცევით. ძნელია ამაზე ფიქრი. არც  
ერთი წამი არა მაქვს თავისუფალი,  
რომ მეტი ყურადღება მივაქციო. ბა-  
რათაშვილის ნიჭი სერიოზულს საქმე-  
სა უნდა მოხმარდეს, სატირების წერა  
ვერ დააკმაყოფილებს მის სულს. გა-  
რიცხვას გადავარჩინეთ, ამჯერად ესეც  
ქმარა.

„ქართული წერის დედანის“ კორექ-  
ტურა მომიტანეს. ღმერთო, მომეცი  
ღონე სიკვდილამდე სასარგებლო ვიქმნე  
ჩემ თანამემამულეთათვის. მსახურმა  
წერილი მომიტანა, სანკოვსკი მატყო-  
ბინებს, სტამბას ვყიდო, აუცილებე-  
ლია სტამბის შექმნა, ასეთ ხელსაყრელ  
ფასებში სტამბას ვერასოდეს შევიძინებ.  
მსახური მოვიხმე და ვუბრძანე: —  
მოსასხამი გაეწმინდა, ჭავჭავაძეებთან  
წავალ, იქნებ სტამბის საქმე მოვაგვარო.

შორადან მოჩანს ჭავჭავაძიანთ სახ-  
ლის განათებული ფანჯრები, სტუმრე-

ბი ჰყავთ? მაგრამ არა, საღამოს დარბაზობა ჯერ არ დაწყებულა, უცხოები არ ეყოლებათ, კარი გამოიღეს, შემიწვიეს, ოთახში მარტო ქალები იყვნენ; მანანა და ნინო ჭადრაკს შექცეოდნენ, მაიკო და ეკატერინე კუთხეში სავარძელში ისხდნენ და საუბრობდნენ. დამინახეს, მომვარდნენ: ნიკოს ამბის გამოკითხვა დამიწყეს. მაიკომ ალელვებულმა შემომიტია:

— როგორ შეიძლებოდა გასარობავად მელიტონისათვის გაგზავნა ტატოსი. — საუბრის დროს თავს უცნაურად ვგრძნობდი, მეგონა ნიკოსათვის გამზადებული როზგები მხედებოდა, ნინომ გაგვამხნევა:

— ბარონ როზენთან წავალ, ვთხოვ აპატიოს ტატოს დანაშაული.

ნინოსთან მივიქვრ, ხელები დავუყოცნე. ნინო ჩვენი ჭვეყნის მფარველი ანგელოზია.

ალექსანდრემ კაბინეტში გამიწვია. ჩვენ დიდხანს ვსაუბრობდით. ალექსანდრე სწუხდა ეურნალზე ხელის მომწერთა სიმცირეს. ჩვენთვის საოცნებო რიცხვია სამასი ხელის მომწერი. ალექსანდრე მირჩევს წარვგზავნო წერილი ყველგან, სადაც კი ერთი ქართულიც შეგულვება.

ლაპარაკი გიორგი ერისთავის ოსურ მოთხოვნას შეეხო.

— ახალგაზრდა ავტორისათვის მიღწევა, შეთქმულთათვისაც ნამდვილად სასარგებლოა, ხოტბა შესხმულია სამშობლოს დამცველი გმირები, თანაც ყველას მოუწოდებს მიჰბაძონ მათ, მოსაწონია, მაგრამ არ დაივიწყოთ, სოლომონ, ასეთი მასალისათვის შეიძლება რედაქტორი პასუხისგებაში მისცენ. — გამაფრთხილა ალექსანდრე ჭავჭავაძემ.

— სანკოვსკიმ ყველა წერილი წაიკითხა. მე მოხსნილი მაქვს პასუხისმგებლობა, — ეუპასუხე მე.

— კარგია, სოლომონ, თუ არ მიგაგნეს. დარბაზში გავიდეთ, — ალექსანდრე წამოდგა, ნინო ფორტეპიანოსთან იჯდა, დაბალი და სევდიანი ხმით მღეროდა:

ფერსა ბნელს, ფერსა შავს  
მე ვეტრფი მარადეჟს, ქვემოთ  
და, ვიდრემდის ვიცოცხლებ, ნიჟინა  
თელს არ მოვაშორებ“

ალექსანდრემ შემაჩერა, ჩამჩურჩულა:

— ეს რომანსი ნინოსათვის ვთარგმნე, მოსწონს, მაგის მეტს აღარათერს უკრავს. ამით დასტირის თავის ალექსანდრეს. — იქვე სავარძელზე ჩამოეჯექ და ვუსმენდი ნინოს. მღეროდა ნინო, თუ თავის ბედს მისტიროდა. გედის უკანასკნელ სიმღერას მაგონებდა ნინოს სიმღერა, არასოდეს დამავიწყდება, შავი ფერის მომღერალი. შავით მოსილი ნინო, რომელსაც თვალები ცრემლებით ჰქონდა საესე. გულდამძიმებული გამოვედი ჭავჭავაძეებისაგან. გამახსენდა ალექსანდრე გრიბოედოვთან გატარებული დღეები, ჩვენ ხომ ერთად ვმუშაობდით გაზეთის კომიტეტში.

### ქ ვ ი რ ა :

ერთი კვირაა ალექსანდრე ჭავჭავაძე ქალაქში ჩამობრძანდა, შეთქმულთათვის აჯანყების გეგმა უნდა შეიმუშაოს ელიზბარ ერისთავთან ერთად.

დღილით ბარათი მომიტანა შათირმა, ალექსანდრე ორბელიანი ნადიმზე მიწვევს. ალექსანდრესას მივედი, ადრე იყო, ჩემს შემდეგ ლეტელი, სოლომონ რაზმაძე და იაგორა ჭილაშვილი მოვიდნენ, ნადიმის დაწყებამდე ჩვენ ვსაუბრობდით საფრანგეთის მმართველობაზე, იქაურ ხალხთა თავისუფლებაზე, მეფის შეზღუდულ უფლებებზე. იაგორა ჩვენს მიერ ევროპაში იყო წარგზავნილი, იქაური მმართველობის შესასწავლად, მან გვიამბო, როგორ ბედნიერად და თავისუფლად ცხოვრობენ ევროპის ქალაქებში ფრანკფურტისა, და ლეოვის მცხოვრებლები.

ყველა სიამოვნებით შემოუერთდნენ ჩვენს საუბარს და ერთი აზრი დაადასტურეს: — თავისუფლების მოპოების

შემდეგ წარგვეგზავნა დელეგაცია საფრანგეთს, ფრანგთა სახელმწიფო მმართველობის და ჯართა განწყობის შესასწავლად, რათა იგივე წესები გადმოგვეტანა ჩვენში.

მოვიდნენ ყველანი. სუფრაზე მიგვიწვიეს, ალექსანდრე ჭავჭავაძემ აჯანყების გეგმა გაგვაცნო. — მას „პირველი ღამის განკარგულება ეწოდა“. ალექსანდრე ჭავჭავაძის წინადადებითვე დაარსებული იქნა საპატრიო ორდენები; დავით აღმაშენებლისა და საქართველოს განმანათლებლის წმინდა ნინოსი.

კვლავ საიდუმლოს დაცვის შესახებ ჩამოვარდა ლაპარაკი-საერთო აზრია:

— თუ შეთქმულება გაიცემა, არამცა და არამც არ იქნენ დასახელებული: ალექსანდრე ჭავჭავაძე, პეტრე ზავილეცკი, ანდრია მელნიკოვი, პაუშენკო და სხვა რუსი მონაწილენი, მათი დასახელება ჩვენ საქმეს დაამძიმებს.

თენდებოდა, ზეზე წამოვდექით, ცისკარს შევეგებეთ და კვლავ წარმოვთქვით ფიცი:

— ვიქნებით ყოვლის გულითა, სულითა, დამცველი საიდუმლოსა აკრისა სჯულთასა სიკვდილამდე, უკეთუ განვატყუდო სხვისა ვისთანმე საიდუმლო, ყონ შურისგება ჩემზე, და აღიგავოს სახელი ჩემი ქვეყნით შვილით შვილამდე, ამინ.

მე, სოლომონ რაზმაძე და ბერი ფილადელფოსო ერთად წამოვედით, სოლომონმა გაფრთხილება დამიწყო:

— საეკვიო ქალღლებს სახლში ნუ შეინახავ.

— მე გარდა ფილადელფოსოს ანბნით დაწერილი რამდენიმე წერილისა, არაფერი არა მაქვს შენახული, — ვუპასუხე სოლომონს.

მივედი სახლში, ოთახში ბუხარი გუზგუზებდა.

სახლობა აღარ გავადვიძე. გიმნაზიაში წასვლამდე, გადავწყვიტე შეთქმულთა მოწოდება შემედგინა და წერას შევუდექი; „ქვეყნის დაარსებითგან მამულსა ჩვენსა აქვნდა თვისი საკუთარი მდგომარეობა, აქვნდა თვისი სჯუ-

ლნი, თვისი სარწმუნოება, თვისი ენა და თვისი ჩვეულება და ჰყვანდა... ყოველსა დროსა საკუთარი თვისი ხელმწიფე ღმ არასოდეს არ იყო მოკიდებულ სხვასა ზედა და არცა მონა, ვითარცა აწ არს მამული ესე ჩვენი და ჩვენი ხმა, სახელი. მზნეობა და მამაცობა წინაპართა ჩვენთა ყოველთვის ჰქუხდა და აღავსებდა მსოფლიოსა, მტერი მარადის მოწყულ იყო და დამხოზილ მათგან, ხოლო აწ ხედავთ დამხოზასა და არარაობასა მამულისა ჩვენისასა, ჰგრძნობთ შევიწროებასა ყოვლისა კაცისასა, რაისთვის არს ესე ესრეთ. თუ უკვე ჩვენ არა ვართ შვილნი მამა პაპათა ჩვენთანი, ნუ უკვე ჩვენ არა ძალგვიძს შენახვა საკუთარის მამულისა ჩვენისა, ნუ უკვე ჩვენ არა გვქაუვს სიმზნე და ძალა ესრე ოდენი, რაოდენიც ჩვენს მამათა ანუ სხვათა მსგავსთა კაცთა, მამ, რაისათვის ვცოცხალვართ... ჩამძინებია, მსახურმა გამაღვიძა, სასწრაფოდ მოვემზადე გიმნაზიაში წასასვლელად.

### შ ა ბ ა თ ი :

სალამოზე ჩემი მოწადეთა ჯგუფი შეიკრიბა. ნიკოლოზ ბარათაშვილი, პეტრე ბაგრატიონი, ლევან მელიქიშვილი, ილია ორბელიანი, დავით მაჩაბელი და სხვები. მსახურს სუფრა ჩემს ოთახში გავაშლევინე. დავით მაჩაბლის ლექსი წავიკითხეთ და გავარჩიეთ ჟურნალში დასაბეჭდად.

მე წავიკითხე პუშკინის ლექსები „ღმშპანური სიმღერა“ და „ლზინი“ სოლომონ რაზმაძის თარგმანი, მახარებდა ის ყურადღება, რომლითაც ახალგაზრდები მისმენდნენ.

წავიკითხეთ მოთხრობა „ელენე“. მასში აღწერილია ქალ-ვაყის სიყვარული. ბრწყინვალე თავადის ვაჟი შეიყვარებს დაბალი წოდების ქალს, ვაყის მამა წინააღმდეგია ამ სიყვარულის, ქალ-ვაყნი წინააღმდეგობას ვერ გადალახავენ, ქალი იღუპება. აი, კიდევ ერთი მსხვერპლი უთანასწორობისა.

კითხვის შემდეგ ვისაუბრეთ სხვადასხვა საკითხებზე. ბიბლიოთეკის დაარსებაზე, ნიჭიერ მოწაფეთა უმაღლეს სასწავლებლებში წარგზავნაზე და სხვა.

ნიკომ საკითხი წამოჭრა — ლექსიკონის შედგენისა. ლექსიკონი აუცილებელი საჭიროა ჩვენი ქვეყნის მწერლობის ასაღორძინებლად და მწერლობაში კარგი იდეების შემოსატანად. მაგრამ ვანა ჩვენი ერთი დაზგით შესაძლებელია ლექსიკონის გამოცემა, სადაც ელიოზაშვილი და დიაკვანი იოვე ასოებისათვის ერთმანეთს საათობით შესჩერებიან ხელეზში?

მე ვუთხარი მათ, რომ სანკოვსკი ყიდის სტამბას ხელმისაწვდომ ფასებში, ამის შესახებ უკვე ველაპარაკე ალექსანდრე ჭავჭავაძეს. ამ კარგი საქმისათვის არც ერთმა თავადმა არ უნდა დაიშუროს ფული და უნდა გაიღოს მცი-

რედი თანხა. გვიან იყო, როცა სიუბარი დაეამთავრეთ, რადგან საქმე მჭონდა საგამომცემლო კომიტეტში. მეც ვაპყვევი მარიამ აბესალომოვის სახლისაკენ. შავი ფიქრები შემომეგვრა; გამახსენდა საყვარელი მამული ჩვენი, რომელიც ბრწყინავდა ოდესმე ქართველთა სიბრძნითა, კეთილშობილებითა და შაირთა მთხველობითა, დღეს კი მისულნი ვართ დამდაბლებამდე. ხალხმა დაივიწყა თავის მოვალეობა და დანიშნულება, თავი მისცა უმეცრობას, ეს კი არის სარწმუნო თანამგზავრი მონობისა. უიმედობამ შემიპყრო, ლამის თვალთავან ცრემლი წამომედინა, მაგრამ სწრაფად მომაგონდა ახალგაზრდებით საესე ჩემი ოთახი. ვიგრძენ, რომ ჩემი ქვეყნის ახალი ნერგები სავსენი იყვნენ თავისი ქვეყნის სიყვარულით და გული იმედით აშვესო.

(გაგრძელება იქნება)

## შაქვა შორხნიძე



### ამოისუნთქე დედამიწავ...

გარინდებულა ვებერთელა მუხების ჩრდილი,  
ჰაერი იწვის, მიწას ხეთქავს მზე დამდაგველი.  
გამოშვრალ ველებს არ უგალობს ნიავე გრილი  
და სადღაც შამბში დათენთილი იელვებს გველი...

ჰაერი იწვის, — გამხმარ სიმინდს დაღრღინს პეპელი,  
ჭურებში ღვინოს მოედება ჰკესავით ბურნა.  
ლამის ჩამოფქვას მკილმა მარნის ძველი კედელი,  
კრიჭინობელა ბლის წვეროზე ატირებს ზურნას...

ამოისუნთქე, დედამიწავ, მწვანე ფოთლითა,  
ამოისუნთქე და მოჰბერე ველსა სურნელი.  
ვიდრე ვსულვმდგმულობ, დამიამე სული სთფლითა  
და მომიჩრდილე შუბლსა ვაზის ნედლი ფურცელი.

გადმოიხედე, ცაო, შენი ლურჯი თვალითა,  
მიწიდან ცამდე წვიმის წვეთი გააბი სიმაღ.  
მორწყე ქვეყანა მაამებელ მზით და თაფლითა,  
რომ ჩემს ბაგეთგან გალობანი გადმოსკდეს წვიმად.

მზე გადიწევა, დაგრძელდება მუხების ჩრდილი,  
და განელდება ხვატი, ვითა ჩემი ნალველი...  
გვიან ჰალეებით მოშრიალეებს ნიავე გრილი  
და სადღაც შამბში ღრუბელივით მიცურავს გველი.

### მე შენთან მოველ

მე მოვდიოდი, ცას იღუმალ ფიქრებს ვუმხელდი,  
მინდოდა მუხლი მომედრიკა თრთოლვით შენს წინა.  
რად შემეკითხე, ვინა ხარო?

გული მეტყინა!

მე შენთან მოველ, თვალწინ მწვანე ველი მეფინა.

მე შენთან მოველ... როგორც ლურჯი ცხოველი სვეტი,—  
მე აღმოვცენდი მშობლიური მიწის ბელტდან.  
ხალათს მისველებს უამრავი ციური წვეთი,  
ნუ მეკითხები, ვინა ხარო,

გული მეტყინა!

მე ტაძარი ვარ, დაუხარჯავ ფერთა ტაძარი,  
მე სიცოცხლე ვარ, — შენს მკლავებზე დასახარჯავ!



მე გავცივდები, როგორც ვაზის ლერწმის ნაცარი,  
თუ სული ჩემი არ აენტო, როგორც ხანძარი...

მე მწვანე ტყე ვარ, უსიერი და უდაბური,  
შენი სიწმინდის და ოცნების თავშესაფარი.  
და მდინარეთა კბოდებთან კლდეთა ნაეურით  
ჩემად ვმაილდები, როგორც მთაზე ლურჯი ტაძარი...

შენი თმის ნაცვლად, გულზე დაფნის ტოტი მეფინა,  
და ჭალა-ჭალა გვიმრის ღია ფერებსა ვჭერეტდი.  
რად შემეკითხე, ეინა ხარო?

გული მეტკინა!

მე აღმოვცენდი, როგორც ლურჯი ცხოველი სვეტი  
მწვანე ფოთლებად მშობლიური მიწის ბელტიდან..

• •

შენა ხარ თეთრი, თეთრი რძისფერი,  
შენ ლამაზი ხარ, ლამაზი ესოდენ, —  
ნეტავი მომფინო ნათელი ციერი,  
ნეტავი შენი ხმა სულ ახლოს მესმოდეს.

შენა ხარ თეთრი, თეთრი რძისფერი,  
შენ მაღალი ხარ, მაღალი  
და წმინდა...

ნეტავი მომფინო ეგ მშვიდი იერი,  
თუ სულში ოდესმე უეცრად გაწვიმდა.

შენა ხარ თეთრი, თეთრი რძისფერი,  
შენ სინათლე ხარ ატეხილ ჭალებს.  
შენა ხარ სიცილი, სიცილი ძლიერი,  
შენს მკლავთა სითეთრით გაბრწყინდენ თვალები.

შენა ხარ თეთრი, თეთრი რძისფერი,  
შენ სიმღერა ხარ, სიმღერა სულისა...  
შენს თვალთა ულურჯეს, უტურფეს იერით —  
მაგონებ სამშობლოს ცას გაზაფხულისას....

შენა ხარ თეთრი, თეთრი რძისფერი,  
შენ კეთილი ხარ, კეთილი  
და ვრცელი....

სულ თვალწინ ფრთხილებ, ვით უცხო ფრინველი,  
სულ თვალწინ მიდგახარ, ვით ჩემი მფარველი.

შენა ხარ თეთრი, თეთრი რძისფერი,  
შენ ლამაზი ხარ, ლამაზი ესოდენ, —  
ნეტავი მომფინო ნათელი ციერი,  
ნეტავი შენი ხმა

მე მუდამ მესმოდეს...

აქანა ნიკოლაეჰსკაია



### მტირალა ტირიფი


რა გადარდებს, ტირიფო ტოტებდახრილო,  
რა ინატრე არაგვთან ცრემლებდაღვრილო?

ოკას ველზე მთვლემარე  
რთვილის მძივები,  
თუ ზვირთებათ შემდგარი  
თივის ზვინები?  
ამო სიმყუდროვეში  
ფერი მორევის,  
თუ ფაცერი მორევეში  
თევზებს რომ ელის?

თქვი, მტირალა ტირიფო, წყალთან დახრილო,  
ცრემლის ტოტებში რად მალავ, ცრემლად დაღვრილო.

იქნებ მომჩვენებია შენი ნაღველი,  
იქნებ სულაც არა ხარ დარდით დაღლილი.  
იქნებ ბედნიერებით დგახარ აღსავსე  
და ამოდ გარიყულ ობოლს გამსგავსე.  
აღბათ თქორი არაგვის გალხენს, გამაღლებს,  
ჩქერში ადგაფუნებულ უსმენ კალმახებს.  
ჩანჩქერების გრუხუნი განა გაშფოთებს,  
ქართლის მიწის სიამეს რა დაგაშორებს,  
მის სიღრმეში გატოტვით გიდგას ფესვები,  
რიყეს ქარში შერყეულ ჩრდილით ეცემი.  
ვარ, მტირალა ტირიფო შენი სტუმარი,  
მარტო მოველ არაგვთან, ვდგეგვარ მღუმარი.  
მეშხეფება წვეთები რძიან ნაპირთან,  
მაგრამ არა, არ ვიწმენდ ცრემლებს სახიდან.  
შენებრ ვდგავარ ტალღებთან,  
ირგვლივ ნისლია,  
შენებრ — წასვლა აქედან  
არ შემიძლია.

თარგმანი ოთარ ზეზინიძისა



გუგამ კანაპვა



## ახალგაზრდა მწერლების მოთხრობები

ჩვენს ლიტერატურას შეემატა არაერთი ნიჭიერი ახალგაზრდა პროზაიკოსის სახელი. ბევრი მათგანი ამჟღავნებს ურყურ ბელეტრისტულ ნიჭიერებას, იძლევა მომავალში დასრულების ნამდვილ იმედს. ეს ახალგაზრდა პროზაიკოსებია გურამ რჩეულიშვილი, ოტია იოსელიანი, გურამ გუგუშვიძე თამაზ ნატროშვილი და ზოგადი სხვა. მათ გააჩნიათ მხატვრის მახვილი თვალი, მისწრაფება საკეთარი ინდივიდუალობის შექმნისაკენ, სინამდვილის მძაფრი აღქმის აშკარა მიდრეკილებანი. აქ დასახელებული ახალგაზრდა მწერლები საიმედო ბირთვს ქვნიან ჩვენი პროზის ზოგიერთი მტკიცეული საკითხის გადაწყვეტისათვის.

გურამ რჩეულიშვილს მდიდარი ფანტაზია აქვს. როგორც მწერალს, მის მუდამ უსწრებს ფანტაზია და ნამდვილი ამბავი მის ხელში იქცევა განოვგადებათა, მხატვრული პერსპექტივის მქონე სურათებად. ასე მოხდა, მაგალითად, ვერმანელი მწერლის აღფრედ კურელას ცოლის სიკვდილს აღწერისას **მოთხრობაში** „სიკვდილი მთებში“. გურამ რჩეულიშვილის ეს მოთხრობა საინტერესოა ფაქტების სიმდიდრით და მასში ჩანს, აგრეთვე, ავტორის დაკვირვების უნარიც, ნათელი აზროვნება, ფრაზის ერთგვარი გამჭვირვალობა. მაგრამ მთავარი გ. რჩეულიშვილის მოთხრობაში, — ეს არის ფსიქოლოგიზმი. ავტორმა მოახერხა სინამდვილიდან ადლო, შეერჩია სწორედ ის მომენტები, რომლებიც აღმაინის სულიერ მოძრაობას შეიტანდნენ ნაწარმოებში. „სიკვდილი მთებში“ იმდენად საფუძვლიანად ეყრდნობა ფაქტურ მასალას, რომ ზოგ მომენტში იგი ნარკვევის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ მისი დაკვირვებით წყაობვა გვარწმუნებს, რომ გ. რჩეულიშვილისთვის ის კი არ იყო საინტერესო, თუ სახელდობრ ვინ და როგორ დაიღუპა მთებში, მთავარი აქცენტი მან გადაიტანა მწუხარების, საერთოდ აღმაინურ ემოციათა გამოხატვაზე. მოთხრობაში იგრძნობა ინტელექტუალში არა მარტო მთავარი გმირის სახის შექმნისას, არამედ ნაწარმოებში ზოგიერთი დასკვნის გამოტანაშიც. ეს მით უფრო სასიამოვნოა, რომ

გ. რჩეულიშვილის მოთხრობებში არ იგრძნობა საშიშროება მშრალი გონებისეული ელემენტების ქარბი ხმარებისაკენ გადახრისა.

გ. რჩეულიშვილის მოთხრობები გამოირჩევიან მხატვრული ტაქტით და ზომიერების გრძნობით. ავტორი ზუსტად და მოხდენილად აწაწილებს არა მარტო ფერადებს, არამედ ხმარობს მკვეთრ მხატვრულ შტრიხებს, ცდილობს განწყობილების გადმოცემას, თხრობის ექსპრესიულობის შექმნავეებს. ახალგაზრდა ავტორი ილტვის ინტონაციების სიმკვერისკენ. მისი გმირები საუბრობენ ინტონაციურად მდიდარი ფრაზებში, უწყვეტ ხმას იქ, სადაც სკიპროდ მანიათა, მაგამ, უფრო ხშირად, ლაკონურად და გულსხმიერ კილოთი საუბრობენ.

ამ მხრივ მეტად გამოირჩევა მოთხრობა „სიკვდილი მთებში“, განწყობილებათა ის ცელათამაში, რომელიც ადამიანთა სახეზე და მათ სულში ხდება, ის რთული პერაბტებიანი, რაც გათამაშდება ხეცურეთის ერთ კლდოვან ზეობაში, ავტორს გადმოცემული აქვს განცდათა დახვეწილი გამოით, სულიერი მღელვარების გამოზხატველი დამაჯერებელი ნიუანსებით.

ამვე ნაწარმოებში ავტორი მოხერხებულად იყენებს სარკეების ერთგვარი სიმბოლიკას. ჩვენ არ ვიცით, თუ როდის აქვთ არის სარკე გამოყენებული ლიტერატურაში როგორც ემბლემა სიკვდილისა თუ უბედურებისა. ყოველ შემთხვევაში, ცხადი არის, რომ სარკეების პოზიცია ყოველთვის, ჰქმნიდა ამგვარ შინაგანუბას. მოთხრობის „სიკვდილი მთებში“ დასასრულს აღფრედ კურელა ბრუნდება თბილისში. ცოლი მან დასტოვა დაფლული ხეცურეთის ერთერთ კლდეში. ეს სიმარტოვე გამაფრებულა იმიოთაც, რომ იგი ამჟამად საშობლოშიც არ იმყოფება და საცხოვრებელი ადგილი დადებულა აქვს სასტუმროში.

მოთხრობის ავტორი მეტად ჭუნწი სიტყვიერი მასალით გადმოცემს აღმაინის უკიდურეს სულიერ ტანჯვას. მოთხრობის სათანადო ადგილას თითქმის არ არის, ორიოდე სიტყვის გარდა, პირდაპირი მითითება აღფრედ კურელას განცლებზე და სულიერ ტკივილზე.

ყოველივე ხდება ემბლემატურად, ქარავმულად, ასოციაციურად. სწორედ ეს მხატვრული ხერხები ახდენენ იმ გრძნობათა სიღრმის და სიუხვის გადმოცემის კომპენსაციას, რომელიც საჭირო იქნებოდა ნაწარმოებთა გვირის განცდათა შივილი წყნების დასახატავად.

გურამ რჩეულიშვილის მოთხოვნებში მეტად შესამჩნევია სიკვდილის შიშითი შეგრძნება. ამგვარ შეგრძნებას იწვევენ მისი მოთხოვნები: „ნელი ტანგო“, „სიყვარული მარტის თვეში“ და „ბოლოს, ხსენებული „სიკვდილი მთებში“. ცნობილი ამერიკელი მწერალი ერნესტ ჰემინგუეის ერთ თავის ნარკვევში — „სიკვდილი მუხლის შემდეგ“ აღნიშნავდა, რომ მან წერა დაიწყო ყველაზე მარტივად ალწერით. ყველაზე მარტივი კი — წერდა იგი, — ეს არის სიკვდილი. ამიტომ ჩემს პირველ ნაწარმოებებში სწორედ სიკვდილს აღწერდიო. ახალგაზრდა ავტორი, გ. რჩეულიშვილი თითქმის არსად აღწერს სიკვდილს, მაგრამ, როგორც ითქვამს, ძალზე ხშირად იძლევა თავის ნაწარმოებებში ამ მოვლენის გულში ჩამწვდომ შეგრძნებას. სიკვდილი გ. რჩეულიშვილის ნაწარმოებებში შედამ ტრაგიკულია, მაგრამ მოკლებული არ არის შინაგან პათეტაკს, მწარეა თავისი განცდის სიძლიერით, თუმცა კანონზომიერი და მეთოდურია თავის მსვლელობაში. ვინ კვდება გურამ რჩეულიშვილის მოთხოვნებში? უმთავრესად ისინი, ვინც თავის მძლავრ სულიერ ენებებს მთელი სისასით, გაქანებით ვეკიდება და აძლევს გამოსავალს. ასეთია ხარკოველი ივანე მოთხრობიდან „ნელი ტანგო“, თავისთავად ველისთქმას და ბუნების სიღალით დატკობის სურვილს ეწირება უღბიდე კერეა მოთხოვნაში „სიკვდილი მთებში“. ამ მოთხოვნების ავტორმა თავისი გვირების სახეების დახატვით თითქმის გვიჩვენა, რომ მათი გრძნობები ძლიერია და ვარდულაო, როგორც სიკვდილი. ხარკოველი ივანეს სიყვარული თავისი შილისა და ცილის მიმართ სწორედ ამგვარი ძალისაა. მკითხველი ნამდვილი მღვდლარებით აღევნებს თავის ივანეს მიერ ცილ-შილის დახსნას ზღვაში დაღუპვისაგან. ახალგაზრდა ავტორმა შეწოლი ენებებიანი იმ ძალით გრძნობის დიდი გამოხატვა, რომელსაც შამაკისის სინდისის ან მოვალეობის შეგნება ჰქვია. ეს რუსი ვეკაცი საკუთარი ფეხით მივიდა სიკვდილთან, რადგან არ არსებობდა სხვა ვხა ცილ-შილის გადარჩენისა. ამგვარი თვისებები და მახასიათებელი ნამდვილი ადამიანისათვის. — სწერს ავტორი. მაგრამ მოთხოვნაში „ნელი ტანგო“ ეს ნაწილი არ არის უმთავრესი. როგორც სითაურიდან ჩანს და ქვესათაურიდანაც ირკვევა („სახარის ცეცხლის დროს“), ხარკოველი ივანეს ზღვაში გულის გასკდომის ერთეული ეპიზოდი ერთგვარ ეპიგრაფს წარმოადგენს იმ მცირე, მაგრამ უმთავრეს ნაწილისთვის, რომელშიც დაბლაკობით

იგივე თემა არის გადაწყვეტილი. მოთხოვნის მეორე ნაწილში „სადაც აღწერილია ზღვისპირა კაფე საღამოთი, რომელშიც „ჯანი ისტამბულს“ ასრულებს, წყვილები გამაღებული ცეცხლები და თავს იწონებენ მუშაში მიღებული სიღამწერით, ბუნებრივია, რომ ასეთ ალტერნატიულ ატმოსფეროში, როცა თითქმის პაერის სიმცირე იგრძნობა, მეტად მწვევა და მძაფრად კონტრასტული უცერად შემოჭრილი სიკვდილის თემა. კაფეში ქალი და ვაჟი იწყებენ ლამარაკს ხარკოველ მცურავის ტრაგიკულ სიკვდილზე. ეს თითქმის ერთგვარი გადასვლა: მას მოჰყვება საუბარი იმ მძლავრ სიყვარულზე, რომელსაც ვაჟი იგრძნობს გოგონა მიმართ. მათი საუბარი ცეცხლის დროს მეტად ინტენსიური, ქვეტექსტით მიღძარი და ემოციურად დატვირთული სცენაა.

ქალ-ვაჟის მეტყველება მოთხოვნაში ბუნებრივია, მათი დიალოგები სახეა მარალით და ერთგვარ ბუქსაც არაა მოკლებული. გურამ რჩეულიშვილი გაანაზი სიტყვიერი ფონდი და მისი გვირების მეტყველება არაა ხელოვნურ-დეკორატიული ხასიათის. ისინი მეტყველებენ თანამედროვე ქართული სალაპარაკო ენით, რომელიც არსად არ იჭრება ნატურალიზმში. ახალგაზრდა ნიჭიერ ავტორს ახასიათებს და უყვარს სიტყვის, ფრაზის დამუშავება; იგი კარგად იყენებს ქართული პროზის რიტმულ შესაძლებლობებს. და მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მისი ნაწარმოები ისევ მოუწიფეებელი და ხშირად გულუბრუნულია თავისი ჩანადქვითი, ისინი ტექნიკური თვალსაზრისით, უმეტესად, ისტაბლად შესრულებულნი ჩანან. ამაში მას ეხმარება შეიძლება ისიც, რომ იგი მთელი კეთილსინდისიერებით სწავლობს მასალას, რომლის შესახებაც მას უხდება წერა. ხოლო აღწერების შემთხვევაში კი იგი ახლო დგას ამა თუ იმ მოვლენის პროფესიონალურ ვადმოცემასთან. ერნესტ ჰემინგუეის შესახებ ხშირად იმეორებდენ, რომ მისი ნაწარმოებების მიხედვით შეიძლება მკითხველმა ისწავლოს თხილამურების ცურვა, თევზაობა, ბოქსი, ხარების პირობის კანონები და სხვა. ეს, უდავოდ შემთხვევით მომენტს არ წარმოადგენს ამერიკელი ბელეტრისტის რთულ შემოქმედებაში. იგი მისი ერთერთი სამწერლო მეთოდია, მისი ლიტერატურული მსოფლმხედველობის ერთ-ერთი ნაწილი.

ამგვარი ლიტერატურული ტრადიციის გაზიარება ზედმეტი არაა ჩვენს ახალგაზრდა მწერლებისთვის. ცხადია, პროფესიონალიზმი აღწერისას უნდა ვაგრძელებდეს არა მარტო სპორტის სახეებზე, არამედ ცხოვრების ყველა დარგზე. ეს დიდ დამატებლობას ჰქმნის ნაწარმოებს, შეაქვს მასში რეალიზმი, სიმართლე. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს მეთოდი არც თუ ისე მარტივია და მისი გამოყენება ყოველთვის მზადებს ერთ-

გვარი ნატურალიზმის საშიშროებას, თუ კი იგი არ არის ისტატურად გამოზომილი. გ. რჩეულიშვილის ბერის ნაწარმოებში შევხვდებით ამგვარად შექმნილ ზუსტ ჩანახატებს, საინტერესო დაკვირვებებს და ფაქტებს. როდესაც იგი აღნიშნავს, რომ ხვესურეთში „გაცილებით თანაბარია დღე-ღამის ტემპერატურა“, ეს მისი ერთგვარი ბელეტრისტული ხერხია და არა მისილი ფაქტოგრაფია; როდესაც მოთხრობაში „სიკვდილი მთებში“ იგი სწერს, რომ „კაცი — აღურედ კერვა — ფეხებგაშლილი ადგა თავზე ორივეს და სურათს იღებდა. სადღაც ბუნდოვანდ მესიამოვნა, რომ მან იმ კლდეში გაქნებულ ცხენზე მჯდარი მზახა, შემდეგ ყველაფერი გაქრა... ახლა ჩემ წინ მხოლოდ მკვდარი ქალი იწვა“, ეს ლიტერატურული პოეზია კი არ არის, არამედ ზუსტი ფსიქოლოგიური დაკვირვება: ხდება ზშირად, რომ აღამიანი, დიდი თანაგრძობის მიუხედავად, ერთი წუთით უფრო სრულყოფილად და კმაყოფილად გრძნობს თავს სხვისი ისუსტის თუ უბედურების ნახვისას... მოთხრობაში არის ადგილები, რომლებიც ახალგაზრდა ავტორის პლასტიკური ნიჭზე და მხატვრის ზუსტ თვალზე მიუთითებენ: „თორმეტი წლის იგორი წყალში შევარდა და სუფთა, დამუყვებელი მკლაურით გასცურა. მისი ფეხები შეუწყვეტლად, თანაბარი სიჩქარით მუშაობდნენ. მარცხენა მკლავის მოსმისას სახის ნახევარს წყლიდან იღებდა და ღრმად ისუნთქავდა ჰაერს, მერე ისევ წყალში პყოფდა ამოსასუნთქად, მარჯვენას უსამედა. ხელები გამართული და მოღრუბებული იშვებოდნენ“.

ავტორი ხანდახან მიმართავს ინვეიარ გამოთქმებსაც, რომლებიც ცარიელი ფრაზები უფროა, ვიდრე რაიმე ახალი აზრი: „გურამი თავზე ადგა ცხედარს და კერვლას ხელს ართმევდა ის უყურებდა მისთვის უცხო სიკვდილს, რომელიც მიუღეს შუა იწვა უმოძრაოდ. უკვირდა სიკვდილიან და მათი სიცოცხლეც, რომლებიც სიკვდილიდან ერთად გაიცინო“. უკანასკნელი წინადადება არ აზუსტებს წინ გამოთქმულ აზრს, არ ქმარტებს მას სიახლეს. ამგვარ მავალითებს მცირერიცხოვნად შევხვდებით გ. რჩეულიშვილის მოთხრობებში.

შემოქმედებითი სიმწიფის არასაკმარისობა, რაც იგრძნობა გ. რჩეულიშვილის ნაწარმოებებში, შეითხველს მაინც ნებას აძლევს დასასჯენს, რომ ახალგაზრდა ავტორი ნამდვილი შემოქმედია. ეს მზარე დასტურდება მისი მძლავრი წარმოსახვითი ნიჭის წყალობითაც. როდესაც, ამ ორობედ წლის წინ, ეურნალა „ცისკარმა“ მას შეუცვია უფლისციხეზე ისტორიული ნარკვევის დაწერა, შესრულების შემდეგ ჩვენ ვნახეთ, თუ როგორ გააწვალა იგი ამ თემაში. მისთვის ეტყობა უცხო და შეუთვისებელი ყოფილი მშრალი ფაქტოგრაფია არა პრინციპული თვალსაზრისით, არამედ გაცილებით უფრო ორიგინული მიხედვებით. უფლისციხე, როგორც

მოსალოდნელი იყო, მწერალს აღზიანებდა არა როგორც დიდებული და ვრცელი წარსულის მქონე კლდეში აშენებულ მკვლესძელი ქალაქი, არამედ როგორც თავისთავად არსებული უჩვეულო ფაქტი; უფლისციხე საინტერესოა მეოცე საუკუნის ადამიანისთვის მისი ფანტაზიის სავარჯიშოდ, წარმოსახვის ფრთების ფართოდ გასაშლლად. უფლისციხის არქიტექტურაში ნარკვევის ავტორს აინტერესებს არა მდიდარი ისტორიზმი, არამედ საერთოდ ადამიანის ხელოვნება; გარდასულ, მომხდარ ფაქტებს იგი ამჯობინებს კონკრეტული ადამიანის გმირობის აღნიშვნას, რომელთაც არა ნაცლები როლი შეუხრულებიათ სამშობლოს დასაცავად, ვიდრე ამ უტყვე კლდე-ქალაქს. ავტორი აშინებს, რომ ამ ციხექალაქის აღმშენებლებს კომფორტისთვის მაინც და მაინც არ უფიქრიათ, მაგრამ ეს აწუხებს იმდენად, რამდენადაც ქვის სკამების სიმძვარე ნებას არ აძლევს მას ფიქრების შეკრება-თავმოყრისთვის. „აქ მხოლოდ ქვის სკამები და მაგიდები დგას, ძველი, ძალიან ძველი. მე ვზივარ ერთი თვის წინათ გაკეთებულ საკაცებზე და ვწერ. ეს საკაცე უფრო მონებრებულია ჩემთვის. ალბათ ერთ დროში ვართ გაკეთებულები ორივენი და იმიტომ“.

ავტორი არ ეძებს ისტორიის შემორჩენილ ატრიბუტებს. მას სურს გააცოცხლოს წარსულის ის ნაწილი, რომელიც თითქმის დღევანდელ დღესაც ეჩმაურება. ავტორს მხოლოდ ამგვარად შეუძლია აღიქვას სიძველე. სწორედ აქედან იღებს სათავეს მის მიერ შეთხზული ლეგენდა პატრიოტ უსახელო უფლისციხელზე“. აქედანვე გამომდინარობს ოდნე გულუბრყვილო, საინტერესო სიმბოლიკა ციხის კედლებზე მცოცავი ჯოჯოხებისა. „... ავღვიარ ქვებებში, ვიწყებ ზევიდან, ჩამოვდივარ ქვევით. ჯერ ვერ გავრკვევულვარ კიდევ, ქარი სისინებს ნახარღებში. ქანი იფიტება. ქარი უფრო ღმუის. ვრძელდება ჯოჯოხები ხროციებს სერავენ, კედლებზე დარბიან ეშმაკებით და შუა კედელზე ჭრებიან. მე ქვას ვესერი, ქვა ხედება-ჯოჯო გაკვირებული მიყურებს. მერე მიჩბის. მივდევ. უცებ კლდე წყდება და იწყება უფსკრული. ჯოჯო ქვევით ჩარბის. მერე ჩერდება და ისევ იხედება. ქვევით ხროცი სოფელი მოჩანს. ისტორიიდან ვივინებ— აქ დიდი დასახლებული ადგილი ყოფილა. ახლა სოფელი გადაბუფულია. სულ არა გავს ქვა — ხერცის. მტყუნება; ჯოჯო იქით მიდის, მერე ისევ უკან მოდის და სხევებს აღვიძებს. აქნებ შემოსეული მოძალადეების შთამომავლები არიან ჯოჯოები, — ვფიქრობ; — აქნებ დაპატარავდნენ ისინი და ჯავშანში გახვეულები დარბიან“.

ამ ნაწარმოებში („უსახელო უფლისციხელი“) უფრო ადვილია გაადგნო თვალი ავტორის წარმოსახვით ნიჭს. ისტორიული ფაქტები, რომლებზეც მას უნდა აეცო თავისი ნარკვევი, თითქმის არ უღვეს სიფთვალ ამ ნა-

წარმოებს ან, უკეთეს შემთხვევაში, კონსპექტურად არიან მოხსენებულნი. ისტორიული მასალის გამოყენებლობის კომპენსაციის იგი თავისი ფანტაზიით შეეცადა. მისი აზრით ის, რაც შემატანესგან შემთავრება უფლისციხის ისტორიიდან, ისტორია არცაა, არამედ ზოგიერთ თარიღა და ამის ზოგადი გადმოცემა: „ჭორონი-კონსა ამასა და ამას, წყალობითა ღვთისათა, დიდმა მთავარმა ვამეხმა სძლია მტერს და უკუაქცია იგი კედლებიდან უფლისციხისა“. ახალგაზრდა მწერალს ამგვარად არ ესმის ის, რასაც ერის ისტორია ეწოდება. მან იცის, რომ სამშობლოს თავისუფლებას, პატრიუს, ღირსებას იცავდა ქართველი ხალხი, აზნაურები და გლეხობა — ვუთნისდედები და მეომარნი ერსადაიმავე დროს. ადამიანის გამოყვანა ფართო მოღონათა ფონზე აცილებულს ისტორიას, ჰქმნის ნაწარმოებში რეალისტურ დამაჯერებელ კანვას. ამიტომ გურამ რჩეულიშვილი არჩევს უფლისციხის წარსული გადმოცევებს მდამიო ხალხის წრიდან წარმოდგარა ადამიანის ერთი საგნის სარჩევს ჩვენთვის. ამ მდამიოს, რომლის სახელსაც ავტორი არჩევს ძველი ქართული სოფლის კალენდრიდან (მას „აღბათ ვაჟი ერჭვა, ან უბრალოდ წყალობა, ან მახარე, ან ქიტრისა“) — მებრდ განვითარებული აქვს ერთიანი თვითმეგნება. იგი წლებს განმავლობაში იყო ტყვე თავისი მტრებისა. ახლა ეს მტრები ხელმოკრედ მოადგნენ უფლისციხეს და ყოფილი მონის სურვილია არა მარტო თავის დაღწევა სამარცხენო მდგომარეობიდან, არამედ, ერთგვარად, სამაგიეროს მიზლითაც მტრისადა. მის სძულს მტერი, მონობა, სიმხდაღ და ამიტომ ძალიან ადვილად იტანს ყოველ დამარჯობებასა და სიმწიფეს, რომელიც შეხვდება მშობლიური მხარის აობრებისგან ხსნის გზაზე. იგი დაუსხლტება მტრის საშინო ვარეოცვას და შეატანს უფლისციხის კედლებში, რათა ქართველ მთავარსარდლობას მიეწყოს მტრის მიერ დაგებული ფანდები და მახებები.

ნარკვევის ავტორი არ არის შორს იმ აზრისგან, რომ სწორედ ამგვარი „მდამიო“ უნდა ყოფილიყო კემშარიტი გმირი უფლისციხის ხსნისა მტრთაგან. „დილით მზე ანათებს უფლისციხეს. მზე ამუქებს სალოცავს. სხივი სალოცავში საარქმლიდან შედის და ძირს ეყვება. მისი ფერია ნათელი და შავი. იქ კაცია დამხობილი მუხლებზე. ლოცულობს. სიტყვები არ ისმის. ის უენოა. ქალები დასისხლიანებული მუხლის თავებით დგანან ფილაქანზე. ღმერთს მადლობას წირავენ გადარჩენისათვის: ღმერთი დიდია და მოწყალო.“

ვარეთ მზე ანათებს: მტრის გვაგები ყრია ყველგან: უფსკრულის ძირას, უფსკრულის თავზე, თხრდლის ვარეთ და თხრდლის შიგნით. მეციხოვნენი თხრიან უხარმზარ სამარებს: ზვალადან აყროლდება ვეამები. დღე წყნარია და მზე ანათებს. ვილაკა ჭიანჭრის ავღერებს. დიდი

მთავარი გალიმებული დადის ტალანებში, შერე მსხნულს იხარებს. ის მეციხოვნეებს მოყავთ ხელით. მის ფეხები დაყინული აქვს და სიარული არ შეუძლია. მას სვამენ ტახტზე; კიდევ ერთხელ უხდაან მადლობას. თხოვენი: თქვას თავისი ენაობა.

ის კი უენოა.

თხოვენი: დაწეროს თავისი გვარი ან სახელი, მან კი წერა არ იცის“..

იმ ნარკვევზე ჩვენ ვრცლად შევხვდით, რათა ვგეტყვა ახალგაზრდა მწერლის მდიდარ წარმოსახვით ნიჭზე, მაგრამ იგი არანაკლები სიციხადით გვიდასტურებს იმასაც, რომ გ. რჩეულიშვილს სწორად ესმის ერთიანი საყი-თხი.

გ. რჩეულიშვილის ყველა მოთხრობა, ცხადია, ერთ დონეზე არ დგას. მას აქვს ერთი პატარა მოთხრობა — „საყვარული მარტის თვეში“. იგი ყველაზე მოთმწიფებული ნაწარმოებია ყველა მის მიერ გამოქვეყნებულ მოთხრობათა შორის, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მასში არის ზოგიერთი ხარვეზი, რისი დაძლევაც ადვილად შეიძლებოდა. ეს მოთხრობა დამაჯერებლობის მხრივ მოიგებდა იმ შემთხვევაშიც, თუ კი უბრალოდ გადაინაცვლებდა ორი ძირითადი ხაზი მისი განვითარებისა. მოთხრობაში ხდება ისე, რომ გმირი ტრამვის ქვეშ იარდება, დანარჩენი მოთხრობა ავადმყოფის სიციხიან ბოდიშის გადმოცემას აქვს დათმობილი. გეგონია, რომ თუკი მოთხრობა შეიცვლებოდა ისე, რომ რაც ზოდვის დროს არის მოთხრობილი, მომხდარიყო ცხადში, ხოლო რაც მთავარ პერსონაჟს სიცოცხლეში დაემართა, ის კომშარულ სიმხრად ყოფილიყო წარმოდგენილი, ახალგაზრდა ავტორის ეს ნაწარმოები მოიგებდა. ეს „მომგებიანობა“ უდავოდ შეიქმნებოდა მეოთხეულის თვალში დამაჯერებლობის გაზრდის ხარჯზე.

ამ წერილში, როდესაც ჩვენი აზრის დადასტურება ვეწადდა, რომდენიმეჯერ მოვიყვანეთ ისეთი კომპეტენტური მწერლის მოსაზრებები, როგორც დღეს ერანტ ჰემინგუეი არის. ჰემინგუეის ხშირი ციტირება გურამ რჩეულიშვილის მოთხრობათა განხილვის დროს შემთხვევითი არ ყოფილა იმ მხრივაც, რომ ამ დიდ ამერიკელი მწერლისაგან იგი ნაწილობრივ დავალბებოდა. ლაკონურობა, წერის „გრაფიკული“ მანერა, აზრისდა სახის მკაფიობა, ღრმა ემოციურობა და ქვეტექსტის სიმდიდრე, რიტმული პრიზა და ჩამწვდომობა გურამ რჩეულიშვილთან, ძირითადად, 20 — 30-ანი წლების ქართველი პროზაიკოსებიდან უფრო მომდინარეობს, თუმცა ამერიკელმა მწერალმა, რომელმაც თითქმის ყველა კონტინენტზე გაიჩინა მიმდევარი და შექმნა მისი გავლენით ჩამოყვანილებული ლიტერატურული სკოლა, იქონია ახალგაზრდა ქართველი მწერლის შემოქმედებითი პროფილის გამოყვეთისთვის თავისე-

ბური, კეთილისმყოფელი გავლენა. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ გვინდა აქ მოვიყვანოთ ნაკლებად ცნობილი ფაქტი ჰემინგუეის ბიოგრაფიიდან, თუ როგორ ყალიბდებოდა იგი თავისი გამომცემლობის რედაქტორის, მაქსველ პერკინსის, გავლენით ნამდვილ შემოქმედად.

მაქსველ პერკინსი (იგი გარდაიცვალა 1947 წელს) ამერიკის შეერთებულ შტატებში აღიარებული იყო ყველაზე გამოჩენილი ლიტერატორ-რედაქტორად. როდესაც ამ ადამიანის დახასიათება სურთ ამერიკელებს, ისინი ჩამოთვლიან, თუ რომელი მწერლები მუშაობდნენ მის ხელმძღვანელობის ქვეშ (რაც ზოგჯერ ვრცელდება მთელი შემოქმედებითი სივრცის განმავლობაში); ესენი იყვნენ — სკოტ ფიცჯერალდი, ერნესტ ჰემინგუეი, თომას ელოფი, ერსკინ კოლდველი და ბევრი სხვა; ასევე აცხადებენ იმასაც, რომ უნდა ვაირკვეს და დაიწეროს ამერიკელი რედაქტორების როლის შესახებ მათი როგორღაც ლიტერატურის განვითარების საქმეში.

პერკინსის პირველი ყველაზე „დიდი მოწიფე“ იყო სკოტ ფიცჯერალდი. იგი იმდენად აღტაცებული იყო თავისი რედაქტორით, რომ უამბობდა მის შესახებ ყველა თავის კოლეგას, ხოლო პერკინსს უამბობდა მათ შესახებ. 1924 წელს ფიცჯერალდიმ აშგვარად მისწერა მას: „მინდა გაცნობოთ ერთ ახალგაზრდაზე — მისი სახელია ერნესტ ჰემინგუეი, რომელიც ცხოვრობს პარიზში (მაგრამ იგი ამერიკელი) და სწერს „ტრანსატლანტიკური მომოხილვისთვის“. მას ბრწყინვალე მომავალი ელის. თქვენს ადგილას მე მას უფურცლადობდ არ დავტოვებდი. ის ნამდვილი ტალანტია“. ეს წელიწადი გახდა ჰემინგუეის და მისი რედაქტორის განუყრელი და ნაყოფიერი მეგობრობის დასაბამად. ეს მეგობრობა თუ თანამშრომლობა მიდიოდა იმ ზომამდე, რომ პერკინსი-რედაქტორი მწერალ ჰემინგუეის უგზავნიდა იმგვარად შერჩეულ წიგნებს, რომელნიც მისი ნიჭის გასავითარებლად მიაჩნდა მიზანშეწონილი. ეს რედაქტორი ხშირად ურჩევდა ამა თუ იმ ავტორთა ამა თუ იმ წიგნს, მაგრამ ერთს, სახელდობრ, ლევ ტოლსტოის „ომსა და მშვიდობას“, იგი სულ ყველა თავაზობდა წასაკითხად. ასეთნაირად პერკინსი თითქმის წარმართავდა ამ ავტორების ტალანტს, ერთგვარად მოქმედებდა მათი გემოვნების ჩამოყალიბებაზე. იგი ძალიან დიდერუდიად ითვლებოდა ამერიკელი ლიტერატურის საშუაროში. ნიუ-იორკში მასთან თავს იყრიდნენ და მის რჩევას არ თაკილობდნენ უკვე სახელმწიველი, მაღალნიჭიერი მწერლები. ისინი პერკინსის დიდ ღირსებად თვლიდნენ იმასაც, რომ იგი არასდროს არ ახვევდა საკუთარ შეხედულებებს, გემოვნებს მათ, მიუხედავად იმისა, რომ უსახელებდა მათ არა მარტო წასაკითხ ავტორებს, არამედ უწყობილეს დეტალებამდე განიხილავდა, აჯერებდა მათ

ნაწერებს. ამბობენ, რომ ჰემინგუეის ყველაზე საყვარელი მოთხრობების მწერლობა ვერა ფრეველი იყო. რასაც ვაყა ამ დროისთვის ინგლისურად უკვე ნათარგმნი იყო, შესაძლოა რომ მაქსველ პერკინსმა გააცნო იგი პირველად დად ამერიკელ ბელეტრისტს.

დიდი ხანი არაა, რაც თავისი მცირე მოცულობის მოთხრობების გამოქვეყნება დაიწყო ახალგაზრდა ნოველისტმა ოტია იოსელიანმა. მის ნოველებში ბევრი კარგი, ნათელი თვისებაა. მათში განუწყვეტლოვ ჩანს გრძნობის სისასხე. ოტია იოსელიანის ფიქრით, ადამიანი მუდამ აღივსებული, გრძნობით მოცული, ხალისიანი და ზრუნვით გამთხარა უნდა იყოს, თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება იგი ერთხელ და სამუდამოდ გავიდეს, დაკარგოს ყველა თავისი მაღალი ადამიანური თვისება. მისი პატარა მოთხრობების გმირები მუდამ აგზნებულ აშგვარებაში იმყოფებიან; ისინი თითქმის ამგვარად უფრო ვარგად და სრულყოფილად გრძნობენ თავს ამ ქვეყანაზე, სხვაგვარად მათ ვერც წარმოუდგენიათ თავი. ისინი ასეთნაირად უფრო ცხადად შეიგრძნობენ საკუთარი დანიშნულებას და ხვედრის გამართლებას. ოტია იოსელიანის ზოგ მოთხრობაში მისი პერსონაჟები ხელოვნურად იგონებენ იმგვარ ამბებს და სიტუაციებს, რომელნიც უფრო ააფორიაქებდნენ მათ სულს, სანეტარო მღვლავარებას შეიტანდნენ მათ ყოფაში. ერთერთი მისი პატარა ნოველა, „ოცნება ოჯახზე“, რომელიც მერტლ უმნიშვნელო მოგვეჩვენებოდა, რომ შიგ ჰუმორის ერთგვარი ნაკალი არ ყოფილიყო, თავისი განხორციელებით გვაფორენებს ცნობილ ზღაპარს ერთ ნახევრადმოსულელო გლუბ ცოლ-ქმარზე, რომელნიც იღვანენ ხის ძირას და იმაზე ტირილდნენ, რომ ხეში ჩარჭობილი ცელი შეიძლება ოდესმე ჩამოვარდნილიყო და მათს ბავშვს, რომელიც მათ გაუჩნდებოდათ თავში დასცემოდა ...

— ხომ გესმის, სისო, საბუხრე უნდა დარტოვო, კარგია ბუხარი ზამთარში, ხმელი ჯირკვები, ნაბობი რცხილას შემა...

— შეშად კობიტცი არ დაიწუნება — ეუმატიტე მე.

— რატომ, კარგია კობიტცი. ეკალი ფიცხია, სისო, ტყაცუნებს, ნაბერწყლებს ისერის, ბავშვებს აყვანში არ ჩაუთარდეს.

— მე შენ გვტყვი, უნო ბავშვი დავტყვის რაშია საქმე.

— სისო, ბავშვი არ დავეწვევს, — მის შეაგრყოლებს, ფერი ვადაკარავს და უცებ ხსიათი უფუტქდება. — სისო, ბავშვი...

შეუ წარმოვიდგენ რომ ბავშვს ხელი აქვს დამწვარი ან ყური, ბავშვი წიხს, შევლას ითხოვს, შერე ყურზე აინდბა ცეცხლის ნაკვალევი და ბავშვს ნახევარი ყურილა ჰკლავა.

— სისო, რაღა გვეშველება? — თითქმის კანკალუს თეონა.

აეტოჩა, როგორც ვხედავთ ოდნავი ჰუმორით წარმოგვიდგენს ამ ორი ახალგაზრდა ცოლ-ქმარის ძალით შექმნილ „საზრუნავს“ და ამგვარად გამოდის იმ უხერხული მდგომარეობიდან, რომელშიც ჩაეკიდნენ პოპულარული ზღაპრის პერსონაჟები. ხშირად ჰუმორის გრძნობა აეტოჩას არ ჰყოფნის, თუ ღალატობს და იგი ნატურალიზმის არასახიამოფინო განათებაში ხვდება. შედარებით უფრო წარმატებით არის შესრულებული ო. იოსელიანის „ჩქარი მატარებლიდან“, თუმცა აქაც, ბევრ ადგილებში, გამომსახველობითი საშუალებანი არაექსპრესიული და გლეჯია; იქ სადაც გადმოცემულია მატარებლის, ორთქლმავლის სედა, მეტი რიტმულობა იყო მოსალოდნელი. მართალია, მოთხრობაში არ არის ცუდად ნაჩვენები ის მოუთმუნლობა და შეუკავებლობა, რაც ახალგაზრდა მემანქანის თანაშემწევს ემართება ორთქლმავალზე მგზავრობისას, მაგრამ, ამის გარდა, მოთხრობაში არ არის მოქმენილი ცალკეული შტრიხები, დეტალები, რომელნიც მხატვრულ ნაწარმოებს აქცევს ნამდვილ ბელეტრისტიკად.

ახალგაზრდა ბიჭი, რომელიც მეშაობს ორთქლმავლის მემანქანის თანაშემწედ, ჩამწვარი იცრთ წითელკაბიან გოგონს, რომელსაც იგი მხედავს თავისი მატარებლის ყოველ გავლას—გამოვლისას. ორთქლმავლის ფანჯრიდან გოგოც მატარებლის ყოველ ავლა-ჩავლისას ხელის ან ხელსახოტის ქნევით აცილებს მას და ასე, გაუცნობად, ერთმანეთის ახლოს უსახავდა, წლები განმავლობაში ატარებენ ენაში ერთმანეთის გარდაუვალ სიყვარულს... აეტოჩა ასეთი მიაბიტური თავდადებულობა არ აქმარა მის ახალგაზრდა გმირებს. რადესაც მემანქანის თანაშემწე ახალგაზრდა ბიჭი მიიღწევს მემანქანის თანამედრობის, სავანეებზე მოიარებება და გამოწყობული მიდის თავის ჯერ უცნობ გოგონასთან, უკანასკნელი ცხადია, ვერ იცნობს მას და სევდით აყოლებს ჩველილ მატარებელს თვალს, საიდანაც მემანქანე, პირველად წლების განმავლობაში, არ დაუქნევს ხელს... ბიჭი ვერ უძლებს გოგონს გულის ტკენას და... გარბის სადგურის უფროსთან, რათა განაგრძოს წლების განმავლობაში განმტკიცებული ტრადიცია.

„ჩქარი მატარებლიდან“ შედარებით საინტერესოა განცდათა ახალგაზრდული უღარდებლობით და მისი მთავარი გამოჩენილი, რომელზეც ამბობენ, რომ იგი „ერთი გმირული ბიჭია და აქვს თეთრი კბილები“ ძალიან წააგავს კოლდუელის ოდნავ მოსულელო და ძალზე გულკეთილ ზანგის ბიჭებს, რომელნიც მკითხველს უყვარს ორივე თვისების გამო, მაგრამ ამ ლირიკულ ნაწარმოებს ვერაფრით ვერ ჩაეთვლით ისტატურ ქმნილებად.

მოთხრობა „ჩქარი მატარებლიდან“ ლირიკით აღბეჭდილი პროზაა, მაგრამ ვაიკლებით უფრო სერიოზული აღმოჩნდა ო. იოსელიანის მის ახალ მოთხრობაში „ლევანა“. ზედმეტ დეტალიზაციას, რომელიც ნატურალისტურ შეფერილობას ხშირად ვერ სცილდება, ამ მოთხრობაშიც აქვს ადგილი, მაგრამ მკითხველის წინაშე სრულად ახალმა თვისობაზეა მხარემ იჩინა თავი. ჩვენ პირველად დაინახეთ ახალგაზრდა მწერალთან ნამდვილი ფსიქოლოგიზმის ჩანასახები. მოთხრობა — „ლევანას“ ძირითადი თემა მორალურ ასპექტში არის გადაწყვეტილი. მწერლის ღრმა აზრით, რომელიც მხოლოდ მის საპატრიოტ ლაპარაკობს, საქმარისა ოდნავი გადახრა, პატარა ზზარის შეტანა მორალური რიგის საკითხებში, რომ იგი მთლად დაირტყას, გაქარწყლდეს. მოულოდნელი, მძაფრი, რეალისტრად გამართული ფინალი ნამდვილ ემოციურ აღვლევებს იწყებს, შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე.

როდესაც ლევანა, მამა ორი გარდაცვლილი ვაჟისა, სამუშაოდ გადის და, ამგვარად, გადაერთვება თავისი ფიქრით სახანე სამუშაოზე, პირველსავე დამეს, პირველად მისი გაუბედურების შემდეგ, იგი სიზმარში ვეღარ ნახავს თავის ვაჟებს, მას აღარ შესწევს უნარი მათზე ფიქრისა და უბედურების, იმგვარი ძალიან შეგრძნებისა, როგორითაც იგი აქამდე განიცდიდა. ოტია იოსელიანის ეს მოთხრობა ნამდვილად ღრმანზრთიანი, დამოკერებელი და ფსიქოლოგიურად ავებული ნაწარმოებია. იგი ზნეობრივი სიფაქიზის, მორალური დახვეწილობის შეგრძნებით არის დაწერილი. რასაკვირველია, უფრო რეალისტრად, მკაფიოდ, მახებრივნიერად და ძუნწად შეიძლება ყოფილიყო გადმოცემული ლევანას ტრაგიკული განცდება, განუწყვეტელი ფიქრი დაწერულ ოჯახზე, გრძელი „დილოგები“ დაღუპულ შენობთან, „შეკამოება“ გარდაცვლილ მეუღლესთან, — ყოველივე ეს შეიძლება უფრო მახვილად, ექსპრესიით და მძაფრად ყოფილიყო ნაჩვენები. თუ კი ჩვენ აეტოჩას მხატვრული შესაძლებლობებით ვიხელმძღვანელებთ, ვთქვათ „ლევანას“ ფინალური სცენით, აეტოჩის ბევრი ხარვეზის დაძლევა შეეძლო ამ ნაწარმოებში. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თუ ახალგაზრდა, მომავლის მქონე აეტოჩი, ო. იოსელიანი თავის შემოქმედებით პრაქტიკაში იხელმძღვანელებდა იმგვარი პრინციპით, რომ ყოველი სურათი, ყველაზე მცირე ნაწილი, ნებისმიერი შტრიხითაც მხატვრული ნაწარმოებისა თანაბარ ღირებზე დამუშავებინა, არ დაეტოვებინა თავის ქმნილებებში თუნდაც მცირე ადგილი, კუჭრუტანა სიყვარლის ჩასაბუდებლად, ამით მოგვებული დარჩებოდნენ როგორც მისი ნაწარმოებნი, ისევე მკითხველი საზოგადოებე, რომელსაც იგი ადრე თუ გვიან შეიძენს.



### 3. გოლცევის წერილები და ნარკვევები

ე. გოლცევი რუსი საბჭოთა მეცნიერი და ლიტერატურის კრიტიკოსია, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართული კულტურის მიღწევითა რუს მკითხველებისათვის გაეცნობისა და პოპულარიზაციის საქმეში. მან მართლაც საფუძვლიანად იცოდა ქართული პროზა და პოეზია მოყოლებული რუსთაველიდან დამთავრებული საბჭოთა ეპოქით. ე. გოლცევი მოვიდა ლიტერატურაში კარგი, ინტელიგენტური ოჯახიდან. მისი მამა ვიქტორ ალექსანდრეს ძე გოლცევი ხანგრძლივი წლების მანძილზე რედაქტორობდა სპეტლანთან შეტანილ პოპულარულ ჟურნალს „რუსულ აზრს“ ე. გოლცევის მამა მგებრიძე იყო, კორნაილის, ნემიროვიჩ-დანჩენკის, იუვიჩის, სტოპანიანის, ზაბოტოვსკის, ერმოლოვის, ოჯახებში ატმოსფეროში შთაქმნილი ვიქტორ გოლცევი ლიტერატურისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დრმა სიყვარული, აზრისა და ქცევის დემოკრატიზმი. ე. გოლცევი, რომელმაც თავის სპეციალობით ლიტერატურათმცოდნეობა აირჩია და კერძოთ ქართული ლიტერატურისა და კულტურის ისტორიის საკითხების დიდი მცოდნე იყო, უმწიველი მოღვაწეობაში და მებრძოლ თავმდაბალი, მან, როგორც ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვ“-ის მთავარ რედაქტორმა დიდი და უანგარო შრომა გასწია ნაციონალურ ლიტერატურათა პოპულარიზაციისა და ამ ლიტერატურების მნიშვნელოვან ნაწარმოებთა რუსულად გამოქვეყნების საქმეში. ამ სფეროში მისი დამსახურება მართლაც დიდაა. ე. გოლცევი 30 წლის მანძილზე უმწიველთ ემსახურა რუსულ და ნაციონალურ ლიტერატურათა კვლევისა და მათი მიღწევის პროპაგანდის საქმეს. სამწუხაროდ იბრე, 1955 წლის 9 მაისს შეწყდა ლიტერატურის ამ სამაგალი მოღვაწის სიცოცხლე. მისი სიყვარული საბჭოთა ლიტერატურის დიდი დანაკლისი იყო.

ვიქტორ გოლცევის გარდაცვალებას, დრმა მწუხარებით შეხვდა ფართო ლიტერატურული და მეცნიერული საზოგადოებრივობა. გასულ წელს გამოვიდა ე. გოლცევის წიგნი — წერილები და ნარკვევები რუსულ ენაზე. ამ წიგნში, როგორც სამართლიანად შენიშნავს პ. ინტოკოლსკი „შეკრებილია მისი ძირითადი შრომები, ლიტერატურათმცოდნეობისა და კრიტიკის დარგში, რომლებიც დაწერილია საბჭოთა

კულტურის ერთგულად მსახურობის 30 წლის მანძილზე“.

ე. გოლცევის წიგნი, წერილები და გამოკვლევები შესდგება ხუთი განყოფილებისაგან: პირველში, წერილები რუსულ ლიტერატურაზე (გვ. გვ. 15-8) წარმოდგენილია ალექსანდრე ბლოკი, როგორც ლიტერატურის კრიტიკოსი, ე. ბრიუსოვი, საქართველო რუსულ პოეზიაში, პ. პავლენკოსა და ნ. ტიხონოვის ცალკე ნაწარმოებთა ლიტერატურულ-კრიტიკული ანალიზი. მეორე განყოფილება — ქართული ლიტერატურა მთლიანად მიძღვნილია შოთა რუსთაველისადმი, მესამე განყოფილებაში — მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლები, — წარმოდგენილია ნ. ბარათაშვილის პოეზია, დანიელ ჰონტიანის, ი. ჰუციავასი, აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგის და ეგნატე ნინოშვილის შემოქმედება. მეოთხე განყოფილება — ქართული მწერლები — თანამედროვენი მიძღვნილია ტიციან ტაბიძის, სერგო კლდიაშვილის, სიმონ ჩიქოვანის, ლეო ქიჩელისა და ალიო მაშაშვილის შემოქმედებისადმი. მეხუთე და უკანასკნელ განყოფილებაში — ნარკვევები — მოთავსებულია ე. გოლცევის ჩანაწერები სევანთის შესახებ და ვიორჯი საყაქის მიწაზე. ველოდრის ის რაც დაწერილია ე. გოლცევის მიერ ქართული ლიტერატურაზე შედგება მისი მრავალწლიანი თავდადებული შრომისა. ის შევსარებული იყო საქართველოზე და მებრძოლ მალაღი წარმოდგენა ჰქონდა ჩვენს ხალხსა და კულტურაზე. დადგა რა ქართული ლიტერატურისა და ისტორიის დიდ სპეციალისტად ვიქტორ გოლცევი მის, ზემოაღნიშნულ გამოკვლევებში წარმოადგინა მრავალი ორიგინალური, დრმა და სწორი მეცნიერულ-ლიტერატურული მოსაზრება ქართული ლიტერატურისა და ისტორიის ცალკე საკითხებზე. ამ შრომის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მისი დიდი გამოკვლევა რუსთაველზე. გამოკვლევა რუსთაველზე ცალკე წიგნად გამოვიდა 1940 წელს, მეორეჯერ გადამთავრებული სახით 1956 წელს მოსკოვში რუსულ ენაზე. ე. გოლცევის „რუსთაველი“ უდაოდ წინსწავს რუსთაველის შესწავლის საქმეს და წინ გადადგმული ნაბიჯია რუსთაველოლოგიაში საზოგადო. „რუსთაველი“ შესდგება 7 თავისაგან, მასში დამატებულია რუსთაველის შესწავლის ისტორია რუსეთში, რუსთაველის საუკუნე, ანუ ის სო-

ცილური პირობები, რომელმაც წარმოიშვა ეფესისტყაოსანი, დაყენებულია ეფესისტყაოსნის ავტორის ბიოგრაფიის საკითხები, მოცემულია ცდა გახსნილ იქნას რუსთაველის სოციალ-პოლიტიკური მსოფლმხედველობა, დაახლოებულია რუსთაველის პუბლიცისტიკაში, გმარობა, სიუჟარული და მეგობრობა რუსთაველის გავებით და მეშვიდე და უკანასკნელი თავი მიმდინილია რუსთაველისადმი, როგორც ხელოვანისადმი. ლაპარაკი ზედმეტია იმაზე, რომ გამოცემა „რუსთაველი“ მაღალკვალიფიციურ ლიტერატურულ-კრიტიკულ ნაწარმოებია. ვ. გოლცივის „რუსთაველი“ მრავალი საყურადღებო და სწორი მოსახრება განეითარებული რუსთაველის ეპოქის და მსოფლიო პოეზიის ჯადოქარის რუსთაველის სოციალ-პოლიტიკურ თვალსაზრისთა, მისი პუბლიცისტიკის შესახებ. ახსიათებს რა რუსთაველის პუბლიცისტიკაში, ვ. გოლცივი მიდის იმ დასკვნამდე, რომ რუსთაველმა თავის მსოფლმხედველობის მოწინავეობით ბევრად გაუსწრო დიდ იტალიელ პუბლიცისტებს დანტესა და პეტრარკას, რომ რუსთაველი დიდი წინამორბედა იმ პუბლიცისტური მოძრაობების, რასაც ადგილი ჰქონდა დასავლეთ ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში, რომ იგი მწვერვალია მსოფლიო პუბლიცისტიკისა.

ვ. გოლცივმა მრავალი საყურადღებო და მეცნიერულად სწორი მოსახრება წამოაყენა მის მიერ განხილული ქართული ლიტერატურის ცილცე წარმომადგენლების სოციალ-პოლიტიკურ თვალსაზრისთა, ქართული ისტორიული პროცესის შესახებ. მის გამოკვლევათა ღრსება იმაში მდგომარეობს, რომ ის უწინარეს ყოველისა ცდილობს გამოარკვეოს ისტორიული, პოლიტიკო-ეკონომიური ვითარება, რომელშიც ამ თუ იმ ქართველ მწერალს უხდებოდა მოღვაწეობა, დაადგინოს ისტორიულ ვითარების მიერ გადასაწყვეტად დაყენებული სოციალ-პოლიტიკური ამოცანები და ამ საფუძველზე გამოიწიოს მწერლისა და მისი მხატვრული შემოქმედების იდეოლოგიური მხარის ადგილი მიმდინარე კლასობრივ ბრძოლებში. ამ სწორ მეთოდოლოგიას ვ. გოლცივი თანმიმდევრულად იყენებს და ამ მხრივ ის მართლაც სამაგალითო და მისაბამია. ის არ განიხილავს არც ერთ მწერალს და ისტორიკულ ფაქტს სოციალ-ეკონომიური ფონისაგან მოწყვეტილად. მაგრამ ჩვენის აზრით, ვ. გოლცივის კონკეპციითა საქართველოს ისტორიული განვითარების შესახებ ზოგი ამოსავალი დებულება არ წარმოადგენს სისწორეს: ის, რომ საქართველოს ისტორიაში ქართული ფეოდალებს მალაღი ფუნქცია მილიანად, როგორც წესი გამოდიოდა ყოველთვის რეაქციულ ძალად, იყო დეცენტრალისტური ტენდენცია პოლიტიკაში და, რომ საქართველოს დაცემა, მისი ძლიერების დაკარგვა მხოლოდ შინა ფეოდალურ ურთიერთობებში უნდა ეძებებოთ. ვ. გოლ-

ცივმა, მსგავსად მთელი რიგი ქართველ ისტორიკოსებისა, შინა ფეოდალური ურთიერთობანი ჩასთვალა საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური დაქვეითების ძირითად მიზეზად. ვ. გოლცივმა ვაიხარია ის ფართოდ მხარდაჭერილი დებულება ჩვენს ისტორიოგრაფიაში, რომ ფეოდალიზმმა და ფეოდალური ურთიერთობათა საფუძველზე აღმართულმა შინათანამშობლებმა დასაჯა საქართველო და დაუქარგა მის დამოუკიდებლობა. არც ერთი ეს მოსახრება არც თეორიულად და არც ფაქტობრივად სწორი არ არის. ქართული ისტორიული პროცესის მკვლევარს მეთოდოლოგიურად არ ჰქვს უფლება განიხილოს ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობიდან, განიხილოს საქართველოს ისტორია მოწყვეტილად საერთაშორისო მოვლენებისაგან, ან ჩათვალოს ქვეყნის გარეთ მიმდინარე დიდი ისტორიული პროცესები რაღაც მეორე ხარისხიდან ფაქტად საქართველოს ისტორიული განვითარების მიმართ. მეთოდოლოგიურად და ფაქტობრივად უფაოა, რომ საქართველოს ისტორიის კანონზომიერებათა დადგენა არ შეიძლება დააყრდნო მხოლოდ შინაურთიერთობებს, ისინი ჩათვალა ქვეყნის ისტორიული განვითარების კანონზომიერებათა ძირითად, ერთადერთ განმსაზღვრელ ფაქტორად. თუ თეორიული, ანტირეალური თვალსაზრისით მიუდგებიან საკითხს არ შეიძლება საკმაოთ იყოს დებულება, რომ ყოველი წარმოების წესი მონათმფლობელური იქნება იგი თუ ფეოდალური, თავის თავში შეიცავს დაბრისხიარებულ სოციალურ ძალთა ბრძოლას, პროგრესული, რევოლუციური სოციალური ელემენტების ბრძოლას რეაქციონერთან და, რომ ეს ბრძოლა რეალურად არა რეაქციონერს შორის ბოლოს და ბოლოს გზას უხსნის სოციალ-პოლიტიკური განვითარების ახალ საწყისებს, ქვეყნის დაბალი სოციალური საფეხურიდან მაღალზე გადასვლას. ასე მოხდა ფეოდალიზმის პირობებში ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში. ფეოდალიზმს არც ერთი მათგანის პოლიტიკური დამლა და ეკონომიური დაქვეითება არ გამოუწვევია. მამ რაშია საქმე, რატომ საქართველოში გამსჭვებულ ისტორიულ პროცესთან გვაქვს საქმე, რატომ საქართველომ ფეოდალიზმის პირობებში პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ ერთიანობიდან პოლიტიკური განვითარების მაღალი დონიდან, რაც საჩუქარი იყო სხვა ქვეყნებისათვის იმდროს, პოლიტიკური დეცენტრალიზმისაგან დაეშვა, სახელმწიფოებრივად დაიშალა და ეკონომიურად დაქვეითდა ჩვენ ამის შესახებ ვადაბრით იმ აზრისა ვართ, რომ შინაგანი ურთიერთობის თვალსაზრისით საქართველოს ასეთი ისტორიული პერსპექტივა გამორიცხული იყო. ქართულ ცენტრალიზმებზელი მონარქიის ორ საუკუნოვანი არსებობის ფაქტი, რუსთაველის პოეზია, ევროპული აღორ-

ძინების ხანამდე დიდად აღრე პემანისტურ-რენესანსული იდეოლოგიის წარმოქმნა-განვითარება ჩვენი ლაპარაკობენ იმაზე, რომ მამონაე საქართველოში ვითარდებოდა ისეთი ეკონომიკური ურთიერთობა, რომელსაც არ შეეძლო ქვეყანა არ გადაეყვანა საზოგადოებრივი პროგრესის ახალ გზებზე და საბოლოოდ არ განემტკიცებია ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ერთიანობა. და თუ ეს არ მოხდა, არ მოხდა იმიტომ, რომ საერთაშორისო კონიუნქტურა, ქვეყნის სავაჭრო პირობები ჩამოყალიბდა საქართველოსათვის მეტად უარყოფითი ფაქტორის სახით. მეცამეტე საუკუნის ორმოციანი წლებიდან თითქმის ექვსი საუკუნის მანძილზე საქართველო აწარმოებდა განუწყვეტელ ომებს გარეშე, ძლიერ შტრებთან და მათ ბლოკებთან. საქართველოს ისტორიის ერთი ძირითადი თავისებურებათაგანი ის არის, რომ საუკუნეთა მანძილზე შეიღო რბივ სახელმწიფოებრივი გავრთიანებანი შეუწყვეტელ დამპყრობელურ ომებს აწარმოებდნენ საქართველოს წინააღმდეგ და მისიწრაფოდნენ გაენადგურებინათ ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებელი არსებობა. ამ მისიხად და შეუპოვარმა ბრძოლებმა გამოიწვია რა განვითარებული სავაჭრო-სასაქონლო ურთიერთობათა მოშლა, ეკონომიკის ნატურალიზაცია, ქვეყნის შიგნითავე შექმნა პირობები რევრესისა, პოლიტიკური დამოუკიდებლობისაგან სწრაფვისა თვით ქართველთა შორის. გარდა იმისა, რომ გარეშე შტრები თავს ახვევენ საქართველოს პოლიტიკური დეცენტრალიზაციის პოლიტიკის დასაუწყებელი რომა და ის გარემოება, რომ საქართველოს შიგნით პოლიტიკური დეცენტრალიზმისაგან მსრბოლავი სოციალური ფენებს გაძლიერება, ასეთი შინატენდენციების აღვირახსნა და მათთვის ძალის მიცემა გარეშე დამპყრობთა საუკუნეების მანძილზე აქტიური დეცენტრალისტური პოლიტიკის გატარება იყო საქართველოს მიმართ, პოლიტიკისა, რომელსაც უკრ კიდევ მონლოღმა დამპყრობელებმა ჩაუყარეს საფუძველი მეცამეტე საუკუნეიდანვე და არა შედეგი ქართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკისა და შინა ეკონომიკური განვითარების გამოწვეული აუცილებლობა. თუ არა საქართველოს თავს რისხვად დატეხილი საერთაშორისო ურთიერთობანი, დასწყენებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს პროგრესული ძალები უკვე გამარჯვებული იყო დეცენტრალისტურ ტენდენციებთან ბრძოლაში და თუ შემდეგ ეს ძალები ექვსი საუკუნის მანძილზე სისტემატურად ითრგუნებოდნენ ქვეყანაში, ამაში გადამწყვეტი იყო ჩვენი ქვეყნის შტრება პოლიტიკური ტენდენციები ქართული პოლიტიკურ-ცენტრალიზმის წინააღმდეგ. საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობის დამლა შედეგი იყო კოლოსალური ძალის აღმოსავლეთის დესპოტებთან უთანაბრო სისხლისმღვრელი არა ერთ

და ორ საუკუნოვანი ომებისა, რამაც ჩვენი ხალხის ეკონომიკის წართევა საქართველოს ერთიანობის ბაზად გახდომის უნარი და ცხადია ასეთ პირობებში მეოთხამეტე საუკუნის ბოლოსათვის საქართველოს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა თუ არა განებორკილებინა რუსეთზე ორიენტაციის პოლიტიკა. ვრეკლე მეორეს გენიოსად სწორედ იმაში მდგომარეობის, რომ მან ზუსტად გაერკვა რთულ ქართული ისტორიულ ვითარებაში და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქვეყნის შიგნით არავითარი ბაზისი არ არსებობდა საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისა, მისი ფიზიკურად მოსპობის საშინოებრივი გადარჩენისა და, რომ საქართველოს სხვა შეიძლებოდა მხოლოდ გარეშე ძალის გამოყენების გზით და მან მტკიცედ აიღო სამეფო პოლიტიკის კურსად—რუსეთთან შეერთება.

ვ. გოლცევის გამოკვლევებში მეცხრამეტე საუკუნის ჩვენი მწერლების შესახებ ბევრი საყურადღებო, სწორი ორიგინალური მოსარებებია გამოთქმული, რითაც ღრწ წაწეულია მათი ლიტერატურული შემეყიდვების სწორად შემეცნებისა და ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი როლის დადგენის საკითხი. ამ მხრად ურთაღდეგან იმსახურებს ვ. გოლცევის შეხედულებანი ი. ჰავეკავაძის შემოქმედების შესახებ. ილია ჰავეკავაძე დიდი და რთული პიროვნებაა. მისი მოღვაწეობის შესახებ დღემდე ქართულ საბჭოთა მეცნიერებაში ერთმანეთთან დაპირდაპირებული მოსაზრებანი არსებობს. აღსანიშნავია, რომ ვ. გოლცევი ილია ჰავეკავაძის ლიტერატურული და პუბლიცისტური შემეყიდვების დამოუკიდებელი შესწავლის საფუძველზე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბატონყმობის დაცემის პერიოდში ილია ჰავეკავაძის მხატვრული შემოქმედებისა და პუბლიცისტის იდეოლოგია რადიკალ-დემოკრატიულია, რომ იმ პერიოდში ი. ჰავეკავაძის რეკოლუცია საზოგადოებრივი განვითარების ბუნებრივ ფორმად მიანია (გვ. 262). იხილავს რა ბატონყმობის დაცემის პერიოდში ი. ჰავეკავაძის მიერ შექმნილ მხატვრულ ნაწარმოებთ ვ. გოლცევი აღიარებს, რომ ისინი ანტიბატონყმური დემოკრატიული ლიტერატურის შედგერებია. ამ ნაწერებში ვ. გოლცევის სამართლიანი აზრით მხილებულია ბატონყმობა და ცარიზმი, როგორც მთავარი რეაქციული, საზოგადოებრივი პროგრესის შემეფრბებული ძალები. უნდა ვთქვათ, რომ ეს მეტად შინაშენლოვანია დებულებანი გამოკვლევაში ი. ჰავეკავაძის შესახებ საკმაოდ დამაჯერებლადა არგუმენტირებული. ამრიგად ვ. გოლცევი არ იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ ილია ჰავეკავაძის მხატვრული ნაწერები და პუბლიცისტია ბატონყმობის დაცემის პერიოდში შემამულურ ბატონყმობის იდეოლოგიის მტარებელია. სამწუხაროდ ვ. გოლცევი დიდად გაყენა

გ. წერეთლის სამი დასის თეორიისა, რასაც ის რიგ შემთხვევაში ცალკე წყაროსა და ლიტერატურულ პუბლიცისტური ფაქტის არასწორ შედარებაში შეიხვეწა. ამ არ არის შესაძლებლობა ცხადყოფიერად გ. წერეთლის სამი დასის თეორიის არამეცნიერულობა. ვადაქრით უნდა განვაცხადოთ, რომ წერეთლისეული ვაგება მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში მიმდინარე ლიტერატურულ-იდეოლოგიური ბრძოლებისა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ბრძის მიმდინარეობათა კლასიფიკაცია და მათი დასახითება მეცნიერულ საფუძველს მოკლებულია. საინტერესო გამოკვლევაში აჯაკი წერეთლის შემოქმედების შესახებ ნათელიყოფილია, რომ აჯაკი მხატვრული სიტყვის უბადლო ოსტატია, რომ აჯაკი წერეთლის შემოქმედება გაყვანილია მოწინავე რევოლუციურ-დემოკრატიული თვალსაზრისით, რომ აჯაკი მგზნებარე დამცველია მშრომელთა ინტერესებისა, რისი ერთი გამოხატველთაგანია, სამართლიანად აღნიშნავს გოლცევი, აჯაკის აღტიკება 1905 წლის რევოლუციით.

ზრავალ საუბრადღებო შენიშვნებს აკეთებს ვ. გოლცევი ე. ნინოშვილის მოღვაწეობის შესახებ, მისი ცალკე მოთხრობების შესახებ. მაგრამ ვ. გოლცევის გამოკვლევა ე. ნინოშვილის შესახებ ხასიათდება წინააღმდეგობებით. ამ გამოკვლევაში ერთი მხრივ ეგნატე ნინოშვილი ჩაჯვალდა პროლეტარული ლიტერატურის წინამორბედად, მეორეს მხრივ აღნიშნულია, რომ ე. ნინოშვილის ნაწერებში არ ჩანს სოციალური პერსპექტივა, რომ ეს ნაწერები არ არის მატარებელი რევოლუციური იდეოლოგიის, რომ მხოლოდ როგორც გამოჩაყლის მოთხრობა „ხუცელას თავისი ზეე“ (1892) ეხვდებით ვადაქრით გატარებულ ბრძ რევოლუციური ბრძოლის შესაძლებლობისა და მიზანშეწონილია. ვ. გოლცევი ფიქრობს, რომ ე. ნინოშვილი იდეოლოგიურად შესამე დასის უმრავლესობის პოზიციებზე დგას, რომ ის არ არის თანამედვერული რევოლუციონერი და მიახლოებულია მარქსიზმთან (გვ. 355). რასაკვირველია არც ერთი ეს მოსაზრება პირველის გამოკვლევით ეგნატე ნინოშვილის შესახებ სწორი არ არის. საწუზაროდ, ვ. გოლცევი ეგნატე ნინოშვილის შესახებ დგას იმ მოსაზრებათა გავლენის ქვეშ, რომელიც ზეეში ქართულ პოლიტიკურ ლიტერატურასა და კრტიკაში აღორძინდა 1935 წლის შემდეგ. ასეთი არა სწორი მოსაზრებანი ე. ნინოშვილის შესახებ დღესაც გავრცელებულია ქართულ საბჭოთა მეცნიერებაში. ქართული ლიტერატურის სასკოლო სახელმძღვანელოებში. აი რას ეკითხულობთ ჩვენ ერთ-ერთ მათგანში „თვით ეგნატე ნინოშვილის ბრძოლების, მისი მსოფლმხედველობის ევოლუცია ხალხისნიბიდან მარქსიზმისაკენ, ზემოდ განხილულ მოთხრო-

ბათა წერის დროს ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული. ამიტომ ამ მოთხრობებში „ეკტორი, ხალხისნიბი პოზიციებიდან... მარქსიზმისაკენ“ ნაღწიანად წასული, მაინც არ იყო ამაღლებული რევოლუციური მარქსიზმის მოძღვრებადღე-წილობილია, რომ „შესამე დასი“ ეგნატე ნინოშვილის სოციალური ეკონომიზმის, ლეგალური მარქსიზმის ნიადაგზე იდგა.

თუ ყოველგვ ეამს გავითვალისწინებთ, ვასაგები ვახდება ის ვარემოება, რომ ნინოშვილის მხატვრულ შემოქმედებაში ეერ ვებდებ შემთავა კლასის. ამიტომაც წყაროს, რომელიც თავის თანამედვერული სოციალური სინამდვილეს მამარად მამხილებელი საღებავებით ხატავს, მაინც ვერ სახავს გამოსავალს, ცხოვრების ვარდაქმნისა და ვანახლების ნათელ პერსპექტივას“. 1 ვინც დაეკრებებით და ყოველმხრივ შეისწავლით ე. ნინოშვილის პრაქტიკულ-პოლიტიკურ მოღვაწეობას, მის მხატვრულ და პუბლიცისტურ ნაწერებს, პირად მიმოწერას, მეშუარულ ლიტერატურას ეგნატეს შესახებ ის დარწმუნდება იმაში, რომ ხსენებული მოსაზრებანი ნინოშვილის მსოფლმხედველობის, მისი ადვილის შესახებ ჩვენს რევოლუციურ განმანათლებელთაგან მომართობაში და ქართულ ლიტერატურაში მოკლებულია საფუძველს, ვალბა. პირველადი წყაროების შესწავლა ცხადყოფს, რომ ეგნატე ნინოშვილმა ვანიცადა ევოლუცია რევოლუციური დემოკრატიული იდეოლოგიიდან რევოლუციური მარქსიზმისაკენ, რომ ის ვახდა რევოლუციონერი მარქსიტი და რომ ამ ფაქტმა მის მხატვრულ-პუბლიცისტურ ნაწერებში და პრაქტიკულ მოღვაწეობაში ჰყო თავისი გამოსახულება. საესებით ფანტასტიურია დებულება, რომ ე. ნინოშვილის ნაწერებში არ არის მოცემული სოციალური პერსპექტივა. თავი, რომ დავანებთ სხვას, ვანა რომან „ჯანჯი გურიამი“ ნათლად არ ჩანს ავტორის დემოკრატიულ-რესპუბლიკანური იდეოლოგია, ის რომ ე. ნინოშვილი შეურრეგებელი მტრია ცარიზმისა და ბატონყმობის; მის პუბლიცისტიაგამა ვანა ნათლად არ სჩანს, რომ ე. ნინოშვილმა რევოლუციური დემოკრატიიდან ვაკეთა ევოლუცია არა ჰერეუაზიული ლიბერალიზმისკენ, არამედ პროლეტარული სოციალიზმისაკენ; ე. ნინოშვილის მხატვრული ნაწერებისა და პუბლიცისტის ანალიზი ვანა ნათლად არ ვეუბნება იმას, რომ ეგნატე კამბალიზმის ამოლოვტი არასოდეს არ ყოფილა. მისი პრაქტიკულ-რევოლუციური მოღვაწეობა ვანა იჭუთვენ არ იყო მიმართული, რომ შეიარაღებინა ქართული განმანათლებელთაგან მომართობა რევოლუციური მარქსიზმით; ამ მოღვაწეობის ანალიზი

1 იხ. „ქართული ლიტერატურა“, გვ. 125, 1958 წ.

განა იმას არ გვეუბნება, რომ განმანათლებლებელი მოძრაობის სულად და გულად ის ცნობდა მუშათა კლასს და, რომ პრაქტიკულ-სახოგადობებრივ მოღვაწეობაში ეგნატეს არავითარი ეკონომიზმისა და ლეგალ მარქსიზმის მსგავსი რამეებისათვის მხარი არ დაუჭერია და რომ ის იმის ცდაში იყო, რომ გადაეყვანა განმანათლებლებელი მოძრაობა რევოლუციურ მარქსისტულ საწყისებზე და ეწარმოებინა მარქსიზმის პროპაგანდა მშრომელთა მასებში. მართალია ამ გზაზე მას არ დასცალდა გაეშალა თავისი მოღვაწეობა, მაგრამ ცხადია, რომ არავითარი რეფორმისტულ-ობორტუნისტული ტენდენციები ჩვენი განმანათლებლებელი მოძრაობის ამ დიდ ფიგურას ცხადია არ ჰქონია.

ეს არის მოკლედ ის შენიშვნები, რასაც იფ-

გვეს ვ. გოლცევის გამოკვლევა ენიშნულია შესახებ.

საბჭოთა პოეტებიდან ვ. გოლცეს დაწერილებით განხილული აქვს ჩვენი გამოჩენილი პოეტის სიმონ ჩიჭოვანის პოეზია: აქ არ შევჩერდებით ჩვენ იმის შესახებ, თუ როგორ მაღალ შეფასებას დებულობს ვ. გოლცევის გამოკვლევაში ს. ჩიჭოვანის პოეტური ქმნილება.

დასასრულ უნდა შევნიშნოთ, რომ ვ. გოლცევის წიგნის რუსული გამოცემა დიდი დადებითი და მისასალმებელი ფაქტია იგი უდაოდ ხელს უწყობს ჩვენი ლიტერატურის გაცნობას საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნების მკითხველთა შორის, ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციის მსოფლიო ასპარეზზე.



## რუსი და ქართველი რევოლუციონერი დემოკრატები ისტორიაში ხალხის მასების როლის შესახებ

მარქსამდელ ფილოსოფიაში და სოციოლოგიაში დიდი ადგილი უკავიათ რუს რევოლუციონერ დემოკრატებს — გერცენს, ბელინსკის, დობროლინს, ჩერნიშევსკის და სხვ.

XIX საუკუნის დიდმა რუსმა მოაზროვნეებმა წამოაყენეს და დაასაბუთეს მთელი რიგი პრობლემები ბუნებისა და საზოგადოების შესახებ, მათ შორის ისტორიაში ხალხის მასებისა და პროცესების როლის საკითხიც. აღნიშნული საკითხის დაყენებაში და გადაჭრაში რევოლუციონერმა დემოკრატებმა დიდად გაუსწრეს წინ დასავლეთ ევროპის მოაზროვნეებს.

ამ სტატიაში ჩვენ აგრეთვე მოკლედ შევხებით ქართველი სამოციანელების — ი. ჰევქიაძის, გ. წერეთლისა და ნ. ნიკოლაძის შეხედულებებს საზოგადოებრივ განვითარებაში მშრომელი მასებისა და პროცესების როლის შესახებ, რუსეთის პროგრესული ფილოსოფიური და სოციალ-პოლიტიკური აზროვნება მკიდროდ იყო დაკავშირებული ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები ხალხების, კერძოდ, ქართველი ხალხის მოწინავე წარმომადგენლების თეორიულ აზროვნებასთან.



დიდი რუსი დემოკრატების — ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკისა და დობროლინის რევოლუციონერ-დემოკრატიული შეხედულებები ჩამოყალიბდა უპირველეს ყოვლისა XIX საუკუნის 40-50-იან წლებში რუსეთში გლეხთა მოძრაობისა და 1848 — 1849 წ. წ. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მომხდარი რევოლუციური გამოსვლების გავლენით. მათი მსოფლმხედველობის შემუშავებაში დიდი როლი ითამაშა აგრეთვე რუსეთისა და დასავლეთ ევროპულმა საზოგადოებრივმა აზრმა. ბელინსკიმ, გერცენმა, ჩერნიშევსკიმ და დობროლინებმა შეითვისეს და კრიტიკულად დამუშავეს ყველა ის საუკეთესო, რაც კი მოგვეცა რუსეთისა და დასავლეთ ევროპის მოაზროვნეებმა ისტორიაში, ფილოსოფიაში, პოლიტიკურ ეკონომიკაში და სოციალიზმის თეორიაში.

რუსი რევოლუციონერი დემოკრატების დიდი მნიშვნელობა უკერ ერთი, იმაში მდგომარეობს, რომ ისინი არიან რუსეთის სოციალ-დემოკრატიის წინამორბედნი და, მეორე, თავიანთ შრო-

მებში და რევოლუციურ მოღვაწეობაში იძლევიან თვითმპყრობელური წყობილების წინააღმდეგ თავგანწირული ბრძოლის აღმაფრთოვანებულ მაგალითს.

გ. ი. ლენინი წიგნში „რა ვაკეთოთ?“ იძლევა რევოლუციონერი დემოკრატების იდეური ტრადიციების კლასიკურ განსაზღვრას: „მოწინავე მებრძოლის როლის შესრულება შეუძლია მხოლოდ ისეთ პარტიას, რომელიც მოწინავე თეორიით ხელმძღვანელობს. ხოლო რამდენადმე მაინც კონკრეტულად რომ წარმოიდგინოს მეთაურება, თუ რას ნიშნავს ეს, მოიგონოს რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ისეთი წინამორბედი, როგორც იყვნენ გერცენი, ბელინსკი, ჩერნიშევსკი და 60-იანი წლების რევოლუციონერთა ბრწყინვალე პლეადა“ (გ. ი. ლენინი, თხ. V, გვ. 461 — 462).

სწორედ რევოლუციონერ-დემოკრატიული მიზანსწრაფვა ისხვავებს გერცენს, ბელინსკის, დობროლინს და ჩერნიშევსკის ყველა მარქსამდელი ფილოსოფოსისა და სოციოლოგისაგან.

რუსეთის იმდროინდელი ეპოქა რომელშიც მოღვაწეობა უხდებოდათ რევოლუციონერ დემოკრატებს, განაპირობებდა გარკვეულ ამოცანის, კერძოდ, თვითმპყრობელური რეჟიმის დამხობის, ბატონყმობის მასობრივ ამოცანის დაყენებას. ამ დროს პროლეტარული რევოლუცია დღის წესრიგში არ იდგა, ვინაიდან პროლეტარიატი ისიც იყო ისახებოდა. ამიტომ გერცენის, ბელინსკის, დობროლინისა და ჩერნიშევსკის მოღვაწეობა განისაზღვრებოდა რუსეთის თვითმპყრობელურ-ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ ბრძოლით. ამით იყო გამოწვეული ის, რომ რევოლუციონერი დემოკრატები გლეხების ინტერესების გამოშაბტველები იყვნენ. სწორედ გლეხობა იყო ამ დროს ერთადერთი რევოლუციური კლასი. მაგრამ ისინი გლეხთა მასების უბრალო უფროსელებს როდი წარმოადგენდნენ. რევოლუციონერი დემოკრატები XIX საუკუნის 40-60-იანი წლების რუსეთის გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ნამდვილი ბელადები იყვნენ. ისინი ხალხს ამხედრებდნენ თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი

მოვლენების გაგებისას გერცენი საბოლოოდ იდეალისტურ თვალსაზრისზე იდგა, იგი მაინც სოციალიზმის რაც საკითხებს მატერიალისტური პოზიციებიდან წყვეტდა. ისტორიის ძირითად მიმართავებელ ძალად გერცენი ხალხის მასებს, შრომელ კლასებს თვლიდა. „ხალხები, — წერდა იგი ჯერ კიდევ სტატიამი „ლიტერატურაში მეცნიერებაში“, — რაღაც საცოდავი რამ იქნებოდნენ, რომ ისინი თავის ცხოვრებას თვლიდნენ მხოლოდ ერთ საფეხურად უცნობი მომავლისაკენ. ისინი მებარგულეებს ემსგავსებოდნენ, რომელთა ხედვრია მხოლოდ ტვირთის სიმძიმე და გზის სიძნელე, ოქროს საწმისი კი, რომელიც მათ მიაქვთ, — სხვებისა არის“ (ა. გერცენი, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, 1953 წ., ტ. I, გვ. 125).

გერცენი ბუნებისა და საზოგადოების განვითარებას იხილავს როგორც კანონზომიერ პროცესს, ამასთან საზოგადოებრივი მოვლენების ახლის დროს დგას ისტორიზმის თვალსაზრისზე: ყოველ მოვლენას განიხილავს მისი წარმოშობისა და განვითარების ეტაპების მიხედვით. ისტორიაში ხალხის მასების ვადამწყვეტი როლის თვალსაზრისით უდგება იგი პიროვნების როლის საკითხს. დიდი პიროვნების სიძლიერე იმაში მდგომარეობს, თუ როგორ გამოხატავს იგი ხალხის მისწრაფებებსა და ინტერესებს. „He зная народа, — წერს გერცენი, — можно притеснять народ, кабальить его, забавлять его, но освобождать нельзя... Только тот, кто, призванный к деятельности, поймет быт народа, не утратив того, что ему дала наука, кто затронет его стремления и на осуществление их оснует свое участие в общем земском деле, тот только и будет женихом грядущим“ (А. Герцен, Соч., т. XV, стр. 181).

გერცენი ხელოვნებისა და ლიტერატურის ხალხურების მგზნებრივ დამკვეთს. მას ვერ წარმოუდგენია ხელოვნების განვითარება ხალხურობის გარეშე. მისთვის ცხადია, რომ ნამდვილი ხელოვნება მხოლოდ ხალხური შეიძლება იყოს. გერცენის აზრით, ხელოვნებისა და ლიტერატურის დაცემა მაშინ იწყება, როცა ისინი მოწყვდიან ხალხურ ცხოვრებას, თანამედროვეობის მოთხოვნილებებს და ჩაიკეტებიან ვიწრო ჩარჩოებში რეაქციული ლოზუნგით — „ხელოვნება ხელოვნებისათვის“. გერცენი თავს ესხმის ამ რეაქციულ, ანტიხალხურ „წმინდა ხელოვნების“ თეორიას.

გერცენის დიდი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ სხვა რევოლუციონერ დემოკრატებთან ერთად იბრძვის ხელოვნებაში დადებითი გმირისათვის, ასეთ დადებით ტიპს წარმოადგენს ხალხის ინტერესებს, მისი სიბრძნისა და მწუხარების გამოხატულება გმირი. გერცენი მისი ხელოვნება ლიტერატურაში ახალი, რეალისტური მიმართულების დამკვიდრებას,

რომლის ძირითადი მიზანია თვითმპყრობელური რეჟიმის მხილება, რევოლუციონერ ელფეხის, შემანიშნისა და თავისუფლების ელფეხების.

ბელისისათვის საზოგადოების ისტორია — ეს არის უბრაველეს ყოვლისა ხალხის მასების ისტორია. წარმოდგენილია რომელიმე ისტორიული მოვლენა ხალხის მონაწილეობის გარეშე. გამოდიოდა რა ფეოდალური არისტოკრატისა და ლიბერალური ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომლებიც უარყოფდნენ შრომელების როლს, ბელისი წერდა: „Люди которые презирают народ, видя в нем только нечеловеческую и грубую толпу, которую надо держать постоянно в работе и голоде, такие люди теперь не стоят возражений: это или глупцы, или негодяи, или то и другое вместе“ (В. Белинский, Полное собр. соч., т. XI, стр. 162). ხალხი — ეს არის „почва, хранящая жизненные соки всякого развития: личность — цвет и плод этой почвы“ (Очерки по истории философской и общественной — политической мысли народов СССР, т. I, 1955 г., стр. 512).

ბელისის ბრძოლა ლიტერატურასა და ხელოვნებაში რეალიზმის დამკვიდრებისათვის უშუალოდაა დაკავშირებული ხელოვნების ხალხურობისათვის ბრძოლასთან. მისი აზრით, ვინაიდან ხელოვნება და ლიტერატურა სინამდვილეს ასახვენ, ამიტომ ვრ უნდა შეიზღუდოს საზოგადოების გარკვეული წრეების, კერძოდ, მაღალი არისტოკრატის ჩვენებით. „Природа, — წერდა ბელისი, — вечный образец искусства а величайший и благороднейший предмет в природе — человек“ (В. Белинский, Полное собр. соч., т. XI, стр. 95). „А разве мужик не человек? — კთხულობს იგი. Но что может быть интересного в грубом, необразованном человеке? — как что? — его душа, ум, сердце, страсти, склонности, — словом, все то же, что и в образованном человеке“ — „ასეთობს ბელისი (ივევ). ეს ციტატა მტრუველებს, თუ როგორი სიმპათიით იყო გამსჭვალული ბელისი „უბრალო“ აღმანათლებლისადმი. ბელისი გლინკას მუსიკის ეველზე ძლიერ მხარეს სწორედ მის ხალხურობაში ხედავდა.

ბელისი მწერლებისა და პოეტებისაგან მოითხოვდა იმდროინდელი რუსეთის სინამდვილის სწორ ასახვას, იმის ნათლად ჩვენებას, თუ რით იყო გამოწყველილი ხალხის სოციალური უბედურებანი, ამასთანავე ყოველგვარი უსამართლოს წინააღმდეგ მებრძოლი შრომელების მხარდაჭერასა და დამსარებას.

დიდი რევოლუციონერმა მოაზროვნემ გამოაშკარადა „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ თეორიის ცრუმეცნიერული, ანტიხალხური ხასიათი, რაც მდგომარეობდა საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან ხელოვნების მოწყვეტასა და მის გადაქცევაში რაღაც წმინდა, განყენებულ ხე-

ლოცვებზე, რომელიც თავის საკეთიარსებო მიზნით ცხოვრობს, ბელისისათვის ხელგუნება — ეს საზოგადოებრივი ცხოვრების რვეოლუციური გარდაქმნის საუკეთესო საშუალებაა. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს მისი ნაწარმოებები, რომლებშიაც წითელ ზოლივით გასდევს თვითმპყრობელური წყობილების წინააღმდეგ შეურთგებელი ბრძოლის პრინციპი.

რუსი რვეოლუციონერი დემოკრატების სოციოლოგიური და ესთეტიკური შეხედულებანი გამსჭვალულია დრმა ისტორიული ოპტიმიზმით, ისტორიის ნამდვილი შემოქმედის — ბახისადმი რწმენით.

მშრომელი მასების როლის გარკვევისას რვეოლუციონერი დემოკრატები გამოდიან საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერი სასიათიდან. დობროლუბოვი პეტრე I რეფორმების შეფასების დროს გამოდიოდა იმ სწორი დებულებიდან, რომ ეს რეფორმები წარმოადგენდა ბუნებრივ მოვლენას, კანონზომიერ პროცესს და გამოწვეული იყო რუსეთის ისტორიული განვითარების აუცილებლობით. ბახის ისტორია ცალკეული პიროვნებების თვითნებობაზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ გაბირობებულია საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებებით, — აღნიშნავდა დობროლუბოვი. ნ. უსტრიალკოვის ნაშრომის — „პეტრე დიდის მეფობის პირველი წლები“ — ძირითადი მანქა დობროლუბოვი იმაში ხედავს, რომ ავტორი მთავარ ყურადღებას აქცევს პიროვნების როლს ისტორიაში. „Если автор — წერდა დობროლუბოვი, — не намерен входить в рассмотрение народной жизни, рассказывая дела своего героя; если он хочет представить исторического деятеля одного на первом плане, а все остальное считает только принадлежностями второстепенными, аксессуарами существенно ненужными; в таком случае он может составить хорошую биографию своего героя, но никак не историю“ (Н. Добролюбов, Полн. собр. соч., т. III, стр. 120). დობროლუბოვი ისტორიკოსისაგან მოთხოვს არა ცალკეულ პიროვნებათა ბიოგრაფიების, არამედ ბახის ისტორიის წერას. „История занимается людьми, — აღნიშნავს იგი, — даже и великими, только потому, что они имели важное значение для народа или для человечества“ (იქვე).

აღნიშნულ საკითხზე რუსი რვეოლუციონერი დემოკრატების შეხედულებებში უდიდესი როლი ითამაშეს მარქსისტული სოციოლოგიაში. ამ შეხედულებებში ნათლად გამოსკვივებს მატერიალისტური ტენდენცია საზოგადოებრივი ცხოვრების ურთულესი საკითხების გადაწყვეტის დროს.

მატერიალისტური ტენდენცია ყველაზე ნათლად ჩანს ჩერნიშევსკის შეხედულებებში. საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენების ას-

ნისას ჩერნიშევსკი ცდილობს ურადღებო ვაგონებში გაეგონოს ურთიერთობებზე, როგორც ძირითად ურთიერთობებზე. ჩერნიშევსკი ადამიანური ბუნების გადაწყვეტის პრობლემას მატერიალური მოთხოვნილება წარმოადგენს, ძირითადი საზოგადოებრივი მოთხოვნილება მატერიალური საზოგადოებრივი მოთხოვნილება და პირველი რიგში მშრომელ მასების მოთხოვნილება. მშრომელი მასები, — წერდა ჩერნიშევსკი, — წარმოადგენენ პროგრესის მამოძრავებელ ძალას, მიუხედავად იმისა, რომ ისინი დაბეჩავებული არიან ფეოდალური და ბურჟუაზიული წყობილებით. ჩერნიშევსკი ამტკიცებდა, რომ ძლიერი მშრომელ ის მისწრაფებანი, მყარია ის დაწესებულებანი, რომლებსაც მხარს უჭერენ მშრომელი მასები. იგი გაბატონებული ბურჟუაზიული სოციოლოგიისა და ისტორიოგრაფიის ძირითად ნაკლს სწორედ ყოფაცხოვრების მატერიალური პირობების უვლელბელოვანობა ხედავდა. ხოლო მატერიალური პირობები თამაშობენ „едва-ли не первую роль в жизни, составляющих коренную причину почти всех явлений“ (Н. Чернышевский. Полн. собр. соч. т. III, стр. 357).

ჩერნიშევსკის ლიტერატურულ-კრიტიკული მოღვაწეობა — ეს არის კაცობრიობის ესთეტიკური აზრის განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი ჩერნიშევსკიმ დაიკვა ყოველგვარი ხელყოფისაგან ბელისის კრიტიკული მიმართულება ლიტერატურასა და ხელოვნებაში და შემდგომ განავითარა იგი. მან უარყო ჰეგელის იდეალისტური ხელოვნების თეორია. წინააღმდეგ ჰეგელისა, რომელიც თვლიდა, რომ ხელოვნება ეს არის აბსოლუტური სულის განვითარების ეტაპი, აბსოლუტური სულის „განკერძობის“ სტადიაში, ჩერნიშევსკი გამოდის მატერიალიზმის ძირითადი დებულებიდან — მატერიის პირველადობისა და ცნობიერების მეორადობიდან. მაშინ როდესაც ჰეგელი ხელოვნების ძირითად ამოცანას ადამიანის აბსოლუტური მშვენიერებისაგან მისწრაფების დაკავშირებაში ხედავს, როცა ხელოვნება თავის საბოლოო მიზანს თავის თავში აღწევს და არა მის გარეთ, რვეოლუციონერი დემოკრატისათვის ძირითადია ადამიანი, როგორც ინდივიდუალური არსება, რომლისთვისაც სინტერესოა ინდივიდუალური მშვენიერება როგორც სინამდვილეში, ასევე ხელოვნებაში, რომ მშვენიერება სინამდვილეს კი არ უნდა მოეწყვიტოს, არამედ მასში უნდა დავიხიხოთ. მშვენიერება ობიექტურია, იგი თვით სინამდვილეს საკუთრებაა. ჩერნიშევსკი მოითხოვს ხელოვნების პრაქტიკულ ამოცანებთან დაკავშირებას, მისი ჩაყენება მშრომელი მასების სამსახურში. ხელოვნების მიზანი, ჩერნიშევსკის მიხედვით, არა მარტო ამა თუ იმ საზოგადოებრივ მოვ-

ლენის ასახეა, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნაცა.

ანიჭებდა რა ხელოვნების მნიშვნელოვან როლს უცხოეთის მომავლისათვის მშრომელი მასების შევსებული ბრძოლის მომზადებაში, ჩერნიშევსკი ლტერატურისა და ხელოვნების შექმნის ძირითად ამოცანად თვლიდა ხალხთა ზედნიერებისათვის მოწინავე მებრძოლთა ჩივილებში ჩადგომას.

ვ. ი. ლენინი ჩერნიშევსკის ნაწარმოებების შესახებ წერდა, რომ ეს ნაწარმოებები კლასობრივი ბრძოლის სულისკვეთებით არის გამსჭვალული. იგივე ითქმის დობროლუბოვის შესახებაც. დიდი რუსი რევოლუციონერი დემოკრატებიდან ვველაზე ნათლად ჩერნიშევსკი და დობროლუბოვი გამოიხატეს მშრომელი მასების, კერძოდ, გლეხების რევოლუციური ბრძოლის მნიშვნელობა თვითმპყრობელების დამხობაში. როგორც თანმიმდევარი რევოლუციონერი დემოკრატები, დობროლუბოვი და ჩერნიშევსკი ამჟღავნებენ ლიბერალებს, რომლებიც მაღალადგობის სიტყვებით ლაპარაკობენ ადამიანის მაღალ მისწრაფებებზე, ზნეობრივ ნორმებზე, ხოლო საჭმით ხალხის ინტერესების წინააღმდეგ გაბოდინ, შოთხობენ რეფორმებს და ხალხის მასების აქტივობისა ეწინააღმდეგებიან დემოკრატები დობროლუბოვი და ჩერნიშევსკი, — წერდა ლენინი, — სამართლიანად დასცილონდნენ ლიბერალებს რეფორმისტების გამო, რომლებსაც მუდამ სარჩულად ედო მისწრაფება მასების აქტივობის შექცევისა და შემშლელთა პრივილეგიების ნაწილის შენარჩუნებისა, როგორც, მაგალითად, გამოყოფა და სხვ.“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. XIX, გვ. 68).

წინააღმდეგ სოციალ-დემოკრატებისა, რომლებიც მშრომელ მასებში ვერ ხედავდნენ საზოგადოების აქტიურ გარდაქმნელ ძალას, რუსი რევოლუციონერი მოაზროვნეები თვლიდნენ, რომ მხოლოდ მშრომელ მასებს, კერძოდ, გლეხობას შესწევს უნარი დაამხოს ძველი საზოგადოებრივი წყობა და შექმნას ახალი.

დობროლუბოვი აკრიტიკებს დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატებს, რომლებიც პროლეტარიატში (პროლეტარიატს დობროლუბოვი უწოდებს) მშრომელ ადამიანს სურათოდ — ა. მ.) ხედავდნენ მხოლოდ ტანჯულ მასას, პასიურ მსხვერპლს. დაბეჩავებული მასები, მათი ვაგებთი, დამოკიდებული არიან ცალკეულ გამოჩენილ პიროვნებების კეთილგანზრახულ ინიციატივაზე.

მშრომელი მასების შემოქმედებითი ძალები-სადმი რწმენა, რწმენა იმისა; რომ ხალხებს შესწევთ უნარი აქტიური მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო მმართველობის სისტემაში განასხვავებს რუს დემოკრატებს მარქსადმი სოციალ-ოგებისაგან. მშრომელ მასებს, აღნიშნავდა დობროლუბოვი, უფლება აქვთ არა მარტო აქტიური მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებ-

რივ ცხოვრებაში, არამედ ახალი საზოგადოებრივი ორგანიზაციის შექმნის უნარაც გაახსნათ. მისი აზრით, მხოლოდ დემოკრატული რესპუბლიკა ისეთი წყობა, რომელიც ხელს შეუწყობს ხალხის მასების ყველგვარი ინიციატივისა და ნიჭის გამოვლას.

დიდი რუსი რევოლუციონერი დემოკრატები საბოლოოდ მიიწვევდნენ უტოპური სოციალიზმის თვალსაზრისზე იღვწენ. მათ ვერ დაინახეს პროლეტარიატი, ის ერთადერთი რევოლუციური ძალა, რომელსაც შესწევდა ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობის დამხობის და ახლის შექმნის უნარი. მაგრამ რევოლუციონერი დემოკრატების უტოპური სოციალიზმი განსხვავდება დასავლეთ ევროპის უტოპისტების შეხედულებებისაგან, კერძოდ, მათი სოციალისტური იდეები შერწყმული იყო რევოლუციური იდეებთან. ძირითადი განსხვავება, რაც ამ ორ მიმდინარეობას შორის არსებობდა, ეს იყო ის, რომ რუსი მოაზროვნეები კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისზე იღვწენ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რევოლუციონერ დემოკრატებს და, კერძოდ, დობროლუბოვისა და ჩერნიშევსკის არ მოეცათ და არც შეეძლოთ მოეცათ კლასთა ბრძოლის დამთავრებული თეორია. ეს ამოცანა პროლეტარიატის ზედადგმა მარქსმა და ენგელსმა შესარქულეს. რევოლუციონერი დემოკრატების — ბელიუსის, გერცენის, ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი დაჩაგრულ მასის თვითმპყრობელური წყობილების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ.

რუსი რევოლუციონერი დემოკრატების ფილოსოფიური და სოციალ-პოლიტიკური იდეები შეითვისეს და განავითარეს ჩვენი ქვეყნის სხვა ეროვნებების პროგრესულ მოაზროვნე მწერლებში, მეცნიერებმა, საზოგადო მოღვაწეებმა, სწორედ ბელიუსის, გერცენის, ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის სახელოვან ტრადიციებზე აღიზარდნენ ქართველი განმანათლებლები — ი. ჰავეჯიანი, ვ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე და ბევრი სხვ.

ქართული სამოციანელები, რუსი დემოკრატების კვლავაცა, იბრძოდნენ მეცნიერებაში იდეალიზმისა და მისტიკის წინააღმდეგ, ლიტერატურისა და ხელოვნებაში რეალიზმის დამკვიდრებისათვის, საზოგადოებრივი ცხოვრების პროგრესული გარდაქმნისათვის.

ი. ჰავეჯიანი, ვ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე და სხვ. მძალდ იდეოლოგიურ ბრძალაში ანეთიზარდნენ მატერიალისტურ მონატიკულბას და მოწინავე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზრს კონკრეტულ ისტორიულ პირობებთან შეფარდებით. ქართული სამოციანელების უდიდესი ისტორიული დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მათ რუს რევოლუციონერ დემოკრატებთან ერთად და რუსეთის სხვა ეროვნების მოწინავე წარმომადგენლებთან ერთად

წამოაყენეს და გადატრეს მთელი რიგი უმნიშვნელოენესი თეორიული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური საკითხები.

როგორც ცნობილია, XIX საუკუნის 60 — 70-იანი წლების საქართველოში საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითად საკითხს ეროვნული განთავისუფლების საკითხი წარმოადგენდა. მკრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ იგი დამოუკიდებელი იყოს, ეს საკითხი დაკავშირებულია სოციალური განთავისუფლების, „შრომის ახანის“, როგორც ილია იტყვობდა, დიად საქმესთან. ეროვნული და სოციალური მოტივების ერთიანობა წარმოადგენს ქართველი მოაზრებულებების მოღვაწეობის ძირითად დამახასიათებელ ნიშანს. ეროვნული საკითხის პირველ პლანზე წამოიწევა გამოიწეველი იყო ობიექტური პირობებით: საქართველო დამოუკიდებელ მდგომარეობაში იყო და რუსეთის კოლონიის წარმოადგენდა აქედან ვასაგებია ქართველი დემოკრატების მოღვაწეობის ასეთი ხასიათი.

ილია ჭავჭავაძე პირველი იყო, რომელმაც გააჩნდა პოლიტიკური და ლიტერატურული ბრძოლა ცარიზმისა და ბატონყმობის წინააღმდეგ 60-იანი წლების საქართველოში. თავის მრავალმხრივ მოღვაწეობაში იგი ხალხის და უპირველეს ყოვლისა გლეხობის სახელით და მისი ინტერესების დაცვით გამოდის. 1883 წელს „ივერიისში“ ი. ჭავჭავაძე წერდა „ხალხი, უბრალო გლეხობა — ეს უმრავლესობა ქართველებისა, (არის) სული და გული ზვევის ეროვნულის იმედებისა“. იგი თვლიდა, რომ ვინაიდან გლეხობა ქართველი ერის საუკეთესო ტრადიციების მატარებელი, ამიტომ ისაა ძირითადი ძალა, რომელსაც უნდა შეესწავს ცარიზმის კოლონიური რეჟიმის დამახობისა და თავისუფლების მოპოვების უნარი.

ი. ჭავჭავაძე დიდ თანაგრძნობას უწყევს იმ დროს მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში წარმოებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და „ივერიის“ ფურცლებზე ეხმარება მას. იგი ეჭომავება კუბელი, ჩეხი, კენძელ კრიტის ხალხების ბრძოლას ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

შავკასიად ყველა მარქსადელი სოციალოგიისა და ისტორიოგრაფისა, ი. ჭავჭავაძე ისტორიის ახსნის დროს საბოლოოდ იდეალისტურ თვალსაზრისზე დგას — ისტორიის მამოძრავებელ ძალად ცოდნას, მეცნიერებას თვლის. მკრამ ეს სრულიად არ ნიშნავს რომ მას არ ჰქონდეს მთელი რიგი დებულებების სწორი მეცნიერული გადაწყვეტა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ითქმის პირველ ყოვლისა ხალხის მასების როლის საკითხის გადაწყვეტის დროს. დე. ერისთავისადმი მიწერილ წერილში ილია წერს: „ამ „აზრადღმა“ ტყავი ვამაძრო. ისტორიულს ნაწილზედ.. შევდებ და ერთობ ბოჯი წინ ვერ წყავდელ.. ეგ ოსები რეენი ისტორია.. მარტო ომების და შეფეების

ისტორიაა, ერი არსადა სნანს, მე კი ისეთი აგებულების ადამიანი ვარ, რომ შეფეებისა და ომების სახე არ მიზიდავს ხოლმე. სასმე ხალხია და ხალხი კი ზევის ისტორიაში არა სნანს ვწუხვარ და ვდრტინავ და ვაწკითხვა არსაით არის“ (ი. ჭავჭავაძე, წერილები, სოხუმი, 1949, გვ. 35). სწორედ აქედან გამომდინარეობს ჭავჭავაძის მატერიალისტური ტენდენცია ისტორიული მოვლენების ახსნის დროს.

ენის შექმნელება, მის დამფუძნებლად ი. ჭავჭავაძეს ხალხი მიანია. „ენის დამფუძნებელი ხალხია“ — აღნიშნავდა იგი. ახალი სალიტერატურო ქართული ენის შექმნის ძირითად პირობად იგი სწორედ ხალხურ ენას თვლის: ქართული ენაში პირტი ზედავდა ხალხის სასიოცხლო ძალას, კულტურის საფუძველს.

ი. ჭავჭავაძის აზრით, მეცნიერება და ხელოვნება ხალხის ცხოვრების გამოზატველია, იგი ხალხის კულტურებაა. პრესის ძირითად მიზანს ილია მშრომელში სწავლა-განათლების, მეცნიერების დანერგვაში ხედავდა „არის დრო და საზოგადოება, — ვერდა ილია, როცა ეურონალგაზეთობა, განსაკუთრებით თუ არა, უმთავრესად მაინც მარტო მას მისდევს, რომ აღზარდოს საზოგადოების ჭკუა და გონება, გაეწმინდოს აზრი და გრძნობა, აალორძინოს საზოგადოების თვითონქმედებითი ძალა და ხალხის თვითნობისა“ (ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. IX, გვ. 18).

მეტად საინტერესო აზრს ავითარებს გ. წერეთელი ისტორიაში ხალხის მასებისა და პიროვნების შესახებ თავის შეხედულებებში. წინააღმდეგ სუბიექტივისტებისა, რომლებსაც ისტორიაა ცალკეულ გამოჩენილ პიროვნებათაგან-სურვილის განხორციელებად მიანდათ, გ. წერეთელი ამტკიცებს ყოველი ისტორიული მოვლენის ცხოვრების პირობებით, ობიექტური პირობებით განპირობებულობას. „ცხოვრების პირობებსა, — წერს იგი, — წარმატება ყოველთვის თვითონ გაიკვალავს გზას და ვინც ამ გზას (ბრძოლით) მიჰყვება... მთელიცხლად ახალი ცხოვრებაც მისცენ ობამს პირს“ (ციტატა მოყვანილია მ. გაფრინაშვილის წიგნიდან — გ. წერეთლის მსოფლმშეველობა, 1955, გვ. 236). გ. წერეთლისათვის საზოგადოების ისტორია არა შეფეებისა და კანონმდებლების ისტორიაა, არამედ ადამიანების, ხალხის მასების ისტორიაა. ისტორიოგრაფიის საგანია „ერის ფეკებისა და ძირების ცხოვრების მიმდინარეობა“. „ხოლო ისტორიაში პიროვნება იმედნადაა მნიშვნელოვანი, რამდენადაც სწორად გაიგებს ხალხის ინტერესებს და საზოგადოებრივი მოძრაობის მოთხოვნებებს.

წ. ნიკოლაძე საზოგადოებრივი მოვლენების ახსნის დროს ცალკულ შემთხვევებში და კტრძოდ, ისტორიაში მასებისა და პიროვნების როლის შეფასებისას, მძლავრად ამფლავებს საზოგადოებრივი ცხოვრების მატერიალისტურ

გაგებას. ბუნებასა და საზოგადოებაში, ამტკიცებს იგი, არსებობს ობიექტური კანონზომიერება. აღნიშნავს ბედნიერების საწინდარია ამ კანონზომიერებათა შექმნება. „...თვითონ კაცია თავის ბედის გამწვობი, — წერდა, ნ. ნიკოლაძე, — თუ იმან ვაივო ბუნების თვისება და ამ თვისების შესაფერად ვაიმართა ცხოვრება, ის ბედნიერი იქნება. სანამ ამას არ მოახერხებს, საბრალო და გაჭირვებულ მდგომარეობას ვერ სცილდება“ (ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 41). ამ გატარებულა ბუნებისა და საზოგადოების გარდაქმნის ბრწყინვალე აზრი. მაგრამ აღნიშნული აზრი ნ. ნიკოლაძეს თანმიმდევრულ რევოლუციურ დასკვნამდე ვერა მოიყვანა. მისი აზრით, დრომოქმედი საზოგადოებრივი ურთიერთობების შეცვლა იდეალური, სამართლიანი საზოგადოებით შესაძლებელია დემოკრატიულ-პროლეტარული იდეების პროპაგანდით, ხალხში განათლების შეტანით.

ნ. ნიკოლაძე მკაცრად აკრიტიკებს იმ ისტორიკოსებს, რომლებიც გამოჩინულ პიროვნებებს ისტორიის მთავარ შემოქმედ ძალად ხატავენ. პიროვნების ვერაფერითა სიშმავე, აღნიშნავს იგი, სიმამაცე, ეშმაკობაც კი ვერ გამოიწვევს ხალხის მასების მომართობას ისე, თუ ხალხში, ანდა უკიდურეს შემთხვევაში, მის უმრავლესობაში, არ იმალება უკმაყოფილების ელემენტები. მხოლოდ მაშინ აქვს პიროვნების მოქმედებას ფასი, როდესაც ხალხი ვაივებს, რომ მის უკმაყოფილებასა და პიროვნების მოქმედებას შორის არსებობს განუყრელი, ძირითადი კავშირი.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ნიკოლაძეს თავისი მატერიალისტური აზრებიდან არ გამოუტანია რევოლუციური დასკვნა. საერთოდ ქართველ სამოციანელებს ასეთი დასკვნები არ გაუკეთებიათ. ეს გასაგებია, ვინაიდან, უკრ ერთი, ომდროინდელ რუსეთში და მით უმეტეს საქართველოში არ არსებობდა მუშათა კლასი. რომელსაც უნდა დაეარსებოდა

ნენ ისინი და, მეორე, ქართველი განმანათლებლები მოწვევით იყვნენ ცენტრში სტატიური გამოსვლებისაგან. მიუხედავად ამისა, ქართველი სამოციანელების სოციალ-პოლიტიკურმა შეხედულებებმა დიდი როლი შეასრულეს, რადგან ამ შეხედულებებმა გაზარდეს ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნება.

• •

მართალია, დიდ რუს მოაზროვნე დემოკრატებს ბევრი პროგრესული შეხედულება ჰქონდათ ისტორიული მოვლენების ახსნის დროს, მაგრამ ისინი საზოგადოებრივი განვითარებას კანონების გაგებისას ბოლოს და ბოლოს იდეალიზმის პოზიციებზე იდგნენ: საზოგადოების პროგრესის ძირითად ძალად ცოდნას, განათლებას თვლიდნენ. მათი გაგებით, პროგრესი და მოქმედებელი იმანვე, თუ როგორი სრულყოფილი იქნება ცოდნა, რომელზედაც თითქმის და მოყვანილია მრეწველობა, პოლიტიკა და, საერთოდ, ყველა საზოგადოებრივი მოვლენა.

ე. ი. ლენინის სიტყვები გერცენის შესახებ ყველა რევოლუციონერ-დემოკრატზე ვრცელდება გერცენი, ბელანკი, ჩერნიშევსკი და დობროლინოვი მკიდროდ მიადგნენ დიალექტიკურ მატერიალიზმს და შეჩერდნენ ისტორიული მატერიალიზმის წინაშე.

ძირითადი მიზეზი, რამაც განაპირობა საზოგადოებაზე რუსი დემოკრატების იდეალისტური შეხედულება, მდგომარეობდა ომდროინდელი რუსეთის საზოგადოებრივი ურთიერთობების არასაკმარისი განვითარებაში, მათ კლასობრივ შეზღუდულობაში. ეს მით უმეტეს ითქმის საქართველოს საზოგადოებრივ ეკონომიურ ურთიერთობებზე. მაგრამ მთავარი, რაც დემოკრატებმა და ქართველმა სამოციანელებმა დინახეს, ეს იყო ხალხი, მშრომელი მასები, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითად მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ.



# ბახტრიონის გვირუკი ეპოქის 300 წლისთავის გამო

რუსთაველ დამპყრობთა წინააღმდეგ ქართული ხალხის მრავალსაუცუენოვანი ბრძოლის ისტორიაში 1659 წლის სახალხო აჯანყებებს განსაკუთრებული ადგილი უკავია. ამ ისტორიულმა მოვლენამ დიდი როლი ითამაშა საქართველოს სოციალ-ეკონომიურ განვითარების გარკვეული ხანით წარმართვისა და ქართველი ხალხის ეროვნული სახის შენარჩუნების საქმეში.

ქართველი ხალხის ბრძოლა ჩამორჩენილი, ბარბაროსული აღმოსავლეთის წინააღმდეგ უოცელთოვან პროგრესის საქმეს ემსახურებოდა და ამ შეურთებულ ბრძოლას ღრმა სოციალური და ეკონომიური მიზეზები ჰქონდა. (ქართული სოციალ-ეკონომიური სისტემა დაკუმირებული იყო ფეოდალური მიწის-მფლობელობის განვითარებულ ფორმებთან და ემყარებოდა ინტენსიურ სოფლის მეურნეობას. იგი გაცილებით უფრო სოცოცხლისუნარიანი და მომავლის მქონე იყო, ვიდრე აღმოსავლური მიწისმფლობელობა თუ მეურნეობის ექსტენსიური, მოშობარულ-ნომადური და სხვა ჩამორჩენილი ფორმები.) ძველი ქართული წყაროები აშკარად ასტვებდნენ ამ ორ სოციალ-პოლიტიკურ სისტემას და პირველის აღსანიშნავად ხმარობდნენ ტერმინს „ქართველობა“, ხოლო მის საპირისპიროდ, მეორის აღსანიშნავად „ათარობას“, „ყიზილბაშობას“, „ოსმალბაშა“-„უშუშობას“ და სხვ. (საქართველოში „ოსმალბაშა“-„ყიზილბაშობის“ დამყარება მოასწავებდა სოციალურ და ეკონომიურ რეგრესს, კულტურულ დაქვეითებას და ბარბაროსული ფეოკური ნორმების გაბატონებას. ეს იყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ საქართველო შეურთებულ ბრძოლას აწარმოებდა აღმოსავლეთის სახელმწიფოების წინააღმდეგ.)

ამავე იყო საქართველოს მდგომარეობა XVI—XVII საუკუნეებში, როდესაც მას უშუალოდ დაუპირისპირდა ორი უძლიერესი აგრესიული სახელმწიფო — ყიზილბაშური სპარსეთი და ოსმალეთი.

1587 წლიდან ირანის სახელმწიფოს სათავეში შაჰ-აბას I დგება, რომელმაც მთელი რიგი ღონისძიებებით შეძლო ოსმალეთის მიერ დამალული ქვეყნის ფეხზე წამოყენება. ირანის ენერგიულმა მმართველმა თავისი ყურადღება

კავკასიისაგან მოშართა და აქტიურად შეუდგა აქ თავისი დაკარგული პოზიციების აღდგენას. კავკასიაში ფეხის მტკიცედ მოკიდების მიზნით ყიზილბაშის დამპყრობელი აქაური სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური წყობის მოშლას და ქართლ-კახეთის სამეფოების ყიზილბაშურ სახანოებად გარდაქმნას აპირებდა.

1614 წლიდან შაჰი გადაწყვიტა შეტევად გადმოვიდა თავისი გაანადგურებელი შემოსევების დროს იგი უშეაყრეს ზომებს მიმართავდა: ანგრევდა სასახლებებს, ციხეებს, ეკლესიას-მონასტრებს, სამეურნეო ნაგებობებს; მისი ბრძანებით ინეგებოდა ბაღ-ვენახები, თუთის ზეგები, ივლიტებოდა ქართველი გლეხკაცობა. ეს იყო უსასტიკესი „ეკონომიური ომი“, რომლის დროსაც დამპყრობელი ცდილობდა წელში გაეტეხა ქვეყანა ეკონომიურად, საფუძველი გამოეცალა ქართული სოციალ-პოლიტიკური სისტემისათვის, მოეშალა, „ქართველობა“ და მის მაგივრად „ყიზილბაშობა“ დაემკვიდრებინა. მარტო კახეთმა ამ უთანასწორო ბრძოლაში 100 ათასზე მეტი კაცი დაკარგა მოკლულთა სახით, ხოლო მალაიკებით აიღუნეე (40 ათასი კომლი) გადასახლებულ იქნა ირანის შიდა რაიონებში.

მტრის ასეთი რადიკალური ღონისძიებებს მიუხედავად გმირი ხალხი გასაოცარ სიმტკიცეს და შეურთებლობას იჩენდა. გადაწყვიტა შებრძოლა მარტო ყოფილი და მარაბდიის ომები იყო, რის შემდეგაც წელში ვატეხილ „ირანის ლომს“ თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანა უკვე აღარ შეეძლო. ირანის სამეფო კარი იძულებული შეიქმნა შეეცალა თავისი პოლიტიკა.

შაჰ-აბასი კარგად იცნობდა ქართლ-კახეთის სამეფოების შინაგან მდგომარეობას და ამიტომ იგი ქართლისა და კახეთის შიშართ განსტავებულ პოლიტიკას დაადგა. როგორც ჩანს, ქართლში მას უფრო ეგულბოდა თავის მიზნის მისაღწევად დასაყრდენი ძალები, ამიტომ აქ ამიერკავკასიელი ცდილობდა ნელ-ნელა, მოჩვენებითი დათმობებით და ადგილობრივი ფეოდალური ძალების დაქსაქსებით ეს ქვეყანა სრულ მორჩილებაში მოეყვანა.

თავიანთი ახალი პოლიტიკით ყიზილბაშები ქართლში თანდათან წარმატებას აღწევდნენ.

ქართლში არსებული სათავადოთა სისტემა და დამატული შინაგალსობრივი ბრძოლა მათთვის მეტად ნიჟიერ ნიადგავ წარმოადგენდა...

კახეთის მიმართ კი ირანის სამეფო კარი რადიკალური ღონისძიებების გატარების გზას დაადგა. კახეთის მოსახლეობის ერთიანად ამოწყვეტასა და ამოგდებას არა მარტო შაჰ-აბას I აძირებდა; ასეთი განზრახვის განხორციელება მისმა მემკვიდრეებმაც დაისახეს მიზნად. როგორც ჩანს, ირანის დსაყრდენი ძალები, კახეთის ფეოდალურ საზოგადოებაში უფრო ნაკლები იყო, ვიდრე ქართლში.

როგორი იყო კახეთის სამეფოს საზოგადოებრივ ძალთა სოციალური სახე აღნიშნულ პერიოდში? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა აუცილებელია კახეთის მიმართ სპარსეთის პოლიტიკის ასახვად და 1659 წლის სხალხო აჯანყების მთელი რიგი საკითხების ვადასაწესებრად.

აღნიშნული პრობლემა საქართველოს ისტორიის დღეისათვის შეუსწავლელ საკითხთა რიცხვს ეკუთვნის, მაგრამ ერთი რამ კი აშკარაა: კახეთის ფეოდალური საზოგადოება ბევრი რამით განსხვავდებოდა ქართლისა და დას. საქართველოს ფეოდალური ურთიერთობის ფორმებისაგან. ჯერ მარტო ის ფაქტი, რომ კახეთისათვის უცნობი იყო სათავადოთა სისტემა, რაც ასე დამახასიათებელია საქართველოს სხვა ნაწილებისათვის, უკვე ბევრი რამის მოქმედი. აქ შევედგებით მოკლედ წარმოადგინოთ კახეთის სამეფოს სოციალ-ეკონომიური დახასიათება XVI—XVII საუკუნეებში.

პირველ რიგში უნდა შევხედოთ კახეთის მწარმოებელი საზოგადოების (გლეხობის) სოციალურ დახასიათებაზე, რადგანაც იმ დიდი შეტრიალებული ბრძოლების სიმძიმე, რასაც კახეთი აწირებდა ყიზილბაშთა დამპყრობელთა წინააღმდეგ მთელი XVII საუკუნის მანძილზე და თვით 1659 წლის სხალხო აჯანყება, კახეთის გლეხობამ თავის ზურგზე გადაიტანა.

ისტორიული საბუთები, რომლებიც XVI—XVII საუკუნეების კახეთის გლეხობის სოციალური მდგომარეობის შესახებ ცნობებს შეიცავდნენ, ჩვენამდე ძალიან მცირე რაოდენობითაა მოღწეული. ეს გარემოება, რატომ უნდა, ძალიან აძნელებს ამ საკითხის შესწავლას, მაგრამ ჩვენ ზელო არსებული მასალით მაინც შეიძლება გარკვეული წარმოდგენის შექმნა XVI—XVII საუკუნეების კახეთის გლეხების სოციალურ მდგომარეობაზე.

(გლეხობა აქაც ისევე, როგორც საქართველოს სხვა ნაწილებში ძირითადად ორ სოციალ-ეკონომიურ კატეგორიად იყოფოდა: მსახურებად და მოყალნეებად.) კახეთის ამ პერიოდის საბუთებში ჩვეულებრივ ვხვდებით ასეთ განმარტებას: „ვიგულოთ და ეიგულისმოდგინეთ თა ერთობილთა თქუენთა უმათა, მკურდრთა

და ახლად-მსახლობელთა, მსახურთა და მოყალნეთა ყოველთავე მალი ამოუკუეთეთ“. ან „...როგორც კვლავ ემსახურნოთ მსკვე მსახურონ და საწირავი მიატანონ... მსახურთა მათ, მოყალნეთა და ამა ზეენის ბრძანების მშლელი არავინ გვიბრძანებია“... და სხვა. მსახურნიცა და მოყალნენიც ერთიანი სოციალური კლასის, ფეოდალურად დაქვემდებარებული მწარმოებელ-მიწისმომკმელთა კლასის წარმომადგენლები არიან. ფეოდალები გლეხების მასასთან დასაპირისპირებლად იძულებულნი არიან შეინარჩუნონ გლეხთა უფლებრივად განსხვავებული ჯგუფები და ხელი შეუწყონ კიდევ მათ უფეთრ გამაჯუნას. ამას გარდა, მეზღონეს თავისი ფეოდალური მოვალეობის შესრულებისათვის და, განსაკუთრებით, მეტრნეობის გაძლოისა და საფეოდალოში ფეოდალური დისციპლინის განმტკიცებისათვის ესაპირებოდა საკმაო რაოდენობის ერთგული პირები თვით გლეხებიდანაც. ასეთ ფუნქციებს ძირითადად ასრულებენ „მსახურები“.

„მსახურთა“ ფენა სხვა მიწისმომკმელ-მწარმოებლებთან ერთად გლეხთა ერთიან კლასში შედიოდა, მაგრამ სხვა გლეხებისაგან (მოყალნეებისაგან) განსხვავებით მას უფრო პრივილეგირებული მდგომარეობა ეკავა, სამსახურიც უფრო საპატიო ედო და საბატონო გამოცემისაგან (ყალანისაგან) მთლიანად ან ნაწილობრივ იყო განთავისუფლებული.)

(მსახურზე დაკისრებული სამსახური სხვადასხვა ხასიათისა იყო. უმთავრესად — ბატონის ხელბა-მოლაშქრეობა, მიხელოება და საბატონო მეტრნეობის გაძლოისა სხვადასხვა დამხმარე ფუნქციების შესრულება. ამის მიხედვით მსახურნი კახეთში იყოფოდნენ შემდეგ განსხვავებულ ჯგუფებად: ა) მლბელ-მოლშქრეობა, ბ) მოხელე გ) მეზბატონის პირად მეტრნეობის და ხელოვნების მიმსახურენი. ამთგან სამხედრო მოვალეობა ედოთ მხოლოდ პირველებს (მლბელ-მოლშქრეებს), ხოლო მიხელენიცა და შესამე ჯგუფის მსახურნი სამხედრო ბეგრისაგან გათავისუფლებული იყუნენ.)

უმა-მიწისმომკმელთა უმრავლესობა მე-16-17 საუკუნეების კახეთის სამეფოში „მოყალნეებისაგან“ შედგებოდა. მოყალნეები, ისევე როგორც მსახურნი, იყუნენ სამეფო-სახსო, საბატონო ან საეკლესიო ყმები. მათი აღწინშეული სახელი „მოყალნი“—დაკავშირებული იყო სიტყვასთან „ყალანი“ და ნიშნავდა ყალანის გადამხდელს. ყალანი გვიანშუასაუკუნეების საქართველოში ზოგადად საგლეხო ნატურალურ გამოსაღებს აღნიშნავდა. იგი ვჭვდებოდა როგორც კახეთის, ისე ქართლის საბუთებშიც, მაგრამ ქართლში მას ისეთი ფართო მნიშვნელობა და საყოველთაო გავრცელება არ მიუღია, როგორც კახეთში. კახეთში ეს ტერმინი,

როგორც ჩანს, ქართლის „ბეგარის“ (ან უფრო ზუსტად „თავი — ბეგარის“) ანალოგიურად იხმარებოდა და ამ ტერმინიდანვე იქნა ნაწარმოები (როგორც ქართლსა და დას. საქართველოში ბეგარის მიხედვით — „მებეგარე“ გლეხი) „მოყალნე“.

მოყალნეთა სოციალური მდგომარეობის და საბატონო ვალდებულებების შესასწავლად საინტერესო ცნობებს შეიცავს ერეკლე II-ის მიერ შედგენილი ე. წ. „კახეთის ბაგების გარიგების“ წიგნი. ეს წიგნი ძირითადად შეეხება ქიზიყსა და სხვა სამეფო-სახასო სოფლებს, მაგრამ მოყალნეთა გადასახადების განსაზღვრის პრინციპი კახეთის სხვა სოფლებშიც ასეთვე იყო.

პირველი, რასაც აღნიშნული დოკუმენტი ხაზს უსვამს, ის გარემოება, რომ თითქმის ყველა გადასახადი მოყალნეს შეეწერება მის მიერ მოწვეული მოსავლის მიხედვით. „ქ. ქიზიყის გამოსავლისა საბატონოსი, თუ სამორიავოსი და ან სხვა მოხელისა ძველად გვანაც ასე განწესებული ყოფილა და ახლა ჩვენც ასე გვიბტანებთა და გავგვიანლებთა, რომ საქორწილო და საადამო უკვლას შედლებით შეეწერებოდა. აქვს კოლი პერო მოყალნეს კაცს საბატონო ყველას შეძლებით შეეწერებოდა...“ 1.

ჩვენამდე მოღწეულია რამდენიმე დოკუმენტი, რომელიც საშუალებას გვაძლევს შევადაროთ ზემოთმოყვანილი მოყალნეთა სავადსახადო ვალდებულებების განწესების წესი უფრო ადრე, კერძოდ XVI—XVII საუკუნეებში, არსებულ წესს. 1593 წ. კახთა მეფე ალექსანდრე II-ემ ჭიჭიბის მორთავის უღუფის რიგში მოყალნების სამორთავო გადასახადი ისეთივე წესით („შემოღებით შეაწერა“) განუწესა, როგორც XVIII საუკუნის ზემოთაღნიშნულ წიგნში გვაქვს.

„...ჩუენ მეფემა კელმწიფემან ბატონმა ალექსანდრე ასრე გაუჩინეთ, რომე ასმა კუამღლან შემქონე მორთავს ერჩიოს შინ ჩაიყუნოს და ერჩიოს მთელი უღუფა მისცეს, ამას ქუედამა ასმა კუამღლან კუამან ექუს-ექუსი შური მისცეს და ასმან კაცმან კიდევ სამ-სამი შური მისცეს და სხუამ ამის ვარეთ რაცა კაცი ვადაჩრეს, ზემოსქიონი იქნების, ამას ჩამოხსნას — არა ზედა აქსს“ 2... აქ, როგორც ეხებოდა, მოყალნეთი სავადსახადო ვალდებულების მიხედვით თან ჯგუფად არიან გაყოფილნი და ამ დაყოფის საფუძველად მათი „შეძ-

ლება“ არის აღებული. ასეთი პრინციპი რომ მართო სახასო მამულს და არც მართო სახორაგო გადასახადს არ ედო საფუძველად კარგად ჩანს სხვა საბუთების ცნობებითაც. ძირითადი საბატონო გადასახადი — ყალანი — ასეთი („შეძლების“) პრინციპით იყრიფებოდა და მოყალნეც ამის მიხედვით იყოფოდა და სოციალ-ეკონომიურად განცალკევებულ ჯგუფებად. მოციბანთ მხოლოდ ერთ საბუთს.

ბოქალთუბუტეცს გორჯასაში ზალიშვილს ერთგულად უმსახურია ერეკლე I-სთვის და რადგანაც მას შემკვიდრე არა ჰყოლია (თუთონ უშეილო იყო, ხოლო მშობი დაყარგული ჰყავდა ტყუევობაში), მეფისთვის თხოვნით მიუღმაროავს, რომ ალავერდის წმ. გიორგის მკლესისისათვის შეეწირა მისი მამული. მეფეც ამტკიცებს — ალავერდის ეკლესიისადმი გორჯასპის მიმუღების და სოფლების შეწირვას. სიგელი 1675 წლითაა „ტრგ“ ქორონიკონით (ე. ი. 1675 წლით) ამ სიგელის შემტგზე დართულია რამდენიმე „დამტკიცება“. მათ შორის ერეკლე II-ის დამტკიცება და „განწესება“ 1774 წლით დათარიღებული 1.

გუჯარში ალავერდისადმი შეწირული სოფლების სავადსახადო ვალდებულებების შესახებ არაფერია აღნიშნული. ვარდისუბნელებს მათი სავადსახადო ვალდებულებების მოტსენებლობის საბაბით მოუდნომებიათ თავის აზრად გამოცხადება და ალავერდის ეკლესიისათვის სამსახური შეუწყვეტიათ. ალავერდელი ეპისკოპოსი ზენონი იძულებული გახდარა ერეკლე მეორეს ზღბუნდა და „ვარდისუბნელთა თავისის ეკლესიისა და თავისისა უმსახურობა“ შეეჩივლა. გუჯართა გასინჯვის შემდეგ გამოირკვა, რომ იქ გლეხთა გამოსაღებები კონკრეტულად მითითებული არ იყო, მაგრამ ეს არ ნიშნავდა იმას, რომ ვარდისუბნელები საბატონო გადასახადისაგან თავისუფალნი ყოფილიყვნენ, რადგან გუჯარებში და სიგელებში გლეხზე და მამულზე განწესებული საბატონო გადასახადები არ აღინიშნებოდა. ერეკლე II-ს მიწინა საქირობს დაუნახავს დაემატებინა ამ შეწირულობის სიგელისათვის ვარდისუბნელთა სავადსახადო ვალდებულებების განწესება: „რომელსაც კახეთში თავადშვილის ყმას თავისის ბატონისა და ან ეკლესიის ყმას მისაცემული ედებოდა, უცილოდ ამ გუჯარში აღწერილთ აგარაკთ და მამულთაუ მათებრ განწესება ექნებოდეთ“ 2... აღნიშნავს მეფე ურკულა და ამის მიხედვით აწესებს ვარდისუბნელთა სავადსახადო ვალდებულებებს ალავერდის წმ. გიორგის ეკლესიის სასარგებლოდ. ეს იყო აღრიდგანეე არსებული სავადსახადო ვალდებულებების ოფიციალური აღნუსხვა და განწესებაუ შედ-

1 ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. III, 1910 წ., გვ. 134.

2 ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, 1940 წ., გვ. 361—362.

გენილი იყო კახეთში საერთოდ მიღებული პრინციპის მიხედვით:

„რომელსაც ეკის ოცი სააბლენე მოუედიდეს, რომ დღეს ერთი სააბლენე ღვინო ოთხმოცი ლიტრა იქნება, ამ ოცისა და მეტიც სააბლენის მოსავლის შქონებელმან მიართვას (აღავერდის ეკლესიას) ერთი სააბლენე და ნახევარი; და თხუთმეტის მოსავლის მეპატრონემ მისცეს სააბლენე ერთი; და ათის მოსავლისამ მიართვას ოცი ლიტრა...“

კოდის პერი გამართვას წინას მოსავლის პატრონი ზუთი კოდი; მეორეს სამი კოდი და ნახევარი;

და მესამეს ორი კოდი... და სხვა. მესამსადამე, როგორც ვხედავთ აქაცამა თუ იმ კომლის საბატონო გადასახადის რაოდენობას განსაზღვრავს გლეხის მიერ მოწვეული მოსავლის რაოდენობა.

მოყალნეთა საგადასახადო ვალდებულებას განსაზღვრავდა მათი ეკონომიური შესაძლებლობა და ამის მიხედვით ესენი ძირითადად ოთხ ჯგუფად იყოფილდნენ:

1. „შემქლენი“ ანუ „დიდის მოსავლის“ პატრონი
2. „ამას ქვედაში“ ანუ „ნაყლებს მოსავლის“ პატრონი
3. მეორე შეძლების პატრონი და
4. „შეუძლებელი“ ანუ „ბევშისქინნი“.

ქართლსა და დასავლეთ საქართველოში მეზვერე გლეხების ასეთ დაყოფას ადგილი არა ჰქონდა. იქ გადასახადი ძირითადად საგლეხო ფრქვას ანუ გლეხის მფლობელობაში მყოფ მფრქვას ედო. მფრქვეი ობიანობისა და ეკონომიური განადგურების პირობებში, როდესაც გლეხის მიერ მოწვეული მოსავალი უფულ წელს არ იყო ერთნაირი, ხოლო გადასახადებს სოფელთაგან ერთნაირი რაოდენობით მოითხოვდნენ გლეხის მფლობელობაში მყოფი მიწის რაოდენობის მიხედვით დადებულ გადასახადი მისთვის ვაცილებით უფრო მძიმე იყო, ვიდრე კახეთის მოყალნეთა ვალდებულება მოწვეული მოსავლის მიხედვით. ამიტომ იყო, რომ გლეხობა ქართლიდან და დას. საქართველოდან ვარბოდა კახეთში, კახეთიდან კი ასეთი დინება დასავლეთისაკენ არ შეიმჩნევა. ამას უნდა დავმატოთ ისიც, რომ კახეთის საგლეხო მიწათმფლობელობაში განხილულ პერიოდში დიდწილად ჰქონდა შემორჩენილი სახან-სათუბი მიწების საერთო-სასოფლო-მფლობელობას. ეს შარალაია ინდივიდუალურ მეშვიდობითი უკრასთან შედარებით უფრო განუვითარებელი ფორმა იყო საგლეხო მიწის უკრისა, მაგრამ მაშინდელ ეკონომიურ მდგომარეობისა და განსაკუთრებით, პოლიტიკური ვითარების პირობებში მიწის უკრის ასეთ წესსაც ერთგვარი დადებითი როლი უნდა ეთამაშა. აქვე უნდა აღვნიშნოთ

ხანგასმით, რომ ასეთი განსხვავების მიუხედავად შწარმოებული საზოგადოება კახეთში ტიპიურად ისეთივე იყო, როგორც საქართველოს სხვა ნაწილებში და მკვეთრად განსხვავდებოდა აღმოსავლური ქვეყნების მიწისმოქმედი ფუნქციისაგან. ქართული ფეოდალური საზოგადოების მიწისმოქმედი ნაწილის პირველი საერთო ნიშანი ის, რომ იგი მიმაგრებული მიწაზე და აგრეთვე მიწაც მიმაგრებულია შწარმოებულზე. აღმოსავლეთში კი, და კერძოდ, სპარსეთის უზიზღამურ სახელმწიფოში, მიწისმოქმედი — შწარმოებლის ე. ა. რაიათის მიმაგრება მიწაზე მხოლოდ მე-17 საუკუნის ბოლოდან დაიწყო. რაიათი თავისი სოციალ-ეკონომიური მდგომარეობით მკვეთრად განსხვავდებოდა ქართული გლეხისაგან. მისთვის უცხო იყო ქართული გლეხის მსგავს სოციალ-ეკონომიურ კატეგორიებად დაყოფა (შახური, მეზვერე-მოყალნე, ახატი, ხიხანი და სხვა) და მისი ექსპლოატაციაც უფრო შტაქებულური ვხით წარმოებდა, ვიდრე ქართული გლეხისა. ცნობილია, რომ ექსპლოატაციის აღმოსავლური ფორმა (ფ. ენგელსი), რომელიც „სახაკო სისტემას“ (ე. მარქსი) ემყარებოდა. ორგანიზულად იყო დაყოფიებული აღმოსავლური ფეოდალური ურთიერთობისა და მიწათმფლობელობის ფორმებთან. ამდენად აღნიშნული პერიოდის აღმოსავლეთში გადასახადების მოკრეფა ბასკეთის ხისითის პატარებელი იყო და მკვეთრად განსხვავდებოდა ქართული საგადასახადო სისტემისაგან. ყმბისა და ბაგონის ურთიერთობა საქართველოში მკაცრად იყო განსაზღვრული „პატონუშობის რიგით“ ან „ღებულებით“. აღმოსავლეთში ფეოდალისა და გლეხის ურთიერთობის მოსაწესრიგებლად არ არსებობდა არავითარი რეგლამენტაცია. აბატონურ რიგს“ ან „ღებულებას“ ფეოდალური აღმოსავლეთი არ იცნობდა. ეს ფართო ასპარეზს უქმნიდა ფეოდალების თვითნებობას, გადასახადების განუზრებლ ზრდას. აღვირახსნილ ექსპლოატაციას“.<sup>1</sup>

რაიათის გადასახადი ფეოდალის სისარგებლად ვაცილებით უფრო მძიმე იყო, ვიდრე ქართული გლეხისა.

ასეთი მძიმე საგადასახადო ვალდებულებებს და გადასახადის აკრფის ზემოთ აღნიშნულ წესს გლეხის მეურნეობა აღმოსავლეთში სრულ განანაგებამდე მიჰყავდა. კახელი გლეხი ვერაფრით ვერ შეეცდებოდა რაიათად გადაქცევის.

კახეთის ფეოდალური კლასის დაბნითობისათვის აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას აქტური მიწათმფლობელობის ფორმება. ფეოდალური მიწათმფლობელობა კახეთში ძირითადად ისეთივეა, როგორც საქართველოს სხვა ნაწილებში. ე. ა. ემყარება მყარ სამეშვიდობო

<sup>1</sup> ე. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI— XVII საუკუნეებში, თბ., 1958 წ.

სამამულო მფლობელობას. მაგრამ კახეთში ზევ არა გვაქვს ფეოდალთა მიერ მიწის ფლობის ისეთი ფორმები, როგორც ვაბატიონეულია ქართლსა და დს. სპარსეთელი XVI — XVII საუკუნეში. ერთად, აქ ვერ განვითარდნენ სათავადოსთვის დამახასიათებელი მიწათმფლობელობის ფორმები და აქაური მიწათმფლობელობა ძირითადად ფეოდალთა ცალკეული სახლების ინდივიდუალურ მფლობელობას ემყარებოდა. I. ქართლის სათავადოებისათვის დამახასიათებელი მიწათმფლობელობა აპირებდა როგორც გლეხთა შტაკეპლურ ექსპლოატაციის განვითარებას, ისე შინაგარეობრივი წინააღმდეგობის (წინააღმდეგობანი სათავადოებსა და სათავადოში შემავალ ცალკეულ სახლებს შორის) ზრდასაც. კახეთისათვის დამახასიათებელი ფეოდალური მიწისმფლობელობის ფორმები გაცილებით უფრო მწირ ნადაგეს იძლეოდნენ ზემოაღნიშნული მოვლენების განვითარებისათვის. ✪

კახეთის ფეოდალური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი იყო ძლიერი სამეფო ზელისუფლების არსებობა. მეფე კახეთში დიდი მიწათმფლობელია. კახეთის დიდი ფეოდალები ეკონომიურად და პოლიტიკურად გაცილებით უფრო სუსტნი არიან, ვიდრე ქართლის თავადები და მათ დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოების უნარიც უფრო ნაკლებად შესწევთ, ვიდრე ქართლის დიდებულ თავადებს. დიდი მიწათმფლობელია კახეთში ეკლესია და მას ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდი წონა აქვს. ცნობილია, რომ კახეთის სამეფოდრო ერთეულებს — სადროშოების — სათავეში ებსკობისთვის იდგნენ. ეს კიდევ უფრო ასუსტებდა მსხვილ ფეოდალთა დამოუკიდებელ მისწრაფებებს და აღიერებდა მეფის პოლიტიკურ ზელისუფლებას. წერტილი ფეოდალები, აზნაურები ძირითადად სამეფო ყმები არიან.

კახეთის საზოგადოებაზე მსჯელობისას არ უნდა იქნეს დაიწყებული კახეთის მთავ. კახეთის მთიანეთი ორგანული ნაწილი იყო კახეთისა და შვიდროდ იყო დაკავშირებული ბართან. აქ, მთაში, თავშესაფარს პოულობდნენ მტრის შემოსვლეთ შეფეროვებულ ბარდებს; მთა მიუვალ ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა, სადაც ზღვოდა ძალების დაგროვება და აქედანვე იწყებოდა გადაწყვეტი შტეტვა მომზადურთა ვასადევნად. მთა ბარის ამოურბეტელ რეზერვებს წარმოადგენდა. მთის მეშვეობით იყო, რომ ზოგჯერ თითქმის მთლიანად გავრანებული და დაცარიელებული ბარის კახეთის ისე იწყებოდა მოსახლეობით და ფეხზე დგებოდა. მთავ თავის შხრივ სასიცოცხლოდ იყო

დაინტერესებული ბართან შვიდრო კავშირით. მთის მწირი ბუნება ადგილობრივ მოსახლეობისთვის საკმარ საზრდოს ვერ იძლეოდა. მთიელებს საჭირო პერ-ლეინის მარინდან უნდა შემოეტანათ. მეცხარეობა — ძირითადი დარგი იყო კახეთის მთის მოსახლეობისა. მეცხვარეობისთვის კი აუცილებელი იყო საზაშრო სამოვრები, რომლებიც მდებარეობდნენ ბარის კახეთში. სპარსელების გამატირება, განსაკუთრებით მომთაბარეთრქმანული ტომების შემოსახლება იორ-ალაზნის ველებში და მათ მიერ ნოყიერი სამოვრების დაკავება, მთის მეცხვარეობას დიდ საფრთხეს უქმნიდა. ამათი მთიელები ვერც მომზადურთა უმსგავს საქციელს და წესებს უუარებდნენ გულრილად ამიტომ იყო, რომ კახეთის განთავისუფლების საქმეში მთა უოველთვის აქტიურ როლს თამაშობდა.

როგორც ვხედავთ, ყიზილბაშებს თავიანთი მიზნის (კახეთის „გაყიზილბაშება“) მისაღწევად აქ დიდი წინააღმდეგობის ვადალახეა მოუხდებოდათ.

აღნიშნულს უნდა დავმატოს არა ნაკლები მნიშვნელობის პოლიტიკური ფაქტორი. რუსეთთან აქტიური ურთიერობთა კახეთმა წამოიწყო კერ კიდევ XVI საუკუნის ბოლოს და ეს წამოწყება კახეთის შესვერებს არც XVII საუკუნის განმავლობაში უარუყვიათ. თეიმურაზ პირველმა არაერთი ელჩობა ახლა რუსეთის მეფეს და მას საქართველოს საქმეებში აქტიური ჩარევისაკენ მოუწოდა. თეიმურაზ I-ი სპარსელების ვანდღვანს და საქართველოს გაერთიანებას რუსეთის აქტიური დამხმარებით აპირებდა. ამიტომ 1639 წელს მან თავის დიდებულებთან ერთად რუსეთის მეფის ერთგულების ფიცს მიიღო. შაჰის კარი კარგად აფასებდა ირანის მიმართ კახეთის შესვერთა ასეთ შეურიგებულ პოზიციას და იმ ვარაუგუნასაც, რომ კახეთის მართველთა მიერ რუსეთთან დაკავშირება მას კავასიიდან საბოლოოდ ფეხის ამოკვეთას უჭადა.

ყველა ამ ფაქტორმა განსაზღვრა ყიზილბაშური სპარსეთის ორგვარი პოლიტიკა ქართული სამეფოების მიმართ: ერთის შხრივ — ფართული შტეტვა (სოციალური დეშავოვია, მონევენებით დამომბა, ფეოდალების თავის მხარეზე გადაფანა და სხვ.) ქართლში და მეორეს შხრივ, გადაწყვეტი შტეტვა მოსახლეობის ამოწყვეტით და მათ ადგილას თავის ერთგულ ტომების (მაშოსახლებთ) — კახეთში.

1648 წელს შაჰის ბრძანებით ქართლის მმართველი როსტომ-ხანი დიდი ჯარით დამარა თეიმურაზის წინააღმდეგ. მისი ჯარი ძირითადად ხანების ლაშქრისა და შაჰისაგან მის დასამარებლად გამოგზავნილი ყიზილბაშებისაგან შესდგებოდა. ვაითრებული ბრძოლების მიუხედავად კახელები დამარცხდნენ. თეიმურაზი იძულებული შეიქმნა იმერეთში

1 ნ. ასათიანი, საადგილმამულო ურთიერთობისა და სათავადოების არსებობის საკითხისათვის XVI — XVII საუკუნეების კახეთი, ოსტ შკომები. ტ. 77, 1959 წ.

გადასულიყო და კახეთი როსტომმა დაიკავა, მიუხედავად იმისა, რომ ადრე წარმოებული სასტიკი „გეონომიური ომის“ შედეგად ქვეყანა ჯერ კიდევ არ იყო წელში მომავრებული, შაჰის ამ მოადგილემ მისი დამორჩილება ვერ შესძლო. კახელები არ ემორჩილებოდნენ სპარსულ ბოლშევიკთა გამტარებელ ქართლის მმართველს და თავისუფლებისათვის ბრძოლას ჯერ კიდევ წაგებულად არ თვლიდნენ. აღსანიშნავია, რომ კახური საბუთები როსტომისა და სხვა ხანების მმართველობის პერიოდს უწოდებენ „უბატონობისა“ და „მეფეობის“ ხანას, ხოლო ამ დროს ჩატარებულ სამამულო თუ სხვა ხასიათის ცვლილებებს უკანონოდ მიიხსენებენ. როსტომმა თავის მხარეზე შოლოდ ზაალ არაგვის ერისთავის და რამდენიმე კახელი ფეოდალის გადაყვანა მოახერხა. ამის სახელირად როსტომ-ხანი იძულებული შეიქმნა ზაალისთვის დაეთმო კახეთის მნიშვნელოვანი ნაწილი და კახეთის მართვა-გამგებლობა შიგ დიდი უფლებებით აღეჭურვა: „ხოლო როსტომ დაიპყრა კახეთი და მისცა ზაალ ერისთავსა ერწო-თიანეთი და ხერკი, არამედ კახელნი უმეტეს იყვნენ თვისად და ზაალისა თინა“ — გადმოგვცემს ვახუშტი ბატონიშვილი.

სპარსელების მხარეზე გადასულ კახელ ფეოდალებს დიდი პატივით იღებდნენ შაჰის კარზე. „მათ ანადირებდნენ, აღზენდნენ და ძვირფას საჩუქრებით და დიდებულ ხალათების ბოძებით განადიდებდნენ“. კახელების უმრავლესობა არ აყუდა ამ „სამართისებური ბედნიერების“ საცითურს და მოუთმენლად მივიდა თეიმურაზ მეფის უკან დაბრუნებას. თეიმურაზი ამ დროს იმერეთში იმყოფებოდა და ირანის წინააღმდეგ ძალუბს აგროვებდა. მან შესძლო დის, საქართველოს მეფე-თავარების შეკავშირება, მაგრამ ეს ძალა მას საყმაოდ არ მიაჩნდა; თეიმურაზმა თავის უფრადლებმა ისევ რუსეთისაკენ მიმართა. 1649 წ. თეიმურაზი თავისი ელჩის პართი თხოვდა რუსეთის მეფეს სამხედრო დახმარებას და 20 ათასიანი არმიის გამოგზავნას საქართველოში. მაგრამ რუსეთს ამჯერად არ შეეძლო აქტიურად ჩარეულიყო კავკასიის საქმეებში.

(რუსეთის ხელშეწყობს კახეთიდან სპარსელების განდევნას სთხოვდნენ აგრეთვე კახეთის მთიელები. 1656 წ. თუშეთი და ფშაბ-ხევსურეთი ვაერთიანდა, მოსკოვის მეფეს საერთო ელჩობა გაუგზავნა და ყიზილბაშების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება სთხოვა. უფრო გვიან, 1658 წელს მოსკოვში თვით თეიმურაზ I ჩიდას, მაგრამ ხელშეწყობის კართან მოლაპარაკებით გამოირკვა, რომ რუსეთს ჯერ კიდევ

არ შეეძლო დაეწყო ომი ირანის წინააღმდეგ. რუსეთს თვითონ ვართულებდნენ „მდგომარეობა დასავლეთის მიმართულებით“ და „სამხრეთიდანაც თურქეთი და ყირიმის ხანი ახალი შემოსევებით ემუქრებოდნენ.“)

(ირანის შაჰმა შეატყო რა რომ როსტომმა ვერ შეძლო ამ მხარის მორჩილებაში მოყვანა, ჩამოართვა მას კახეთი და სპარსელ ხანს ჩააბარა. ყიზილბაშ ხანს განსაკუთრებული ღონისძიებები უნდა ჩატარებინა. აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გამოგზავნილ იქნა სპარსელი სარდალი ალავერდი-ხანი დიდძალი სამხედრო ძალით. მათ ვეალებოდათ კახეთში თურქმანი მომთაბარე ტომების ჩამოსახლება. შაჰის ბრძანებით კახეთში აგებული იქნა ციხეები და შიგ შეაყენეს მეციხოვნეები. ამით მომხდურს სურდა უზრუნველყო შემოსახლებელთა უშიშროება. მალე 15 ათასზე მეტი ოჯახი თურქმანი იქნა ჩამოსახლებული ალაზანი-იერის ნაყოფიერ ველზეში. (თურქმანებმა დაიკავეს შიდა კახეთი, გარე კახეთი და გლამხარის კახეთის დიდი ნაწილი. საველდაგვლოდ გამარგებულ იქნა ბაბტრიონის ციხე, რომელიც ალაზნის ველს ჩრდილოეთიდან ჩაერთვდა და შიგ მნიშვნელოვანი სამხედრო ძალა ჩააყენეს. მომხდურებმა ციხედ აქციეს ალავერდის ცნობილი ეკლესია და მის გადავანში შეაყენეს მეციხოვნეები. „ხოლო თათართა ეპყრა მონასტერი ალავერდი ციხედ და იუენეს შიგა და სხვათა მრავალი ადგილი კახეთისა დაეპყრათ, მბატრიანი ციხედ ქაიანთ. და მრავალი ელი ცოლშვილით ჩამოსახლდნენ კახეთშია და მრავალსა ბოროტსა უყოფდნენ მკედრთა კახეთისათა, რამეთუ ენებთ სრულიად კახეთი ვასათათრებლად და ელის დასახლება“). აგვიწერს ბერი ვგნატაშვილი კახეთში შემოყვანილი მომთაბარეები აქ უნდა მდებარე დაესახლებინათ. სპარსელ მოხელეებს ევალებოდათ თურქმანი ელები ბინადარ ცხოვრებაზე გადაეყვანათ და ხენა-თესვა ესწავლებინათ. კახელი ფეოდალებიდან მიწებს ყველას ართმევდნენ, ვარდა იმ თავდადებულთა, რომელნიც შაჰს ეახლნენ და მისგან მიიღეს მამულის წყალობა სპარსული წესით. (კახეთი ორად იქნა გაყოფილი. ნაწილი გადაეცა სამმართველოდ უარბაღის ბეგლარ-ბეგს მურთაზა ყული-ხანს, ხოლო დანარჩენი ნახჭევანის მმართველს ალა-ყული ხან ქეჩერელს. ქვეყანაში „ყიზილბაშობა“ დამყარდა. ეს კი ნიშნავდა იმას, რომ ქართული ფეოდალური ურთიერთობის წესები ძალაში აღარ იქნებოდნენ, ქართველი გლეხი ან სავსებით გაიდევნებოდა აქედან, ან რაიათად გადაიქცეოდა ქართველი ფეოდალი მიწაზე სამამულო მფლობელობის უფლებებს დიკარგავდა, უკეთეს შემთხვევაში დროებით

1. ვ. ფუთერიძე, მოკამედ თაქერის ცნობები საქართველოს შესახებ, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ. 1954 წ. გვ. 391.

1 ბერი ვგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ. 1940 წ. გვ. 199.

მფლობელად, უნილბამური წესით მიწის მკერად გადამიქცეოდა, ინტენსიური მეურნეობა მოიშლებოდა და უკუღმართო თურქმანთა ხელში სოფლის მეურნეობის დარღვევა უკიდურესად დაქვეითდებოდა, ქვეყანაში გაბატონდებოდა ველური ვითიერების წესები. ყველა ამ ნიშნამა მალე იწყო თავის გამოჩენა: თურქმანები, როგორც წესი, ჩიხადღენ ბლ-ვენების, ანად-გარებდნენ კულტურულ ნარჩავებს, მათ უფრო იალა-ყიშლადები აწვობდათ, ვიდრე რთული სამეურნეო დარგით დაკავებული ადგილები. ხალხმა კარგად ასახა შექმნილი ვითარება ცნობილ ლექსში:

— ბაბტირონის სხედან თათრები,  
სიტყვას ამბობენ ძნელსაო;  
ამჟებტას ჩაესპირით ვენახსა,  
შვი ჩაესახლებ ელსაო“.

ამ მდგომარეობით, რა თქმა უნდა კახეთის ყველა ფენა იყო უკიდურესად შევიწროებულ მაგრამ განსაყუთრებით კი კახელი გლეხობა...

ქართული მწიფეფლობელობის შეცვლა არც უნილბამებისადმი დამორჩილებულ ფეოდალებს მოსწონდათ. დღეს თუ ხვალ ეს მათს განადგურებასაც მოაწიეებდა. ამიტომ იყო, რომ მიუხედავად მდიდარი საბურქებისა, შაჰის წარმოდგენილად დიდი წყალობისა და უფლებილი დარწმუნებისა, როგორც ზაალ ერისთავი, ისე კახეთის სხვა ფეოდალებიც აჯანყების მონაწილენი შეიქნენ. სპარსელებს ეს ამბავი აოცებდათ: „მეტად საყიერველი და უცნაური ჩანდა ის, რომ ერისთავი, რომელსაც ამდენი საბურქი და წყალობა ჰქონდა მიღებული მისი უნილბამებისადმი, უმადურობას გამოიჩინდა „ქათმა ხელმწიფისადმი“ (ე. ი. შაჰისადმი) და ასეთ ბოროტმოქმედების ჩამდენი ვახდებოდა“ — აღნიშნავს შაჰ-აბას II-ის კარის ისტორიკოსი მუჰამედ თაჟერი.

უკუღმართო თურქმანები თავიანთი თავხედური ქვეყნის საყოველთაო აღმშრომებას იწყებდნენ. ეს ამბავი სპარსელ ისტორიკოსსაც შეუნიშნავს: „რადგანაც ვანსხევაზეა სარწმუნოებათა შორის და ურჯულთა პირისპირ შეხედრბა ისლამთან უსათუოდ მთარგდება წინააღმდეგობითა და უთანხმოებით და რადგანაც ელებს იმის მისწრაფება ჰქონდათ, რომ ქართველებზე ებატონათ, — ამ ორ ხალხს შორის დავა და ჩხუბი გაჩნდა“ — ო.

როგორც ვხედავთ აჯანყებისათვის მიზეზები საკმაოზე მეტიც იყო. შექმნილ ვითარებასთან შეგუება როგორც კახეთის, ისე ქართლის საბოლოო დამორჩილებას და „გაყიზილბამებას“ მოასწავებდა, ის იქნებოდა ქართველი ხალხის ეროვნული გადაგარებისა და საზოგადოებრივი დაქვეითების დასაწყისი...

მაგრამ ქართველმა ხალხმა მრისხანე გამოს-

ვლით ერთხელ კიდევ დაამტკიცა თავისი ემერტი სასიციცებლო ძალა.

1659 წლის ზაფხულში კახეთში იფეთქა სახალხო აჯანყება, რომლის მსგავსი მაგალითის მოძებნა სხვა ქვეყნების ისტორიაში უსათუოდ გამწელდებოდა. ამ გამოთავისუფლებელი ომის წამყვანი ძალას კახელი გლეხაკობა წარმოადგენდა. ეს იყო შემართად სახალხო აჯანყება. ამაზე მიგვიითიებებს ის ფაქტი, რომ მის შესახებ ცნობები შემოგვიწინაბა არა მარტო ქართულმა და უცხოურმა ისტორიოგრაფიამ, არამედ ხალხურმა ზეპირსიტყვიერებამაც. თითქმის არცერთ ისტორიულ მოვლენაზე არ შექმნილა იმდენი ხალხური ლექსი და გადმოცემა, რამდენიც ბაბტირონის გმწრულ ეპოპეაზე შეიქმნა. ისტორიული წყაროები თუ მხოლოდ აჯანყების დიდგვარიან მეთაურებს ასახელებენ, ხალხი ლექსებში უმღერის სახალხო გმირებს, სამშობლოს განთავისუფლებისათვის თავდადებულ ხალხის უბრალო შვილებს.

ხალხმა ამ აჯანყების მიმდინარეობის ბევრი ისეთი მომენტი შემოგვიწინა, რომლებიც საისტორიო წყაროებში არ ასახულა. ამდენად, ხალხური გადმოცემების შესწავლა დაეხმარება შეკვლევარს ამ აჯანყების ისტორიული სურათების აღდგენის საქმეში.

აჯანყება მის მოთავეებს სავლდაგულოდ მოუშნადებიათ. აჯანყების მეთაურობა იყისა ზაალ აბაგვის ერისთავმა. ეს გასაგებიცა. თავის მდგომარეობით ზაალი (იგი მრჩეული იყო კახეთის მმართველი ხანებისა) ყველაზე უკეთ ხედავდა ქვეყნისთვის სპარსელთა ბატონობის დამღუბველ შედეგებს. მისი მოწოდებით კახეთის გასათავისუფლებლად გამოემართნენ ზაალი და ელიზბარ ქსნის ერისთავები. როგორც ჩანს, ქართლის მოწინავე წარებს კარგად ჰქონდათ შეგნებული, რომ კახეთის „გაყიზილბამება“ ქართლსაც საბოლოოდ ისეთსავე შედეგს მოუტანდა. ამიტომ ათქმევინა ანტონ პირველმა ბიძინა ჩოლოყაშვილს: „დღეს ჩუენ ზედა არს მოწვეული ესე ჭკრი. მცირედ და და თქუენ ზედაცა უუშუელად მოიწივეს განსაიდელი ესე“. მიუხედავად ქართლსა და კახეთს შორის არსებული პოლიტიკური ვითარებლობისა, ქართლმა დიდი მონაწილეობა მიიღო კახეთიდან თურქმანთა განდევნის საქმეში.

კახეთის აჯანყების მომზადების სელი და გული სუფრაჯი ბიძინა ჩოლოყაშვილი იყო. მისი მეთაურობით დაიარაზა კახეთის ბარის მოსახლეობა... სპარსელი ისტორიკოსი აჯანყებულთა მეთაურთაგან მხოლოდ ზაალს და ბიძინას ასახელებს. მამულაშვილებმა დასახმარებლად მოუწოდეს მთიულესსაც. თუმ-ღმავ-ტყესურნი დიდის ენათუხანაშით გამოეხმარნენ ამ მოწოდებას. მთიულედიდან განსაუთრებით აქტიურობდნენ თუშები და წყაროებიც ამიტომ

კახეთის მთიელების აღსანიშნავად სწორად მხოლოდ თუშებს ხმარობენ.

კახეთის დასახმარებლად წამოსული მთიელები დათქმულ დღეს ნაჭერალას მთაზე შეკრებილან და აჭედან დასცემიან თავს ციხეებში გამაგრებულ მტერს.

აჯანყებამ მტრისთვის მოულოდნელად იფეთქა. აჯანყებულთა მოქმედებას უშუალოდ მეთაურობდნენ ზაალ ერისთავის შვილი ზურაბი, ბიძინა ჩოლოყაშვილი და შალვა და ელიზბარ ერისთავები. ქართველებმა რამდენიმე ადგილას ერთდროულად შეუტეს თავის მრავალრიცხოვნებას მინდობილ თურქმანებს. აჯანყებულთა ერთი ნაწილი ბახტრიონის ციხეს დაეცა, სადაც სპარსელთა ჯარის მინიშნელობიანი ძალა იყო თავმოყრილი, მეორე ნაწილმა კი შეუტია ალავერდში გამაგრებულ თურქმანებს. მტერი სასტიკად იქნა დამარცხებული. ხალხური თქმულება გადმოგვცემს, რომ როდესაც ბახტრიონის ციხეს თუშ-ფშავ-ხევსურნი დაეცნენ, ბარელებმა ალავერდის გაღავანს შეუტეს. ბახტრიონში დამარცხებული თურქმანები თავშესაფარებლად ალავერდისაკენ გაქცეულან, ალავერდიდან კი გადაპანელინი ბახტრიონისაკენ გამობრუნდნენ. ორივე ციხიდან გამოქცეული მტერი ქართველებს ალაზნის მარცხენა სანაპიროზე მოუშვეყდევით და იქ გაუსწორებიათ მათთვის ანგარიში. ამ ადგილს მოსახლეობა დღესაც „ვაწუვეტილას“ უწოდებს.

ბახტრიონის აღებაში თუშებს ზეზევა გაფრინდაული მეთაურობდა:

„ზეზევი მაშინ გენახათ ბახტრიონს ბრუნავდ  
ციხნითა,  
დიდი აღვანის მინდორი აავსო თათრის  
ძელებითა...“

თავი უსახელებია ფშაველ გოგოლაურსაც:

„ბიჭი ვარ გოგოლაური... ნუ მსინჯავ  
ტალავარზედა:  
წინ-წინ მე გადადფრინდები ბახტრიონს  
გალავანზედა“

თოფს ვერავ ჯიმშულთ ბატონსა, ზედ მთავალ  
ფალავანზედა...“  
ხევსურები თავიანთი ნადირე ბოშურაძელთ  
აპოზობენ:

„ახლა სადა ხართ, თუშებო, ხევსურნ რო  
კარაეთ სჭირანო?  
ნადირაის ხმლის ნატეხნი კარავის ბოძთან  
ხყარანო.“

ხმალ ხოშურაულს გაურუდა, ხევსურნ სხვას  
გამუცვლიანო.“

აჯანყებულთა ვადაშვეტი მოქმედებით  
მტერი სასტიკად იქნა დამარცხებული.

თავზარდაცემული თურქმენები კახეთიდან  
გადაიხვეწნენ. კახეთი ერთიანად იქნა გაწმენ-  
დილი შემოსახლებელი მომთაბარეებისაგან.  
„სადაცა კახეთს თათარი და ელი ესახლა,  
ყოველივე ამოსწევითეს და არა სადა დაშთა,  
რომ ყოველივე არ მოკლეს, და რომელნიმე  
იეტრულეს, წარვიდეს და განაძეს; კახეთში  
თათარნი აღარსად იპოებოდნენ.“<sup>1</sup> — გადმო-  
გვცემს ბერი ევნატაშვილი. „ქართველობა“ და  
საქართველო დიდ საფრთხეს გადაურჩა.

მართალია, სპარსეთის საბოლოო უპეგდება  
ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა, მაგრამ „იონის  
ლოში“ ამჯერადაც იძულებული ვახდა კუდი  
ამოტეხინა ხალხის ნების წინაშე და ხელი  
აეღო საქართველოს „გაყიზილბაშებზე“. ეს  
იყო „ქართველობის“ დიდი ვამარჯვება.

მტრის გააფთრება უდიდესი იყო მაგრამ მას  
ჩამოილი გეგმის განახლების თავი აღარა  
ქონდა. სპარსელი შაჰი ქართველებისათვის ან-  
გარიშის გასწორებას შეუდგა: ზაალ ერისთავი  
1661 წელს იქნა მოლაღატურად მოკლული; ამის  
შემდეგ შაჰმა, შშიდობის ჩამოგდების საფა-  
სურად, აჯანყების მეთაურები მოითხოვა. გე-  
ოგოფებული მტრის ახალი შემოსევა რომ იეცო-  
ლებინათ ქვეყნისათვის, ქართველი რაინდები —  
ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ  
ქსნის ერისთავები, თავისი ნებით ეახლნენ  
სპარსეთის შაჰს და გმირულად დასდეს თავი  
სამშობლოს თავისუფლების სამსხვერპლოზე.)

<sup>1</sup> იქვე, გვ. 205.



# „თამარიანი“-ს ახალი გამოცემის გამო

(ივანე ლოლაშვილი, ძველი ქართველი მეზობტენი. თბ., 1957 I. ჩაბრუნებულ).

ივ. ლოლაშვილის შრომა „ძველი ქართველი მეზობტენი (I, ჩაბრუნებულ)“ კარგი ფილოლოგიური გამოკვლევაა. ნ. მარის ცნობილი ნაშრომის *Древнегрузинские описания* (1902) შემდეგ ივ. ლოლაშვილის გამოცემა წარმოადგენს ახალ და მაღალ საფეხურს ჩაბრუნების შემოქმედების შესწავლის ისტორიაში. თითქმის ყველა ძირითადი თესება კუშმარიტი მეცნიერული კვლევისა ამჟღავნებს ამ წიგნს ისტორიულ-ლიტერატურული დაქტების ცოდნა, დიდი კეთილსინდისიერება და პრინციპულობა ჩაბრუნების მკვლევართა შეხედულებების დასაბუთება-გადმოცემისა და მათი განიარებისა თუ უკუგდების დროს, პრეტენზიულობას მოკლებული ტონი მსჯელობისა მწვენიერი ქართული, რომლითაც დაწერილია გამოკვლევა.

წიგნი მოკლე წინასიტყვაობისა და შესწავლის გარდა შედგება შემდეგი თავებისაგან: 1. „ჭება მეფისა თამარისი“ (გამოკვლევა) 2. ჭება მეფისა თამარისი (ტექსტი) და 3. ვარიანტები, საძიებელი და ლექსიკონი.

„შესავალში“ მოცემულია „თამარიანის“ გამოკვლევის კრიტიკული მიმოხილვა, აგრეთვე ისტორია პოეტის შემოქმედებისა დამოკიდებულებისა ქართული მწერლობის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გამოკვლევის პირველი ნაწილი („თამარიანის“ ტექსტის საკითხები), რომელიც შეიცავს ხელნაწერთა სერუპოლტურ ანალიზს, მათს კლასიფიკაციას ორ ჯგუფად (ი. ლოლაშვილი, რასაკვირველია, უპირატესობას ანიჭებს უფრო ძველ „პირველი ჯგუფის ნუსხებს“); შემდეგ განხილულია „თამარიანის“ ტრადიციული ტექსტი და მისი სტრუქტურული-კომპოზიციური ხარვეზები. გამოკვლევის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილად მიგვაჩნია „უშთავრესი გასწორებანი და კომენტარები“. II და III ნაწილები გამოკვლევისა („თამარიანის სტრუქტურა და კომპოზიცია“ და „თამარიანის დაწერის თარიღი“) შედარებით მოკლეა და აჯამებს მკვლევარის შეხედულებებს განხილულ საკითხებზე. თვით „თამარიანის“ ტექსტი, რომლის კრიტიკული გამოცემა შრომის მთავარ მიზანს შეადგენს, წინა გამოცემებთან შედარებით მე-

ნიერულია. ყველა ბუნდოვანი ადგილის გაშიფრვა, როგორც თვით მკვლევარი შენიშნავს, დღეს დღეობით არ ხერხდება.

სანიმუშოდა შედგენილი ვარიანტები, ლექსიკონი და საძიებელი.

სარეცენზიო წიგნი, რასაკვირველია, არ ამოსწრავს ძველის ყველა საკითხს. იგი წარმოადგენს პირველ წიგნს სამტომად განზრახული სერიისა („ძველი ქართველი მეზობტენი“), რომლის პირველი, III ტომი ავტორის დამატებით „დაეთმოა იმ ისტორიულ-ფილოლოგიურ პრობლემებს, რომელიც საერთოა ჩაბრუნებისა და შეთელის პოეტური შემოქმედების შესასწავლად“. მესამე ტომში ი. ლოლაშვილის ნაგარადევი აქვს განხილვა საკითხებისა: ა. „თამარიანის“ ავტორის ვინაობა, ბ. ძველის დაწერის თარიღი, გ. სოციალური გარემო, რომელშიც უხდებოდა ყოფნა პოეტს, დ. ჩაბრუნების მსოფლმხედველობა (სოციალ-პოლიტიკური და ფილოსოფიური შეხედულებანი), ე. „თამარიანის“ ლიტერატურული წყაროები, ვ. „თამარიანი“, როგორც ისტორიულ-ლიტერატურული წყარო, ზ. ჩაბრუნების პოეტიკა“ (გვ. 27). ამ საკითხებიდან წინამდებარე გამოცემაში მხოლოდ ერთი მოკლე განხილული „ძველის დაწერის თარიღი“.

არაკუთარი იქვი არ არსებობს იმისა, რომ ლოლაშვილი თავის დაპირებას შესარტლებს.

„შესავალში“ გამოთქმულ ზოგადი დასკვნებიდან უცილობელია აზრი იმის შესახებ, რომ „ნ. მარის შემდეგ „თამარიანის“ ტექსტის აღდგენა ყველა ცნობილი ხელნაწერის შესწავლის საფუძველზე არავის უცლია“ და რომ „იმისათვის, რომ ჩაბრუნების პოეტური შემოქმედება მონოგრაფიულად იქნეს შესწავლილი, უპირველესად საჭიროა დადგენა „თამარიანის“ სტრუქტურული შედგენილობის, წინასიტყვის, ძველის სტრუქტურისა და კომპოზიციისა, ე. ი. აღდგენა ტექსტისა იმ სახით, როგორც ისეთივე ეს გამოვიდა ავტორის ხელიდან“ (გვ. 26 — 27). ქვემოთ, ხელნაწერების ანალიზის შემდეგ, ი. ლოლაშვილი ასკენს რომ „თამარიანის“ ტრადიციული ტექსტი, რომელიც შემოუნახავს XVII—XIX საუკუნეების ორივე ჯგუფის ნუსხებს,

არ მომდინარეობს უშუალოდ ავტორის დროიდან. საუკუნეთა განმავლობაში მას განუცვლია ის მნიშვნელოვანი სტრუქტურულ-კომპოზიციური ცვლილებანი, რომელიც უკვეთი აღწინშნეთ. მიუხედავად ამისა, „თამარაინის თავედაპირველი კომპოზიციის აღდგენა შესაძლებელია“ (გვ. 80). ამრიგად მკვლევარი თითქმის გვარწმუნებს, რომ მის მიერ გამოცემულ კრიტიკულ ტექსტს პოეტის ხელიდან გამოსული ძველის სახე აქვს დაბრუნებული.

ვიდრე მკვლევარის ობიექტს ვავიზობრებდეთ, ჩვენ მოგვიხდება განვიხილოთ მონორაფიის დამაჯერებელი და სადავო ადგილები.

უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს შემდეგი: „თამარაინი“ ძალზე ბუნდოვანი ძველია ჩვენ ხელთ რომ მოგვეპოვებოდეს უშუალოდ ჩაბრუბადის ავტორგრაფი, იგი მაინც მოითხოვდა ვრცელ ფილოლოგიურ ანალიზს. ეს გამოწვეულია თვითონ ძველის უდაბრვად ხელოვნური, სისადავესა და გამჭვირვალობას მოკლებული ენათა და სტილით. ისევე, როგორც ბევრი ნაწარმოები ვ. წ. ევროპული „ბნელი სტილის“ პოეზიისა (რომლის გამოფერაზებადც თავი უტყობა რომანული ფილოლოგიის არაერთ წარმომადგენელს), „თამარაინიც“ ვადატვირთულია ისტორიული, თეოლოგიური და ლიტერატურული რემინისცენციებით, პოეტი ხშირად მიმართავს თეოთმზნურ გესპერანენტს სიტყვაზე, ფრაზის სინათლე ხარკად ეწირება რთომებით თამარს და ა. შ. ჩაბრუბადის პოეტობას ბევრი რომ საერთო აქვს მისი დროის არაბულ-სპარსული პოეზიის ზოგიერთი წარმომადგენლის პოეტობასთან, რომელიც სტილიური ელემენტების ასეთი თეოთმზნური თამარით ხასითდება. XII—XIII საუკუნეების საეკეთესო ქართულ მეზარტიანებთან, „ეფესის-ტყაოსნისა“ და ქართული „ეისრაჰიანის“ ავტორებთან შედარებით ძველი ქართველი მეზობტენი ძალზე გართულებული შწონობრული ენითა და სტილით სწერდნენ. ამას მოწმობს თვითონ ი. ლოლაშვილის გამოკვლევაც: ავტორის უხდება ერთგვარი „არქეოლოგიური გახობტენის“ წარმოება „თამარაინის“ ცალკეული ტაბებიისა და სტროფების შინაარსის დასადგენად. არსებითად ოდების ყოველი სტროფი მკადიოდ და ვსაგებზე ზდება (თანამედროვე მკითხველისათვის) მხოლოდ მისი მეორე, ფილოლოგიურ-პროზაული თარგმანის მეშვეობით. ქართულ სალიტერატურო ენას (განსაკუთრებით საერთო შწერლობის ძველებში) არ განუცვლია ისეთი რადიკალური ცვლილებანი თავისი ევოლუციის ვხაზე, რომ XII საუკუნის ლიტერატურულ ძველების („თამარაინისა“ და „აბდულშეხიანისა“ გარდა) ასეთი თარგმნა სპიკრო იყოს. ჩაბრუბაძე შესანიშნავი ვერსიდეკტობია, მაგრამ უხდებად აზვიადებს, პიპერტროფულ ხასიას

სტენს თავის ფორმას. ამიტომაც „თამარაინის“ ტექსტის დადგენა მთელ რიგ, ხშირად ვადულსახე დაბრკოლებებთან არის დასაშვარებელი. ეს საჭმე შედარებით ადვილი იტყობია, რომ ჩვენ მოგვეპოვებოდეს ქართული სალიტერატურო ენის ვრცელი და ამომწურავი, მეცნიერული ისტორია, რომელიც ვავიოთვალისწინებდა კერძოდ ქართული ლესიკური მარაგისა თუ მორფოლოგიური ფორმების ვეოლუციის, შათი ეტიმოლოგიური ცვლილებების საფუბრებს და ა. შ. ი. ლოლაშვილი ყველა კერძო შემთხვევაში ცდილობს თვითონ ჩაატაროს ეს სახეშაო. სხვა საკითხია — რამდენად დამაჯერებელია მის მიერ ჩატარებული ანალიზი.

ი. ლოლაშვილი მართებული ამტკიცებს (და ამასი მას მხარს უტყობენ XVIII—XIX საუკუნეების ხელნაწერები), რომ „თამარაინი“ უდავოდ სტროფულ სისტემაზეა აგებული“ (გვ. 41), რომ „ტექსტი ოთხტაბოვანი სისტემის იცავს“ (გვ. 40). მეთოდი, რომლითაც ი. მარმას ჩაბრუბადის ოთხტაბოვანი სტროფისაგან 8 ტაბოვანი ხანა მიიღო, უარსაყოფია არა მარტო ხელნაწერთა ჩვენების საფუბველზე (როგორც ამ შემთხვევაში მართებულია იტყვია ი. ლოლაშვილი), არამედ წმინდა თეორიული მოსახრებითაც: საშუალო საუკუნეების მსოფლიო პოეზიამ (არაბულ-სპარსულმა, დასავლეთ-ევროპულმა...) არ იცის არც ერთი მავალითი პოეტური ნაწარმოების შედგენისა ინტერვალთმინი და პეტერომეტრიული (არათანაზომიური) სტროფებით. ვარდა ამისა, ყველა თვითნებური ოპერაცია ტექსტის მიმართ „უხეხი დაბრვევა იმ პრინციპებისა, რომელიც ტექსტოლოგიურ მეცნიერებაშია მიღებული საყოველთაოდ“ (გვ. 43). ჩვენის მხრზე დაეშატებდათ: იგი ვამართლებული არაა არც ზოგადი, არც ქართული პოეტობის ისტორიის თვალსაზრისით.

მაშასადამე — ი. ლოლაშვილის მიერ „თამარაინის“ ძირითად თემატურ-კომპოზიციურ ვრთეულად ოთხტაბოვანი მონორთმთული სტროფის მიჩნევა — სრულიად მართებულია.

ამის შემდეგ უნდა შევეხოთ თვითონ სტროფებისა და ცალკეული ტაბების „უშთავრეს ვსწორებებსა და კომენტარებს“, რასაც გამოკვლევაში ვეღაზე დიდი ადგილი აქვს დათმობილი (გვ. გვ. 81—144). ამ ნაწილში ვანსაკუთრებით ჩანს ი. ლოლაშვილის ცვლევითი ნიცი და ვონებამახვილობა.

ივ. ლოლაშვილი მართალია როცა წერს: „თამარაინის ტექსტის აღდგენას, როგორც ფილოლოგიური მეცნიერების ერთერთ-აქტიურ ლერ პრობლემას, და მისი ცალკეული ტაბების კომენტარებას ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევარებმა დიდი ენერგია შეაოიეს. ეს ოთქმის ყველაზე მეტად ე. მარტე, რომელმაც პირველად მოგვცა „თამარაინის“ ტექსტის კრიტიკულად აღდგენის ცდა“ (გვ. 81). მაგრამ იქვე მკვლევარი იზიარებს ვ. ე-

ეკლძის აზრს, რომ „ეს ნაწარმოები ჯერ სიბოლოოდ არც წაიკითხვია ჯეროვნად და არც გაგებულა. იმაში არა ერთი ბუნდოვანი და გაუგებარი სტროფი და ტაქტი... საჭიროა მახვილი ფილოლოგიური ანალიზი, რათა მართებულიდ აღდგენილ იქნას იმ სახით, რა სახითაც ის პოეტის ხელიდან გამოვიდა“ (81). ი. ლოლაშვილს სწორედ ასეთი ამოცანა დაუახაბეს მიზნად. მის შიგრ „გასწორებთა ერთი ნაწილი მოხდენილია პირველი ჯგუფის ზეითივე და მეორე ჯგუფის ორი ნუსხის მიხედვით“, ხოლო „გასწორებთა მეორე ნაწილი წარმოადგენს გამოშვების „საკეთარ კონიექტურას, ე. ი. ტაქტი აღდგენილია სტროფის შინაარსობრივი შესწავლის საფუძველზე და კლასიკური ხანის სალიტერატურო ნორმთა გათვალისწინებით“.

სწენი დაკვირვებით, ი. ლოლაშვილის გასწორებელია, მათ შორის მოიპოვება ნიმუშები, რომლებიც დიდი შენაძენია ჩაბრუნების კვლევის სფეროში. ნაყლებ დამაჯერებელია ზოგიერთი კონიექტურა მკვლევარისა.

გამოკვლევის ავტორი ხელნაწერებზე დაყრდნობით ჯერ ასათურებს ძველს „ქება შედისა თამარისი“. შემდეგ თანმიმდევრულად ასწორებს ბუნდოვან ადგილებს, იძლევა უფრო მისაღებ წაყოფებებს და მათს განმარტებებს. როგორც ვთქვით, პირველი ჯგუფის გასწორებთა უმრავლესობა ნამდვილი შენაძენია ქართული ფილოლოგიისა. მოვიყვანთ რამდენიმე სანიმუშო მაგალითს.

ჩაბრუნების ტაქტში „სოკრატ სიბრძნითა, სარამ არ ვრძნითა“ (3) ი. ლოლაშვილმა პირველად და დამაჯერებლად ამოკითხა იწერ მითოლოგიაში, კერძოდ „რიგვედაში“, სარამის სახელით ცნობილი ვრძნეული ქალი. ამ სახელს იცნობს შავთელიც. მაშასადამე, ეს ფაქტი მიუთითებს „ქართულ მეტოქებთა ურთიერთობაზე ინტერ მითოლოგიურ სამყაროსთან“. ასევე დამაჯერებელია იმავე „რიგვედას“ პერსონაჟის „სურბის“ (ყოვლისმხედველი თაილი, შზე) ამოკითხვა ჩაბრუნების ტაქტში „ვდემურია, ვისცა სურბია“ (XV; 18).

2. რედაქტორმა ხელნაწერების საფუძველზე პირველად წაიკითხა სწორად დღემდე ეტომოლოგიურად აუხსნელი სიტყვა „ემუქჳკემბიანა“. როგორც ვმუქვებთან (ნაწარმოებთა სიტყვიდან „მუქადა“. მკვლევარს დამოწმებული აქვს „ვისრამიანს“ ერთი ადგილიც... სიყვარული ემუქვენ“).

3. სტროფში ისტორიული რეალის ამოკითხვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მე-24 გასწორება ტაქტისა: „მომშენოლეს მიმშენ ოდეს ამბერდად, რა ვთქვენ იგი მე ბარე“ ასე: „... ამბერდად, რა ვთქვენ, დვინის მე ბარე“. ი. ლოლაშვილმა ამ ტაქტებში ამოკითხა „ისტორია და აზმანი შარავანდედთან“ ნაგლისსმევი „ბალანს... პატრონი დვი-

ნისაა“, რომელიც ივანე მხარგრძელის მსტოვართა რაზმეულს დაუმარცხებია „დვინის მებარეს“ არც ამბერდში დაეღრმებოდეს, რადგან დვინის ადების შემდეგ ქართულელებმა აწილეს გვლაქენი, ბიჯნისი, ამბერდი და ბარავმატ“ (გამოკვლ. გვ. 100).

4. გამოკვლევაში მოცემულია მთელი რიგი ბიბლიური პერსონაჟების ჩაბრუნებისეულ დასახელებათა ასხნა დამადების ტექსტის ჩვენებთა საფუძველზე. ეს ასხნა არ იწვევს იქვს.

5. ტაქტი „იტყვიან მხანხი, ქმა-მალა მზაქნი || ივლისო სველსა, ვას ნაჯუფ თეადა“. რედაქტორმა ხელნაწერების მიხედვით გასწორა: „იტყვიან მხანხი, ქმა-მალა მზაქნი || ივლისო სველსა ჰავეს ნაჯუფთეადა“. ჩაბრუნებ გულისხმობს ელისეს ველს მკვლევარი აგრეთვე იმოწმებს „ისტორია და აზმანი შარავანდედთანს“ ერთ ადგილს, სადაც ნახსენებია „ივლისო სველი“ (111 — 112).

6. ბერძნული მითოლოგიის სახელია ამოკითხული ტაქტში „... დეონის ეტლითა მოვირბევანი“. პირველი ჯგუფის ნუსხების მიხედვით ტაქტი გასწორებულია ასე: „... ეტლითა ეტლითა მოვირბევანი“. მკვლევარი წერს: „სელონი (ანუ სელენე), ბერძნული მითოლოგიით, მთვარის ქალღმერთია... ვახუფხულებზე, ბუნიაობის დამეს, ზღვის ტალღებში განაწილი სელენე თეთრი ცხენებით შემბული ეტლითა ჩაჯდება და დარბაისლურად შემოივლის ეის კამარს“ (გვ. 122 — 123). ჟომენტარის ზუსტია. ბუნდოვანი და ნ. შარას მიერ მკვდარად ასხნული ტაქტი თავის ნამდვილ შინაარსს იძენს (სხვათაშორის, ეს სელენე თავისი ეტლით გამოსახული (ამოკეთილი) ყოფილა გენიალურ „პერგამის საკურთხეველის ფრისზე“ (სკულპტორი სკოპასი).

7. დამაჯერებელია ტაქტის — „... ხალიფას სეისა ჯვართა მშლელი“—გასწორება ნუსხების მიხედვით... ხალიფას სეისა ჯვართა მშლელი“ (გვ. 119). აგრეთვე ტაქტის „... ქაფურსა ნახავ გამასრებულად“ როგორც „ქაფარსა ნახავ გამასრებულად“ (გვ. 124 — 126. ქაფარ—ურწმუნო, გაურჩი). და, ბოლოს, მოვიყვანთ ერთ (მ 63), უაღრესად მნიშვნელოვან გასწორებას და მის კომენტარს, რომელსაც გამოკვლევის ათი გვერდი (130 — 139) ეძლევა.

8. მარის გამოცემით ჩაბრუნების მე-5. ოდა დღემდე ფეთხებოდა ასე:

ქაფად დაგესხენ, ტრმად რამე  
გესხენ:  
აწ ქაფათა მითთა დაქდეს რა რვევად  
ერანს მფლობელი, შეუფლობელი  
გახადე ნატრად ეს რე  
ნახსმევად:

ლომა თავადად, თქმული ავადად  
სხვათა ვინმე სწანს ხართ  
ნამარხვეად.

ნ. მარმა ეს ოდა მიიწინა „თამარის პირველი  
ქმრის გაორგეს საქართველოდან ვანდევნის ახ-  
ლო ხანაში“ დაწერილად. „როდესაც თამარი  
ჯერ კიდევ არ იყო გათხოვილი დავით სოს-  
ლანზე“. „რომთა თავადად“ პ. ინგოროყვის  
მიიწინა — შარვან-შაპი, მ. ჯანაშვილს —  
დ. სოსლანი, ნ. მარი თავს იკავებდა).

ივ. ლოლაშვილი ამ პაპოთეზებს უარყოფს  
და იძლევა ახალ წაითხვას ხელნაწერების ჩვენ-  
ებთან საფუძველზე. იგი ფიქრობს, რომ „შე-  
იძლება აღდგენილ იქნას სადავო სტროფი იმ  
სახით, როგორც სახითაც იგი ავტორის ხელიდან  
გამოვიდა“. ამ მისი რედაქცია (გვ. 135):

კავალ და გეხსნეს, ქმრად რომე  
გეხსნეს,  
აწ ძვალთა მათთა გაუქდეს რუვეად;  
ერანს მფლობელი, შეფფლობელი  
ზო ბქარ გახადე ნაყარ-  
ნანსხმევეად

ლომა თავადად, თქმული ავადად  
სხვათა ვინა ჩანს ხლათს  
ნამარხვეად.

ტექსტის დადგენის შემდეგ ი. ლოლაშვილი მი-  
მართავს ისტორიულ წყაროებს და იკვლიტანე-  
ლად აღგენს, რომ ევად რომბინ ოდაში ვად-  
მოცემულია გარკვეული ისტორიული ფაქტი:  
ოღის დაწერის მომენტში გიორგი დიდბნის  
გადახვეწილია და დამარცხებული; თამარს შირ-  
ვანის მფლობელმა ალსართანმა დახმარება  
სთხოვა გაძლიერებულ ათაბაგის აბუბაქრის  
(აღარადაგანის მფლობელის წინააღმდეგ,  
რომელიც შირვანს მოადგა. 1195 წელს „საქართვე-  
ლოს სახელმწიფო დარბაზმა დაადგინა აბუ-  
ბაქრის წინააღმდეგ ვალაშქრება. 1195 წელს  
ციხე-ქალაქ შაშქორთან დავით სოსლანისა და  
აბუბაქრის ჯარებს შორის დიდი შეტაკება  
მოხდა. ქართველებმა მტერი დაუნდობლად გა-  
ანადგურეს“ (გვ. 137). 1204 — 1205 წლებში  
ქართველებს აგრეთვე ვალაშქრება ხლათის  
სულტნის წინააღმდეგ. ი. ლოლაშვილი  
იმოწმებს იმ ალსართის ცნობას და აღნიშნავს,  
რომ ქართველებს დაულაშქრათ აღარადაგანი,  
იქიდან ხლათს მისდგომიან და მანსაკერ-  
ტაძე ჩაუღწევიან. ნახრუბაძეს სწორედ ეს  
ბრძოლები აქვს მხედველობაში. ვრცელ ექს-  
კურსიის შემდეგ მკვლევარი ასკნის, რომ „რო-  
დესაც ევად რომბინ ოდა იწერებოდა,  
ქართველებს შაშქორის ბრძოლებიც მოთავს-  
ებული ჰქონდათ. უფრო მეტიც: ვეადროთმინა  
ოდა 1204 — 1205 წლებზე ადრე ვერ დაიწე-  
რებოდა, რადგანაც ნახრუბაძე იხსენიებს დავით

სოსლანის მეთაურობით ქართველთა ჯარის გა-  
ლაშქრებას ხლათელთა წინააღმდეგ“ (139).  
მართო ეს გასწორება და სათანადო კომენ-  
ტარიც მოწმობს ლოლაშვილის დაკვირვების  
უნარს. მისი კვლევის სიღრმეს.

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს უვე-  
ლა გასწორება (განსაკუთრებით კი — კონექ-  
ტურები) ასევე დამატებული და გამჭირვალე  
იყოს. ჩვენ ვერ გავიზიარებთ მკვლევარის ობ-  
ტიმიზმს, რომ მის მიერ გამოცემული ტექსტი,  
ასე დიდი გონებაშახელობით გამოდრული,  
მთელი რიგი ტაყებშია და სტროფებში, შეს-  
ტად იმ სახით წარსდგა მკითხველის წინაშე, რა  
სახითაც იგი პოეტის ხელიდან გამოვიდა. თვი-  
თონ ივ. ლოლაშვილიც წერს: „თამარიაში  
კვლავ დარჩა ზოგერთი (?) ბუნდოვანი ტაყი,  
რომელთა გამართვა ამჟამად არსებული მასა-  
ლებით ჯერჯერობით ვერა ხერხდებაო“ (გვ.  
144). თუ იმასაც ვაეთვალისწინებთ, რომ ტექ-  
სტის ზოგი ადგილი დეფექტურია (აკლია), მაშინ  
ჩვენი ბიტი უფრო მისაღება უნდა ჩანდეს.  
უფიქრობთ, რომ ივ. ლოლაშვილი, ვგზომ  
ფრთხილი მკვლევარი, ზოგჯერ ძალზე კატეგო-  
რიულ ფორმებში გვაწვდის თავის დასკვნებს.  
რომელთაც პაპოთეზების ხასიათი აქვს. მაგ.,  
ივ. ლოლაშვილი დარწმუნებულია, რომ მან  
იკვლიტანულად ახსნა ძალზე ბუნდოვანი ტაყე-  
ბი „თამარიათა“.

მაშა მე, ხელი მაშა მეხელი  
მით ვანებლობდე და ეა ცენა ვლი  
(ს. კაკაბაძის გამოცემით).

ამ ტაყებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ მი-  
წილებული მთელი რიგი მკვლევარების მიერ  
(ნ. მარი, ს. კაკაბაძე, პ. ინგოროყვი და სხვ.)  
და იყო ცდა მათი სხვადასხვანაირი ახსნისა.  
მეხ ბერი მიანდათ ტომობრივობის აღმნიშვნე-  
ლ ტერმინად. ნ. მარი პირობითად ვარაუდობ-  
და მასში „მესხელს“ და უარყოფდა პოეტის  
„მოხვეულობას“ რაც ემუხარებოდა პოემის გვიან-  
დელ გლოსას. „მოხვევის ძეოთა, ჩაბრუნაძეოთ...“  
პ. ინგოროყვის აზრით „მეხელი“ მითითებდა  
პოეტის სამშობლო „ეს“-ზე, რომელსაც იგი  
„მთელეთის კანტონში“ ვარაუდობდა; ს. კა-  
კაბაძეს „მეხელი“ ესმოდა „მესხელ მოსიარუ-  
ლ“-დ („ნახრუბაძე და შოთა ჩანან მესხებად  
და იმავე დროს მოხვეუებადო“ — სწერდა იგი).  
არ მოგვავს სხვა მკვლევართა შეხედულებანი,  
ოღონდ აღსანიშნავია კ. კეკელიძის ვანცხადე-  
ბა — „მწელია მეხელის ნამდვილი მნიშვნელო-  
ბის გაგება და დადგენა“ (ამავე აზრისა ა. ბა-  
რაშვილი). და აი, ივ. ლოლაშვილი ფიქრობს,  
რომ მან საბოლოოდ დაადგინა ამ სიტყვის ნამდ-  
ვილი მნიშვნელობა ხელნაწერების საფუძველზე  
ABE ნუსხების შეჯერების ნიადაგზე მას შე-  
საძლებლად აღსანიშნავი ტექსტის ასე აღდგენა:

მაშ, მეხელი, მაშა მეხელი  
მით ვამგებლობდე, და — ეა — ესეც  
ნალი (გვ. 61).

მკვლევარი ლინგვისტური ანალიზით ცდილობს თვითელი სიტყვის მნიშვნელობის გარკვევას. მისი დასკვნები ასეთია: პირველი „მაშა“ სპარსულ-არაბული ფილოსოფიური ტერმინია და ნიშნავს არისტოტელეს მიმდევარს, არისტოტელეანელს, პერაპატეტკოსს, „მეხელი თხოვნით — ბრძანებითი ენისი ენებითი ვერის ზნაა, რომელიც ნაწარმოებია საწყისიდან ხლება. იგი დაიშლება ამგვარად: მე-ხ-ელი. მისი პარალელური ფორმაა შეხელი (ე. ი. მომხალე, ჩემთან ახლოს მოდი), სადაც ა — პირველის ფუნქსიანი ვანერჯელ ნაწილია მინერული“ და ა. შ. „ამრავად, — ასეცის ავტორი, — პირველი მაშა, მეხელი ნიშნავს არისტოტელეანელ მომხალე, შეხელი (ე. ი. მოდი ჩემთან)“ ამგვარივე ანალიზით ა. ლოლაშვილი განმარტავს ნახევარ ტაქსის შესაძენ და მეოთხე ომონიმურ სიტყვებს და ვლუბელობთ „მაშ (მაშა) შეფარელობა გამოწივ, მპატრონე (მეხელი)“. ტაქსის მეორე (გასწორებული) ნახევარი — „ვით ვამგებლობდე, და ა-თ-ესეც ნალი“ — შინაარსის მხრივ ასეა გა-მოიფხვრი: „რომ მით სიტყვის მგებლობა (ნა-ლოგში მოპასუხობა) ეკისრა და ნალი (ლერწმის კალამი) (საწერად მოვიმარჯვო)“.

ვრცელი ანალიზი, რომლის საფუძველზე ასეთი დასკვნებია გამოტანილი, მკვლევარის გონებასამგებლობაზე მიუთითებს, მაგრამ ისინი მაინც ჰიპოთეზის შთაბეჭდილებას სიტყვებზე. გერ ერთი: ნახრებაზე თვითონ ხმარობს „არისტოტელეს“ და საევერა რომ არისტოტელის მიმდევართა დასახელებისას არაბული სიტყვისათვის მიემართა მით უმეტეს რომ ამ მნიშვნელობით „მაშა“ ქართულ ძეგლებში დამოწმებული არაა. მეორე: ამგვარი ლინგვისტური ანალიზით შეიძლება ყველა ბუნდოვანი ტაქსებისა და ომონიმური სიტყვების ჩვენთვის მოსახერხებელი და თვითნებური გასწორება და ასწავლილი. ერთი სიტყვით, „მაშა მეხელი, მაშა, მეხელი“ ჩვენთვის კვლავ ბუნდოვანი გამოიქმნება რჩება და მომავლის საქმეა — გაიზიარებს თუ არა მეცნიერება ამ ტაქსის ლოლაშვილისებურ კომენტარს. ერთი სიტყვით, ჰიპოთეზის ფარგლებს არც ლოლაშვილის ასწავლილი სიტყვიდან

სხვეუ საევერად ჩანს ინდური მიოლოგიის რაგის (შხის, ღვთიერი შუქის მქონე მნათობის) ამოკითხვა თამარინის ტაქსში „არ ავი და, არ რავი დია“ (გვ. 88 — 90. ი. ლოლაშვილი ასე ასწორებს მას: „არ ავი დია, ა რავი და“).

არ ვიცი თუ გაზიარებული იქნება თუ არა ტაქსის ... ვახტანგს სწორებით შექმნილი“ უკანასკნელი სიტყვიდან „შეშას-მქენალი“-ს

გამოყვანა (ნაწილობრივ ხელნაწერებზე დაურ-დნობით). განმარტება ასეთია: „შეშას — არა-ბული სიტყვაა და ქართულად ნიშნავს შხის თაყვანისმცემელს. იგივე მნიშვნელობა აქვს სიტყვას შე შას მქენალი“ (გვ. 120)

მისასაღმებელი იქნებოდა თუ გამართლდებოდა ი. ლოლაშვილის მიერ ტაქსის — „ვერცა დამტევერობს სოფელი არა თუ ჩემნი შესხმანი“ გასწორება ნუსხისა და კონტექსტის შესაბამისად: „ვერცა დამტევენს სოფელი არა თუ ჩემნი შესხმანი“. მკვლევარის აზრით ნახრებაზე ამ ტაქსში მხედველობაში აქვს დიდი ბერძენი დრამატურგი სოფოკლე და მისი ხოტბები, რომელთაგან ჩვენამდე ორს მოუღწევია. ამ განმარტების მიხედვით ნახრებაზე ჩანს ენული ლიტერატურის დეტალებშიც ხანდელი ერდღით ყოფილა!

სხვა სადაო წაითხვებასა კომენტარებზე სიტყვას აღარ ვაფარქმელებთ.

დასასრულ მოკლე შევნიშვნებით რამდენიმე პრიციპულად სადაო საკითხზე.

1. გამოკვლევის იმ თავში, რომელსაც ეწოდება „თამარინის“ სტრუქტურა და კომპოზიცია“, ი. ლოლაშვილი იზიარებს ნ. შარის „აღმოჩენას“, რომ „თამარინის“ სახობო ლექსები დაწერილია ერთი, წინასწარ მოფიქრებული გეგმით, რომ თითოეულ ოდეს აქვს თავისი შესავალი, შინაარსი, დასასრული და ერთი უცვლელი რითმა“ (147). ამავე დროს იგი დამაჯერებლად უარყოფს სხვა მკვლევართა თვითნებურ ოპერაციებს ოდების შედგენილობის დაზუსტებისას (თვით ნ. შარის ოპერაციებსაც). ყველა შევნიშვნაში კრიტიკულად განხილვის შედეგად მკვლევარი ასკვნის, რომ „თამარინი“ ერთი მთლიანი სტრუქტურულ-კომპოზიციურად შეკრული პოეტური თხზულებაა, რომელსაც თავიდან ბოლომდე წითელი ზოლივით გასდევს ერთი გარკვეული იდეა — ქება თამარ მეფისა, ფეოდალურ-ცენტრალურ უფლებების განმტკიცება და ხალხში პატრიოტული გრძობების გაღვივება...“ (156). „თამარინი“ არის ერთი მთლიანი სიმღერა თამარ მეფეზე.. ეს სიმღერა მინორულ და მაკორულ ტონებში ვადიდის და მასში მუსიკალურ ბეგართა ფერადობა შეიგრძნობა. მაგრამ ეს ერთი მთლიანი შესხმა შედგება შესავლისა და 18 ცალკეუ სახობო ლექსისაგან, რომელნიც ერთმანეთისგან გამოირჩევიან საკუთარი შინაარსითა და თითოეული ლექსისათვის დამახასიათებელი ფორმალური ნიშნებით. ამ ლექსებშიც თორმეტი ოდაა. ორი-მეოთხეუბის, ე. ი. საარაკო ამბების შემცველი ფრაგმენტი და ოთხი თითო სტროფიანი სახობო ლექსი“ (156 — 157). მკვლევარი თანმიმდევრულად გადმოსცემს მათ შინაარსს და აჯამებს: „ყველა ამ ოდეს აქვს თავისი საკუთარი შინაარსი, მაგრამ ამავე დროს თითოეული მათგანი მის წინა და მომდევნო ოდებთან ისეთ შინაარსობლივ მიმართებაშია, რომ მათი

ერთმანეთისგან დაცილება ან გადაადგილება „თამარიაანს“ საერთო კომპოზიციის დარღვევასა და მისი მთლიანი შინაარსის გაბუნდოვანებას გამოიწვევდა“ (168). „თამარიაანი“ ერთდროულად ვაზრებელი მხატვრული ძეგლია, რომელიც შეთხზულია ერთი გარკვეული დროის მონაკვეთში. თამარმუხის პიროვნებისა და მისი სახელწოდებრივი მოღვაწეობის განსაზღვრულად (169). გამოკვლევის უკანასკნელ თავში — „თამარიაანის“ დაწერის თარიღი — ავტორის შემოხაზული აქვს ქრონოლოგიური ფარგლები ძეგლის შექმნისა: „თამარიანი“ დაიწერა ბასიანის ომში გამარჯვებულ ქართველთა სახეიმო განწყობილების შედეგად 1205—1206 წლებში“ (130).

ჩვენ ამჟამად ვაჩვენებთ ნაწარმოების თარიღის დიდგნის საკითხს (ავტორის საყმაო მეცნიერული საფუძველი აქვს ამ თარიღის დასადგენად), რადგან მესამე ტომში ეს პრობლემა, როგორც ჩანს, მკვლევარს უფრო ვრცლად ექნება განხილული და დასაბუთებული. მაგრამ „თამარიაანის“ კომპოზიციის საკითხის გადაწყვეტის თეორიული ნიადაგი მთლად მყარია არაა.

თავის მოსაზრებას, რომ თამარიანი „სტრუქტურულ-კომპოზიციურად შერეული თხზულებაა“ მკვლევარი ასაბუთებს იმით, რომ ძეგლში გატარებულია ერთი იდეა. მაგრამ იდეის ერთიანობა ყოველთვის რადიკალურად უზრუნველყოფს ნაწარმოების ცალკეული ნაწილების მტკიცე ურთიერთკავშირს (კომპოზიციის). საუკეთესო მოსაზრებაც, თითქოს რადიკალური შეწონილი თანმიმდევრობით მისდევდნენ ერთმანეთს, რომ მათი „ერთმანეთისგან დაცილება ან გადაადგილება შეუძლებელი იყოს. ასეთი რამ უნდა გვედარაუდნა მამის, თუ თითოეული ოდა სწორედ კომპოზიციურად არ იქნებოდა დამთავრებული (მესაველი, შინაარსი, ბოლო), როგორც ამას თვითონ მკვლევარი ასაბუთებს. თუნდაც ის ფაქტი რომ „თამარიაანი“ შეტანილია 16-მარცვლიანი შიორის ორი სტროფი, საყმაოდ ნათლად მოწმობს იმას, რომ თხზულების „სტრუქტურულ-კომპოზიციურად შერეულობაზე“ საუბარი ზედმეტია: კლასიკურ ხანაში პეტრომეტრული (არათანაზომიერი) სტროფებით შედგენილი და კომპოზიციურად მთლიანი ნაწარმოები ნონსენსია. შეიძლება ამით აიხსნებოდეს ის გარემოება, რომ ივ. ლოლაშვილს სწავლია „თამარიაანი“ დაინახა „მინორული და მეორული ტონების ეფერადობა“, რასაც იქ ნამდვილად ადგილი არ აქვს. ამასთან: საერთოდ შესაძლებელი ტერმინების გამოყენებისას (მხატვრული სიტყვიერი ძეგლის დახასიათების დროს) ერთგვარი სიფრთხილე საჭირო. ფაქტურადაც არავითარი „მინორული“ სტროფები „თამარიანიში“ არაა, იგი მთლიანად ორატორული დიქციონარის სტილით დაწერილი ხოტბებია. ხომ არ არყვეს ეს ჩვენი დებულება იმ მო-

საზრებასაც, რომ „თამარიაანი“ ერთდროულად მოთქმებულია ერთი მთლიანი სიმღერა?

2. ი. ლოლაშვილი დამაჯერებლად სტრუქტურის ჩაზრებას ნიჭის უაჩინებლობას „თამარიაანის“ ავტორისადმი ასეთი დამოკიდებულების მიზეზს მკვლევარი ხსნის იმით, რომ კერძოდ XIX საუკუნეში ძეგლის შეცნობის გამოცემა არ არსებობდა და მას მხოლოდ შერყენილი ხელნაწერის გამოცემებით იცნობდნენ. ამის გამო „ი. ჰაველიანის გენიალურ ვერ ვაჩვენებთ“ ძეგლის მხატვრული სადიადეო — ამბობს მკვლევარი (გვ. 14). მაგრამ როგორია თვით ივ. ლოლაშვილის შეხედულება „თამარიაანის“ მხატვრული ღირსებებზე და მის ავტორზე? ნ. შაბაძის კვლევაზე, ივ. ლოლაშვილი წერს, რომ „თამარიაანი“ მკვნიებარე პოეტური შთავგონებით დაწერილი მხატვრული შედეგია“ (გვ. 1 ხაზგამს ყველამ ჩვენი, ა. ა.) „თხზულების თითოეული ოდა ვასაოცარი ფაქტის გემოვნებითა გამოაქრწილი და თითოეული მისი ტაბი პოეტის გულის სიღრმედად ამოთქმული გრძობაა... ჩაზრებაზე „თამარიაანი“ მხატვრული სიტყვის ეპიტუზობას აღწევს“ (იქვე). „ჩაზრებაზე... ქართული ზმის უპირატესი თვისებურებას უკავშირდით ამორჩილებს, ერთსა და იმავე სიტყვას ვასაოცარი პლასტიკურობით იყენებს სხვადასხვა მნიშვნელობით და ომონიმების ბრწყინვალე ნიმუშებს იძლევა“ (1—2). ყოველივე ეს თქმულია წიგნის ერთ გვერდზე. შემდეგ, გვ. 13: „... 60-ანი წლების ახალი თაობის ახალგაზრდული ვატიკებით უნდა აიხსნებოდეს ის გარემოება, რომ XIX საუკუნის ზოგიერთი გამოჩენილი მოღვაწე ჩაზრებას პოეტური შემოქმედების შეუფასებლობას ამეღვანებდა. ამ შემთხვევაში ჩვენ უპირატესად მხედველობაზე გვეყვას ახალგაზრდი ილია ჭავჭავაძე, რომელმაც უნიჭობის განიხილი გამოუტანა გენიოს ჩაზრებაზე“. ასეთი პანეგიკური ტონით წერს ივ. ლოლაშვილი ჩაზრებაზე და მის თხზულებაზე სხვა ადგილსაც. მაგ. „თამარიაანის ჩამთმობი მყარია, დაგვეწილი, კანდაცემაზე ფაქტი... დიდად გვეხმარება ამ გენიადურ თხზულებების გარემოსა და მისი დაწერის თარიღის ზედმიწევნით განსაზღვრაში“ (გვ. 174-175) (ივ. ლოლაშვილი ჩაზრების ტრადიციის მიხედვით ავრთვე შეთქმულა: „... მისი ეპოქის მეორე დიდი პოეტის — იოანე შეთქმულის თხზულება“ — წერს იგი).

ამრიგად, ი. ლოლაშვილი უწყაყმანდ აღიარებს ჩაზრებას „გენიოსად“, ხოლო მის ნაწარმოებს — „გენიადურ თხზულებად“ სამწუხაროდ, ჩვენ არ შეგვიძლია ივ. ლოლაშვილის ასეთი დიდი აღტაცების განხარება. არც ერთი ამ მოტანილი ფრაზა თუ აზარი უკმარებებს არ შეიცავს. ემპირიული მასალის ანალიზის დროს ივ. ლოლაშვილი

ველეის მაღალ დონეზე. თვითონ მასალის, ესთერეკერ შეფასებისას კი — დაბლა ეშვება. მავალითად, ძნელი წარმოსადგენია ჩაბრუნების „ქანდაკებასავეთ ჩამოსხმული რითმები“ (რითმა საერთოდ ყველაზე მეტად სმენით ასათვისებელი ელემენტია. ლუქისა და მასში პლასტიკური ელემენტის დაქერა ფრთხილ ძნელია). არც ისაა მართალი, თითქოს თამარინის „თითოეული ტექნიკური პოეტის გულის სიღრმეა ამოხეტილი გრძობა“. ჩაბრუნების თხზულებაში ღრმა ემოციონალიზმს სცვლის სიუბერენით აღტაცების გამოხატვითი ეპითეტების ნიაღვარი, იგი მუდამ დეკლამატორის პოზაში დგას. ჩაბრუნებამ შეასწავს ვერსი-ფიკატორია, მაგრამ მოქცეულია ხელმეტი ხელნაწერობისა და სიტყვაზე განვიხილვითი ექსპერიმენტების წრეში. ამიტომ ზოგი რამ, რასაც იგი ლოლაშვილი მას ღირობად უთვლის, ჩვენ ნაკლად მიგვჩანია. ასეთი ნაკლია, მავალითად, პოეტის მიერ „ქართული ზმნის უამრავი თავისებურების ჯადოქარივით დამორჩილება“, ე. ი. არსებითად გადაჭარბებული ვატიცება სიტყვის მიმოხრების თამაშით. სწორედ ესაა მიზეზი იმისა, რომ „თამარინი“ ავტომად, უშთაურესად, ფილოლოგიურ და ისტორიულ ინტერესს იწვევს. ღრმა, უშუალო ემოციური და, საერთოდ პოეტური შთაგონების მიღება თანამედროვე მითხველს ჩაბრუნების ქმნილებასაგან არ შეუძლია. „თამარინი“ — ეპოქის უღრესად მნიშვნელოვანი დოკუმენტია, დიდად მნიშვნელოვანი აგრეთვე ქართული პოეტის ისტორიის თვალსაზრისით, მაგრამ პოეტისა და გენიალურ პოეზიას შორის კიდევ ძვეს მანძილი, რომელიც ჩაბრუნებამ არ გადაუღებავს.

ამიტომაც, იგი, ლოლაშვილი მთლად მართალი არაა, როდესაც ლექსებს — „ახალგაზრდა ილია ქვეყანაში“ ვერ დაათვა მისი „გენიაო“. ილიას ახალგაზრდობა აქ მოსატანი არაა: არ უნდა დავეციწოთ რომ 60-ან წლებში, თავისი პოეტური მოღვაწეობის პირველ პერიოდში, (1857 — 1861), ილიამ შექმნა ლირიკის ისეთი შედეგები, რომლის იმეტი იგი შემდეგ არ წასულა აზრისა და ემოციის სიღრმის თვალსაზრისით (ილიამ ლირიკა პირველი პერიოდისა უდიდესი მონაპოვარია ნ. ბარათაშვილის გენიალური ლირიკის შემდეგ). რაც შეეხება მის მიერ ჩაბრუნების უარყოფას, ეს მისი „ახალგაზრდობაში“ კი არ აიხსნება (ილია ახალგაზრდაობაშივე ღრმა პიროვნება გახლდათ), არც იმით, რომ „თამარინი“ იგი ცუდი გამოცემების მიხედვით იცნობდა (მას რომ იგი, ლოლაშვილის მიერ დადგენილი ტექსტიც წაეკითხა, ვფიქრობთ, იმავე შეხედულებას გამოსთქვამდა ჩაბრუნებზე, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ), არამედ

სულ სხვა იდეები და მხატვრული ხელოვნების მიზეზებით. უწინარეს ყოვლისა, ილიამ იმეტი მიიტანა ქართული მწერლობის კონსერვატიული ბანიკის ლიტერატურულ მენტრზე — ჩაბრუნებზე (ლიტერატურული ბრძოლების ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება კი ისაა რომ ახალი თაობა უწინარეს ყოვლისა ძველი თაობის კერებებს ამხებრებს). რა თქმა უნდა, ყოველივე ეს ნაწილობრივ პოლემიკური მიზეზითაც იყო გამოწვეული, მაგრამ არა მარტო პოლემიკური: თვითონ ილიას შემოქმედებითი ბუნება, მისი ესთერეკერი კრედი (ფორმის წინაშე ღრმა მხატვრული აზრისადმი უპირატესობის მინიჭება) იძულებდა მას უაუბლო ჩაბრუნების მწიგნობრული და ბუნდოვანი თამაში სიტყვებით, ძალზე თვალსაზრისით, თვით-მიხნური გიტაცება პოეტური ფორმის ცალკეული ელემენტებით (თმინიშების სიჭარბე, სიტყვიერი ლიტეროლოგები და სხვ.).

მაინც ეინაა მართალი: ილია და მისი მამდევრები თუ ნ. მათი, იგი, ლოლაშვილი და მათი თანამოაზრენი, რომელნიც ჩაბრუნების გენიოსობის კანონიზაციას ცდილობენ? ვფიქრობთ, ორივე მხარე აჭარბებს: ჩაბრუნებამ ტალღა და ფორმის ვირტუოზი, მაგრამ იგი შეზღუდულია და ამიტომ არც გენიოსია და არც გენიალური ქმნილებების ავტორია, იგი, ლოლაშვილი უნებლად (თუ შეგნებულად!) იმსჯელება გადაჭარბებული აღფრთოვანებით თავისი ლიტერატურული სიუბერენის წინაშე, და არა მარტო ჩაბრუნების წინაშე — მისი აზრით შევთვლიც „მეორე დიდი პოეტია“ (გენიოსი?). მიუხედავად იმისა, რომ XII საუკუნე მართლაც იყო ოქროს ხანა ქართული მწერლობისა, ჩვენ მაინც გაზვიადებულად გვეჩვენება გენიოსების ასეთი ბარაქინი რთველის არსებობა აღნიშნულ ეპოქაში, ასეთი რთველი საერთოდ იშვიათია (ერთი საუკუნის მანძილზე) არა მარტო ქართულ, არამედ შოთღლიო პოეზიის ისტორიაშიც (გამონაკლისია ბერძნული ლიტერატურა პერიოდის ეპოქისა, იტალიური რენესანსი და... მგონი ამით ამოიწურება მავალითები).

პოეტის და საერთოდ მწერლის გენიოსობის საკითხს საუკუნეები წყვეტს. ღრამ არ გადაწყვიტა ჩაბრუნების სასარგებლოდ ეს საკითხი.

ეს პრინციპული დევა ხელს არ შეევიძლის დავიხსნათ იგი, ლოლაშვილის ნაშრომის მაღალი ღირსებები, რომელიც ჩვენი რეცენზიის დასაწყისშივე აღნიშნული. სარეცენზიო შრომის ავტორის სხვით ქართულ ფილოლოგიას უფს დიდად სიიშედო მუშაია, რომლისაგანაც ვველანი ბევრს უნდა მოველოდეთ. მისი მომავალი წარმეტბანი ჩვენი ვულწრფელი სურვილია.



ივანე ქავთარაძე



## მგნატე ნინოზვიდის ენის ძირითადი საკითხები\*

ამავე ჯგუფის წარმოებულ სახელებში ჩანს საინტერესო სოციალური კატეგორიის — თავდაზნაურთა და მოხელეთა — მდგომარეობა: ახალი ეპოქის ბრმა კანონების ძალით, შემთხვევის გამო წამოტივტივებული პირები (დროიძე: „სიმონა“), ანდა ძველი ყოფის გადმონაშთები, რომლებიც ცხოვრების განვითარების კანონზომიერებით ზედმეტ ბარჯალ ქცეულან, ფიზიკურად და სულიერადაც გადაგვიარებულან: ძველის ენაძე („ქრისტინე“), თხლეძე-რაძე („სიმონა“), უქმაძე („ქრისტინე“), გულფუქაძე („მოსე მწერალი“) და სხვა.

მეორე კატეგორიის გვიარსებულების წარმოებაში შედარებით უფრო ნეიტრალური ვნა გამოყენებული: ან სადაურობის სახელს ფუძე აღებული (გადაღმედიძე: „ცოლი და ქმარი“; ტუისპირელიძე: „მონადირე“); ანდა საზოგადო არსებითი სახელისა: წაბლაძე, ცვარიშვილი; („ცოლი და ქმარი“), თაფლაძე: („არშიენი“), ან რივაძე („სოფლის გმირები“), ტევრიძე, მოახლიშვილი („პარტახი“).

შესამე ჯგუფის წარმოებულ გვიარსებულებში ზოგიერთი ცვლილებაა შეტანილი ფუძეში და ამით განსხვავდება იგი ამა თუ იმ კუთხეში გავრცელებული და ცნობილი გვიარსებულები: მაშალაძე („უცნ. სენა“), შდრ. მაშალაძე; კოლოშვილი („განაცხული ოჯახი“), შდრ. კოლოშვილი და სხვა. ამგვარი წესი ქართული ლიტერატურიდან სხვადაც ცნობილი (შავალითად თათქარიძე — თათქარიძის ნაცვლად... ე. ნინოშვილი იყავს და ავითარებს ქართული ლიტერატურის ამ ტრადიციას.

ლექსიკონი. ნინოშვილმა თავის მოთხრობებში იხმარა ბევრი ახალი სიტყვა და გამოთქმა, რომლებიც მან ლიტერატურაში შემოიტანა ვერული ცოცხალი მეტყველებიდან. მართალია, ამასთან მისი პერსონაჟების მიერ ნახშირი ბევრი დაღმეტური სიტყვა ლიტერატურაში არ დამკ-

ვიდრდა, მაგრამ მწერლის მიერ მათი ხმარება საინტერესოა, როგორც წყარო დიალექტური ლექსიკონის ისტორიისათვის. ისიც უნებელია, რომ რიგი ამ დიალექტურ სიტყვათაგან შეიძლება თავისუფლად ვიხმაროთ ლიტერატურულ ენაში (შავალითად, გვაღვის საინტერესოა ჰეიეოტი — ხშირი წვიმა: „უყიეთიანი ვახუშელი“...).

დაღმეტური სიტყვების ხმარების დროს ლიტერატურაში ე. ნინოშვილი, აკახაბეგი და ვაჟა-ფშაველა ერთნაირ წესს მიმართავენ: იგინი ხშირად თვითონვე ხსნიან ხმარებულ სიტყვების წინაარსს. ე. ნინოშვილის მიერ ნახშირი სიტყვებს ხშირად ახლავს სხარტი დახასიათებები და შენიშვნები, ერთგვარი მოკლე შესავალი (შავალითად, ასეთი: „როგორც სოფელში იტუვიან...“), რომლითაც იგი ამახადებს მკითხველს მათი გაგება — დახსოვებისათვის. მწერალი სიტყვის განმარტებას გამოგვეცემს ან სითანადოდ შერჩეული დანართით, ანდა უშუალოდ სქოლიოში დართული შენიშვნებით. ყველაფერი ეს, მართლაც, აუცილებელი იყო, რამდენადაც, როგორც ამას ავტორიც გრძობდა, სითანადოდ სიტყვებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ მოპოვებული ფართო მოქალაქეობრივი უფლება. მოვივიანთ რამდენიმე ნიმუშს:

ქლექიანი ანუ, როგორც სოფელში ეძახიან, ხეელაინი მოკვდა (ოდაში): „პარტახი“, 72, 26.

მოკვდა ყელის ტყვილით\* ანუ, როგორც სოფელში ეძახიან, კისერბატონებით: იქვე, 68, 25.

დარიამ ვაიჩინა ბოსტანი, შინაური ფრინველები, ღორები, ასე რომ ცოტა ხნის შემდეგ მისაკვამალი ანუ, როგორც სოფელში ეძახიან, პირის გემო აღარ მოაკვდებოდა სიმონის ოჯახს: „სიმონა“, 206. 173. 10

შინაყვანი მისკოლენ და აკეთებდენ საქორწინო კარავს ანუ, როგორც ისინი ეძახდნენ, სეფას: „ჯანგი გურიში“, 112. გზის პირად იღვა ერთი თბეკეთხედი შენობა, რომელსაც გურიის ხალხი ჯიხურს ეძახდა: იქვე, 83.

\* დასასრული. იხ. „მნათობი“ № 6, 7, 8.

„ნამეტარი უფროსილი დიდუკ დღეს (ამირველ სეტიმბერისო)“: „პარტახი“, 44, 12. სიმონა დავდა „გოგოკოზე“ (პატარა სკამი): „სიმონა“, 205.

ვილცამ დახურა ისლთ ეს სახლი და გაიზინა ფუტი (კომლი, მოსახლობა): „გოგია უიშვილი“, 141.

კუთილი ანუ კენესა ცოტა მოშორებით მოისმა: ფელეტონები, 111, 11.

ტევრათ — გაუქალი ტყით იყო დახურული: „ჯანყი გურიაში“, 78.

ამგვარივე კონტექსტებშია ნახმარი და განმარტებული დომბილო, მორიო, კუმი, დონხაე რი, ნოყო, ეჭრაი, ბელჯაში, ჩახანა, სამძირი, ნაობახი, აყურყურებებს და ბევრი სხვა.

ადგილობრივი ყოფისა და ჩვევების აღწერას, ადგილობრივი საოჯახო ხელნაწყოებისა, ნივთებისა თუ ტანსაცმლის შესახებ მსჯელობისას ავტორი ხშირად იმ სახელწოდებებს, რომლებიც ხალხში იყო გავრცელებული. მწერალი ცდილობს შეინარჩუნოს კოლორიტის დამახასიათებელი ნიშნები, მაგრამ საგრძნობ სიფრთხილით და მორიდებით. იგი ამ მიზნით საკუთარ ჩემპარკში გურულ დიალექტურ სიტყვებს წინააღმდეგობას სთავსებს, ზოგჯერ ფრჩხილებშიც მიუწერს განმარტებას:

ვარდიკოს... თავზე აბრეშუმის... „სახოცი“ ეხურა: „არშიყნი“, 177.

დარია როგორც ვაჟაკი, ისე ეხმარებოდა ძმას „საბუშვიტში“. „სიმონა“, 198.

ძალათ შეჰყავდათ თავიანთ „ოლქაში“ (კრებში): იქვე, 78.

ფთხილათ დაუმოზნა თავისი „მაჭახელა“ (თოფი). იქვე, 89.

ამგვარივე ხერხით გასაგებდა კონტექსტში ნახმარი სიტყვები ეკუთვია (ეკუთვუთია), ფირალი, ჩაქური შალვარი ჩახანა, კედარი და მრავალი სხვა. ავტორისეული განმარტებით და გავებით შემოგვჩა ტექსტების სწორეობაში რიგი ისეთი გურული სიტყვა, როგორცაა ხალა, ფალასკა, იჩილიკი, ყანთარქილა, სამხირი, როგო, ჩხიკი და ა. შ.

ე. ნინოშვილი გურული მეტყველებისა და ეთნოგრაფიის — კარგი მცოდნე იყო. იგი ზუსტად აღწერს ძველ გურულ ჩვეულებებს და შესაფერისა სახელწოდებებით აღნიშნავს მათ. საინტერესოა ამ თვალსაზრისით მწერლის მიერ ნახმარი ისეთი გამოთქმების ისტორია, როგორცაა „სალამზე შეპატყება“, „ალაიაში გატარება“, „დაყალბება“ და სხვა. უკანასკნელი ამგვარად აქვს ავტორს აღწერილი:

„ძლიერ ემიწოდა კიდევ ბუენანს „დაყალბების“, რომელიც ბუენანს და ყველა იქაური მონადირეების ფიქრით, მდგომარეობს შემდეგში: როცა ორი ან მეტი ამხანაგი ერთად ნადი-

რობს და შემდეგ გაიყოფება, შესაძლებელია რომელიმე მათგანმა რაღაც საიდუმლო ზეგაეულით ნაამხანაგარი „დაყალბის“ დაყალბებულის ტყეა ნადირს არ მძობუნებრცხ... თუ მინცდამინც მოხვდა, ვერ მოქმედებდა, უმნიშვნელოდ ძირს ვარდებოდა. დაყალბებულს არ შეუძლია დაჭრილი ნადირის სისხლი დაინახოს და სხვა. ერთი სიტყვით, სანამ „ყალბს“ არ ახსნის, მისი ნადირობა გაფუჭებულია. ყალბი ამწიარად უნდა აიხსნას: ნაამხანაგები ერთ დღეს ზელახავ ერთად წაველენ სანადიროდ. რასაც იმ დღეს იშოვნაან, ისე გაიყოფენ, რომ არაუბს არა ეწყინოს რა, საღამოს ერთმანეთს ამოლოკვენ და გათავდა, „ყალბი ამხსნილია“ („მოწინადე“, 118).

ე. ნინოშვილის მოთხრობებში გვხვდება აგრეთვე რუსული ლექსიკის ნიმუშებიც. მას მწერალი იყენებს უპირატესად პაროდულ-სატირული ხერხით, იმის საჩვენებლად, თუ როგორ მოიქცა ფეხი რუსულმა სამოხელეო ტრინინებმა ადგილობრივ წინონეიკობაში რუსული მმართველობის აღწინაშეული კატეგორიების ძალად დამკვიდრებასთან დაკავშირებით. ასეთებია:

„მეზღის ნაჩალნიკი მოვიდა“: „ყაკია და გუნება“, 59.

„ღუბენატარი მობრძანდება, არ დააკლტე ურილობას, თვარა დიდი შტრაფითა; პრიგავორი შეუდგინოს საზოგადოებამ“: „სიმონა“, 206—207.

„იმას გვმართლებიან, რომ თქვენ კლიაუზნიკები იმართ...“

თქვენ... ვედომოსტის წაყითხვა არ იცით, თორემ თითონ პრიკაზს წაყითხავდით“: „ყაკია და გუნება“, 57.

ე. ნინოშვილის ნაწერებში დიალექტური ლექსიკით სარგებლობისა და მისდამი მოპყრობის ბევრი საგულისხმო ნიმუშია წარმოდგენილი.

მხატვრული სტილის საკითხისთვის. ე. ნინოშვილის ნაწერები იქმნებოდა ძალიან სწრაფად. ავტორის დრო და საშუალება არ ჰქონდა დიდხანს ემუშავა სიტყვაზე, გულდაღინჯებით და ზანგრძლივად ეხრუნა თავისი მოთხრობების მხატვრული სრულყოფისათვის და ორნამენტურობისათვის. უდავოა, რომ ე. ნინოშვილის მოთხრობებს ამ მხრივ ზოგი რამ ავლია. მაგრამ მიუხედავად ამისა, მის ნაწერებში მინცდამოპყება დახვეწილი მხატვრული შედარებებით და საბოვანი სტილის ნიმუშები, რომლებიც ცხადად გვიჩვენებს მწერლის პოეტურ გემოვნებას და ფანტაზიას. ავტორი მიმზიდველად ავტოწერს მზის ჩასვლისა თუ განთიადის სოფლის სურათებს:

„მე ჩაივდა. დედამიწამ ნელ-ნელა წამოიფარა შავი ნაბალი და ბოლოს სულ გაეხვია შიგ: „არშიყნი“, 180.

„ლამამ დაეშვა დედამწიწაზე სიბნელის ზღვა და გზებზე აღარ აღინახებოდა: „ჯანყი გურიაში“, 85.

„ღრმბლიანმა ლამამ ისეთი თვალთუხეილი სიბნელე დაეშვა, რომ გვეგონებოდათ მთელი სამყარო სიბნელის ოკეანაში შთანთქაო“: იქვე, 109.

„ღრმბლიანი ზამთრის მზე ზარმაცად ამოხიზნა მქისედ მოყრილებულ ღრუჯ ცაზედ და თოვლით დაქუთხულ ხეებთ შუა ნელ-ნელა აჭკრუნდა თავის სხეებს“: „გოგია უიშვილი“, 128.

ზომიერი ფერებით და დამაყვრებლად ხატავს ე. ნინოშვილი თავისი მოთხრობების მოქმედ პირებსაც. მართალია, ზშირად ეს სურათები ერთმანეთს სტვენან, მაგრამ ორიოდე ნიმუში აქაც საინტერესოა:

„გოგია, გვირად უიშვილი, ორმოციოდე წლის გლეხი იყო. შეეგვრებანი, მოხმელო, უღამაზო პირისახე მუდამ მოღუშული და ანაღელიანი ჰქონდა. უსწორმასწორო, გაბრძნულ, სწორ წვერ-უღეაში საქმეოდ გამოტრეოდა ჭიკარა: მსხელი, გუხსნელი წარბები მეტისმეტად სასტიკ შეხედულებას სდებდა მის სახეს“: „გოგია უიშვილი“, 125.

ბესიას სწორ პირისახე, ახლად ამოხეითქული მელანოიტი შავი წვერ-უღეაში და ცეცხლივით ანთებულ თვალები, მართლაც რომ საღი და საჭები რამ იყო. მართალია, კრილობას თავისი დაღი დაეხო ბესისთვის, რძე და ღვინისფერი იმისი პირისახის ფონი დაფერხაეულენია, იმისი ზორცილ საფეხებზე დაემსუკეებია, ძარღვები გამოუჩინა, მაგრამ ესენი თითქო კიდევ უფრო ამშვენებრებდენ ბესიას შეხედულებას“: „ჯანყი გურიაში“, 72.

ე. ნინოშვილი იყენებს გამაღი და შემოკლებულ შედარებებს. ეს შედარებები საეგზობი ვეგება იმ საერთო მდგომარეობა—განწყობილებას, რომელსაც ამა თუ იმ მოთხრობის შესაფერისი კონტექსტი გულისხმობს, საყურადღებოა ზოგიერთი ამგვარი ნიმუში მოთხრობიდან „ჯანყი გურიაში“.

„იმით აზრი და პროტესტი ისე ჩაინთქებოდა მათი მრავალრიცხოვანი ამხანაგების წიდილი, როგორც პატარა კენჭი ზღვის სიღრმეში“: „ჯანყი გურიაში“, 81.

„ისინი მიჰყვებოდენ სხეებს ისე, როგორც ინდოურები ან ცხვრები გაყვებიან ერთ მათგანს—წინას, თუნდაც ეს წინა პირდაპირ ტურასთან, ვინდა მგელთან მდიდოდეს“: იქვე.

„გინახავს, გაზადებულზედ ხის ტოტებს მოსკრიონ, საჩაო დასაობენ, სანამ გაზაფხულს დადგებოდეს, სარი იფოთლება, ყვავილდება, მაგრამ რა რომ ზაფხულის ცხელი მზე მთუცხუნებს, გახმება. სწორედ იმისი მსგავსი

იყო ჩვენი აჯანყებულების ვამარჯება“: იქვე, 118.

მეცხრამეტე საუკუნის 60-იანი წლებიდან ხალხური ფორმებისა და ანდაზების გამოყენება ქართულ ლიტერატურაში განსაკუთრებით გამოდრდა. ე. ნინოშვილი იყენებდა ხალხურ ანდაზებს და ცოცხალ ხატოვან გამოთქმებს თავისი გმირების ხასიათისა და მდგომარეობის საჩვენებლად, მათი სულიერი განწყობილების გადმოსაცემად. ანდაზების თემატიკა და შედეგნილობა ისეთია, როგორც შეფერებოდა მისი გმირების საერთო მდგომარეობას, მათ საზოგადოებრივ ურთიერთობას, ანდაზები ან ავტორის თხოვრებაშია შესული და მსჯელობის გახსნას ემსახურება, ანდა მოქმედი პირების მეტყველების სიმკვრივეთ:

„დაწვარზე მდღლარე ვადაასხიო, რომ იტყვიან, იმის არ იყოს—აქეთ სიმონა ყაჩაღად იყო გაეარდნილი და იქით კიდევ ქალიშვილი... საღდაც გაიქცა: „სიმონა“, 227.

ქურღი რა უნდა და—ზნელი ლამეო, იმისი არ იყოს, ჰასან თავდგირიძესაც ეს უნდოდა: „ჯანყი გურიაში“, 13.

შიში მაჩვენე, მუხლს გაჩვენებო—ამ ანდაზისა არ იყოს, ქეთევანს დაეიწყედა თავისი ავადმყოფობა: „სიმონა“, 217.

ის შეზობლები, რომლებიც უწინ ისე ჰკიცხავდენ ქეთევანს, ერთ იმათურები ანდაზისა არ იყოს იქცეოდეს, შეესდეს, შეინდებოდეს, შეეფერო—ახლა ჭებით იხსენებდენ: იქვე, 191.

„ზოგი ჭირი მარგებელიაო, იტყვიან, იმისი არ იყოს, კოზია მშულდა და ახლა ძალიან მასამოვნა ამ აშხებოთ“: იქვე, 109.

„ცეცხლიდან გაქცეული წყალში დაირჩობაო, რომ იტყვიან, სტორეთ ეს იქნება იგი საქმე: ვაფერიადლები და მველსაით დამიწყებენ დევნას“: „მოსე შერიალი“, 183.

„რაე ვინდა თქვი, ზალიკავ: ვიის ვევეყარე და უუის შევეყარეო, რომ იტყვიან, ისე გვეყარს“: „ჯანყი გურიაში“, 69.

ამგვარი ანდაზები სხვაგვარა. დამახასიათებელია, რომ ავტორი არ მიმართავს მათ პერიფრაზირებას და გადაკეთების გარეშე იყენებს.

გარდა ხალხური ანდაზებისა და ხატოვანი გამოთქმებისა, ე. ნინოშვილი იყენებს პირდაპირ ან პერიფრაზირებით ლიტერატურულ გამოთქმებს როგორც ქართული, ისე რუსული და ევროპული მწერლობის ნიმუშებიდან, რომელსაც ჩაურთავს პერსონაჟების მეტყველებაშიც:

სამაგიეროდ ტერაეთელიბი „რაე აქეთ ცოტა, სუერინან“ და მხიარულად ატარებენ დროს: „უცნაური სენი“, 149.

არ ვაგვიგონია, ბიჭო: „სჯობს ყოველსა მოყვარულსა ბატრონ-ყმანი მოყვარულით“—ქევიანი კაცის ნათქვამია [ახნაური ივანე]: „ჯანყი გურიაში“, 22.

„არ გაგიგონია ქვეიანი კაცის ნათქვამი —  
ჭირს ჭერს კედელსავით უნდა შეხეთო? —  
შეიბრუნე ვული, ხეფსი გადაყლაპე“: „გოგია  
უიშვილი“, 136.

ენის იტის... გადაწყვეტილი ჰქონდა თავის  
გულში იასონს ქრისტიანს შერთვა, თუ არა.  
საუკუნეები გავიდა მას შემდეგ, რაც დიდმა  
შექსპირმა სთქვა: „როცა სისხლი ღელავს, ენა  
ჭყიკით არ იღლებოა“: „ქრისტიანი“, 18.

ასეთია ეგნატე ნინოშვილის თხზულებათა  
ენობრივ-სტილისტიკური შედგენილობის ძირი-  
თადი თავისებურებანი. ე. ნინოშვილის ნაწე-  
რების ენა ქართული სალიტერატურო ენის ის-  
ტორიის შემადგენელი ნაწილია; მისი დიალექ-  
ტიზმების დანიშნულებაა ემსახუროს ლიტერა-  
ტურაში ცნობილ ხერხს — პერსონაჟების მეტ-  
ყველების დახასიათებას, კოლორიტის რეალის-  
ტურ ჩვენებას. ენათმეცნიერული ანალიზისა-  
თვის ეს იგი საწილი ისტორიულ-დიალექტოლო-  
გიური მასალაა.

შეიძლება ითქვას, რომ, მიუხედავად ავტორის  
ტიქსტის რედაქციული ცვლილებისა, რაც მასში  
გამომცემლებს შეჰქონდათ, მწერლის მიერ ნახ-  
პარმა დიალექტურმა ფორმებმა ჩვენამდე დიდ  
უშეტეს შემთხვევაში უცვლელად მოაღწია. ეს  
დიალექტური ფორმები ასახავს გურულის ვარ-  
კველი ნაწილის ენობრივ ვითარებას, თუმცა  
როდეს ამოწურავს მას: მწერალს წესად არა  
აქვს პერსონაჟის ფრაზაში ყოველი სიტყვა  
უგამონაკლისოდ „გურულად გააყეთოს“, იგი ამ

მხრივ არჩევს უფრო ტიპურს. დამახასიათე-  
ბელსა და გავრცელებულ ერთეულებს.

ე. ნინოშვილის სიტყვაწარმოტანად...  
ქარგად ასახავს ეპოქის სოციალურ ურთიერთო-  
ბას. გურული სიტყვებისა და გამოთქმების გა-  
მოყენებით მან უდავოდ საინტერესო მასალა  
დააგვიტოვა გვიჩვენა გურულის, როგორც ერთ-  
ერთი დიალექტური სარეზერვო ფონდის, მნი-  
შვნელობა და შესაძლებლობანი.

ესწველობით და ეფთხებით რა ე. ნინოშვილის  
ენას თავისი დროისა და ვითარების მიხედვით,  
შეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის სალი-  
ტერატურო ენის მდგომარეობის მიხედვით, გა-  
სახეობა ხდება ზოგი იმ გრამატიკულ-სტილის-  
ტიკური ნორმების დარღვევის კანონზომიერე-  
ბაც, რასაც ენათმეცნიერული ანალიზის პრო-  
ცესში ვადასტურებთ მის მოთხრობებში. თანა-  
მედროვე ქართული მწერლობის ენისათვის,  
რომელიც სოციალისტური ჭაბუკელი ერის ერ-  
თიან ლიტერატურულ ნორმებს ეწყობება, განვ-  
ლილი ეტაპია, უკეთ: მოძველებული ხერხია  
ლიტერატურის ენაში დიალექტიზმების იმგვა-  
რად გამოყენება, როგორც ამას ე. ნინოშვილთან  
და მის თანამედროვეებთან ვხვდებით. მაგრამ  
ენის ხალხურობის ცნება გულისხმობს დიალექ-  
ტიზმიდან ისეთი ახალი გამომხატველობითი სა-  
შუალებების, ისეთი გრამატიკულ-ლექსიკური  
ფორმების გამოყენებას, რომელიც ყველაზე  
უკეთ შეეფერება ახალი სტილისა და მეთოდის  
ახალი ეპოქის ლიტერატურას.

# ლიტერატურული მემკვიდრეობა

საქართველოს  
საბჭოთაო  
კულტურის  
მინისტროს  
გამომცემლობა

## მორის ბოურა\*



### ვეფხისტყაოსანი\*

როგორც ცნობილია, იმ ხალხის პოეზიაზე წერა, რომლის ენა არ იყო — საზიფათია. საუკეთესო თარგმანებიც კი თუ უზარალოდ მცდარი არ არის, უხუსტია, და რამდენადღაც პოეზიის არსებითი ზემოწმდება სიტყვათა ინდივიდუალური შეწყობიდან გამომდინარეობს, როგორცა ჩანს შეუძლებელია კრიტიკული მსჯელობის საგნად აქციოს ის პოეტური ნაწარმოებები, რომელთა წაკითხვა ორიგინალის ენაზე არ შეგვიძლია. და მაინც, ხანდახან ცოტნება იმდენად დიდია, რომ ძნელია მას წინაღუდეგ. ლიტერატურის ისტორიაში პოეტური ნაწარმოების წინაარსსა და გერეგან ფორმას შესაძლოა თავისი საკუთარი ინტერესი გააჩნდეს, და თუ ამ ნაწარმოებს ვერ ვკითხვობთ ისე, როგორც გვინდა — მთელ საესებაში, იძულებულნი ვხდებით თარგმანებს მივმართოთ. თუ ლირიკული პოეზიის მიმართ ასეთი მიდგომა არადამაკმაყოფილებელია, ეპიკური პოეზიის მიმართ იგი უფრო მეტად დასაშვებია. აქ, უკიდურეს შემთხვევაში ამბის ხასიათსა და ახრობის მანერაზე მანაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ. შეგვიძლია დავინახოთ როგორცა ეს მოთხრობა აგებული ან პოეტის პიროვნულ შეხედულებებზე რაიმე წარმოდგენა ვაქონოთ. ეს არ იქნება კრიტიკა მკაცრი მნიშვნელობით, არამედ ლიტერატურული მხალსა და აზრის შესწავლა და თუ კი კრიტიკოსი ბოლომდე ვერ შეასრულებს თავის ფუნქციას, მას მაინც ძალუნო თავი ვაართვის იდეათა და მათი მხატვრული გამოვლინების ისტორიას. ასეთი კვლევის შესაძლებლობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, როცა ნაწარმოები შექმნილია დიდ ბრტანეთში ისეთ ნაკლებადცნობილ ენაზე, როგორცაა ქართულად დწერილი პოემა — „ვეფხისტყაო-

სანი“, ეს პოემა ინგლისურად<sup>1</sup> პროზითა და რუსულად<sup>2</sup> ლექსადგება თარგმნილი და ამ უცხო საზოგადოებას კი იგი იმდენად გვზიზიავს და იმდენ საინტერესო ითხვას აღვივებავს, რომ უცილობელი ყურადღების ღირსია, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ შეგვიძლია დავუტყუთ იმ ენის მრავალრიცხოვანი სიკეთით, რომელზედაც მისი თაყვანისმცემლები მიგვიითხებენ და რომლის მეოხებითაც შევიძლებთ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ქართველები მას თავისი ნაციონალური ლიტერატურის შედევრად მიიჩნევენ. თვით რუსთაველის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით. ეს გასაკვირიც არ არის. რამდენადღაც XIII ს. მონღოლთა თავდასხმებმა და შემდეგ თემურლენგის ურდოების შემოსევებმა იუნაზღურებდა წინა მიაყენა საქართველოს და მისი ლიტერატურული შექვიდრების მრავალრიცხოვანი ძეგლები გაანადგურა. მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ის XII ს. ბოლოსა და XIII ს. დასაწყისში ცხოვრობდა. რამდენადღაც რუსთაველი თავის პოემას მეფე თამარს უძღვნის რომანტიკულ პანეგირიკის სიტყვებით და მივანინშნებს, რომ მან უბრძანა პოემის დაწერა. — იგი, უნდა ვივლისებოდ, მეფის კართან დაახლოებული პიროვნება იყო. მის ნამდვილად კარგი განათლება უნდა მიეღო და როგორცა ჩანს იცნობდა ანა მართო თავისი ქვეყნის ტრადიციულ თქმულებებს, არამედ სპარსეთის დიდად განვითარებულ პოეზიასა და თანადროულ ფილოსოფიას. სინამდვილეში იგი უფრო ნაკიბი ჩანს ვიდრე თავად აღბრტებს ამას. პოემის პროლოგში მოხსენიებული ორგვარი მიჯნურობა (22) პირდაპირ მიგვითხებებს ნიზამის ორ პოემაზე (ლეილ-მეყენუ-

\* მორის ბოურა — ცნობილი ინგლისელი მეცნიერი.  
წიგნიდან „შთაგონება და პოეზია“, ლონდონი, 1955 წ.

1. „ვეფხისტყაოსანი. თარგ. მარჯორი უორდროპის მიერ მოსკოვი. 1938. პოემის ციტირებისას ეს გამოცემა გამოყენებულია.  
2. „ვეფხისტყაოსანი“. თარგ. შალვა ნუცუბიძის მიერ. მოსკოვი. 1941

ნანი და ბარამგურიანი), ხოლო პლატონის ზუსტი ციტირება (770) მის ფართო განათლებას გვიჩვენებს. როგორც ცნობილია რუსთაველს სხვა ნაწარმოებებიც ქონია — რომანტიკული ეპიკოსი „ოსებ მშვენიერი“ და „ქებანი“, მაგრამ არცერთი არ შემონახულა. ჩვენამდე მხოლოდ ვეფხისტყაოსანში მოაღწია. ეს არის 6500 სტრიქონიანი კატრენებით დაწერილი პოემა. კატრენებს ერთი რიმა აქვს ა-ა-ა-ა, — პრინციპის თანახმად, როგორც ამბობენ ასე გარითმვა ძნელია, როგორც ქართული ისე სხვა ენებისათვისაც, მით უმეტეს რომ გამოყენებულია მხოლოდ ორ-ორსეული და სამწარცვლიანი რითმები. პოემა შეიძლება დათარიღდეს ასე თუ ისე საიმედოდ გაჩვენებულ საზღვრებში. რამდენადაც რუსთაველი 1196 წ. დაწერილ ნიჰამის ბარამგურიანს ახსენებს, ეს ვაშლეს terminus a quo-ს შაშინ როცა terminus ad quem შეიძლება წარმოდგენილ იქნეს თამარ მეფის ძის, ლაშა გიორგის თანამოსაყდრის — ლაშის მიმართ ლექსით, რამდენადაც, თუ ეს ფაქტი მოხდებოდა, რუსთაველი რაიმეა უნდა მას თამართან დააკავშირებდა პროლოგში. ამიტომ ვეფხისტყაოსანი შეგვიძლია დავათარილოთ საუკუნის დასაწყისით 1198 წ. და 1207 წ. შუალედით. ეს იყო ვაცხოველებული შექმედების ხანა, ბევრ ქვეყანაში და შორეულში საქართველომ ამავე ეპოქაში მსოფლიო ლიტერატურის საგანძურს თავისი უნიკალური წვლილით გამოიძღრა.

ამ დროში პოეზია, როგორც ევროპაში, ასე აზიაში მნიშვნელოვნად იცვლიდა ფერს. ეპოქა დღის წესრიგში იდგა, და თუმცა იგი ჯერ კიდევ მოგვეთხრობს საგრილო საქმეებს და სათავადასავლო ამბებს — მათი ტონი უკვე შეცვლილია. ეპოსის მთავარი საგანი ყველაზე დიდების მოხვეჭაა, მაგრამ იგი თანდათან ახლებური შინაარსით ინსპირაცია, ეს სახლებრომანტიკული საყვარულის თემა, როდესაც გმირები ყველაფერს ხაღიან რომელმე შინაღიოსნის გულის მოსანადირებლად, თუნდაც რომ იგი თვალათაც არ ეხილად. ეს თემა უკვე ცნობილია ნიბელუნგების სიმღერებიდან და ამავე ხანის ფრანგულ ეპიკურ ნაწარმოებიდან, რომლებშიაც ეს თემა ბევრად უფრო აქტიურ როლს ასრულებს. აზიაში, სადაც წამყვანი ადგილი სპარსეთს ეჭირა, ნიჰამი (1140 — 1202), გმირი მიჯნურების რომანტიკულ ამბავს მოგვეთხრობს და ამისათვის ფორლოუნის საქვეყნოდცნობილ თემებსაც კი სესხულობს, თუმცა მათ თავისებური განმარტებით ახლებურ მნიშვნელობას ანიჭებს. ევროპის ეპიკური პოეტები, ისევე როგორც აზიაში, გარკვეულ სოციალურ ფონზე მოიხატებიან. სიყვარული პოპულარულ თემად არის

გადაქცეული მეფის კარზე და დიდ სასახლეებში და ამ სიყვარულს — არც დაწველია თუ პიეტრო დეა ენდის, ვოლფრამ ფონ ესენბახისა თუ სამხრეთ ესპანეთის მკერე პოეტების მიერ თავისებურად შეფერის, რამდენადმე იდეალური ხასიათი აქვს. სატრფოს იგავი შეცვლილი სიკეთითა და ღირსებით ამკობენ, რათა მას მაქსიმალური გულმოდგინებითა და თავგანწირვით ემსახურონ. ასეთი იყო სული საუკუნისა და მისივე წიაღისა წარმოშობილი „ვეფხისტყაოსანი“.

1221 წ. მონღოლები შემოიჭრნენ საქართველოში და დაიპყრეს მისი ნაწილი. ამ თარიღით დაიწყო მისი დაკნინება. მაგრამ მანამდე თითქმის საუკუნის განმავლობაში იგი ტაშეზოდა გონის შესამჩნევად თავისუფლებითა და სრულქმნისი ესწრაფვით ფილოსოფიასა და ხელოვნებაში, რომელშიც სხვადასხვა მხრიდან, განსხვავებულ ძალებს თავისი წვლილი შექმნდათ. ერთის მხრივ, პოეზია სპარსეთიდან მოდიოდა. ქართულად ითარგმნებოდა ფირდოუსის შაჰნამეს ნაწყვეტები და უფრო თანადროული პოემები, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი ნიჰამის „ლეილეჯენიხანი“ და „ხოსროფ და შირინი“ იყო. მეორეს მხრივ, ბიზანტიის იმპერია, რომელიც ევროპისათა ლაშქრობებით ჯერ კიდევ დანგრეული არ იყო, ნეოკლასიკური აღორძინებით გაძლიერდა შრომათა მნიშვნელოვან რიგს იძლეოდა. თუმცა 1225 წ. ქართულად თარგმნილი იყო ნაწყვეტები პომპროსიდან, ბიზანტიის წინამე ვალში ყოფნა უზარატესად ფილოსოფიის დარგში შეინიშნებოდა. ისეთი ფილოსოფოს ნეოპლატონიკოსთა შრომები, როგორიცაა პროკლე, პორფირიოსი, ენეოს და სხვა, ფსევდოდიონისე არეოპაგელი, ცნობილი ვახდა საქართველოში ქართულ სწავლულთა მეშვეობით. თუმცა ბერძნული ფილოსოფია და სპარსული პოეზია ურთიერთისაგან განსხვავდებოდა, ხდებოდა მათი კომბინირება, რის შედეგადაც ორი მთავარი მიმდინარეობა წარმოიშვა. ჯერ ერთი ის, რომ მუსულმანური საფუძვლიდან აღმოცენებული პოემები ბერძნულ პლატონიზმთან გაერთიანდნენ და ხელი შეუწერეს უფრო მკაცრსა და აბსტრაქტულ მონოთეიზმს, ვიდრე ეს აღმოსავლური ეკლესიის მეოხებით პრაქტიკულად ხორციელდებოდა. მეორეც, — სპარსული პოეტების მიერ რომანტიკული-სიყვარულით გატაცებამ ნეოპლატონიზმის საკმაო მხარდაჭერა მოუპოვა იმისათვის რომ უზრუნველყო ინტელექტუალური საფუძვლი ამ თემატიკისათვის, რომელსაც ეს პოეტები მდიდარი წარმოსახვით ამუშავებდნენ. რუსთაველს ორივე ეს მოძრაობა ღრმად შეეხო და მათგან დავლენულია ბევრი რამით, რაც მის პოემაში უმეტესად განსაკვირვებელია.

ფეხბატყაოსანი საფუძვლიანად მოფიქრებული და კარგად აგებული ამბავია, ოთხი მთავარი და რამდენიმე მეორეხარისხოვანი პერსონაჟის მეშვეობით გაშლილი. ორ გმირს ავთანდილსა და ტარიელს შესაბამისად უყვართ თინათინი და ნესტანი. ტარიელს უყვარია სენსაიტირად შეიჭრება ავთანდილს სამყაროში და ისევე მოულოდნელად გაუჩინარდება. თინათინი გზავნის მას ტარიელს საქმებრად. ავთანდილი ახერხებს მის ნახვას და შემდეგ ირწევა ფათერაკებით ისევე ისტორიკა, როგოც ორი მოქმედი უკვალად გადაკარგულ ნესტანს დაეძებს. ბოლოსდაბოლოს მის კვალს მიიგნებენ და ამბავი სრულდება კიდევ რამდენიმე საფიქროს საქმით. ამ მთავარ სტრუქტურაში პოეტი რთავს ტარიელის მიერ მოთხრობილ, მისი წარსული ცხოვრების, სატრფოსადი სიყვარულსა და ნესტანის უცნაური გაუჩინარების ამბავს. რუსთაველი მოგვითხრობს ეპიკური პოეტების საყვარელი ზღვრებით, რომელიც თავისი სიძველით ვიღვამეშა და ოდესგას არ ჩამორჩება. პოემის მოქმედება ვითარდება საკუთარი ლოგიკური კანონების მიხედვით, რომლებიც, უნდა ვაღიაროთ, თქმულა რამდენიმე უცნაური, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დამაჯერებელი და დრამატულია. თქმულა თინათინი ნაკლებ გამოჩენილი პიროვნებაა, ვიდრე ნესტანი, იგი საკმაოდ დიდ როლს ასრულებს, თუნდაც იმტომ რომ ავთანდილს დეკარტული ყმა საქმებრად წარგზავნის. თუკი პოემაში ერთი გმირია, იგი ტარიელია. ყოველ შემთხვევაში რუსთაველი თავისმა პოემის დასასრულს გვიყვებს — „მისთვის კრემლშეშრობელი“ (1631) ვარს და ისევე ეძებო მას, როგორც სხვებმა შეაქვს ქართული ლეგენდების დიდი გმირები — აშინი, აბდულმუსია და დილარგეთიო. მაგრამ რამდენადაც ავთანდილი დეკარტული ტარიელთან, როგორც შეუდარებელი მეგობარი და თანამზრახველი — იგი არანაკლებ მნიშვნელოვანი პერსონაჟია. ისინი წარმოადგენენ ტრადიციული სტილის პერსონაჟულ წყვილს და თუკი ერთერთი დომინირებს, მეორე არანაკლებ მომზიბლავია. პოემა ერთი მოქმედი პირის გარშემო არ არის აგებული — მას ერთიანი სიუჟეტი აქვს, რომლის მიგნით დამკვიდრებული მოქმედება მათ ურთიერთს შეიჯახებს ხოლმე. მეფე თამარისადმი მიძღვნილ პოემის დასაწყისში რუსთაველი პოეზიის შესახებ თავისებურ მანიფესტს გადმოგვცემს. იმის შემდეგ რაც გამოაცხადებს, რომ პოეზია „სიბრძნის დარგია“ (12). შიორის გრძლად თქმისა და მოკლედ თქმის ურთიერთს ადარებს და გვეუბნება, რომ თავად იგი უძრავი სიბრძნის გრძლად თქმის ანიჭებს სამი მოსაზრების გამო: პირველი, ყველას შეუძლია შეთხზას

რამდენიმე ლექსი, მაშინ როცა ნამდვილი ნიჭია საჭირო იმისათვის, რომ დიდი მასშტაბის თხზულება შეიქმნას. მეორე — ლირიკოს „არ ძალბოთ სრულქმნა სიტყვათა გულსა გასაჭირთთა. დიდსა ვერ მოკლებუნ ბელად აქეთ მოკლა ნადირთა მცირეთა“ (16). „მესამე ლექსი კარგია სანადიმოდ, სამღერელად, საამყოდ, საღალობოდ, ამხანაგთი საირველად“ (17). მაგრამ რუსთაველს უფრო სერიოზული რამ უნდა, რასაც მხოლოდ გრძელი შიორი შეესაბამება, ასეთი შიზანი ამ საუკუნისათვის აღმოსავლეთშია და დასავლეთშია დამახასიათებელია. პოეტები ჰქმნიან დიდი მასშტაბის ნაწარმოებებს და მასში სათავგადასავლო ამბებს — ვამაზღვრულ შეხედულებებსა და პრინციპებზე აფუძნებენ. ამიტომ ბუნებრივია, რომ რუსთაველი გვიჩვენოს საქმეების გამო მოგვიტობრებს და მათ გარკვეულ ხარკს უხდის თავისი დროისა და ხალხის გეოგნების. არც ის უნდა მოგვეჩვენოს ნაკლებ ბუნებრივად, რომ ის გრძელ შიორს აძლევს უპირატესობას, რამდენადაც ასე წერდნენ წინა საუკუნეების ქართველი პოეტები. მათ შიღმა იღო ზეპირი პოეტური თხრობის ტრადიცია, რომლის მასშტაბები მათ უფრო ფართოვდება, რაც უფრო საღრმეში მიდის. მაგრამ როცა იგი იცავს გრძელ შიორს მოკლეს საპირისპიროდ, იგი ლაპარაკობს ხალხურ ტრადიციანე საკარო პოეზიის საპირისპიროდ, *chanson de geste*-ის სასარგებლოდ, *chanson d' amour*-ის საპირისპიროდ და გვიჩვენებს, რომ საქართველოში ისევე როგორც საფრანგეთსა და გერმანიაში იმ ორ სახეობას შორის ერთგვარი მეტოქეობა შეინიშნებოდა და რომ თავად იგი უპირატესობას *chanson de geste*-ს ანიჭებს, რადგან იგი უფრო ფართო წრისათვისაა განკუთვნილი და უფრო მეტად ვასაგებიცაა. მაგრამ რუსთაველი მხოლოდ ამბის-გამოსათვის არ მოგვიტობრებს რამეს, იგი ვამცინობს, რომ მას უყვარს მეფე თამარის და შთაგონებულია ამ სიყვარულით, მას ვაზრახული არა აქვს იგი პირდაპირ შეაქოს:

„ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ეაქვბ, ვინცა მითია,  
ესე მიჩნს დიდად სახელად, თვია არ გამიქითია.“

იგია ჩემი სიციცხლე, უწყალო ვითა ჯიქია,  
მისი სახელი შეფარეთ ქვეშორთ მითქვამს.  
ნიჭია.“ (19)

თუმცა პოემა უშუალოდ აწფერს მოგვიტობრობს თამარზე, იგი უტყფნს რუსთაველის განცლებს მისდამი და მათ მეორადი ან ბუნებრივი ფორმით წარმოადგენს. ფაქტობრივად ეს — გმირულ გარემოში გრძობობათა დრამატიკა

ზაცია, ამბის გაშლის მეშვეობით თავისი სიყვარულის განცხადება. ჩვენ გარდევინა დანტე, და თუმცა რუსთაველი დანტესაგან მით განსხვავდება, რომ თავის სათაყვანებელ არსებას გამოირჩევს მოთხოვნის მდინარეებიდან, — მას შეეძლო დათანხმებოდა დანტეს იმავით, რომ იგიც —

„...მწერის ნიერ  
შთაგონებული ყურს მიუგდევს და ასე  
მწერას  
და თვის გულისთქმის ამნაირად ამცნობს  
სამყაროს“  
(საღიხნებელი XXIV, 52.)

ორივე პოემა ერთი ქალისადმი იდეალური სიყვარულიდან, ამბის გაშლის ფართო სტე-  
მიდან გამოდის და თუმცა რუსთაველის სამყარო უფრო შეზღუდულია, ვიდრე დანტეს სამყარო, იგი უფრო მეტადაა დაუნჯებული სიყვარულის თემაზე და არ შორდება მას. რუსთაველის სიყვარულის კონცეპტია, სიკვებით შესაძლოა, მისი ზოგიერთი თანამედროვეთაგან უცნაურადაც უღერდა, და უმკვე-  
ლია ამის გამო განმარტავს პოეტს:  
„ეთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი  
გვართა ზენათა,

ძნელად სათქმელი, საჭირო გამოსავლები ენათა,  
იგია ხაჭმე საზეო, მომცემი აღმადრენათა,  
ვინცა ეცდებოდა, თმობამცა ქონდა მრავალთა  
წყენათა“ (21).

პლატონური პანგი უკვე გახშირდა და შემდეგ ჩვენ ვხედავთ, თუ რა სისასხით შეიძლება პლატონური თვალსაზრისი რუსთაველში. ჩვენ ვხედავთ აგრეთვე, თუ თანდათანობით როგორ ეხამება ამ თვალსაზრისის სხვა იდეებში, აქ, რუსთაველი სხვადასხვა ქვეყნის სიყვარულის ელტობებს მოგვაგონებს. ჯერ ერთი ვეგონდება არსო დანიელისა და ქოფრე რუდელის მსგავსი პროვანსალელი პოეტები. თუმცა იგი ლაპარაკობს მხოლოდ „ქვენა ხელმანაზე“ იმიტომ, რომ „ენა დამწერების იმ ერთი მიჯნურობის“ (21) მისხადევრად, ცხადია რომ ნოქციევის კეთილშობილი კოდექსი ასეთ სიყვარულსაც სჭირდება. რუსთაველი აცხადებს: „მიჯნურსა თვალად სიტუტრფე მართებს მართ ეთა მზეთა, სიბრძნე, სიმადიდრე, სიტხვე... ენა, გონება, დათმობა...“ (23). რომ ხაზს მიჯნური ხანძირია, არ მემძევი, ბილწი, მართმ... გული ერთისა დაჯეროს...“ (25), მიჯნურს არ უნდა აჩნდეს ქიარი. მიჯნურს სიყვარულსა შიში და კრძალვა უნდა ქონდეს, სიყვარულზე ასეთი მოძღვრება თითქმის ეხმანება დანტეს, მაგრამ რუსთაველი უფრო შორს მიდის, როცა გვეუბნება. თუ როგორი უნდა იყოს მიჯნური:

არს პირველი მიჯნურობა არ დარჩენა ვირთა,  
მალე,  
თავის-შინა იგონებდეს, ნიადავში ქონდა  
საღე,  
შორით ბნედა, შორით კლამა, შორით დავეა,  
შორით ალვა,  
დათმოს წყრობა მოყვრისაგან, მისი ქონდეს  
შიში, კრძალვა. (27)

ამის უახლოესი პარალელი შეიძლება დამკვირვებელს მკვირვებელი ესპანეთის პოეტებში, იმ ზაიდუნთან, რომელიც პრინცესა ვალიდას მიუწერს:

„მომე ტვირთად შემოწყარე ისეთი კეშანი,  
რომელსაც ვერავინ გაფრულვს და მე ავიტან  
ამას, მიხრძანე და დაგვიმონები. უწყალო იყავ,  
ხოლო მე კრძალულად მოგვმსახურები“<sup>1</sup>

თითქმის შეუძლებელია ეთქვათ სად ჰყოვა რუსთაველმა თავისა წარმოდგენები. ბერძნული პლატონიზმი გარკვეულად იყო მისთვის ერთგვარი წყაროთაგანი. პოეზია, შესაძლოა არაბული წარმოშობისა, მაგრამ დამწვნილი სპარსეთის გზით მისე მერზე წყაროა. ამავე ღაროს არ შეიძლება იმ შესაძლებლობის გამო-  
რიცხვა, რომ ზოგიერთი ნიის იდეა თავად მასვე მიუთვროდა და რომ იგი დამოუკიდებლად მივიდა იმავე დასკვნებამდე, რა-მეზამდეც სხვა ქვეყნებში მივიღწენ პოეტებში. იგი უბრა-  
ლოდ არ მიჰყვება ფეხისსმას, როცა სიყვარულს თავისი პოეზიის მთავარ თემად აქცევს. რუსთაველი ბევრი უფიქრია ამაზე და ერთიან თეორიად აქვს შეკრებილი როგორც საკუთარი ისე ნასესხები ელემენტები.

ის, რასაც გულისხმობს სიყვარულში, რუსთაველი კონკრეტულად და დრამატულად აქვს წარმოდგენილი ეფესოსტაოსის პერსონაჟების მეშვეობით. უმაღლეს დონეზეა აყვანილი ტარიელის სიყვარული ნესტანისადმი, რომლის სრული ხელმწიფების ქვეშეა მოქცეული იგი. ტარიელი არა მარტო იმყოფება ხატალებს მისი მითითების თანახმად, არამედ მისი სურვილისამებრ ჰყვანს კიდევაც ხატალებსა მეფისწულს, რომელიც ნამაინსმა საქმოდ აღწრის, სატრფოს უმეორებს სახუტარსაც კი იგი უწმინდეს რელიქვიასავით ინახავს. როცა იგი სატრფოს კარგავს, მთელი გულით უბნობს სიცივლს. მისი მოლოცებისას ცნობა: „კარგავს და გული მისდის. ტარიელი განმარტოების უმებს თავისა ტარჯის განსაქმრებლად და არაფერს არ ებუება, რათა ჯვლავ დაიბრუნოს ნესტანი. ავთანდილისა და თინათინის სიყვარულიც ამგვარივეა, თუმცა მათ ასეთი დიდი განსაკირი არ შემოხვევიათ. აქაც თინათინის გულისათვის. ავთანდილი თავს

<sup>1</sup>. გ. ბრენანი. ესპანელი ხალხის ლიტერატურა. გვ. 25.

იღებს ისეთ საზიჯართო საქმეს, როგორცაა ტარიელის მოსახლე და ნესტანის შველა. საზიჯაროდ ორივე ქალ არანაკლები ვატყუებით და ერთგულებით უყვართ თავიანთი მოყვინი. და თუ მათ ხშირად მეტად ძნელ საქმეებს აკისრებენ, მხოლოდ იმიტომ, რომ სჯერათ თავის მიჯნურთა ძალისა და მოხერხებისა. თუ ეს ქალები დროდადრო ამანნი და მიჯნარებელნი ჩანან, ეს იმით აიხსნება, რომ სიმამყე იმ დიდების საფუძველი იყო, რისთვისაც ისინი ცხოვრობდნენ, თავისებური და არანაკლებ ძლიერი სიყვარულით არიან დაკავშირებული ავთანდილს და ტარიელს. მათ შეხვედრასთანავე ძმური სიყვარული აღფრთოვანებული იქნა, ამ სიყვარულს ანაცულებს ავთანდილს მეფისადმი მიცემულ ფიცს. მამანდილი არაფერს იშურებს იმისათვის, რომ ტარიელს დანაპირები შეუსრულოს. მათ შორის უმცირესი უთანხმოებაც არ არის. თეთრული მათგანი მხარში უდგას მეორეს ძნელ და საჭირო საქმეში. ამ თავისებურ საქმეებში თვით ქვეშევრდომებსაც და მსახურთაც ეს სენტიმენტალური თავდადება და ერთგულების უნარი შესწევთ, როგორც მადლიანად, ასევე ნესტანისა ხოლო. შემდეგველად გაჭრილი ტარიელის მიმართ. თავისებურ თავდადებას ამდღევნებს ავთანდილისადმი ვაჭრის კეკელის ცოლი ფატმანი, რომელსაც შეუყვარდება ეს ღამზი მოყვამ და მას იმის შეხვედრაც კი ეხმარება, როცა შეიტყობს, რომ ავთანდილს აღარ უყვარს და არც არასდროს ყვარებია იგი. ვეფხისტყაოსანი აგებულა სენტიმენტალური თავდადებისა და ერთგულების საფუძველზე და ამა თუ იმ ფორმით გამოვლენილი სიყვარული იშვიათად თუ სტოვებს მის ფერცლებს.

უმათერესი როლი რომელიც პოემაში სიყვარულს ეთმობა, ნებას ვეძღვეს, მას სიმოჯნურთ რომანტიკის პოეზია ვუწოდოთ. ვეფხისტყაოსანს თუ იმავე საუკუნის აღმოსავლურსა და დასავლურ პოეტურ რომანებს შევადარებთ, ბევრ საერთოს ვაპოვებთ. ორი მთავარი გმირის თავდადებული მეგობრობა, თითქმის შეუძლებელი საქმეთა შესრულება, ის დიდი ადგილი, რომელიც ბრძოლებს აღწერის უკავია, ზენების სურათების, განსაკუთრებით შორეული და უცარიელი მიწაწვლის ცოცხლად დაბრუნება, სიმდიდრის იგივე გაგება და კეთილშობილური სტუმარმასპინძლობა — ყველაფერი ეს განეკუთვნება რომანტიკისა და მეტყველებს იმ მაღალსა და ცივილიზებულ საზოგადოებაზე, რომელიც შთაგონებდა ამგვარ პოეზიას. ხელოვნების მოწოდებად იქცა ადამიანის მდგომარეობის ამადლება და შეშინება იმ უხეში საუკუნის სამარისპირად, რომელიც არც ისე თუ შორეული წარსული იყო და კიდევ ისე-

ნიებოდა ხალხურ სიმღერებში. ყველაფერ ამში არსთაველი ტიპიური და შედარებისათვის მრავალ საინტერესო წარმოდგენას შეიცავს. მაგრამ კიდევ უფრო საინტერესოა, როდესაც იგი ნორმალური ფორმიდან საკუთარ გზაზე გადასხვავებს ხოლმე. აქ შედგენდება მისი ორიგინალობა, ერთგულება საკუთარი იდეებისადმი და მათი პოეტურად წარმოსახვის თანამშვედრეობა.

ჯერ ერთი, არცერთ სხვა პოეტურ რომანში სიყვარულს ისეთი ადგილი არ უჭირავს, როგორც ეს ვეფხისტყაოსანშია წარმოდგენილი ავტორისეული კონცეპციით. ეს უბრალოდ იმას როდი ნიშნავს, რომ აქ სიყვარული უფრო ხშირად გამოდის წინა პლანზე, ვიდრე ვთქვათ, ნიბელუნგების სიმღერაში ან თუნდაც ვინგამორში. უფრო სწორად სიყვარული ამ პოემაში განსაზღვრავს როგორც მის სტრუქტურას, ისე გარკვეულ სახესაც. აქ ყველაფერი მასზე ტრიალებს და იგი არასოდეს არის შემოხვევითი ან მეორეხარისხოვანი. ეს მით უფრო შესაძენველად გახდება, როდესაც მოვივლოთ, თუ რა დიდ ურთილებებს უთმობდნენ მეჯნურობას XII საუკუნის ფრანგულ პოეტებში, ხოლო უფრო მეტს ისეთი სპარსი პოეტები, როგორც ნიზამი იყო. და შინე, თუმცა არტურის ლეგენდის ადრეული პოემები ტრისტანსა და იზოლდაში, ლანსელეტსა და ჯინევრამო არა მარტო რაინდულსა და ხორციელს არამედ ტრაგიკულ სიყვარულსაც აღწერენ, ისინი არ ჰქმნიან მთელ წარმოსახვით საწყაროს, სადაც მოჯნურობა მთავარი მოტივი იქნებოდა. სიყვარული ამ პოემებში საკმაოდ განსაკუთრებული და საოცარია და ამიტომ მათგანია ღირსიცაა, მაგრამ იგი ცხოვრების მთლიან სისტემას არ წარმოადგენს. კიდევ უფრო ნაკლებ განიცდის მის გავლენას ტარიელისა და ავთანდილის მამანდილიანობის შესატყვისი მეგობრობის თემა. მართალია, garrin le Loherian მოვეთხობს ორი გმირის დიდი მეგობრობის ამბავს, რომელიც შემდეგ მტრობით შეიცვალა მაგრამ არცერთ სტაიიაში მას არ ჰქონია ტარიელისა და ავთანდილის მეგობრობის ძალა. „ლეილაშენიანი“ და „ხოსრო და შირინის“ მსგავს პოემებშიც კი, სადაც დიდი ვნებები და ფათეხაკეობა აღწერილი, არაფერია იმ შთაგონების ბადალი, რითაც არსთაველი ჩამოაფლინებენ მეჯნურობას, როგორც თეკობრობის აღზრდისა და შთაგონების წყაროს. არსთაველის ორიგინალობა ის არის, რომ სიყვარულს იგი არ განიხილავს როგორც არანორმალურ მოვლენას. მისთვის სიყვარული ადამიანის გულში დავანებული სიკეთის გამომავლიანებელი და სხვადასხვა ფსიქოლოგიური ღონის მამაკეთა და დედაკეთაების ქცევის ნორმების დამდგენია.

მეორეც, თუმცა ვეფხისტყაოსანი რომანტიკული აშავია, მას საოცრად აქლია ერთი ელემენტი. რომლითაც გაყდნთილია თითქმის ვეღა სხვა რომანტიკული ისტორია. — ეს გაბლათ ზებუნებრივობა. იგი ნიბელუნგების სიმღერაშიც კი არის, სადაც ზოგჯერდის უნიმინაინის ქუდი დიდ საქმეს აკეთებს ბრუნ-ბალას გამოსახნელად. ზებრად უფრო პირ-ბად იყენებს მას ფრანგული პოეზია. *Haute de Bordeaux*-იც კი, რომელიც წმინდა საგ-მართ ამბო იწყება, ზაბილონელი ამირბარის ქალის გაიატაცებლად მოწყობილი მოგზაუ-რობით მთავრდება. აქაც თანნაირ ჯადოჭო-ბას ეხედვით. ვინგაგორსია ამ გვაინსა და ვალვეინის პოლანდიური ვერსიების მსგავსი პოემებოც არხეინად დაეცრაგს სასწაულების ზღაპრი. ნაწილობრივ იგვეს თქმა შეიძლება ნიზამის პოემებზეც. ალექსანდრეს ამბის დაწყებისთანავე ნიზამის გმირი მრავალი სასწაუ-ლის ჩამდგენ და მონაწილეა, განსაკუთრებით მანის, როდესაც პლატონთან და არისტოტელესთან უბება ყოფნა. მართალია, ნიზამის საკუთარი ფილოსოფია აქვს, სადაც მიჯნურობას მნიშვნელოვანი როლი აქისრია, მაგრამ იგი თავის დსკვენებს ისეთ ეპიზოდებში აყა-ლებებს, რომლებშიც ბუნების კანონები ან აღარ მოქმედებს, ანდა სხვა, მხოლოდ ბრძენ-თათვის ცნობილი კანონებით არის შეცვლილი. რუსთაველი ამ მხრივ ძლიერ თავდაპერილია. ჩასაც ვეფხისტყაოსნის კაცები და ქალები აკეთებენ მართლაც განსაკუთრებულა და ჩვეულებრივი აღამიანის ძალღონეს აღემა-ტება, მაგრამ მიუბედავად ამისა, ასეთი მოქმედება მანც შესაძლებელია და მაგერობა აქ არავითარ როლს არ ასრულებს. ამ თეატრალ-რისით ვეფხისტყაოსანი თითქმის რეალისტუ-რია. მისი სამყარო ძალზე თავისებურია; მაგ-რამ დამოიცხული არაა, რომ განსაზღვრულ, საყსებით შესაფერისს პირობებში აღამიანები სწორედ ასე მოქმედენ.

შესამდეც თუკი რუსთაველს ფრანგული რომანტიზმის მწერლებს შევადარებთ, უნდა აღენიშნათ, რომ ვეფხისტყაოსნის ავტორს რეალობის თავისებური გრძნობა აქვს. აქ ერთმანეთს უბარისპირდება რუსთაველის სალი დმოკიდებულება კაცობრიობის მიმართ და ფრანგების ტენდენცია, ყველაფერი აბსტრაქ-ციად და აღუგორიად აქციონ. მართალია თა-ვარ რუსთაველი თავის პოემას „აღუგო-რიულს“ უწოდებს, მაგრამ იგი ისე საფუძე-ლიანად აშუშავებს თითოეულ თემას, რომ ჩვენ უშუალო წარმოდგენების მიღმა არასოდეს ვეძებთ სხვა აზრს. ფრანგულ რომანტიზმში კი აღუგორია საყმალდ ხშირად გამოდის წინა ბლანზე. ამის კლასიკური მაგალითია ვილიომ დე ლორისის ავირდის რომანი,“ სადაც პერ-

სონიფიციკრებულ ადამიანური თვისებებმა მოქმედებენ. ეს დაბეწვილი და გერგებამებუ-ლური ხელოვნებაა, რომელიც ღრმად სწელება აღამიანის ბუნებას, მაგრამ, ზოგჯერთი მისახ-რებით, ისეთი სოლიდური არაა, როგორიც რუსთაველის ხელოვნება. ერთია პიროვნების დანაწევრება, ყოველი ნაწილისათვის შესა-ფერის სახელის მიაკეთება, მისი განხილვა, როგორც ერთი ხასიათისა, ხოლო სულ სხვაა ერთ ხასიათში გაერთიანო ეს თვისებანი და მათი ერთობლივი მოქმედება დახატო. თუმცა ფრანგულ რომანტიზმს უფროს არამეფხი-ლებრივი თავდასაყლები და ამით ვეფხის-ტყაოსანს უახლოვდება. — პიროვნების ფათე-რაკებით გამოცდის სურვილი მას იძებლებს ისეთი ტექნიკა გამოიყენოს, რომელიც ძლიერ შორდება მოვლენათა ქრონიკული აღწერის ტრადიციულ მანერას. მას აქვს რეალობის საკუთარი დონე, მაგრამ რუსთაველს ხასია-თები, მათი დილისრეაზიის მიუხედავად, უფ-რო აბლო დგას ჩვენი წარმოდგენის აღამი-ანებთან.

ვეფხისტყაოსნის დაწერადან თითქმის სამი საუკუნის შემდეგ პოეტებმა რომანტიკამ შე-სამწინეე სრულყოფის მიადწია იტალიაში (ბოიარდოსა და არისტოს პოემები). ჩვენ აქაც უნდა გვეფიქრა, რომ მისალოდნელი იქნებოდა რუსთაველთან მსგავსება და ამას მართლაც გხვდავთ სივარულის ეულტსა და პერსონაგთა გმირულ საქმეებში. მაგრამ ესაა და ეს. ამ ბრწყინვალე ისტორიებში შეუზღუ-დავი წარმოსახვა ბატონობს, რაც საყსებით უცხოა რუსთაველის მოქმარბებელი სერიო-ზულობისათვის. იტალიური პოეტებისათვის რომანტიკა რეალური სინამდვილიდან თენების სამყაროში გადასვლის საშუალებაა და მათ სწორედ ეს არარეალური ელემენტი იზიდავთ. იტალიური რომანტიკა წმინდა ხელოვნების სამყაროში ტრიალებს, სადაც აღამიანებს ღირ-სების ფანტასტიკური გრძნობის იქით არავი-თარი პასუხისმგებლობა ან ვალდებულება არ აქისრიათ. ამამში სწორედ ამ დროს უზბეკი პოეტი ალიშერ ნავოი (1441 — 1501) „ფარ-მად და შიანის“ მსგავს რომანტიკულ პოე-მებს წერდა. იგი ნამდვილად დიდ მნიშვნელო-ბას ანიჭებს სივარულს და დიდ აღდგისაც უთმობს ამ თემას თავის პოემებში, მაგრამ მი-სი მოქმედება ხშირად არარეალურის ფონზე მიმდინარეობს და გმირისათვის მანცდამანც ძნელი არ არის ურჩხულთან შებმა ან ორთა-ბრიძოლამი არამიანის დამარცხება. ეს არის მაღალფარდოვანი რომანტიკა, რომელიც შორ-საა რუსთაველის სოლიდურობისა და სერიო-ზულობისაგან.

რუსთაველის ორიგინალობა და დამოუკი-დებლობა საყმოდ ცხადია. და ამიტომ მით-

უფრო საინტერესოა ის ფაქტი, რომ პოეტმა, რომელიც დიდად გამსწავლელი იყო სპარსულ პოეზიაში და მისგან გამსხვავებული მანერა გამოიმუშავა, თავისი პოემის დასაწყისში სრულიად საწინააღმდეგო რამ განაცხადა:

„ესე მზნავი სპარსულა, ქართულად  
ნათარგმანები,  
ერთ მარგალიტი ობოლი, ხელის-ხელ  
სავოგმანები,  
ეპოვე და ლექსად გარდაეთქვი, საქმე ეჭმენ  
საქოქმანები,  
ჩემმან ხელქმნელმან დამმართოს ლაღმან და  
და ლამაზმან ნები“ (9),

თუ ამ სტრიქონებს დავუკვრებთ, რუსთაველს აუღია ტრადიციული სპარსული ამბავი და თმარ მეფის ბრძანებით ქართულად გაუღმსავს. ეს ნაწყვეტი ინტერპოლიციად ითვლება, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რატომ დასჭირდებოდათ მისი ჩამატება. მეორეს მხრივ კი ეჭვი არ არის, რომ სტრიქონი სპარსული ლიტერატურაში ტარგილი და ვეფხისტყაოსნის სხვა გმირები არსად მოხსენიება და საერთოდ საქართველოს გარეთ არაფერი ამკლავნებს მათთან მსგავსებას. ეს განმარტორებით სასურაღლებოა. რადგან სპარსული თქმულებანი ძლიერ პოპულარული იყო და ბევრ შორეულ ხალხს მისწვდა. მაგალითად, უხბეკებს. ოსებსა და იაკუტებს. საკვირველია, რუსთაველის ამბავმა, თუ კი იგი სპარსული წარმოშობისაა კვლი რატომ ვერსად დაიტოვა სინამდვილესთან უფრო ახლო ასეთი ნოსახრება: რუსთაველი პოემის „სპარსულ ამბავს“ იმითომ უწოდებს, რომ იგი სპარსულ ყოდაზნა შესრულებული. სპარსეთი იმ დროის დიდი კულტურული სახელმწიფო იყო და რუსთაველს ეგებ იმის ჩვენება უნდოდა, რომ იგი იცნობდა ხელოვნების ახალ მიმდინარეობებს და მიღწევებს, ამიტომ უწოდებს თავის პოემას სპარსულს რისი განცხადების შედეგად წინდაწყულის ქართულ პოემას წერს. იგი კარგს არაფერს ამბობს სპარსულზე. პოემაში ერთადერთი სპარსული გამოყენილი — ხეობაში და მასაც საშინელი დღე დაადგება. ხოლო პოემის გმირები ასე იტყვიან სპარსულზე: „სკადრე თუ, სპარსთა ვერა ვიგმ ინლოთისა უმასა“, ან „ევე საქმე არ იქმნების, რომე სპარსნი გავიხასდნენ“. რასაკვირველია, რუსთაველმა ბევრი რამ ისწავლა სპარსული პოეზიისაგან, მაგრამ ეს ამას არ ნიშნავს, რომ მისი ამბავი, ან ამ „ამბის“ დამოწმება სპარსული წარმოშობისა იყოს. რუსთაველის დამოუკიდებლობა სპარსეთისა და საერთოდ მთელი ისლამური სამყაროსაგან რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტით მტლავნ.

დება. კერძო ერთი, ვეფხისტყაოსნის ქალები იმ საზოგადოებას ეკუთვნის, რომლისთვისაც უტყოს პარანანაში ქალი გამსრუტება. რუსთაველი არა მარტო აღიარებს სპარსეთს, რომ „ღვეი ლომისა სწორია, ძე იყოს თუნდა ხვადია“, არამედ მთელი პოემის მანძილზე აღწერს თრევე სქესის თანამშრომობას, რინდები სავსებით თავისუფლად ხვდებიან მეუღრო ოთახებში გამსრუტებულ ქალებს. ნესტანი კონათინი, ასეთი და ფაქმანი დამონებული ქალები კი არ არიან, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების აქტიური მონაწილენი და თავისუფლად დადიან სადაც მოესურვებათ, ეს, რასაკვირველია, რუსთაველის ეპოქის ქართულ სინამდვილეს ასახავს და გასაგებს ხდის თუ რაგორ მიაღწია იდეალური სიყვარულის უტლმა ასეთ დიდ სიმბოლეს. მეორეც, თუმცა პოემაში მოქმედება უდიდეს არეზე მიმდინარეობს, რომელიც მოიცავს ინდოეთს, არაბეთს და ჩინეთს და სრულებით არ არის ნახსენები საქართველო, რუსთაველს, ამის მიუხედავად საკუთარი შალაი პატრიოტიზმი ახასიათებს. ცხებში ჩაკეტულ ნესტანს თავისუფლების ყველა იმედო დაკარგული აქვს. იგი ტარიელს უგზავნის წერილს, სადაც უბრძანებს სამშობლოს ემსახუროს, ეს მოხინდა მის ყველაზე დიდ შოველოზად ასეთი განსიციდელის ქმს. რუსთაველი შეგნებულ პატრიოტი იყო. მის დროს თავისუფალი საქართველო ჰყვავდა და პოეტის იდეალი რაინდული სიყვარლისა მოიცავდა სამშობლოს სიყვარულსაც, თუმცა, ვიმეორებთ მისი პოემის მოქმედება აზიის სივრცეებზეა გაშლილი.

ვეფხისტყაოსანი ისეთი ქართული ნაწარმოებია, რომელიც აღმოსავლეთსა და დასავლეთსაც ერთნაირად გასცქერის და მარცხ იგი წმინდა ეროვნული ხასიათისაა. იდეალური სიყვარულის კედლი ყველაზე მეტად ყოდაზნატიზირებული საქართველოში და განსაკუთრებულ გმირულ პერსპექტივას შეეხება. ამ ნაწარმოების მთელი სისტემა გულდასმით და თანმიმდევრულობით არის დამოწმებული, მაგრამ თუმცა რუსთაველის ნათქვამი ყოველთვის ნათელია, მისი შეხედულებანი იმდენად დაშორებულია თანადროულობას, რომ მათი მთლიანობაში აღქმა კირს კიდევ. რა თქმა უნდა, იგივე პაროლებს ეხვლებით ჩვენ პროვანსელ პოეტებსა და დანტესთანაც კი, მაგრამ რუსთაველთან ეს პრობლემა უფრო ემპატიურად დაისმის, რამდენადაც მისი ფილოსოფია მჭიდროდა დაკავშირებული მოქმედებასთან, ეჭვი არ არის, რომ მისი წარმოსახვის სამყარო საკუთარ გამოცდილებას ემყარება. უნდა დაუკვროთ რუსთაველს, როცა ამბობს, რომ მასაც ვაწუვუღია ისეთი იდეალური და გნებიანი სიყვარული, რაც მის გმირებს მიეწერება. ეს სავსებით



ეთანხმება იმ აზრს, რომ ასეთი სიყვარული საქართველოს სამეფო კარზე კელტად იყო აღიარებული და მას ზეგრი ხელოვნური ბირობითობის შექმნა შეეძლო. დიდი პოეტი სერიალულად განიხილავს ამ კელტებს და გამოავლენს მათში დაფარულ ქვეყნობისა და რეალურობას. ამასთანავე მისი ნათქვამი თავისთავზე, დანტეს სიტყვებზე ნაკლებ სარწმუნო როდია. სიყვარულს რომ ასეთი ფორმების მიღება შეეძლო, ეს ნათლად ჩანს ისეთი პოეტების შედარებისას, როგორც მინტველი სარდელი და სპარსა ჰაფიზი. ამ კელტის სინტაქსში რომ შევიდეთ და ენახოთ, რას აქვთ მისგან რუსთაველი, პოეტის რელიგიური საფუძველიც უნდა მოვხიბრაყოთ. XII საუკუნეში ქართველი ფილოსოფოსები ცდილობდნენ სარწმუნოებისათვის იმაზე უფრო ღრმა აზრი მოეძებნათ, რასაც მათ ქრისტიანობა უქმნიდა. მათ, როგორც ჩანს, შეითვისეს სიყვარულის ქრისტიანული კონცეფცია და აინტერესებდათ თუ რას გამოხატავდა მისი უველიანე წმინდა ფორმა და მათ მოიძიეს არაღმობიერება, რომლის გამო ნეოპლატონიკოსები თითქმის არაფერს ამბობენ, არამედ ინდივიდუალური ამაღლებული სიყვარული. ისინი უმოწიბოდნენ ამ გრძნობას და მასში პოეტიკურ მოქმედების პრინციპს, რომელიც შთაბეჭდილება კეთილშობილ ადამიანებს. ასეთი მაღალი რწმენა აუცილებლად საგმირო საქმეებს მოითხოვდა და ზენე შევიძლია დავუშვათ, რომ რუსთაველი ამ მოწოდებას რელიგიური შარბაინდელი მოხატავდა.

ეს შეხედულებანი ისევე ძველია, როგორც პლატონის თეალაზრისი და თუმცა შეიძლება ქრისტიანობასთან მისი კომბინირება, მას დამოუკიდებლად არსებობაც შეუძლია. მიუხედავად იმისა, რომ რუსთაველი ქრისტიანულ ქვეყანაში ცხოვრობდა, იგი ქრისტესა და სპეციფიკურ ქრისტიანულ დოგმებს ერთხილაც არ ასხენებს. შემდგომში ეს აღნიშნეს და მის საწინააღმდეგოდ გამოიყენეს საქართველოში. ერთი ღვთისმშობისი ატორი აფრთხილებს შეითხველებს, რომ რუსთაველი არსად იხსენიებს წმინდა სამებას და მისი კონტრა სტრუქტურის შეგნებელია. მართლაც, რუსთაველი ძლიერ ახლო დგას პანთეისტთან, უოველ შემთხვევაში იგი შუეს ღვთაების ემანაციად მიიჩნევს. ნესტანის წერილში კეთილხელობა:

„ღმერთსა შემეადრე, ნუთუ კელა დამხსნას სოფლისა შრომასა, ცეცხლისა წყლისა და მიწისა, პავრთა თანა ძრომასა, მომცნეს ფრთხი და აფერხინდე, მიხვდე მის ზემსა ნდომასა,

ღღისით და ლამით ვხედვიდე მზისა ეკლეთი კრთომასა. მზე უშენოდ ვერ იქმნების, რადგან შენ ზარ მისი წილი, განადამცა მას იახელ მისი ეტლი, არ თუ წბილი. მუნა ვნახო, მანდვე ვსახო, განწინათლო გული ჩრდილი, თუ სიკოცხლე მწარე მჭონდა, სიკვდილ-მცია მჭონდა ტბილი.“ (1280-1)

თუ მზე სიკოცხლისა და ცხოვრების წყაროა, ძალის მომნიჭებელიც იგია და ამიტომ მიმართავს ტარიელთან განმორების ქანს ავთანდილი მზეს.

„პა, მზეო გეაჯები შენ, უმძლესთა მძლესთა მძლესა, ვინ მდაბალთა გაამადლებ, შეფობასა მისცემ, სევსა, მე ნუ გამყრი სიყვარულსა, ნუ შემიცვლია ღამედ დღესა.“ (937)

ამას მოაყვება მისი ლოცვა ხუთი მნათობისა და მთვარის მიმართ, რომელთაც იგი შემწეობას სთხოვს. ეს ბუნების პრიმიტიული თავყვანისკენა როდია. მზე, როგორც სინათლის წყარო, სულის ნათელისა და ძალის სიმბოლოა. ასეთი რწმენა სრულიადაც არაა ქრისტიანული და აქ რუსთაველის წინამორბედები ეკლესიის მამათა შორის კი არ უნდა ვხედავთ, არამედ იელიანე განდგომილთა და მის წინა ფილოსოფოსთა შორის. მართლაც, რუსთაველი ცდილობს ეს შეხედულებანი ქრისტიანობას დაუკავშიროს და ავთანდილს ათქმევინებს:

„წაგაქობხავს, სიყვარულსა მოცემულნი რაგვარ წყარენ. ვით იტყვიან, ვით აქებენ, ცან ცნობანი მიაფერენ. სიყვარული ავამადლებს“, ვით ვეფანა ამას ეფერენ, შენ არ სჯერბხარ, უსწავლენი კაცი ვითმცა შევაჯერენ. ვინ დამბადი, შეძლებამცა მანვე მომცა ძლევად მტერთაჲ, ვინ არს ძალი უხილავი, შემწედ ყოვლთა მიწიერთაჲ, ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს, ზის უცდავი ღმერთი ღმერთაჲ, იგი ვახდის წამის-ყოფით ვრთსა ასად ასა ერთად.“ (772-3)

რუსთაველის ღმერთი — ძალის მომცემია. ამ ძალის ღმერთი ადამიანთათვის მინიჭებული სიყვარულის მეოხებით გამოავლენს.

ამ შესანიშნავი ფილოსოფიითაა გამსჭვალუ-  
ლი რუსთაველის მთელი პოემა. იგი თამამ  
ქცევის მამაკაცებს შესაფერ საქმედ მიიჩნევს  
და პოემაში მათი ილწობა აელენს ამ ფილო-  
სოფიას, ისე რომ ბერსონაეებისადმი აღამი-  
ნური და დრამატული ინტერესი არ იკარგება.  
ჩვენ შევიძლება ნამდვილად ვივდილოთ, რომ მას  
ათვისი მასალა საყარო პოეზიიდან კი არა აქვს წა-  
სვსხები, არამედ ზეპირი ტრადიციიდან. „ობო-  
ლი მარგალიტი, ხელი-ხელ საგოგმანები“,  
რა თქმა უნდა, ძველი თქმულება იქნებოდა,  
რომელიც მან გარდაქმნა თავისი ძირითადი  
შეხედულებების შესაბამისად. აი, რატომ  
აყენებს იგი საფიქრო პოეზიისათვის წვეუ-  
ლებრივ თემებს, და მათ ახალ ხასიათს ამა-  
ტებს. მავალითად ჩვენთვის ცნობილია ვანუ-  
რელი და ერთმანეთისათვის თავდადებულ  
გმირთა ისეთი წყვილები, როგორიცაა გილ-  
გამეში და ენკიდუ. აქილევსი და პატროკ-  
ლუ, როლიანდ და ოლივერი. ტარიელი და  
ავთანდილიც ასეთივე წყვილია. მათი მეგობ-  
რობა გილგამეშისა და ენკიდუს მსგავსად მარ-  
თალია საომარი შეჯახებით არ იწყება, მაგ-  
რამ ყოველ შემთხვევაში, რაღაც ამის მსგავ-  
სია ტარიელის უცარი გამოჩენა და მო-  
ნების დახოცვა. ავთანდილი მიემგზავრება  
მის მოსაძებნად. ეს საბოლოო საქმეა, რომ-  
დენდაც ავთანდილია არ იცის, როგორ  
მიიღებენ მას. იგი მიაყლევს ტარიელის ქებას,  
სადაც მისთვის თავდადებულ ასმათს ნახავს  
და დაარწმუნებს კიდევ მოცემაროს ვანურა-  
ხეაში. ასმათი შეამზადებს ტარიელს, და რო-  
ცა ავთანდილი გამოჩნდება უველაფერი მოგ-  
ვარდება, იმერომ რომ ერთმანეთში ყველა  
ათვის პირისა და ღბინის გამოხარებულ ამზა-  
ნებს პოემაში. ეს არის დღოკებულ გრძობა-  
თა ამბავი:

„გამოეგება ტარიელ, მართებს ორთავე შუ  
დაარად,  
ანუ ცით მთვარე, უღრუბლო შუქთა  
მოაფენდეს ქვე ბარად.  
რომე მათთანა აღვისა ხეცა ვარჯივოს ზედ  
არად.  
კვანდეს შეიდათვე მნათობთა, სხვადმცა  
რისიდ ეთქვი შე და რად.  
მათ აკოცეს ერთმანეთსა, უცხოობით არ  
დაპირდეს,  
ვარდასა ზღუნდეს, ბავთაფან კბილნი თვთრნი  
გამოსჰვირდეს,  
ყელი ველსა გარდააჰუდეს, ერთმანერთსა  
აუტარდეს,  
ქარვად შექმნეს იაუღნდნი მათნი, თუცა  
ლაღად ღირდეს.“

(275-6)

მათ შორის ერთხელვე დამყარებულ მეგობ-  
რობას ვერაფერიღა არყვეს, პატრიოთ ეს  
მძაღნაფიცობა ურთიერთთავემწირობით უფრო  
მტკიცდება. ავთანდილსაც ტარიელიცემს მთე-  
ლის გულით სწაღია ნესტანის პოენა და არა  
ნაკლებ მოზებზეებული და ენერგიულია ამ  
საქმეში. მაგრამ ეს მეგობრობა რომანტიკუ-  
ლი თავდადების ძლიერი ელემენტით არის  
შეფერილი. ავთანდილი ტარიელში ჰხედავს  
„მას, უმტკიცესსა მშობისას“ და მეფეს,  
გასამართლებლად ეუბნება: მის საძებრად  
ვიყავით წასული. ზუსტად ვგრევე, როცა ტა-  
რიელი შიშობს, შეიძლება ავთანდილისადმი  
პირისგაატეხა დამბრალდესო. გულმდღობარედ  
ეუბნება:

უთბრა მძაო, არ გიტყუე, ვიყავ რაცა  
შემოგფიცე,  
გნახე სულთა გაუყრელმან, ფიცი ასრე  
დავამტაცე,  
აწ, დამზხენ, სიყვლიამდის ვიტბრა და  
თავსა ვიცი... (853).

ტარიელი და ავთანდილი ისევე ერთგულო-  
ბენ ერთმანეთს, როგორც ორივენი ერთად  
ნესტანსა და თინათინს. უზიარებენ რა თავის  
იდეალურ სიყვარულს ქალებს, თავდაც თითქ-  
მის, რაღაც ამნაირსავე გრძობენ ერთერთის  
მიმართ. როგორც კი დაიწყებს გმირი ამ სამ-  
ყაროში ცხოვრებასა და მოჭებდებას, ეს  
გრძნობა მყისვე ეუფლება და მსტეალავს  
მთელ მის არსებას.

საგმირო პოეზიის მეორე ტრადიციული თე-  
მაა მსახურის პატრონისადმი ერთგულების  
თემა. მსახური ერთგულებს პატრონს იმ შიშთ.  
ხვედამდე კი, როცა ყველა ლალატობს მას.  
ასეთია მელორე ვემეოსი და მონტეცი ვერაქ-  
ლეა ოდისეაში. ასეთია ასმათი ვეფხისტყაო-  
საშიში. როცა ასმათი პირველად გამოჩნდებ-  
და — იგი ნესტანის ნდობალურული მოახ-  
ლეა. მას თავისი პატრონის წერილი მიაქვს  
ტარიელთან და ნესტანთან მიჰყავს იგი. ნეს-  
ტანის მოტაცების ამზავს იგი ატყობინებს  
ტარიელს და ისეა გულმდღონებული, რომ  
ძლივსლა ამოიკენებსებს: „რისხვით მობრუნდი  
ბარბანდი ჩვერუდა ცისა შეოდისა“. (553).  
მან იცის, რას მოახწყავებს ეს ცნობა ტარიე-  
ლისათვის და მზად არის მისი ხელით მოყ-  
დეს. როცა ტარიელი მისადმი არამეთუ მტრო-  
ბის არ გამოამტეაუნებს, არამედ შუაყვშირედ  
იგულებს ნესტანის მოსაძებნად, ასმათი მის  
ისეთივე ერთგულებით ემსახურება, როგორც მი-  
ნამდე ნესტანს ემსახურებოდა იგი მასთან არჩება.  
ველად გაქრისას მას ახლავს, იგივე ერთადერთი  
ხმისგამცემი უკაცრიელ ქვაბში, სადაც მას  
ავთანდილი იპოვის. სწორედ იგი მოაწყობს  
ტარიელისა და ავთანდილის შეხვედრის საქ-

მეს ისეთნაირად, რომ ისინი შეყრისთანავე მეგობრდებიან, როცა მოყმენი მის სტოვებენ, იგი ცხელი ცრემლით მისტირის მათ:

... ამითი ტირს მოთქვამს: ჰე, ლომო, ვისნი ვით მოგთქმენ ენანი. მზემან დაგწენა აა დაგდაგნა ცისა მნათობნი ზენანი, ვა ჰირნი ჩემნი ეზომნი, ვა, სიცოცხლისა თმენანი:“ (924)

ამითი ყველგან თან ახლავს გმირებს. და თუმცა იგი მონაა, მის დიდი თავებიაწობითა და პატივისცემით უპყრობიან. იგი ისე ახლო ტარდელთან, როგორც ვერცხლეა და ეგვიპოსი ოღისეესთან და ტელემაქსთან. და თუმცა იგი ერთფელ მსახურთა ტრადიციულ კლასს ეკუთვნის და ამის შესაფერადაც იქცევა, — ისიც ამაღლებული სიყვარულის ენით ლაპარაკობს და შეუბოვარი თავდადებით თან მიჰყვება ველად გაჭირალ მიჯნურს. იმიტომ, რომ ტარიელს უყვარს მისი პატრონი.

პეროიულ თემათა ანალოგიური ტრანსფორმაცია მეორეხარისხოვან ეპიზოდებშიც შეინიშნება. გმირები ჰელავენ ტრამალების ნადირებს, ლომებსა და ველხეებს. უფროსი მჭერი ამის კარგი მფაღლითია. ლომი ზიანს აყენებს მის ხალხს და იგი ლომს შესანიშნავი უზრუნველობით ჰკლავს.

ერთი ხელი მან ლომის პირს მოჰკიდა ზემოდან.

მეორე ყბაში ჩასქიდა, მჭერმა ასწია და ორად გახლიჩა იგი. მარცხენა ნაჭერი მარცხნივ ისროლა, მარჯვენა ნაჭერი — მარჯვნივ.

პეროიულ სამყაროში ასე უნდა ანადგურებდეს მხეცებს გმირი. ტარიელი უფრო რთულ სიტუაციაშია. პირველი გამჩენისთანავე იგი ვეფხისტყავეთაა შემოსილი და ეს გვამზადებს შემდგომი ეპიზოდისათვის. განსაკუთრებით დამახასიათებელია რუსთაველის პლატონური თვალსაზრისისათვის ტარიელსაგან ლამ-ვეფხის დახოცვის ამბავი, თუმცა იგი უცნაურ გარემოებებშია ტრანსპონირებული. გული რომ აღარ დაუდგა ქვაბში, ტარიელი გავიდა ველად და ლამ-ვეფხს წაწყდა. იგი ჯერ აღტაცებითა და სიფეარულით შესტყარის მათ, რადგან ჰგონია მიჯნურებს ჰყვრება. მაგრამ შემდეგ საქმე სხვანაირად შეტრიალდება:

პირველ ამოდ ილაღობეს, მერმე შედგრაად წიკიდნეს; თითო ტოტი ერთმანერთსა ჰკრეს, სიკედლისა არ დაპირიდეს, გამოპრიდნა ვეფხმან გული, დედთამაცა გამოპრიდნეს,

ლომი შედგრაად გაეცადა, იგი ვერცხრ დაამშვიდნეს. ლომსა დავერვე ნაქმარი, ვერცხრე იყო. ნაჭრ ცნობასა,

შენ საფეარელსა რად აწყენ, დუ მავა მამაიკობასა.

ხრმალ — გამოწვდილი მიეუხე, მიევეც ლხვართა სობასა, თავსა გარდაჯეარ, მოცეკეალ, დავსხენ სოფლისა თობასა.

ხრმალი გავსტფორცენე, გარდელიქერი, ვეფხი შევიწყარი ხელითა,

მის გამო კაცნა მომინდა, ვინ მწეავს ცეცხლითა ცხელითა, მიღრინეიდა და მაწყენდა ხრეულითა სისხლითა მღერელითა, ვეღარ გაეფხელ, იგიცა მოგეალ გულითა ხელითა.“ (889—91)

თვით გარეულ მხეცებთანაც კი თავისი მრწამსისა და შთავარი ენების ერთფელი ტარიელი. იგი პრიმიტიული გმირების მსგავსად იქცევა, ოღონდ ამას სჩადის საკუთარი ძლიერი პიროვნული მოტივებს გამო.

აზნაელებ შესანიშნავია ტარიელის პირველი გამოჩენა პოემაში. დიდებული უცხოელის გამოჩენა — საგმირო პოეზიის ნამეტნავად საერთო თემაა და ჩვეულებრივ დეტალურადაც დამუშავებული, მაგრამ ტარიელის გამოჩენა მეტსმეტად ორიგინალურია. როსტევიანი და ავთანდილი ნადირობისას დანიშნავენ წყლისპირს მედღობარე შტორალ მოყმეს. მონა მიღის და ამცნობს, რომ შეფეს მისთან ლაპარაკი სწიდა, მაგრამ ტარიელი არავითარ ყურადღებას არ მიაქცევს. მონი მრვე მის შესაპყრობად თორმეტ მონას მიაგზავნის. ტარიელი ხედავს მათ, მაგრამ არადფრს იღონებს, და მხოლოდ ამისდა იტყვის „ვაა მეო“. იგი ღრმად არის დამირული თავის კმუნეაში. მაგრამ ამისდამიუხედავად იგი გმირია, როგორც ამას შემდეგი მოქმედება გვიჩვენებს:

ათვალთა ხელი უქრეველო, ცხელი ცრემლინი მოიწურნა,

ხმალ-ყაბარქი მოიმაგრა, მეკაენი გამამაციურნა.

ცხენსა შეჯდა, — მონათამცა საუბარნი რად იყურნა. —

სტვასა მზარასა გაემართა, მითი ჰირი არ გაიწურნა.

მონათა ხელი გამართეს მის უმისა შესაპყრობელიდ.

მან გლბ ივინი დახადნა მტერთაცა საწყვალობელიდ.

ჰკრა ერთმანეთსა, დახოცნა თავსა ხელ-აუპყრობელიდ,

ზოგაა გადაპყრის მათრახი მკერდამდის  
გასაპოხელად.  
(93-94)

ტარიელი შეიძლება ნაღვლიან ფიჭვებში  
იყო გაართული თავისი დაკარგული საყვარე-  
ლის გამო, მაგრამ როცა მის ღირსებას შელახა-  
ვენ, იგი ისე იტყუება, როგორც კარგად ზრდილ  
მწყემსს შეეფერება. იგი არაჩვეულებრივ ძალა  
აქვს. მისი სამიჯნურო განწყობილება  
არაფრით არ ჩრდილავს მის ძალგულოვნე-  
ბას. მისი ფიჭვები საყვარულზე მჭიდროდ  
დაკავშირებული სიამაყესთან, და ამ ფიჭვებში  
ვისიმე ჩარევა — სასიკვდილო შეურაცხყო-  
ფაა. დიდად ხანიშნოა ისიც, რომ შონების  
დახოცვის შემდეგ იგი შეიძინებს ხმის გაუცემლად  
გაეროდა იქაურობას.

ახალ პერსპექტივებში საგმირო თემების ამ  
აღამტაივზე უფრო მოულოდნელია კომე-  
დიური ელემენტი, რომელსაც რუსთაველი  
მხოლოდ ერთხელ, თითქმის თავისი საგმირო  
პრინციპების ხარჯზე, — მძიმრთავს. საგმი-  
რო პოეზია მის გამოვლენაზე გაცილებს ნებას  
იძლევა და რუსთაველი სარგებლობს ამ ძვე-  
ლი ტრადიციით ავთანდილისა და ტარიელის  
ფაქტების ამბის აღსაწერად. იგულისხმება,  
რომ მან იცის რაღაც ნესტანის დაკარგვისა  
და ავთანდილი ვაჟრის სამოსში გადაცმული  
მიღის მასთან. ფაქტანი ნესტანისა და თინა-  
თინის დარი მზეთუნახავი არ არის, იგი უფრო  
უსეში თიხისგანაა გამოაქრწილი.

ფაქტანი ხათუნ თვალად მარჯვე, არ  
ყმაწვილი, მავრა შხველი,  
ნაკთად კარგი, შვეფერმანი, პირმსუქანი,  
აბრბრმელი,  
მეტრბითა და მომღერალთა მოყვარული,  
ფერინის მსმელი,  
დაი ედვა სახალუქო დასაბურავ  
ჩასაცმელი. (1055).

მას ერთს ნახვით შეუფერადება ავთანდილი  
და თავის ზეშინელს უმეტესებს კიდევაც წე-  
რილით. ფაქტანისა და ზვენი ვასაოცრად  
ავთანდილი წერალითვე პასუხობს. თუმცა  
ფაქტანი გააფრთხილებს მას, ამალამ ნე მეწე-  
ვეთო, ავთანდილი მიიწე მიღის და შესვლის-  
თანვე დიაცს წყენას შეატყობს. მალე კარში  
გამოჩნდება ახალგაზრდა კაცი, რომელიც  
დაემტკრება ფაქტანს და წაევა. ფაქტანი იმ  
კაცის მოვლას შეეუფერება თავის ახალ  
მიჯნურს. ავთანდილი უსრულებს თხოვნას.  
დამწვიდებული და აღტაცებული ფაქტანი  
ავთანდილს უყვება ნესტანის ამბავს. ამ ცნო-  
ბას უდიდესი ღირებულება აქვს, როგორც  
პირველ გარკვეულ ცნობას, ავთანდილი თავს  
დავლებულად გრძობს და ფაქტანის სიყვ-

რულს „იფერებს“, მაგრამ დაუნახებლად კი  
არა:

ნაკრეწული  
ქვემოთფლურად  
წოლთა,

ყმა უნდო-გვარად ეხვევის ველსა ველთა  
ბროლითა,  
პლავს თინათინის გონება, ძრწის იღუმელი  
ძრწოლითა,  
გული მხეცქნილი გასჭრია მხეტთავე თანა  
რბოლითა.

იტყვის თუ: მნახეთ მიჯნურსო, იგი ვა  
ვარდი ა ეხინდ,  
უმისოდ ნებეთა ზედა ვი ბუღბული  
მსგავსად უფვისად.

მუნ ცრემლი, მისგან ნაღვნი ქვათაი-  
დასაღობია,

გაშრისა ტვერსა ავუბებს, ვარდისა ველსა  
ფონია,

ფატმანი მის ზედა იხარებს, მართ ვითა  
იღონია,

ყვავი რა ვარდსა იშოვის, თაეი ბუღბული  
ქონია.“  
(1230-32)

პოეტი პირდაპირ დასციინის ფაქტანს, მაგ-  
რამ ზვენი ვევი გვეპარება, რომ ის ამვე დროს  
ცხიარად უღიშის ავთანდილს. არც ერთ შათ-  
განს იგი არა სჯის, ისევე როგორც შონების  
არ ამტყუნებს ოღისევის, როცა იგი მისდა-  
უნებურად ცირებს და კალიფოს სარგეულზე  
აღმონხდება. რუსთაველს შეეძლო გაეშართლე-  
ბინა ავთანდილი იმეტომ, რომ ფაქტანმა მან  
ნესტანის კვალს მოაგნებინა და მით ტარიე-  
ლის წინაშე თავისი ვალი პირნათლად შეას-  
რულებინა. თუმცა მთელი ეს ეპიზოდი, ლა-  
ლი, თითქმის ფრივალური სუფითაა გამსჭვ-  
ლელი. და იდეალური სიყვარულის დომინირე-  
ბულ ფონზე ბურღესკად გამოიფერება, — ის  
მიიწე არ წარმოადგენს თხრობის საერთო  
ჩარჩოებისათვის შეუთავსებელ რასმე. და  
მართლაც ეს ეპიზოდი რაღაცით ახალისებს  
თხრობას, თუმცა სიყვარულის შედარებით  
ღაბალ დონეს ავლენს.

სიყვარულის კვლზე კონცენტრირება ხელს  
არ უშლის რუსთაველს მოვეითბროს ამდელ-  
ვებული ამბები, ან შმაგი მოქმედების აღწერა-  
ში შეტოვება გაუწიოს პერსიკულ პოეტებს.  
მის კარგ მივლით წარმოადგენს ის შემო-  
ხვევა, როცა ტარიელი, ნესტანის-გულისმოსა-  
გვად ხატულთ ესმის თავს, რამაზ მეფე  
მზაკვრობას იწენს — ტარიელს ზავსა და  
საჩუქრებს სთავაზობს, თაფროკატუნებული  
ცდილობს მცირე რაზმით შემოიტყუოს იგი,  
ისე როგორც ნორჩესთან ათლამალ ათი გუ-  
ნარს იწვევს დაჩაბაში. ტარიელი ჯერ მირ-  
უბუბულია და რამაზს თხოვნას უსრულებს.

მაგრამ მოულოდნელად კაცა აფრთხილებს, ღალატი გულისხ:

„რომე ცუდად არ მოღორდე, ისი კაცნი გლალატობენ, ერთგან შენთვის დამალულნი სპანი ასჯერ ათასობენ.“

ტარიელი კვლავ წინ მიიწევს თავისი რაზმით. ხატაელთ რა შეეყრება ლაშქარს ბრძოლად მოეწოდებს. ტარიელი ყველა მეომარს აღემიტება თავისი მამაცობით.

„შოგან ასრე გავერჩევ, გნოლის ჯგოსა ვითა ქორი, კაცი კაცსა შემოვსტყორცნე, ცხენ-კაცსა დაედგი გორი, კაცი, ჩემგან განატყორცი, ბრუნავს ვითა ტანჯუარი, ერთობ სრულად ამოწყვედილე წინა კერამ რაზმი ორი.“

ერთობილი მომხეხავენს, მრგვლად შეიქმნა ომი დიდი, ეკვარი რახსაცა, ვერ დამიდგის, სისხლსა შიქეფრსა აღმოუვრცოდა, ცხენსა კაცი გაეყვითილი მინდიერთად

სითაც ვიყვი, გამეჭვიან, მათ შექმნიან ჩემი რიდი.“

გაღდეკილი. (432-3)

ასეთი მამაცობა იმდენად ამინებს ხატაელებს, რომ ისინი უკვე შზად არიან ჩაბარდნენ შო-წინააღმდეგეს. ამ დროს დანარჩენი ლაშქარიც მოაწევს და ტარიელის მოყმენი საბოლოოდ მუსრავენ მტერს. ესაა შესანიშნავი ეპოზოდი, რომელშიც გმირის პირადი ევაკაცობა — მისევე სამხედრო ხელოვნებასა და მზრძანებლობის უნართანაა შერწყმული.

კიდევ უფრო შესანიშნავი და ორიგინალურია ის ეპოზოდი, რომელშიც ნესტანი ბოლოსდაბოლოს თავისუფლდება ქაჯეთის ციხიდან. ეს ციხე არა მარტო მთელდგომლია, არამედ შრავალრიცხოვანი ციხიონითაა გამოკრებული. სამი გმირი — ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი მოქმედებენ საუფრთოეს ვარიანტს ეჭვბუნ. ფრიდონს შზადა აქვს ბრწყინვალე რჩევა, მის ჯერ კიდევ ყმაწვილობისას უსწავლია საბელზე ვასვლა და მუშაობა, მისი აზრით, საჭიროა საგდებელი სტყორცნიონ ციხეს. ამ გზით იგი ციხეში შევა ფარულად და მათ გაუღებს კარებს. ავთანდილი უარყოფს ამ თათბირს, ამის გამო, რომ გუშინგი ვაიკებენ აზვარის ჩხერებას და საბელს გადაჭრიან. ამის მაგიერ იგი ეპარულად გადაცმასა და ამ გზით ციხეში შეღწევას სთავაზობს მათ. ტარიელი ამ თათბირსაც უარყოფს: მათ შემხედვარ ნესტანს ხომ შეიძლება ეგონოს, რომ

იგი უქმად დგას. „ესე მე დამსერის“, აცხადებს იგი და ახლა თავის თათბირს სთავაზობს ორივე გმირს. ისინი სამად გაყოფენ ლაშქარს და ერთდროულად დანსმნიან ციხეს. გმირებმა ტარიელის თათბირის თანახმად მოეცევიან და გაიმარჯვებენ კიდევაც. ეს ეპოზოდი რუსთაველის ხელოვნების რთულ ხასიათს გვიჩვენებს. მიუხედავად ამისა, რომ მას თამამი რომანტიკული შეხედულებები აქვს, როცა საჭმე ომს შეეებება, რუსთაველის სტრიქონები რეალისტური და დამაჯერებელი ხდება: სამხედრო სერხის გამოყვება შეიძლება მეტად საინტერესო იყოს, მაგრამ იგი პირისპირ შეხმას აშკობინებს. უფრო მეტიც, შეგობართა თათბირის არწევსას იგი მხოლოდ უკანასკნელ მომენტში ხელმძღვანელობს პირადი ღირსების მოსაზრებებით. უსამართლობა იქნებოდა, რომ ერთ-ერთ მათგანს რგებოდა წილად პასუხისმგებლობა და ამიტომ დიდებაც. ამის გამო, ფრიდონიცა და ავთანდილიც ეთანხმებიან ტარიელის თათბირს. პასუხისმგებლობაცა და დიდებაც მათ თანაბრად გაიანწილეს.

რუსთაველი თავის ნაამბობს სხვა საშუალებებითაც ახალისებს. ეუფნისტყაოსანი შედარებებისა და მეტაფორების მომხიბლელი საფურპირზებითაა სავსე. რუსთაველი ძალუძს ერთდროულად გამოგონილი და რეალისტური შტრიხებით დავეიხატოს სურათი. მისი მოქმედი პირები შესანიშნავ მჭერმეტყველებას იყენენ ან ქველი გრძობებით გამსჭვალულ წერილებსა სწერენ. ამის შემთხვეობა იდეალური სიყვარულის ვრცელი ამბავი, რომელიც შეიძლება მოსაყენი გამოდარიყო, სიცოცხლესა და შრავალფეროვნებას იძენს. მიუხედავად ამისა, პოემა რომანტიკულია იმ თვალსაზრისით, რომ იგი ცხოვრებას ისე ასახავს როგორც რუსთაველი ხედავდა მას. რუსთაველსა და სხვა რომანტიკულ პოეტებს შორის ის განსხვავებაა, რომ მათინ როცა ამ უკანასკნელთ უპირატესად ვართობა და დროსტარება ინტერესებთ, ეუფნისტყაოსნის ავტორს ვარკვეული, თითქმის რელიგიური მისია და შეხედულებანი გაანია. ახდენს რა სიყვარულის პლატონურ მოძღვრებასთან — ერთის შხრივ საგმირო საქმეებისა და მეორეს შხრივ, რვალობის ჯამსადი გრძნობის კომპინირებას, რუსთაველი გვიჩვენებს თუ რა ადგილი უნდა დეკორს მის ცხოვრებაში. მისი აზრით ასეთი სიყვარული რეალურ — სამყაროში უნდა არსებობდეს და ევაკატორ საქმეებთან უნდა იყოს დაეკავშირებული. რუსთაველი თავის მოძღვრებას უფრო გულდასამითა და მეტის თანამიმდევრობით ამუშავებს, ვიდრე ამის ფრანგული და სპარსული რომანტიზმის წარმომადგენლები აკეთებდენ და საზინოს ზღას რა მოხდებოდა, რომ აღმანიანებს აქამდე მიეღწიათ.

# საქართველოში პირველი სტამბის დაარსების 250 წლისთავი

საქართველოში  
პირველი სტამბის  
დაარსების 250 წლისთავი

მ. კახიანი



## ანთიმოზ ივერიელი და პირველი სტამბა საქართველოში

მიმდინარე წელს შესრულდა 250 წელი მას შემდეგ, რაც ვახტანგ VI ინიციატივით დაარსდა თბილისში პირველი ეროვნული სტამბა და ამ სტამბიდან პირველი წიგნი გამოიცა.

მე-18 საუკუნის დამდეგს თბილისში პირველი სტამბის დაარსება და ამოქმედება ქართული ხალხის კულტურულ ცხოვრებაში უფროდ მეტად მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა.

თბილისის პირველი სტამბის ისტორიის საკითხს არაერთი ქართველი და უცხოელი მკვლევარი დანიშნულებულია, მკვლევართა მიერ დღემდე დამოპოვებული მასალები ცხადყოფენ, რომ თბილისში პირველი სტამბის დაარსება მჭიდროდ უკავშირდება მეფის უკუღმართობის წყალობით სამშობლოდან რემინენტში გადატყორცილი ქართველი მამულისშვილის ანთიმოზ ივერიელის სახელს.

სათანადო წყაროები ნათლად მეტყველებენ, რომ ვახტანგ VI დაუარსებია თბილისში სტამბა კონსტანტინეპოლში მცხოვრებ იერუსალიმის პატრიარქისა და უნგრეთისა და შვედეთის კონსტანტინე ბრანკოვიანეს ქმედითი შემწეობისა და დახმარების წყალობით, რომელთაც ვახტანგ მეფის თხოვნის შედეგად, გამოუგზავნიათ თბილისში სტამბის გასამართავად ვლახელი შესტამბე მხაილ სტეფანოვიჩი. უკანასკნელ წლებში მოპოვებულმა ახალი მასალებმა დაადსტურეს, რომ თბილისში წარმოგზავნილი ვლახელი ოსტატი მხაილ სტეფანოვიჩი ანთიმოზის ნაშეგირდალი ყოფილა და მისგან შეესწავლია სტამბის საქმე<sup>1</sup>. აღნიშნული გარემოება ერთხელ კიდევ დადასტურებს სპეციალურ ლიტერატურაში არაერთხელ გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ თბილისის პირველი სტამბის დაარსების

საქმეში ანთიმოზ ივერიელს დიდი ღვაწლი უნდა მიუძღოდეს<sup>1</sup>.

თავის დროზე უცხოელმა მკვლევარებმა მ. გასტერმა, პ. შუხართმა და სხვ. გამოთქვეს ვარაუდი, რომ მე-17 საუკუნის 90-ან წლებში ანთიმოზ ივერიელმა რუმინეთში, სნაგოვოს მონასტერში ყოფნისას, ჩამოასხა ნუსხა-ხუცუერი შრიფტი და ქართული წიგნიც დასტამა. შემდეგში კი ეს ნუსხა-ხუცუერი შრიფტი, სტამბის მოწყობალობასთან ერთად, თავის ნაშეგირდალ ვლახელ სტამბის ოსტატ მხაილ სტეფანოვიჩს გამოატანა საქართველოში<sup>2</sup>. უცხოელ მკვლევართა აღნიშნული ვარაუდი მისაღებად მიიჩნია ზოგ ქართველ მეცნიერსაც (აქედ. ა. შანიძეს, გ. ლეონიძეს და სხვ). მაგრამ, რამდენადაც ამის დამადასტურებელი პირდაპირი საბუთი დღემდე მოკლებული არ არის, ზოგი ზენი მკვლევარი უკანასკნელ ხანებში ცდილობს არა მარტო უარკუთს ანთიმოზ ივერიელის მიერ ქართული წიგნის დაბეჭდვის შესაძლებლობა რუმინეთში, არამედ იქვე ქვეშ აყენებს, საერთოდ, ანთიმოზის მიერ ქართული ენის ცოდნის საკითხსაც და, აქედან გამომდინარე, მინიმუმამდე დაეყვას ანთიმოზ ივერიელის კონკრეტული ღვაწლი თბილისის პირველი სტამბის დაარსების საქმეში.

წინამდებარე წერილი, რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა საერთაშორისო სტატის მოცულობა, წარმოადგენს ნაწყვეტს ვრცელი ნაშრომიდან, რომელიც მიზნად ისახავს საკითხის გარშემო არსებული ლიტერატურისა და ზოგი რამ ახლად მოპოვებულ მასალების გათვალისწინებით, შეტყობისდაგვიარო შეუი მოპოვების იმ დიდ ამავსა და ღვაწლს, რომელიც ანთიმოზ ივერიელის მიუძღვის თბილისში პირველი სტამბის დაარსების საქმეში.

<sup>1</sup> გ. ლეონიძე, ქართული ეროვნული სტამბის ისტორიისათვის, (ანთიმ ივერიელი). ქ. „დროში“, № 2, 1951 წ. გვ. 16 — 18.

<sup>1</sup> აქ. შანიძე, ქართული სტამბის ისტორიისათვის, „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, 1, 1935 წ. გვ. 156 — 176.

<sup>2</sup> იქვე.

**იყოფა თუ არა ქართული ენა ანთიმოზ ივერიელმა?**

უკანასკნელ ხანებში ზოგი ჩვენი მკვლევარი ექვს ქვეშ აყენებს ანთიმოზ ივერიელის მიერ არა მარტო ქართული შტუტელების, არამედ ქართული დამწერლობის ცოდნის საკითხსაც. შეგალითად, ხელოვნებათმცოდნე შ. კვასხვაძე წერს, რომ საქართველოდან „...ანთიმოზი 16 წლისა მოუტაცინათ. თუ ვაგვი თვალის-წინებთ მისი ცხოვრების პირობებს, მაშინ ექვს ქვეშ დადგება არა მარტო ანთიმოზის მიერ ქართული ენის ცოდნის საკითხი, არამედ არსებითი და ძირითადი მხარეც საქმისა, როგორც ქართული დამწერლობის ცოდნის საკითხი, ისე შრიფტის ასოთა აგებულებებისა, კალიგრაფიული ხელის და დედანთა გამოყენების, ნიმუშთა შექმნის და მოხმარების საქმეც!.“

ხოლო ბ. ვორდღეზიანის აზრით „...ივერიელობა, ანუ ქართველობა, კიდევ არ ნაშნავს იმას, რომ ანთიმოზმა ქართული კარგად იცოდა. ვინა ცოტა იყო ქართველი, რომელთაც უცხოეთში დიდი თანამდებობა ეუბრაო, თავისი ქართული წარმოშობით ამყოლებდნენ კიდევაც, მაგრამ ქართველი კი არ იყოდნენ“-ო! — კითხულობს იგი.<sup>1</sup>

თავიანთი ვარაუდის განამტკიცებლად ბუნებულ ავტორებს არავითარი ხელშეწყობი საბუთი არ მოაქვთ, რაც საფუძველს იძლევა ვიფიქროთ, რომ შათი ვარაუდი მხოლოდ და მხოლოდ სუბიექტიურ მოსაზრებებზე არის დამყარებული. სხვას არაფერს გვაძევირებინებს, შეგალითად, ის ვარაუდობა, რომ ხელოვნებათმცოდნე შ. კვასხვაძე, აღნიშნული ვარაუდის დასასაბუთებლად მკითხველისაგან მოითხოვს ტყვეობად გამოსვლიდელი ანთიმოზის „ცხოვრების პირობების სთვალისწინებას“, მაგრამ, თვითონ, თავის საქმიად ვრცელ ნაშრომში, არც კი უცდიდა გამოკვლევა, თუ მართლაც რა პირობებში მოხვდა და იზრდებოდა უცხოეთში ქართველი ანთიმოზი, რა წრეში, რა ვარაუდებში ყალიბდებოდა ანთიმოზ ივერიელის მოქალაქეობრივი სახე. ხოლო, აღნიშნული ვარაუდების ვარაუდობა უთუოდ ნათელ შუქს მოჰდენს ჩვენთვის საინტერესო მრავალ საკითხს, კერძოდ კი დაგვეხმარება ვაერაკვიოთ საკითხი: იყოფა თუ არა ქართული ენა ანთიმოზ ივერიელმა.

ენობილია, რომ ანთიმოზი (ერკაცობაში ანდრია) დაბადებულია დაახლოებით 1650 წელს, 16 წლის ქართველი ქაზუჯი სამშობლოდან მოუტაცინათ და 1666 წელს სტამბოლის

ბაზარზე გაუყვდილიათ<sup>1</sup>. ანთიმოზი ტყვეობიდან დაუბრუნდა სტამბოლში მცხოვრებ იერუსალიმის პატრიარქს, როგორც სიანს-ნექტარიოსს (1666—1669)<sup>2</sup>, მაგრამ, ეს უკანასკნელი მალე შეუტყუა-ლია პატრიარქ დოსითეოსს (1669—1707)<sup>3</sup>, რომლის კარზედაც ტყვეობიდან დაბრუნდა ანთიმოზი 1689 წლამდე იმყოფებოდა.

1689 წელს სტამბოლში იმყოფებოდა უნგრელებადების მთავარი კონსტანტინე ბრანკოვანე.<sup>4</sup> მისი თანამედროვე იტალიელი დიპლომატის დელ კიაროს ცნობის თანახმად, უნგრელებადების მთავარ ბრანკოვანეს უნახია სტამბოლში ანთიმოზ ივერიელი, მოხიბულა ანთიმოზის მრავალმხრივი ნიჭიერებით, აღმოუჩენია მისში დახვეწილებული კალიგრაფი, ქსილოგრაფი, მხატვარი, გრაფიკარი, რამოდენიმე ენის შესანიშნავად მცოდნე პირი და უაღრესად დახვეწილებული შესტამბე და პატრიარქ დოსითეოსის თანხმობით, ანთიმოზი მას რუმინეთში წიუყუენია სისტამბო საქმიანობის გამოსაცემებლად<sup>5</sup>.

ამრიგად, იერუსალიმის საპატრიარქო კარზე, კონსტანტინოპოლში, ანთიმოზს გაუტარებია სულ 23 წელიწადი (1666 — 1689) და რუმინეთში წასულა, როგორც უკვე საცხებით დახვეწილებული შესტამბე და დასრულებული მოქალაქე, როდესაც იგი 39 წლის ასაკს ყოფიდა მიღწეულა.

დღემდე ჩვენ არავითარი ცნობა არ მოგვემოკვებოდა იმის შესახებ, თუ რას აკეთებდა, რა ძირითად საქმიანობას ეწეოდა, ანთიმოზ ივერიელი ხსენებული 23 წლის მანძილზე კონსტანტინეპოლში იერუსალიმის საპატრიარქო კარზე უოფნისას და რა წრეში ყალიბდებოდა ანთიმოზის მოქალაქეობრივი სახე.

ამასთან დაკავშირებით, პირველი კითხვა რომელი მკვლევარს შეიძლება დაეზადოს, ის არის — თუ რისთვის, რა მიზნით გამოისყიდა ტყვეობიდან ახალგაზრდა ქართველი ანთიმოზი იერუსალიმის პატრიარქმა?

საყოველთაოდ არის ცნობილი ის ისტორიული ფაქტი, რომ მთელი შუა საუკუნეების მანძილზე, განსაკუთრებით კი მე-17, მე-18 საუკუნეებში, როდესაც საქართველოდან ახალგაზრდა ქალ-ვაჟთა ვატაცება და გაყიდვა კატასტროფიულად ვიზიარდა, რაც ქართველ ხალხს ფი-

<sup>1</sup> გ. ლეონიძე, ანთიმ ივერიელი. „დროშა“, № 2 1951 წ.

<sup>2</sup> История св. града Иерусалима. СПб, 1844 ч. II стр. 384.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> Палаузов, С. Н. Румынская господарства Валахия и Молдавия. СПб, 1859г. стр. 115.

<sup>5</sup> Del Chiaro A. M. storia delle Valachia. Venezia, 1718.

<sup>1</sup> შ. კვასხვაძე, ეხატანე VI სტამბის წიგნი, თბ. 1952 წ. გვ. 226.

<sup>2</sup> ბ. ვორდღეზიანი, ქართული მხედრული შრიფტი, თბ. 1955 წ. გვ. 41.

ზიკური განადგურების რეალური საფრთხის წინაშე აყენებდა, საქართველოდან გაყიდულ, თუ გატაცებულ, ტყვე ჰაბუტებზე მეტად დიდი მოთხოვნილება იყო. გარდა თეთი ოსმალთა დაშვებისა, ქართველ ჰაბუტებს ყიდულობდნენ, ერთის მხრივ, საუკუნეთა მანძილზე ეგვიპტეში გაბატონებული ქართველი მამულეი ბეგები, ხოლო მეორეს მხრივ, მე-18 საუკუნეში ერაყში წარმოქმნილი კულემენთა (ანუ მამულეი) სახელმწიფოს ქართველი მმართველები, რომელნიც სტამბოლის ტყვეთა ბაზარზე იძენდნენ ძირითადად, თავიანთ თანამემამულე ტყვე ჰაბუტებს და ამრიგად ზრდიდნენ ეგვიპტესა და ერაყში გაბატონებულ ქართველი მამულეების შრომის შეიარაღებულ რაზმებს.

ამიტომ, არ შეიძლება ყურადღება არ მიიქცოს იმ გარემოებამ, რომ სტამბოლის ტყვეთა ბაზარზე ანთიმოზი, არც რომელიმე თურქ ფაშასა და არც ეგვიპტისა ან ერაყის მამულეთა წარმომადგენელს არ უყიღნია, რატომღაც ანთიმოზი ტყვეობიდან დაიხსნა იერუსალიმის პატრიარქმა, რაც, რა თქმა უნდა, შემთხვევითი მოვლენა არ უნდა ყოფილიყო.

შესაძლოა, რომ ეს ნაბიჯი იერუსალიმის პატრიარქს ჩვეულებრივმა კათოლიკოსების გარეშე ვადადგმევინა, მაგრამ, ისმის კითხვა: აღნიშნულმა გარეშობამ მას რაღა მიანიც და მიანიც ქართველი ჰაბუტე გამოასყიდინა ტყვეობიდან და არა რომელიმე სხვა, თუნდაც იგივე ქრისტიანული სარწმუნოების, ერის წარმომადგენელი, მითუმეტეს, რომ სტამბოლის ტყვეთა ბაზარზე ყველაზე ძვირად სწორედ ქართველი ჰაბუტები ფასობდნენ.

ამასთან ერთად, თუ ჩვენ გავითვალისწინებთ იმ მეტად შეეწირაებულ მატერიალურ მდგომარეობას, რომელშიაც ჩაყენებული იყო მე-17 საუკუნეში იერუსალიმის საპატრიარქო საეროთად, კერძოდ კი თეთი იერუსალიმის პატრიარქები<sup>1</sup>, საესებით ცხადი ვახდება, რომ მარტოოდენ კათოლიკოსების გარეშე არ უნდა ეტყულებინებოდა იერუსალიმის პატრიარქს ანთიმოზის ტყვეობიდან გამოსყიდვისას, რისთვისაც მას უთუოდ საკმაო თანხის ვალება დასჭირდებოდა.

როგორც ირკვევა, ანთიმოზის გამოსყიდვისას იერუსალიმის პატრიარქს გარკვეული მიზანი ამორჩევიდა. საკითხის გასარკვევად უარესად მნიშვნელოვანია იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსის ერთი წერილი საქართველოს კათოლიკოსისადმი. ის რას სწერდა ამ წერილში იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი საქართველოს კათოლიკოსს:

«...Ты видишь многих; а кто нам переведет то? Толмоча у нас нет. Тысячу раз

мы писали к вам, чтобы вы прислали к нам одного мальчика для обучения и для переписки с вами, но вы этого не сделали!»

ვფიქრობთ, რომ დოსითეოს პატრიარქის ეს წერილი ამომწურავად პასუხობს ჩვენს მიერ დასმულ კითხვას: — თუ რისთვის, რა მიზნით გამოისყიდა ტყვეობიდან იერუსალიმის პატრიარქმა ქართველი ჰაბუტე ანთიმოზი და ნათესა ჰყენს დღემდე გაურკვეველ საკითხს ანთიმოზ ივერიელის ძირითადი საქმიანობის შესახებ იერუსალიმის საპატრიარქო კარზე მისი ყოფნის 23 წლის მანძილზე, თეთი ოს ფაქტი. რამ იერუსალიმის პატრიარქს ტყვეობიდან დაუხსნია არა მკორეწოვანი, არამედ 16 წლის ასაკის ქართველი ჰაბუტე, იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ პატრიარქმა სწორედ აღნიშნული მიზნით გამოისყიდა იგი ტყვეობიდან, რადგანაც 16 წლის ანთიმოზს შობილიურ ენაზე მეტყველება შესანიშნავად ეცოდინებოდა.

მართალია, ჩვენ ვერ ვცდებით არაფერი ვიცით ანთიმოზის სოციალური წარმოშობის შესახებ, მაგრამ, თუ დასაშვებდ მფიქრებთ, რომ ანთიმოზი შექმნილი იქნა იყო დაბადებული და გაზრდილი, ცხადია რომ 16 წლის ანთიმოზს ქართული დამწერლობაც ასევე კარგად უნდა სცოდნოდა. ამასთან დაკავშირებით, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის გარემოებაც, რომ სწორედ დოსითეოს პატრიარქის ინიციატივით ამ დროს იერუსალიმში დაარსებული იყო სპეციალური საპატრიარქო სასწავლებელი, სადაც შემდეგ სავნებს გადიოდნენ: ბერძნული ენა, ლათინური ენა, არაბული ენა, ფილოსოფია, მათემატიკა, გეოგრაფია, სამოქალაქო ისტორია და ლეონსმეტყველება. სწავლების ვადა 7 წელიწადი იყო; კურსდამთავრებულებს ევალებოდათ სამი წლის განმავლობაში იერუსალიმის პატრიარქის განკარგულებაში ყოფილიყვნენ, მაგრამ სასულიერო წოდების მიღება მათთვის აუცილებელი არ იყო<sup>2</sup>.

ბუნებრივია ვფიქრობთ, რომ ტყვეობიდან დახსნილი ანთიმოზი იერუსალიმის პატრიარქმა განათლების მისაღებად სწორედ აღნიშნულ სასწავლებელში მიიბარა, რათა სათანადოდ გაეწავლა იგი, როგორც თარჯიმანი ქართველ კათოლიკოსებთან და მფიქვებთან მიმოწერის საწარმოებლად. ხოლო, თუ დავუშვებთ, რომ 16 წლის ანთიმოზმა არ იცოდა ქართული წერა-კითხვა, ცხადია, რომ-მისთვის აღნიშნული სავნების ვარდა დამატებით უნდა ესწავლებინათ

<sup>1</sup> Иоселиани, Пл. Послания Иерусалимского патриарха Досифея в Грузию. 1866 г. (ხაზი ჩვენით. შ. კ.).

<sup>2</sup> Архангельский В. Очерк истории греческой церкви со времен падения Константинополя. м. 1884 г. стр. 234, 299.

ქართული ნუსხა-ხუცური და მხედრული დამწერლობა, რასაც ანთიმოზი უთოვდ იერუსალიმის ქართველთა მონასტრებში მცხოვრები ქართველი ბერებისა და მღვდელმთავრების შემწევობით შეისწავლიდა.

ჩვენი ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს აგრეთვე ის ისტორიული ფაქტი, რომ მე-17 საუკუნის დასაწყისში იერუსალიმის პატრიარქები არსებენ კონსტანტინეპოლში საკეთარ მეტროქიას და ამ დროიდან მოყოლებული, ვიდრე მე-19 საუკუნის 40-იან წლებამდე, იერუსალიმის პატრიარქები „იერუსალიმში მჯდომარენი“ კი არ არიან, როგორც ეს ზოგ ჩვენს მკვლევარს მიანიდა<sup>1</sup>; არამედ კონსტანტინეპოლში მჯდომარენი<sup>2</sup>.

ცხადია, რომ ვიდრე იერუსალიმის პატრიარქთა მუდმივი ადგილსამყოფელი საკუთრივ ქ. იერუსალიმი იყო, პატრიარქებს საქართველოდან მიღებული კორესპონდენციის სათარგმნელად სრულიადყოფნა ესპანოვებოდათ სპეციალური პირი, თარჯიმანი. რადგან აღნიშნულ საქმიანობას შესანიშნავად ართმევდნენ თავს იერუსალიმის ქართველთა მონასტრებში მცხოვრები ბერები და მღვდელმთავრები. ხოლო, მე-17 საუკუნის დასაწყისში იერუსალიმის პატრიარქთა მუდმივი რეზიდენციის გადაცელებამ კონსტანტინოპოლში მჯდომარეობა ძირფესვიანად შესცვალა, რადგანაც პატრიარქები საქმით შინილით დაცვიდნენ თავიანთ სამწყისს და სასვსებით ბუნებრივია, რომ, აწ უკვე კონსტანტინეპოლში მჯდომ, იერუსალიმის პატრიარქებს ქართველ მეფეებსა და კათოლიკოსებთან მიმოწერის საწარმოებლად სპეციალური პირი დასჭირდნო.

ამრავად, ჩვენის აზრით, შეიძლება დადგინდეს მიუიწინოთ ანთიმოზ ივერიელის ძირითადი მოვალეობა და საქმიანობა იერუსალიმის საპატრიარქო კარზე ყოფნისას. და, ვინა ცხილდ არ არის, რომ აღამიანს, რომელიც 23 წლის ვანშეგლობაში თარჯიმნის მოვალეობას ასრულებდა იერუსალიმის პატრიარქთა და ქართველ მეფე-კათოლიკოსთა შორის არსებულ ცხოველურთიერთობასა და მიმოწერაში, არა თუ კარგად, არამედ ბრწყინვალედ უნდა სცილდოდა როგორც ქართული მეტყველება, ისევე ქართული ნუსხა-ხუცური და მხედრული დამწერლობა!

ვახტანგ VI სტამბის წიგნებში დართული ზოგიერთი ლექსის ავტორობის საკითხისათვის.

I

თბილისის პირველ სტამბაში 1710 წელს გამოცემულ „კონდაკის“ უკანასკნელ გვერდზე

<sup>1</sup> შ. კვასხვაძე, ვახტანგ VI სტამბის წიგნი, თბ. 1952 წ. გვ. 232.

<sup>2</sup> Вазили, К. Сирия и Палестина под турецким правительством, ч. II, стр. 201.

დართულია მესტამბეთა ცნობილი რუმინული ლექსი, დაბეჭდილი ქართული ტრანსკრიპციით:

«ქართველ ჩემ სტრეინი დორეც: მოშია  
სეშვა ზე.  
კინდ სინტ ინტრალტე ცარე: დე ნუ პოტ  
სეშა ზე.  
ქ:ში კანეი ჩეს პრე მარე: ბატუქ დე  
ფურათუნა.  
ში როაგა პრე დუმენეზუ: დე ლინიშტე  
ბუნა.  
ქ:აში ში ტიპოგრაფი: და კერკეი სფერში რე-  
ლუდა ნენინტრატი: დაუ ში მულკიში  
რე“<sup>1</sup>.

ამ რუმინული ლექსის ზემოდ იქვე დაბეჭდილია მისი ქართული პროზაული თარგმანი:  
„ქეთითარცა უცხონი იხარებენ, ხილვისა ზედა თვისთა სამკიდრებელთასა, და ზღუთა შინა მავალინი ხილვისა ზედა ნავთსაუფელისა, ვგრეცა მესტამბენი იხარებენ განსრულებასა ზედა წიგნთასა“<sup>2</sup>.

რუმინული მესტამბეთა ლექსის ეს პროზაული თარგმანი ვახტანგის სტამბის მომდევნო გამოცემებში (1711 წელს დასტამბულ „დავითსა“ და 1713 წელს გამოცემულ „კურთხევისა“ ტექსტების ბოლოში) შემდეგი სახით გვხვდება:

„ნავთსაუფელსა მენაე რა მივლენ,  
განისვენებენ;  
მოყვასთა, თვისთა სამყოფთა სწაღს, მით  
ისვენებენ;  
ქირთ მყოფნი ლზინსა შესულნი, მას აღარ  
მოიხსენებენ  
და რა ბეჭდვა მბეჭდავს უსრულდეს, თავს  
აღარ შეჩვენებენ“<sup>3</sup>.

ცხადია, რომ, ამ შემთხვევაში, ჩვენს უდავოდ, საქმე გვაქვს მოტანილი რუმინული ლექსის ქართულ გადგქსილ თარგმანთან. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ პროფ. ალ. ბარამიძეს ეს ლექსა რატომღაც ვახტანგ მეფის საკუთარი ლექსებისა და პოემების კრებულში შეუტანია<sup>4</sup>. სინამსუხმობა კარგად გამოიხატება ამ ლექსის ავტორად ვახტანგ მეფე მიიჩნევა, რაც, ჩვენის აზრით, გაუგებრობის შედეგი უნდა იყოს; რადგანაც,

<sup>1</sup> ა. შანიძე, ქართული სტამბის ისტორიისათვის, გვ. 161.

<sup>2</sup> ქრ. შარამიძე, პირველი სტამბა საქართველოში, გვ. 103.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> ვახტანგ VI. ლექსები და პოემები, თბ. 1947 წ. გვ. 7. პროფ. ალ. ბარამიძის რედაქციით.

ბუნებრივია, რომ ვახტანგი ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნებოდა რუმინულად დაწერილი ლექსის ავტორი. სხვა საკითხია, რომ ვახტანგ მეფე შეიძლება ყოფილიყო ამ რუმინული ლექსის ქართული პროზაული თარგმანის გამომქსავი. მაგრამ, თვით ამგვარი, სავსებით მისაღები, ვარაუდიც არავითარ შემთხვევაში არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ამ რუმინული ლექსის ქართული თარგმანი, ვთქვათ კიდევაც ვახტანგ მეფის მიერ შესრულებული, უყოყმანოდ იყოს შეტანილი ვახტანგ VI საკუთარი ლექსებისა და პოემების კრებულში.

ფრანგმა მკვლევარმა ემილ პიკომ პირველად მიაქცია ყურადღება იმ ვარაუდებს, რომ ზუსტად იგივე რუმინული ლექსი, რომელიც თბილისის სტამბაში 1710 წელს დაბეჭდილ „კონდაკის“ ბოლოში არის დართული ქართული ტრანსკრიპციით, გაცილებით უფრო ადრე, კერძოდ კი 1697 წელს, დართული აქვს რუმინულად ანთიმოზ ივერიელის მიერ რუმინეთში, სწავლის სამონასტრო სტამბაში, დაბეჭდილ რუმინულ „სახარებას“<sup>1</sup>.

იგივე ცნობას გვაწვდის რუმინული პროფესორი პ. კონსტანტინესკუ-იანი, რომელმაც ამ უკანასკნელ ხანებში რამოდენიმე სპეციალურ ნაშრომი მიუძღვნა რუმინეთსა და საქართველოს შორის არსებულ კულტურულ ურთიერთობას, რომლებშიც რუმინელი პროფესორი განსაკუთრებით მკრძალავ აშუქებს ანთიმოზ ივერიელის ცხოვრებასა და მოღვაწეობას რუმინეთში<sup>2</sup>.

თავის ნაშრომში პროფ. კონსტანტინესკუ-იანის მოაქვს 1697 წელს სწავლის მონასტრო-სტამბაში ანთიმოზის მიერ დაბეჭდილი რუმინული „სახარების“ ბოლოში დართული ლექსისა და 1710 წელს თბილისში დასტამბული „კონდაკის“ ტექსტის ბოლოს მოთავსებული რუმინული ლექსის ტექსტები, რაც საშუალებას იძლევა დადსტურდეს მათი სრული იდენტურობა. აღნიშნული ლექსის ავტორად, რუმინელი პროფესორი, სავსებით მართებულად, ანთიმოზ ივერიელს მიიჩნევს. ანთიმოზის ავტორობა მით უფრო დამაჯერებელი სჩანს, რომ იგივე კონსტანტინესკუ-იანის გამოკვლევიდან ირკვევა, რომ სხვა და, სხვა დროს ანთიმოზ ივერიელს დაუწერია და თავის გამოცემებში მოუთავსებია არა ერთი ლექსი რუმინულ და ბერძნულ

ენებზე; მათ შორის ათზე მეტი ლექსი მოკიარ ბრანკოიანეს საქებრად არის დაწერილი. ამრიგად, როგორც ირკვევა, სხვა მხარეა ნიქსა და უნარეთან ერთად, ანთიმოზი პოეტური ნიქითაც ყოფილა დაჯილდოებული.

ამასთანავე, თუ გავითვალისწინებთ იმ ვარაუდებს, რომ რუმინული „სახარება“, რომელსაც დართული აქვს აღნიშნული ლექსი, დაბეჭდილია სწავლის სამონასტრო სტამბაში 1697 წელს, სადაც სწორედ იმ ხანებში მოღვაწეობდა ანთიმოზის შეგირდი მიხაილ სტეფანოვიჩი, შემდეგში საქართველოში წარმოგზავნილი და ვახტანგ VI სტამბის პირველი ოსტატი, — დადგენილად უნდა მივიჩნიოთ პროფესორ კონსტანტინესკუ-იანის დასკვნა იმის შესახებ, რომ თბილისში ჩამოსულმა ვლახელმა მესტამბემ მიხაილმა თბილისის სტამბაში მის მიერ დასტამბულ „კონდაკში“ გაღმობეჭდა თავისი მასწავლებლის, ანთიმოზ ივერიელის, რუმინული ლექსი, რომელიც თვით ანთიმოზმა დასტამბა რუმინული „სახარების“ ბოლოს სწავლის სამონასტრო სტამბაში 1697 წელს, როდესაც იქ მისი მოწაფე მიხაილ მოღვაწეობდა.

II

ვახტანგის სტამბის გამოცემებში მოთავსებული ლექსებიდან ჩვენს ყურადღებას იპყრობს 1711 წელს გამოცემულ „დავითნი“ მოთავსებული კიდევ ერთი უცხოური ლექსი. აღნიშნული „დავითნი“ მე-4 გვერდზე მოთავსებულ დავით ბერძელთა მეფის ვერაქიურას წინ უძღვება ბერძნული შრიფტით დასტამბული შემდეგი შინაარსის ბერძნული ლექსი:<sup>3</sup>

„სტაქონები (დექები) დავითურ დავითზე“

„დადემდი ორგვე! ესროლე პერმეეს ღირა! სამღვხი ფელიფოლიები უფრო მეტად შესძლებენ თავდაიწყებას: ჩამოქრავს რა დავითი ჩვენი სულის ღბრას, დაფარულ ღვთიურ საიდუმლოებას ახსნის; მოყვება მრავალ სავერველებს ძველთაგანს, აღმრავს (აღაფროთიანებს) ჰიშნის მიშართ შემომქმედს (ცინც შექმნა ეს ქვეყანა, ე. ი. ვინც ააშენა შენობა-ქვეყანა)...“<sup>4</sup>

ზოგი ჩვენი მკვლევარი ამ ბერძნული ლექსის თბილისში 1711 წელს ქართულად გამოცემულ „დავითნი“ მოთავსებას უკავშირებს ამავე წიგ-

<sup>1</sup> იხ. აკ. შანიძის დასახ. ნაშრ. გვ. 164.  
<sup>2</sup> P. Constantinescu—Iasi. Legaturile Ţărilor Romane cu Gorgia (Antim Ivireanul). „Studii“, № 4, 1951.  
 მისივე—Relatiile Culturale Romano—Ruse Din Trecut. Editura Academiei R. P. R. 1954.  
 მისივე—Din Relatiile Culturale Romane Gruzine. „Studii si articole de istorie“ II.. R. P. R. 1957.

<sup>3</sup> ქრ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში, თბ. 1955 წ. გვ. 139.  
<sup>4</sup> ლექსის ქართული თარგმანი ექვთიმის თამარ ბრეგვაძეს.

ნის მე-2 გვერდზე დასტამბულ ბაგრატიონთა სამეფო ღერძზე გამოხატულ დაეითნის ქნას I ბაგრამ, ეს რომ ასე იყოს, ბუნებრივი ენებობა, რომ წიგნის გამოცემებელთ აღნიშნული ლექსი უშუალოდ ბაგრატიონთა ღერძის, ე. ი. წიგნის მე-2 გვერდზე მოთავსებინათ. სინამდვილეში კი წიგნის გამოცემლებმა მე-2 გვერდზე ეს ბერძნული ლექსი კი არ მოთავსეს, არამედ ქართული ლექსი ე. წ. „ბექდის იგავი“.

ლექსი „ბექდის იგავი“ ბაგრატიონთა ღერძის სიმბოლიკის (დაეითნის ქნარი, შერდელი, ლომები, ქისტებს ევართი და სხვ.) ახსნა-განმარტებას წარმოადგენს; ამიტომ საესეებთა ვასავენიბა, რომ იგი ქართულად არის დაწერილი და გამოცემულთა მიერ მოთავსებულია უშუალოდ მე-2 გვერდზე დასტამბულა ბაგრატიონთა ღერძის ქვემოლ.

რაც შეეხება „დაეითნი“ მოთავსებულ ბერძნულ ლექსს, იგი უშუალოდ ებრაელთა მეფე დაეითს უკავშირდება, რაზედაც ამკარად მიტუვებლებენ, ერთს მხრივ, თით ლექსის სათაური („სტრაქონები (ლექსები) ლეთიერ დაეითნი“), ხოლო მეორეს მხრივ, ეს ბერძნული ფაქტი, რომ წიგნის გამოცემლებს ეს ბერძნული ლექსი წიგნის მე-4 გვერდზე მოთავსებულ დაეით ებრაელთა მეფის გრაფიურის წინ წაუძღვარებიათ. ამკარა აგრეთვე, რომ ლექსი უცხოურია წარმოშობისაა, რადგანაც იგი ქართულად კი არ არის დაწერილი და დასტამბული, არამედ ბერძნულად.

ცხადია, რომ ამ ბერძნული ლექსის დაწერილი არ იყო ადგილობრივი პირი, წინააღმდეგ შემთხვევაში ლექსი ქართულად უნდა ყოფილიყო დაწერილი.

ავადემიკოს პ. კონსტანტინესკუ-იანის აღწერილობის თანახმად რუმინეთში ანთიმოზ ივერიელს სამჯერ გამოუცია „დაეითნი“: 1694 წელს ბუქარესტში, რუმინულ ენაზე; 1700 წელს სნაგოვოში, ბერძნულ ენაზე და 1710 წელს ტრაგოვიტოში, კვლავ რუმინულ ენაზე<sup>1</sup>. სამწუხაროდ ავად. კონსტანტინესკუს თავის ნაშრომში არ მოაქვს ანთიმოზ ივერიელის მიერ რუმინეთში გამოცემულ წიგნებში დართული ლექსების უმრავლესობა. მაგრამ, რამდენადაც ეხლა ჩვენ ვიცით, რომ ანთიმოზ თავის გამოცემულ წიგნებში, როგორც წესი, ათავსებდა ხოლმე საკეთარ ლექსებს ბერძნულ და რუმინულ ენებზე, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ 1711 წელს ვახტანგის სტამბაში დასტამბულ ქართულ „დაეითნი“ მოთავსებულ ბერძნული ლექსი უნგრეთისგანაა შესტამბემ მისაილმა ვადმოპუდა ანთიმოზ ივერიელს მიერ 1700 წელს სნაგოვოში დაბეჭდილი ბერძნული „დი-

ვითნიდან“, იმგვარადვე როგორც მან ვადმოპუდა 1697 წელს ანთიმოზის მიერ სნაგოვოში დაბეჭდილი რუმინული „საბარუნიდან“ ანთიმოზის რუმინული „შესტამბეთა ლექსი“ 1710 წელს თბილისში დასტამბულ „კონდაკში“.

ვახტანგის სტამბიდან გამოსულ წიგნებში დართული ლექსებიდან მხოლოდ ზემოლ მოტანილი ორი ლექსი არის უცხოური, ერთი რუმინული და ერთიც ბერძნული, და, როგორც ჩანს, თანვე ამ ლექსის ავტორი ანთიმოზ ივერიელი არის.

ქართულ „დაეითნი“ ბერძნული ლექსის მოთავსების ფაქტი კიდევ ერთ საკითხს სვამს მკვლევართა წინაშე: რით იყო განპირობებული პრაქტიკულად ის გარემოება, რომ რუმინული „შესტამბეთა ლექსი“ თბილისში 1710 წელს გამოცემულ ქართულ „კონდაკში“ ჩაბეჭდილია ქართული ასოებით, ხოლო 1711 წელს დასტამბულ ქართულ „დაეითნი“ მოთავსებული ბერძნული ლექსი დაბეჭდილია საკუთრივ ბერძნული შრიფტით?

ერთი რამ ცხადია, რომ ამ ლექსებზე დაბეჭდავს უნგრეთისგან შესტამბე მისაილს, რუმინული შრიფტი ხელთ არა ჰქონია და ამიტომ ქართული ასოებით ჩაბეჭდუნია „კონდაკში“ ანთიმოზის „შესტამბეთა ლექსი“ რუმინული ტექსტით, ხოლო ბერძნული შრიფტით კი მას ხელთა ჰქონია.

მკვლევარი ქრ. შარაშიძის აზრით, ბერძნული შრიფტის გაყვება უნგრეთისგან შესტამბეს მისაილს უნდა მიეწეროს<sup>2</sup>. მაგრამ, ცნობილია, რომ ვახტანგის სტამბიდან არცერთი ბერძნული წიგნი არ გამოსულა. ბერძნული შრიფტი ვახტანგის სტამბის გამოცემებში ნახშირია მხოლოდ ორ ქართულ წიგნში: 1710 წელს დასტამბულ „კონდაკში“ (ფრაგმენტული სახით) და 1711 წელს დაბეჭდილ „დაეითნი“, სადაც ამ შრიფტით დაბეჭდილია მხოლოდ აღნიშნული ბერძნული ლექსი.

თუ მისაილმა მივიჩნევთ იმ ვარაუდს, რომ უნგრეთისგანაა შესტამბემ დაამზადა თბილისში ბერძნული შრიფტი მხოლოდ იმისათვის, რომ აღნიშნული ბერძნული ლექსი დაბეჭდუნა სათანადო შრიფტით, მაშინ ლოგიკურად იმის კითხვა: რატომ არ გააკეთა მან აგრეთვე თავისი მშობლიური რუმინული ენის შესატყვისი შრიფტიც, რათა 1710 წელს გამოცემულ „კონდაკში“ მოთავსებული ანთიმოზის „შესტამბეთა ლექსი“ რუმინული შრიფტით დაესტამბა და არა ქართული ტრანსკრიპციით?

ცნობილია, რომ ყოველნაირი ახალი შრიფტის დამზადება საქმად შრომატევად სამუშაოთა შესრულებასა და არანაკლებ ხარჯების გაწევას მოითხოვს. ამიტომ ცხადია, რომ თითო რუმინული და ბერძნული ლექსის დასაბეჭდავად ორი ახალი, სულ სხვადასხვა, შრიფტის

<sup>1</sup> ქრ. შარაშიძე, დსახ. ნაშრ. გვ. 139.

<sup>2</sup> P. Constantinescu — Jasi, Relatiile Culturale Romino — Rose din trecut, Editura Academiei R. P. R., 1954.

<sup>1</sup> ქრ. შარაშიძე, დსახ. ნაშრ. გვ. 139.

თბილისში დამზადებას არავითარი აზრი არა ჰქონდა. ამით იხსენება ის ფაქტი, რომ ანთიმოზის რუმინული „მესტამბეოა ლექსი“ ქართულ „კონდაკში“ ქართულივე ასოებით არის დასტამბული. იგივე ვარაუგება სავსებით ნათელს ხდის, რომ ვახტანგის სტამბის გამოცემებში მხოლოდ ფრაგმენტული სახით ხმარებული ბერძნული შრიფტი არ არის ადგილობრივი, ე. ი. თბილისში დამზადებული, არამედ ჩამოტანილია რუმინეთიდან უნგროვლახელი მესტამბის მხაილის მიერ, ისევე, როგორც მის მიერვეა ჩამოტანილი რუმინეთიდან ქართული მსხვილი ზომის ნუსხა-ხუცური შრიფტი, რომლითაც დაბეჭდა 1709 წელს თბილისში ვახტანგის სტამბის პირველი სამი („სახარება“, „დავითნი“, „სამოციქულო“) გამოცემა.

ბერძნული შრიფტის რუმინეთიდან ჩამოტანის ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს აგრეთვე ის ვარაუგება, რომ იმ ხანებში თითქმის ყველა მართლმადიდებლურ ქრისტიანულ ქვეყანაში საეკლესიო-რელიგიური ხასიათის წიგნები იბეჭდებოდა და ვრცელდებოდა არა მარტო ადგილობრივი მოსახლეობის მშობლიურ ენაზე, არამედ ხშირ შემთხვევაში, ზოგან კი უმთავრესად (მაგალითად თვით რუმინეთში), ბერძნულ ენაზე. ამიტომ ვასაგებებ ხდება, რომ თავის ვეფხრას, მესტამბე მხაილს, ანთიმოზ ივერიელმა რუმინეთიდან გამოიტანა არა მარტო მის მიერ დამზადებული ნუსხა-ხუცური შრიფტი, არამედ ბერძნული შრიფტიც. მაგრამ, თბილისში ჩამოსულ უნგროვლახელ მესტამბეს საქართველოში ეროვნული შვიგნობრობის მყარი ტრადიცია დავდა, რის გამოც რუმინეთიდან ჩამოტანილი ბერძნული შრიფტი მას, არსებითად, გამოუყენებელი დარჩა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბერძნული შრიფტის ფრაგმენტულ ხმარებას ვახტანგის სტამბის გამოცემათა ზემოდ აღნიშნულ ორ წიგნში.

III

პროფ. კონსტანტინესკუ-იანის მიერ ანთიმოზ ივერიელის საერთო რუმინული და ბერძნული ლექსების გამოვლინება საფუძველს იძლევა დასისა საკითხი ჩვენთვის საინტერესო კიდევ ერთ ლექსის ავტორობის შესახებ.

ამჟამად ბუქარესტში, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის აკადემიის ბიბლიოთეკაში, დაცულია თბილისის სტამბაში 1709 წელს პირველად ნაბეჭდი „სახარების“ ორი ეგზემპლარი. პროფ. კონსტანტინესკუ-იანის ცნობით ვახტანგისეული „სახარების“ ამ ეგზემპლიარებს დართული აქვს თვით ანთიმოზ ივერიელის რუმინულად ნაწერი წინასიტყვაობა, საიდანაც ირკვევა, რომ თბილისის სტამბაში დაბეჭდილი პირველივე წიგნი — „სახარება“, ანთიმოზისთვის ვადა-უგზავნიათ რუმინეთში. ეს წიგნები ანთიმოზს ლეონზად დაუვლადებინებია და თბილისის სტამბის დაარსების საქმეში ხელს შეწყობისათვის,

ვადლობის ნიშნად მიურთმევია ისინი უნგროვლახეთის მთავარ კონსტანტინე ბრანკოენსკაივის. რუმინელი პროფესორის ცნობით, ბუქარესტის აკადემიის ბიბლიოთეკაში დაცულ ქართულ „სახარებაში“ ნაბეჭდილია მთავარ ბრანკოენსკაიში მიძღვნილი ლექსი და როგორც თვით ანთიმოზის ერთერთი მინაწერადან სჩანს, აღნიშნული ლექსი და ანტიოქიის პატრიარქისადმი მიძღვნილი ზოგი სხვა ლექსიც ანთიმოზს შეეძღვეთი ცალკეც გამოცემა.

ამ რამოდენიმე წლის წინ, რუმინეთში ყოფნის დროს, პოეტმა-აკადემიკოსმა გ. ლეონიძემ ბუქარესტში დაცული ქართული „სახარების“ ეგზემპლარში ნახა ნუსხა-ხუცური შრიფტით დაბეჭდილი და ამ წიგნში ცალკე ფურცლის სახით ჩაერთული ქართულ ლექსი 1. მიუხედავად იმისა, როგ ეს ლექსი გ. ლეონიძემ თავნაკული სახით გამოაქვეყნა, იგი საშუალებას იძლევა დადგინდეს ვახტანგ VI სტამბის დაარსების ისტორიის დღემდე უცნობი და ბუნდოვანი არა ერთი საკითხი. ამასთანავე, თვით ამ ლექსის აღმოჩენა და პუბლიკაცა ბუნებრივად სუამს საკითხს მისი ავტორის ვინაობის შესახებ. ლექსის ავტორის ვინაობის დადგენა, თავისთავად, ხელს შეუწყობდა ვახტანგ VI სტამბის დაარსების ისტორიის მეტად მნიშვნელოვან და სპეციული რეიტრატურაში დღემდე საღოო საკითხების გადაწყვეტას.

ლექსის ტექსტი მოგვაქვს იმ სახით, როგორც იგი თავის დროზე გ. ლეონიძემ გამოაქვეყნა 2:

3 პატრიარქსა წიგნი ჰადარა, საქმეელი არ უწესო:

„უმჯობესო მოციქულო, ქრისტიანეთ მამა, მწყემსო, მისო მსგავსო, ქრისტეს ძალით ვინც რომ ცეცხლით ვერ დასწევსო, და ერთსა სტამბის ხელოვანს ვთხოვ, აქ მიწდა დაეწესო“.

4 თქვა პატრიარქმა ხრისანეთმ: „თუშეა უცნია მესია, ქრისტეს მცნება და დიდება მის ველსა დანათესია, სწადიან მოციქულობა ნინოსგან უკეთესია“ —

და ვლახეთს ვაგზავნა ჩაფარი როგორც რიგი და წესია

5 ვლახთა მეფეს შეუთვალა: „მადლო და კარგად ზრდილო, ქრისტეს სჯულის დამპირველო, სულიერო ჩემო შვილო.

1 გ. ლეონიძე, ქართული ეროვნული სტამბის ისტორიისათვის. „დროშა“, № 2, 1951 წ. გვ. 16 — 18.  
2 იქვე.

თქვენცა ნახეთ წიგნი ესე, მართალი და  
 და სჯულსათვის შესამატი, განა საქმე  
 6 ეახტანგს უხშია მესტამბე, მეფეა ქართლის  
 ქრისტეს ქადაგი მორწმუნე, მტრისაგან  
 მიბომე ერთი ოსტატი, ჰკვიანი  
 და ვიგზანო, საქმე შეემატო ქვეყნისა  
 7 შან მეფემან წიგნი ნახა, ყველა ტბილად  
 კაცი იხმო ხელოვანი, თავი არას დალონა,  
 რაც პატრიარქს ქება უთქომს, ისე ღირსი  
 და სწრაფად წადი, ემსახურე, თქვა, მეცა  
 ვარ ქრისტეს შონა  
 8 უბრძანა ერთსა ოსტატსა, მუნ ჰყავდა  
 გონიერი და ჰკვიანი, მიხაილ ერქვა  
 „წადი, პატრიარქს ეახელ. თვით კარგად  
 გზასა ნუ შეუშინდები მამაცად იყავ და  
 9 პატრიარქმა გამოგზანა აქ მიხაილ კარგად  
 კარგად სტამბის გამოძღობი, ჰკვიანი და  
 რა მოვიდა, მეფემ ნახა, შეიყვარა, ვითა  
 და თქვა: შემიძიებს ქვეყანასა, გაანათლებს,  
 10 რა მიხაილ მეფე ნახა, ჰკადრა: დიდად  
 ვიცი გფარავს ძალი ღმრთისა, მისთვის  
 რასაც ბრძანებ, ყველა ძალ-მიც, მე ვარ  
 და გაემარავლებ საღმრთო წიგნსა, თვისების  
 11 „ამ ოსტატი რა ამ მოველ და ხელწიფე  
 რაცა ბრძანა, აგრეცა ექენ, არ ეთყუდე, არ  
 ქრისტეს დიდი სასწაული უველა ბეჭდით  
 და ჩემი აქეთ გამოგზანა არც ვლანთ მეფეს  
 12 სტამბა გასრულდა, გათავდა, რაც იყო მისი  
 ნება მიეცა ქართველთა სულთაგან  
 რიგი შეიქნა სჯულისა, მეორედ  
 დანათესები,

და სხეც გარდაცვილან მეფენი, რომ ვერ  
 13 მეფეს ტბილად გაეცინა, **უქნით უსებო**  
 „საქართველოს შესამატი ამისთანა ემოყ  
 და მისი ტბილი მოწყალება საფარველად  
 გამიხადრა“.

ამ ლექსის ავტორის ვინაობის საბოლოო  
 დადგენა შემდგომი საეკილური კვლევა-ძიე-  
 ბის საგანს შეადგენს. მაგრამ, ამასთან დავეჭვი-  
 რებით, თბილისში პირველი სტამბის დაარსების  
 ისტორიით დაინტერესებულ პირთა ყურადღე-  
 ბას იპრობენ შემდეგი გარემოებანი:

1. ლექსი აღმოჩენილია მხოლოდ ბუქა-  
რესტის აკადემიის ბიბლიოთეკაში დაცული ქარ-  
თული „სახარების“ ეგზეგზლარში.
2. ჩვენში დაცული 1709 წელს დაბეჭდილი  
„სახარების“ არც ერთ ეგზეგზლარში აღნიშ-  
ნული ქების ლექსი არა გვხვდება. იგი მიკვლე-  
ული არ არის ჩვენში არც რომელიმე გა-  
მოცემაში, არც ცალკე დაბეჭდილი, არც ხელთ-  
ნაწერისა, ან ზემოთი გადმოცემის სახით.
3. იგი დასტამბულია ცალკე ფურცელზე და  
ისე არის ჩაქრული წიგნში.
4. ლექსი დაწერილია ქართულად და დასტამ-  
ბულია ნუსხა-ხუცური შრიტით. ეს გარემოება  
ნათლად მეტყველებს ერთის მხრივ, იმაზე, რომ  
მისი ავტორი სრულყოფილად ფლობდა ქარ-  
თულ ენას, ხოლო, მეორეს მხრივ, იმაზე, რომ  
მის დაბეჭდავს ხელთ ქონდა ქართული ნუსხა-  
ხუცური შრიტტი.
5. თბილისში მოწვეული ვლახელი სტამბის  
ოსტატი მიხაილ სტეფანოვიჩი ამ ლექსის ავ-  
ტორი ცხადია ვერ იქნებოდა, რადგან მიხაილ-  
მა, მისი საკუთარი განცხადების თანახმად, ქარ-  
თული მეტყველება არ იცოდა.
6. ლექსის ტექსტუალური ანალიზი გვაფიქ-  
რებინებს, რომ მისი ავტორი სასულიერო პირი  
უნდა ყოფილიყო.
7. ზემოდ აღნიშნული გარემოებანი გვაფიქ-  
რებინებენ, რომ ლექსი არ არის არც დაწერილი  
და არც დაბეჭდილი საქართველოში. წინააღ-  
მდეგ შემთხვევაში იგი მარტოოდნე რუმინეთში  
დაცული ქართული „სახარების“ ეგზეგზლარი  
ში არ უნდა იყოს ცალკე ფურცელზე დაბეჭდი-  
ლი სახით ჩაქრული, არამედ ჩაბეჭდილი იქნე-  
ბოდა 1709 წელს-თბილისის სტამბაში დაბეჭდი-  
ლი „სახარების“ მთელ ტირაჟში. ანდა, ხელნა-  
წერი ან ზემოთი გადმოცემის სახით იქნებოდა  
ცნობილი ჩვენში.
8. ლექსის ტექსტიდან კარგად სჩანს, რომ მი-  
სი ავტორი შესანიშნავად იცნობს ეახტანგ VI  
ინიციატივით თბილისში სტამბის დაარსების  
ისტორიის ყოველ დეტალს. ამიტომ, არ შეიძი-  
ლება ყურადღება არ მოაქციოს იმ გარემოებამ,

რომ მისი ავტორი სათანადოდ იხსენიებს ლექსში თბილისის სტამბის დამაარსებელს ვახტანგ მეფეს და ამ საქმეში მის აქტიურ ხელშეწყობებს: ვლახეთის მთავარს ბრანკოვანსა და იერუსალიმის პატრიარქ ხრისანთეს; აგრეთვე ვლახელ მესტამბეს მიხაილ სტეფანოვის; მაგრამ სრულებით არაფერს ამბობს თვით ანთიმოზ ივერიელზე, რომელმაც, როგორც ცნობილია, გამოაზღვრა თბილისში თავისი ნაშეგორი ვლახელი მესტამბე მიხაილ სტამბითა და მისი მოწყობილობით.

9. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ლექსის ბოლო სტრიქონი, სადაც ავტორი ვახტანგ მეფეს ათქმევინებს, რომ თბილისში სტამბის დაარსება ღმერთმა მის „საფარველად გაუჩადრა“. ეს სტრიქონი მით უფრო საყურადღებოა, რომ, როგორც ცნობილია, თვით ვახტანგ VI არასოდეს „დაუფარავს“ ან „გაუჩადრავს“ თავისი ამგი თბილისის პირველი სტამბის დაარსების საქმეში. პირიქით, ვახტანგის სტამბის თათქმის ყველა გამოცემას დართული აქვს საკუთრივ ვახტანგის ანდერძები, რომლებშიაც ვახტანგ VI საგულდაგულოდ უსვამს ხაზს თავის დამსახურებას თბილისში პირველი სტამბის დაარსების საქმეში! ამევე დროს, აღნიშნული ლექსის ავტორი კი აშკარად გვეუბნება, რომ თბილისის სტამბის დაარსებას თან სდევდა რაღაც „საფარველად ვასაჩადრი“ მოვლენა; საფიქრებელია, რომ ავტორმა ქარვად იცოდა იმდროინდელი საქართველოსა და უნგრეთის სოციალური და განსაკუთრებით პოლიტიკური მდგომარეობა და ამგვარ „საფარველად ვასაჩადრი“ მოვლენად იგი ანთიმოზ ივერიელის პირად მონაწილეობას მიიჩნევდა თბილისის სტამბის დაარსების საქმეში. ამითვე უნდა აიხსნას ის გარემოებაც, რომ ანთიმოზის აღნიშნული დიდი ღვაწლი არც თბილისის პირველი სტამბის გამოცემაში არის ჩამოყალიბებული.

ყოველივე ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ამ ლექსის ავტორიც ანთიმოზ ივერიელი არის.

თუ კი შემდგომი სპეციალური კვლევა-ძიება საბოლოოდ დადასტურებს, რომ ამ ლექსის ავტორი ნამდვილად ანთიმოზ ივერიელია, მაშინ შეიძლება დადასტურებულად მიგვეჩინა სპეციალურ ლიტერატურაში არა ერთხელ გამოთქმული ვიარაღი იმის შესახებ, რომ მე-17 საუკუნის 90-ან წლებში, რუმინეთში, სწავლის მონასტრში ყოფილისა, ანთიმოზმა ჩამოსახა ქართული ნუსხა-ხუცური შრიფტი და ქართული წიგნიც დასტამბა და, რომ, თბილისში გამოაზღვრავდა ვლახელ მიხაილს ანთიმოზმა არა მარტო სტამბის მოწყობილობანი, არამედ მის მიერ ჩამოსმული ნუსხა-ხუცური შრიფტიც გამოატანა; სწორედ ის შრიფტი, რომელთაც, ერთის

მხრივ, თბილისის ასლად დაარსებულ სტამბაში 1709 წელს სამი წიგნი: „სახარება“, „დაიონი“, „სამოცილო“, დაიბეჭდა; ხოლო მეორეს მხრივ, თბილისის სტამბის პირველი პროდუქციის მიღებით გახარებულმა ანთიმოზმა ამავე შრიფტით ააწყო ზემოდ შოტანელი საკუთარი ლექსი, ცალკე ფურცელზე დასტამბა იგი და მისთვის გადააზღვნილ ქართული „სახარების“ ეგზემპლარში ჩააყრა.

**ნუსხა-ხუცური და ბერძნული შრიფტების რუმინეთიდან თბილისში ჩამოტანის პრაქტიკული შესაძლებლობის შესახებ.**

რუმინეთიდან თბილისში ნუსხა-ხუცური და ბერძნული შრიფტების ჩამოტანის ვიარაღი ბერძნულად სვამს კითხვას იმის შესახებ, თუ რამდენად იყო პრაქტიკულად შესაძლებელი და მ. ზანწეწილი იმ ხანებში ამ ორი დამწერლობის შესატყვისი შრიფტ-ყასების ტრანსპორტირება ბუქარესტიდან თბილისამდე?

ბუქარეს მხრივ, რამდენადაც ჩვენ ვეარაუდობთ, რომ ზემოდმოტანილი „ქების ლექსის“ ავტორი ანთიმოზ ივერიელი არის, რომ ანთიმოზმა ბუქარესტში თბილისიდან პირველი ქართული წიგნის მიღების შემდეგ დასწერა იგი, ცალკე ფურცელზე დაბეჭდა იგივე ნუსხა-ხუცური შრიფტით და ეს ფურცელი უნგრეთის ხეთის განმგებელ პრანკოვიანესადმი ძღვნად მისართმევად განუცხვინო თბილისურ „სახარების“ ცალში ჩააყრა, ამდენად ვასარკვევი რჩება კიდევ ერთი საკითხი: — თუ კი რუმინეთში დამზადებული ნუსხა-ხუცური შრიფტი ანთიმოზმა თბილისში გადააზღვრა მიხაილ სტეფანოვის საშუალებით, მაშ როგორღა შესძლებდა ანთიმოზი ამის შემდეგ იგივე შრიფტით სკეთარ ლექსის დაბეჭდვას ბუქარესტში? ნუსხა-ხუცური შრიფტი ხომ უკვე თბილისში იყო გადმოაზღვნილი?

აღნიშნული საკითხების გარკვევა შეუძლებელია შრიფტთა დამზადების იმდროინდელი ტექნოლოგიური პროცესის აუცილებელი გათვალისწინების გარეშე.

ცნობილია, რომ ტყვიის შრიფტის დასამზადებლად უპირველესად ყოვლისა სათანადო ნახაზის მიხედვით შხადდება ე. წ. პუანსონი. პუანსონი ფოლადის ნაჭერს წარმოადგენს, რომლის ზედაპირზე უკვლამ არის გამოკვეთილი ამა თუ იმ ასოს ან ნიშნის შესატყვისი რელიეფური გამოხატულება. პუანსონის საშუალებით შემდეგ თითბერის ფირფიტაზე ან ნაჭერზე ხდება შესატყვისი ასოს ან ნიშნის ჩაღრმავებული ამოკვეთა. ამგვარად შხადდება მარტივი, ან ყალბი, თვით ტყვიის ლიტერების, ან შრიფტის, ჩამოსახელება.

ამრიგად, ფოლადის პუანსონის საშუალებით თითბერში ამოკვეთილ ყალბში ხდება ამა თუ იმ ასოს ან ნიშნის შესატყვისი ტყვიის ლიტერის

1 ქრ. შარაშიძე.

ასევე ცალკობით ჩამოსხმა; ასე ექმნება ამა თუ იმ დამწერლობის შესატყვისი შრიფტ-კასა.

იმის ვარაუდი, რომ თბილისში რუმინეთიდან ჩამოტანილი იყო არა მარტო სტამბის მოწყობილობა და მის გასამართავად საქირო ზელსაწყობები, არამედ ნუსხა-ზეცური და ბერძნული შრიფტ-კასებიც, ე. ი. ნუსხა-ზეცური და ბერძნული ანბანების შესატყვისი ათასობით ტყვის ლიტერი, არა მარტო ფრიად საეჭვოდ, არამედ სავსებით მიუღებლად უნდა მივიჩნიოთ, რადგანაც იმ მხელბუდობის დროს ამგვარი მჭიმე ტვირთის რუმინეთიდან საქართველოში უშეშრად ტრანსპორტირება არა მარტო შეუძლებელი იქნებოდა, არამედ არაეთიარის აზრი არ უნდა ჰქონოდა.

პრაქტიკულად გაცილებილი იყო და სავსებით მიხანწეწონილი იქნებოდა, რა თქმა უნდა, არა მრავალრიცხოვანი ტყვის ლიტერების ტრანსპორტირება, არამედ ნუსხა-ზეცური და ბერძნული (ასომთავრელის ჩათვლით) ანბანის შესატყვისი სულ ასიოდე პუანსონის, ანდა მატრიცის (ანუ ფალიბის) ჩამოტანა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ, რამდენადაც მატრიცები თითბერისაგან მზადდება, ხოლო რბილი თითბერის მატრიცების დაზიანების საშიშროება შორ მანძილზე ტრანსპორტირებისას უფრო იდეალად არის შესაძლებელი, ვიდრე ფოლადისაგან დამზადებული პუანსონებისა, ადვილად, ჩვენის აზრით, მისაღებ მესტამბემ თბილისში სწორედ ნუსხური და ბერძნული ფოლადის პუანსონები ჩამოიტანა. ასიოდე ფოლადის პუანსონი მისაღებ მესტამბეს თავისუფლად შეეძლო ჯიბით, ან თუგანდ უბითაც, ეტარებინა ბუქარესტიდან თბილისამდე.

რამდენადაც რუმინეთიდან თბილისში მარტოდენ პუანსონების ჩამოტანა თავისთავად გვაკუთვნის შემთხვევას, რომ თბილისში ჩამოსულმა მისილ სტეფანოვიჩიმ თან ჩამოტანილი პუანსონების შემწეობით იმ უკვე აღგილობრივ, თბილისში, ჩამოსახა ვახტანგის სტამბაში 1709 წელს ხმარებული ნუსხა-ზეცური და ვახტანგის წიგნი ფრაგმენტული სახით ხმარებული ბერძნული საფიფტები, ამდენად სავსებით გასაგებია ზღუდა, სკიანის ვარშემო არსებულ ლიტერატურაში დღემდე უმართებულად განმარტებული, ვახტანგის სტამბაში 1709 წ. დაბეჭდილ ქართულ „სახარებაში“ დაართული თვით მისაღებ მესტამბის ანდერძი, რომელშიაც იგი ქრძოდ გვატყობინებს:

„ხოლო ყოველივე საქმენი, რაოდენნი იხილებიან — ესონი (ანუ ლიტერები. შ. კ.) — ორდანი და ყოველნი სახმარნი სტამბისა, დაწყებით სრულყოფამდე, მომქმედი და წინამძღოლი მე ვარ, უნდა მონა თქვენიო“<sup>1</sup>.

აღნიშნული ვარაუდი ნათელს ზღის აგრეთვე იმ ვარაუდებს, რომ თბილისში ვადმოგზავნილი პუანსონებით აღრევე რუმინეთში დამზადებული ნუსხა-ზეცური შრიფტ-კასა (ლიტერები) ანთიმოზ ივერელს თვითონვე დაუტოვებია რუმინეთში და როდესაც მას ვახტანგის სტამბიდან 1709 წ. გამოსული პირველი წიგნი „სახარება“ მიუღია, სწორედ ამ შრიფტით დაწვევია და ცალკე ფურცელზე დაუბეჭდნია თავისი „ქების-ლექსი“, ჩაუტარავს იგი „სახარების“ აღნიშნულ ცალკე და უნტროვლახეთის განმეგებელისათვის მიერთებვია.

ამრიგად, როდესაც ჩვენ ამ ნაშრომში ვლაპარაკობთ რუმინეთიდან თბილისში ნუსხა-ზეცური და ბერძნული შრიფტებს ჩამოტანაზე, მხედველობაში გვაქვს არა მთელი შრიფტ-კასების, არამედ მხოლოდ პუანსონების ჩამოტანა.

უფიქრობთ, რომ რუმინეთიდან თბილისში არა-შრიფტ-კასის, არამედ მარტოდენ პუანსონების ჩამოტანის ვარაუდი საბოლოოდ ვაჭანტავს იმ მრავალნაირ ვაუგებრობას, რაც ესოდენ ხშირად გვხვდება საკითხის ვარშემო არსებულ სპეციალურ ლიტერატურაში ნუსხა-ზეცური შრიფტის რუმინეთიდან ჩამოტანის საკითხთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნული ვარაუდი მით უფრო დამაჯერებელი ხდება, რომ, როგორც ირეკება, ზუსტად ანალოგიურ მოვლენას, ე. ი. არა შრიფტ-კასის, არამედ მხოლოდ პუანსონების, ვადგახანის სკიანია ადგილი აგრეთვე იგივე ანთიმოზ ივერელის ზელსწყობით არაბული წიგნების ბეჭდვის ვადანერგვისას რუმინეთიდან სირიაში, ქ. ჰალაბში, მე-18 საუკუნის დამდეგს<sup>1</sup>.

საქართველოში პირველი სტამბის დაარსების 250 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით სავსებით მომწიფდა და მიზანშეწონილია დაისვას საკითხი სათანადო ზემდგომი ორგანოების წინაშე, რომ ძველი თბილისის იმ უბანში, სადაც მე-18 საუკუნის დამდეგს პირველი სტამბა იყო ვამართული, აღმართოს ამ სტამბის დაარსების ისტორიის ვახტანგ VI და ჩვენე პირველბეჭდველების ანთიმოზ ივერელისა და მისაღებ უნტროვლახელის სეულტურული ანსამბლი.

ამგვარი სეულტურული ანსამბლი, არა მარტო უკვდავყოფს ამ ისტორიულ პირთვნებათა სახელებს, არამედ, იგი თავისებური სიმბოლო იქნებოდა იმ შვიდთა კულტურული კავშირისა, რომელიც ძველთვანვე არსებობდა ამემაღლ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გზაზე დამდგარ ქართველ და რუმინულ ხალხებს შორის.

1. პრიფ. ლ. შებო. — ბეჭდვითი ზელოვნების ისტორია მხალბელ აღმოსავლეთში, სირია-ეგრან. „ალ-მაშრიყი“, № 8, ბერიული, 1900 წ. გვ. 355 — 362.

# ხელოვნების საკითხები

ს. ზანდუაძე



## ღონიერ სობიწოვი და მოსკოვის ქართული სტუდენტობა

უარესად თავდაბალი, უბრალო, მიმზიდველი და საზოგადოების მოყვარული დიდი რუსი მომღერალი ლეონიდ სობიწოვი ხალხის საყვარელ აღამიანად იყო აღიარებული. სობიწოვი, რომელიც ზელოვნების დიდ ქურუმებთან ერთად მოღვაწეობდა, არ იფიქვებდა ვიპირებულ სტუდენტს, რევოლუციონერს, მუშას, მუსიკოსს, ზელოვანს, მხატვარს და უღროდ დაეადებულთ და შეეიწროებულთ.

მისი კონცერტები საქებ-სადიდებელი იყო მთელი მაშინდელი რუსეთის მოწინავე ინტელიგენციისა და სტუდენტ — ახალგაზრდობისათვის.

მთელი ამ კონცერტების შემოსავალი უხვად მიდიოდა ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების განკარგულებაში და ვინ მოსთვლის რამდენ თავისუფალ საზოგადოებას და გაერთიანებას ასულდგმულებდა სობიწოვის კონცერტების ფულადი ფონდები, რომელიც მართო ერთი საღამოს შემოსავლით 5 ათას მანეთს აღემატებოდა.

სობიწოვი სტუდენტების ნამდვილი მეგობარი იყო, როცა მოსკოვში იმყოფებოდა ბევრჯერ გვერდნა შემთხვევა სობიწოვი შეგვენიშნა სამკითხველოში, საქადრაკოში და სტუდენტთა სასადილოში. სასადილო გარდა თავისი დანიშნულებისა პოლიტიკური და ლიტერატურული სჯაბაასის ადგილიც იყო. იმეით გემრიელ რუსულ სადილებს არ აკლდა ახალი სიტყვა და დავა საჭირ-პიროტო საკითხების ირგვლივ.

აი სტუდენტთა ამ პოლიტიკურ და ეკონომიურ ცენტრში, როგორც მისი პირშემოსი ეკლდა სობიწოვის ვეებერთელა სურათი. ეს იყო მაშინ დიდი და ღრმა პატივისცემა აღამიანისადმი.

მოსკოვში მაშინ არსებობდა ღარიბ სტუდენტთა სასადილო მომწყობი კომიტეტი (Комитет по устройству столовой для бедных студентов).

ამ კომიტეტის ხელმძღვანელობა თითქმის

ქართველ სტუდენტთა ხელში იყო. ერთბაშად ვარძიელი იყო ამ კომიტეტის თავმჯდომარე. შემდეგ ალ. ბურთიკაშვილი, ჯერ თავმჯდომარის მოადგილე და შემდეგ კი თვით ამ კომიტეტის თავმჯდომარე.

უნდა ითქვას, რომ სტუდენტთა სასადილოში შესანიშნავი, მუდამ ახალი, ცხიმიანი, მსუყე და გემრიელი სადილები და ტაბილულობა მზადდებოდა. არაფრით არ ჩამოუვარდებოდა სტუდენტთა სასადილოს სადილები შინ გაკეთებულ სადილებს. სასადილოს მცირე ღარბაში მოწყობილი იყო ე. წ. ბუფეტი, სადაც იყიდებოდა სხვადასხვა ტაბილულობა და ფაფა გაკეთებული რძით, შოკოლადით, კაკაოთი და იშვიათი ხილულობის წვენი.

სასადილოს კომიტეტის გარდა ზედამხედველობდა სათვისტომოს ეკონომიური კომისია, რომელიც წლიური საანგარიშო კრების დროს გამოდიოდა, როგორც კომიტეტის თავმჯდომარის მოხსენების შემდეგ თანამომხსენებლად, ამხელდა კომიტეტის მუშაობის უპაყოფით მხარეებსაც.

სასადილო ღარიბ სტუდენტებს სპეციალური დადგენილებით და ტალონით სადილებს და საუზმეს უფასოდ აძლევდა. დიდი მუშაობა და დიდი ორგანიზაციული ურთიერთობა იყო საჭირო, რომ სასადილოს საქმიანობა კარგად წარმართულიყო, ქართველი სტუდენტთა — კი ამ მძივ დაუზოგავ შრომას ეწეოდა და გამგეობაში სამი ან ორი ქართველი იყო წევრად, ან თავმჯდომარედ ან თავმჯდომარის მოადგილედ.

სობიწოვი არ იფიქვებდა განვლილ სტუდენტობის ხანას და ზწირად შემოდიოდა სასადილოში. საუბრობდა გამგეობის წევრებთან, მორიგებებთან ან და ბუფეტში გეხლუბოდათ ტაბილულობას. ალ. ბურთიკაშვილი, ენახიდან მსახიობთა დიდი მოყვარული იყო და ზწირად თეატრში დადიოდა, სობიწოვისაც განსაკუთრებული ყურადღებით ეტყეოდა. ისე როგორც ყოველი ჩვენგანი. მაგრამ სავა ბურთიკაშვილის

უფრო მეტი ზრუნვა იმაში გამოხატებოდა, რომ სობინოვის ხშირად სადილად იწვევდა. სასადილოს სამზარეულოში მხოლოდ სასადილოს კომიტეტის თავმჯდომარეს ან მის მოადგილეს შეეძლო შესვლა.

აღ. ბურთიაშვილი სარკებლობდა ამ უპირატესობით და როცა სტუდენტთა საზოგადოების სამართალ წევრი ლ. სობინოვი სადილობის დროს შემოვიდოდა თუ არა სასადილოში ის მას იწვევდა სამზარეულოში და უმასწინებლობდა სტუდენტური სადილით.

აღ. ბურთიაშვილს თითქმის შეჩვეული ყავდა ლ. სობინოვი ამ წვეულებისადმი და ლ. სობინოვიც დიდი სიამოვნებით ურთიერთობდა სტუდენტებში და საერთო კრებებშიც ესწრებოდა.

საერთოდ ლ. სობინოვი მიშინდელი ადამიანი იყო და სტუდენტობას ის უყვარდა და სტუდენტობასთან დიდად მეგობრობდა.

ცნობილია, რომ სობინოვი მეგობრობდა ახალი რეალისტური თეატრის მიმამთავრებთან ა. იუენთან, კ. სტანისლავსკისთან; ნემსოვიჩინთან, ა. იუენის შასწერდა: „შენ იყავი მუდამ სინიდისიერი მებრძოლი ადმინისტრაციული თვითნებობისა და ძალმომრებლის წინააღმდეგ“. განსაკუთრებით გამართლდა ამგვარი დახასიათება მას შემდეგ, რაც ერთ კონცერტზე სობინოვის ხრიკი მოუწყო ერთმა რეპეტიონერმა. რეპეტიონერები ყოველშრიც ცდილობდნენ მიემართათ პოპულარული მსახიობი. ერთ-ერთ კონცერტს შემდეგ შერაზმულმა ვითომ და დიდი პატივისცემისა და დაფასებისათვის დემონსტრატულად მიართვა სცენაზე დიდი გვირგვინი. აღშფოთებულ სობინოვმა მეორე დღესვე ვაგზაენა წერილი გაზეთ „ვეკ-ში“, სადაც წერდა, რომ საყვირველია ბატ. შმაკოვის ამგვარი ნაბიჯი, როცა შე მისთან არავითარი კავშირი არა მაქვს, არც როგორც კერძო პირთან და არც, როგორც საზოგადო მოღვაწესთან. ამიტომ გვირგვინის მოძღვნა ბატ. შმაკოვისაგან არის დიდი ვაუგებრობა და გაურკვევლობა!

ბუნებით დემოკრატი სობინოვი დემოკრატიულად განწყობილ და დემოკრატიული სულსკეთობით აღზურული სოციალისტი, დრამატული და მხატვრული სიტყვის დარგის ოსტატებთან მეგობრობდა. მ. გორკი, ლ. ანდრეევი, ფ. შალიაპინი, ა. კუპრინი, დ. ფეტი, ვ. ბუნინი, ვ. შკოლესკი, აღ. ბლოკი, ან. ბელი, ვ. ბალომონტი და სხვა იყო მისი აზროვნების მესაიდუმლო და გამაზიარებელი.

სობინოვის და შალიაპინის ერთად მოსმენა ეს იყო მამინდელი ქართული სტუდენტობის ოცნება, ეს ოცნება საქმედ აქცია ახლად ჩამოსული („новыи“) სტუდენტებმა სპა ტატიშვილმა, პეტრე თოფურიძემ, ევტეხი თოფურიძემ და ლევან გოყიერმა. ისინი ორ დღე

და ღამეს იდგნენ ძალზე დიდ რიგში, რომ ოციოდე ბილეთი აუღოთ თეატრის და ამხანაგებისათვის.

პირველად მოვისმინეთ მესამე იარუსიდან „ფუსსი“ ლ. სობინოვისა და ფ. შალიაპინის მონაწილეობით. მარგარიტას ნევედანოვა იმ საღამოს არ თამაშობდა.

ამ საღამომამ კიდევ უფრო გაადიდა ჩვენში ლ. სობინოვის სახელი და სიყვარული.

მეორედ მოვისმინეთ ოპერა „სიცოცხლე მეფისათვის“, დღევანდელი „ივანე სუნიანი“.

ერთხელ, ძალიან კარგად მახსოვს, ტერის ქუჩაზე ყოფ. ფილიპოვის კაფეში შევედით ვარშაველი ყავის დასალევად, საღამო ხანი იყო. ვიყავით შედიოდნე სტუდენტ, ვხაში სამა ბურთიაშვილი შემოგვეყარა, მოვიწყეთ, მაგრამ ხელიდან ვაგვესლტა, იგი როგორც დიდი მოსიყვარულე მცირე თეატრში მიიჩქაროდა ოსტროვსკის რაღაც პიესაზე დასასწრებლად. ამჟამად ვამახსოვდა, ბილეთი მაქვს — ხუმრობთ!

როცა სუფრას შემოვსხედით შემოგვესმა ხმამაღალი ბასი, მაგრამ ვერ შევიმჩინეთ, რადგან იმგვარი ღამაში კელნერმა დაგვადადათაზე, გვეგონა გრადის ქალიშვილიაო. ფილიპოვმა, როგორც კარგმა მწარმოებელმა დიდი ხერხი იხმარა ომის დროს. დათხოვა უბრალო გუნათლობელი კელნერები და კაფე აავსო ოშია დაღებულ და დასახიჩრებულ გენერლების და ოფიცრების ცოლებით და ნათესავებით. ისეთი კარგები იყვნენ, რომ სიმონია ხუნდაძე და ვ. ვაბუნია „ფრანგულ ხელსებს“ ამსგავსებდნენ. მომესმა, რომ ამ მეზობელ სუფრაზე ვაქონდათ და გამოქონდათ რუსული არაუი — მიიხებდ და ვიცანა.

ერთად ისხდნენ და ისინიც ყავას ვიახლებოდნენ: ლ. ანდრეევი, ბუნინი, კუპრინი და სკიტალეცი — შათთან ერთად საუბარში გართული ვიცანით ლ. სობინოვი. კუპრინის ხელში გვირა ფურნალი „Бечу“-ის ერთერთი ნომერი და ცალი თვალით ჩვენსკენ იციკრებოდა ჩვენ წრეს ამხიარულებდა აღ. ფანცხავა და ანდრ. საყვარელიც. მაშინ გამოდიოდა ცნობილი მეცენატის ს. პოლიაკოვის რედაქტორობით და მისივე გამომცემლობით ყოველთვიური ხელაუნების და იტერაქტურის ფურნალი „ვესი“ („Бечу“). ეს ფურნალი დეკადენტური მიმართულების იყო, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ სიმბოლისტები, დეკადენტები და მისტიკური ანარქიზმის მიმდევარნი: ა. ბლოკი, ვ. ბრიუსოვი, ან. ბული, ზ. ვაიხუსი, ნ. გუმბილოვი, ვ. ივანოვი, დ. მერუქოვსკი, თ. სოლოგუბი, კ. რუკოვსკი და სხვა. ეს და სხვა ამგვარი ფურნალები ძალიან ხშირად იღლიაში ამოიდებული ქონდა ტიც. ტაბიქს, აპ. ვაბუნას, ირ. ქაქეჩაძის, გრ. ვეშაპელს და მონარქისტს სპა ტატიშვილს.

ხომ ვესმით კელნერმა ამბობს აკრძალულია

არაყის შოტანო, პროტესტით შესაბამე მივიღას  
ლ. ანდრეევმა.

«Да, министры спиртом спекулируют и на-  
рода разум притупляют» — დასძინა სიტყუ-  
ლმა.

«Оказывается, у нас две тайности: — од-  
на, тайное распространение народом прокла-  
маций а другая — тайное распространение  
реакционныхми хулиганами водки» — თავი-  
სებური სიბინჯით დამთავრა ეპრიმმა,

სობინოვი იღიშებოდა.

რათქმა უნდა ეს საღამო უოველ ჩვენგანმა  
ვანსავეთრებით განვიცადეთ. ჩვენ ვისხედით  
იშვარი მხატვრული სიტყვის ოსტატების გვერ-  
დით, რომლებიც მაშინ მოწინავე პროგრესულ-  
ლი მწერლებად ითვლებოდნენ. იმ საღამოს  
გადმწედა სობინოვის კონცერტის მოწყობა  
ჩვენ ქართულ სტუდენტთა სნთესტომოში.  
ლ. ტოლსტოის სახელობის ვეგეტარიანულ  
სასადილოშიც შეხედუბოდიტ სიტყუეს და  
სხვებს. ტი. ტამიქ — კი ხშირად ან. ბელს-  
თან და ს. გორდეცკისთან ერთად სადილობდა  
ამ სასადილოში.

ქართველ სტუდენტთა სათესტომოს. აკაკი  
წერეთლის სახელობის სათესტომო ეწოდებო-  
და.

1916 წლის იანვრის 26-ს შესრულდა აკაკის  
ვარდაცვალების ერთი წლის თავი. სათეს-  
ტომოს გამგეობის წევრმა — სიმონია წერე-  
თელმა ოთავა მოხსენების გაკეთება და საშა  
ჯაფარიძის, ვრიგოლ ვეშაველის და იოსებ  
შველიძეების შემადგენლობით შედგა კომი-  
სია, რომელმაც ლიტერატურული ნაწილი ჩაა-  
ტარა. საღამოს სტლისჩანდგმელი იყო დ. მე-  
ბუქე. (ეყარ-ნამი).

საღამოს დაესწრო დიდძალი საზოგადოება:  
მოსკოვის ქართველთა საზოგადოებიდან პრი-  
ვატ-დოცენტი ვაბრ. დამბარაშვილი, ექიმი მიხ.  
ოთარ. ზანდუელი, კბლის ექიმი ვ. ხორავა,  
პრივატ-დოცენტი ალ. ჯავახიშვილი, ახლგაზ-  
რდა კომპოზიტორი დიმი. არაყიშვილი, ვეტი-  
ლუბი — პოლუმორდვანიოვი, თემანიშვილი,  
პოლკოვნიკი ივ. კუთარაძე, მრეწველები დ. და  
გ. ყვაროშვილები და დამირიანე და სხვები.

ამ საღამოს დაესწრო ქუთაისიდან ჩამოსუ-  
ლი, მეუღლის ტანო ვარსკვლავიშვილის სავი-  
მოდ, ქართული გიმნაზიის მასწავლებელი სერ-  
გეი ისიდორეს-ძე რომაძეძე, მ. გორკის დიდი  
მეგობარი და მისი „წითელი ვახლისა“ და  
მოთხრობის მთარგმნელი და გამომცემელი.  
სერგეი რომაძეძეს ძალიან კარგად დაუხვდნენ  
და ბევრი იზრუნეს მის მოსაწყობად სერ.  
კლდიაშვილმა, ბიჭ. ქლენტიმა, გრ. ნიკოლაი-  
შვილმა და მისმა ამისწულმა შურა რომაძეძემ.

მასხოვის სერგეიმ დიდებული სადილი გავ-  
ვიმართა ქუთაისის ქართული გიმნაზიის ყოფილ  
მოსწავლეს. თამადად არჩეული გუყავდა  
შალვა ლორთქიფანიძე, რომელიც მაშინ

ი. ოცხელის შთავონებით ოცნებობდა კომერ-  
ციული საქმიანობა გავერცხლებოდა ქართულ  
სტუდენტებს შორის და ქვეტარდენს მხოლოდ  
წინაილს და აღუნას ეზიდებოდა მოსკოვში და  
საქმელაობადიო კანტორაჲ ქონდა.

საღამოზე მოვიდა ალ. სუმბათაშვილი —  
იუენი და თან მოიყვანა ჩვენ შიერ მოწყეუ-  
ლი ლეონიდე სობინოვი.

სათესტომოს გამგეობის წევრების და ქარ-  
თველ სტუდენტთა დანარჩენ ორგანიზაციათა  
წევრების სიხარულს საშლგარი არ ქონდა,  
ალ. იუენის და ლ. სობინოვის ტამისგრალობა  
შეხვდა აღფრთოვანებული ახალგაზრდობა.  
სტუდენტობის რადიკალურად შემარცხენ  
ფრთა გაყუჩებული იყო. ტიციან ტამიქმ ვერ  
მოითმინა და გადასაბა „ნეტავი ეს ყოფილი-  
ბი რატომ ასე ყოჩურად დუმან?“ ქართულმა  
ეურსისტებმა სიცილი დააყარეს.

საღამოს დასასრულს სობინოვმა, რომ მოხ-  
აბლესში გამოწყობული სანდრო წერეთელი,  
საშა ჯაფარიძე, მიხაკო ჩხეიძე, იოსებ შვე-  
ლიშვილი, ვლ. მაკუჰარიანი და თუთილე  
ჩიქოვანი დაინახა, მოგვემართა: „ფსუს, რომ  
არცერთი რომანი არ არსებობს აკაკის სიტყ-  
ვებით?“

ლ. სობინოვს იმ დროს ქართველებსა და  
ქართული მუსიკის და სიმღერების შესახებ  
ძალიან ბევრი ქონდა ვაგონილი და მოსმენი-  
ლი. ვერ იტალიაში ვანო სარაჯიშვილთან და-  
მეგობრების შედეგად შემდეგ მოსკოვის ქარ-  
თულ წითელრაზმელთა დრუენის ბელშლვა-  
ნელის ვასო არაბიძისაგან და სამხატვრო თეა-  
ტრში მომუშავე აკაკი ფილავასა და ალიომა  
წუწუნავისაგან.

თბილისში გათქმული კბილის ექიმ თედორე  
ცხოშელაძის მთელ ოჯახს კარგად იცნობდნენ  
ლ. სობინოვი და თედორე შალიაძინი, რომ-  
ლებსაც გურული ცხელ-ცხელი ხაქაპურები  
ბევრი შიურთმევიით, რასაც გურული კრიმან-  
ქულიც მოყალია. ახლც ამშვენებს თედორეს  
მეშველდრეთა აღბოზს თ. შალიაძინის ნაწიქა-  
რი სურათი საყუთარი წარწერით.

სობინოვი ა იუენის მეშვეობით ხშირად  
ესწრებოდა ქართულ წვეულებებს ქართული  
საზოგადოების თაემჯდომარის პროფ. გ. დამ-  
ბარაშვილის, მიხ. ოთარ. ზანდუელის ოჯახებ-  
ში. დამირტი არაყიშვილი და ალ. ჯავახიშვი-  
ლიც არ აკლებდა სობინოვის ყურადღებას. ძა-  
ლიან მოწონდა ჩვენებური ქელაჯებიც, რომ-  
ლებშიაც გამოწყობულნი ამშვენებდნენ ჩვენ  
სათესტომოს საღამოებს საშა ჯაფარიძე, სპ.  
ჩომბიძე, მიხ. ჩხეიძე, გრ. ვახუნია და სხვები.

ერთხელ, როგორც სასადილოს ეცონომიური  
საბჭოს წევრი სასადილოში შევედი სადილე-  
ბის გაკემის დაწყებამდე, შიორე დარბაზში  
შეენიშნე ლ. სობინოვი ესუბრებოდა ჩვენ  
ამხანაგებს სერ. კლდიაშვილს, მხატვარ შალ.  
ქიქოძეს და შავ. აბულაძეს. ამგვარმა შეხვედ-

რამ დამინტერესა, მაგრამ მაშინ ვერ მივიცალე. ახლან თვითონ გაიხსენა სერგოშ და ზიხარა — სობინოვი განცვიფრებული იყო ჩვენი ხალხის მუსიკალობით და ჯერ კიდევ მაშინ სასადლოში ჩვენ სამივეს ვეითხრა: „მსოფლიოში იტალიელებისა და ქართველებისთანა მუსიკალური ხალხი არ მოიპოვებათ“ აქაის სამელოვიარო საღამოს ჩატარების შემდეგ იმავე საღამოს მე მოვეთათბირე კიტა ჩხენკელს, შალვაო დუვლაძეს, ნიკო ქადაგიაძეს და ძველ ქეთარაძეს, რომ მოგვეწყო კონცერტი სობინოვის მონაწილეობით. როცა ქართველი ამხანაგებიდან თანხმობა მივიღე უკვე საკითხი დავსვი მოსკოვის კომიტეტში.

ეს კომიტეტი იყო მოსკოვის სტუდენტთა სახლის აგების და მშენებლობის კომიტეტი. ამ კომიტეტს თავისი წესდება ჰქონდა დამტკიცებული მოსკოვის ქალაქის თვითმმართველობის მიერ და ხელს აწერდა მაშინდელი მოსკოვის ქალაქის თავი, განთქმული კადეტი ვ. ჩელნოკოვი. ამ კომიტეტს სანგარიშსწორებო ანგარიში ჰქონდა გახსნილი მოსკოვის საქალაქო ბანკში, რომლის მმართველი იმ დროს იყო ქუთაისელი მრეწველის შვილი ალ. ავსარჩინოვი. კომიტეტმა ჩემი მოხსენების მიხედვით მოიწონა სახლის მატერიალური ფონდის გასაძლერებლად ლ. სობინოვის მონაწილეობით ერთი კონცერტი ჩატარება. მართლაც ამგვარი კონცერტი მოეწყო. ლ. სობინოვთან მოსალაპარაკებლად წაიქცა მოსკოვის სტუდენტთა სათვისტომოს თავმჯდომარე ვ. ჩიოვი და პეტრე ჩარქიშვილი.

ჩველად დაუკითხავად ამ კონცერტში მონაწილეობის მისაღებად ახ. ვ. ჩიოვის და სხვა რუს ამხანაგებს, რომლებიც კომიტეტის წევრად იყვნენ არჩეულნი თ. შალიაბინისათვის უბოვად უფასოდ გამოსვლა.

თ. შალიაბინს უხეშად ეპასუხა „რა მომცა სტუდენტობამ, რომ მე მათ უფასოდ უმღერო?“

ლ. სობინოვი — კი სიამოვნებით მოვიდა, როგორც ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების საბატო წევრი — ჯერ კიდევ 1905 წლადან.

კონცერტი შედგა აპრილის 10-ში და მისი წმინდა შემოსავალი 3800 მანეთის რაოდენობით გადაეცა სტუდენტთა სახლის აგების კომიტეტს. ეს თანხა მე თვითონ ჩაერიცხე საქალაქო ბანკში და ამ თანხით ერთად სახლის აგების თანხა შეადგინდა 15000 მანეთს. რევოლუციამ ეს თანხაც სახელმწიფოს აუთუნა. სახლის აგება რევოლუციის შემდეგ მოხერხდა.

ლ. სობინოვი მეორეთაც შეეაწუხეთ.

როცა ქართველმა სტუდენტობამ, რომლებიც სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში სწავლობდნენ, გაიყო კონცერტის ჩატარება სობინოვის მონაწილეობით, ვუბოვებს ერთი კონცერტი მოგვეწყო ყველა უმაღლეს სას-

წავლებელში მოსწავლე სტუდენტებისა და კერსისტებისათვის.

ღარიბ სტუდენტთა დამხმარე მიზროს, რომელიც სათვისტომოსთან არსებობდა, ძალიან უჭირდა შემოიბო და თავისი მოვალეობის შესრულება. ეს ახსენებოდა დასახმარებელი ფონდის ნაკლებობით. ფონდი მოცულობით მოზარდი იყო, თითქოს ითხი ათასს აღწევდა, მაგრამ სტუდენტებს, რომლებსაც მიწოდდოდა არა მუდმივად, არამედ სესხადაც, უმარავლესობა დროზე არ აბრუნებდა და ნაწილი — კი ითვისებდა დიდი ბოდიშებით და ვადის გაჭიანურებით:

მივიღებ შრობებიდან, მივიღებ ბიძიდან, მივიღებ სიძედან და უსათუოდ დავფარავო. ერთი ამგვარი ტიპის ლებტორი იყო მესამე სახელმწიფო სათათბიროს წევრი, შემდეგში განთქმული ადვოკატი და სახელმწიფო მოღვაწეც რევოლუციის პირველ წლებში და ვალად ხელწერილ ქვეშ წაღებული 30 მანეთი მისგან ვერ გავიჩნადებო. მესამე მამართვის შემდეგ მოგვეწერა: „როცა მექნება გამოგვიზავნი, ხომ არ შეგიკავთ თქვენ 30 მანეთს?“

ამის გამო ფონდის ნაკლებობა სავიარო საშუალებების გამოქვანას მოითხოვდა.

ამ მხიზნი მოეწყო ლ. სობინოვის მონაწილეობით მეორე საღამო. ამ საღამოს ორგანიზაციაში დიდი დახმარება და მონაწილეობა გავიწვია და მიიღო პეტრე ჩახუშოვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ქართველმა სტუდენტებმა: შალ. ცქიტიშვილმა, სპ. ჩომბატემ, ა. კაკაბატემ, შალ. ხუნდაძემ, ჯევებ იოსელიანმა და ვლ. ნივარძემ. უნივერსიტეტის დილოლოგიური, იურიდიული, ეკონომიური და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტიდან აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ: კ. ჩხენკელი, ნ. აბესამე, გ. ჩიქოვანი, ალ. ფანცხავა, ანდ. სავაერელიძე, ლ. ჯამბურაძე, კ. ასათიანი, პ. ჩარქიშვილი, ტაქ. ტაბატაძე, გრ. ვეშაპელი, სიმ. ხუნდაძე, ნ. ქადაგიძე, ირ. ქავთარაძე, სპა ბურთიკაშვილი, ნ. სუმბათაშვილი, ბეს. ყავრიშვილი, იას. შვედლოშვილი, სპა ტატიშვილი და სხვები. მოსკოვის კომერციული ინსტიტუტიდან საღამოს მოწყობას ეხმარებოდნენ: ლ. ლუქვიანი, ირ. წერეთელი, ვალ. ბრეგაძე, ვლ. ბრეგაძე და კ. წერეთელი.

საღამო მოეწყო სტუდენტების ორ დიდ დარბაზში, მანეთთან, სადაც ეკიდა ლ. სობინოვის სურათი.

საღამოს მთავარი აღმინისტრატორები იყვნენ სპა ჯაფარაძე, (ქულაჯიში გამოწყობილი), სიმონია წერეთელი და სანდრო წერეთელი (ჩიხაში გამოწყობილი).

მთავარი ეკონომი იყო კიტა ჩხენკელი და მისი დამხმარე ირაკლი ამირაჯიბი. დიდძალი ხალხი დაესწრო. მთელი ქართველი სტუდენტობაც იქ იყო.

ლ. სობინოვი იმ საღამოს არამეუღლებრივ

ხასიათზე მოვიდა. საბე უღიმოდა და ყოველ ჩვენგანს ხელის ჩამორთმევით მოგვეცას. ის მოიყვანა კონცერტზე ვაბ. დამბარაშვილმა და ტიც. ტაბიძემ.

ამ კონცერტზე ორ განყოფილებაში იმღერა ჩვენთვის საყვარელი რომანსები

«Я, помню чудное мгновенье», ჩიკოყვიციანი ლენსკის არია «Куда, куда, вы удалились», «Ночи безумные», «О чем в тиши ночей», «О, нет, молю не уходи», «Нет, не жди ты», «Привет тебе» და ჩვენი ქვეყნის შესახებ რომანსები «На холмах Грузии» «Грузинская песня» და ერეკლეს არია ოპერა „ღალატი“ — და.

ლ. სობინოვი ქართულ მუსიკას ამ არიის მიხედვით უფრო იცნობდა.

კონცერტის დამთავრებისას კიდევ გამოთქვა სინანული, რომ ქართული რომანსების მღერა არ შეუძლია. ამაზე სანდრო წერეთელმა სობინოვს უბასუხა: ჩვენ გვაქვს ერთი რომანსი, რომელიც ასე იწყება: Тебе одвои, все, что мне даровал бог“ („მხოლოდ შენ ერთს, რაც რომ ჩემთვის მოუცია მაღლიდან ღმერთს“).

ლ. სობინოვს დიმილი მოერია, მან დიდი გრძნობით ჩამოართვა ხელი სანდროს. გამოგვეშვიდობა ჩვენც და მიხ. ოთარ. ზანდუკელის და წიხელი ჯგერის სხვა ქართველ მუსიკებთან — ვრ. კუჭაიძესთან, ვლ. ცომაიასთან, თეოფილე კეცელიძესთან ერთად მან დატოვა ჩვენი დარბაზი. როცა წაეიდა ჩემ გვერდში იდგა კოლია ჯორჯოკია, შემეცთხა:

კარგი იქნებოდა ლ. სობინოვისათვის ჩემი წიგნი შექმნა «Качество, отнашение и причинность».

ძვერ ქვეთარაძე ეხუმრა: „შენი წიგნი ისეთი შმიშვა თავისი შინაარსით, რომ ლ. სობინოვს უყვლა რომანსები გადაავიწყდებაო“.

კარგად მახსოვს ამ საღამოს კერძოთი.

საღამომ დღემდე გასტანა. როცა დღით ანგარიში მოითხოვა ეკონომკომისთან ცალკეული ზეივანების ხელმძღვანელებისაგან, აღმოჩნდა, რომ გამოიდგელებს დააკლდათ „Спу и Коми“. — ფირმის ორი შეკვრა შოკოლადი მეონი სულ 1 მან 20 კაბ. ღირებულების.

ქ. ჩხენკელმა იჭურბოა აიკლო, „როგორ თუ დავგავლდა ღარიბი სტუდენტების ფულიო“. როგორც მახსოვს ეს მდგომარეობა გამოასწორეს სარევიზიო კომისიის წევრებმა ნიკო ქადაგიძემ და ირ. ქვეთარაძემ, მათ დაიდევს ეს 1 მან. 20 კაბ. და განრისხებული ქ. ჩხენკელი დააშოშმინეს.

ირ. ქვეთარაძისათვის საკმარისი შეიქნა, რომ ეს ალიაქოთი და ზოგი ჩვენი ამხანაგის ბუტია მდგომარეობა აღენიშნა.

ირ. ქვეთარაძემ გამოსცა ხელნაწერი სატირული აღმანახი, I სარევიზიული და ფ. კალანდარიშვილთან ერთად, სადაც თუმორისტური ხერხით სახუმაროთ იღებდა ვრ. კეჭაიძეს, სიმ. ხუნდაძის, ლ. ემუხვარიის, გ. აყელიას და სხვების საქციელს და ამ საღამოსადმი დამოკიდებულებას.

კონცერტის წმინდა შემოსავალი დაახლოებით 2800 მანეთი გადაეცა ქართველ ღარიბ სტუდენტთა დამხმარე ბიუროს. მეორე დღეს პეტრე რაზუშოვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტები სეირნობდნ ინსტიტუტის ტბაზე ნაეით და ვითომ ლ. სობინოვს ბაძედენ, განსაკუთრებით შ. ხუნდაძე, და მღეროდენ „Я помню чудное мгновенье“.

ამგვარი მომზობლავი იყო ლ. სობინოვი — მომღერალი, აღმანახი და მოქალაქე.

I აღმანახი ახლაც ირ. ქვეთარაძესთან ინახება და კარგი იქნება თავის მოგონებებში ვრცლად მოიხსენოს ამის შესახებ.

აქვთ. თაყაიფვილი



## მომონებები \*

სხედახხეა 1

ბალიან კარგი და მართებული წესია ჩვენში შემოღებული, რომ ადგილი სახელწოდება რუსულად იყ მიწრება, როგორც იმ ქვეყნის ენაზე. მაგალითად, „Ишхани“, „Ошки“, „Пархали“ და არა „Ишхан“, „Ошк“, „Пархал“, როგორც უწინ წერდნენ რუსები და ვერძლით ჩვენს. ოსმალეები კიდევ უფრო ამახინჯებენ იმ ჩვენი ძეგლების სახელებს.

\* გაგრძელება იხ. „მნათობი“ № 7.

1) ეს მოგონება-მოსახრება იმ კრიტიკული შენიშვნები ჩაწერილია 1948—1951 წლების მანძილზე, როდესაც აკად. ე. თაყაიფვილის ვეზმარბული მისი გამოქვეყნებული ნაშრომების მოწესრიგებაში, ხელახალ რედაქციაში, რუსულიდან ქართულად თუ პირიქით თარგმანში და, საერთოდ, გამოსაცემად გამოადებაში. ასეთი მუშაობის პროცესში მას ბევრი რამ უთქვამს, გახსენებია (და საკმაოდ ვრცელად), ისეთი, რაც, ჩემი აზრით, არაა მოკლებული შეცნობიერებას და მემუარისტულ ინტერესს. ხშირად ეს ჩანაწერები მოგვიგონებენ ერთგვარ სქოლიოებს მის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომებისადმი, შეიცავენ დამატებით განმარტებასა და ამა თუ იმ ძეგლისა თუ ნაშრომის ღირებულების შეფასებას ამა თუ იმ პირობებისა და მუშაყის დახასიათებას; ზოგჯერ კი შემდგომი კვლევის ამოცანებსაც აყენებენ.

ყოველივე ამის გამო, საკიროდ მიგვიჩნია ე. თაყაიფვილის მოგონებებში ამ შენიშვნების შერჩევა. შეიძლება შეატყობს, რომ მათი უმეტესობა წარმოქმნილია შემდეგ ნაშრომთა რედაქციაზე მუშაობის პროცესში: „1917 წლის ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში“, „სულბატ დავითის ძის ქრონიკა“, „ეგრისაში ნახული ქართული სიძველეები“, „როდის გარდაიქმნა იბრათა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ“, „იკორთის წარწერები“; ზოგი კი — სხვა შეცნობითა ბოლოდროინდელი ნაშრომების გაცნობის პროცესში. გ. ლ.

თავიანთი ენის წესისამებრ: „იმ-ხანე“, „ეოშეკ“ და სხვა. „ეოშეკ-ჟანკ“-საც კი უწოდებენ ოშკის ტაძარს (სომხურის გავლენით, ყველა ქრისტიანულ ეკლესიას „ეანქს“ უძახიან). ზოგიერთ სახელწოდებას თარგმნიან: მაგ. „ოთხთა ეკლესიას“ (ერთი ტაოშია და ერთი კოლაში; რატომღაც თითქოს სწორედ „ოთხთა“ სწერია ქართულ წყაროებში, თუმცა მოსალოდნელი კი იყო „ოთხი ეკლესია“) უძახიან „დორთქილსა“-ს, „ქაჯის ციხეს“ — „შაითან-ყალას“, „მგლის ციხეს“ — „ეურთ-ყალას“, „თერთ ციხეს“ — „ილაყა ყალა“-ს, „ოქროს ციხეს“ — „ილთენ ყალა“-ს და ა. შ. ერთ წყება სახელწოდებებს კი უთარგმნელად ხმარობენ: მაგ. „ვაშლიბი“ და ა. შ.

ოშკის ტაძართან მდგარი ერთ-ერთი, აწ დანგრეული შენობა რომ სამონასტრო ბიბლიოთეკას წარმოადგენდა, ეს აზრი მე წამოგაყენე და, მგონია, საეჭვო არ უნდა იყოს. შენობის ვეგმა ვეიუბნება ამას: მთავარი ისაა, რომ შუაში გვირგვინი პქონია, გუმბათის მსგავსად, ტრომპებზე დამაგრებული. ბაზილიკის დარბაზი საესებით კარგად იყო შენახული ჩემს დროს, ისე რომ საკმარისი იქნებოდა იმ გვირგვინის ქვეშ მადიდის დადგმა (სინათლე იქ ჩამოვიდოდა ყველაზე უკეთესად). ზედ ეტრატის გავლა, საწერ-კლემის მომარჯვება და... თავისუფლად შეიძლება მეთე საუკუნეში იქაური ბერების მიერ წარმოებული მუშაობის გაგრძელება. სწორედ იმ შენობაშია გადაწერილი ქართული „დაბადების“ ის ხელნაწერი, რომელსაც „ოშკური ბაბლია“ ეწოდება და რომელიც ათონზე ინახება. „ივერონის“ მონასტრში. ის შენობა რომ სხვა დანიშნულებისათვის ყოფილიყო იგებელი, მაშინ კედლებში სარკმლები ექნებოდა დატანებული და ზემოდან კი არ მოეწყობდნენ სინათლის ჩასასვლელს.

ათონის ივერთა მონასტრში დაცული ქართულ ხელნაწერთა ბედის შესახებ ამ ბოლო

დროს აღარა ვიციტ რა იქაური ბერძენი ბერები, საერთოდ, ძალიან აგრესიულად იყვნენ ჩვენ მიმართ განწყობილი და ეგებ ის ხელნაწერებზე განიავდა...

ზოგს უკვირდა, ისე ინტენსიურად რომ ემუშაობდი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებისა და საეკლესიო ნივთებისა და ხელნაწერების შესწავლაზე, და შეითხებოდნენ ხოლმე, პეტერბურგის უნივერსიტეტში დასპეციალი მგ საითხებზე? სრულიადაც არა! იქ მე პედაგოგად ვმუშაობდი (ასე მქონდა ვადამუშებოდი ვამნაზის დამთავრებისთანავე, რამდენიმე ამხანაგთან ერთად) და თბილისში რომ ჩამოვედი, სწორედ მასწავლებლობით დაფიქვე ჩემი ძირითადი საქმიანობა. ხელოვნებისა და სხვა ძეგლებს კი მას შერე მოკვლევად ხელი, როდესაც დაგვეკვირდი, რომ ისინი ნელ-ნელა ხელიდან გვეცლებოდნენ და შემსწავლელი აღარავინ ჩანდა, დაქარაბის უდროთ გარდაცვალების შემდეგ, როგორც აღინიშნა, პირველად კი სწორედ ბაქრაძემ გამჩინა ამ საქმეში, თანაშრომლად გამიხანდა და გვიცემოდა. მერე ჩავუკეთი სათანადო ლიტერატურაში. შევისწავლე კვლევის ზერსები და ასე ვეყოფიყე. ახლა კი, სამედიცინოდ, ჩვენს აკადემიაში სპეციალური ინსტიტუტია ქართული ხელოვნების ისტორიისა, მთელი სკოლაა შექმნილი და ათეულობით სპეციალისტი სწავლობს, დარგობლივ, და, რა თქმა უნდა, დიდად ვალრამებულთა ჩვენი ძეგლების კვლევა.

თავის დროზე, ბაქრაძის გარდა, ბევრი რომ ვაკეთა ქართული ხუროთმოძღვრების შესწავლის დარგში ნ. კონდაკოვიც. მეტად ნიჭიერი და მომზადებული კაცი იყო, ის, რითაც მან მკაფიოდ გამოასხვავა ქართული არქიტექტურა ბიზანტიურისაგან, რომლისაგან მანამდე არც არჩევდნენ და ვერც არჩევდნენ ქართულს. დღესაც რჩება ძალაში, როგორც ძირითადი ნიშანი ჩვენი ხელოვნების თავისთავადობისა (გვანაკუთრებით ორნამენტი. „Грузинское плетение“).


ქართული და სომხური ხუროთმოძღვრება, მიუხედავად ამკარა თავისთავადობისა, საგრძნობლადაა ერთიანობისთან ნათესაურად გადამართული — გარკვეული პერიოდისა და რაიონებისათვის შინაღ.

იშხანის ტაძარი რომ იყო, ნერსეს აშენებული, ის თითქოს არაბებმა დაანგრეს, წყაროების სიტყვით, მაგრამ თავისთავადაც სუსტად იყო ნაგები, ღამაში კოლოფივით იყო დადგმული, საყრდენი არა ჰქონდა და ამიტომაც დაინგრა ისე ადვილად. ბანა რომაა, რომლის მიზანძიოთაც ააშენა ნერსემ იშხანის ტაძარი, ის კი შტკიცედ იყო დაფუძნებული და კიდევაც გაძლო ძალიან დიდხანს.

საერთოდ, დიდხანს დარჩა რუსეთის მფლობელობაში არტაანი და სხვა ქველი ქართული ოლქები, საესებით მისაწვდომი იყვნენ ისინი სპეციალისტებისათვის, მაგრამ ევრაიკი შიკოფიკა იქაური ძეგლების რიგინად აღწერა და შესწავლა. საუვედური ეთქმის დ. ბაქრაძესაც კი, რომელიც ძალიან მოკლედ და სიტყვათმწიად აღწერს ოლთისის ძეგლებს და არც დღიურში აქვს ბევრი რამ ნათქვამი მათ შენახებზე. ხოლო იმ მხატვარს, გვარად ბერიძეს, რომელიც ბაქრაძეს ხლებია თან, საოცრად პრიმიტიული, პირდაპირ ბავშვური, უმწირო ნახაზები აქვს გაკეთებული: მაგრამ მეტი რა გზა გვექონდა, სხვა გვგმა აღარ აღმოგვანდა, დადებულთ ის სამარცხინო ნახაზი... ვეიღენ-ბაქრაძე ინახებდა ბანა, მაგრამ არც იმას მოეფიქრებია, რომ ფოტოგრაფი მინც წაუყვანა და საერთო ხელი მინც გადაეღოთ! იმით დროს ბანა ჯერ კიდევ მოელი იყო და რა ძვირფასი დოკუმენტები შეგვრჩებოდა, რომ მოეფიქრათ და რიგინად ჩაებატენინებინათ, ატომით და ფოტოგრაფიულად გამოესახათ? მე ბანა ორჯერ ვინახე. 1902 და 1907 წლებში, მაგრამ მაშინ უკვე დანგრეული იყო. პირველად არქიტექტორი ს. კლდიაშვილი მუხავდა თან, მაგრამ, სამწუხაროდ, მანაც ვერ მოახერხა რიგინად ძეგლის აზომევა-გამომზადა, სამეფიროდ, მაშინ ფოტოგრაფი გამოადავა, ძალიან მარჯვედ და შესანიშნავად იმუშავა, ერმკეთეს მოწაფე იყო, ქართველი, დიდძელი, გვარად მამუჩაშვილი. 1907 წელს არქიტექტორად უკვე კალგინი წაიყვანენ და კარგადაც გააკეთა თავისი საქმე, მაგრამ, სამეფიროდ, ფოტოგრაფი სულ არ მიეარგოდა: თბილისის ერთი-ერთი ვიწმანის მასწავლებელი იყო, ვინმე ლიოზენი, ლოთი; უუაროვან დამაძალა, წაიყვანეო. ისა და კალგინი დაუსრულებლად ჩხუბობდნენ. საბოლოოდ, მე მინც ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ ვნახე და შევისწავლე ბანა — თუნდაც უკვე დასკეული. მახსოვს, კალგინს ეუთხარი, „აი ამ ტაძარში იყურთხეს ბაგრატ IV და მისი ცოლი-მეოქი“ და მან მიპასუხა: „რადღებული სანახავი იქნებოდ, დაუნგრეველი და გამირადღებუელი“.

ნეკ. სვერდლოვი მე მოვიწვიე პირველად (შვონია, პირველი ომის დროს) და წაიყვანენ ექსპედიციოში. ამის შემდეგ მიჰყო მან ხელი ქართული ხუროთმოძღვრების შესწავლას.

იშხანის ტაძრის ერთ-ერთ ფრესკულ წარწერაში იხსენიება ქართლის პირველი ქრისტიანი დედოფალი ნანა. ის წარწერა ძალიან მძლდა იყო, ქვემოდან არ ჩანდა და 1917 წლის ექსპედიციის წევრი მიხ. ჰიურტელი კი, მიუხედავად დიდი სიმარჯვისა, ვერ მიუღდა მას გუმბათიდან მთლად ახლო და ამიტომ რომ



ვორც მოგხეხა, ისე გადმოხატა. მეც კარგად შევამჩნიე თვალთ, წაშლილ ასოთაგან დარჩენილი კონტურების მიხედვით, და ისედაც არაა საუკუო, რომ წარწერაში ნანა დედოფალზეა საუბარი, წმ. ნინომ რომ მონათლა. ამას ვამბობ ტექსტშიც. მაგრამ ნახატს იმ ზედა, საუკუო ნაწილს ვაკრი და მხოლოდ უმჯველს ვაქვეყნებ. არ ივარგებს, რომ ექსპედიციის ანგარიშის ილუსტრაციებში მცირედი სიყალბე მანე შეიპაროს არც ის ივარგებს, რომ ახლა აღუდგენინო მხატვარს — იმის მიხედვით, თუ როგორ ვკითხულობ მე წარწერას.



იშინის ტაძარში ჩემ მიერ აღმოჩენილი და მანამდე მეცნიერთათვის უცნობი დიდი ფრესკული წარწერა მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლი გამოდგა, და მეც დაწერილებით განვიხილავ მას 1917 წ. ექსპედიციის ანგარიშში. ვფიქრობ, რომ ის ერთი ყველაზე უფრო საყურადღებო თემა ჩემი წიგნისა. შიგ ხალსი ფაქტები, ზოგჯერ ახალიც, და ფაქტების წინააღმდეგ კი ვის რისი თქმა შეუძლია, გერმანელი მეცნიერი მარკვარტი ადარნასეს ყველა შეიღს, დავითის გარდა, კლარჯელი ადარნასეს შეიღებულ მიიჩნევდა და იჭიდან გამოჰყავდა ქართულ ბეგრატონთა გენეალოგია. ახლა ხომ საბოლოოდ დამარცხდა ეს აზრი!

საერთოდ, ვასაკვირია ამ მარკვარტის საქმე: კარგი მეცნიერი იყო; მშვენივრად იცოდა სომხური ენა და სომხურ მასალებს უხედაც იყენებდა, მაგრამ სრულიად არ სარგებლობდა რუსული და ქართული წყაროებით, თუმცა რუსული სარგებლობა მაინც შეეძლო. იმ თვის ცნობილ ნაშრომს რომ წერდა, ჩემი „Три хроники“ უკვე გამოხული იყო. (რუსულადაც), და ის რომ გამოეყენებინა, მაშინ სულ სხვანაირად დაწერდა, შეცდომა ნაკლები მოუვიდოდა. ისე კი ძალიან ნიჭიერი კაცი იყო. თუნდაც ის რადა ღირს, ბროსეს რომ შეუსწორო ბროსესავე მასალების მიხედვით! ის კი ვაღამეტრებული მოსდიოდა. უვლაფერს რომ სომხებს აყუთვნებდა.

ნ. აღონციც უმჯველად ნიჭიერი მეცნიერი იყო. მან კი იცოდა ქართული (თუმცა საქართველოდან არ ყოფილა და, ჩანს, პეტრიბურგის უნივერსიტეტში შეისწავლა); ყოველ შემთხვევაში, კითხულობდა ქართულ ნაწარებს.



სამუსულმანო საქართველოში მოწყობილი ექსპედიციის ანგარიში ინგლისში უნდა გამოვეყთ და იქ ვაგვზავებ პარიზიდან რუსული ტექსტი, რადგან ქართულიდან თარგმნა ვაუ-

კირდებოდით, მაგრამ დამიკარგეს და ამიტომ ახლა ხელახლად შეიქნა რუსულად სათარგმნი, თბილისში გამოსაცემად.

მის. კიანურელი რომ წაიყვანე მხატვრად 1917 წ. ექსპედიციაში, ყოჩაღად ირჯებოდა, ყველაფერი ეხრებებოდა და, თან, აცოცლებდა და ამზიარებდა მთელ ექსპედიციას. ის ხომ მრავალმხრივ ნიჭიერი კაცი და სხვათაშორის, იმბრტყიაც ძალიან ემარჯვება. ერთხელ აიპარა მინარეთზე და ისე მიბაძა მოლას ძახილს, რომ იქური მამადიანები შეცდომაში შეიყვანა. ერთხელ იშხანში მამადიანებს ფერხული გაებათ და თან მუროდნენ: ჩადგა ისიც მათ შორის და ისე ცეკვავდა და მღეროდა, ნამდელი „თათარი“ გვერანებოდა.

ძალიან სასარგებლო თანამშრომელი იყო იმ ექსპედიციაში, აგრეთვე, დ. შევარდნაძე, რომელიც დიდი ავტორიტეტი სარგებლობდა და დიდი პატრიოტული სულისკვეთებით მუშაობდა. შერი ხომ მან გამოიგონა მშვენიერი ქართული შრიფტი. ვაუგვებარია, რატომღა სრულიად უკუგდებული ძველი, აკადემიური შრიფტი?



იშინის იმ დიდ ფრესკულ წარწერას ალბათ ვერც მე შევამჩნევიდი, ჩემი წინამორბედებით, მაშინ რომ ძალიან მჭრელი თვალი არა მქონოდა. სანამ ზედ არ მივიყვანე და თითებით არ მოუხეხა ასოები, ექსპედიციის სხვა წევრები ვერც კი ხელავდნენ წარწერას! ერთიც უნდა ითქვას; წვიმა რომ არ წამოსულიყო და მე რე შხეს აღმაცერად არ შემოებედა ტაძარში, მეც გამიჭირდებოდა დანახვა.



ტაო-თორთემ-ისპანის ერთ-ერთ ხეობას წინელ მაკახელის ხეობა ერქვა. იგი თითქმის სულ გამოუტყვეველი დარჩა, რადგან ფირალებით იყო სავსე და უცხო ევრაიენ ბედავდა შიგ შესვლას. ჩემს ბავშვობაში გურიაში სულ „მაკახელის თოფები“ მქონდათ ხოლმე და მერე ვანდა ევროპიდან შემოიტანა.

საზოგადოდ, გურია მედამ ძალიან იყო ხოლმე დამოკლებული ტაოკლარჯეთზე. მავალითადა, ჩემი აზრით, „ხორები“ რომ ჰქვია ცეკვას, ის იჭიდანაა შემოსული გურიაში და მისი სახელწოდება ადრე უნდა ყოფილიყო „ხონური“ (ავარისწყლის ხეობაშია სოფელი ხონი). ცნობილი საუკეთესო გურული სიმღერები „ალი-ფაშა“, „ხასანბეგურა“ და სხვები კობულეთიდანაა წამოსული.

იხსნელ ებისკოპოსს, „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, ყველაზე მეტი პატივი ჰქონია და ეს ნაშანდობლივია. იქვე რომ იხსენიება „გოლგოთელი ებისკოპოსი“, მისი აღგისამყოფელი ვაუტეგბარია: შეიძლება პალესტინაში იყო ქართველი ებისკოპოსი, შეიძლება ჩვენშივე იყო სადმე ასეთი სახელწოდების კათედრა და ჩვენ არ ვიცით? პალესტინაში ქართველი ებისკოპოსის ჯდომაც საესებით კანონზომიერი იქნებოდა თავის დროზე.

გასაკვირველია, რომ „ხელმწიფის კარის გარიგება“, სანამ შე გამოეცემოდა, ნ. შარსაძე ჰქონდა ხელთ და ა. ჯავახიშვილსაც, პეტროგრადში, თითქმის წელიწადნახევარს (უკვე დაბეჭდილიც კი), მაგრამ ვერც ერთმა ვერ შენიშნა, რომ იმ ტექსტში არის მითითება გელათში აკადემიის არსებობის შესახებ, — ისე იხსენიება თანამედრობმა. ა. ჯავახიშვილი თავის „ქართული საშარათლის ისტორიას“ რომ წერდა, სწორედ იმ ჩემს გამოცემულ ტექსტს ეყრდნობოდა. მერე, პეტროგრადში რომ აღარ ეშველა „კარის გარიგების“ გამოცემას (რევოლუციის ხანაში), თბილისში გამოეცემა, ხელახლა დაეაბეჭდინენ. იმ წიგნში მთელი თავი მაქვს: „აკადემია გელათში“. ეს აღმოჩენა რომ გაშაურდა, ჩვენებს ვაუტეგბათ და მერე, საცა არა მგონია, ყველგან წიგნებზე აკადემიებს. ასე, მაგალითად, ირწმუნებიან, რომ იუალითოვიც იყო აკადემია. ეს აზრი იმის გამო წარმოიშვა, რომ ცნობილია არსენ იუალითოელი და. შამასაძემ, მას იუალითოში დაუარსებია აკადემიათ, იფიქრეს. იმას კი აღარ უფიქრდებიან, რომ „იუალითოელი“ იმ მოღვაწის სადაფრობის აღმწველი, გვარდითი სახელია (ისევე, როგორც „რუსთაველი“). მაგრამ მას სწულიადაც არ უმუშავია იუალითოში, სულ გელათში იჯდა და იქ შრომობდა, ხელახლა თარგმნა მთელი „დაბალება“, კომენტარი გაუკეთა ტექსტებს და ა. შ.

ოქმაყ. იხსანივით, დიდძალი საინტერესო. პირდაპირ შესანიშნავი შასალა მოგვცა ჩვენი ისტორიისათვის, ხელოვნების ისტორიაზე რომ აღარა ითქვას რა. ჩვენ ექსპედიციებზე არავინ იცოდა, თუ ამდენი რამ იყო იქ. პირდაპირ გავამდიდრეს ირწმანმა და ოქმაყ ახალ-ახალი ძეგლებით. შერთო კარგი მუზეუმის სამყოფი შასალა დაგროვდა.

(1003 წ.), მერე სვეტიცხოველი მცხეთაში (1029 წ.) და ბოლოს — ალავერდი კახეთში (როგორც პ. ინგოროყვა ამტკიცებს, იქნებოდა წარწერის წაყითხვის მიხედვით, XI საუკუნის შუა ხანებისა).

კოლა-ოლთისში რომ ვმოგზაურობდი, სოლომონისის მღვიმე-ეკლესიაზე ძალიან ძნელი ასასვლელი იყო და შესხებმა ამიყვანეს ხელით ეს ფეხმტკიცება კაცი; ისინი ხომ თხებივით დაოცდნენ იმ თავის კლდე-ღრეებში ფოტოგრაფად მაშინ დიდძალი მიმუნაშვილი მყავდა. თავისი ხელობა კარგად იცოდა, მაგრამ იმ კლდეზე ამოოცება ვერ ამოხედა და დამარბა პვემოთ. მერე ვთხოვე შესხებს, ისიც ამიყვანეთ-მეთქო, მას შერაცხვა და მიიწი თვითონ ამოვიდა. ჩემ შემდეგ (აღბათ ჩემი გასაქარი რომ გაიგო), ოლთისის მარხის უფროსს საფეხურები ამოუტრევიანებია იმ კლდეში და თავის დროზე სწორედ მყოდგომელ ადგილას მოწყობილი გელესია ბევრ უყვალსათვის მისაწვდომი გამხდარა. ბარლინსა და უბრალოს დაუწყია იქ სიარული და ბევრი რამე გაუფუჭებიათ კლდეც, ასე რომ გზის გაადვილება ზოგჯერ ვნებს ძეგლს!

შესანიშნავი წყაროა, კვიციანი კაცის დამწერილი, სუმხატ დავითის ძის ქრონიკაც. ნამდვილად თვითონდა ბაგრატიონია, ისე ვნერვიულად იცავს და კარგად გამოჰყავს იმ ბაგრატიონები. თან სახელი და მამის სახელიც ტიპური „ბაგრატიონული“ აქვს. ასე რომ საეჭვო არაა იმ საგვარეულოსადმი მისი კეთვნილება, ოღონდ კი არსად არა ზანს, თუ რომლის შეილია. აღბათ უკანონო შეილი იყო ვისმე და იმიტომ! ის კი ეტყობა, რომ ბაგრატი მესამის დროს უტყოფია. დ. კარიბაშვილმა სცადა მამამისის ვინაობის გარკვევა და ასეთად ერთერთი დავითი მიიჩნია, მაგრამ ასე არ შეიძლება კვლევა, ზღაპარი გამოეა. უკანონო შეილი რომ არ ყოფილიყო სუმხატი, ბაგრატი მესამეს ვერ გააღატოებოდა. ეს უკანასკნელი ხომ ისეთი მედგარი გამაერთიანებელი იყო სამეფოსი, რომ ვეღარი დახოცა, ვინც გაქცევით არ უშველა თავს. ორი უკანასკნელი კლარჯელი იმიტომ წავიდა კონსტანტინეპოლში, (იქ შეადარეს თავი). ბაგრატი არავრის წინაშე არ იხვედა, ოღონდ კი გაერთიანებაში ხელისშემშველელი აღარავინ ჰყოლიდა და იმითამაც ვეღლითა თავისი სახლიკაცები, და სეპარატული მფლობელობის პრეტენდენტები თავიდან ჩამოიშორა. ჩინს, ფეოდალური სამთავროების სხვაწიარად გაერთიანება არც შეიძლებოდა; ბაგრატი მშვენივრად გაიგო და

XI საუკუნის მთავარი ტაძრები რომ ვეაქვს. მათი აშენების თანამიმდევრობა ასეთია: ჯერ ოშკი, მერე ბაგრატის ტაძარი ქუთაისში

ვათავალისწინა ესა და გამოიჩინა საქმით ძალ-  
ლონეცა და შეუპოვრობაც, დუნდობლობა რომ  
აღარა ვთქვით, რათა თავისი დიდი პოლიტი-  
კური მიზნისათვის მიეღწია. უფროდ გამოჩე-  
ნილი ისტორიული პიროვნებაა, მიუხედავად  
თავისი სისასტიკისა.

თამარ ლომოურს კარგი ნაშრომი აქვს და-  
ბეჭდილი სუჰბათ დავითის ძის შესახებ, გრი-  
გოლ ხანძთელის ცხოვრებასთან პარალელურად  
რომ განიხილავს.



სუჰბატის ქრონიკის შესწავლამ გამოავლინა  
ორი ახალი ბავრატონი, რომელთაც მანამდე  
არ ვიცნობდით. მათი არსებობა ივ. ჯავახი-  
შვილსაც კი გამოჩნენია. ამიტომაც, რომ მინდა  
იგი ხელახლა გამოვეცე, ქართულადაც და რუ-  
სულადაც.

ამოტის მკვლევლებად რომ „თროზ-მორიზის  
ძენი“ ჰყვის დასახელებული სუჰბატს, მათი  
ვინაობა გუგუბებარია. საყურადღებოა, რომ  
ერთ-ერთ ვარიანტი (ბარათოვსიეულ თუ შინ-  
გრელსკისეულ ხელნაწერში) ამის მაგიერ „მეგ-  
რელები“ სწერია. ეს არცაა გასაკვირი, რადგან  
იმ ადგილებში მაშინ ჰან-შეგრელები ცხოვ-  
რობდნენ და ეს შეეშები და აქარლები, მესხე-  
რი მოღვმის ტომები, მერე არიან შექრილი იქ-  
აბლაც კია იქ, ბათოზის მახლობლად, ზემოთ,  
ზღვის პირისაკენ, სოფელი „ვერი“. ამოტის  
მკვლევლები, ვინც არ უნდა ყოფილიყვნენ, რა-  
საკვირვებელია, არაბთაგან იყვნენ მოსყიდულნი  
და მიგზავნილნი.

ნათქვამი რომაა, ამოტი შეეშებმა ესხარუ-  
ლითა და სიყვარულით შეიწყნარესო“, ეს  
მისი გამო მოხდებოდა, რომ იმხანად იმათ  
კაცი პატრონი აღარა ჰყავდათ და ვაუხარდათ,  
რომ ვაუხანდათ ამოტის სახით. ესეც არ იყოს,  
ეტყობა, ძველი ურთიერთობაც ვაიოცხლდა:  
ამოტის წინაპრები იმ კუთხიდან იქნებოდნენ  
ქართლში წამოსული და ალბათ ამბოტმაც  
შეაშურა ამოტმა იქაურობას!



პროფესორი ნ. აღონცი რომ ამბობს თავის  
ნაშრომში („Thornike le moine“), თორნიცე  
ერისთავი სომეხი იყო, რა თქმა უნდა, აქარ-  
ბებს. ფაქტურად ხომ ისინი ქართველები  
იყვნენ და ემათ ვითარებაში ენობრივად გა-  
სომხდნენ. რაკი ასე იყო, როგორც კი ისევე  
იმპლაგია იმ მხარეში ქართულმა ელემენტმა,  
ისინიც კვლავ გაქართველდნენ და მერე რა

თავდადამკვლარი პატრიოტები გახდნენ? მარ-  
ტო გრიგოლ ბაქურიანი რად, ლიტსკი მულგა-  
რეაში რომ ქართული მონასტერები დააპარსა,  
პეტრიწონს?! მონასტრის წესდებს სომხურად  
აწერს ხელს, რადგან, ეტყობა, ქართული წერა  
არ იცის, მაგრამ რა ფანატროსია საქართვე-  
ლოსი? თორნიცე ზომ შესანიშნავი ვეჟაკი და  
პიროვნება იყო და საშვილიშვილო საქმე გუ-  
ფთა საქართველოს. საფიქრებელია, რომ იქა-  
ურებს მუდამ, თაობიდან თაობამდე, ასსოვდათ,  
რომ გასომხებული ქართველები იყვნენ და  
ამბოტმაც შეეკედლნენ ისე ერთბაშად და ხა-  
ლისიანად ისევე ქართველებს, როცა საამისო  
დრო დადგა და პოლიტიკურადაც უფრო  
ხელსაყრელი გახდა დიოფიზიტობა. ვინც აქვით  
ღარაა, ქალკედონიტი შეიქნა, ვინც იქით —  
პრონოფიზიტ... იმ კუთხეში ხომ, საერთოდ,  
ძველი დროიდანვე იყო ნარევი ქართულ-სომ-  
ხური მოსახლეობა. აგრ კიდევ ბერძნები  
უძახიან მათ „არმენო-ხალიპებს!“ შესაძლოა,  
ეს ისე უნდა გავიგოთ, რომ ის ხალიპები პო-  
ლიტიკურად ეკუთვნოდნენ მხოლოდ არმენიას,  
თუმცა, რა თქმა უნდა, ნამდვილი სომეხიც  
შრავლად ერთადერთ მათში მუდამ, სხეანაირად  
არც იქნებოდა.

ბიზანტიის იმპერატორი ბასილი ზოგიერთ  
წესს მაინც იცავდა და არ არღვევდა ხოლმე, —  
საერთოდ ხომ შესანიშნავი ხელმწიფე იყო!  
პირველადაც მთლად კი არ დაუფლენია ტაოს.  
ტაო ხომ ორი იყო: იმიერ-ტაო, რომელიც  
ბიზანტიელებმა დაიპყრეს (სწერია: „აობრდა  
იმიერტაო“) და იმიერტაო, რომელიც დავით  
ქურაბალატის მამის საყუთრებას შეადგენდა.  
მერცე, ბასილმა რომ თითქოს მთლად დააქცია  
და დაანგრია ყველაფერი, მხოლოდ იმიერტაო  
წაიღო, ასე სწერია ზავის პირობებში. ასე რომ,  
ბასილი არ ყოფილა ებიერი კაცი, პროფესორ  
აღონცის რომ ჰგონია. ეს ვუთხარი პარიზში  
ყოფნისას ზურაბ ავალიშვილს (რომელიც, რო-  
გორც ცნობილია, იქ ყოფნისას ჩაუჯდა სა-  
ქართველოს შეასაუფრენად ისტორიის და  
როგორც ნიჟერმა და ერთობ განათლებულმა  
კაცმა, ადვილად გაიკვლია გზა იმ საკითხებში,  
ვერობის ბევრი საარქივო მასალა გამოიყენა  
და რამდენიმე ფრიად საყურადღებო და მნიშ-  
ნელოვანი ნაშრომიც დაბეჭდა იქ — ბევრი  
უკვე ქართულადაც, თუმცა ემიგრაციაში რომ  
მიდიოდა, მაშინ სულ არ ებერებოდა, რუსუ-  
ლად წერდა და „ლაპარაკობდა, მაგრამ დაფი-  
ნებით აღიღვინა დედაენა. თქმისი ნაშრომე-  
ბით ურადღება მიიქცია). ეს დაინტერესდა  
და მალე გამოაქვეყნა ფურც. „ბიზანტიონში“  
სათანადო წერის, რომელიც სპეციალისტებმა  
კარგად მიიღეს.

ბიოგრაფიული



ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიული ლექსები\*

გრიგოლ ყარაგოზიშვილის მეოთხე შეილი გიორგი თბილისის ვიწარბაში იყო ნაწევლი. მსახურობდა სასამართლოს დარგში. სასამართლოს რეფორმის შემდეგ გორში მიიღო მომრეგებელი მოსამართლის ადგილი. ცოლად ჰყავდა მამაჩემის მამიდაშვილი ნატალია ელიაშვილი (სოფ. ქვემო გოში კასპის რაიონი), რომელმაც თბილისში დამთავრა ქალთა ინსტიტუტი. ცოლქმარნი ხშირად სტუმრები იყვნენ დეშეთში და დიდი მუგობრები შეიქმნენ ილიას და მისი მუშელისა. გიორგი ყარაგოზიშვილი შემდეგში გორიდან თელავში გადაიყვანეს ისე მომრეგებელ მოსამართლედ. იქ დიდხანს იმსახურა, ძალიან დაახლოებული იყო თელავის საზოგადოებასთან, კერძოდ — დეით ქაქავაძის ოჯახთან. მისი ცოლი — ნატალია დიმიტრის ასული საქველმოქმედო მოღვაწეობას ეწეოდა. ცოლქმარნი თელავში დაიხოცნენ. დასაფლავებული არიან შუამთის მონასტერში. ცოლი გარდაიცვალა 1879 წ., ქმარი 1889 წ.

რაც შეეხება გრიგოლის უმცროს შეილს — ერეთეოსს, ის მე-2 კადეტთა კორპუსის კერძის დამთავრების შემდეგ მსახურობდა რუსეთში სამხედრო სამსახურში და გვიან ჩამოვიდა საქართველოში, სამოცდაათიან წლებში. აქ შეირთო ოსებ თსიტაშვილის ქალი დარია (სოფ. ნაოზა) და დასახლდა დეშეთში თავიანთი საგვარეულო კოშკის ძირას აშენებულ სახლში. მსახურობდა აქაც — ჯერ სამხედრო სამსახურში და შემდეგ ქალაქის თავად. გარდაიცვალა 87 წლისა 1916 წელს; დასაფლავებულია ყარაგოზიშვილების საგვარეულო სასაფლაოზე.

ილიასანდრე მოზდოკელი არ იყო ჩამომავლობით დეშელი. მისი წინაპარი — თამაზ ხმაძე, ახალციხელი აზნაური და შემამულე, ისაქ ფაშისგან დღენილი სარწმუნოების გამო, ევლარ გამერდა ახალციხეში, გადასახლდა სერაქში, სადაც ლეკები დაეცნენ და მოკლეს. მისი 12 წლის ვაჟი დეით აპირებდა ახალქალაქში წახლას, მაგრამ ჩაუვარდა ლეკებს, რომლებმაც წაიყვანეს დაღესტანში და იქიდან ვაჟიღეს უბრძოლვით. ზუთი წელი გაატარა დავითმა მამაკანანებში და, როდესაც წამოიზარდა, გაიპარა ბულგარეთში, სადაც დაეყო ზუთი წელი. იქ და საბერძნეთში შეისწავლა ბულგარული და ბერძნული ენები. ბულგარეთიდან წამოვიდა ჯერ

ქ. კიევიში, აქედან — მოსკოვში. სამი წლის შემდეგ დააპირა საქართველოში დაბრუნება, მივიდა ასტრახანში, სადაც შეხვდა ქართველებს, რომლებმაც არ ურჩიეს სამშობლოში დაბრუნება და წამოვიდა ქ. უზლარში. აქ შეირთო ქართველი ქალი და რამდენიმე წლის შემდეგ გადასახლდა მოზდოკში, რომელიც ახლად დაარსდა (1763) იქ იცხოვრა 25-27 წელი. როცა ციხე მოზდოკი გადაეკეტა ქალაქად, მოსახლეობას შეაწერეს გადასახადები და ყმაწვილთაგან უპირებდნენ ყაზახთა ჯარებში ჩაწერას. დავითი ერთადერთი შეილით — პავლეთი და ორი სპიდი (ოსები და გიორგი) აიყარა მოზდოკიდან და ჩამოვიდა თბილისში 1789 წ. რამდენიმე თვის შემდეგ გაემგზავრა დეშეთს და იქ დასახლდა ცოლ-შვილით. დავითი განსაკუთრებულ საპატიო პირობებში უნდა ყოფილიყო დეშეთში „თქვენს მეტს ამითთან არა კაცს საქმე არა იქვს, და თუ რამ საქმე იყოს, ყოველივე თქვენის მართლდამართობით უნდა გავრიდეს“. წერაილი დაწერილია 1789 წ. 26 მარტს და ინახება ჩემთან. აზის ვახტანგ ბატონიშვილის ბეჭედი.

დავით ხმაძაძემ დიდხანს აღარ იცოცხლათობის ნახევარი საუკუნის მოგზაურობამ მოქანდა იგი; აღამამდა—ხანის შემოსევამ და საქართველოს აკლემამ მას უკანასკნელი დღეები მოუწამლა. გარდაიცვალა სწორედ ამ უბედურების შემდეგ, 1795 წელს დასაფლავებულია დეშეთის ძველ ეკლესიაში ვალაქანში მის საფლავს აქვს დიდი ლოდი<sup>1</sup>.

მისი შეილი პავლე, რომელმაც კარგად იცოდა როგორც ქართული, ისე რუსული ენა, გამოვიდა საუკეთესო გადაწერილი და შევინობარი. მისი ნაწერები ინახება საქართველოს მუზეუმში (აღწერილია პროფესორ ექვთიმე თაყაიშვილის მიერ). პავლემ, როგორც ჩანს მისი მოგონებებიდან, მოიყვანა ცოლი ჭ. გორიდან — მგალობლიშვილის ქალი ელისაბედი, რომელმაც დიდხანს იცოცხლა. გარდაიცვალა 1880 წ. და მომწერე იყო მრავალი საინტერესო ამბისა საქართველოში. რადგან მაშინ ერთადერთი გზა მიდიოდა რუსეთში ისიც ზედ დეშეთზე ზეენ

<sup>1</sup> როგორც დღემდე ასოვთ დეშეთში, ზემს წინაპრებს — დავითს, პირველს მოეტანია სამოვარი, რომელიც ძალიან გააკვირვებიათ. „დუშელბს“. ეს რა მოეტანია მოზდოკელებს? დგას, თავისთავად დღეს.

სახლების წინ, მას ნახული ჰქონდა დედოფლებისა და ბატონიშვილების იძულებითი გადასახლება საქართველოდან. მთ შორის იყო კათალიკოსი ანტონი მე-2, რომელიც ხმალიანთ მფარველი იყო. მრავალჯერ შესწერებია ლეკების შეშინებისა და დუშეთის აკლემას<sup>1</sup>. ელსაზბედი ძალიან გამკრიხი ადამიანი უოფილა. ვაფიშვილებს სწავლა მისცა სემინარიაში, ორივე ქალი კარგად ვაითხოვა. მოიგონებდნენ ოჯახში, რომ მას თურმე დუშეთი არ მოსწონდა, ეტყობა, გორთან შედარებით, და ხშირად იტყოდა: „იმას რა უთხრა, ენც აქ მოვიდა და დუშეთში ბარი დაქარაო“.

ალექსანდრე მოზდოკელი დაიბადა დუშეთში 1809 წელს. დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია პლატონ იოსელიანთან ერთად. იქვე სწავლობდა მისი მეორე ძმა — ასაკი, რომელიც ქუთაისში იყო მასწავლებლად სასულიერო სასწავლებელში. იქაურმა პერმა დასცადა და აძრე გარდაიცვალა, სულ 25 წლისა, 1842 წელს. უცოლო ალექსანდრე მოზდოკელი სიყმაწვილში ირიცხებოდა დუშეთის უბნის მილიციონერად, მონაწილეობას იღებდა 1853 — 1856 წლ. ომებში შამილთან და დაჯილდოებული იყო ბრინჯაოს მედლით. შემდეგ ცხოვრობდა დუშეთში, აქედან დააპატიოდა ვლადიკავკასში, მოსკოვში და ნიჟინ-ნიოვგოროდში სავაქრო საქმეების გამო. 1842 წ. მან შეიარაღო ნიკოლოზ ზედგინიძის ქალი მარიამი (მთა). ეს ზედგინიძიანი ცხოვრობდნენ სოფ. მუხრანში და იყვნენ პირდაპირი ჩამომავალი ამ იოთამ ზედგინიძისა, რომელმაც 1465 წ. სიცოცხლე შესწირა მეფე გიორგი მეგრეს. მის ნაცვლად მორღული იყო შეიჭმულობა მიერ. ამ გვარიდან წარმოდგნენ ამილახვრები, გურამიშვილები და ტრუსიშვილები. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ზედგინიძიანთ გვარი დიდ პატივში იყო ქართველი მეფეების მხრივ, რომლებიც ხშირად აჯილდოებდნენ და ასაჩუქრებდნენ ზედგინიძიანთ. ეს გრძელდებოდა მანამდე, ვიდრე საქართველო არ შეუერთდა მანამდე. ვიდრე საქართველო ბატონიშვილებს, რომელსაც არ ასვენებდა ზედგინიძიანთ კარგი სახელი, გაანადგურა მთლად ეს გვარი: ზოგი მოწამლა, ზოგი დაახოცინა, მოაპარგინა მამულების საბუთებში, სიყვლები და სხვ. ასე ჩაივლო მან ხელში ზედგინიძეების საცხოვრებელი. ივანე მუხრანსკის ამგვარ საქმეებში ხელს უწყობდა მისი ძმა, სენატორი გიორგი. ივანე მუხრან-ბატონის მოკმეობა, როგორც უკრბი, მგლეჯავი ფეოდალისა, აწერილი მაქვს ჩემს მოგონებაში (ინახება საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში).

იშვიათობას წარმოადგენდა კოლექცია ხელნაწერებისა, რომლებიც დარჩა ალექსანდრე მოზ-

დოკელს თავისი მამის პავლესაგან. სემწუხროდ, იმ ხანებში ისე არ აღსაქმდნენ ამგვარ ლიტერატურას, ილიამ რომელიც კარგ ვაწყობილებაში იყო პაპინებისა და პაპინების დსოჯახებთან, წამოიღო რამდენიმე ხელნაწერი წიგნი, რომლებიც შემდეგ გადასცა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, საიდანაც ეს წიგნები მოხვდა საქართველოს მუზეუმში. ერთ-ერთ წიგნს, პავლე მოზდოკელის ხელით გადაწერილს, დართული აქვს მისივე ხელით დაწერილი მოგონებები ჩვენი გვარის შესახებ. აქ აღწერილია, მავალითად, თამაზ ხმალიძის შვილის დავითის ტანჯული ცხოვრება, დავითისა, რომელმაც თითქმის ნახევარი საუკუნე იმოგზაურა ერთი ქვეყნიდან მეორეში. ბოლოს დუშეთში დასახლდა და აქ გაუთხოვარეს სამარე 1795 წელს. ორი წიგნი პავლე მოზდოკელის ნაწონ-ერთი ასტრონომიული, გადაწერილი ცნობილი გამაწერის ივანე იალბუხიძის ხელით და მეორე „ალექსანდრიანი“; დაწერილი ლურჯ ქაღალდზე, გამოგვართვა პროფ. ალექსანდრე ხახანაშვილმა, ჩვენი სიძის ნათესაემ. რა იქნა ეს წიგნები, ეს დარჩა. მისი სიყვდილის შემდეგ, ვინ წაიღო, არ ვიცი.

დუშეთის ბოლოს, ს. მილახვიანი კარში. დაახლოებით ერთ კილომეტრზე დუშეთის ფოსტის სადგურის მახლობლად, თვითან თეთრ ციხე-სასახლუმში (Белый замок) ცხოვრობდნენ ჭილაშვილები. ეს სასახლე აშენებულია 1801 წ. როგორც ჩანს ალყაყდის კარის თავზე კედელში ჩასმულ მარშარტლოს ქვაზე წარწერიდან: აუოლისა საქართველოსა მეფისა ირაკლისა მეორისა ძისა ვახტანგისა აღმასხანისა გულთამან მონამან ჭილაქმანს ბაბანასსა შვილთამან მილახვიანს სამათ თემათა მოურავმან და რუსეთის გზის მტველმან გლახამან ავაშენე ციხე და ვილაყანი ესე და მის შინა სახლი ღვთისა და სახლიცა ჩემნი მივირგვილენ, რათა მას შინა იფიდებოდეს ღმერთი და მის მიერ სიყვობდნეს შვილი და სახლდურნი ჩემნი. სრულ იქნა მისის კბ ჩუა“ (1801 წ.).

ჭილაშვილები დუშელები არ იყვნენ. ვილაც ჭილაქი ვაღმოსულა იმერეთიდან, სადაც ისინი თავადებად ითვლებოდნენ. ბაბანა ჭილაძის შვილი ვახაბ (გამარეილი) უყოფლა ვახტანგ ბატონიშვილს — აღმასხანის მილახვიარ, დიდად გავლენიანი პიროვნება მეფეების — ერეკლე მეორის და გიორგი XII-ის დროს. მას აბრლებდნენ, სხვათაშორის, საქართველოს სამეფოს მოსპობას. ბატონიშვილის ვახტანგის იძულებით გადასახლების შემდეგ, 1803 წ. რუსეთში, გლახა ჭილაშვილიც თავისი ცოლშვილით<sup>2</sup> გაქცეა მას, მოაწყო სასწავლებლებში შვილები და დაბრუნდა<sup>1</sup>. მას ჰყავდა ოთხი ვაჟიშვილი: ბაბანა (ბორისი), იაკობი, კონსტანტინე და შიო (სერგეი). გლახა ჭილაშვილმა საუკეთესოდ დაზარ-

<sup>1</sup> უკანასკნელად ლეკები დასცილდნენ დუშეთს 1848 წ.

<sup>2</sup> ჭილაშვილი გარდაიცვალა დუშეთში 1815 წ.

და რუსეთში. ცხადია, მას ეხმარებოდა ქ. პეტერსბურგში ბატონიშვილი ვახტანგი. ცნობილია, რომ რუსეთში გადასახლებული ბატონიშვილები კარგად ცხოვრობდნენ. მიღებული იყვნენ რუსეთის იმპერატორების სასახლეში, ღებულბდნენ დიდ პენსიებს და სხვა.

გლახა კილიძის გვარი გადაკეთდა „ჩილაევად“. სიკვდილის შემდეგ მისი შვილები დაბარუნდნენ საქართველოში, გარდა კონსტანტინესი, რომელიც რუსეთში გარდაიცვალა. სამ ქმას ჰყავდა ერთი და, რომელიც არ წაუყვანიათ გლახასთან, დარჩა საქართველოში და აქ გათხოვდა ამილხვარზე, სოფ. ფხვენისის (ცხინვალთან ახლა) შემაშულზე. მას ჰყავდა სამი ქალი: ანასტასია — (ტასია), გათხოვილი სამხედრო პირზე — ანდრია ნუდაევსკაზე, მეორე ღებროვსკიზე, ხოლო მესამე ნინა, რომელსაც ქართულად ვხურა თავი — ესტატე ყოფიანზე, სოფ. წრომის შემაშულზე. ზენს ოჯახში ახსოვდათ გლახა კილაშვილის ქალის სიტყვები: „სანამ ჩემი ქალები ვასათხოვრები არიან, იმათი ნამუსი ჯობეში მიძეეს, — როცა გათხოვდებიან, მერე თავიანთ ქმრებმა იციან“.

ილიას დროს გლახას არც ერთი ვაჟიშვილი აღარ იყო დღეშეთში, ბაბანა (ბორის) გენერალ-მაიორი, რუსეთში ნასწავლი, მეომარი, შხიარული აღამიანი, საზოგადოებაში მიღებული, გარდაიცვალა 1850 წ. სულ 49 წლისა. მისი ძმა იაგორი — იურისტი 1832 წ. შეთქმულების შემდეგ გადაჯანჯილი იყო ლენჭორანში, სადაც გარდაიცვალა 1838 წელს. მესამე ძმა შოი, სამხედრო პირი, ერთ დროს შემხანს გენერალ-გუბერნატორი, გარდაიცვალა 1864 წ. ავგუსტოში. და იქვეა დასაფლავებული. ჩამომავლობა არ ღარხა.

ღმერთში მაშინ ცხოვრობდა ბაბანა კილაშვილის<sup>1</sup> ქვრივი ნინა იაგორის ასული, ტომით სომეხი, ქეთხუროვის ქალი, განათლებული (სწავლა მხოლოდ ქალთა ინსტიტუტში, თბილისში). ქვრივს მამულიდან კარგი შემოსავალი ჰქონდა, იღებდა აგრეთვე პენსიას და, ამას გარდა, ამზობდნენ, ნინა იაგორიანს, სხვათა შორის, ულამაზო ქალს, დიდი მზითველი მოკეყოლი. ქეთხუროვიანს განთქმული იყვნენ თბილისში სიმღიდრით; სავაჭროდ დაიარსებდნენ ვეროპაში.

ნინა იაგორიანს ქალები საშოცდაათიან წლებში გათხოვდნენ, უფროსი — ეკატერინე მიხეილ ბეჟანის-ძე ბუჭუიაშვილზე, სამხედრო პირზე, რომელიც 1877 წ. ოსმალეთის ომში მამაკურად იბრძოდა და ყარსის აღების დროს მოკლეს. მეორე ქალი, ელსაბედი, თხოვა გაქართველებულმა რუსმა, იოსებ მარტიანის-ძე სერაფიმოვიჩმა. მისი დედა ჯორჯაძის ქალი იყო.

ბაბანას უფროსი ვაჟი გაბრიელი უკვე ოფიც-

რის ჩინს ატარებდა და თბილისში მსახურობდა. შემდეგში ის იყო გენერალ-ლეიტენანტი ივანე გივის-ძე ამილხვარისა. გარდაიცვალა 1914 წ. დასაფლავებულია ღმერთში.

ბაბანა კილაშვილის ქვრივი ზამთრობით თბილისში ცხოვრობდა, ეკუთვნოდა მალაქ საზოგადოებას, დაიარსებდა თავის ქალებთან ერთად მეფის ნაცლის სასახლეში ბაღებზე და წვეულებებზე.

სხვა კილაშვილითაგან ილიას დროს ცნობილი იყო მიხეილ იაგორის-ძე კილაშვილი, ერთდერთი ვაჟიშვილი იაგორ კილაშვილია. ღებამისი პიოპოვა იაგორ კილაშვილს შეურთავს რუსეთში, მიხეილს (მას ეძახდნენ „მიშენკა“) რუსეთში უსწავლია საუცუესო სსწავლებელში („Училище правоведа“). იგი თბილისში მსახურობდა დიდხანს ტაშოვის გამგელ-ქონდა ჩინი „Тайным советник“-ისა, ცოლად ჰყავდა მარიამ მიხეილის ასული შერბინის ქალი, რომელიც მეფისნაცვლის კანცლარის გამგელ იყო თბილისში, შემდეგში — სენატორი. მიხეილ კილაშვილი ცუდად დაბარკობდა ქართულად. 1850 წ. 2 იანვარს მ. ვორანციოვის დროს პირველად ითამაშეს გ. ვრის-თავის პიესა „გაფრია“. მიხეილ კილაშვილი ასრულებდა გაბრიელის როლს და უძნელდებოდა ქართული ლამაზაჟი. როგორც ჩანს ქეთხევიან ვიარების ასულ ორბელიანის მოგონებებიდან, რომელიც საფუძვლად დაედო პეტრე უმიკაშვილის ერთმოქმედებიან პიესას — „სამზადისის“ (დადგეს თბილისში 1897 წ.). მარიამ კილაშვილი ღამაში ჭალი ყოფილა (კოკობოდა). მე შინაბავს იგი საკმაოდ ხშირად; მაინც შერანგნადა სილამაზის ნიშანი. მის სახეს ნახავთ ამ ჯგუფში, რომელიც გადაღებულია 1859 წ. როცა ილიამ სტუდენტობის დროს დადგა თბილისში ცოცხალი სურათები „მეფე ლიონიან“. მარიამ კილაშვილი ზეს წინა რიგში ელისაბედის გვერდით. „მიშენკა“ კილაშვილის სურათიც არის, ჯგუფში, შესრულებულია ფრანგი მხატვრის დესენას მიერ 1851 წ. მასვე ეკუთვნის ნინა ვრისოვდოვას საუცუესო სურათი, ლევან მელიქიშვილის, ალექსანდრე ბატონიშვილის მეუღლის და შვილის სურათები. ეს უყანასკნელი დაცულია მეტეხის მუზეუმში.

ზემოსხენებულ დიდ ჯგუფში არიან: მიხეილ („მიშენკა“) კილაშვილი, ვახტანგ ორბელიანი, ლევან მელიქიშვილი, ისაკ თუმანიშვილი, დიმიტრი ყოფიანი და დავით ჰაჭავაძე (დგას ისაკ თუმანიშვილი).

მიხეილ და მარიამ კილაშვილები განსაკუთრებით მდიდრულად ცხოვრობდნენ თურმე თბილისში. მათთან დაიარსებდნენ მალაქი წოდების პირნი, უმეტესად რუსები. მათი საძირები განთქმული ყოფილა მთელ ქალაქში. მარიამ მიხეილის ასული სავაჭროდ მივიდოდა ეტლად, მავრამ მალაზიაში არ შევიდოდა, იქნაღამ გამოუტანიდნენ საქონლის ნიმუშებს, აირჩედა და

<sup>1</sup> ბაბანა კილაშვილთან ერთი ღამე გაუტარებია ა: ბუშეინს, ფასანაურთან ახლა.

უბრალოდ სახლში მიტანას და იქ უსწორდებოდა. მიხეილ კილაშვილი გარდაიცვალა უშეილოდ ოთხმოციანი წლებში. დასაფლავებულია წმ. შარინის ეკლესიაში მილახერიანთ კარში. მისი ქვრივის ვადასაბლა პეტერბურგში. იქიდან ერთხელ კიდევ ჩამოვიდა და თავისი წილი სახლისა და მამულისა მიჰყიდა ნათესავეებს. გარდაიცვალა პეტერბურგში.

მიხეილ იაგორის-ძე კილაშვილს ჰყავდა ორი და — უფროსი ნინა და უმცროსი ელენე. ისინი სწავლობდნენ მოსკოვის ქალთა ინსტიტუტში ამ დროს, როცა ჯერ რეინგზებზე არ იყო რუსეთში. ქართული ენა თითქმის არ იცოდნენ. ნინა კილაშვილი გათხოვდა 1845 წ. დიმიტრი ივანეს-ძე ყიფიანზე და იმავე წელს უმცროსი და ელენე გაჰყვა ივანე ივანეს-ძე ნახაროვს, რომელიც შემდეგ ვრეენის გუბერნატორად იყო.

ზაფხულში კილაშვილები იკრიფებოდნენ თავიანთ მამულში — მილახერიანთ კარში, ცნობილ თეთრ სასახლეში. კილაშვილებს და, უმთავრესად, მიშენკას მეუღლეს აბრალვებდნენ ქ. დუშეთის დამორების სამხედრო გზასთან, რომელიც 1859 წლამდე შიგ დუშეთში შედიოდა და გადადიოდა ანანურისკენ. კილაშვილებისთვის ზელსაყრელი არ იყო ახლო ყოფნა სამხედრო გზასთან, რადგანაც იმ დროს დიდი მოტარობა იყო ამ გზაზე და ამიტომ ყველა ზომი იხმარეს, დუშეთისთვის ჩამოეცილებინათ ეს გზა. მოახერხეს კიდევ ახალი ფოსტის სადგური „დუშეთი“ ააშენეს. კილაშვილების სასახლის ახლოს ისინი შეშით და წყლით ამარაგებდნენ ფოსტას. კარტები და „კალიასები“ პირდაპირ კილაშვილების სასახლეში მოდიოდნენ. და, ამგვარად, მათი თავმოყვარობაც დამაყოფილებელი იყო.

ნახაროვის ქალები გათხოვილი იყვნენ ისევე რუსებზე — პირველი მანდრიკაზე და მეორე, მარიაში, ბონდირევეზე. პირველი არ მინახავს, განიგა კი, რომ ძალიან ლამაზი და კვლევითი ელენე ყოფილა. რაც შეეხება მეორე დას, მარია ივანეს ასულს, იმას კარგად ვიცნობდი. მისი შვილები ვერა, ოლა და ბორისი დაახლოებით ჩემი ტოლები იყვნენ. მე ხშირად დავიარებოდი ზაფხულობით „თეთრ სასახლეში“, იმართებოდა „სეიანობა“, საცუკავო სადამოებე, თბილისიდანაც მოდიოდნენ ბონდირევიანთ მეგობრები. მარია ივანეს ასული, ლამაზი სახის ქალი, რატომ უნდა, რუსულად აღზრდილი, ძალიან თავაზიანი ქალი იყო, სტუმართმოყვარე, ღარიბი ხალხის შემბრალელები.

მე მინახავს მათ სახლში აკვარელი შესრულებული პორტრეტები ნახაროვის, მის მეუღლისა და სხვ.

დუშეთში მცხოვრებთ ეკუთვნოდა აგრეთვე ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი, რომელიც ილიამ ცუდად დაასახათა თავის ამოცანებში შეუხებდავად იმისა, რომ ისინი კარგ განწყობილებში იყვნენ ერთმანეთთან. პლატონი დუ-

შეთს დაუახლოვდა პირველი ქორწინებან შემდეგ, როცა მან შეირთო იქაური ქალი სოფ. არნისიდან (ზანდუქელიანთ გვარისა.) მისგან პლატონს ჰყავდა ერთი ვაჟი, რომელიც იხერუ გარდაიცვალა. სახლი და მიწა ცოლისა არ იყო. კარგად იცოდა ყველამ, რომ ზანდუქელებს იმ დროს არ ჰქონდათ არც დუშეთში და არც თბილისში საკუთრება და არც არაიის მთვანს არ უცხოვრია დუშეთში. ეს მამული, როგორც პლატონს ზავარდია ზელში. ილია ჰუბუაძეს დუშეთში ყოფნის დროს გაუგია პლატონის მამულის შესახებ და ამიტომ ერთ-ერთი ამოცანის ვარიანტი იგი ამბობს, რომ „პლატონი ვილაციის ნაოხრალს დაჯდა“. ამ მამულის გამო პლატონს მჭიდროდ დამოკიდებულა ქველად დუშეთთან. არც ერთი თვალსაზრის მიმდებარე დუშეთის ცხოვრებიდან არ ასცდებოდა პლატონს. სადაც უნდა ყოფილიყო, უმაღ გამოჩნდებოდა დუშეთში და მხურვალე მონაწილეობას იღებდა მის ღმინსა და ქვრში.

დავიწყეთ იქიდან, რომ პლატონს აქვს აწერილი რუსულ ენაზე საინტერესო შრომა დუშეთის შესახებ — „Описание города Душети“ ამ წიგნში მოყვანილია სხვადასხვა მოსაზრება იმის შესახებ, თუ საიდან წარმოდგა ქალაქის სახელი „დუშეთი“. აწერილია ქალაქის ძველი უბნები, სასახლის დუშეთი, ვახტანგ ბატონიშვილის დროს შემოღებული კარის წესები და თანამდებობები, ეკლესიები, რომლებსაც დღესასწაულობდნენ ძველად დუშეთში, ბაღები, რომლებიც ირველივ ახვევიან დუშეთსა და სხვ.

პლატონს მოთავსებული აქვს ვახეთში ამბავი დუშეთის ეკლესიისა, რომელიც ააშენა ჩვენმა სიძემ ზურაბ სიმონის-ძე მორთულაძემ, მისმა მეგობარმა; საძირკველი ზაფხარია 1859 წ. იმ დღეს საეპიროები დაკეტილი ყოფილა ქალაქში. ამ ეკლესიის (რომელიც აშენებული იყო აჯადუნიკოს ივანისთვის ვეგშით) დასრულება და კურთხევა მოხდა 1885 წ., როდესაც მორთულაძე და პლატონ იოსელიანი ცოცხალი არ იყვნენ 1860 წ., სამხედრო გზით დუშეთზე გამოიარა ვრად დიმიტრი მილიუტინმა, რომელიც დიდხანს მსახურებდა თბილისში მთავარი შტაბის უფროსად და შემდეგ დიდ თანამდებობაზე გადაიყვანეს რუსეთში. პლატონმა მონაწილეობა მიიღო მილიუტინის დახვედრაში, რაც მოხდა მშვენიერად მოწყობილ და მორთულ პავილიონში, სადგურის ახლოს. აქ შეგროვდნენ დუშეთის აღმინისტრაციის და ქალაქის წარმომადგენლები, პლატონ იოსელიანმა სიტყვა წარმოთქვა. მილიუტინმა დუშეთს „საქართველოს კარები“. უწოდა. სამოცდაათიან წლებში რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე II ეწვია დუშეთს. იქაური თავადაზნაურობა მას დიდი ამბით შეხვდა. ამ წვეტულებისათვის ამორჩეული იყო ვასილ მოზდოკელის სახლი, რომელიც იმ დროს საუკეთესო და დიდ სახლად ითვლებოდა. მისი

აივნიდან ჩანს დუშეთის ახლომახლო მიდამოები — სამხედრო გზა, კილაშვილების „თეთრი სასახლე“, აივლის უნაგირის მსგავსი შიდა, მეორე მხარეს — არავის ხეობა. სახლი ძვირფასად ყოფილა შირთული ნივთებით, ბაიარლებით, ვენეციელებით. საუზმისთვის გამოუწახავთ საუკეთესო სურვილი და ვერცხლელი. პლატონი დასწრებია ამ დახვედრას და სიტყვა წარმოუთქვამს.

პლატონ იოსელიანი იყო ერთი პირველთაგანი, რომელმაც დაამთავრა თბილისში დაარსებული (1817 წ.) სასულიერო სემინარია და პირველი ქართველი, რომელმაც დაამთავრა სასულიერო აკადემია პეტერბურგში. იქიდან დაბრუნებულმა, დაიწყო ენერგიული შემოღობა თბილისში. ქართულ და რუსულ ენებზე მან დაბეჭდა თავისი მრავალი ისტორიული და არქეოლოგიური შრომა.

პლატონი იქნებოდა 55 წლისა, როდესაც მეორედ შეირთო ქალი. ეს მოხდა ილიას დროს, 1865 წ. გამოვიდა ჩვენს ოჯახში, რომ პლატონის მოსწონებია ნიკოლოზ მუხრანა-პატონის ქალი ანა, მაგრამ ამჟღავნებდას — მუხრანა-პატონის სიძედ არ მოუნდომებია მღვდლის შვილი, მიუხედავად მისი სწავლულობისა. ეს ქორწინება მოხდა მხოლოდ ქალის მამის სიკვდილის შემდეგ. საბატარძლო ყოფილა იმ დროს უკვე 26 წლისა, როდესაც პლატონი მოსულა სოფ. მუხრანში დასაინწინებად, მიუმართავს ქალისთვის შემდეგი სიტყვებით: „მე მოხუცი ვარ, შენ კი ჯერ ნორჩი“. რაზედაც ქალს უპასუხია: „მე კი თანახმა ვარ და სხვამ, რაც უნდა, თქვასო“. მით იცოცხებს ერთად თითქმის ათი წელი. დუშეთში კარგად სახელად დამისაბურჯის კარგი მიპყრობით დუშეთის საზოგადოებასთან და ახლომახლო მცხოვრებ გლეხებთან. ცოლ-ქმარი მეტად სწამლობდა სოფლის ხალხს, მოუარეღიანთკარელებს და კიბიანთკარელებს. მაშინ აფთიაქი არ არსებობდა დუშეთში. ასე რომ იოსელიანებს თბილისიდან მოქონდათ წამლები, უფრო-ქი-ნაქინა.

მეორე ცოლისაგან პლატონს შვილი არ მისცემია. მისმა ქვრივმა, უკვე 60 წლისამ, პლატონის სახლი და მამული სრულად შესწირა მცხეთის დედათა მონასტერს, რაც ძალიან არ მოეწონათ მის ნათესავებს.

პლატონს არ უყვარდა რუსული საქმეები, წინააღმდეგი იყო ზედმეტი ხარჯებისა, ყოველდღიურ ცხოვრებაში და ამიტომ ძუნწს ეძახდნენ. ამასთან, პლატონი პირში მოქმედი კაცი იყო, მოუარეღებელი და უწმინური ლაპარაკის მოყვარე.

როდესაც გრიგოლ ორბელიანი მიემგზავრებოდა რუსეთში, გაიარა დუშეთზე, პლატონის სახლში მივიდა, მაგრამ კარი დაკეტული დახვდა. მაშინ მან ექსპრომპტი დაწერა და მიაცრა შესავალ კარებს:

„ვირახუნე, არ გამიღე კარი,  
მწყურდა და არკი მსავი ჩაია“.

გრიგოლ ორბელიანის ეს სიტყვები დიდად იყო თურმე მიკრული კარებზე და ვამძღვრე-გამოვლენი კითხულობდნენ. ეს გავრხილი მკვლევანი დავითის ასულ კობიაშვილისაგან, რომელიც შემდეგ მისხოვდა ვასილ დოდაშვილს, სოლომონ დოდაშვილის ნათესავს. ნინო, მაშინ ყმაწვილი ქალი, დადიოდა თავის სოფელში — კიბიანთკარში იმ ვითი, სადაც პლატონის სახლი იდგა.

პლატონ იოსელიანი სიკვდილის წინა წელს ორჯერ იყო აგრეთვე დუშეთში შემსწრე დიდი ქორწინებისა რომელიც გადახდა თავის ვაჟი-შვილებს — პაულეს და დავითს პლატონის სემინარიის ამხანაგმა ალექსანდრე მოზღვრეულმა. ქორწინება ორ კვირას გაგრძელდა. პლატონი უკვე აღარ იყო თავის ძალაზე, საღამოთი არ დაესწრო, მეორე დღეს, საღამოსისას, მისულიყო და რომ დაენახა სტუმრები მეზობლად მდგომ ორ სახლში, გაეგონა სახანძრას ხმა და სიმღერა, მიუმართავს ალექსანდრე მოზღვრეულსთვის შემდეგი სიტყვებით: „აბა, ალექსანდრე, გააყიერე ქვეყანა, გააძლე ხალხი...“

ილია კვავკავაძე წავიდა დუშეთიდან ათი წლის სამსახურის შემდეგ. ეს იყო 1874 წ. პლატონი დაესწრო გამოსათხოვარ სადილს რომელიც გამართეს ილიას დუშეთებში. მან დიდი სიტყვა წარმოუთქვა და ღირსეულად შეათვსა ილიას მოღვაწეობა დუშეთში.

დუშეთის მარბის მცხოვრებთაგან, ილია ყველაზე მეტად იყო დაახლოებული ყაზბეგებთან, დიმიტრისა და გიორგის ის იცნობდა პეტერბურგიდან. ყაზბეგები მუდამ დაიარსებოდნენ და ესტუმრებოდნენ თავიანთ მამიდა-შვილს — ადამ გრიგოლის-ძე ყარაწოხიშვილს და რამდენიმე ხანს რჩებოდნენ მის ოჯახში. ილია კარგი აზრისა იყო დიმიტრზე, როგორც ნიჭიერ და ჩხედულ ადამიანზე. ერთხელ დუშეთშიც ჩამოიყვანა დიმიტრი სამსახურში, რომელიც მომრიგებელ მისამართის თანამდებობა მიიღო, მაგრამ დიმიტრი დიდხანს არ გასწრდა იქ. ის ყველა მხარეს თავის სამშობლოს, სოფ. ყაზბეგს, არჩევდა. ილიას დუშეთში მოსვლის შემდეგ მალე გარდაიცვალა მისივე ყაზბეგი (1866 წ.). მისი სიკვდილის შემდეგ ძირს დავაო დენდაც განთქმული ოჯახი. მემკვიდრემ (ალექსანდრემ) ვერ წაიყვანა კარგად თავისი საქმე. არ ისწავლა, ხელი მიჰყო მისთვის შეუფერებელ საქმეებს — „ფოდრაფებს“, ვაჭრობას, მეცხვარეობას; იზარალა, ტყუილად გაიფუქა სახელი და დაღუპა პაპისა და მამის მოგებულის სარჩო. ცნობილი არქეოლოგი გრაფინა პ. ევაროვა ყოფილა რამდენჯერაც ყაზბეგში, იცნობდა ალექსანდრეს და მის დედას ელისაბედს. ალექსანდრეს გრაფინა ფანტაზიორად თვლიდა და იძახდა, „ეინ იცის, რითი დაასრულეს ალექსანდრე თავის სიცოცხლესო“ უეაროვას თავის მოგონებებში მოჰყავს ისიც, რომ ალექსანდრე ყაზბეგი თავის ვეარს აკავშირებდა

ჯეაროსნებთან, გერმანელებთან, მაგრამ პ. უჯაროვამ უარყო ეს ვერსია, რადგანაც მის მიერ შეკრებილი ცნობებიდან დასტურდება, რომ ყაზბეგები ზამთრის დროს წინდა ქართულები არიან, სოფ. სტეფანწმინდიდან, და მათი გვარი ყოფილა ჩოფიკაშვილი. გაბრიელ უაზბეგმა მიიღო ეს გვარი, პირველმა, თავისი დამსახურების გამო რუსეთის მთავრობის წინაშე.

მუხრანის დიდბატონს ივანე კონსტანტინეს ძეს ილია ხელეობდა დუშეთში, რადგან ის დაიარებოდა კობიაშვილებთან, რომელთა დედა ივანეს ბიძაშვილი იყო. ივანე მუხრან-ბატონის ცხოვრება და მოქმედება ყველგან ცნობილი იყო, ილიამ ადგილობრივ უტუყარი ცნობები შეკრიფა მის შესახებ. ილია კარგად ახსოვდა მას — სენატორ გიორგი კონსტანტინეს ძეს, რომელიც ხელს უწყობდა ძმას ედ სკამეგებში. ამ რას ამბობს ილია ივანეს:

ტაციობთ დღეს აღამებს,  
გულმურტალი და ფლიდა,  
ყველა ლანძღავს, მაგრამ ყველა  
იმას ფეხებზე ჰკიდია!

ილია კობიაშვილებთან ხშირად დაიარებოდა, მათს სოფელში რამდენიმე ნათლულიც ჰყავდა.

ზანდუკელები დუშეთში არ ცხოვრობდნენ — მათი მამული მდებარეობდა ჟინვალისკენ, სოფ. არანისში, მაღლობზე, საუცხოო ადგილზე. საიდანაც მოჩანდა არაგვის ხეობა და ახლომახლო მდებარე სოფლები: ბულჩაჩური, ახატანი, ქობორტი, ზანდუკელები არაგვის ერისთავის მოურავები იყვნენ თავის დროზე. დიდძალი მამული ჰქონდათ. მაგრამ როგორღაც ჩამორჩენილი იყვნენ სწავლის მხრივ და მამულიდან ცოტა შემოსილია ჰქონდათ. ილიას ჰქონდა ნაყინობობა და მეგობრობა ერთ-ერთ ამ გვარის კაცთან — სანიკა (საამი) ოტიას ძე ზანდუკელთან და შემდეგ მათ თბილისიდანაც სწორდა წერილებს (სამწებაროდ. ეს წერილები დაკარგულია).

ათი წლის მანძილზე ბევრი მოხელე გამოიყვალა დუშეთში, ილიას დროს, სასამართლოში და ადმინისტრაციისში. ილიასთან მდინელ მსახურებდა სოლომონ იოსების ძე ციციშვილი — გორის მხარის მემამულე, სოფ. ზევედურეთიდან, მამა ქიმიის პროფესორის ნინო ციციშვილისა და ექიმ დავით ციციშვილისა. სასამართლოს აღმასრულებელ ილიასთან იყო ერთ დროს მიხეილ გიორგის ძე რატიშვილი, სოფ. ქაოგრისიდან, ყოფილი შტაბს-კაპიტანი, სიძე ანდრია ხერხეულიძისა, რომელიც ნიკოლოზ ბარათაშვილის წრეს ეკუთვნოდა, როგორც ამბობს დიპტირი უფიფანი წერილში თავისი შვილისადმი. ეს წერილი დიდხანს დაკარგული იყო, რადგან და ამჟამად დატულია საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში.

ამ თანამდებობაზე მუშაობდა აგრეთვე დუშეთში ილიას ამხანაგი უნივერსიტეტიდან მიხეილ ჩიკვაძე.

რამდენიმე წლის განმავლობაში უმსახურია ილიას დროს სამხედრო პირს, — დიმიტრე იტყობა, სომეხს, გადამეტებით მხიარულყოფილ ოსტრეჯ ამხანაგებს მასზე გამოთქვამთ ლექსი. ყველა ებღეტი თავდებოდა სიტყვებით: „თომავეი დიდი მამაძალია“. ეს გადმოუტოხ ჩემთვის ნინა კობიაშვილი — დოდაშვილისა.

თომავეი გადაღებულა ილიასთან ორჯერ (ჯგუფში).

უფრო დიდი კვალი დატოვეს დუშეთის ცხოვრებაში და მოგონებებში პირველი მხარის უფროსმა ივანე იაგორის ძე ზუბალაშვილმა და პირველმა ექიმმა ამ მხარაში ნიკოლოზ ისაის-ძე ჩიგიაშმა, რომლებიც დანიშნულები იყვნენ დუშეთში 1868 წ., როდესაც იქ დაარსდა მხარა.

ივანე ზუბალაშვილი, ჩამოშავლობით ქართველი ფრანგი, თავის დროისთვის განათლებული კაცი იყო, შემქმნელიც, მას ეკუთვნოდა თბილისში რამდენიმე დიდი სახლი. ფული შეიძინა ოსმალეთის ომის დროს, 1897 — 1878 წ., როდესაც რაღაც სამხედრო „ფორდათები“ აიღო. დუშეთში მან გააშენა მშენებლის ბაღი მოედანზე, სადაც საძირკველი ჩაეყარა ეკლესიას 1859 წ. დასრულდა 1865წ. და აქვრთხეს საქართველოს ექსპარტო ვესევის დროს. ეს ამბავი მე სიმშარავით მახსოვს. ეკლესია წმ. ნიკოლოზის სახელზე იყო აშენებული აჯადოციოს ივანოვის გეგმით და, მართლაც, თავის დროზე აშენებულა დუშეთს; ამის აშენებისათვის მოსახლეობამ შეკრიბა თანხები. ზუბალაშვილი ხელგამოღლად ცხოვრობდა, ჰყავდა მზარეული (რაც იმ დროს იშვიათი იყო პატარა ქალაქებში). მართლაცა წვეულებებს, ქალადის თამაშს... მისი მუდღე ეფემია აღექვანდრეს ასული — იყო თაირის ქალი. სწავლა მიღებულ ჰქონდა თბილისის ქალთა ინსტიტუტში. ისიც მართლაც ქალებისათვის წვეულებებს, სადაც იმართებოდა ლიტონს თამაში. ეს გართობა ახალი შემოღებული იყო იმ დროს, შემდეგ კი ძალიან ვახშირდა, როგორც ვასპარობი.

ზ. ზუბალაშვილს ეფემიასგან ორი ქალი ჰყავდა. უფროსი ქალი ელისაბედი, ცნობილი თბილისის საზოგადოებაში, როგორც „ლიზეტა“, პირველად გათხოვილი იყო ილიას მეუღლის დისწულზე — სიმონ დიმიტრის ძე სტაროსელსკიზე, მაგრამ მალე გამოირა და მეორედ გაყვა ვენერაღ მთიარის ვასილ მიხეილის ძე თამაშევეს, რომელიც თბილისის სახანო თეატრის დირექტორად იყო. ცოლ-ქმარნი ცნობილი იყვნენ თბილისში. ორვეს დიდი ქონება ჰქონდა. მეორე ქალი ნინა გათხოვილია ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე ყაილმაშვილზე, პროფესორის თანამშემწეზე. მისი მამა ნიკოლოზ ლაზარეს-ძე, ქართველი აზნაური, ტომით სომეხი, დიდხანს იყო ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარედ. მეორე ძმა ივანე ლაზარეს-ძე ცენზორის თანამდებობას ასრულებდა თბილისში.

ივანე ზუბალაშვილს ჰყავდა ერთი გეგი — გო-

გა ხოჯიმიანსოვი, რომელიც მოჰყვა მის ცოლს ეფემიას და რომელიც მან გაზარდა. ღუშეთიდან გადმოსახლდნენ ზუბალაშვილები და გური დი-დი გახდა, იმან ვილაცას გამართვა ფული სესხა-ბად, რამეც თამასუქი მისცა. ხოჯიმიანსოვს თავის დროზე ფული არ დაებრუნებინა და კრე-დიტორს თბილისის სასამართლოში წარედგინა თამასუქი და უჩიოდა ხოჯიმიანსოვს. როცა ეს ამბავი შეუტყვია ივანე ზუბალაშვილს, წასულა სასამართლოში, მოუთხოვია თავის გერის საქმე, ამოუხვევია იქიდან თამასუქი, დაუხვევია და გადა-უყვალავს. საქმე ისევ დაბრუნებია კანცელი-რიაში. როცა საქმე დაუნიშნავეთ განსახილვე-ლად, თამასუქი აღარ აღმოჩენილა. მოჩივარს აუტყვია დადიდარაბა, გამოიძიება. ივანე ზუბა-ლაშვილს დაუმტკიცეს ეს ბოროტმოქმედება, რაზედაც მიიღო სასჯელი და გადაასახლეს სა-ქართველოდან დროებით. შემდეგ დაბრუნდა თბილისში. გარდაიცვალა 1921 წელს.

მეორე პიროვნება ილიას დროს, დანიშნული ღუშეთში (1866 წ.) იყო მარხის ექიმი, ისიც ქართველი ფრანგი ნიკოლოზ ასანაძე ჩივიანი. ეს გური, ძველად გაფრანგებული, გამოვიდა, სა-მეგვრედოდა იყო გადმოსული. ნიკოლოზ ჩივი-ანმა დამთავრა ქ. ხარკოვეში საექიმო ფაკულ-ტეტი და სულ უმაჟილი კაცი იყო, როდესაც მოვიდა ღუშეთში მარხის ექიმის თანამდებობა-ზე თავისი ოჯახით. აქ დიდხანს იმსახურა, მე-გობრულ განწყობილებებში იყო მოხელებთან და, საერთოდ, მოსახლეობასთან, ჩივიანის მე-ფელე იყო სოფიო ალექსანდრეს ასული ჩივი-ანის, ქართველი ფრანგი. ღვთის შრობელი იე-ზუს მარიაო, იმეორებდა წამდალწუმე. სოფიო ჩივიანისა და დედგრომელი მოლაპარაკე იყო და ახირებული მასპინძელი. მისი სასაიდლო ოთახი მუდამ მზად იყო სტუმრების მისაღებად. სოფიო ალექსანდრეს ასულს ჯერ ქართულად ეცეკა, მაგრამ შემდეგ ევროპეზაიკამ სძლია „ქართულ-ო ტანსაცმელი და თავის დახურვა შეცვალა ევროპულზე. ნასწავლი არ იყო. ტანსაცმლის შეცვლის შემდეგ შეუდგა რუსული ენის შეს-წავლას, მაგრამ ერთმანეთში ურგვედა ქართულ-რუსულ სიტყვებს, რამაც მრავალი ანეგდოტი წარმოიშვა. ოღვა თადეოზის ასულს არა ერთხელ მოუთხოვია შემდეგში სიცილით სოფიო ჩივიან-ის ლაპარაკი და ქცევა. ექიმი ჩივიანი ძალიან ხეშმარა კაცი იყო, მხიარული. მედიცინის დიდ მცოდნედ არ თვლებოდა. პატარაობისას ოდნავ მახსოვს ღუშეთში ეს ცოლქმარი, შემდეგ კი კარგად გავიცანი, როდესაც ისინი ელისაბედი-პოლიდან გადმოსახლდნენ ღუშეთში და ერთ დროს იქ პაიჩიემის სახლში ცხოვრობდნენ. ექი-მი ხანში იყო შესული. სამსახურის ასრულება უჭირდა, მაგრამ ცოლის სურვილით მუშაობას თავს არ ანებებდა. მახსოვს, აქაც ოხხენჯა, რო-დესაც შეეკითხნენ მომიავლი სამსახურის შესა-ხებზე. მან უთქვა: „მე მივდივარ სამსახურში საბე-თის წყლებზეო“, გულისხმობდა ღვინოს, რომ-

ლითაც ასე მდიდარი იყავით; ქართველურ წყლებს არ ჩამოუვარდებია თავისი თვისებები-თი. რამდენადაც ექიმის მეშვენიერ მიმდევარი იყო სარწმუნოებისა, იმდენად თვითონ ჩივიანი გულგრილად ვკიდებოდა ამ საკითხს. ერთხელ ზემის ბიძაშვილთან (რომელიც გამოვიდა იყო მალაქია ცხვედაძემზე) დღეობაში (მარამ მაგდა-ლიონობაზე), დილის დარბაზობაზე, ექიმი მიუბ-რუნდა იქ მყოფ მღვდელს შეკითხვით: „მაშაო, ერთი მითხარით, რა ნათესავი იყო მარამ მაგ-დალიან ღვთისშობელს? მე არ მაგონდება ახ-ლა, რა პასუხი მისცა მღვდელმა, მაგრამ ეს კი კარგად მახსოვს, რომ ყველას გაეცინა ჩივიანის შეკითხვაზე.“

ცოლქმარმა ღუშეთში ყოფნის დროს, უფრო ცოლის ინიციატივით, ააშენეს ღუშეთში, შუა ქალაქში, ერთსართულიანი სახლი, რომელშიც დიდხანს იყო მოთავსებული სამხარო ხაზინა (Уездное казначество), საიდანაც 1905 წ. მოხერხებულად გაიტაცეს ორასი ათასი მანეთი, მომიღოზიაციისათვის გადაღებული ფული. ამ საქმეში ბევრნი ერივნენ, სხვათაშორის, ისიც ვედვევანიშვილი, (გეტორი პეისისა — სინათ-ლე“), მშენი ალექსანდრე და ვლადიმერ ცაგა-რლები და სხვები. სასჯელი თითქმის ყველამ მოიხადა შემდეგში, როცა სინამდვილე გამო-ირკვა.

ჩივიანის ერთ-ერთი ქალი მარიაში ცოლად ჰყავდა ცნობილ პედაგოგს (მათემატიკოსს) ალექსანდრე ბუციშვილს. ღუშეთის მარხის ახ-ნაურს და მემამულეს.

ილიას დროს ღუშეთში კულტურული გასარ-თობები თითქმის არ იყო. სამკითხველოც კი არ ჰქონათ ღუშელებს. არსებობდა მარტო კლე-ბი. სადაც იკრიბებოდნენ ღუშეთის მოქალაქე-ები, იქ თამაშობდნენ ქალაქს — რამს, იარა-ლაშს, ბუჩოს, ასანას. საღამო მოთავსდებოდა ვახშით. კლები მოთავსებული იყო ერთ-ერთ შენობაში, რომელიც ეკუთვნოდა საგზაო სამ-მართველოს (Ведомству путей сообщения), რომელმაც თავის დროზე გაიყვანა სამხედრო გზა ვლადიკავკაზიდან თბილისამდე და შემდეგ-ში უნდებოდა მის მუდმივ შეკეთებას. ზემოთ ითქვა, რომ იმ დროს ეს სამხედრო გზა ერთად-ერთი გზა იყო, რომელიც აერთებდა საქართვე-ლოს რუსეთთან და მოთავსებას ითავად არ უჯ-დებოდა ამ გზის წესიერად შენახვა. საქართვე-ლოს სამხედრო გზა იჯარით ჰქონდა დიდხანს ხანის მეუღლეს ნინა-ხანუმ იზრაიელმეფოვას, რომელსაც სუბსიდიას აძლევდა მთავრობა. „ხანმას“ მშვენიერად ჰქონდა მოწყობილი ამ გზაზე ყველაფერი: დიდხანს ვარჯიშები 1-2 და 3 კლასებით მგზავრებისთვის, „კოჩ-კალიაკე-ბი“, „კალიაკები“. დილენები და „პერეკლად-ნობი“. ყველა სადგურზე „ცელიდნენ ცხენებს. სადგურებზე ჰყავდა „Курьевские“, რომლე-ბითაც სარგებლობდნენ წარჩინებული პირები, მინისტრები, დიდი სამხედრო პირები, რუსეთი-

დან საქართველოში მომავალი. ამ ცხენებით ვადაქონდათ სასწრაფო ფოსტა ფული:

ვალდიაკავიდან თბილისამდე, თითქმის ყოველ დღეა სხეზე იყო ფოსტის სადგურები მგზავრებისთვის: საწროსი თოთხები, ბუფეტები. ეკიბაძეებს—მეტადრე კარეტებს, „კალასკებს“—მუდამ მისდევდნენ „კონდუქტორები“, გააცილებლები, რომლებიც ყველანიარ დახმარებას უწევდნენ მგზავრებს. მგზავრობა ვადაქონდებოდა დილის 6 საათიდან საღამოს 9 საათამდე. დამით მგზავრები რჩებოდნენ. სადგურებში, სადაც ყველაფერი მოწყობილი იყო დამის გასათვად. კონდუქტორებს ჰქონდათ საყვირი, რომლითაც აცუბინებდნენ მგზავრებს სადგურში მისვლას.

ილიას დროს, როგორც ნამდვილად ვიცო, არც ერთი წარმოდგენა არ ვაუმართავთ დუშეთში, არც ცოცხალი სურათები დაუდგამთ. ასეთი რამ მოხდა ილიას წამოსვლის შემდეგ, 1884 წ., როდესაც დიმიტრი კვალაშვილის ოჯახს ეწვია ნიკიორი მსახიობი ნატო გაბუნიავაგარისა. მისი თოსნობით ვამართა პირველი წარმოდგენა სწორედ ამ სახლში. სადაც ილიამ იცხოვრა 10 წელი. ეს სახლი მაშინაც გუთუნებდა იოსებ ვარლამის-მე მოხდოდა და სწორედ წარმოდგენისთვის იყო გამოსადეგი, რადგანაც სახლში უზარმაზარი დარბაზი იყო. იმ მოაწყეს სცენა და დადგეს ვიორჯო ერისთავის პიესა „გაყრა“. გამიგია მხოლოდ, რომ ანდუყაფარის როლს ასრულებდა დიმიტრი ვიორჯის-მე კვალაშვილი, რომელიც დუშეთში მახრის უფროსის თანამშემედ მსახურობდა. თათელას როლს ასრულებდა ნატო გაბუნიანი. უთამაშო პიესაში აგრეთვე დაჟეჟიანდეს. ცოცხალი სურათები უფრო გვიან მოუწყვია პლატონ იოსელიანის ქვრივს ანა ნიკოლოზის ასულს, რომელიც დუშეთში საძველმოქმედო საქმიანობას მისდევდა.

„ის დრო, რომელიც ილია ჭავჭავაძემ ვაატარა დუშეთში — მოიგონებდა ნინო კობიაშვილი-დოდაშვილისა, — მხიარული იყო. მოძრაობა დიდი იყო მაშინ, სამხედრო გზაზე წადაუწყუმ მუსიკის ხმა იდგა. ხან ერთი ჯარი გამოივლიდა, ხან მეორე“.

დუშეთში ვახშირებული იყო წვეულებები, ნათლობები, დღეობები, ქორწინების ვადახდა, ხატობა და ფსონით „პოზნიკების“ ვამართავ. ვისაც მეტი შეძლება ჰქონდა, იმათ გაიჩინეს „ატანტასები“ (ეტილები) და თბილისში დაიარებოდნენ შაბათს, სამსახურის შემდეგ, — დაბრუნდებოდნენ ორშაბათ დილით. „პოზნიკებისთვის“ და საღილებისათვის ბევრი ადგილი იყო დუშეთში. ბაღის პატრონები ხშირად ეპატივებოდნენ დუშეთის მოსამსახურეებს ბაღზე, თუთაზე. ილიას მეუღლე, რომელმაც თავის საყმარების წლები დუშეთში ვაატარა, იტყოდა ხოლმე: „ისე არსად ვამატარებია კარგად და მხიარულად დრო, როგორც დუშეთში“.

დუშეთის შუა გულში, მოედნის ახლოს ვატარა ბილი ზეინთა და სახლით გუთუნებდა ბერძენიშვილებს. ისინი დიდი ხნის მცხოვრებელნი იყვნენ დუშეთში და ამბობდნენ, ვითორც საბერძენეთიდან ვართ მოსულნიო, ილიას დროს ცხოვრობდა იქ მიხეილ ბერძენოვი (მაშინ ამგვარი დაბოლოება ჰქონდა ქართულ ვარაუბს), მღვდელი. მისი უფროსი ძმა ნიკოლოზი, ანუ, როგორც ყველანი ეძახდნენ, „იყო ისტორიკოსი“ მომეტებულიად თბილისში ცხოვრობდა და მარტო ზღვებლობით დაიარებოდა დუშეთში. ნიკო ბერძენოვის ისტორიული, ნაშრომები დიდ ინტერესს იწვევდა საზოგადოებაში. იყო ბოლოს ვაქირეებაში ჩაეარდა და სიღარიბეში ვარდაიცვალა (1874 წელს). მისი ძმა კონსტანტინე ბერძენოვი (ისიც მღვდელი) „ცესარის“ თანამშრომელი იყო. ერთი ძმა კი ცხოვრობდა ქ. სოხუმში (მღვდლობდა). ილიას ძალიან უყვარდა მიხეილთან საარული და ხშირად ეწვევიდა ხოლმე. მიხეილი მხიარული, უწყინარი კაცი იყო, ამასთან — ზემარა. ილია როცა ვამობრუნდებოდა, სთხოვდა მიხეილს, ერთი კიდევ ეამბა მისთვის, როგორ შეერთო მან ცოლი. ეს ამბავი იმ დროისთვის ძალიან დამახასიათებელია. როცა მიხეილი ამთავრებდა სემინარიას და ვადაწვევიდა ჰქონია, რომ მღვდელი უნდა ვამხდარიყო, მის ძმას კივის მოუდღებებია საბოლოს არჩევა. მოლაპარაკებია მღვდელ ვიორჯი ქრელაშვილს და მიუყვანია მასთან თავისი ძმა ქალის სანახავად. ვიორჯის ბეერი ქალი ჰყოლია. ორი ამ დროს უყვე ვათხოვიდა ჰყავდა: სალომე — იაკო პავლიაშვილზე და სოფიო — დოდაშვილზე, სოლომონს მისწრულზე. უჩვენებიათ მიხეილისთვის ერთ-ერთი ვასთხოვარი ქალი, რომელიც უფრო ღამაში ყოფილა. მიხეილს ძალიან მოსწონებია, გულში ჩავარდნია და სულ თურმე იგონებდა „ნინიკას“ (ასე დაუსახელებიათ ქრელაშვილის ოჯახში ის ქალი). რამდენიმე ხნის შემდეგ ვაუმართავთ ნინონა და მიხეილისთვის გვერდით მიუსვამთ დასანიშნი ქალი. „შვეხვე, — ამბობდა მიხეილი, — ჩემი ნინიკა არ არის და სულ სხვა ქალია, უღამაზო, მივხედი, რომ ოინი ვამიყვებეს, ჩემი ძმის ხითონი ვაჩუხედი, ხმა ვეღარ ამოვიტო, ვაგვიორჩილდე ჩემს ბედსო“. ის ქალი, რომელიც პირველად ამწვეს მიხეილს, იყო ოლია ვიორჯის ასული ქრელაშვილის ქალი, შემდეგში ვათხოვილი ივანე ყანჩელზე. სანდრო ყანჩელის მამაზე. დუშეთში ბევრგან იკრებებოდნენ ხატობას. უახლესი ადგილი იყო „კვირიკე და ივლიტი“, დუშეთის თავზე, სოფ. დიდებანთყარის მადლა და „აფხა, წმინდა ვიორჯო“. ეს ადგილი ყარანგოზიშვილებს გუთუნოდათ და ისინი ყველანიარად ამკობდნენ იქიურ ეკლესიას. „კვირიკე და ივლიტი“ ამორჩეული ჰქონდა — ილიას დროსაც დუშეთის კომისარს ზურაბ მორთულაძეს, რომელიც დიდი ამბით ემხარებოდა ყოველწლიურად ამ დღესასწაულისთვის და წინას-

წარ პატრეებდა მეგობრებს და ახლო ნაცნობებს. კვირიკობის წმიდა დღეს დილიდანვე დადგმული იყო რამდენიმე კარავი სხვადასხვა ფართობისა. საღამოთი მიდიოდნენ და იკრიფებოდნენ დაპატრეებულები, რომლებიც იქ ღამის ათეულდნენ. ბუქნარში იღვა სულ პატარა ეკლესია, იქიდან გადასუყრებდნენ ბაზალეთის ტბას და დუშეთის მიდამოებს, მეორე დღეს, 15 ივლისს, დღეობის წიგნის და პარაკლესების შემდეგ გროვდებოდნენ დანარჩენი დაპატრეებული სტუმრები. ქალები კარავებში ისხდნენ და თამაშობდნენ ლოტოს, კაცები — ქალად. ზურაბ მორთულაძეს სათამაშო მგებლები კი ამქონდა სტუმრებისათვის დუშეთიდან. ორსამ საათზე იწყებოდა სადილი. სტუმართა შორის აუცილებლად იყვნენ დღეობაში: პლატონ იოსელიანი მუდულოთ, ინეინერი ნიკოლოზ მუდუბათოვი, დუშეთის სკოლის გამგე რეზნიკოვი, (რომელსაც დავით გაბაშვილის ქალი შეყვდა ცოლად), ადამ ყარანგოზიშვილი ოჯახობით, ბაბანა ჭილაშვილის ქვრივი ნინო შეილებით, დავით მაღალაშვილი და მრავალი სხვა. სადილი და ქვეფი ვრძელდებოდა საღამომდე, ბინდისას იმედიოდა ხალხი და ბრუნდებოდა დუშეთში. 1865 წელს კვირიკე დაწყების გვიანი მამიდანამს თებრონი მოზღვრეულს სამხედრო პირზე გრიგოლ სელიკაშვილზე. სწორედ იმ დღეს მოსულყო სელიკაშვილი შვეებულეაში თავისი პოლიდან, რომელიც იღვა ლაგოდეხში. ეს ამბავი აცნობეს კვირიკეში დუშეთიდან. ფერიხეს ცხენები, ამოიყვანეს კვირიკეში სასამო. ხმის უმეტესობით, — მეტადრე პლატონი მოითხოვდა ამას — „სულ ერთია, ხარჯი ხარჯიო“, — გადაწყვიტეს ქორწილის მოწყობა. პატარალი შესაფერისად მორთვის თეთრებში იქ მყოფმა ქალებმა. მამიდანამს შეკვარებებდ იყვნენ ილია და ვაიმე ჭილაშვილები, ბაბანას უფროსი ვაჟი, სელიკაშვილი, შეკვარებებდ — ადამ ყარანგოზიშვილი და დავით მაღალაშვილი. შეაბეს ვეაბეები, დასხეს დანიშნულები. ზოგნი ცხენებით გაყვნენ, ჩაედნენ იქვე. სოფ. ყვავილის ეკლესიაში, სადაც მუდუდელმა გიორგი დაღჭვიანიშვილმა გადასწერა გვიარი. ის ეკლესია, ცოტათი დაზიანებული, დღესაც არის სოფლის ახლოს. პროცესია ისევ დაბრუნდა კვირიკეში, სადაც გადაიხადეს ქორწილი.

წმინდა გრიგოლის ეკლესია მდებარეობს დუშეთის მეორე მხარეზე, ჭილაშვილების სასახლის ახლოს. დღეობა მოდის აღდგომის შემდეგ, დილით ადრე ამ ეკლესიის მღვდელი მლოცველებთან ერთად წამოვიდოდა დუშეთში, იქაური ეკლესიიდან (წმ. გრიგოლის სახელობისა) გამოიტანდა დიდ გვიარს, შევერცხილს, გადაიდებდა მხარზე და პროცესია მივიდოდა ადამ ყარანგოზიშვილის სახლთან, საიდანაც გამოიტანდნენ ზედაშეს. გამოვიდოდა ამ გვიარის წარმოადგენელი, მიესალმებოდა და მიუღოცავდა

დღესასწაულს. მოკლე პარაკლესის შემდეგ გაიმართებოდა ცეკვა, რის შემდეგ პროცესია გაემგზავრებოდა აქედან სოფ. კარიბდურსკარი-საკენ, იქიდან — სოფ. შილაშვილისკენ, შემდეგ სამხედრო გზაზე გადავიდოდა და ბილის, ავიდოდა მაღლობზე წმ. გრიგოლის ეკლესიაში, სადაც იმ დროს შეიკრებებოდა მრავალი ხალხი ახლომასლო სოფლებიდან. წირვის შემდეგ იწყებოდა ქვეფი, ცეკვა ბინდისდს. მეორე დღეს ისევ ის მღვდელი, მლოცველებთან ერთად, წამოვიდებდა წმ. გრიგოლის გვიარს დუშეთში და დაბინადებდა პატარა ეკლესიაში, რომელიც ყარანგოზიშვილების მიწაზეა აშენებული, მათი საგვარეულო კოშკის ძირას. ეს ეკლესია ახლა ნახვერად დანგრეულია.

ყველაზე დიდი დღეობა იყოდნენ დუშეთებმა 15 აგვისტოს, რომელსაც ეძახდნენ „სამებობას“. ეს სამება ოქროსკარიანი დამორჩეულია დუშეთზე 15 — 18 კილომეტრით. ამ ადგს ეძახდნენ ალექსის დღესასწაულსაც, რადგანაც ეს ეკლესია მდებარეობს სოფ. ალექსის ახლოს. დუშეთიდან მოჩანს, ყველა მხრიდან, ეს უნაგირის მსგავსი მთა და გვერდით კიდევ — მეორე, რომელზედაც აშენებულია პატარა ეკლესია. დუშეთები ყოველ წელს დიდი ხნის წინათ ემზადებოდნენ ამ დღესასწაულისთვის. სადაც კი უნდა ყოფილიყო დუშეთი, ეცდებოდა, რომ ამ დღესთვის მოსულიყო დუშეთში, მონაწილეობა მიეღო ამ დღესასწაულში. მეტადრე ემზადებოდა, ვინც ცხენზე კარგად იყოდა ჯდომა და შეეძლო დილით გამოსვლა. დუშეთში იმ დროს თითქმის ყველას ჰყავდა ცხენები და ბევრი ემზადებული იყო საუკეთესო მოჯირითყდ ითვისებოდა. კავასიონიდან ქ. დუშეთში ჩამოვიდოდნენ აგვისტოს პირველ რიცხვებში მამიანში და ბაბანაში დავითი, ვასილი და ვიკო ყარანგოზიშვილები — ადამის ვაჟები, სეფერი თეთრები და შაბაშვილები (მაბაგელოვები), თბილისიდან მოვიდოდნენ კეზელები. საერთოდ, ადგილობრივი მცხოვრებლებთან ერთად შედგებოდა ჯგუფი 40 — 50 მამაკაცისა, რომლებიც მიდიოდნენ ფსონით სამებაში. ადრევე ამოირჩევიდნენ თამადას, რომელსაც დიდი პატივი ექცეოდნენ. ამ დღესასწაულისთვის დუშეთებს ჰქონდათ დიდი ხნის დამზადებული ბაირაღი, რომელიც სომხების ეკლესიაში ინახებოდა. 13 აგვისტოს, სადილს შემდეგ ქალაქში დაუკრავდა ზურა. ეს იყო დასაწყისი დღეობისა. ამორჩეული კაცები გემორტანდნენ ეკლესიიდან ბაირაღს და წაიღებდნენ მედიანზე, სადაც ახლა ბაღია გაშენებული. იქ გაამაგრებდნენ ბაირაღს, რომელსაც მცველებს დაუნიშნავდნენ, ამ დროს მოგროვდებოდა დუშეთის მოსახლეობა. თამადა, რომელიც ედილობდა, რომ ყველაფერი უწიგორად ჩატარებულიყო, გაიძიებდებოდა დღის დაწყების ცხენოსნები ემეწებოდა ცხენებიდან ესროდნენ მიზანში, ზოგი ჩამოეშვებოდა ცხენიდან და კრულდა გაფანტულ ფეხებს, ზოგი შედგებოდა

უნაგირზე და ისე მდგომი მიაჭროლებდა ცხენს, ზოგი უნაგირზე ყირამალა დგებოდა. ამგვარად, ვველა ცხენოსანი ცდილობდა გამოეჩინა სიმარადე და ყოხალბა დოღში, რომელიც დაახლოებით ორი საათი ვრძელდებოდა. ამას მოჰყვებოდა ცეკვა, რის შემდეგ, საღამოს 6 — 7 საათზე, ცხენოსნები, ბაირალით წინ, გაუდგებოდნენ გზას, ზურნით, ღამეს გაატარებდნენ სამგლურში, — ეს ადგილი ნახევარ გზაზე იყო, — და დილით, 14 აგვისტოს ავიდოდნენ სამების მინდორზე, სადაც მოთავსებულა პატარა, დაბალი ეკლესია. ვადმოცემით, ეს ეკლესია შედარებით ახალია, აშენებული, ნაცვლად ძველი ეკლესიისა, დავით აღმაშენებლის დროს. ოქროს კარები, რომელმაც გაუთქვა სახელი ამ ეკლესიას, შეუწირავეთ სპარსელებს, მას შემდეგ, რაც მომხდარა რაღაც სასწაული მათში. მაგრამ ეს ძვირფასი კარები დიდი ხანია აღარ აშვენებებს ეკლესიას, მოუპარავთ. ეს დღეობა დიდ ხალხს იზიდავდა წარსულში ვველა მხრდან. იუსებს და თათრებს სწამდათ ეს სალოცავი. დუშეთის მახლობლად მშენებული — მუხრან-ბატონები, ხიმშიაშვილები, კობიაშვილები, ზედგინძეები, ერისთავები, ყარანგოზიშვილები ესწრებოდნენ ამ დღეობას. საუკეთესო ადგილს დაიხმებდა წინასწარ ამაყი თავადი ივანე მუხრან-ბატონი, რომელიც დიდი ამალით ამოვიდოდა თავის რეზიდენციიდან — მუხრანიდან. დიდი მწვანე მინდორი საეკლესიო ხოლმე მლოცავებით, თეთრი კარები აშვენებდნენ იქაურობას. წირვის შემდეგ იწყებოდა დიდი ამ ფართო მწვანე ველზე. დუშელებს მუდამ მეტოქეებად ჰყავდათ ახალ-გორელები, მაგრამ მომეტებულ შემთხვევებში სჯობდნენ მათ მამკობითა და ჯიროთის ხელოვნებით. ივანე მუხრან-ბატონი თავის კარაიდან თვალს ადევნებდა ჯიროთის და საუკეთესო მოჯირითეებს აჯიღობებდა ზოგს ვერცხლის ჰქვით, ზოგს — ყანწებით და ზოგს კიდევ — ვერცხლის საათით. ამის შემდეგ იმართებოდა ცეკვა და მერე მლოცვნი მუდგებოდნენ ქეთას, რომელიც ვრძელდებოდა ბინდამდე. ახლო მისეოვრებლები ბრუნდებოდნენ საბლში. რაც შეეხება დუშელებს, ისინი იმ ღამეს საშენაში რჩებოდნენ, მეორე დღეს ადრიან იშლებოდნენ და შეუდგებოდნენ გზას 16 აგვისტოს 4 — 5 საათზე ნასადილეს დუშეთში გაავებდნენ ზურნის ხმას, მოიყრიდნენ თავს მეიდანზე შედოლების დასახვედრად. კიდევ დიდი, კიდევ ცეკვა და, ბოლოს, თითქმის ბინდზე იშლებოდნენ სამების მონაწილენი. ჯერ კიდევ დაბინჯებდნენ ეკლესიაში ბაირალს, უამბობდნენ თავიანთ შთაბეჭდილებებს დუშეთის მსოფრელებს. უნდა დავუმატო, რომ დუშელები წინასწარ იგებდნენ ჩამოსული ხალხისაგან, ვინ ვამბარჯვა სამებობას, რომელმა ცხენოსანმა მიიღო ჯიღლი და სხე.

აღეცის ბატონის ამავეი აწერილი აქვს ნიკოლოზ ბარათაშვილს, როდესაც თავისი დის ქორწილის შემდეგ ახალგორში ავიდა სხვა

სტუმრებთან ერთად ამ დღეობაზე, (წერილი ბარათაშვილისა გრეგოლ ორბელიანთან), დუშეთის ახლოს, ჩრდილოეთით, სულ ნახევარი კილომეტრის მანძილზე, მაღალ გორაკზე მონაწილე პატარა უფუძეობით ეკლესია, რომლის გარშემო იყო სასაფლაო. ამ ეკლესიას და სასაფლაოს ეძახდნენ სურბგვერეთს. იქვე გვერდით, მშვენიერ ბუნებაში აშენებული იყო პატარა ნიში, რომელსაც ჩრდილავდა დიდი მუხის ხე. ეს ნიშიც ატარებდა სურბგვერეთის სახელს. დღეობა ორჯერ მოდიოდა წელიწადში, ვახაფხულზე და ზაფხულის პერიოდში, და ამიტომ მრავალი ხალხი იყრიდებოდა. იმართებოდა კიდაობა, ფერხული, ცეკვა, ლატარია, ქვიფი; პარაკლისებს იხდიდნენ სომხის მღვდლები. პატარაობისას ვამბოვია, რომ ეს წმ. ნიში ეკუთვნოდა ქართველებს, მაგრამ შემდეგ როგორღაც სომხებმა დაიხმეს და სომხური სახელი უწოდეს, რადგანაც სულ ახლო იყო სომხების სასაფლაო ეკლესიასთან. შემდეგ ატუდა დავა ამ საკითხის ვარშემო. ერთ ზაფხულს, მისსულს, მოვიდა ებისკოპოსი კირიონი, რომელსაც მინდობილი ჰქონდა სადავო საკითხის გამორკვევა. დაპოხებს მოხუცებულნი, რომლებმაც დაადასტურეს, რომ ეს ნიში ძველად ყოფილა წმ. გიორგის ნიში. ამგვარივე ცნობა, როცა დავა ატუდა, ვამაჰკვეყნა ვახუშტი ყოფილმა მონარქებმა მოსამართლემ, ეურნალ "ცისკარის" თანამშრომელმა ალექსანდრე ივანის ძე სავანელმა, რომელიც დუშეთში იყო დაბადებული და რომლის მამაც დეკანოზი იოანე სავანელი ერთ დროს დუშეთში მღვდლობდა. დუშეთის შემამულემ გრიგოლ ადამის ძე ყარანგოზიშვილმა, სავანელთან ერთად, მოთავსა ვახუშტი ცნობა, თუ როგორ დაარსდა გორაკზე ეკლესია სურფ-სარქისის სახელობისა. საქმე ყოფილა ამნაირად: მის პაპს გრიგოლ ყარანგოზიშვილს უჩუქებია სომხებისათვის მე-19 საუკუნის დასაწყისში ეს ადგილი, სადაც სომხებს აუშენებიათ ეკლესია და გაუშენებიათ სასაფლაო. ებისკოპოსმა კირიონმა, გამოძიების შემდეგ, გამოსცა პატარა ბროშურა ამ სადავო საკითხის გამო, რომელიც მე წაკითხული მქონდა. ეს იყო 1895 — 1896 წლებში.

ვაუცნობთ კიდევ რამდენიმე ოჯახს. ეკუთვნიან ჩამომავლობით დუშელები არ იყვნენ. ისინი იმერეთიდან ვადმოსული ჩიჯავაძეები ყოფილან და ენათესავებოდნენ თბილისის ჩიჯავაძეებს. ნათელულში მცხოვრებთ. ამის შესახებ საბუთები ჰქონიით, მაგრამ დაუკარგავთ. ილიას დროს სოფლის მღვდელი იყო ივანე ეკელი, რომელსაც დუშეთში ჰქონდა სახლი, მისწები და, საერთოდ, მუდგომოდ ცხოვრობდა და საზოგადოებაში ნაკლებად დაიარბოდა. მისი შვილები, უფროსები, იმ დროს სემინარიაში სწავლობდნენ. ზოგიც სულ პატარა იყო (გვიან გამოვიდნენ ცხოვრების ასპარეზზე). მისი მეორე შვილი დავითი იყო ცნობილი ეურნალისტი, ნიქერი, მაგრამ მოუწყენარი ადამიანი. მისი ფსევ-

დონიშები იყო „დავით სოსლანი“ და „ზოილი“. დავით კრევილი ეკუთვნოდა ივანე შანაბლის პარტიის და „პანკოზიადაში“ გამოდიოდა ილიას წინააღმდეგ.

გავიხსენოთ ილიას სიტყვები:

დავებრდი, დავჩანანაკი,  
წვერი გამიხდა ჭლარა,  
ზოილი აბუჩად მივდებს,  
ხონელი მწყალობს აღარა!

გიორგი დაფქვიაშვილი, მღვდელი, სოფ. რუხი-სიდან იყო გადმოსული და ღუშეთში დასახლდა 1854 წლიდან. გულკეთილი, მზიარული და სტუ-მართმოყვარე კაცი ყოფილა. იმასაც ბევრი შვილი ჰყავდა და ზოგ-ზოგმა ილიას დროს და-ამთავრა სწავლა და დაიწყო ღუშეთში სამსახუ-რი. გამიგია თეთი გიორგი დაფქვიაშვილის ქვრივისაგან, რომ, როცა მისი ქმარი, ახლად სემინარიადამთავრებული, წამოსულა ღუშეთში ცოლის შესართავად, მიუშართავს მკითხვისა-თვის, რომელსაც უთქვამს, რომ შენი ბები დე არისო, რომ მიხედა ღუშეთში, ვაიციანო ერთ კაცს, რომელიც აღარ გამოვიშვებს და ცოლს შეგერთავსო. მართლაც, გიორგი დაფქვიაშვილი მოსულა ზურაბ მორთულაძესთან, რომელსაც ის ძალიან მოსწონებია.

აქ არ შეიძლება, არ მოვიგვიანოთ გიორგი დაფქვიაშვილის სიღვდრო კონია სპირიტონის ასული ბაქრაძისა, რომელიც ილიას მეზობლად ცხოვრობდა. კონია იყო ფირან ფანიშვილის ქა-ლი სოფ. რუხისიდან, საიდანაც გამოთხოვდა ღუ-შეთში გიორგი ივანეს ძე ბაქრაძესზე, რომლის პაპა გიორგი ჩემს წინაპარს — დავით ხმალაძეს სთქვა მოზღოპოდან, როგორც სიძე, მართო ამ ბაქრაძეებმა შეინარჩუნეს თავიანთი ნამდვილი გვარი და ზედმეტა სსხელი „მოზღოპელი“ არ მიიღეს. ბაქრაძიანნი ოფიციალურად „მამიებელ აზნაურებად“ თვლებოდნენ. საყმაწვილეში კონია ყოფილა გამბედავი ქალი, სცოდნია ცხენზე ჯდომა, სროლა, ცურაობა, ვადავიდოდა ბაღებში, მოსკრიბდა ცუდით მსხმოიარე ხეებს, გა-მოათრევდა და დაუწყებდა ხილს ქაშას. ერთხელ, ტყეში სიარულის დროს, მომივინა, ცოცხალი ხმოსათვის გამოუჭრია ხორცი და იქვე შეუ-წყავს. კონია ნასწავლი იყო შინაურად. იცოდა ქართული ლიტერატურა, „ვეფხისტყაოსნის“ მთელი ადგილები ზეპირად იცოდა. ბატონეშო-ბის ხანაში აღზრდილი, გლუხებს არა სწყალობ-და. კონია ადრე დაქვრივდა, დარჩა ოთხი ქალი და ორი ვაჟი. უფროსი ქალი მოვიშანი, მშვე-ნიერი სისხის ქალი, მიათხოვა ფიანე საჯაღელს, რომელიც კვირ მასწავლებლად იყო და შემდეგ მღვდლად ღუშეთში, საიდანაც თბილისში გად-მოიყვანეს სიონის ტაძრის დეკანოზად. მათი შვილები იყვნენ 1. ალექსანდრე სავანელი — მომრიგებელი მოსამართლე (ილიას შემდეგ) ღუშეთში, „ცისკრის“ თანამშრომელი, 2. ხარ-

ლამპი სავანელი (1842 — 1890) — ცნობილი მე-სიკოსი, პარტიონი, პეტერბურგის უნივერსიტე-ტის სტუდენტი; მან დააარსა თბილისში მუსი-კალური სკოლა, რომელიც შემდეგ გააღვიწყდა კონსერვატორიად, 3. ვასილ სავანელი, ილიას ვინაზიის და უნივერსიტეტის ამხანაგი, პედა-გოგი, 4. ქალი მარია, ვაზხოველი გიორგი რა-ტიანშვილზე, ქსოვრისელ მემამულეზე, დედა ივანე გიორგის ძე რატიანშვილისა, რომელიც იყო პედაგოგის სათავადაზნაურო სკოლაში.

ილია კარგად იყო მოწყობილი ღუშეთში. სახ-ლი საუკეთესო ეჭირა, ფართო, ორსართულიანი. სამზარეულო ძირის სართულში იყო და აქიდან შედგებოდა ამოქონლად საშემლი — სასაიდლო ოთახში. ილიას ჰქონდა თავისთვის ეკიპაჟი — ტარანტასი. სტუმრები და ნათესავები ბევრი მოსდიოდა თბილისიდან: დები — ნინო აღმაზისა შვილებით, ელისაბედ სავინაშვილისა, ჭაქვაი-ძეები ყვარლიდან (რომლებიც თბილისში ცხო-ვრობდნენ) ილიას მუდღის ნათესავები — სტა-რიკელსკიანი, გურამიშვილი — ყველანი დაი-არებოდნენ ილიას სანახავად.

ერთხელ არაბეულებრივი ქაღალდის თამაში ყოფილა ილიასთან, თურმე დიდხანს გაგრძელდა. მეორე დღეს ილიას თავისი ბინის აივნიდან დაუ-ნახავს პაპიდაჩემი, ზურაბ მორთულაძის მეუღ-ლე და ვაღმორუძაბენია მისთვის: „პელაგია პაე-ლია, წიხელ ზურაბმა დახლდები თავი წაი-ვო!“ პაპიდაჩემს მშვიდად უპასუხია ილიას-თვის ძველებურად: „ბევრი უნახავს ნახადსა ივდარი და წვიმაო“. ესე იგი მეგ ხარალსაც ავი-ტანოო.

დაამეწყდა მეტქეა, რომ ილიამ, როცა ღუ-შეთში დასახლდა, მოიყვანა თან წყვილი ფარ-შევანგი, რომლებიც მამის იშვიათად ენამე ჰყოლოდა. ისინი ამაყად დასვირნობდნენ ფარ-თო ეზოში და ყველა გამვლელის ყურადღებას იქივედნენ.

საინტერესოა ერთი შემთხვევა, რომელიც თვითონ ილია ჭაქვაიძეს უამზნია ჩემი მახლო-ბელი პირისათვის. სასამართლოში მოსულა ილიასთან ერთი მეცხვარე და შეუტანია საჩი-ვარი ვილად თათარზე, რომელსაც მოუტაცია მისთვის ცხვარი. ილიას მიუღია საჩივარი, მიო-ლედ უკითხავს მომჩიონისთვის — თუ გყავს მოწამე, რომელსაც შეუძლია დაადასტუროს შე-ნი ნათქვამიო. მეცხვარეს უპასუხია: „მოწამე რო მყოლიყო, სირცხვილიც იყო, რომ დამე-ნებებინა ცხვარი, ორთავენი მოვერეოდით და მამის სასამართლოში აღარ დამჭირდებოდა ჩი-ვარი. ჩემი მოწამე ვირი არის, რომელიც ცხვრის მოტაცების დროს მყავდა და ესლად თან მოვი-ყვანე და ხეზე მამბული მყავსო“.

ილია ჭაქვაიძის მოღვაწეობა ღუშეთში მე-ტად მნიშვნელოვანი თემია და, ვფიქრობთ, ზე-ნი მოგონებანი პატარა წვილის მიხედვით შეიტანს ამ საკითხის გარკვევამი.



## 3. გვერტის ახალი ლექსები



ვასო გვერტის ლექსების რამდენიმე წიგნი აქვს გამოქვეყნებული. წელს, სახელმწიფო გამოცემლობა „საბჭოთა საქართველო“ დაბეჭდა მისი ახალი კრებული — „ჭარბიანი მილის“.

როგორც ავტორი კრებულის წინასიტყვი-ბაში წერს, ეს წიგნი დაწერილია ყაზახეთის ყამირ მიწებზე ქართველ ახალგაზრდობასთან ერთად მოხალისედ ყოფნის დროს მიღებულ შთაბეჭდილებათა შედეგად.

თანამედროვეობა უოველთვის იყო ქართული საბჭოთა პოეზიის მთავარი სასიცოცხლო წყარო. თანამედროვე ცხოვრებით სუნთქავს ვასილ გვერტის ლექსების ახალი კრებულიც. ავტორს საინტერესოდ აქვს მოფიქრებული ლექსების ციკლის კომპოზიცია. ეს წიგნი თავისებური პოეტური ნარკვევია, რომელშიც დოკუმენტური სისუსტიათა გადმოცემული ლირიკული გმირის განცდები, ფიქრები, შთაბეჭდილებები და დაკვირვებები თბილისიდან გამგზავრებით დაწყებული ვიდრე ყამირიდან დაბრუნებამდე, საერთოდ, თემატურ ციკლში ვგელაზე შეტია ერთფეროვნებისა და განწყობრების საფრთხე. ამას თავთ პოეტიც გრძნობს და ედილობს რამდენადღაც შესაძლებელია გაათავითვოს განცდათა და შთაბეჭდილებათა არე და შეტოვოს სისრულით დაბატოს ჩვენი თანამედროვის ხასიათი, დავანახოს აღამინები, რომელთაც არა მარტო ყაზახეთის თვალწინა ყამირი ველები დაამორჩილეს, არამედ ვაბედულად უტყვევს ისტორიის ყამირ გზებს და მსოფლიოში პირველი აშენებენ კომუნისტურ საზოგადოებას.

ოი, მავალითად, ლექსი „აქედან ვხედავ შთაწმინდას“. თითქოს საერთო ანაფერი უნდა ქონდეს ყამირ მიწებზე შრომისა და შთაწმინდას. გამგზავრების წინ პოეტი თბილისის სადგურიდან გასცქერის ქართულ ხალხის სასიკადულო შეიღობა დიდებულ საგანებს და ოცნებით აღის „მოვლემარ ძველებთან“. კრძალვით ღვას პოეტი მღვმარე „სიტყვის მხედრობის“ წინაშე. ფიქრობს ამ ბუშპერაზეზე, მათ უკვდავ ლაწულე და თითქოს ცხადდ ჩაესმის მათი მამულიშვილური მოწოდება: „გაბსოვდეს,

ურმაო, შენც შენი ვალი!“... საჭვევრო საქმებზე მიმავლ ქართულ კაბუტს იმედოდ და შემწედ მიპყვება დიდებულ წინაპართა ჩაგონება — არ შედრკეს, არ შეარცხენოს მშობელი ქვეყანა. ამრგვად, ეს ლექსი ლირიკული გმირის ხასიათის კონკრეტულ ნიშნებზე მიგვიითითებს და ამდიდრებს ჩვენს წარმოდგენას მის პიროვნებაზე.

სულ სხვა მდგომარეობაა წარმოდგენილი ლექსში — „სტალინგრადის ველი“. ასეთი სიმბოლური სიხელი შეარქვეს ახალგაზრდებმა ერთ-ერთ უბანს ყამირ მიწებზე. ეს გარემოება პოეტს ვარდასულ მრისხანე დღეებს ახსენებს. ყამირი „მიწის მყარდთან შებუღს“ „შორი სტალინგრადის მიწის ვუგუნი“ ავროდებმა, და ჰგონია, თითქოს ახლაც ბრძოლის ველზე იმყოფებოდეს. შეთხველი ხედავს, რომ ლექსის ლირიკული გმირი შემთხვევით არ იმყოფება აქ, რომ იგი ბრძოლებში ნაწრთობი აღამინა და იმათ რიებეს ეყუთენის, ვისთვისაც საშობლოს დიდებისათვის შრომა ცხოვრების აზრი და მიზანი ვამზარა.

ამგვარი მოქალაქეობრივი განცდა აღამინათიებელია ვ. გვერტის ლექსების დიდი ნაწილისათვის.

ლექსი „თურმე ის კაცი...“ საინტერესოა იმით, რომ აქ პირადი და მოქალაქეობრივი განცდა ერთ ნაკადიდა შერთული და ერთ-მანეთს ავსებენ. პოეტმა საკეთარი ღრმა სულიერი ტკივილი, „უალერსებლად მიტოვებულო“ პირველი სიყვარულის გრძნობა, ვაყვ-ცერი პირდაპირობითა და მღვლარებით მოიტანა შეთხველამდე, საზოგადოებრივი სუნთქვით ვააცოხლა და ვგელასათვის საინტერესოდ აქცია.

სამავიროდ, ლექსებში „არ მოველოდი“, „როგორც უბრალო ნაცობები“, „თქვენ სიდა ხართ, ნეტა“ ვ. გვერტამ ვიწრო პირადული განწყობილების ნაქუქში ჩინება და ამიტომ მისი ყუხილი და შეოთვა ძნელად თუ ადრე-ვეებს შეითხველს.

უფრო მკაფიოდ ელინდება მოქალაქეობრივი მაჯისცემის მოდუნება ლექსში „მიმართვა ყაზახეთს“. თუ, ერთი მხრივ, ვ. გვერტის ლექ-

სებს უშეალობა და სიწირფელე ახასიათებს, მეორე მხრივ, ზოგჯერ აზრობრივი ბუნდოვანება და, შეიძლება ითქვას, პრიმიტიულობაც ემჩნევა. გრძნობასყოლილი პოეტი გულბრყვილოდ ენდობა წუთიერ შთაბეჭდილებებს და ლექსს უპარგავს შემეცნებით მნიშვნელობას. უახაბეთის „ცის კიდესავით მოუსვენლო“ ველბის წინაშე ლექსის ლირიკულ გმირს, რაღაც უთქმელი სიმპატარივის“ ნიშნად ეჩვენება თავისი თავი. ეს ბუნებრივი განცდაა, მაგრამ მხოლოდ ამის სათქმელად უახაბეთი წასვლა არ იყო საჭირო: იყმატებდა ჩვენი ბუმბერაზი მთებისთვის შეველო თვალი და, ვფიქრობთ, უფრო მძაფრიც იქნებოდა ამგვარი შეგრძნება. ეს სხეთა შორის, მთავარი კი ისაა, რომ ლექსის წაკითხვის შემდეგ ძნელა დაიჯეროთ, რომ ამ აღმინაწმა ყამირი დამორჩილა და გმირულ საქმეები ჩაიდინა (მით უფრო, რომ ამავლექსში კიდევ უფრო გაძლიერებულია ეს „სიმპატარივის“ გრძნობა: „და ველზე ვჩანვარ ქონდრის კაცივით, გაბრუებული და აბნეული“).

ეს განცდა მხოლოდ ფსიქოლოგიური დეტალია და პოეტს იგი ასეთი პირდაპირობით არ უნდა მოეტანა ჩვენამდე. ი. ნონეშვილსაც ქონდა ამგვარი შეგრძნება ყამირზე ყოფნისას, მაგრამ ეს ამბავი მან პოეტურად გააზრბა ლექსში „ქება აღამაჲს“, რომლითაც გვითხრობა, რომ მარტოხელა ადამიანი მართალია უძლურია, მაგრამ კოლექტივი მას ძალას მატებს და აგრძობინებს, რომ „ცისა და ქვეყნის მფლობელია“. ამ პარალელით მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ ესა თუ ის განცდა ჯერ კიდევ არ არის ლექსი, ლექსად მას აქცევს პოეტის მოქალაქეობრივი კონტაქტი თანამედროვე ცხოვრებასთან.

პოეზია წარმოუდგენელია ვარესამართოს მოვლენებისა და ფაქტების პოეტური შეგრძნების გარეშე, მისი ემოციურად შეშვსენების გარეშე. თუ ეს არ არის ლექსში, იგი მხატვრული შექროლობის მიღმა დგას. ამ ვარესამართოს ხშირად იგივეებენ და ლექსად დაწყობილ შიშველ აზრს მხატვრულ ფაქტად აცხადებენ.

ვ. გვეტაძეს უდავოდ აქვს პოეტური განცდის უნარი. ყამირისავე მიმავალი სტუდენტების ერთიმეული პოეტს ცხოვრების გზაზე გამოსულ ახალგაზრდობაზე ლირიკული ფაქტებით ავსებს და მის სულშიც კაბეჯერ ენერჯის აღიქმებს — „ასე მგონია, სკაბეჯე მომძებნის ისეე და სადაც აქვე სტუდენტობის წლებს შემხავდებრებს“ („ასე მგონია...“), — ეს პოეტური განცდაა; პოეტი ყამირზე ოქროდ დახვებულ პურის მარცვლებს ზედაეს და წარმოსახვით წვდება იმ დროს, როცა შიშვილი და გაქირვება ყახახთა წინაპრებს სადაც შორს მიერეკებოდა ოქროს საძებრად („ოქროს მაძიებლები“), — ესეც პოეტური განცდაა.

რაც შეეხება ამ განცდის გამოზატვის, გა-

მოთქმის უნარს, ე. ი. პოეტურ ოსტატობას, ამ მხრივ, ვ. გვეტაძეს აქვს მიღწევილი და ბევრი სისრუნველე. მისი ზოგი ლექსი ყურადღებას იპყრობს აზრის ვაჟითქმისა და განწყობილების გადმოცემის მკაფიოობით, პოეტური ფრაზის სიღამაზით, ნახატის სიუხადით, რიტმისა და მელოდიის გრძნობით. აი თუნდაც შემდეგი სტრიქონები ლექსიდან „თურმე ის კაცი...“:

მწერ, რომ გუშინწინ ნახე გახეთი,  
რომ ვაგახარა ჩემმა სახელმა,  
რომ ხარ ავსილი სხვა სინაზეთი  
და დღეს ვველაფრის გინდა გამხელა;

რომ ჩვენს ბავშვობას, ჩემს სიზამუეს  
ისე განიცდი, როგორც იარას,  
რომ განშობრების წუთებს სანუველს  
გრძნობ და ტყვიელმა არ ვაგვიარა...

და ვერ იხსენებ იმ წლებს სიმშვიდით,  
და მოგონებამ ცრემლი გააქურა,  
გახსოვს, ნაწნავებს რომ დაგიშობიდი  
და კისკისებლი შენც ეშმაქურად.

ამ სტრიქონებში მკაფიოდ და საზოვანად აზრს გადმოცემული აზრი და განწყობილება გვემოცნებას და პლასტიკური გამოსახვის უნარს აქლავენებს ვ. გვეტაძე თავის პოეტურ სახეებში („და სტრიქონს ფრთავებ დახედე თვე, როგორ გულეკაცი დახედავს მინდობს“, „სათქმელი სადაც უხშიოდ წაიდა, როგორც ნათელი შელაშვბისა“).

მაგრამ წიგნში ნამდვილად პოეტური სტრიქონების გვერდით ბევრია ვარიომული პროზა („შენ შენი ქვეყნის დიდებით იწვი შენ ცოტა თქვი და ბევრს იტყვი კიდევ“), ოგრძნობა მალაფარდოვანი ფრაზების, ეპითეტების, სახეების სიჭარბე („მოდით, შემოკრბით, ისინიწეთ, მინდობრი როგორ გუგუნებს“; „ჰეი, ქალო, კარგო ქალო, მიშობილემ შაჩიშობილემ, ვის უხშიბუნ, ვის ეტრფინა ვე თვალები და-ეგმრული“). ამ სტრიქონებისაგან ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს პოეტი ველარ გრძნობდეს ზღვარს პოეზიასა და ფრაზიორობას შორის, მხატვრულ მეტყველებასა და უსავრო ენაშეობას შორის.

განსაკუთრებით უნდა იზრუნოს ვ. გვეტაძემ ლექსის კომპოზიციკაზე. იმის მაგიერ, რომ სხვადასხვა კუთხით გვანწვენდეს—საგამსა თუ მოვლენას, აღამავედეს პოეტურ აზრს, ხშირად მხოლოდ სხვადასხვა სიტყვებით გამოითქვამს ერთსა და იმავეს, რითაც ძალზე ანელებს შთაბეჭდილებას, აუფერულებს აზრს.

უნდა მოვავროთ პოეტს ისიც, რომ მის ლექსებში იშვიათად, მაგრამ მაინც იგრძნობა უკვე ნაცნობ მხატვრულ სახეთა გამოძილო, ზოგჯერ ნაცნობი ფრაზა და ინტონაცია („და

გადაეწვი, და გადაეკურე იმ ლეგენდებში, იმ არაკებში“).

ერთ-ერთ ლექსში პოეტი მიმართავს საშობალოს:

მოდით ამინთე მცირე ნათელი  
და არ ჩამტოვო სადმე ჩრდილივით.

ამ სურვილის ახდენა პოეტის ხელთაა. თუ

ვ. გვეტაზე ისევე შეუბოიარი იქნება სიტყვის-თან ქიდილში, როგორც ჩვენი ახალგაზრდობასთან ერთად ყამირთან ბრძოლაში. მაშინ შეუძლია იმედს ქონდეს, რომ იგივე „მობრძანეს ლექსის სადავეს“ და არ ჩამორჩება პოეზიის წინმსვლელ ქარავანს.

შოთა სულაბერიძე

## პონტელი—„მოგონებები“



გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა“ გამოსცა პონტელის „მოგონებანი“. წიგნის რედაქტორია თ. კობლაძე.

„პონტელი“ არის ფსევდონიმი ილია მანუჩარისძე ჩიჭოვანისა (1870—1950). ის თავის დროზე საკმაოდ ცნობილი მოღვაწე იყო, იცნობდა იმ დროინდელ მწერლებს, საზოგადო და პოლიტიკურ ასპარეზზე მომუშავეებს, ბევრ მათგანთან მეგობრულ ან საქმიან დამოკიდებულებაში იმყოფებოდა. ამავე დროს ბევრი რამ უნახავს და გაუგონია. ბევრი რამის მონაწილე იყო სწორედ ამიტომაც მისმა მოგონებებმა დაინტერესა ჩვენი საზოგადოება. ავტორი ბევრ ისეთ საკითხს ეხება და ისეთ საყურადღებო ცნობას გადმოგვცემს, რაც ძველ პრესაში, ან ძველ დოკუმენტურ მასალებში არ შეგხვდებათ და ჩვენი ქვეყნის წარსული ცხოვრების გაშუქებისათვის კი მნიშვნელობა აქვს.

ავტორს „მოგონებანი“ დაუწერია 1948 წლის შემოდგომაზე, მაშინ ის 78 წლის იყო, ასეთ ასაკში ადამიანს შეიძლება ბევრი რამ დაეიწყუდეს, ზოგიც შეიძლება კარგად ან სწორად ვერ გაიხსენოს, ამის გამოც შეიგადაშოგ შეცდომები და გაუგებრობები ვაპაროს. ი. პონტელის მოგონებებში გვხვდება ზოგიერთი შეცდომა, ანაქრონიზმი და დაუზუსტებელი, ლიტერატურულად გაუმართავი ადგილები. საჭირო იყო ამ საყურადღებო ნაშრომის გულდასმით შესწავლა და სათანადო ადგილებსათვის შენიშვნებისა და კომენტარების შექმნა.

ჩვენ აქ შევხებით ისეთ ცნობებს, რაც ავტორს, გულშაფიწყობის წყალობით, სწორად არა აქვს გადმოცემული, ან ანაქრონიზმი აქვს დამკვებელი ან და არ არის დაზუსტებული, რაც ერთგვარ გაუგებრობებს ქმნის.

1. გვ. 5 ავტორის გადმოცემა თითქოს ქუთაისში მუდმივი ქართული თეატრი დაარსდა 1880 წელს, არ არის სწორი. 1880 წ. ეფრო

კლდიაშვილისა და სხვების მეთაურობით გადაწყდა მუდმივი პროფესიული თეატრის დაარსება. სცენის მოყვარულთაგან ჩამოყალიბდა პროფესიული დასი. სეზონი გაიხსნა 1880 წ. 21 თებერვალს. თეატრმა დიდი გაჯირკებით იმუშავა ერთი წელიწადი. შემდეგ დასი დიშალა და კვლავ სცენის მოყვარეთა წარმოდგენების მართვა დიწყო. მუდმივი პროფესიული თეატრი კი ქუთაისში დაარსდა 1885 წელს კოტე მესხის მეთაურობით.

2. ამავე გვერდზე ავტორი წერს: „1905 წელში როდესაც ჯალთა ილიხანოვი ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდა დასავლეთ საქართველოს, ქუთაისის თეატრის სცენიდან გამუდმებულად მოისროდა კაი გრაცის მეღვარი, ბრძოლისაგან მომწოდებელი შეუხარებმა“. ცნობილია, რომ ალიხანოვ-ავარსკი თავის დამსჯელი რაზმით დასავლეთ საქართველოში ჩავიდა 1906 წლის იანვრის დასაწყისში და არა 1905 წელს. მთელს დასავლეთ საქართველოში და კერძოდ ქუთაისში გამოცხადდა საალყო წესები, შეღამდებოდა თუ არა ქუჩაში გამოსვლა შეუძლებელი იყო და წარმოდგენების მართვა ქუთაისის თეატრში კარგა ხნით შეწყდა.

3. გვ. 5-6 შემდეგ ამახიდან ავტორი გადმოგვცემს რომ ქუთაისში „იმ დროს არა ერთი ნიჭიერი ახალგაზრდა მწერალი მოღვაწეობდა“—ო და მათ შორის ასახელებს ვ. ტაბაძეს, ი. ევალაძეს, და გრიგოლ აბაშიძეს. აქ მათი მოღვაწეობის დრო არ არის დაზუსტებული-შემოფარგულია. ზემოდ ის ლაპარაკობდა 1905 წლის ამბებზე, ქვემოლ კი ნათქვამია „იმ დროსო“ თუ ამ თარიღს მივიღებთ მაშინ ასეთი სურათი გადაგვეშლება თვალწინ: პეტრო გრიგოლ აბაშიძე გარდაიცვალა (პეტრობურგში) 1903 წელს, მამასადამე ცოცხალი არ იყო. ვ. ტაბაძე სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1908 წელს, ხოლო ი. ევალაძე გორიდან

გადასახლდა ქუთაისში და იქ დაიწყო მოღვაწეობა 1913 წლიდან.

4. გვ. 34-35. ავტორი გადმოგვცემს, რომ უცხოეთიდან დაბრუნებული თბილისში 1893 წელს. აქ დადიოდა ვახ. „ივერიის“ რედაქციაში, იქ ნახულობდა შწერლებს და მათ შორის ასახელებს ალ. ყაზბეგსაც, ხოლო შემდეგ (გვ. 47) ამბობს, რომ ქართულ თეატრში მამინე ე. ი. 1893 წელს „ალ. ყაზბეგის მოხვედრის ცეკვას ასრულებდით“. სამწუხაროდ ის მაშინ ალ. ყაზბეგს ვერც „ივერიის“ რედაქციაში და ვერც თეატრში ნახავდა, რადგან ყაზბეგი 1891 წლის 7 თებერვლიდან პრაქტიკულ საავადმყოფოში იმყოფებოდა, ხოლო სწორედ 1893 წლის 10 დეკემბერს კი იქვე გარდაიცვალა.

5. გვ. 41. მოგონებებში ეკითხულობთ, რომ ავტორი „იმ წელს“ ე. ი. 1893 წ. საადგილმამულო ბანკის წევრთა საზოგადო კრებას დასწრებია და ამ კრებაზე სხვათა შორის უთვლიდა „წერა-იქთვის გამაგრებულ საზოგადოების თავმჯდომარე გენერალი გიორგი ყაზბეგი“. ვ. ყაზბეგი რომ ამ კრებას დაესწრებოდა ეს უძველესია, ისიც მართალია რომ ის იყო წერა-იქთვის გამაგრებულ საზოგადოების თავმჯდომარედაც, მაგრამ შემდეგი გაუგებრობაა: აღნიშნულ საზოგადოების თავმჯდომარედ, მის შერამ რაც ეთვინა ამ თანამდებობას თავი დაანება აირჩიეს ილია ჰუკუაძე და გარდაცვალებამდე უცვლელ თავმჯდომარედ ითვლებოდა. ვ. ყაზბეგი კი თავმჯდომარედ აირჩიეს შობილ ილიას გარდაცვალების შემდეგ ე. ი. ხსენებული კრების შემდეგ როცა 15-16 წელიწადი ვაკედა.

6. გვ. 46 ავტორი ამბობს: „აღსანიშნავია იმავე წელსივე (ე. ი. 1893 წ.) თბილისის ქართულ თეატრში“ გადახადეს რაფელ ერისთავის 50 წლის მოღვაწეობის იუბილეო. ეს არ არის სწორი. მის იუბილე გადაუხადეს 1895 წლის 22 სექტემბერს.

7. გვ. 51-52 ავტორი ეხება ქუთაისის თეატრის საქმიანობას და გადმოგვცემს ცნობებს იმ გამაგრებულ ინტელექტზე, რაც სახელოვან მსახიობს ლადო შესხიშვილს შეეძინება. და ამბობს, რომ თითქმის აზნაურმა ნიკოლოზ თაყაიშვილმა — „დიდის გულისწყრომით გამოთქვა საყვედური ლადო შესხიშვილის მიმართ — რაო და ქვეყნის არვის მთავარი მიზუნი ის არის, სცენაზე ისეთ პიესებს სდგამს, რომლებიც ხალხს აღუღებს და საბრძოლველად იწვევს...“ შემდეგ „შესხიშვილმა ამაზე გამანადგურებელი პასუხი გასცაო და მოაქვს თვით პასუხი... ასეთი გამოსვლა შესხიშვილის წინააღმდეგ ქუთაისის თავდაზნაურობის კრებამ მართლაც მოხდა. მაგრამ მის წინააღმდეგ გამოვიდა არა თაყაიშვილი, არამედ თავადი დავით იაშვილი. ეს ამბავი ოფიციალურ დოკუმენტებშიც უველგან ასეა ფიქსირებული.

8. ავტორი იქვე ლაპარაკობს: „შემდეგ წამოღდა ცნობილი სამსონ კლაძე და მანაც ამხილა თავდაზნაურობის რეაქციონერობა“ — და სხვ. საქმე ის არის, რომ თავდაზნაურობის კრებაზე დასწრების და სიტყვით გამოხატვის უფლება მხოლოდ ცენზიარ თავადებსა და აზნაურებს ჰქონდათ. სამსონ კლაძე კი გლეხი იყო, ასე რომ მას კრებაზე ლაპარაკის უფლებას არავინ მისცემდა და თუ მოახერხა და დაესწრო ესეც დიდი ამბავი იყო. კლაძე მიმართულებით სოციალ-დემოკრატი იყო, ზვენიგერა, რომ ის თავდაზნაურობის წინააღმდეგ უძველესად გაილაშქრებდა, მაგრამ ალბათ, ეს მოხდა სხვა ადგილას. კლაძე რომ თავდაზნაურობის ამ კრებაზე სიტყვით გამოვიდა ამის შესახებ ვერსად ცნობას ვერ იპოვეთ და ეს არც სხვა შემთხვევის ავტორებს აქვს მოხსენებული.

9. გვ. 54 ავტორი ამბობს: „იმ დროში, სხვათაშორის, შემოღებული იყო სხვადასხვა ლიტერატურული გამაგრების საჯარო გასამართლება, რომელშიაც სხვებთან ერთად მეც ვღებულობდი მონაწილეობას, მონაწილეობა მივიღე არცაბაშვილის „ანფისას“ ვარსებავში, ვიყისრე ანფისას ბრალდებლის როლი“ო ამას ვარდა ამბობს: „შემწილი იყო ცალკე ახალგაზრდების წრეები უფასო წარმოდგენებისა, ლექციების მოსაწყობად“-ო... სამწუხაროდ აქ არ არის ვარკვეული, რომელ დროზეა ლაპარაკი. მდგომარეობა კი ასეთია: ქუთაისში არავითარი ჯგუფი ახალგაზრდობისა არ არსებობდა, რომელიც უფასო ლექციებს კითხულობდა საჯაროდ. ქუთაისში 1909 წ. დაარსდა სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოება, რომელშიც დაიწყო ლექციების მართვა 1910 წლიდან. და ამ საქმეს ხელმძღვანელობდა სწორედ ის ალ. გარსევანიშვილი, რომელსაც ავტორი იხსენიებს ლექციების კითხვის მეთაურად. ლექციების ბილეთის ფასი იყო იყო, 5 კაპიკიდან 50 კაპიკამდე. ქუთაისში ამავე დროს, ცოტა წინადაც იმართებოდა სცენის მოყვარეთა წარმოდგენები და იგიც იაფფასიანი იყო 15 კაპიკიდან 1 მინეთამდე. ლიტერატურული გასამართლებებიც ქუთაისში დაიწყო 1910 წლიდან. პირველი ასეთი გასამართლება მოეწყო 9 თებერვალს, გასამართლეს ანფისა, რომელშიც ი. პონტელმა მიიღო მონაწილეობა, მაგრამ ზიესა „ანფისა“ არცაბაშვილს კი არ ეუფუნის, არამედ ლეონიდ ანდრეევს.

10. გვ. 61-63. ავტორი ეხება ცნობილ მწერალსა და მოღვაწეს გიორგი ზდანოვის — შიანოვილს. უპირველესად ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ეს პირი უველგან ზდანოვიჩი აღ იხსენიება. მისი ნამდვილი გვარი კი ზდანოვიჩი ა. მოგონებების ავტორმა ეს ამბავი, რასაც ვერცხვია, ძალიან კარგად იცოდა და ჩანს მის გეარს სწორედაც წერდა, მაგ-

რამ ეტყობა რედაქტორის „გულწორება“. ამას ვკავშირებთ ერთი ადგილი: წიგნის 61-გვერდზე ავტორის ეს პირი ექვსჯერ ფავს მოხსენებულ, აქედან 5 ადგილას ზღანევიჩი წერია, ერთ ადგილას კი ზღანოვიჩი. მაგრამ ეტყობა გვაჩი რედაქტორმა ზღანევიჩად გადაასწორა, ხოლო ერთ ადგილას გამოეპარა და „შეუსწორებლად“ დასტოვა.

შვედ ერთი პრინციპული სადავო საკითხია: მოგონებების ავტორი ვაღმოგვეცემს, თითქმის ზღანოვიჩის ვაქრობისათვის მოყვიდოს ხელი. პეტერბურგში გრაფოვონის ფირფიტების ქარხანა გაეხსნას და ამოიბოს; „მასში ჩაყარა თურმე მთელ მის სიცოცხლენი დანაზოვი საგრძნობი თანხა, მაგრამ საქმე არ ვაღმართლდა, სასტიკად იხარალო“ და სხვ. ზღანოვიჩი ქუთაისის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ვამეფოების თავმჯდომარე იყო დღიდან დაარსებისა გარდაცვალებამდე. მისი ინიციატივით და კრედიტით ამ საზოგადოებას გაუხსნა სტამბა. მან უურადღება მიაქცია ქართულ ხალხურ სიმღერების შეკრება-ვაკრეცელების საქმეს და ამ მიზნით პეტერბურგში გრაფოვონის ფირფიტების ფაბრიკა გახსნა კიდევ. ამით მას უნდოდა ქართული სიმღერების ვავრცელებისათვის ხელი შეეწყო და მეორეც ქარხანა მზამარტული წერა-კითხვის საზოგადოებისათვის ვაღაგეცა და ასეთნაირად მისთვის მუდმივი შემოსავლის წყარო გაეჩინა, მაგრამ ამ წამოწყებამ არ ვაღმართლა და იხარალა. ზღანოვიჩი მარტოხელა კაცი იყო, ქუთაისში საკუთარი სახლ-კარი ჰქონდა. ძალიან დიდ ხელფასს ღებულობდა და თავის შემოსავლით აფინანსებდა სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციას. ასე რომ ფულს დავრკეობის მიზნით „ვაჭრობის“ დაწყებდა არ სჭირდებოდა.

11. გვ. 65. ავტორი ვაღმოგვეცემს: „1913 წელში მე არ ვაღსწრებოვარ აკაყის საუტხოო იუბილუს ქუთაისში“. ავტორს აქ მახსოვრობა ღალატობს. აკაყის იუბილე ქუთაისში ვაღა-რბადეს 1908 წლის 14 დეკემბერს, ხოლო 1913 წელს კი ქუთაისში ღადო მესხიშვილის იუბილე ვაღაიხადეს.

12. გვ. 69-70. აქ ღაპარაკია 1911 წ. ქუთაისის ქალაქის თავის არჩევნებზე და ავტორი წერს, რომ ქუთაისიდან დებუტაცია წავიღა ფოთში ნ. ნიკოლაძისთან მოსალაპარაკებლად, რათა ის ქუთაისის ქალაქის თავობას დღაინმებუღიყო და ვანავრობოს: „ამ დებუტაციიში შევიღიღი მე და სოლომონ მიქელაძე, ქუთაისის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე, ქუთაისის ოქლის სასამართლოს წევრი“ და სხვ. ნ. ნიკოლაძემ მოციქულები უპირით ვაისტუმრობა და შემდეგ წერს: „ნ. ნიკოლაძის ამისთანა პასუხის შემდეგ ქალაქის თავად მე ამირჩიეს“. აქ საქმე კოტათი სხეანაირად იყო. ამის შემდეგ ქალაქის თავად ამირჩიეს პუბლიცისტი და

საზოგადო მოღვაწე იაკობ ფაცხავა, მწერლობაში „ფხას“ ფსევდონიმით ცნობილი. მაგრამ მეფის ნაცვალმა მისი კანდიდატურა მოუღებულად ჩასთვალა და თანამღებობაზე არ დაამტკიცა. ამის მერმე ქალაქის თავად ამირჩიეს ი. პონტელი — მიქოვანი. მეორეც, ნ. ნიკოლაძისთან წასული მოსალაპარაკებლად სოლომონ მიქელაძე ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე არ ყოფილა. ასეთი თანამღებობა საქალაქო დებულებით არც არსებობდა. თავმჯდომარედ კანონის თანახმად ითვლებოდა თვით ქალაქის თავი. ს. მიქელაძე იყო საბჭოს ხმოსანი.

13. გვ. 75-76. ავტორი წერს, რომ ზემს დროს ქალაქის საბჭოში „არცერთი ვეპარის არ ვერია, იყო ერთი მრწველობის პიონერი, ვლკტრონისა და ხილული წვლების მეფედ წოდებელი“ მიტროფანე ღლიძე. ავტორს აქაც ღალატობს მახსოვრობა. როცა ის ქალაქის თავად ამირჩიეს, მამის ხმოსნათ ბევრი ვეპარის იყო. მათ შორის დღავახებლებ რამდენიმეს: ბართ. მოსეშვილი, ნესტ. ბარბაძე, ბეფ. ასათიანი, მ. რუხიძე, ფ. ბუქია და სხვ. სწორედ იმ დროს ხმოსნად არ იყო მიტრ. ღლიძე და არც ნოტარიუსი იელიანე ინჯაფარიძე, რომელსაც ავტორი ხმოსნათა შორის ასახებულებს (იხ. „კავკასიკი კალენდარი“, 1912—1913 წ. წ.)

14. გვ. 82 ავტორი ეხება ქუთაისის ქალაქის სკოლებს და ვაღმოგვეცემს: „ქუთაისის თვითმმართველობა სამ საქალაქო სკოლას ინახავდა, სიღაც ვამეფობად იყვნენ იმ დროს კავთად ცნობილი პედაგოგები: ღადო ნაცელი-შვილი, მწერლობაში ღადო ბუჯანელად ცნობილი, ანტონ ოღიშარიი და კოტე მესხი. ავტორს მესხიერება აქაც ღალატობს. იმ დროს ქალაქის თვითმმართველობას ჰქონდა ოთხი სკოლა და არა სამი, მათ შორის ერთი იყო ქალთათვის, სამი კი ვავთათვის. ვამეფებად იყვნენ: არა კოტე, არამედ ნიკოლოზ ვასილისძე მესხი, ანტონ ოღიშარიი, არა ღადო ნაცელიშვილი, არამედ ილ. ცხადაძე, ხოლო ქალთა სკოლის ვამეფად იყო აშაბ გიორგის ასული მაჭავარიანი, (იხ. იმავე და სხვა წლებს „კავკასიკი კალენდარი“)

მოგონებებში არის ზოგიერთი ადგილი, რაც ერთნაირ ვაუღებრობას იწვევს. იხ. მაგ. 14 გვერდზე ღაპარაკია ნიკ. შინგრელსკის კანდიდატურაზე ბულგარეთის მთავრის ტახტზე. ეს ადგილი ისეა დაწერილი, რომ სტოვებს შთაბეჭდილებას, თითქმის შინგრელსკი თვითონ აცხადებდა პრეტენზიებს ბულგარეთის მთავრის ტახტზე. საქმე ასე როდი იყო. მისი კანდიდატურა წაყენეს რუსეთმა, ოსმალეთმა და ვერმანიამ. ამ კანდიდატურას ავსტრო-უნგრეთმა და რუმინისპირა პრინცი ფერდინანდ კობურგელის კანდიდატურა, რომელსაც ინგლისიც მიემხრო. აქ იყო პოლიტიკური ბძოლა სახელმწიფოთა შორის და ვამარჯვა კობურგელის

კანდიდატურამ. ავტორი წერს ნ. შინგერლსკიმ თავი შეურაცხეთილად იგრძნო, გაიხადა ფლიგელ-ადიუტანტის შუნდირი და რუსეთის მეფის სასახლე სამუდამოდ დასტოვაო. სხვათა შორის თავის დროზე ამ საკითხს ილია ქავეჯავაძეც გამოეხმაურა თავის გაზ. „ივერიისი“ და უძღვნა სპეციალური წერილი „სამეგრელოს მთავრის კანდიდატობა ბულგარიისი“ (ი. ქავეჯავაძე — ნაწერების სრული კრებული, ტომი 10, თბილისი 1924 წ. 288 — 290 გვ.).

საერთოდ წიგნის რედაქტორს, რომ მოგონებების ტექსტი საფუძვლიანად შეესწავლა, ვრცელი შენიშვნები და კომენტარები დაერთო მაშინ ეს საკითხი „მოგონებანი“ ძალიან ბევრს მოიკვებდა და უფრო საკითრ წიგნად იქცეოდა.

სერგო ბერაშვილი

## მონოგრაფია ლიტერატურის სწავლების მეთოდური საკითხებზე



ლიტერატურის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფართო მშრომელი მასების, კერძოდ, ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმეში. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ მას, როგორც სასწავლო საგანს, ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს საბჭოთა სკოლაში ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დისციპლინათა შორის.

ლიტერატურის სწავლების მეთოდის უმთავრესი დანიშნულებაა დაამუშავოს ლიტერატურის სწავლების საკითხები იმგვარად, რომ ამით ხელი შეუწყოს მშობლიური ლიტერატურის სწავლა დანერგვას.

რუსულ და ქართულ მეთოდურ ლიტერატურაში ლიტერატურის სწავლების ზოგიერთი საკითხი თუ პრობლემა შესწავლილი და გადაწყვეტილია, მაგრამ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ იმდენად ცოტა რამ არის გაკეთებული, რომ კვლავ მწვავედ იგრძნობა სიღარიბე ლიტერატურის სწავლების მეთოდის ცალკეული საკითხების დამუშავებაში. კერძოდ, ეს ითქმის ისეთ რთულ, მაგრამ აქტუალურ საკითხებზე, როგორცაა მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟის სწავლება სკოლაში. და ეს იმ დროს, როდესაც ჩვენს მასწავლებლებს უვლანებ მტკად სწორედ ამ საკითხის სწავლება ეძინება, თუთ საკითხის სირთულესა და მრავალმხრივობის გამო.

უდავოდ მისასაღებელია პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საეკლესიო ინსტიტუტის გამოცემლობის ნაყოფიერი მუშაობა, რის შედეგადაც ჩვენმა მასწავლებლებმა საკმაო რაოდენობით მიიღო პედაგოგიკურ-მეთოდური დამხმარე ლიტერატურა სხვადასხვა სასწავლო დისციპლინაში. ერთ-ერთ ასეთ ნაშრომს წარმოადგენს ალაბანის გამოცემული ო. დოლაბერაძის წიგნი: „მხატვრული ნაწარმოების პერ-

სონაჟის სწავლება სკოლაში“ (რედაქტორი გ. ნიორაძე).

წიგნის გაცნობა გვარწმუნებს, რომ ავტორი კარგად იცნობს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შეხედულებებს ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე, მშობლიური ლიტერატურის მასწავლებელთა გამოცდილებას, არსებულ პედაგოგიკურ, ფსიქოლოგიურ და მეთოდურ ლიტერატურას, ამავე დროს, უხედა იყენებს იმ მასალებს, რომლებიც მას დაუგროვებია საშუალო სკოლაში და უმაღლეს პედაგოგიკურ სასწავლებელში მუშაობის დროს.

სარეცენზიო შრომა, ვარაუდ წინასიტყვაობისა, შედგება სამი თავისაგან: პერსონაჟის შემეცნება და აღმზრდელობითი მნიშვნელობა, პერსონაჟი მხატვრულ ნაწარმოებში და მისი ანალიზის ზოგიერთი საკითხი, პერსონაჟთა დიხსანთების სახეები სკოლაში. ეს თავები, თავის მხრივ, ქვეთავებისაგან შედგება.

პირველ თავში ავტორი კარგად აშუქებს მხატვრული ლიტერატურის შემეცნება-აღმზრდელობის მნიშვნელობას, საერთოდ, და, კერძოდ, სკოლაში. აქედან იგი გამოყოფს მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟს და საინტერსტაციო მასალებს შორის ნათესავს მის ზეგლანას მოსწავლეებზე. ქვეთავში „მოსწავლე და პერსონაჟი“ (გვ. 40-51) ავტორი დადებითი და უარყოფითი პერსონაჟების მაგალითზე არკვევს იმ დამოკიდებულებას, რასაც იმეწენ მოსწავლეები ლიტერატურულ სახეებისადმი. ამ მიზნით ავტორს სპეციალურად შეუსწავლია ერთ-ერთი საშუალო სკოლის მოსწავლეთა წერითი ნამუშევრები და საინტერესო შედეგები მიუღია. ასეთი მუშაობა, რომელიც ო. დოლაბერაძეს ჩაუტარებია, პერსონაჟისადმი მოსწავლეთა დამოკიდებულების საკითხის შესასწავლად, უდავოდ მოწონების

ღირსია, თუ ვინღ მიღებული შედეგები ზოგიერთთა კორექტივის შერტანასაც საკითხობდეს.

მეტად საყურადღებოა წიგნის მეორე თავი (გვ. 59-146). იგი ყურადღებას იქცევს საკითხთა სიმრავლით და გამოუქვებით. ავტორს აინტერესებს ორი მნიშვნელოვანი საკითხი: 1. უმთავრესად რა საშუალებით აღწევს მწერალი პერსონაჟის სახის დახატვას და 2. რა მომენტებს უნდა მიეჭყეს ყურადღება პერსონაჟის შესწავლის დროს სკოლაში. ამ ცნობილ მონაზრებათა გვერდით წარმოდგენილია საკეთარი შეხედულებებიც ზოგიერთ საკითხზე. ამ შემთხვევაში თუ ავტორის დებულებანი მკითხველზე დამაჯერებელ შთაბეჭდილებას ტოვებს, ეს იმით აიხსნება, რომ მათ გვერდით ყოველთვის მოტიანილია სათანადო საილუსტრაციო მავალითები, რომ მასწავლებელს, რომელიც პრაქტიკულად ასწავლის მოსწავლეებს ლიტერატურულ ნაწარმოებებს საკითხების სწორედ ამგვარი გაშუქება შესაძლებელია და არა ზოგადი, განუყვებელი მსჯელობა.

წიგნის მეორე თავში განხილულია შემდეგი საკითხები: პერსონაჟის წინასიტრია ანუ ბიოგრაფია, პერსონაჟის პორტრეტი, პერსონაჟის განცდა, პერსონაჟის ქცევა, პერსონაჟის ენის საკითხები სკოლაში, მწერალი და პერსონაჟი და სხვ. ავტორს კორექტივი შეაქვს პერსონაჟის პორტრეტის ტრადიციულ განმარტებაში და საინტერესო მავალითებით არკვევს პორტრეტის დანიშნულებას, როლსა და ადგილს ნაწარმოებტორი სამართლიანად ფიქრობს „პერსონაჟის ებში“.

ხასიათი უმთავრესად ვლინდება მის მოქმედებაში“ (გვ. 90) და ამიტომაც ამხეილებს ყურადღებას ამ მხარეზე ქვეთავში „პერსონაჟის ქცევა“. „პიროვნებას მარტო ის კი არ ახასიათებს— წერს ავტორი, — თუ რა ს აკეთებს იგი, არამედ ავრეთებს თუ ამას როგორ აკეთებს“ (გვ. 90), ამ თვალსაზრისით ამ ქვეთავში გამოქვებულია დათიკოს (ი. ჰეკვიადის „გლახის ნამბობი“) გვადი ბიგვას (ლ. ქიაჩელი „გვადი ბიგვა“) და სხვა პერსონაჟთა ქცევა-მოქმედებანი. ამავე დროს, ჩვენი აზრით, მართალია ავტორი, როცა იგი ხაზგასმით აღნიშნავს და მხარს უჭერს პროფ. ე. გოლუბკოვის ამ აზრს, რომ მასწავლებელმა პერსონაჟის დახასიათების დროს, ერთოდ, მისი ქცევის სწავლებისას უნდა მოხერხებულად გამოიყენოს როგორც ლიტერატურის მკვლევანობის, ისე ფსიქოლოგიის მონაცემებიც.

ქვეთავში „პერსონაჟის ენის საკითხები სკოლაში“ ყურადღება ექცევა იმ მომენტებს თუ როგორ მქლავდება პერსონაჟის მტყუველებაში მისი ხასიათი, სულიერი თვისებები, განათლება, სურვილები და გრძნობები, სოციალურ-ფსიქოლოგიური სახე და იდურო-ზეობრივი მხარე. ამისათვის კი, აღნიშნავს ავტორი, პერსონაჟის მტყუველება შესწავლილი უნდა იქნეს „როგორც

შინაირის, ისე ფორმის თვალსაზრისით, ე. ი. ყურადღება უნდა მიექცეს არა მარტო იმას, თუ როგორია ნათქვამის შინაარსი, არამედ იმასაც, თუ როგორ გამოიხატა იგი ახასიათებს ახასიათებს მოქმედის მტყუველებას“ (გვ. 97).

მასწავლებელს უდავოდ დახმარებას გაუწევს პერსონაჟის სწავლებაში ისეთი ქვეთავებიც, როგორცია: პეიზაჟი და პერსონაჟი, მწერალი და პერსონაჟი, პროტოტიპი, დამხმარე ლიტერატურის გამოყენება პერსონაჟის დახასიათებისათვის.

სარეცენზიო წიგნის მესამე თავში — პერსონაჟთა დახასიათების სახეები სკოლაში“ განხილულია ეჭვბი საკითხი. პირველ ორ ქვეთავში ავტორი ეხება საკითხს იმის შესახებ, თუ რა ადგილი ეთმობა ქართული ლიტერატურის პროგრამებში და სახელმძღვანელოებში პერსონაჟის დახასიათებას, აქვე წარმოდგენილია საყურადღებო განმარტება, თუ რას ინიშნავს „პერსონაჟის“ დახასიათება. ავტორი ერთგვარი შერბილ შეაქვს შეთოდის ს. სმიროვის მიერ მოცემულ დახასიათების განმარტებაში.

ვინც სკოლას იცნობს, დაგვიდასტურებს, რომ მოსწავლეობა, განსაკუთრებით არასრულსაშუალო სკოლაში, ხშირად უძნელდება ერთმანეთისაგან განსხვავებულ პერსონაჟის დახასიათება მისი თავგადასავალისაგან. ეს ნაწილობრივ იმიოაც აიხსნება, რომ დახასიათებას და თავგადასავალს აქვს მსგავსი მომენტები. ქვეთავში „დახასიათება და თავგადასავალი“ დ. როლაბერიძემ იძლევა პერსონაჟის შესწავლის ამ ორი სახის განმარტებას და აქვე მიუთითებს იმ მეთოდურ ხერხებსა და საშუალებებზე, რომლებიც ხელს უწყობენ მხატვრული სახის უფრო მიზიდველად და სრულყოფილად აღქმას მოსწავლეთა მიერ.

სარეცენზიო ნაშრომი რამდენიმე შენიშვნასაც იწვევს:

1. ნაშრომის მეორე თავში ავტორი ეხება პერსონაჟის წინასიტრიაის ანუ ბიოგრაფიის და აქვე წარმოდგენილია ი. ჰეკვიადის აზრი ბეჟმეის აღზრდის შესახებ. მართალია, თავისთავად ეს საკითხი უდავოდ საინტერესოა, მაგრამ მის უშუალო კავშირი არა აქვს თემათან და მხოლოდ ტეირთავს ნაშრომს.

2. სკოლაში პროტოტიპის სწავლებაზე მსჯელობისას ავტორი ეხება ლამაზსიეულის პორტრეტს და წერს: „აქ (VI კლასში. ი. ბ.) შეიძლება მოსწავლეებს მიეცეთ ზოგიერთი ცნობა პერსონაჟის კავშირითეირთობაზე პერსონაჟის ხასიათთან, რაზეც ზემოთ იყოს ლაპარაკი“ (გვ. 76). ეს წინადადება ერთგვარად ბუნდოვანია, რადგან აქ ლაპარაკი უნდა იყოს არა საერთოდ პერსონაჟის კავშირითეირთობაზე პერსონაჟის ხასიათთან, არამედ პერსონაჟის პორტრეტის კავშირითეირთობის შესახებ მოქმედი პირის ხასიათთან.

3. ეხება რა „განდვილის“ სწავლების სა-

ეთოს საშუალო სკოლაში, ავტორი აღნიშნავს: „ჩვენი აზრით, ზედმეტი არ იქნება მოსწავლეებს „განდევლის“ სწავლებისას მოვარგონთ ის დავა, რაც გაიმართა ვაზეთ „თემის“ ფურცლებზე“ (გვ. 123) ნაწარმოების ირველი და ეხება ფ. რუშაველასა და მ. წულუკიძის წერილებს.

სინტერესთა, რატომ მხოლოდ ამ წერილებზე ანერებს ავტორი მოსწავლეთა ყურადღებას? დავა „განდევლის“ ირველი ხომ გაცილებით ადრე დაიწყო? თუ, საერთოდ, საჭიროა ვაგაინოთ მოსწავლეებს „განდევლის“ ირველი გამართული პოლემიკა, მაშინ, ვფიქრობთ, არ შეიძლება უგულებელყოფილ იქნეს ი. მეუნარვას, დ. სოსლანის, ე. ბოსლეველის, კ. აბაშიძის და სხვათა შეხედულებანი პოემის შესახებ.

4. ავტორი ეხება ემისტოლარული მეგვიდრეობის გამოყენების საკითხს ლიტერატურის სწავლების პროცესში და ყურადღებას ამახვილებს ილია ჭავჭავაძის წერილებზე კ. ლორთქიფანიძისადმი, რომელნიც „გლახის ნაამბობის“ დამკვლვის საკითხს ეხებიან. ეს წერილები 1872-73 წლებით თარიღდება, ამიტომ, ამ პერიოდში კ. ლორთქიფანიძის გამოცხადება „ცისკრის“ თანამშრომლად (გვ. 141) უსაფუძვლოა, რადგან ამ წლებში კ. ლორთქიფანიძე „დროება“-„კრებულის“ აქტიური თანამშრომელი და ერთ-ერთი ხელმძღვანელია და ყოველგვარი კავშირი აქვს ვაწვეტილი „ცისკართან“.

გარდა ამისა, გვინდა შევნიშნოთ ის გარემოება, რომ, მართალია, ისეთი მასალა, რაგორცია მწერალთა პირადი წერილები, ავტორგაფები, „ცენზურა და ავტორგაფი“ თავისთავად მტკიცე საინტერესოა, მაგრამ ისინი ორგანულად არ უკავშირდებიან ძირითად თემას და ამიტომ წიგნიდან მათი ამოღება უმტკივნელოდ შეიძლება.

5. თ. დოლაბერიძე მართებულად ფიქრობს, რომ ეინაიდან პერსონაჟის დახასიათება მოსწავლეთათვის რთული საქმეა (პერსონაჟის დახასიათებაზე მეშაბათ VI კლასიდან იწყება), ამიტომ, საჭირო იქნებოდა დახასიათების ზოგიერთ მომენტს ყურადღება მიექცეს III—IV და V კლასებში. ამ მიზნით ავტორი წიგნი სპეციალურ ჭეჭეთასაც გამოყოფს: „დახასიათების ვლემენტები III—IV—V კლასებში“ (გვ. 163-169), მაგრამ ამ შემთხვევაში საკითხი სრულყოფილად არ არის დამუშავებული. სასურველი და აუცილებლად საჭირო კი იყო, ავტორის დასმული საკითხის უფრო ვრცელი მიმოხილვა მოეთქა.

ჩვენი შენიშვნები ოდნავად არ წარდიგენ ამ წიგნის ღირსებას. თ. დოლაბერიძის ნაშრომის გამოსვლა სავსებით ღრთული და მისასალმებელი საქმეა. სასურველია ასეთი მონოგრაფიები დაიწეროს მშობლიური ლიტერატურის სწავლების სხვა აქტუალურ საკითხებზე.

იოსებ ზოცვაძე

### წიგნი ქართულ მკვირმეტყველებაზე



ნიკ. კანდელაკი დიდი ხანია მუშაობს ქართული მკვირმეტყველების ისტორიის საკითხებზე. ჩვენ ვიცნობთ ამ დარგში მის რამდენიმე ნაშრომსა და საუბარო მოხსენებას. სარეცენზიო წიგნის გამოცემით ქართული ენაშეგობის ლიტერატურას კიდევ ერთი ახალი ნაშრომი შეემატა „ქართული მკვირმეტყველება“ პირველი, მეცნიერული ნაშრომია, რომელიც ეძღვნება ჩვენი ორატორული ხელოვნების ჩასახვისა და განვითარების ისტორიის ძირითად საკითხებს.

წიგნი ოთხ ნაწილს შეიცავს. პირველ ნაწილს წარმოადგენს ვრცელი ნარკვევი „ქართული მკვირმეტყველების ისტორიისათვის“ (გვ. 8—

83), მეორე ნაწილს — ბიოგრაფიები, ძეგლები, მასალები (გვ. 98 — 296), მესამეს — ლექსიკონი (გვ. 299 — 309), უკანასკნელს კი — შენიშვნები და საძიებლები (გვ. 313 — 374).

ზოგადი ცნობების გადმოცემის შემდეგ, ავტორი თავის ნარკვევში დაწერილებით ჩერდება ქართული მკვირმეტყველების საისტორიო წყაროებზე, სპეციალურ ტერმინოლოგიაზე, ქართული მკვირმეტყველების ისტორიის პერიოდაზაიებაზე, მკვირმეტყველების კერებზე, დარგებსა და ეპარებზე.

ავტორი ერთმანეთს ადარებს მკვირმეტყველებასა და მწერლობას და მათ შორის მსგავსებასა და განსხვავებას პოულობს. სავსებით სარწმუნოა მისი აზრი: „ორატორიისათვის დამახასიათებელია ზეპირი შემოქმედების პროცესი, მწერლისათვის ნიშანდობლივია წერითი შემოქმედების პროცესი. მკვირმეტყველება ზეპირი მეტყველების უმაღლესი საფეხურია, ხოლო ლი-

ქართული მკვირმეტყველება, ძეგლები და მასალები შეკრება, ნარკვევი წაუშვლარა და საძიებლები დაურთო ნიკოლოზ კანდელაკმა, რედაქტორი ილია აბულაძე, „ხელოვნება“, 1958.

ტერატურა წერითი მტყველების უმადესი სფეროა. პირველი შემოქმედებითი მასალის ფორმა ზეპირია, შერისა — წერითი. მათი სახით საქმე გვაქვს მტყველების ზეპირ და წერით ფორმებთან“ (ყვე. 8).

მკვლევარს გულმოდგინედ შეუსწავლია ჩვენი მკვებმტყველების ისტორიით წყაროები ქართულსა და უცხოურ ენებზე. ქრონოლოგიურად პირველ ასეთ წყაროდ მის მიანში იბერთა მეფის, ფარსმან პირველის მიერ მხედრობისათვის მიმართული სიტყვა, რომელიც ჩვენამდის მოღწეულია I საუკუნის რომაელი ისტორიკოსის ტაიტუსის ჩანაწერის მიხედვით („ანალები“). ჩვენი არ ვიცით ამ სიტყვის ორატორული მხარე, მაგრამ უცხოელი ავტორი ზუსტად გადმოცემს, რომ ფარსმან პირველს ბრძოლის დაწყებამ წინ თავისი მხედრობისათვის მიუძღარათ მგზნებარე ზეპირი სიტყვით.

შემდეგ დამოწმებულია IV საუკუნის ბერძენი ფილოსოფოსის ლბანისოსის, ისტორიკოსთა გელასი კესარიელისა და გიორგი ამბროტლის ცნობები ქართული ფილოსოფოსისა და ორატორის — ბაკურის ცხოვრების შესახებ. ბაკურის ენაშუობითი მეგვიდრეობის შესწავლაში ნიკანდოლაკი ემყარება ქართულ შეცნობათა (ი. გუჯაბიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, შ. ნუცუბიძე, გ. გონალიშვილი) ნაშრომებს.

დამოკლებადი განსაკუთრებით ვრცელად განალიზებული VI საუკუნის ბერძენ ისტორიკოსთა (პროკოპი კესარიელისა და ავათია სქოლასტიკოსის) ის თხზულებები, რომლებშიაც გადმოცემულია ამ საუკუნის ქართული მკვებმტყველების მდგომარეობა. სხენებულ ისტორიკოსთა თხზულებებში შეტანილია VI საუკუნის ქართველი ორატორების აბეტის, ფარტაზისა და კოლბთა უცნობი წარმომადგენლის მიერ გუბაზ მეფის მეფელთა გამართლებებზე წარმოქმული სიტყვები, რომლებიც შეიძლება მივიჩნიოთ ქართული კლასიკური ენაშუობის შედევრებად. ეს ძეგრფასი მასალა, რომელიც თავის დროზე ბერძნული ენიდან თარგმნი და გამოსცა პროფ. ს. ყაუხჩიშვილმა (გეორგიკა, ტ. II და III), საშუალებას იძლევა სწორად იქნეს აღდგენილი VI საუკუნის ქართული მკვებმტყველების მდგომარეობა.

ქართული მკვებმტყველების ნიმუშები მკვლევარს დადასტურებული აქვს ჩვენი სასულიერო მწერლობის კლასიკურ ძეგლებშიაც. ქართულ აგიოგრაფიაში, ავტორის აზრით, სასულიერო ორატორული ხელოვნება აღბუქდებოდა ქადაგებთა ეანრის სახით. ასეთ ძეგლებად სომართლიანადაა მიჩნეული: „ეესკათი მცხეთელის მარტილობა“ (VI საუკუნე), იოანე საბანისის „აბო ტფილისის მარტილობა“ (VIII საუკუნე), გიორგი მერჩილის „გრაგოლ ხანძოელის ცხოვრება“ (IX საუკუნე), გიორგი მთაწმიდის „იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრება“ (XI საუკუნე), გიორგი მცირის „გიორგი მთაწმიდ-

ლის ცხოვრება“ (XI საუკუნე), ლეონტი მროველისა და გუთაშვილის (XI საუკ. ისტორიკოსები) თხზულებები, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისა“ (XII საუკ.), თამარ მეფის ისტორიკოსთა „ისტორიანი და აზმანი შარავანდეთანი“ და „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ (XII საუკ.).

ამავე მიზნითაა განხილული ქამთა აღმწერლის ნაშრომი „მონღოლთა დროინდელი ისტორია“, „ძველი ქართლის ცხოვრება“, ი. პეტრიწის თხზულებები. ავტორი დაწვრილებით არაკვესს ამ პერიოდის სადარბაზო და საქადაგებლო მკვებმტყველების საკითხებს, გვაწვდის სარწმუნო ცნობებს დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, დიმიტრი თავდადებულის მიერ წარმოთქმულ საჯარო სიტყვებზე, როგორც ორატორული ხელოვნების ნიმუშებზე, ჩერდება არსენის, იოანე კიპშიშელის, ბექა ჯაყელის, იოანე კათალიკოსის, იოანე ბოლნელის, იოანე ხახულელის (ოქროპირი), არსენ ივლითოელის, იოანე ტარიშისის, გერმანე ზუცესმონაზონის, საბა ორბელიანისა და სხვათა ზეპირი სიტყვებისა და ორატორული მოღვაწეობის მნიშვნელობაზე. აქ თავმოყრილია, მერ შემთხვევაში, უნიკალური ცნობები, რომელთა მიხედვით ჩვენი მკვლევარი აღადგენს ქართული კლასიკური მკვებმტყველების ისტორიის საქმარისად დამაჯერებელ სურათს.

ნარკვევში ხაზგასმულია რიტორიის, როგორც დისციპლინის, სწავლების საკითხები ჩვენი ძველ სკოლებსა და აკადემიებში. ამ მიზნით ავტორი სავანებოდ იხილავს ი. ხელაშვილის, ი. ბატონიშვილის, ს. დოდაშვილისა და სხვათა სპეციალურ ნაშრომებს. ასევე ნარკვევში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მკვებმტყველების ტერმინოლოგიის მიმოხილვას. გაიანლიზებულია 80-ზე მეტი სპეციალური ტერმინი და მოცემულია საინტერესო ცდა ძველი ქართული მკვებმტყველების ტერმინოლოგიის სრული აღდგენისა. სწორადაა ნაჩვენები ქადაგი, ქადაგება, მქადაგებელი, ქება, შესძმა, მკვერი, მკვერება, პაექრობა, რიტორი, ბასილიკონი, ბუობა, ენაშუბეცეველება, ენაშუობა, ენადღობა, ენამიმომობა, ენობობა, ენოვანი, ენოვანება, ზრახვა, თათბირი, მეტყუელი, მკვერსიტყვაობა, ოქროპირი, რიტორება და სხვა სიტყვაცნებათა სემანტიკა. ყველა ტერმინი დამოწმებულია ძველი ქართული ენის უნიკალური ძეგლებიდან.

ნარკვევში წარმოდგენილია ქართული მკვებმტყველების ისტორიის თავისებური პერიოდულიზაცია. დადგენილია ქართული ორატორული ხელოვნების განვითარების ძველი (I—XVIII სს.), ახალი (XIX საუკ.) და უახლესი (XX საუკუნის პირველი ნახევარი) პერიოდები. მკვერსიტყველების ისტორიის პერიოდულიზაცია, როგორც აქედან ჩანს, მჭიდროდ დაკავშირებულია ქართული

ლიტერატურის ისტორიის პერიოდიზაციასთან. წარმოდგენილი პერიოდიზაციის მიღება პირობითი თუ შეიძლება, რადგან აქ ვათვალისწინებელი არ ჩანს ლიტერატურამდელი პერიოდი, საგანგებოდ ვათვალისწინებელი არაა ქართული ხალხური მკვებრებელი.

შემდეგ ავტორი დაწვრილებით ახასიათებს ქართული მკვებრებელი კერებს. ამ კერებს მართლაც დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ორიპირიული ხელოვნების წარმოქმნისა და განვითარებისათვის. „ასეთი კერა, — მართებულად ვითვითებს ავტორი, — ერთგვარი ცენტრია, სადაც თვეს იყრის მთქველთა და მსმენელთა შეიდრო კოლექტივი, რომელსაც შეუძლია საჯარო მერჯველების დანერგვა და აღორძინება“ (გვ. 62). ენამზებობის უძველეს კერებზე, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავთ თავიანთი მნიშვნელობა, მიჩნეულია ქართული სუფრა და ქართული სამგლოვიარო რიტუალი. ასეთი გზით, მკვლევარის დასკვნით, აღმოცენდა ჩვენში ხალხური მკვებრებელი ორი ძირითადი დარგი: სასუფრო და სამგლოვიარო, რომელთაგან პირველს შინაარსი ზემოთა და მხიარულებით ისახლერება, ხოლო მეორისა — გლოვიითა და მწუხარებით. სასუფრო ენამზებობის ნიმუშად მიჩნეულია ხალხური სადღეგრძელოები, უხეად შემონახული სუფრული სიმღერები, მოსწრებელი ზმნა-თქმები, დალაცვა-დამწყვალბება. სამგლოვიარო მკვებრებელი კერების ძირითად სახეობად კი — ხარის და დატირება. დამტირებელი-მობარე დაცემული გვირის დეაწლს მოთქმით ისხენებდა, ახასიათებდა მის მშვენიერი ეპოთეტიებით, გულწრფელი გრძნობით. ქართული „მოთქმით ტორილის“ კლასიკური ნიმუშია სოლომონ ლიონიძის სიტყვა ვრცელე მეორის დაერძალვანე.

ქართული კლასიკური მკვებრებელი ორიპირიული ცენტრი იყო კოლხეთის რიტორიკული სკოლა (IV საუკუნე), სადაც უფრო გვიან, VI საუკუნეში, მოღვაწეობდნენ ბრწყინვალე ორიპირიები იგიტი და ფარტაზი.

ქართული კულტურის უძველესი ცენტრები (ბოლნისი, ათონი, გელათი, იუჯალთი, ნეკრესი, სახელმწიფოდ დარბაზი, თელავის სემინარია) იმავე დროს მკვებრებელი კერების წარმომადგენლები. აქ გაჩაღებულ პექტობებსა და თავყრილობებზე ზეპირად წარმოთქმულა არა ერთი და ორი შესანიშნავი სიტყვა და ქადაგება, აქ აღზრდილა ბევრი სახელოვანი ორიპირი, რომელიც ენამზებობის ნიმუში ახლაც ამკვებრებენ ქართული მკვებრებელის ისტორიას.

ნარკვევში უკანასკნელად განხილულია ქართული მკვებრებელი დარგები და ჟანრები. ქართულ მკვებრებელს ჰქონია სამქადაგებლო, საღარბაზო, სახმედრო, სამოსამართლო, სადღესასწაულო და სამგლოვიარო დარგები, რომელთა ეანობრივ სახეებს ქადაგება, სწავლა, მოძღვრება, სიტყვა, მოხსენება და ქე-

ბა წარმოადგენდა. თითოეული ქანას საილუსტრაციოდ ავტორს გამოყენებული აქვს მდიდარი მასალა.

წიგნის ცენტრალური ნაწილი ქვეყნობითი მასალაა. აქ ქვეყნდება ქართული კლასიკური მკვებრებელის თითქმის ყველა ძირითადი ძეგლი. სულ წარმოდგენილია 31 ცნობილი ორიპირის 45 სიტყვის ტექსტი. ტექსტებს თან ახლავს ორიპირთა მოკლე ბიოგრაფიები და ბიბლიოგრაფიული ცნობები თითოეული სიტყვის წარმოთქმის მიზნის, ადგილის, დროისა და გამოქვეყნების შესახებ.

წიგნს ბოლოს ერთეულ ვრცელ ლექსიკონი და საძებლები.

ამ საუბრადგენი ნაშრომის წაკითხვის დროს დაგებადა რამდენიმე შენიშვნა. აქედან აღვნიშნავთ მხოლოდ ორიადგს.

პირველი შენიშვნა ეხება ქართული მკვებრებელი ტერმინოლოგიის. სხენებული ტერმინოლოგია არსებითად სწორად ასახავს საქმის ეთარბას, სიტყვათა განმარტებებიც ძირითადად მისაღება, მაგრამ, სამწუხაროდ, ავტორი დაწვრილებით ჩერდება მხოლოდ წერილობითს წყაროებში დამოწმებულ ტერმინებზე და გვერდს უვლის დიდიკტური სიტყვობრივი სამყაროს მონაცემებს, ხალხური ზეპირმემოქმედების ნიმუშებში შეხვდრილ სიტყვა-ცნებებს. ე. ი. გამოირეულია სწორად ასახეობა ენისა და ხალხური სიტყვიერების“ მონაცემები.

ზოგი სიტყვის განმარტებას ემჩნევა ნაძალადეობა, ხელოვნურობა და არასიუსტეცი. პირველ რიგში ეს უნდა ითქვას ტერმინებზე მოძღვრება და სწავლება. ავტორის განმარტებით, მოძღვრება „ზეპირი სიტყვით სწავლებას აღნიშნავს“ (გვ. 43); ან: „1. საჯარო ზეპირი სიტყვით სწავლებას; 2. საჯაროდ წარმოსათქმულ ნაწარმოებსო“ (გვ. 52). საბუთად დამოწმებულია სათანადო, ადგილები ამის მარტელობიდან, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა და ი. პეტრიწის „განმარტებადინ“ მაგრამ არც ერთი დამოწმებული ტექსტი იმისთანა განმარტებას მხარს არ უჭერს. იქ ყველად მოძღვრება ნაძმარია საერთოდ სწავლისა და არა საჯაროდ წარმოსათქვამი ნაწარმოების მნიშვნელობით. ძველი ქართულის შესაბამის ძეგლებში სხენებული ტერმინი მხოლოდ ამ მნიშვნელობით იხმარებოდა. ქართული ოთხთავის უძველეს რედაქციებში (X — XI სს.), მავალითად, ტერმინი მოძღვრება ნაძმარია ოცზე მეტჯერ და ყველგან მხოლოდ სწავლებას მნიშვნელობით.

იგივე უნდა ითქვას სიტყვაზე სწავლა. ავტორი ამ ცნებას ასე განსაზღვრავს: „საჯარო ზეპირი სიტყვით სწავლება. 2. საჯაროდ ზეპირად წარმოსათქვამი ნაწარმოები“ (გვ. 53). განმარტება არგუმენტირებული არ არის, ავტორი უნდა დამყარებოდა საბას, რომლის მიხედვით, „სწავლა არს რაიე არა იცოდეს, უთბრას და

სწავათოს; სწავლა არს ქადაგება, ხილო სხვა სწავლა არს საკანონოდ შოლტის მიღება“.

ჩვენი მეორე შენიშვნა ეხება ქართული ორატორული ხელოვნების ხალხურ საწყისებს. ამ საკითხზე მკვლევარი გაკვირვით დაპრაყობს, სპეციალურად არ ჩერდება. როგორც ცნობილია, ქართულ ხალხურ ებოსში, ეთნოგრაფიულ წესჩვეულებებსა და გადმოცემებში შემონახულია ძვირფასი ცნობები ხალხური მკვერმეტყველების შესახებ. ხალხური ქება-შესხმისა და გოდება-ტირის რიტუალური წესები შეიცავენ ენაშვიობის საოცარ ნიმუშებს. ჩვენი ორატორუ-

ლი ხელოვნების შედეგების უშუალო მასაზრდობელი წყარო სწორედ ეს უკანასკნელი უნდა ვთვლიყო. ფოლკლორისტები კმაყოფილებიან შესაგისი ფაქტების მხოლოდ აღნიშვნით. მათი სპეციალურად შესწავლა ქართული მკვერმეტყველების ისტორიკოსმა უნდა ითავოს.

ჩვენი ეს მცირე შენიშვნები ოდნავადაც ვერ ჩრდილავს წიგნის უდავო შეცნიერულსა და პრაქტიკულ ღირებულებას. იგი სწორ წარმოდგენას გვაძლევს ქართული მკვერმეტყველების ისტორიის ძირითად საკითხებზე.

ალ. ლონდი.

## მხატვრული ფილმი თუ ისტორიის სახელმძღვანელო?



„მაია წყნეთელმა“ ცხარე კამათი გამოიწვია. როგორც ჩანს, ფილმი ლაპარაკად დიქს. ამიტომაც, ჩვენის აზრით, კამათის გაგრძელება მიზანშეწონილია.

მაია წყნეთელი გარკვეული ისტორიული ეპოქის შეიღო და ამდენად ფილმიც ისტორიული ხასიათისაა. მაგრამ როცა მხატვრულ ნაწარმოებთან (სულერთია, პროზაული იქნება იგი თუ კინემატოგრაფიული) გვაქვს საქმე ტერმინი — ისტორიული — პირობითად უნდა წარმოედგინოთ, რადგან ის, რასაც ხელოვანი ამბობს, უფრო ფართოა მოცულობით და აზრით, ვიდრე ესა თუ ის კონკრეტული ისტორიული ფაქტი (რასაც კ. გამსახურდია „დიდოსტატის მარჯვენათი“ ამბობს, ვინ ჩატვეს მხოლოდ გიორგი პირველის მეფობის ვიწრო ფარგლებში?). ისტორიული ხასიათის მხატვრული ნაწარმოებები ავტორის ფილოსოფიური აზრისა და მხატვრული არქიტექტონიკისაგან გამოითშეულად არ უნდა წარმოედგინოთ, თორემ უსულგულო სქემა შეგირჩება ხელთ. ვერც „მაია წყნეთელის“ ისტორიულ ფონს გამოვითმავთ ფილმის ცენტრალური იდეური აზრისაგან.

### ფილმი „მაია წყნეთელი“ ქალბაიკრძალული ქალის ტრაგედიაა.

დაკარგული ქალბის გამო დარდი და წუხილი ფილმს წითელ ხაზად გასდევს: პირველი საუბარი ღვთისმშობელთან ეკლესიაში („ძნელი უოფილოა ბიჭის ჩოხის ტარება“), პირველი საუბარი ერეკლესთან მეფის ოთახში (ვერ გავბედა მეფეს საიდუმლოს გამტკიცება და სხვა დრამისათვის გადადო), ქალის კაბაზე ტირილი, ბანაობა აჯანყებული ქალბის დასამშვიდებლად, მეორე საუბარი ღვთისმშობელთან („ავად გადაცმული გასაძლებდი?“), ბრძოლის წინ მეორე საუბარი ერეკლესთან („მეფე, სოფელში წინანდობი ცხოვრება დამიბრუნეთ...“) და ბოლოს, სოკიდილის წინ, სიყვარულის ვამბეღა.

ფილმის ნახვის შემდეგ მაყურებელი ბუნებრივად მიდის დასკვნამდე, რომ ქალის თავისუფლება ქალბის უფლებების შენარჩუნებაა. მაის ბედის ამ კუთხით ჩვენმა ფილმს ნებას აძლევს ისტორიული კონკრეტულობის ჩარჩოები დაარსების და ყოველი დროისათვის (ცხადია, შესაბამისი სოციალური

საფუძვლით გაპირობებელი) საფიქრებელი საკითხი დასვას.

ჩვენის აზრით, შემოსვენებული პრობლემატიკის მხატვრული წარმოსახვისათვის აუცილებელი არ უნდა იყოს ეპოქის დამახასიათებელი ყოველი ნიშნის მიკროსკოპული სიზუსტით ჩვენება, როგორც ამას პატივცემული პროფესორი დ. გვრიტიშვილი მოითხოვს. მაგრამ საინტერესოა მაინც რა ზომით არღვევს „მაია წყნეთელი“ ისტორიულ სიმართლეს?

თვითონ მაია წყნეთელის პიროვნება ისტორიული პირველწყაროებით არაა ცნობილი. ერეკლესეულ ისტორიულ დოკუმენტებში იგი არსად არაა მოხსენებული. მაია წყნეთელი ფოლკლორული გმირია. ხალხმა შეთხზა ლექსები და თქმულებები ამ გმირი ქალის შესახებ. ამიტომ, ბუნებრივია, მაია წყნეთელის კინემატოგრაფიული ნახის შესაქმნელად ფილმის ავტორები ფოლკლორული მასალისაგან გამოდიოდნენ. ცხადია, მასალას უშორილივდნენ ფილმის დედააზრს.

რაკი მაის სახე ფოლკლორული მასალის გამოყენებით შეშავდებოდა, მხატვრული ლოკოკით მოითხოვდა ერეკლე მეფის სახეც ხალხური მასალის ნიადაგზე დამუშავებულყო. ხალხური თქმულებები ერეკლეს წარმოგვიდგენს, ერთის მხრივ, როგორც სწორტოვარი გმირს და, მეორეს მხრივ, როგორც უბრალო, თავმდაბალ და გულისმიერი ადამიანს.

ახლა მკითხველს მოვახსენებთ ზოგიერთ ხალხურ თქმულას, რომლებშიც ხალხი ძალიან თავისუფალ და უშუალო დამოკიდებულებას იჩენს ერეკლე მეორის პიროვნების მიმართ.

1. ერთმა გლეხმა ერეკლე ამალიანად სტუმრად შეიპარტია. მეფე ეწვია. წამოსვლისას კითხა თურმე მეფემ გლეხს: ღარიბმა კაცმა ჩემი ამალიანად მიწვევით რა სარგებლობა ნახეთ? გლეხს უპასუხნია: ბანი შქონდა დასატკეპნი ია, რომ თქვენ თქვენი ამალიანად არა, ილხათ ერთ თვესაც ვერ დაეტკეპნდიო.

მეფემ გაიხარა თურმე გონებამახვილი გლეხის პასუხით.

2. დღიში ყოფნისას ერეკლე მეფისათვის ერთ დღემდე დედაბერს უთქვამს: მეფე, ცოლი ყორღანაშვილიან ვლადტობს და შენ კი აინუნდაე არ ავდებო. შინ მობრუნებულ მეფეს დე-

დოქტორისათვის უკეთხავს: მართალია რაც დიდ-  
მელმა დედაცაქმა მიიხრა? დედოფალს ვაიცი  
უარუყვია დიდმელი ქალის ბრალდება. ერეკ-  
ლეს გაუცინა და უთქვამს: მე კი მკერა, მგე,  
რამ დიდმელ დედაბერს არა სჯერაო.

3. მოიხვედრე ი. გოგებაშვილის ხალხურ  
თქმულებაზე აგებული მშვენიერი მოთხრობა  
„ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“.

ეს და მრავალი სხვა გადმოცემა ანეკდოტები  
როლია. ისინი „უსახელო ადამიანებს“ შეფისად-  
მი უბრალო და თბილი დამოკიდებულების ამ-  
სახელო თქმულებებია. ამასთანავე ამ თქმულე-  
ბების გაცემა ორგვარადაც შეიძლება: თუ ყვე-  
ლაფერს ზერტულად შევხედავთ, მაშინ ერეკლე  
არც თუ ისე იდეალურად წარმოგვიდგება ამ  
თქმულებებშიც. ამა წარმოიდგინეთ მეფე, რომ-  
მელსაც გულზე ბანს აბეჩინებს, დედაბერი მო-  
ხარს უკეთხავს და დედოფალს უფინებს, გოგო  
ქლიაფებს ესერის და ბკეას ასწავლის — თათრუ-  
ლი ქედი არ უნდა ვეხუროსო და ა. შ.

მაგრამ ამ ამბებში ყოველი კაცი ერეკლეს  
პიროვნებაში დიდ სიყვარულს ხედავს, რად-  
გან პატარა კახი ჩვენი ხალხის წარმოდგენით  
უბრალოებით დიდი ადამიანია, რომელსაც ყვე-  
ლა, განუზრუნველად სოციალური მდგომარეობი-  
სა, გულის ეარამს უზიარებდა და მეფეც შე-  
ღებისდაგვარად უსმენდა.

ფილმის ავტორებს სჭირდებოდათ უბრალო  
და გულისმომევი (ჩვენი ხალხის წარმოდგენით  
დახატული) მეფე ერეკლე, რადგან მთა ასეთ  
მეფეს ეძებს (ფილმში კი ერეკლეს სახე ამ პო-  
ზიციითა ნაწევრები), რათა თავისი ქალური დარ-  
დი გაუზიაროს. ამიტომაცაა ასე უბრალოდ (არა-  
მეფურად) გადაღებული მეფისა და მთაის შეხ-  
ვედრა, მეფის ოთახში მთაის და ერეკლეს საუ-  
ბრაო და სხვანი.

თუ გაითვალისწინებთ ერეკლეს სახის მხატ-  
ვრულ-დრამატურგულ ამოცანას, ზომიერება  
დარღვეული არ უნდა იყოს.

ახლა ისტორიული ასპექტით წარმოვიდგინოთ  
ის დრო, როცა მთაა წყნეთელი ცხოვრობდა.

რა იყო ამ დროს გლეხიკაცის უბრალოტეტი  
სოციალური მტერი? მსუბი ერთი: ტყვეებით  
ვაჭრობა. „მონებით ვაჭრობა არასოდეს არ  
გაბეულთბდა ისეთ მახინჯ ფორმებს და საზო-  
გადოებებს განვითარებისათვის ისეთ სახიფათო  
ხასიათს, როგორიც იყო იგი საქართველოში  
16 — 18 ს. ს.“ (ნ. ბერძენიშვილი — „ნარკვევი  
ფეოდალურ ურთიერთობათა ისტორიიდან სა-  
ქართველოში“, გვ. 24).

ახლა 18 საუკუნის დოკუმენტებში დაცული  
ზოგიერთი ცნობაც ვნახოთ. ზაზა ციციშვილს  
54 კაცი გაუყვიადა თურქეთში, პაატა და დავით  
ციციშვილებს — 155 სული. ოთარ ციციშვილი  
თავს დასხმია სოფელ მშოგერის და ერთიანიდ  
გულწყვეტა (იხ. ვ. ტოგონიძე — „ქართლის  
მთიანეთის გლეხთა აჯანყება“, გვ. 54 — 55.  
სხვათა შორის, პროფ. დ. გვრიტიშვილმა თავის

დროზე ამ წიგნს რეკენიზით კარგი შეფასება  
მისცა).

უფრო მეტიც. ერთი ისტორიული დოკუმენტი  
მოგვითხრობს, რომ „საციციანო ისე დაცარიულ-  
და, რომ 4 წლის განმავლობაში არც თესვა უო-  
ფილა, არც ხენა, არც ცეცხლი დანთებულა, არც  
კალი გაღწეილა და არც მამლის ყვიელი გაუ-  
გია კაცს“ (იხ. პროფ. ს. კეკელიძის წერილი ერე-  
ბულში „История классово́й борьбы в Закавказье“  
გვ. 174 — 175) გვიანფეოდალური საქარ-  
თველოს ისტორიის მცოდნეს პროფ. დ. გვრი-  
ტიშვილს უცნაურად არ უნდა მოჩვენებოდა  
ფილმში არც ხრიოკი ადგილება და არც მონ-  
ტაჟში გახვეული ხალხი. ეს ხომ ზემოთ მრტანილი  
დოკუმენტის აზრის კინემატოგრაფიული ჩვენე-  
ბაა და მეტი არაფერი.

რაც ზემოთ მოვასწავნეთ, არა მხოლოდ ციცი-  
შვილთა „დამსახურებაა“, რომელთაც არც სხვა  
თავადნი უგდებდნენ ტოლს, რაც პატრიცეუმულ  
პროფესორს უეჭველად მოეხსენება. ამ ფაქტების  
მცოდნეს — ფეოდალური ხანის საქართველოს  
ისტორიის მკვლევარს, ჩვენი აზრით, მეტი პა-  
სუხისმგებლობა მართებდა გვიანფეოდალური  
ხანის გაბატონებული კლასის (თავადები...) პოლი-  
ტიკური მიწაშის შეფასებისას. ვლიქრობთ არ  
მოვხდებით აღმოჩენას თუ ვიტყვი, რომ ერეკ-  
ლესდროინდელი თავადობა მკაფიოდ გამოირჩე-  
ვდა თავისი რეაქციულობით. ფილმის მხალისე  
ომონენტსაც უნდა ვაათვალისწინებია ის გარე-  
შობა, რომ სწორედ გაძლიერებული თავადური  
რეაქცია იყო გვიანფეოდალური ხანის ქართლის  
უბედურება. პროფ. დ. გვრიტიშვილი არ ითვა-  
ლისწინებს კონკრეტულ ისტორიულ ფაქტებს  
და მსჯელობს ფეოდალთა კლასზე საერთოდ და  
მსჯელობს ისე, რომ თვალში გვეცმათ ერეკ-  
ლესდროინდელი თავადური განწყობილებების  
აბოლოვების ალექსანდრე ამილახვრის პოლი-  
ტიკური თხზულების („ბრძენი აღმოსავლეთისა“)   
გაყენა, თუმცა იმ განსხვავებით, რომ უკანას-  
კნელი თავადთა ინტერესებს რომ გამოხატავდა  
ადამაშულებდა ერეკლეს, ხოლო გვრიტიშვილი  
ერთის მხრივ „ფეოდალთა ნაწილს“ იცავს, ხო-  
ლო მეორე მხრივ ერეკლეს აცხადებს ფილმში  
დამცირებულად (თუმცა ამ განცხადებისათვის  
ფილმი როდელ იძლევა საფუძველს?) და მას  
იცავს.

ფილმის დრამატურგიული კონფლიქტი ეპოქის  
ძირითადი წინააღმდეგობით — მონებით ვაჭრო-  
ბით — არის გაპირობებული და ელიქრობთ, რომ  
აქ არაა-დაარღვეული ისტორიული სიმაართლე.

პროფ. დ. გვრიტიშვილი, როგორც ისტორიო-  
კოსმ, მართალია, როცა, ამბობს, რომ ყოველი  
თავადი როდი უიდადა თავის ყმებსო. პი-  
რიქით, ზოგიერთი ებრძოდა კიდევ ამ სოცია-  
ლურ ბოროტებს. მაგრამ ამ აზრის გამოთქმი-  
სას მხატვრული ნაწარმოების მიმართ ორი მო-  
მენტი მაინც უნდა გათვალისწინებულაქო. პირ-  
ველი: ფილმის მხატვრული კონსტრუქცია და

დრამატურგია აგებულია. შეურაცხყოფილი ხალხისა და მონებით მოვაჭრე თავადების კონფლიქტზე და არა მონებით მოვაჭრე და არა მოვაჭრე თავადების წინააღმდეგობაზე; მეორე: სავალდებულო რაღაცა უარყოფითის ჩვენებისას დადებითი ამავე წონა-ზომით აწვეწით (მით უმეტეს, რომ დადებითი ელემენტი ხალხის მზრათაა დანახული). პროპორციების თეორიის დაცვა შეეძლო და ყოველთვის სავალდებულო რაღაცა ილიამ რომ ლერასამ თათქარიძე აღწერა, ამით არ უთქვამს ყოველი ქართველი თავადი ასეთი-თა. ლერასამ თათქარიძე საერთოდ არ არსებულა, მაგრამ ამით ამ სახეს არც მხატვრული სიმართლე მოკლებია და არც ისტორიული. მთელი სიდიადე ილიას მიერ შექმნილი სახისა იმშია, რომ ლერასამ თათქარიძე ფიზიკურად არსებებელი კაცი, მაინც კონკრეტული ისტორიული ეპოქის შვილია.

მაიას ტრაგედია კონკრეტულად არსებული სოციალური უკუღმართობით არის გამოწვეული და მაიას მახვილი მამართლია მათ წინააღმდეგ, ვინც ამ სოციალურ ბოროტებს ქმნიდა. ამდენად ფილმი არ არღვევს ისტორიულობის იმ ზარჩოებს, რომელიც მხატვრულ ნაწარმოებს მოეთხოვება.

პროფ. დ. გვრიტიშვილის უქმყოფილება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ერეკლე ნაჩევნები არაა ზნაღდაზღა მებრძოლი.

აქ ერთი მაგალითი გავიხსენოთ: აქ წერეთლის „თორნივე ერისთავში“ თორნივე, რომელიც სარდლად სპეციალურად მოიწვიეს, მთელი ომის მანძილზე თვალს ადევნებს ბრძოლის შევლლობას. როცა შობეუბით ორბელიძე მოკლეს და ქართველთა ერთი ნაწილი დამარცხდა, თორნივე მოსაშველებლად ჯოჯოგო გაგზავნა, თავად იც ხელმძღვანელობა გააგრძელა. მოხუცი სარდალი მხოლოდ მაშინ ჩაერია ბრძოლაში, როცა უკანასკნელი და საბოლოო დარტყმა იყო საჭირო. ეს მოუვა აზრად თქვამს — რაჟი თორნივე სპეციალურად სარდლად მოიწვიეს, რატომ მოუღო ომის განმავლობაში ზნაღს არ იქნევდაო.

ანალოგიური ხერხით გაკეთებული ბატალური სცენაა ფილმში.

ერეკლე მეფე დგას და გონებით ზომავს და წონის ომის ბედს, ხელმძღვანელობს ბრძოლას. მხოლოდ საბოლოო დავებისა და გამარჯვებისათვის იმიშველებს მეფე ზნაღს... ხოლო მეგრ ერეკლეს ბრძოლა აღარაა ნაჩვენები იმიტომ, რომ ერეკლეს ზნაღს ამოღება გამარჯვების ნიშნავს (ესეც ხალხის წარმოდგენით შექმნილია სიმბოლოა) და ამისი ამ მხრით ვაგრძელება აღარაა საჭირო.

პროფ. დ. გვრიტიშვილი ფილმის ავტორებს უსაყვადურებს ერეკლე მეორის სახის არასრულყოფილად დახატვას. მაგრამ ფილმში ერეკლე იმდენად არსებობს, რამდენადაც იგი მაიასთან არის დაკავშირებული. შეიძლება შევდომა იყო საერთოდ ერეკლეს მხატვრულ პერსონაჟად გამოყოფანა, რადგან ისტორიული სიმართლის თვალ-

საზრისით არავინ იცის შეხვედა თუ არა მაია ერეკლეს, მაგრამ რადგან ფილმის სიუჟეტი ხალხური თქმულების საფუძველზეა შექმნილია, მხატვრული გამარჯვების უფლებმა ფილმის ავტორებს ნებას აძლევდა მეფისა და გლეხის შეხვედრა რეალურ ფაქტად წარმოედგინათ. ხოლო ერეკლე მეორის სახის ისტორიული სიზუსტით წარმოდგენა, როგორსაც პროფ. დ. გვრიტიშვილი მოითხოვს, იმ ფილმის ავტორსა, რომელიც ერეკლე მეფის მოღვაწეობას მიუძღვნება.

როცა რაიმეს ვაკრიტიკებთ, უპირველესად უნდა ვაირყევს — ვისა და რის შესახებაა დაწერილი თუ გადაღებული მხატვრული ნაწარმოები.

პროფ. დ. გვრიტიშვილი ფილმის ავტორებს უკიცინებს და ბრალს სდებს „ჩვენი ქვეყნის წარსულის ნამდვილი იტორიული სურათის“ „დამახინჯებაში“ სინამდვილე კი თვითონ უშეგებს ორ შეცდომას მეთოდოლოგიური ხასიათისას.

1. დ. გვრიტიშვილი წერს: „ფილმის ერთი უმთავრესი შეცდომა იმშია მდგომარეობის, რომ ნაწარმოების მიხედვით ერეკლეს ეპოქის საქართველოს ფეოდალური საზოგადოება დამოღლია ანტიგონისტურ კლასებად...“ აქ ჩვენი ავტორი ამახინჯებს მარქსიზმის ფუძემდებელ იდეას კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ისტორიული როლისა და მნიშვნელობის საკითხზე. მიუვართოთ მარქსიზმის კლასიკოსებს: „სახელმწიფო — ამბობს ენგელსი, აჯამებს რა თავისი ისტორიული ანალიზის შედეგებს — აღიარებაა იმისა, რომ საზოგადოება გაიხლართა გადაუწვევებელ წინააღმდეგობაში თავის თავთან, გაითიშა შეუტრიცებელ წინააღმდეგობაში და მალე დაეკარგა თავისი ძალა...“ ანტიგონისტური ეკონომიური ინტერესებით, არ გაანადგურონ ერთმანეთი და საზოგადოება უნაყოფო ბრძოლაში, აუცილებელი გახდა ისეთი ძალა... რომელიც უნდა შეაწილოს ეს კონფლიქტი და წესრიგის ჩარჩოებში დაეკავოს იგი. ეს ძალა კი... სახელმწიფოა“ (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი რჩეული ნაწარმები ორ ტომად ტ. 11, 1950 გვ. 383. ა. ბ.) საქართველოს ფეოდალურ სახელმწიფოს და ამ სახელმწიფოში არსებულ ანტიგონისტურ განწყობილ კლასებს უდავოდ ასეთივე ძალით შეეხება კ. ო. ლენინის დებულება: „სახელმწიფო არის კლასობრივი წინააღმდეგობათა შეუტრიცებლობის პროდუქტი და გამოხატულება“; „სახელმწიფოს არსებობა ამტკიცებს, რომ კლასობრივი წინააღმდეგობანი შეუირვებელია“ (იხ. ვ. ი. ლენინი თხზ. ტ. 25, გვ. 472). ჩვენ არ ვგვსრის ვიფიქროთ, რომ პროფ. დ. გვრიტიშვილი არ ერეკვია ამ პრინციპული მნიშვნელობის — საკითხში, თქმეა უნდა აღინიშნოს, რომ პროფესორი

ვალდებულია თავი დაიხვეწოს ამგვარი შეცდომებისაგან, ისეუ პრინციპული მნიშვნელობის საკითხზე მსჯელობისას.

დაბოლოს ფილმის ერთ-ერთი დამახებრება ის არის, რომ მასში მკაფიოდ არის წარმოდგენილი შეუთრებებელ (ანტიგონისტურ) კლასებად გათიშული გვიანდრობაღრეი საქართველოს საზოგადოება.

2. პროფ. დ. გვრიტიშვილის სტატიაში უაღვილოა ციტატი ი. ჰავეჰავადის წერილიდან — „სანდალას წიგნის გამო“. ამ წერილში იგი აცხადებდა „უხინდისო, უგონო, უტვიზო, და „მოლაღატურს“ ნაწერს ვინმე სანდალასი, რომელმაც „რა უკადრისობა, რა ლანძღვა თრევა, რა უწმანწობობა არ აკადრა ჩვენს საწყალს მამებს, ჩვენს მამა-პაპს, ჩვენს წარსულს, სასიძულულო-სასტორიო კაცებს, ჩვენს თავმოსაწონებელს ძველ თუ ახალ მწერლებს“ (იხ. ი. ჰავეჰავადი, ბზ. ტ. 4 გვ. 195). ამ წერილის ცტირებით პროფ. დ. გვრიტიშვილი ცდილობს დაასაბუთოს თავისი შეხედულება და ის აზრი, რომ თითქოს და „კაკო ყაჩაღის“, „ოთარაანთ ქვივის“, „გლახის ნამბობისა“ და „კაცია დამიანის“ ავტორი ქობაძე იყო იმ თეორიისა, რომ საქართველოს ძველი საზოგადოება იყო ერთიანი, კლასობრივი გათიშულობისა და ანტიგონისტობის ვარჯიშე. სინამდვილეში, უფრო მართებული იქნებოდა დ. გვრიტიშვილს თავისი კონცეფციის გასამაგრებლად (ილიას შეხედულებების დამახინჯების გარეშე) მიემართა ე. წ. „ერთიანი ნიადამის“ თეორიის ასეთი მიმდევრისათვის როგორც იყო ის. აღუქმანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი, რომელიც ჩვენი ავტორის მსგავსად ილაშქრებდა ყველას მიმართ ვინც არ აღიარებდა და უარყოფდა ბატონისა და ყმის მამაშეილობას. დ. ჰონჭავჭავის „სურამის ციხით“ აღმთრთებული ე. ორბელიანი თავის წერილებში მკითხველს წერდა: „უწინდელს დროში, ვარჯიშე კაცი იმას ეძებდა: მებატონე ვიშვიწონ და შევეხიზნო, ამისათვის რომ მებატონე თავის ყმასა შვილსაგით ყურს უკვებდა და შვილის მსგავსად გული სტკიოდა ყმისთვის“ და შემდეგ: „ყმასა მებატონე მამასაგით უყვარდა, მამასაგით შიში ჰქონდა, მამასაგით პატივის ცემდა და ყოველთვის ვაფრთხილებული იყო: „არა ვაწყენინო რაო“... „ბუერჯუერ მითე ავადმყოფს თავის ბატონს, თავისი გლეხი გარს შემოველებოდა გულ მჭურვალს ვედრებით: ღმერთო, თუ ამ ჩემს ბატონს სასიყვდონე სჭირდეს რამე, ამის მაგიერ მე მოკვდა, ოღონდ ეს შვილიშობით ამყოფო“. „უწინდელს დროში — ვანავარობდა ა. ორბელიანი — ისე და ამგვარად იყო ჩვენი მამაპაპის ცხოვრება, მეფიდგან შოკიდებული მცირეძმისი“. (იხ. ცისკარი 1859 წელი № 11 გვ. 216 — 217).

თი ასეთ „საერთო და განუყოფელ“ მამა-პაპობაზე მსჯელობს პროფ. დ. გვრიტიშვილი, როცა ის ამფიოთარებს თავის ყალბ შეხედულებას იმის

შესახებ, რომ აქაო და ღირხეულად უნდა შეფასებულიყო ფილმში ფეოდალთა ნაწილის დაშახებრება სამშობლოს დაცვის საქმეში, გლეხთა დამახებრების პარალელურად. ასეთი მდგომარეობით დამახებრება პოზიციიდან დ. გვრიტიშვილი შეეხიანა არა ილიას, არამედ ალექსანდრე ორბელიანის შეხედულებებს, გამოთქმელს ზუსტად ერთი საუკუნის წინ (1859 წელს). ასეთი პრინციპული „კონცეფციის“ მიმდევარი ფილმის ავტორებს სწამებს „ისტორიული სინამდვილის ყალბად ვაგებვას“, რითაც ხელს ვერ უწყობს მისივე სიტყვებით რომ ეთქვას, „ჩვენს ახალგაზრდობის აღზრდის დიდმნიშვნელოვან საქმეს“.

სხვა შენიშვნებთან ერთად, პროფ. დ. გვრიტიშვილის წერილში ვაისმა დარიცხება უცხოურ ფილმებს ნუ მიზამათო, თუმიცა გურკვეველია რა იგულისხმება კონკრეტულად „უცხოური ფილმების შემოქმედებით ხერხებში“. თუ პატივცემული პროფესორი იტალიურ ნეორეალისტს გულსმბობს, მაშინ უნდა ეთქვას, რომ იგი აქ ხარკს უხდის უმართებულო აზრს, რომელსაც უფრო ხშირად ვხვდებით არაპროფესიონალურ მავურებულთა ერთ წრეში. ვიდრე შევეხებოდეთ ავტორის მსჯელობას მისივე სიტყვებით რომ ეთქვას, „უცხოური ფილმების შემოქმედებით ხერხებისა და მანერის მეტეორიკურ დანერგვის შესახებ პართულ თემატიკაში“ უნდა შევინწოთ, რომ პროფ. დ. გვრიტიშვილი ფილმის ავტორებს ხშირად მიაწერს „გულუბრველობას“, სინამდვილეში თვითონ იჩენს გულუბრველობას. თი მაგალითიც: წერილის შესავალში იგი წერს: „მეცნიერებასა და კულტურის განვითარების შედეგად“ ისტორიის ჩაბარდა „ენციკლოპედისტობის“ პერიოდი, როცა ესა თუ ის ადამიანი ყველდრის მცოდნედ თთელებოდა“. ამის შემდეგ ნებისმიერ მიაწერს ფილმის ავტორებს: „მთა წყნეთლის მესვეურებმა მიიჩნიეს ერთი რამ: მთ საქართველოს წარსული ისე ყარვად იციან, რომ სათანადო სპეციალისტების დაშახებრება არ სჭირდებათ, თვითონ გაართმევენ თავს“. (სხვათაშორის, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას: ფილმის კოლექტივს ჰყავდა მეცნიერი კონსულტანტი აკად. წ. კ. პროფ. ჯ. ჩიტაია). წერილის ბოლოს დ. გვრიტიშვილს ავიწყლება „ის რჩევა-დარიცხება, რასაც ფილმის ავტორებს ამდლებს იმის შესახებ, რომ „ყველაფრის მცოდნეობის“ „ენციკლოპედისტობას“ დრო წარსულს ჩაბარდა. და თვითონ დაბეჯითებით და კატეგორული ტონით მჯელობს „უცხოური ფილმების ვაღუნებზე“, „შემოქმედების ხერხებზე“ და მანერაზე“. ავტორის ამ მართალიცა გულუბრველი მსჯელობას რომ დაეუბრებოთ გამოვა რომ ქართულ ხელოვანთ არ აქვთ უფლება თავის შემოქმედების ასპარეზად მიიჩნიონ ჩვენი ერის წარსული, იმიტომ რომ ისინი ისტორიკოსები არ არიან, ხოლო დ. გვრიტიშვილს კი აქვს ისეთი ენციკლოპედისტური განათლება, რომ დაბეჯითებით და კატეგორულად შეუძლია იმსჯელოს

უცხოურ ფილმებზე, მათ აქტორთა შემოქმედებით ზერხებზე და მანერაზე, ამავე დროს იგი ატყობს, რომ ეს „მეთოდები და ზერხები მექანიკურად ინერგება ქართულ თემატიკაში“.

ზოგიერთმა მსაყურებელმა ორიოდ იტალიური ფილმი ნახა, სადაც, როგორც ასახვის საშუალება, შავი ფერები ქარბობს და მერე თუ სადმე შავი ფერი დაინახა აუცილებლად ნეორეალიზმის გადღენას ზედავს. ნეორეალიზმი რთული ფილოსოფიური მოვლენაა ხელოვნებაში და მისი ასე იოლად ათვისება არც ჩვენს კინემატოგრაფისტებს შეუძლიათ და არც ჩვენს მსაყურებლებს. იგი ღრმა გაანალიზებას მოითხოვს, რომლისთვისაც დროც არის საჭირო და იტალიური კინოხელოვნების ღრმა ცოდნაც.

სხვათა შორის, ნეორეალიზმი არც ნათელ ფერებს გამოირჩევა და არც ე. წ. მდიდრულ სურათებს. ამის დადასტურებაა ვისკონტის „გრანობა“ და დე სანტისის „სიყვარულის დღეები“. ამ სურათებში, — პირველში — სიმდიდრის, და — მეორეში სიღარიბის ფერადი გადაწყვეტაა მოცემული.

როცა იტალიურმა ნეორეალიზმმა კლასობრივი ანტაგონიზმის ფაქტორი შეიტანა, როგორც ნეორეალისტური ფილოსოფიის ერთერთი დამახასიათებელი ნიშანი, მაშინ მან ამ ელემენტის პლასტიკური ასახვის ფორმა საბჭოთა კინემატოგრაფიისაგან ისესხა (ამას თავად იტალიელ,

კინემატოგრაფისტებიც აღიარებენ სიჯიაროდ). თუ „არსენაში“ არც შავი ფერი, არც ჩამოჭონილი გულხობა, არც ხრიოვი ადგილი თვალს არ გვჭრიდა, ახლა რად მოგვეჩვენა შესაესი ამბები შომაკვირვებელ ცოდვად?

„მაგლანას ლურჯას“ ერთერთი დამსახურება ისიცაა, რომ მან „ელისოთი“, „უქიანასკელი მასკარადით“, „არსენაში“, „დაკარგული სამოთხით“ და სხვა სურათებით შექმნილი ტრადიციული ალდგინა და გააგრძელა. ამ გზას აგრძელებს „მაიაც“.

„მაია წყნეთელს“ გამომსახველობითი ფორმა ნაკარნახევი. იგი არაა ნასესხები ნილაში. შკაცრი ფონი დროის სისასტიკეს პასუხობს, ხაზს უსვამს.

ჩვენს წერილი შეიძლება ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდეს, რომ თითქმის „მაია წყნეთელს“ უნაკლო ფილმად ვთვლიდეთ. ცხადია, ასე არაა. ფილმის ნაკლოვან მხარეებზე შეიძლება ილაპარაკო, მაგრამ ეს ხარვეზები მხატვრულ-ესთეტიკურ სფეროში დევს და არა ისტორიისაში. ამდენად, ჩვენ არ აღნიშნეთ ნაკლოვანებანი.

ფილმის ესთეტიკური ღირებულების ობიექტური დაფასება სხვა წერილის თემაა. ამის შესახებ ალბათ კიდევ ილაპარაკებენ სპეციალისტები.

ბაბანი ზაპრაძე

# ახალი წიგნები



## გამომცემლობა „საგვოსთა საპარტიზოლო“

- ქართლის ცხოვრება — ტომი მეორე. (ტექსტი აღდგენილია უველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით) რედ. ს. ყაუხჩიშვილი. გვ. 708, ფასი 50 მან.  
თეიმურაზ ჯანგულაშვილი — თბილისის დღია. რედ. ბ. მირცხულავა. გვ. 72, ფასი 1 მან. 35 კაპ.  
შ. სამაღაშვილი — სწორედ ამიტომ. რედ. ი. ხოშტარია. გვ. 82, ფასი 1 მან. 15 კაპ.

## სახლიგზაში

- გიორგი ლღონიძე — ლექსები. რედ. ხ. ბერუღავა. გვ. 148, ფასი 4 მან. 70 კაპ.  
გრიგოლ აბაშიძე — ნაბოლარა წიწხლა; მეცამეტე გოჭი; ფსოსო გასეირნება. რედ. გ. კახაბიძე. გვ. 173, ფასი 4 მან. 35 კაპ.  
მინდოლ შოლოხოვი — ბელი კაცისა თარგ. რ. ინანიშვილისა და გ. ზომერიკაძისა. რედ. გ. აბაშიძე. გვ. 60, ფასი 70 კაპ.  
ჯერალდ გორდონი — ის დღე დაიქცეს... თარგ. შ. ამაშუქელიისა და ე. ნილანაევისი. რედ. შ. ქარჩია. გვ. 321, ფასი 6 მან. 30 კაპ.  
შორეულ გზებზე — რედ. ი. ხიყვიშვილი. გვ. 388, ფასი 10 მან. 65 კაპ.

## გამომცემლობა „ხელოვნება“

- სერგო მესხი — წერილები თეატრის შესახებ. რედ. ი. გაწერელია. გვ. 192, ფასი 10 მან. 80 კაპ.  
დ. კასრაძე — ილქანდრე წუწუნავა. რედ. შ. დუღუჩავა. გვ. 114, ფასი 6 მან.  
მ. ვაჩნაძე — ეპიტორ დოლიძე. რედ. პ. ხუტუა. გვ. 84, ფასი 3 მან. 50 კაპ.  
ვ. გოგობე — ივანე შერეტიანი. რედ. ა. ადამია. გვ. 44, ფასი 2 მან. 80 კაპ.  
ვ. კოცაძე — შილერი ქართულ სცენაზე. რედ. შ. ჯაფარიძე. გვ. 63, ფასი 3 მან. 35 კაპ.  
ხ. შვიშვილი — ვასო ყუწიაშვილი. რედ. შ. აფხაიძე. გვ. 157, ფასი 8 მან.  
ლ. ვეგიშკორი — ქართული ხალხური სიმღერების ოსტატები. რედ. პ. ხუტუა. გვ. 216, ფასი 9 მან. 30 კაპ.  
შაქრო გომელაური — მოგონებები. რედ. ალ. ბურთიაშვილი. გვ. 124, ფასი 7 მან.  
ა. მონიავა, ე. ყუფარაძე — ლალო კაცაძე. რედ. გ. შატერვაშვილი. გვ. 82, ფასი 4 მან.  
ნ. შალუტაშვილი — ა. ასტარესკი ქართულ სცენაზე. რედ. ვ. პელოძე. გვ. 208, ფასი 13 მან.  
ლ. თაბუკაშვილი — ევატერინე ბაღდავაძე. რედ. ნ. ფიასშვილი. გვ. 40, ფასი 11 მან.  
ლ. ნაყულაიანი — შალიაზინი. თარგმ. ე. უფთრგაშვილისი. რედ. ა. ადამია. გვ. 210, ფასი 12 მან.  
ა. ადამია — მსახიობის სიკვდილი. რედ. ალ. ბურთიაშვილი. გვ. 50, ფასი 1 მან. 80 კაპ.  
ლ. ლომთათიძე, ე. გამრეველი — ირაკლი გამრეველი. რედ. ა. ადამია. გვ. 145, ფასი 18 მან. 20 კაპ.  
ს. ხუციშვილი — აქსენტი ცაგარელი. რედ. ი. ვრიშაშვილი. გვ. 133, ფასი 6 მან.  
ნიკო გვარაძე — რუსი და უკრაინელი მსახიობები საქართველოში. რედ. ერ. ქარელიშვილი. გვ. 106, ფასი 6 მან. 40 კაპ.  
შალვა კაშიაძე — გდატეხილი საღამური. რედ. დ. კობახიძე. გვ. 99, ფასი 6 მან.